

ჯიბრან ლომთაძე

**სპირანტიზმისა და აფრიკატიზმის
ფონეტიკური სახეცვლილებანი
ქართულურ ენებში**

(ისტორიულ-შედარებითი ანალიზი)

*ექლავნება ჩემი ძვირფასი მასწავლებლის —
აკადემიკოს ვარლამ თოფურიას ნათელ ხსოვნას.*

გამომცემლობა „ქართული ენა“

თბილისი

1999

81.2 Гр
809.463
ლ 314

წარმოდგენილ მონოგრაფიაში ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისითაა გაანალიზებული ქართველური ენების სიბილანტო სახეცვლილებანი: ხშულებთან შერწყმა, სპირანტთა აფრიკატიზაცია, სუბსტიტუცია, აფრიკატთა დეზაფრიკატიზაცია (სპირანტიზაცია)...

ნაშრომში მაქსიმალურადაა გათვალისწინებული აღნიშნული ენების დღემდის მოპოვებული სათანადო მასალა, ქართველოლოგთა შეხედულებანი მათ ცვლილებებზე და ისტორიულ-შედარებითი ძიების საფუძველზე მოცემულია განსახილველი ძირითადი საკითხების ახლებური გადაწყვეტის ცდა.

წიგნი განკუთვნილია იმათთვის, ვინც დაინტერესებულია ამ ენათა ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკის პრობლემებით.

რედაქტორი — ფილოლ. მეცნ. დოქტორი
მიხეილ ძურდიანი

რეცენზენტები — ფილოლ. მეცნ. დოქტორები:
თეიმურაზ გვანცელაძე,
ავთანდილ არაბული

© ამირან ლომთაძე

© გამომცემლობა „ქართული ენა“

შინაარსი

| | |
|------------------|---|
| წინასიტყვა ----- | 5 |
| შესავალი ----- | 7 |

თავი I

| | |
|--|---|
| თს თანხმოდანთა შერწყმით გამონწვეული აფრიკატიზაცია ქართულსა და ქართველურ ენებში ----- | 9 |
|--|---|

თავი II

| | |
|---|----|
| ს სპირანტის აფრიკატიზაცია ქართველურ ენებში | |
| § 1. ს სპირანტის აფრიკატიზაცია კოლხურ ენაში ----- | 27 |
| § 2. ს სპირანტის აფრიკატიზაცია სვანურში ----- | 36 |
| § 3. ს სპირანტის აფრიკატიზაცია ქართულში ----- | 37 |

თავი III

| | |
|--|----|
| ს სპირანტის აფრიკატიზაცია ქართულ ტოპონიმებში | |
| § 4. ს > ც „სამცხე“ ტოპონიმში ----- | 57 |
| § 5. ს > ც „მცხეთა“ ტოპონიმში ----- | 90 |

თავი IV

| | |
|--|-----|
| ს სპირანტთა აფრიკატიზაცია კოლხურ აფიქსებში | |
| § 6. მიცემითი ბრუნვის აფიქსისეული ს სპირანტის აფრიკატიზაცია ----- | 109 |
| § 7. მესამე სუბიექტური პირის აფიქსისეული ს სპირანტის აფრიკატიზაცია ----- | 129 |

თავი V

| | |
|--|-----|
| შ სპირანტის აფრიკატიზაცია ქართველურ ენებში | |
| § 8. შ > ჩ (სინქრონიული ანალიზი) ----- | 181 |
| § 9. შ > ჩ ფონეტიკური პროცესის სპონტანურობის შესახებ ----- | 202 |

თავი VI

| | |
|--------------------------------|-----|
| ზ და ყ სპირანტთა აფრიკატიზაცია | |
| § 10. ზ > ძ ----- | 217 |
| § 11. ყ > ჯ ----- | 233 |

თავი VII

| | |
|---|-----|
| სპირანტთა აფრიკატიზაცია ხშულ თანხმოვანთა და ლ, ხ სპირანტთა წინა პოზიციაში | |
| § 12. ზ > ძ ----- | 239 |
| § 13. ს > ც ----- | 245 |
| § 14. ს > წ ----- | 251 |
| § 15. ყ > ჯ ----- | 255 |
| § 16. შ > ჩ ----- | 256 |
| § 17. შ > ჭ ----- | 259 |

თავი VIII

| | |
|--|-----|
| დუაფრიკატიზაცია (სპირანტიზაცია) ქართველურ ენებში | |
| § 18. ძ > ზ ----- | 269 |
| § 19. ც > ს ----- | 291 |
| § 20. წ > ს ----- | 296 |
| § 21. ჯ > ყ ----- | 306 |
| § 22. ჩ > შ ----- | 314 |
| § 23. ჭ > შ ----- | 322 |
| პირთა საძიებელი ----- | 333 |

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა

ქართული ენათმეცნიერება იმდენად განვითარდა, რომ კარგა ხანია დადგა ქართველური ენების ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკის (და, რა თქმა უნდა, გრამატიკის) შექმნის დრო. ეს კი მოითხოვს ისტორიულ-შედარებითი ანალიზის გზით დამუშავდეს არა მარტო ამ ენათა ფონემატური სტრუქტურის საკითხები, არამედ ფონეტიკური პროცესებიც. ამ საზიოთ ფაქტობრივად ბევრი რამ არის გაკეთებული. ზოგი ფონეტიკური პროცესი ამ მასშტაბით უკვე შესწავლილია კიდევ (მათ ჩამოთვლას აქ არ შევუდგებით).

ჩვენ ამჟამად შევეცადეთ, დეტალურად გაგვეანალიზებინა ქართველური ენების სიბილანტთა ფონეტიკური სახეცვლილებანი.

ნაშრომის შესავალსა და გარკვეულ თავებში განხილულია აქამდე ცნობილი თეორია აფრიკატიზაციისა სპირანტების ხშულებთან შერწყმის ნიადაგზე.

I-VI თავებში მოცემულია ს, შ, ზ, ყ სპირანტების აფრიკატიზაციის საკითხი ხშული თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში კონტაქტური ურთიერთობისას. კერძოდ, I, II, III, IV თავებში წარმოდგენილია აფრიკატიზაცია ს სპირანტისა: ს > ც (ზოგი უმნიშვნელოვანესი ტოპონიმის — „სამცხე“, „მცხეთა“-ს ეტიმოლოგიის გათვალისწინებით). V თავში ვიხილავთ შ სპირანტის აფრიკატიზაციას: შ > ჩ, VI თავში — ზ და ყ სპირანტებისას: ზ > ძ, ყ > ჯ. VII თავში ვიძლევით აღნიშნულ სპირანტთა აფრიკატიზაციის ანალიზს ხშულთა წინა პოზიციაში, ისევ კონტაქტური მეზობლობისას. VIII თავში წარმოდგენილია აფრიკატიზების: ძ, ც, წ'სა და ჯ, ჩ, ჭ'ს დეზაფრიკატიზაციის (სპირანტიზაციის) ანალიზი.

გზადაგზა სათანადო სახის შერწყმასთან ერთად ვეხებით სუბსტიტუციას, ანალოგიას, ასიმილაციას, თანხმოვანთა დაკარგვასა

და სხვ.

ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნულ საკითხთაგან სრულიად ახლებურადაა ახსნილი სპირანტთა აფრიკატიზაცია და ზოგი სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხი.

საანალიზო მასალა აღებულია ქართველურ ენათა სპეციალისტი ენათმეცნიერების შრომებიდან. გათვალისწინებულია ყველა მათგანის თვალსაზრისი განსახილველ საკითხებზე.

ამგვარად, ვფიქრობთ, ეს ნაშრომიც წარმოადგენს ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკის ერთ-ერთ თავს.

ამ წიგნის შემადგენელი ნაწილები სხვადასხვა დროს დაბეჭდილია ცალკეული სტატიების სახით, ზოგიც გადაცემულია დასაბეჭდად.

ავტორი განხილულ საკითხებზე ყოველ საქმიან შენიშვნას სიამოვნებით მიიღებს.

23.II.1994

შ ე ს ა ზ ა ლ ი

ქართველურ ენებში აფრიკატის ბუნების, მისი რაობის შესახებ ფონეტიკოსთა ძირითადი შეხედულებების სხვადასხვაობაზე ნათლად მეტყველებს საკითხის შესწავლის ისტორია: ერთნი მას ორი მარტივი ბგერის (ხშულისა და მისი ჰომორგანული სპირანტის) შერწყმის შედეგად მიღებულ რთულ ბგერად მიიჩნევენ (გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი...), მეორენი — ნახევრადხშულად (ჰ. ფ ო გ ტ ი...), მესამენი კი თვლიან, რომ იგი მარტივი ბგერაა, რომელიც ხშულმსკდომისაგან განხშვის ფაზის თავისებურებით განსხვავდება (შ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი, ნ. კ ი ზ ი რ ი ა, ნ. ი მ ნ ა ძ ე ...).

ცნობილია, რომ სპირანტთა აფრიკატიზაციის ერთ-ერთი გზა ქართველურ ენებში არის მისი ორგანული შერწყმა ხშულთანხმოვანთან: თ+ს>ც, თ+შ>ჩ, დ+ზ>ძ, ტ+შ>ჭ.¹ ასე, მაგალითად:

სალიტერატურო ქართულში გვაქვს: ც ა მ ე ტ ი < ა თ + ს ა მ + მ ე ტ ი,² გ ვ ე რ ც ა < გ ვ ე რ თ ს ა (ასიმილაციით) < გ ვ ე რ დ ს ა... ჩ ვ ი დ მ ე ტ ი < ა თ + შ ვ ი დ მ ე ტ ი, ბ ე ჩ ა ვ ი < ბ ე თ + შ ა ვ ი (ასიმილაციით) < ბ ე დ + შ ა ვ ი...

ქართული ენის დიალექტებში კიდევ ფიქსირდება: ნ ე ფ ი ა ნ ც ა < *ნეფიანთ-ს-ა, ო რ შ ა ფ ა ც < ორშაფათ-ს, პარახოც < *პარახოთ-ს (< *პარახოდ-ს. რუს.), ბ ე ჭ ე ც < *ბეჭეთ-ს (< *ბეჭეტ-ს), ბ ა ც < *ბათ-ს (ბატ-ს)...

ი. ყ ი ფ შ ი ძ ე ჯერ კიდევ 1919 წელს ასე ხსნიდა ამ ფონეტიკურ პროცესს: „არასრული ანუ ნაწილობრივი...

1. შდრ. თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976, გვ. 127-128.

2. როგორც ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე წერს, დამკვიდრდა XIV-XVII სს-ში. იხ. მისი „ქართული ენის ისტორიისათვის, XII-XVIII სს“, I, თბ., 1964, გვ. 297-298.

რეგრესიული ასიმილაციის გამო“, სიტყვა ხანძთა გამოითქმის, როგორც ხანცთა... „სიტყვა უძს (უძევს) ხშირად გვხვდება ამ სახით: უც (უცს), მუღერი ძილის ყრუ სანთან რეგრესიული ასიმილაციის გამო. იმავე დროს თვითონ სანი ქრება, რადგან იგი შედის შემადგენელ ნაწილად აფრიკატ ცანში (<თ+ს). აქედან და ამავე კანონის ძალით: თანაგუაძს // თანაგუაჯ, გჟერდს // გჟერც (< გჟერტს)...“

ასე და ამგვარად, ი. ყ ი ფ შ ი ძ ი ს ე უ ლ ახსნაში ლაპარაკი არაა არც ძს'სა და არც დს<თს კომპლექსების შერწყმაზე, ლაპარაკია რეგრესულ ასიმილაციაზე, რომლის მიხედვით ძ, თ (<დ) გადადიოდა და გადადის შიშინა აფრიკატ ც'ში, რაც შეეხება თვით ასიმილატორ ს'ს, ის იკარგება; სქემა ასეთია: ძ+ს>ც+ს>ც, დ+ს>თ+ს>ც+ს>ც³.

სხენებული მეცნიერის ეს მოსაზრება არ ყოფილა გაზიარებული შემდგომი ხანის სამეცნიერო ლიტერატურაში და სავსებით სამართლიანადაც: საყოველთაოდ მიღებული აზრით, ც მიიღება ფშვინვიერი ხშულის, კერძოდ, თ'სა და ს'ს შერწყმით: დს კომპლექსის დ თანხმოვანი, სანამ შერწყმა მოხდებოდეს, ასიმილაციას განიცდის ს'ს წინ (ყრუვდება), იქცევა ფშვინვიერ თ თანხმოვნად, ხოლო თს ფშვინვიერი კომპლექსის შერწყმა იძლევა ფშვინვიერ აფრიკატ ც'ს: გვერც < *გვერტ-ს < *გვერდ-ს (შდრ. ცამეტი < *თ-სამმეტი < *ათსამმეტი)... რაც შეეხება დე-ბულებას ძ'საგან ს'სთან ასიმილაციით ც'ს მიღების შესახებ, არც ესაა სარწმუნო. აც < აძ-ს, უც<უძ-ს ფაქტია, მაგრამ ეს ხდებოდა არა ძ თანხმოვნისაგან ს'ს-თან ასიმილაციით (ძ<ც), არამედ ს'საგან, მასთან უშუალო მეზობელი ძ'ს ხშვის არტიკულაციის ნაწილობრივი შერწყმით ს'სთან, ხოლო შემდეგ ძც კომპლექსის უჩვეულობის გამო თვით ძ'ს დაკარგვით.

შევჩერდეთ პირველი ტიპის აფრიკატიზაციაზე, აფრიკატიზაციაზე, რომელსაც ინვეეს ხშული და სპირანტი თანხმოვნების შერწყმა.

3. ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში, ტფილისის უნივერსიტეტის მ ო ა მ ბ ე, №1, ნაკვეთი 1, ტფ., 1919-1920, გვ. 3. შდრ. არამ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, დიალექტიზმები XV-XVIII სს. კახურ ისტორიულ საბუთებში, იკე, IV, თბ., 1953, გვ. 249.

თ ა ვ ი

თს თანხმობანთა უპრწყმით გააოფჳეული აფრიკატიზაცია ქართულსა და ქართველურ ენებში

ვარაუდს ამ ტიპის შერწყმის შესახებ იზიარებს არ. მ ა რ - ტ ი რ ო ს ო ვ ი. მისი აზრით, ფუძისეული დ-სა და მიცემითი ბრუნვის ს ნიშნის შ ე რ წ ყ მ ი თ მიღებულია ყრუ ფშვინვიერი აფრიკატი ც, მაგ.: შენც გ ვ ე რ ც მიუდექი... (დოკ. 376,1703-22); გ უ ე რ ც მოდგმისა (ი ქ ვ ე, 359,1577; შდრ. ისრე გ უ ე რ - ც ს ა ც ა მოგუიდგეს. იქვე). მისი დაკვირვებით, ეს სიტყვა ამ ფორმით ხშირად გვხვდება საერო მწერლობაშიც: გ უ ე რ - ც ა (ვისრ. 85,15); გ ვ ე რ ც ა დაისხნეს (შაჰნ., II, 402,30). მისივე დაკვირვებით, თანამედროვე ქართულის კილოთაგან მსგავსი მოვლენა დასტურდება ინგილოურსა, გურულსა და რაჭულში.¹

იგივე ავტორი ძ'სა და ს'ს შერწყმის ნიადაგზე თვლის მიღებულად ც აფრიკატს სიტყვაში: ა ც (ა ც < აძს < ადს): აბრეშუმი ამას ზედან არა ზედა ა ც (დოკ. 362,1593). მისი აზრით, ამგვარადვე მიღებული ძველ ქართულში ხმარებული ფორმები: თ ა ნ ა გ უ ა ც (< თანაგუაძს), უ ც (< უძს) და სხვ.²

ს'ს აფრიკატიზაციასთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი: ხსენებული ავტორის მიხედვით, საერო მწერლობის ძეგლებში დასტურდება გარდამავალი საფეხურიც, როდესაც მომდევნო ს'ს წინა დ თანხმოვანი დაუყრუებელია: დს > თს, მაგრამ უკანასკნელი კომპლექსი არ ქცეულა ც'დ, მაგ.: გ ვ ე რ თ ს ა უსხდეს (რუსუდ.), გ ვ ე რ თ ს ახლდენ (ი ქ - ვ ე), გ ვ ე რ თ ს ახლდენ ყმანი (არჩ., I, 38).³

1. არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, დალექტიზმები XV-XIII სს კახურ ისტორიულ საბუთებში, იკე, IV, თბ., 1953, გვ. 249.

2. იქვე.

3. არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, საერო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი, იკე, VI, თბ., 1954, გვ. 104. შდრ. ს. უ ლ ე ნ ტ ი, ქართული ენის ფონეტიკა, თბ., 1956, გვ. 235: დაშვებულია ტექნიკური შეცდომა — ნერია: „წინამავალ ს'ს დ დაუყრუებია“. უ. ი. „მომდევნო ს'ს დ დაუყრუებია“.

განსხვავებული მოსაზრებისა იყო ს. ყ ლ ე ნ ტ ი. ის თავის „ქართული ენის ფონეტიკაში“ წერდა: „ქართული კილოები-სათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია აფრიკატიზაციის ძლიერი ტენდენცია. ამ ფაქტს თავი უჩენია და ნაწილობრივ დამკვიდრებულა კიდევ ლიტერატურულ ენაშიც.

ცნობილია, რომ ძველთაგან თს, შერწყმის კანონით, ც-ს იძლევა ქართულში, მაგ., ა თ ს ა მ ე ტ ი > ც ა მ ე ტ ი, გ ვ ე რ დ ს ა > გ ვ ე რ თ ს ა > გ ვ ე რ ც ა. უკანასკნელ შემთხვევაში აფრიკატიზაციას წინ უსწრებს ასიმილაცია.

„გ ვ ე რ ც ა ვ ე გიჯდეს მნათობი, პირი ელვათა მკრთომარე“ (ვეფხტყ. 1548-3);

„გ ვ ე რ ც ა დაუჯდა ძიძა“ (ვისრ. 91);

„გ ვ ე რ ც ვიახლო“ (არჩ. 1,38) და სხვ.⁴

ან კიდევ: „გ ვ ე რ ც ა დავისხენ ვაზირნი, ვიუბნეთ, გავიზრახენით“ (466-1); „გ ვ ე რ ც ა დაისვა, ბალიში მისცა მისისა ნოხისა“ (1323-3).⁵

საშუალ სალიტერატურო ქართულში გავრცელებული სიტყვებია: ე რ ც < *ერთს; ე რ ც ა ხ ე < *ერთსახე.⁶

ზ. ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე შერწყმის ნიადაგზე თს კომპლექსის აფრიკატიზაციას (თს > ც) ძველ ქართულ ძეგლებშიც ადასტურებს:

ე რ ც ა ხ ე < *ერთსახე: თავ-თავი გინა ე რ ც ა ხ ე დ. პრქუა მან: რამეთუ ე რ ც ა ხ ე აოკრებულ არს, ნაყოფი ვითარ მოგუცეს.⁷

ეს კანონი განსაკუთრებით ფართოდ მოქმედებს ქართულ კილოებში, მაგ.: ლ მ ე რ ც (< ლმერთს), ე რ ც (< ერთს), დ ი ც (< დითს < *დიდს), ვ ა რ ც (< ვართს < ვარდს), ნ მ ე ნ ც (< ნმენთს < ნმენდს) და ა.შ.⁸ სამ უკანასკნელ შემთხვევაში

4. ს. ყ ლ ე ნ ტ ი, ქართული ენის ფონეტიკა... გვ. 235.

5. ი ქ ვ ე, გვ. 226.

6. ი ვ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ქართული ენის ისტორიისათვის, XII-XVIII სს... გვ. 298.

7. ზურაბ ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1975, გვ. 115.

8. ი. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე, მიცემითი ბრუნვის ნიშნისა და მესამე პირის სუბიექტური ნიშნის სახეცვლილება გურულში, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, VI, პირველი სერია: საზოგადოებათმეცნიერებანი, თბ., 1938, გვ. 348-355.

აფრიკატიზაციას წინ უსწრებს ასიმილაცია,⁹ დაყრუება (დს > თს > ც ან თც; ტს > თს > ც ან თც). მაგალითები:

გურული:

ე რ ც < *ერთს: ე რ ც ჩამუშურბინა, მიორეს ჩამუშურბინა (ქდ 421,42).

წ ე ლ ი ნ ა ც < წელინათს < (ასიმ.) წელინადს: ერ წ ე ლ ი ნ ა ც პურის სამკელათ ოზდაათი კაცი კვყავდა (ქდ 421,41). ყოოლ წ ე ლ ი ნ ა ც მამაჩემი ამ ნიგოზზე ოზდაათ ფუთ ნიგოზს რეკდა (ქდ 421,35).

ე რ ც ა ხ ე < *ერთსახე

მ ა ც ა < მათსა (< მადსა < მადლსა)¹⁰

ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ც წერს: „აფრიკატიზაცია შედეგია ხშულისა და სპირანტის შერწყმისა, რასაც ზოგჯერ წინ უძღვის რეგრესული ასიმილაციის პროცესი — ამ რიგის აფრიკატიზაცია, ჩვეულებრივ, მორფემათა ზღვარზე ხდება ბოლოკიდურა პოზიციაში: ნუთს > ნუც, ჩიტს > ჩითს > ჩიც, წყვეტს > წყვეთს > წყვეც“.¹¹

ლ. ლ ე ჟ ა ვ ა ს ზემოგურულში შენიშნული აქვს სიტყვა ე რ ი ც ა ხ ე, რაც მიაჩნია ერთსახე'საგან (შდრ. იმერ. ე რ ც ა ხ ე) მიღებულად, „თუ აქ არაა გურული ერი = ერთი სიტყვა მთლიანად აღებული“.¹² ჩვენი შეხედულებით, აქ ე რ ი ც ა ხ ე < ერცახე'საგან: სახელობითი ბრუნვის ი თს > ც პროცესის შემდეგაა დამატებული სიტყვათა შეთანხმების კანონზომიერებიდან გამომდინარე (რა თქმა უნდა, ქვეცნობიერად).

დასტურდება ის აჭარულშიც: ე რ ი ც ა ხ ე // ე რ ც ა ხ ე („პატარა“, „ცოტა“, „ბენვა“) < ერთისახე < „ერთი ცალი ხელი“.¹³ ამის შესახებ ჯ. ნ ო ლ ა ი დ ე ლ ი ამბობს: ე რ ც ა ხ ე (< ერთსახე თუ ერსახე) არის მესხურშიც და ქობულეთშიც გამიგონიაო.¹⁴

9. ს. ყ ლ ე ნ ტ ი, ქართული ენის ფონეტიკა... გვ. 236.

10. ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ქართული ენის ისტორიისათვის, XII-XVIII სს... გვ. 298.

11. ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989, გვ. 520.

12. ლ. ლ ე ჟ ა ვ ა ს, შენიშვნები ზემო სურების მეტყველებაზე, იკე, XIV, თბ., 1964, გვ. 217.

13. ჯ. ნ ო ლ ა ი დ ე ლ ი, ნარკვევები და ჩანაწერები, II, დიალექტოლოგიის საკითხები, ბათუმი, 1972, გვ. 24, 80.

14. ი ქ ვ ე, გვ. 210.

ე რ ც ხ ვ ა < ერთსხვა: ერცხვა კაცი მოვდა = ერთი სხვა კაცი მოვიდა. ავტორი წერს: ე რ ც ხ ვ ა „წარმომდგარია ე რ თ ი ს ხ ვ ა ს შერწყმით: ჯერ ი დაიკარგა, თ და ს-ს შერწყმამ მოგვცა ც ბგერა და მივიღეთ ე რ ც ხ ვ ა ო“.¹⁵

მ. ც ი ნ ც ა ძ ე „ე რ ც ხ ვ ა“ სიტყვა-ფორმას ადასტურებს აჭარული კილოს კ ი რ ნ ა თ - მ ა რ ა დ ი დ ის მეტყველებაში: მისი განმარტებით, ის „მიუთითებს მოქმედების გარემოებაზე“:

გვეხედოთ, რომ ე რ ც ხ ვ ა მწუჯახუნა ვინცხამ.

ე რ ც ხ ვ ა არ შამწუშევეფ ეს ბაღნები ამ საშრობში.

„ამ ფორმის პარალელურად გვხვდება ფორმა „ე რ თ ი ს - ხ ვ ა“:

„შენ რომ ჩემი ხათრი დეგეჭირა, ე რ თ ი ს ხ ვ ა აღარ იტყოდი“.

ხსენებული ავტორის მიხედვით, „უფრო მეტად გავრცელებულია „ე რ ც ხ ვ ა“ ფორმა“.

„ერცხვა“ მიღებულია „ერთისხვა“ ფორმისაგან; ჯერ იკარგება ი ბგერა, შემდეგ თს კომპლექსი გვაძლევს ც ბგერას:

ერთისხვა > ერთსხვა > ე რ ც ხ ვ ა. ე.ი. საქმე გვაქვს თს'ს ც'დ შერწყმის პროცესთან.¹⁶

შ. ნ ი უ ა რ ა ძ ი ს დაკვირვებით, ქ ვ ე მ ო ა ჭ ა რ უ ლ - შ ი რ'ს სისუსტე-სიღბოსა და დაკარგვის გამო გვაქვს ე რ ც ხ ვ ა < ერთსხვა (< ერთის სხვა „ერთის გარდა, ამის გარდა“):

ე რ ც ხ ვ ა აღარ ქნა, თუარა ყურეფ შაგაფრენ!¹⁷

მთააჭარულზედაც ის წერს, რომ აქ „ჩვეულებრივ თს კომპლექსი ც'დ იქცევა, დზ — ძ-დ“:

ე [რ] ც < ერთ-ს, ს ა ა - ც < *საათ-ს, ლ მ ე რ ც < *ღმერთ-ს... ქ ე ც ი მ ე რ ი (ტოპონიმი) < *ქეთსიმერი (ასიმ.) < *ქედსიმერი, ხ ი ც < *ხით-ს (< *ხიდ-ს), ბ ა ც < *ბათ-ს (< (ასიმ.) ბატ-ს, ბ ე - ჭ ე ც < *ბეჭეთ-ს (< (ასიმ.) *ბეჭეტ-ს, ქ უ რ ც < *ქურთ-ს (< (ასიმ.) ქურდ-ს, მ ო რ ბ ე ც < *მორბეთ-ს (< მორბედ-ს):

15. ი ქ ვ ე, გვ. 80.

16. მ. ც ი ნ ც ა ძ ე, კირნათ-მარადიდის მეტყველების თავისებურებანი, რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა შრომები, I, ბათუმი, 1954, გვ. 7.

17. შ. ნ ი უ ა რ ა ძ ე, აჭარული დიალექტი (ფონეტიკა, გრამატიკა, ლექსიკა), ბათუმი, 1975, გვ. 67.

მორბეც გვტაძე... ეცსააც ნევმუშოთ კიდვენ, მემრენ დევსვენოთ. ორსააც უკან მაგარი წვიმა მოვიდა. ქურდმა ქურც მოპარა და ღმერც გაეცინა თურმი. დედამთილი რომ დედოფალ ბეჭეც ნამჟაცვამს... ორსააც უკან ნამოვდა მაგარი წვიმა, ხოშკაკალი. მაგა ორ თავ ბაც არ მიაბარეფს კაცი.¹⁸ ეც ერქვა ფადოჲ, მჲერეს — ხატოჲ, მესამეს — აშოჲ (ქდ 401,20).

აჭარულში, გარდამითითებული ქეციმერი 'სა („სათესი“), ი. ს. ი. ხ. ა. რ. უ. ლ. ი. ძ. ის მიერ ფიქსირებულია ტოპონიმები:

ქეციმერა < *ქეთსიმერა < (ასიმ.) *ქედსიმერა (ნიგალში და სხვ.) „სათესი, ტყე“¹⁹

ქეციქეთი (გონია) < *ქეთსიქეთი < (ასიმ.) *ქედსიქეთი „ბუჩქნარი“²⁰

ქეცუკანა < *ქეთსუკანა < (ასიმ.) *ქედსუკანა „სათესი“, „ჩაი“

ქეცუკანი < *ქეთსუკანი < (ასიმ.) ქედსუკანი „სათესი“²¹ ავტორი ფიქრობს, რომ აფრიკატიზაცია მომხდარია დსკომპლექსის ც'დ გარდაქმნის ნიადაგზე.²²

ანალოგიური მაგალითი შეინიშნება იმერხეულში:

მოვდა ერც ქალაქში (ნ.მარი, იმერხ., გვ. 55).

ერც მიღებულია ერთს ფორმისაგან.

იმერულში გვაქვს:

ერცუ < *ერთსუ: გარმივილებთ ჯერე ერცუ (ქდ 480,14).

ჭაც < *ჭათს < (ასიმ.) *ჭადს: განტყელებული ჭაც და-ვადობთ ზეთე (ქდ 480,14-15).

18. შ. ნ. ი. ყ. რ. ა. ძ. ე, ზემოაჭარულის თავისებურებანი (გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ), ბათუმი, 1957, გვ. 30-31; ქართული ენის აჭარული დიალექტი (ლექსიკა), ბათუმი, 1971, გვ. 10; აჭარული დიალექტი... გვ. 83-84; ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი (გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ), ბათუმი, 1961, გვ. 46.

19. ი. ს. ი. ხ. ა. რ. უ. ლ. ი. ძ. ე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმთა, ნ. I, ბათუმი, 1958, გვ. 34, 47, 99, 135, 144.

20. ი. ქ. ე. ე, გვ. 47, 136, 137, 144.

21. ი. ქ. ე. ე, გვ. 58, 50, 54, 62, 65; სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმთა, ნ. II, ბათუმი, 1959, გვ. 45.

22. ი. ხ. ი. ს. ი. ხ. ა. რ. უ. ლ. ი. ძ. ე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმთა, ნ. I ... გვ. 144.

ბ ვ ე რ ც < *გვერთს < *გვერდს²³
ე რ ც ა ხ ე < *ერთსახე
მ კ ე რ ც < *მკერთს (ასიმ.) < მკერდს
ლ მ ე რ ც < *ლმერთს²⁴

ლეჩხუმური:

ხ ა რ ც ა ბ ე ლ ი < *ხართსაბელი²⁵
ბ ვ ე რ ც < *გვერთს < *გვერდს

რაჭული:

ქ ე ც ი ქ ე თ ი < *ქეთსიქეთი < (ასიმ.) *ქედსიქეთი
ქ ე ც უ კ ა ნ ი < *ქეთსუკანი < (ასიმ.) *ქედსუკანი²⁶
ბ ვ ე რ ც < გვერთს < (ასიმ.) გვერდს²⁷

მთარაჭულში შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი ადასტურებს ასეთ მაგალითებს:
ლ მ ე რ - ც < ლმერთს, მ ა ს ლ ა ა - ც < მასლაათს, მაგრამ მათ
ს უ ბ ს ტ ი ტ უ ც ი ა დ მიიჩნევს,²⁸ სინამდვილეში შერწყმაა:
ეს გარკვევით ჩანს იქიდან, რომ ც თანხმოვნთან ფორმებში არც
ფუძის ბოლოკიდური თ გვაქვს და არც მიცემითისეული — ს.

ქართლური:

ნ ე ლ ი ნ ა ც ა < *ნელინათს-ა < *ნელინადს-ა²⁹
ბ ვ ე რ ც < *გვერთს < გვერდს

ამ დიალექტში აფრიკატიზაციის შესახებ გრ. ი მ ნ ა ი შ-
ვ ი ლ ი წერს:

„აფრიკატიზაციის შემთხვევებს მთელ ქართლურში

23. პ. ჯ ა ჯ ა ნ ი ძ ე, ვახანურას ხეობის მცხოვრებთა მეტყველების თავისებურებანი [მიმოხილვა მეტყველების ნიმუშებითურთ]: აღ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, VIII, ქუთაისი, 1948, გვ. 67.

24. ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია... გვ. 455.

25. მ. ა ლ ა ვ ი ძ ე, მასალები ლეჩხუმური ლექსიკონისათვის, აღ. წულუკიძის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIII, ქუთაისი, 1955, გვ. 70.

26. ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური ცვლილებები ქართულ ტოპონიმიში (ზოგადი მიმოხილვა), ტოპონიმიკა, I, თბ., 1976, გვ. 252.

27. ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია... გვ. 410: შერწყმად მიიჩნევს პროცესს: ლმერთს > ლმერც... ხოლო სპირანტის აფრიკატიზაციად — პროცესს: სონანტი + სპირანტი > აფრიკატი ც: იპარსავს > იპარცავს...

28. იბ. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ქართული ენის მთარაჭული დიალექტის ძირითადი თავისებურებანი, ენიმეიკის მოამბე, II, (1), ტფ., 1937, გვ. 73; 94,5.

29. გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართლური დიალექტი, I, თბ., 1974, გვ. 154.

ვხვდებით. ამ მხრივ კუთხეების მიხედვით სხვაობა თითქმის არ იგრძნობა. მაგრამ ეს მოვლენა საერთოდ არაა ქართულში ფართოდ გავრცელებული. რიგ სხვა კილოებში უფრო ფეხმოკიდებული ჩანს.

ქართულში აფრიკატი შეიძლება მივიღოთ როგორც ხშულისა და სპირანტის ერთად შერწყმით, ისე თითოეული მათგანის ცალ-ცალკე გართულებით...

ასეთი კომბინატორული გზით მიღებულ აფრიკატებს ქართულში მხოლოდ აქა-იქ ვხვდებით³⁰ (ხაზი ჩვენია. ა. ლ.).

კახური:

აქ იშვიათად გვხვდება თს'ს შერწყმით ც'ს მიღების ფაქტები:

ქ ა ლ ი ა ნ ც ა < *ქალიანთს-ა

ნ ე ფ ი ა ნ ც ა < *ნეფიანთს-ა³¹

გ ვ ე რ ც < *გვერთს < გვერდს³²

მ ა ე პ ა რ ც ა < *მოეპარსა³³

„კახეთის ისტორიულ საბუთებსა და თ ე ი მ უ რ ა ზ პ ი რ-
ვ ე ლ ი ს ა და ა რ ჩ ი ლ ი ს ნაწერებში სწორედ ეს სიტყვა
[გვერც] შემცველია ყრუ ფშვინვიერი ც აფრიკატისა, რაც
მიღებულია ფუძისეული დ-ს მიცემითი ბრუნვის -ს ნიშანთან
ასიმილაციით და შერწყმით: გ ვ ე რ დ - ს > გ ვ ე რ თ ს >
გ ვ ე რ ც; მაგ.: გ ვ ე რ ც მიუდექი (1703 წ. დოკ. 376);
გ უ ე რ ც მოდგომისა (1577 წ. იქვე, 359); გ ვ ე რ ც მოუნვინეს
(თეიმ. I, 54); გ ვ ე რ ც ვიახლო (არჩ., I, 38 და სხვ.)“.³⁴

„ამ მოსაზრებას მხარს უჭერს საშუალო საუკუნეთა ძეგლებში
დადასტურებული ფორმები; მაგალითად, რუსუდანიანში ეგ
სიტყვა ამ სახით გვევლინება: გ ვ ე რ თ ს ახლდენ, გ ვ ე რ-
თ ს ა უსხდეს, გ ვ ე რ თ ს ა მოისვა და სხვ. შემდეგ დ > თ-სა
და მიცემითი ბრუნვის ს ნიშნის შერწყმით მიღებულია აფრიკატი
ც, რაც დასტურდება ამავე ძეგლში და სხვაგანაც: გ ვ ე რ ც ა

30. გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი ს დასახ. ნაშრომი, გვ. 154.

31. არ. მარტიროსოვი და გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956, გვ. 48.

32. ი ქ ვ ე.

33. ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია... გვ. 321.

34. არ. მარტიროსოვი და გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის კახური დიალექტი... გვ. 48.

იხლა, ცხენი გ ვ ე რ ც ა დაიბა და სხვ. აქვე ნახმარია ისეთი ფორმებიც, რომლებიც კახურში გვაქვს: გ ვ ე რ თ დაუჯე, გ ვ ე რ თ ა ... უჯდა და სხვ.³⁵

ამგვარად, გ ვ ე რ თ შედეგია ფონეტიკური პროცესისა: გ ვ ე რ დ ს > გ ვ ე რ თ ს > გ ვ ე რ თ (ს'ს დაკარგვით). მორფმათა შესაყარზე აქ თს კომპლექსიდან ც'ს მიღება გამორიცხულია ს სიბილანტის მონაწილეობის გარეშე.

გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი ს მიერ თს > ც ფონეტიკური პროცესი დადასტურებულია ინგილოურში, მაგრამ ის აქ იშვიათი მოვლენაა:

„გ რ რ ც“ (< გუერთს < გუერთდს „ახლოს“).³⁶

ეს სიტყვა მხოლოდ ამ ფორმით იხმარება მთელ ინგილოურში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აფრიკატიზაციის პროცესი ამ სიტყვაში დამთავრებულიაო, — წერს ავტორი.

ე რ ც ხ ო < *ერთსხჷა: დედას ე რ ც ხ ო შულ უჩნდევ (კაკი); ე რ ც ხ ო ფენდ დაგასწავლო... მაგრამ ზოგჯერ ასეც ამბობენ: ე რ თ ს ხ ო ქათამიც გავლლიტო (ალიაბ.) და სხვ. ეს კი გარკვევით მეტყველებს იმაზე, რომ ც < თს კომპლექსიდან, რაც ჯერ კიდევ არაა დასრულებული ყველგან.

ავტორის დასკვნით, აფრიკატიზების წარმოქმნა ბგერათა შერწყმით გვაქვს სალიტ. ქართულშიც და დიალექტებშიც, „მაგრამ მას, როგორც გავრცელებულ მოვლენას, არ ვხვდებით“ და ეს მიუხედავად იმისა, რომ მისი „ჩანასახი მოცემულია ჯერ კიდევ ძველ ქართულში“ (დებულება დადასტურებულია სათანადო დოკუმენტებით).³⁷

ჯავახური:

„გვაქვს ერთეული შემთხვევები, როცა... ორი მარტივი ბგერის შერწყმით ვიღებთ“ აფრიკატ ც'ს:

გ ლ ა ხ ა ა ნ - ც - ა < გლახაან-თს-ა

თ ა მ ა ზ ა ა ნ - ც - ა < თამაზაან-თს-ა

პ ა ს ი ო ნ - ც - ა < პასიონ-თს-ა

35. ი ქ ე ე, გვ. 71.

36. გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბ., 1966, გვ. 36.

37. ი ქ ე ე, აგრეთვე იხ. გვ. 362.

„ვ ი ს ც ა იყავით? თ ე დ ო რ ა ა ნ ც ა წასულა“.

„წუხელი ეგ კრავი კ ო ნ ა ა ნ ც ა ყოფილა“.

დადასტურებულია ფორმებიც:

ე რ ც ა ხ ე < ერთსახე: „ე რ ც ა ხ ე პური მომიტეხე“. „ე რ ც ა ხ ე (მცირე) დამირჩინა“. „სუ ე რ ც ა ხ ე შეუნახია“. ლ მ ე რ ც ა < *ლმერთსა³⁸

ავტორს ამ ორი უკანაკნელი მაგალითიდან პირველში თითქოს ც ს'ანისგან მიღებულად მიაჩნია³⁹, რაც არ ჩანს მართებული. ამაზე მეტყველებს ამავე დიალექტში დადასტურებული ფორმები: ე რ ც ა ლ ე < ერთსალე.⁴⁰ არც მეორე მაგალითის ახსნა ჩანს სწორი: ყველა ქართულ დიალექტში ჩვეულებრივია: ლ მ ე რ ც ა < ლმერთსა.⁴¹

მოსხურნი:

ე რ თ უ ც < *ერთუთს < *ერთურთს: მე და შენ დავიხაფრებით ე რ თ უ ც შ ი გ ა ო (ქდ 48,35).

გ უ ე რ ც < *გუერთს (< გუერდს): მაშინ იქა გ უ ე რ ც მეზობლად არვინ ხყვანია (ქდ 27,20).

ფშაური:

გ. ც ო ც ა ნ ი ძ ე ს > ც მოვლენას ადასტურებს ფშაურ დიალექტში და წერს: „ზოგჯერ ეს ც ხშულისა და სპირანტის შერწყმის შედეგი უნდა იყოს: ვეტყვოდით ე რ თ უ ც (< *ერთუთს & ერთურთს)... დასტურდება გარდამავალი საფეხურიც: გავაგონებთ ე რ თ უ თ ს“.⁴²

ხევსურული:

გვაქვს: ე რ თ უ რ ც - (ს) < *ერთურთს⁴³

ამ სიტყვა-ფორმის შესახებ ი. ქ ო ბ ა ლ ა ვ ა სავსებით სწორად აღნიშნავს, რომ ც'ს მომდევნო მიცემითისეული ს მის შემდეგ ჩანს დართული, რაც ამ ბრუნვის ადრინდელი -ს ფორმანტი (ერთურთ-ს) ც'დ იქცა თს კომპლექსის შერწყმის

38. გრ. ბ ე რ ი ძ ე, ქართული ენის ჯავახური კილო, თბ., 1988, გვ. 63, 64.

39. ი ქ ვ ე, გვ. 63-64.

40. ი ქ ვ ე, გვ. 210.

41. ი ქ ვ ე, გვ. 64.

42. გ. ც ო ც ა ნ ი ძ ე, ფშაური დიალექტი, თბ., 1978, გვ. 39.

43. ბ. გ ა ბ უ უ რ ი, ქვესურული მასალები, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადეული, I-II, 1923-1924, თბ., გვ. 19-4

ნიადაგზე.⁴⁴

ამოსავალია ერთურთს > ერთ უც: ქალ-ვაჟმ ერთ უც იცნასავ (ქდ 11,33). მეორეულია ერთ უც - ს:

მაშინ იცნობდეს წინ-წინ ერთ უც ს (ქდ 11,23). ჩემ მამისახლიო-დ' ესეებივ ერთ უც ს დახკოცენავ (ქდ 10,26)... ერთ უც ფორმა გვაქვს სხვა ბრუნვებშიც; მაგ.:

ნათესაობითში: წაეყვან ეს გიგია მკრის წევით, ერთ უც ის ცვლით, მიეყვან ნეთხას (ქდ 20,14).

წანათესაობითარ ვითარებითში: ისრი მაიზდებოდეს ერთი-ცა-დ' სხვაიც, რო ერთ უც ის ად თვალ არ ექნებოდ დანაცემი (ქდ 10,19).

არის ერ ც ხ ვ ა < *ერთსხვა (ქდ 552) (<ერთ სხვა) „ერთმანეთი“, „ერთმანეთის გვერდით“:

არასგზით არ შაიძლებოდ იმათ ერ ც ხ ვ ა ენახ არც კორ-ნილამდინა-დ' არც მაში (ქდ 11,19). თუ არ მასწონს ერ ც ხ ვ ა, თავშითავ უარს იტყვის (ქდ 11,35). სწორფრებ ეჯაბრებიან, ემუქრებიან ერ ც ხ ვ ა ს (ქდ 5,22).

არიქათ, უშველეთ, ერ ც ხ ვ ა ს კოცენ!... ერ ც ხ ვ ა ს რას ემდურით, რა გაქვთ ერ ც ხ ვ ი ს ა დ სამდურავი?... ერ ც ხ ვ ი ს ჯავრ შჭირს.

ხევსურულისათვის ეს ფორმები ჩვეულებრივიაო, — წერს ალ. ქ ინ ქ ა რ ა უ ლ ი. დაბეჭდილ ტექსტებში გვხვდება „ერთ-სხვა“ ფორმაც, რაც სიზუსტეს მოკლებულიაო.⁴⁵

ამავე დიალექტში ხშირია გამოთქმა: ერთ მ ა ნ ე ც < ერთმანერთს: დასჭრიან ერ თ მ ა ნ ე ც (გაბ. 140,3);

„მიცემით ბრუნვაში ც ფუძისეულადაა ხოლმე გაგებული და განმეორებით აქვს მიც. ბრ. ნიშანი დართული“:⁴⁶

ბევრ ქვეც კლავს ერ თ მ ა ნ ე ც ს (გაბ. 124,28); ... კოცენ ერ თ მ ა ნ ე ც ს (გაბ. 188,32); ... გაბურთ ერ თ მ ა ნ ე ც ს უთხრეს (გაბ. 170,25).

„ერთუც (< ერთურთს): თს > ც, მაგრამ შემდეგ ც ფუძისეულად

44. ი. ქ ო ბ ა ლ ა ვ ა, აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესი იბერიულ-კავკასიურ ენებში, იკვ. IX-X, თბილისი, 1958, გვ. 66.

45. ალ. ქ ინ ქ ა რ ა უ ლ ი, ხევსურულის თავისებურებანი ტექსტებითა და ინდექსით, თბ., 1960, გვ. 22.

46. ი ქ ვ ე.

არის გაგებული და განმეორებით ხდება ბრუნება: ერთუცი, ერთუცს, ერთუცისა, ერთუცისად (მიცემით-სახელობით-ნათესაობით-ვითარებით!): ... ქისტებ ეტყოდეს ერთუც (გაბ. 175,7); ... ხალხ ერთუცაც აღარ აცლის სრევას (გაბ. 148,15-16); ... მაშ სოფელ თუ ერთუც არ შევენიენით, რაად უსახლიოროთ ერთუც (გაბ. 129,29-30); ... ძალიანაც რო უყვარდას ერთუცი (გაბ. 157,34-35); ... ერთუცში სასაუბროდ გახკდიოს (გაბ. 162,24); ... ხქონიე ესრ ერთუცსთან გაცნობა (გაბ. 175,10); ... ერთუცს დაერევით (გაბ. 123,29); ... ბევრ ავს დრო მაგგვარასთ ერთუცის სიცოცხლისა (გაბ. 126,18); ... დგას ... ერთუცის კოცნა, ხვევა (გაბ. 145,10); ... ერთუცის თავსა გვანატრებენო (ეთნ., III, 8,12)⁴⁷

ავტორი ამ მოვლენას „კომპლექსთა მონაცვლეობად“ მიიჩნევს (სძ > ზ, რს > რც'სთან ერთად) და არა შერწყმის გზით მიღებულ აფრიკატიზაციად,⁴⁸ რაც, ცხადია, არაა გასაზიარებელი (იხ. ზემოთ). ვერც იმ მოსაზრებას დავუჭერთ მხარს, რომლის მიხედვით, ხვესურულ ერთუცს ფორმაში თითქოს ადგილი ჰქონდეს „თ / ც მონაცვლეობას: ერთურთს / ერთურთს / ერთუცს“.⁴⁹

შერწყმის ნიადაგზე თს > ც პროცესი ჯერჯერობით ცნობილი არაა კოლხური ენის მეგრულ დიალექტში, მაგრამ ხშირად გვხვდება ასეთი მაგალითები: ლორონთ-ი „ღმერთი“ — მიც. ლორონ-ც-უ, დუდ-ი „თავი“ — მიც. დუ-ც(უ), ბედ-ი „ბედი“ — მიც. ბე-ც, მარდ-ი „მადლი“ — მიც. მარ-ც...

მალას შემიღენდასჯნი, ლორონცუთი მარდი აფუ (სამ., ქპს 116) „მალე რომ მიმიღებდეს, ღმერთსაც მადლად ჩაეთვლება („აქვს“). მითინც ვასქედ თე ქიანა, დუცუ იბლორენტუ ვარა (სამ., ქპს 116) „არვის შერჩება ეს ქვეყანა, თავს ვიტყუებთ თორემ“. თითო კეტი ძაბრას დუცუ (იქვე) „თითო ჯოხი ძაბრას თავზე“...

ხომ არა გვაქვს აქ თს კომპლექსის შერწყმა? არა.

ლორონ-ც-უ < ლორონ-ს-უ < *ლორონთ-ს-უ. შდრ. მოთხრ.

47. ალ. ჭინჭარაული, ხვესურულის თავისებურებანი... გვ. 22-23.

48. იხ. იქვე, გვ. 22-23.

49. თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა... გვ. 128.

ბრ. ლ ო რ ო ნ - ქ - ჯ (< // ლორონთ-ქ-ჯ) „ღმერთ-მა“. ლ ო რ ო ნ ქ (ლ ო რ ო ნ თ ქ ჯ) ეკოაქყვიდას თეშ კეთებაშენი „ღმერთმა მოგილოს ბოლო („ნაგწყმიდოს“) ამის გაკეთებისათვის!“

ზუგდიდურ-სამურზაყანულ მეტყველებაში -ს გადადის -ც'ში ანალოგიით. შდრ. ოსურ-ც „ქალს“, „ცოლს“, მითინ-ც „არავის“, კურდღელ-ც „კურდღელს“... შერწყმას ადგილი არა აქვს.

დ უ - ც - უ < დუ-ს-უ < *დუთ-ს-უ < *დუდ-ს-უ. შდრ. მოთხრ. ბრ. დ უ - ქ - უ (< // დუთ-ქ-უ) „თავ-მა“. დ უ ქ (დუთქ) ქუდგოსქიდუ ოხერო! „თავი დაგირჩა ოხრად!“ თ აქაც იკარგება. -ს გადადის -ც'ში. თს კომპლექსის შერწყმას არც აქა აქვს ადგილი. ასეა სხვაგანაც (იხ. თ. III, §6).

ასეა ინლაუტშიც: მაგალითად, სენაკურ მეტყველებაში, სადაც გვხვდება სიტყვა ე რ ც ქ ე მ ი („ჯიხვი“) < *ერსქემი, ფ ა რ - ც ა გ ი („საკვირველი“) < *ფარსაგი და სხვ. (იხ. იქვე), გვაქვს კომპოზიტი დ უ ს ლ ა ფ - ი, „თავსლაფი“ (დ უ ს ლ ა ფ ი გევობი სქან მარდუალს: „თავსლაფი დავასხი შენს გამზრდელს“), მაგრამ არაა დ უ ც ლ ა ფ ი.

რაც შეეხება კოლხურის ჭანურ დიალექტს, აქ ის გარკვევით იშვიათობას წარმოადგენს. ამის შესახებ გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი - ლ ი გვაუწყებს: ბგერათა შერწყმით მიღებული აფრიკატიზაციის ჩანასახს წარმოადგენსო ასეთი ფაქტი: თურქ. სიტყვა დავეთსუზ (< davet+siz) „დაუპატიუებელი“ ჭანურში გვაძლევს დ ა ვ ე ც ზ ' ს (თს > ც).⁵⁰

რამდენსამე მაგალითში დასტურდება თს კომპლექსის შერწყმა სვანურშიც:

ფ ა ც ჳ შ („მდევისა“) < *ფათსჳშ (< ფადსაშ < ფადსაჳშ): შვწწშ ფ ა ც ჳ შ მუთუმინე: „სვანეთის მდევარი, ჯარის დამჩქარებელი“⁵¹ (ლხმ).

ხ ჳ ც < *ხჳთს (< *ხჳდს < *ხადეს) „ჰქონდეს“ (ბზ.)

50. იხ. გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი... თბ., 1966, გვ. 36. ამაზე ავტორის ყურადღება გაუმახვილებია ს. ჯიქიას, მაგალითი კი ამოღებულია ს. ულენტის „ჭანური ტექსტებიდან“.

51. მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, სვანური ენის ლაზამულური კოლოკაციის ფონეტიკური თავისებურებანი, იკვ, VII, თბ., 1955, გვ. 159.

ჯ ა ც < *ჯათს (< *ჯადს < *ჯადეს) „გვექონდეს“ (ბზ.)⁵²

როგორც ვხედავთ, გაანალიზებულმა მასალამ გარკვევით გვიჩვენა, რომ თს თანხმოვანთა კომპლექსი (ქართულსა და სვანურში) შერწყმით გადადის ც აფრიკატში. სვანაირად: თუ ფშვინვიერი ს სპირანტი უშუალოდ მოსდევს ფშვინვიერ ხშულთ თანხმოვანს, ხდება მისი აფრიკატიზაცია: გადადის ჰომორგანულ აფრიკატ ც'ში.⁵³ ეს პროცესი მეტ-ნაკლები სიხშირით დამახასიათებელი ფონეტიკური მოვლენაა თითქმის მთელი ქართველური ენებისათვის ძველი ქართულიდან მოყოლებული დღემდის.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ს'ს აფრიკატიზაცია (ისევე, როგორც შ, ზ, ყ სპირანტებისა) ამ ენებში არ განისაზღვრება მხოლოდ შერწყმით. მას ადგილი აქვს სხვა შემთხვევებშიც და გაცილებით მეტი სიხშირით.

ამაზე ს. ყ ლ ე ნ ტ ი წერდა:

„ისეთი შემთხვევებიც დასტურდება, როდესაც სპირანტი ს ქცეულია აფრიკატ ც'-დ, მაგ.: არ ც ა და ჩანს (გურამიშვ. 127), გზა არ ც ა ი თ წარემართა (იქვე, 121). თქვენ ნ უ რ ც ა დ წაწერებით (იქვე). მას ვ ე რ ც ა დ დავემალები, გავექცე, ვ ე რ ც ა დ წაუვალ (იქვე, 187). შდრ. კილოებში ფართოდ გავრცელებული პ ა რ ც ვ ა (< პარსვა); პ ე ნ ც ი ა (< პენსია), მოხ. ც ხ ო (სხვა), ფ ა ც ა ნ ა უ რ ი (ქართლ.) < ფასანაური, ც ა ნ დ ა ლ ი „ფერქოსაცმელი, სანდალი“ (საბა), ხ ე ლ ც ა - ხ ო ც ი (ჩუბ.) და მისთ“.⁵⁴

როგორც ვხედავთ, ს. ყ ლ ე ნ ტ ი მიუთითებს ფაქტებზე, მაგრამ ის აქ არ იძლევა ა ხ ს ნ ა ს, თუ ასეთ შემთხვევებში რა მიზეზით გადადის ს სპირანტი ც აფრიკატში.

საკითხის ახსნა ადრე სცადეს ქართველმა ენათმეცნიერებმა. ზოგი სპეციალისტის აზრით, სპირანტთა აფრიკატიზაცია ხდება მაშინ, როცა ის უშუალოდ მოსდევს ს ო ნ ო რ თანხმოვნებს: მ, ნ, ლ, რ 'ს (ი. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე, შ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი -

52. მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, სვანური ენის ლაზამულური... გვ. 159.

53. შდრ. თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა... გვ. 127-128.

54. ს. ყ ლ ე ნ ტ ი, ქართული ენის ფონეტიკა... გვ. 236.

ლი, ი. ქობალავა, გ. კლიმოვი)⁵⁵ — ქალ-ს > ქალ-ც, ვარდ-ს > ვარ-ს > ვარ-ც, პენსია > პენცია, ხელსახოცი > ხელცახოცი, პარსვა > პარცვა...

მოცემულია აღნიშნული მოვლენის მიზეზის ახსნის ცდაც, რომლის მიხედვით, სპირანტთა აფრიკატიზაციას ასეთ პოზიციაში იწვევს სონორი ბგერის თავისებური განშვავა (შ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი).⁵⁶

ი. ქობალავას, რომელმაც სპეციალურად გამოიკვლია თანხმოვანთა აფრიკატიზაციის პროცესები იბერიულ-კავკასიურ ენებში, სარწმუნოდ მიაჩნია მოსაზრება, რომ ქართული სპირანტები: ს, ზ, შ, ყ აფრიკატიზაციას განიცდიან სონორების — მ, ნ, ლ, რ'ს მომდევნო პოზიციაში და, რომ მათი ეს „აფრიკატიზაცია შეპირობებულია წინმავალ სონორთა წარმოების თავისებურებებით“, ⁵⁷ მაგრამ თან იმასაც უშვებს, რომ „სპირანტთა მნიშვნელოვანი ნაწილი აფრიკატიზება სონორ ბგერათა მეზობლობის გარეშე“. ამ შემთხვევაში გამოიყოფა ორი ჯგუფი: „სპირანტი + უკანაენისმიერის კომპლექსისა“, სადაც, „უკანაენისმიერი შეიძლება იყოს ან ისევე სპირანტი, მაგ., სხვენი > ცხვენი, სხვა > ცხო... ან ხშული, მაგ., შქა > ჩქა (ხაზი ჩვენია, ა. ლ.). ასეთ შემთხვევაში აფრიკატიზაციის სიხშირე, რაც, აფრიკატიზაციის ტენდენციის აშკარა მაჩვენებელია, ავტორის შეხედულებით, შეიძლება აიხსნას ანალოგიით: „ხდება კომპლექსთა სტანდარტიზაცია, გაერთფეროვნება“. 2. გამოიყოფა „შემთხვევათა კიდევ ერთი დიდი ნაწილი, რომელშიც სპირანტთა აფრიკატიზაცია ხდება ყოველგვარი კომპლექსის გარეშე“ (ხაზი ჩვენია, ა. ლ.). ავტორი

55. ი. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე, მიცემითი ბრუნვის ნიშნისა და მესამე პირის სუბიექტური ნიშნის სახეცვლილება გურულში...; შ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი, სპირანტთა აფრიკატიზაციის საკითხისათვის ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის VI (XII) სამეცნიეროსესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1955, გვ. 29-31; ი. ქობალავა, აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები იბერიულ-კავკასიურ ენებში... გვ. 57-97; Г. А. Климов, Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, М., 1962, გვ. 70-76.

56. იხ. მისი დასახ. შრომა, გვ. 30-31.

57. იხ. ი. ქობალავა, აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები იბერიულ-კავკასიურ ენებში... გვ. 71-72.

აფრიკატიზაციის ორივე ამ სახეობას სპონტანურს უწოდებს.⁵⁸

ჩვენი დაკვირვებით, საპირისპიროდ ზემოთ წარმოდგენილი მოსაზრებისა, სპირანტთა აფრიკატიზაცია გვაქვს მაშინ, როცა სპირანტები: ს ან ზ, შ ან ყ — უშუალოდ მოსდევენ ხშულ თანხმოვანს. მას ჩქამიერი ხშულები (მჟღერები, ფშვინვიერები, მკვეთრები) ისევე იწვევენ, როგორც სონორები: მნიშვნელობა არა აქვს, რა რაგვარობისანი არიან ისინი. სპირანტთა აფრიკატიზაცია ხდება ლ, ხ სპირანტებისა და ხმოვანთა უშუალო მეზობლობისას, ხშულთა წინა პოზიციაშიც. ამათ განსხვავებული მიზეზები აქვთ.

საკითხის განხილვას, გარკვეული მოსაზრებით, დავიწყებთ კოლხური ენის მეგრული დიალექტიდან.⁵⁹

ბამოყენებული ლიტერატურა

1. ა ლ ა ვ ი ძ ე მ., მასალები ლექსუმური ლექსიკონისათვის, აღ. ნულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIII, ქუთაისი, 1955.
2. ბ ე რ ი ძ ე გ რ., ქართული ენის ჯავახური კილო, თბ., 1988.
3. გ ა ბ უ უ რ ი ბ., ხევსურული მასალები, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, I-II, თბ.,

58. იხ. ი ქ ვ ე, აგრეთვე, გვ. 83.

59. სპირანტის: შ, ზ, ყ ს აფრიკატიზაციის შესახებ არსებულ მეცნიერულ მოსაზრებებზე დანვრილებით შევჩერდებით ქვემოთ, მათი ანალიზის დროს (იხ. თ. V, VI).

1923-1924.

4. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი შ., სპირანტთა აფრიკატიზაციის საკითხისათვის ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის VI (XII) სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1955.
5. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი გ რ., ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბ., 1966.
6. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი გ რ., ქართლური დიალექტი, I, თბ., 1974.
7. კ ო ბ ა ხ ი ძ ე ა ლ., რაჭული დიალექტის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1987.
8. ლ ე ყ ა ვ ა ლ., შენიშვნები ზემო სურების მეტყველებაზე, იკე, XIV, თბ., 1964.
9. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი ა რ., დიალექტიზმები XV-XVIII სს კახურ ისტორიულ საბუთებში, იკე, IV, თბ., 1953.
10. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი ა რ., საერო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი, იკე, VI, თბ., 1954.
11. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი ა რ. და ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი გ რ., ქართული ენის კახური დიალექტი, გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ, თბ., 1956.
12. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე ი., მიცემითი ბრუნვის ნიშნისა და მესამე პირის სუბიექტური ნიშნის სახეცვლილება გურულში, თსუ შრომები, VI, თბ., 1938.
13. ნ ი ყ ა რ ა ძ ე შ., ზემოაჭარულის თავისებურებანი (გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ), ბათუმი, 1957.
14. ნ ი ყ ა რ ა ძ ე შ., აჭარული დიალექტი (ფონეტიკა, გრამატიკა, ლექსიკა), ბათუმი, 1975.
15. ნ ი ყ ა რ ა ძ ე შ., ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი (გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ), ბათუმი, 1961.
16. ნ ი ყ ა რ ა ძ ე შ., ქართული ენის აჭარული დიალექტი (ლექსიკა), ბათუმი, 1971.
17. ნ ო ლ ა ი დ ე ლ ი ჯ., ნარკვევები და ჩანაწერები, II, დიალექტ

ტოლოგიის საკითხები, ბათუმი, 1972.

18. ყ ღ ე ნ ტ ი ს., ქართული ენის ფონეტიკა, თბ., 1956.
19. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე ი., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, ნ. I, ბათუმი, 1958.
20. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე ი., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, ნ. II, ბათუმი, 1959.
21. ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1975.
22. უ თ უ რ გ ა ი ძ ე თ., ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976.
23. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე ივ., ქართული ენის ისტორიისათვის, XII-XVIII სს, I, თბ., 1964.
24. ქ ა ლ დ ა ნ ი მ., სვანური ენის ლაზამულური კილოკავის ფონეტიკური თავისებურებანი, იკე, VII, თბ., 1955.
25. ქ ო ბ ა ლ ა ვ ა ი., აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები იბერიულ-კავკასიურ ენებში, იკე, IX-X, თბ., 1958.
26. ყ ი ფ შ ი ძ ე ი., ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, №1, ნაკვეთი 1, 1919-1920.
27. ც ი ნ ც ა ძ ე მ., კირნათ-მარადიდის მეტყველების თავისებურებანი, შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის სტუდენტთა შრომები, I, ბათუმი, 1954.
28. ც ო ც ა ნ ი ძ ე გ., ფშაური დიალექტი, თბ., 1978.
29. ძ ი ძ ი გ უ რ ი შ., ქართული ენის მთარაჭული დიალექტის ძირითადი თავისებურებანი, ენიმკი-ს მოამბე, II, (1), ტფ., 1937.
30. ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი ალ., ხევსურულის თავისებურებანი ტექსტებითა და ინდექსით, თბ., 1960.
31. ჯ ა ჯ ა ნ ი ძ ე პ., ვახანურას ხეობის მცხოვრებთა მეტყველების თავისებურებანი: ქუთაისის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, VIII, 1948.

32. ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989.
33. ჯორბენაძე ბ., დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური ცვლილებები ქართულ ტოპონიმიაში (ზოგადი მიმოხილვა), ტოპონიმია, I, თბ., 1976.
34. К л и м о в Г. А. Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, М., 1962.

თ ა ვ ი ი

ს სპირანტის აფრიკატიზაცია ქართვულურ ენებში

§1. ს სპირანტის აფრიკატიზაცია კოლხურ ენაში

კოლხურში ფშვინვიერი ს სპირანტის აფრიკატიზაცია ჩვეულებრივი მოვლენაა მეგრულ დიალექტში, კერძოდ, ამ დიალექტის ზ უ გ დ ი დ უ რ - ს ა მ უ რ ზ ა ყ ა ნ უ ლ კილოკავში. ის აშკარად შესამჩნევია, უპირველეს ყოვლისა, მორფოლოგიურ ინვენტარში: მიცემითი ბრუნვისა და მესამე სუბიექტური პირის ნიშნებში. ამ შემთხვევაში ძალიან ხშირად საერთო ქართველური -ს სუფიქსის ადგილას -ც გამოდის. ეს ჯერ კიდევ ალ. ც ა გ ა რ ე ლ მ ა შენიშნა გასულ საუკუნეში.¹

-ს და -ც მეგრულში თავისუფლად როდი მონაცვლეობენ — ისინი ერთმანეთის მიმართ დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაში არიან. როგორც წესი, -ც მაშინ იჭერს -ს'ს ადგილს, როცა მის წინ ხშული თანხმოვანია. ხშულის გავლენით ს გადადის ც'ში.

წარმოვადგენთ მაგალითებს, უპირველეს ყოვლისა, მ ი ც ე მ ი თ ი ბ რ უ ნ ე ი ს ა ს და ზმნის III ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი პ ი რ ი ს ფ ო რ მ ი ს ა ს, სადაც აუსლაუტში გვაქვს თანხმოვანთა სწორედ ასეთი თანამიმდევრობა.

ა) მ ი ც ე მ ი თ ი ს ფ ო რ მ ე ბ ი :

ცირეფ-ი („ქალიშვილები“) — მიც. ცირეფ-ს > // ცირეფ-ც
ოსურეფ-ი („ქალები“) — ოსურეფ-ს > // ო ს უ რ ე ფ - ც
ჩხოულეფ-ი („ძროხები“) — ჩხოულეფ-ს > // ჩ ხ ო -
უ ლ ე ფ - ც (ყიფ. 16,8)

1. Ал. Ц а г а р е л и, Мингрельские этюды, Второй выпуск, Опыт фонетики мингрельского языка, С-Пб., 1880, გვ. 57 (§30).

- ცხენეფი („ცხენები“) — მიც. ც ხ ე ნ ე ფ - ც ჯ (სამ, ზეპირსიტყვ. 114,5)
- ყურდგელეფი („კურდღლები“) — ყურდგელეფ-ს > // ყ უ რ - დ გ ე ლ ე ფ - ც ჯ (ყიფ. 16,8)
- ნგერეფი („მგლები“) — ნგერეფ-ს > ნ გ ე რ ე ფ - ც
- კოჩეფი („კაცები“) — კოჩემ-ს > // კ ო ჩ ე მ - ც
- ძლაბეფი („გოგობი“) — ძლაბეფ-ს > // ძ ლ ა ბ ე ნ - ც
- ტახილეფი („გატეხილები“) — ტახილეფ-ს > ტ ა ხ ი - ლ ე ფ - ც
- თოლეფი („თვლები“) — თოლეფ-ს > თ ო ლ ე ფ - ც²
- დუდი („თავი“) — დუდი-ს(ჯ) > // დ უ დ - ც (ჯ)
- ზუგდიდი („ზუგდიდი“) — ზუგდიდი-ს(ჯ) // ზ უ გ ი ს ჯ > // ზ უ გ დ ი დ - ც (ჯ) // ზ უ გ ი - ც ჯ : ზ უ გ ი ც ჯ თქვა ქიმერთით ჟნარდიაშა (ყიფ. 2,30) „ზუგდიდიში („ზუგდიდს“) თქვენ მიდით ჟნარდიასთან“.
- დიდი („დიდი“) — დიდი-ს > დ ი დ - ც
- ლორონთი („ღმერთი“) — *ლორონთ-ს > *ლორონ-ს > ლ ო რ ო ნ - ც
- მეტი („მეტი“) — *მეტი-ს > მ ე ტ - ც > მ ე - ც
- ტორონჯი („მტრედი“) — ტორონჯ-ს (> // ტორონ-ს) > ტ ო რ ო ნ ჯ - ც > // ტ ო რ ო ნ - ც
- ქომონჯი („ქმარი“) — *ქომონჯ-ს > ქომონ-ს > // ქ ო მ ო ნ - ც
- ხუჯი („მხარი“) — ხუჯ-სუ > *ხუჯ-ცუ > ხ უ - ც (უ)
- პიჯი („პირი“) — პიჯ-ს // > პიჯ-ც > პ ი - ც
- წყარიპიჯი („წყლისპირი“) — წყარიპიჯ-სჯ > წ ყ ა - რ ი პ ი ც ჯ (ყიფ. 15,10; ჟღ., ჭან.-მეგრ. 164)
- შარაპიჯი („გზისპირი“) — *შარაპიჯ-ს > შარაპი-სჯ // შ ა - რ ა პ ი - ც - ჯ
- კოჩი („კაცი“) — კოჩი-ს(ჯ) > *კოჩ-ცჯ > კ ო - ც (ჯ) (ყიფ. 024).
- ჩილი („ცოლი“) — მიც. ჩილი-ს(ჯ) > ჩ ი ლ - ც (ჯ)

2. საყურადღებოა, რომ მსგავსი ვითარება გვაქვს ზოგ მთის იბერიულ-კავკასიურ ენაშიც, მაგალითად, უდიურში: ბაფსუნ > ბაფცუნ, თე-ან-ბუბლაფსა > თე-ან-ბუბლაფცა „ჩვენ არ ვეძებთ“ (ქობ., აფრიკატ... გვ. 83).

ოსურ-ი („ქალი“, „ცოლი“) — ოსურ-ს(2) > ო ს უ რ - ც (2)
 მინდორ-ი („მინდორი“) — მინდორ-ს > // მ ი ნ დ ო რ - ც
 ყებურ-ი („კერა“) — ყებურ-ს > ყ ე ბ უ რ - ც (უ) (ყიფ. 57,22)
 ვორწყეფ კვრდე ტ ა ხ ი ლ ე ფ ც (სამ., ზეპირსიტყვ. 115)
 „ვხედავ კლდეს, დამტვრეულს („დატეხილებს“)“. ბინა ნოღვე
 თაქ ნ გ ე რ ე ფ ც (იქვე) „ბინა ჰქონიათ აქ მგლებს“. დო
 თ ო ლ ე ფ ც ნკურუნქუნი, ვაგვგეგებუ გიფორცნი (სამ., ქხპს
 120) „... და თვალეხს რომ ნკურავ, ვერ გებულობ, რომ გიყვარს“.
 გოლა ხეთას გოხოლღდი, გოლასერი — ქ ა ლ ა დ ი დ ც ჯ (ყიფ.
 149) „გუშინ ხეთაში გახლდით, გუშინღამე — ქალადიდში
 („ქალადიდს“)“. ქუას ტახენც, ჯალემც რადენც, ულუ ტ ე - ხ
 უ რ ც დიდი ძალი... „ქვას ტეხს, ხეებს რანდავს, აქვს ტეხურს
 დიდი ძალა...“ ო ქ კ ო მ ა ლ ც არძენდუ არძას „საჭმელს
 აძღვედა ყველას“. ჯაში ჯ ი ნ ც ართი კოჩი ქიგიტორე თუდო
 დო ჟი ცასუ ქუჯინე (ხუბ., 14,25) „ხის ძირში (ქვეშ) ერთი კაცი
 დგას და ზევით ცას უყურებს“. უნუ ქ ო მ ო ნ ც ჩილქუ (ყიფ.
 13,4) „უთხრა ქმარს ცოლმა“. გამათხოზუ ტ ო რ ო ნ ს / ც <
 ტორონ-ჯ-ს (ხუბ. 130,12) „გამოევიდა მტრედს“. შ უ ფ უ რ - ც ჯ,
 კუჭუშ გვალა ჯოხოონ, საქმეთ ორე დენაჩინა... „შუფურს, კუჭუშ
 მთა რომ ჰქვია, საქმით არის დანაბარები“. არამ-ხუტუ გუმეელე
 დო გ უ ბ ა ნ ც ქოროშანც... „არამ-ხუტუ ჩამოვიდა და გუბანში
 როხროხებს“. იდეს, იდეს დო შ ა რ ა პ ი ც ჯ ქოძირესუ (ყიფ.
 15,33) „იარეს, იარეს და გზისპირას ნახეს“. ვავორექუ ჩქიმი
 ხ უ ც უ (ქხს 59,6), ვავორექუ ჩქიმ(ი) ხუს (სენაკ.) „არა ვარ (ჩემს)
 ხასიათზე“. ართი ძალამი მახორო კ ო ც ჯ ქიმოდირთესუ კ ა -
 რ ც ჯ (ყიფ. 13,23-24) „ერთ კარგ მოსახლე კაცს მიადგენენ კარს“.
 დიდი მ ი ნ დ ო რ ც ართი დიდი ხუმულა ჯას ობრი ქიგიმახე
 ნი, ქოძირუ ათეე მახინჯი კოჩქუ (ყიფ. 52,2) „ამ ქურდმა კაცმა
 დაინახა, რომ დიდ მინდორში, ერთ დიდ ხმელ ხეზე, ორბი
 ჩამომჯდარა“. მელეჯექუ ქ ა ხ ა ნ ც გეორჩანც (იქვე, 90,2) „მელორე
 ცოტა ხანს შეყოყმანდა“. თიმუ ჟ ა ნ ც ართი ჯიმაქ, უნჩაშიქ,
 დოღურუ (იქვე, 52,22) „იმ დროს ერთი ძმა, უფროსი, მოკვდა“.
 უბედურ დო ბ ე დ ნ ი ე რ ც ართი ნოღვედესუ შარა (სამ., ქხპს
 116,11) „უბედურსა და ბედნიერს ერთი ჰქონიათ შარაგზა“.
 არდა ც ხ ე ნ ე ფ ც ჯ თექ ვალინე (სამ., ქართ. ზეპირსიტყვ. 114,5)

„ყველა ცხენი („ცხენები“) იქ ვერ წავა“.

განაჩირ ვა რენ(ი) თი კოც შხვაშ(ი) გაჭირება ოეფუნია (იქვე, 122,10) „გაჭირვება რომ არ უნახავს, ისეთ კაცს სხვისი გაჭირვება ეადვილებო („ეიაფებო“)“. დუცუ გამოკარკაცანც ფორონჯი ცა მერეკელა: „თავზე დამკისკისებს ფოროჯი ცა მერეკელა“ („კრიალა და გამჭვირვალე“).³

ბ) ზ მ ნ ი ს III ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი
პ ი რ ი ს ფ ო რ მ ე ბ ი:

მეგრულში ზმნათა დიდზე დიდი ნაწილი ხასიათდება -ან-, -ენ-, -უნ-, -უნ-, -ონ-, -ინ- ენ. თემის ნიშნებით. ეს სუფიქსები ზმნას ახლავს | სერიაში. ამიტომაც, ბუნებრივია, III S პირის ნიშანი ც (ჯს) უშუალოდ მოსდევს სონორ ნ'ს. სხვანაირად, -ს იცვლება -ც'დ, როცა ის მოსდევს ხშულ ნ თანხმოვანს:

ცას ა ს ქ ვ ა მ ა ნ ც ბუა დო თუთა (სამ., ქხპს 116) „ცას ამშვენებს მზე და მთვარე“.

მ ე რ კ ი ა ნ - ც - ჯ < მერკიან-ს-ჯ : ანა მეყუნც თე ბალანას დო მ ე რ კ ი ა ნ ც ჯ ზღვაპიჯიშა „ანა მიჰყვება ამ ბავშვსა და მიჰკვივის ზღვისპირისაკენ“.⁴

ო რ ჯ გ ი ნ ა ნ - ც - ჯ < *ორჯგინან-ს-ჯ: ორწყე დიდა, მუჭო ამარი-ამარი ბოში ო რ ჯ გ ი ნ ა ნ ც ჯ ნდემცი (ყიფ. 61,1) „ხედავს დედა, რომ აგერ-აგერ აჯობებს ბიჭი დევს“.

რ ა გ ა ჯ ა ნ - ც < *რაგაჯან-ს (< რაგადან-სჯ):⁵ ცკრა თეს რ ა გ ა ჯ ა ნ - ც (ქხს 171,17) „ქალიშვილი ამას ამბობს“.

რ ა გ ა დ ა ნ - ც < *რაგადან-ს: მინ სარიკოს რ ა გ ა - დ ა ნ ც „ზოგი სასწაულს ლაპარაკობს“.

გ ი გ ო რ ი ნ უ ა ნ - ც < *გიგორინუან-ს: გლახა დლას გ ი -

3. კ. ს ა მ უ შ ი ა, ქართული ხალხური პოეზიის საკითხები, მეგრული ნიმუშები, თბ., 1979, გვ. 117, 1-2.

4. მაგალითები, რომელთა წყაროც მითითებული არაა, ჩვენ მიერ შეკრებილი ტექსტებიდანაა ამოღებული.

5. შდრ. სინდა < სინჯა „სიძე“

გორინუანც (ყიფ. 80,20) „ცუდ დღეს დაგაყენებს“.⁶

ქორნან-ც-ი < *ქორნან-ს-ი: ჯიმალობა ქორნანცია და მართახი ქუმომილია (ყიფ. 14,3) „ძმობა თუ გნამსო, მათრახი მომიტანეო“.

ხან-ც < *ხან-ს: ოსური ბალანაც ხანც „ქალი ბავშვს შობს“. თოლუგნუვენჭაფ(უ) ფართო მინდორც ართი შარა ულუვანცე (სამ., ზეპირსიტყვ. 65). „თვალუნვდენელ ერთ მინდორს ერთი გზა უვლის“.

არძენ-ც < *არძენ-ს: სქურც დიდი თო-ყუც არძენც⁷ ასე ჩქენი მთაურობა... „სქურს დიდ ყურადღებას აქცევს („თვალყურს აძლევს“) ახლა ჩვენი მთავრობა“.

ფიქრენ-ც < *ფიქრენ-ს: ირ კოჩ ფიქრენც „ყველა („ყოველი კაცი“) ფიქრობს“...

ვადაშვენ-ც („არ დაშვენდება“) < *ვადაშვენ-ს: თუნთის სხაპუა ვადაშვენც (ქხმ 36,170) „დათვს ცეკვა არ დაშვენდება“.

პუნ-ც < *პუნ-ს: ბალანეფი პუნც ხუთი „ბავშვები მყავს ხუთი“. ოსური ვაქუნცე „ცოლი არ ჰყავს“.

ჭკუნ-ც < *ჭკუნ-ს: ბრელს ჭკუნც ოჭკომალცე, მარა... „ბევრს ჭამს საჭმელს, მაგრამ...“

ჯუნუნც < *ჯუნუნ-ს: ჯუნუნც ყოროფილიცალო „კოცნის შეყვარებულივით“.

გექუნ-ც-ე⁸ < *გექუნ-ს-ე: უკახალე გექუნცე გევენჯი „უკან მიჰყვება მეთვალყურე („მიმყოლი“) (ყიფ. 91,16).

ძირუნ-ც < *ძირუნ-ს: კოჩიშ თოლი მუს ძირუნც თეჯგურას! „კაცის თვალი რას ნახავს ამისთანას!“

მოხვატუნ-ც-ია < *მოხვატუნ-ს-ია: იშა თხას ქემიბჭანუა დო მოხვატუნცია „იმასთან თხას მოვიხმობ და მოკვენცესო“.

კვათუნ-ც-ე < *კვათუნ-ს-ე: ამდლა ვაჩოდუ, ჯას

6. ეს ორი უკანასკნელი მაგალითი: გიგორინუანც და ქორნანცია, ს. ულენცის მიცემითი ბრუნვის ფორმებში აქვს წარმოდგენილი. (იხ. მისი „ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა“, თბ., 1953, გვ. 156).

7. შდრ. // არზენ-ს.

8. შდრ. გეპუნ-ცე „მომყვება უკან“.

კ ვ ა თ ჯ ნ ც ჯ, ვარა ოშუმალც გეშუნდუ „დღეს არ სცალია, ხეს ჭრის, თორემ დასაღევს დაღევდა“. კოცუ არგუნი უკებუ დო დიშქასუ კ ვ ა თ ჯ ნ ც ჯ (ყიფ. 19,7) „კაცს ცული უკავია და შეშას ჭრის...“

მ ო რ ნ ო ნ - ც - ჯ < *მორნონ-ს-ჯ: მუს რე დუდი მ ო რ ნ ო ნ ც ჯ ... (ქხპმ 44,14) „რაა, რომ თავი მოგნონს...“

გ ო რ ო ნ - ც - ჯ („ეძებს“) < *გორონ-ს-ჯ: ათეჯგუა უჩა სერც ჭყიშ გ ო რ ო ნ ც ჯ ცვერე თხას... „ამისთანა საშინელ („შავ“) ლამეს მწყემსი ეძებს ბრმა თხას“...

ვ ე ბ ო ნ - ც < *ვებონ-ს: ხეს ვ ე ბ ო ნ ც, პიჯის ვ ე ბ ო ნ ც: (ქხს 208,27) „ხელს არ იბანს, პირს არ იბანს“.

გ ი ნ ი ი ნ - ც - ჯ < გინიინ-ს-ჯ: ბოლოს სუმარი გ ი ნ ი ი ნ ც (ქხპმ 93,11) „ბოლოს სტუმარი გეტყვის“.

ჭ ვ ი ნ - ც < *ჭვინ-ს: ზესხურიშე ჭვიმა ჭ ვ ი ნ ც (ქხპმ 112, 188) „სისხლისაგან წვიმა წვიმს...“

იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ისეთი მაგალითიც, სადაც თემის ნიშნისეული -ნ- (-ან-) დაკარგულია:

მ ი თ ხ უ ა - ც < *მითხუ-ან-ც < მითხუან-ს („დამყნოსავს ხოლმე“). ვარდიქ თქუუ: ჩქიმ თინა რე, მით მოურც დო შურს მ ი თ ხ უ ა [ნ] ც (ქხპმ 25,2) „ვარდმა თქვა: ჩემი ისაა, ვინც მოდის და დამყნოსავს ხოლმე“.

ს ✕ ც ჩვეულებრივია სხვა სონორი თანხმოვნების უშუალო მეზობლობის დროსაც:

ი ხ ვ ა რ - ც („იხმარს“, „მოიხმარს“) < *იხვარ-ს: მუშ ნაშრომც მუ ი ხ ვ ა რ ც (ქხპმ 118,20) „თავის ნაშრომს თვითონ („ის“) (მო)იხმარს“.

ქ ო უ მ ბ ა რ - ც („ქე უბერავს“) < *ქოუმბარ-ს: პიჯით თის ქ ო უ მ ბ ა რ ც (ხუბ. 179,5) „პირით მას ქე უბერავს“.

ი ნ გ ა რ - ც - ჯ („ტირის“) < *ინგარ-ს-ჯ: ი ნ გ ა რ ც ჯ ძღაბი (ყიფ. 93,30) „ტირის გოგო“.

გ ი ლ ო უ რ - ც - ჯ („დადის“) < *გილოურ-ს-ჯ: ათე მინდორც გ ი ლ ო უ რ ც ჯ ართი ჭაკი ცხენი (ხუბ. 179,31) „ამ მინდორში დადის ერთი ჭაკი ცხენი“.

ე შ მ უ რ - ც - უ („ამოდის“) < *ეშმურ-ს-უ: შქას ე შ მ უ რ ც უ წკონდა წყარი (ქხს 11,24) „შუაზე ამოდის ანკარა წყალი“.

ლ უ რ - ც (უ) („სძინავს“) < ლ უ რ - ს (უ), გ ი ლ უ რ - ც (უ) („დადის“) < * გ ი ლ უ რ - ს (უ): გ ი ლ უ რ ც უ დ ი შ ე ნ ი ლ უ რ - ც უ „დადის და მანც სძინავს“.

ა ბ უ რ - ც - ჯ („დაეჯახა“) < * ა ბ უ რ - ს - ჯ: ა ბ უ რ ც ჯ დ ე მ ც დ ი გ ა გ ნ ო კ ვ ა თ უ ო თ ხ ი დ უ დ ი (ხუბ. 184,21) „დაეჯახა დევს და გადაკვეთა ოთხი თავი“.

მ უ რ - ც - ი ა („მოდისო“) < * მ უ რ - ს - ი ა: ჩქინ სოფელიშა უბედური კოჩი მ უ რ ც ი ა, — რაგადანს ხალხი „ჩვენს სოფელში ოხერი („უბედური“) კაცი მოდისო, — ამბობს ხალხი“.

უ ყ ო რ - ც („უყვარს“) < * უ ყ ო რ - ს: ს ი ჯ ო გ ე ქ დ ო შ ხ ვ ა უ ყ ო რ ც (ქხს 209,21) „შენ სძულხარ და სხვა უყვარს“.

ვ ა უ ჯ ე რ - ც - ჯ („არ უჯერებს“) < * ვ ა უ ჯ ე რ - ს: ცხენ სადიოს ვ ა უ ჯ ე რ ც ჯ (ქხპმ 64,149) „ცხენი აღვირს არ ემორჩილება („არ უჯერებს“)“.

ი ბ ი რ - ც („მღერის“) < * ი ბ ი რ - ს: მ ი ნ ი ბ ი რ ც ... „ზოგი მღერის“...

უ ჭ ი რ - ც - ჯ („უჭირს“) < * უ ჭ ი რ - ს - ჯ: საქორთუოს ამდღა უ ჭ ი რ ც ჯ მ ა რ ა ... „საქართველოს დღეს უჭირს, მაგრამ...“

ს რ უ ლ - ც - უ („სურს“) < * ს რ უ ლ - ს - უ: მისჯ ს რ უ ლ ც უ, ნეკითხით, ვარა მუთა მიღუ ძალი (ყიფ. 162,29) „ვისაც გსურთ („სურს“), ნაიკითხეთ, თორემ მეტი არ მაქვს ძალა“.

მეგრულში ხშულის მომდევნოდ ს სპირანტის აფრიკატიზაციის (ს > ც) ფაქტები დასტურდება ფუძისეულ მასალაშიც, ამავე დროს, აქაც, ჩვეულებრივ, აუსლაუტსა და ინლაუტში:

ქურს-ი > // ქ უ რ ც - ი „ქუსლი“,⁹ ლედარსალე > // ლ ე - დ ა რ ც ა ლ ე — სახელია სოფლისა, სადაც დარსალიები¹⁰ ცხოვრობენ, რსქინი > // რ ც ქ ი ნ ი¹¹ „ქადილი“, წირსფალი > // წ ი რ ც ფ ა ლ ი „მშობელი“, ჭირისუფალი“, შელორსა > // შ ე -

9. შდრ. ჭან. ქუს, ქურ(რ), სვან. ქერ (არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 65).

10. დარსალია გვარსახელია სამეგრელოში.

11. გ. რ ო გ ა ვ ა ს მიერ ეს ფუძე მიჩნეულია ქართ. და-შინ-ება ფუძის შესატყვისად (ქართ. შ: მეგრ. ს), რასაც გ. კ ლ ი მ ო ვ ი საეჭვოდ თვლის. ის მას მეგრ. შ ქ ი რ - ფუძეს (დო-შქირ-ონდ-უ, ო-შქურ-უ, ა-შქურ-ინ-უ) უკავშირებს. სინამდვილეში გ. რ ო გ ა ვ ა ს ნორია. რსქინ-ფუძეს შქირ ფუძესთან გენეტიურად საერთო არაფერი აქვს.

ლორცა „შელოცვა“, ერსქემი < // ერცქემი¹² „ჯიზვი“, ჩარსხა < // ჩარცხა „ჩამოშორება“.

ქურსის მუსიკირინუა, ცაზახი? (სენაკ.) „ფებს („ქუსლს“) რას იქნევ, ყაზახო?“ ბალანას ქურცი ქემიოგუ (სენაკ.) „ბავშვს ფეხი („ქუსლი“) ჰკრა“. ფარცაგი (// ფარსაგი. უცხ.) მუთუნი ვარე, ოგარუშა ვა მორთუნი (სენაკ.) „ფარსაგი რამე არ სჭირს, რომ გასვენებაზე („სატირალში“) არ ჩამოვიდა“. კიაზო დიდი შანციანი (// შანსიანი) კოჩი რე „კიაზო დიდი შანსიანი კაცი არის“.

ს > ც ნასესხებ სიტყვებშიც ჩვეულებრივია:

პენცია < *პენსია, ფარცაგი - ი („საკვირველი“) < ფარსაგი, შანციანი - ი > შანსიანი - ი, ფრონცქი - ი („კეკლუცი“) < *ფრონსქი - ი (შდრ. ფრანსი > ფრანტი), რეცა „რელსი“, „ლიანდაგი“) < *რერცა < *რელსა (შდრ. რუს. рельса < ინგლ. rails „ლიანდაგი“).¹³

თიშოლე ლედარცალეში სკოლა ქიგედგეს „იმის გვერდით ლედარცალეს სკოლა ააშენეს („დადგეს“)“. მუშენ ორცქინანს თე კოჩი თი ძლაბისინ, ვამიჩქუ. (სენაკ.): „რატომ ექადნება ეს კაცი იმ გოგოს, არ ვიცი“. რცქინი დო ჩხუბი მუ შექსიე, ვაუცორსი-და (სენაკ.) „ქადნება და ჩხუბი რა შუაშია, თუ არ უყვარს“. ებოშიშ ჩარცხაქ ვეჟუ (სენაკ.) „ამ ბიჭის ჩამოშორება არ იქნა“. სქანი ჩარცხა გურს ვამილუ (ქხს 132,31) „შენი დაშორება გულში არ მაქვს“. წირცფალეფი ქორდასუ დო... (ქხს 66,15) „მშობლები იყვენ და...“ ათეს ქეშულორცენქუნი (// ქეშულორსენქუნი), დოსქიდუ „ამას რომ შეულოცავ, მორჩება“. შელორცებულ ი (// შელორსებული) წყარი ქოჩი „შენალოცი წყალი დააღვეინე“. გაყუნი რეცას, კოჩ ვაინინს „მეცას“ (სენაკ.): „გაჰყევი რკინიგზას („რელსს“), კაცი არ გეტყვის „დაიცადეს“. ვნახეთ და, ვფიქრობთ, დავრწმუნდით კიდეც, რომ ს

12. გ. კლიმოვი ერსქემ > ერცქემ პროცესს არ ცნობს: მეგრ. ცქ'ს წარმოშობით ქართ. ჩ'ს უკავშირებს (Этим. слов., გვ. 45), რაც შეცდომაა.

13. უკანაწილ ორ მაგალითზე იხ. გ. კაჭარავა, ნასესხებ სიტყვათა ერთი ჯგუფის ფონეტიკური ცვლილებებისათვის მეგრულში, საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XXX, №3, 1963, გვ. 382.

სპირანტის აფრიკატიზაცია, ანუ მისი გადასვლა ც აფრიკატში მეგრულს ახასიათებს როგორც მ, ნ, რ, ლ სონორების, ისე წმინდა ხშულების მომდევნოდაც, კერძოდ, ფ, დ, თ, ტ, ჯ, ჩ'სთან. წინა თანხმოვნის ხშულობა განსაზღვრავს მის აფრიკატიზაციას და არა სონორობა.

ს თანხმოვნის ამნაირი სახეცვლილება ნაკლებად, მაგრამ მაინც შეინიშნება კოლხური ენის მეორე დიალექტშიც, ჭანურში:

თ ე რ ც ი - შ ე < *თერსი-შე, თურქ. სიტყვიდან: *ters* თერს „მარცხნიდან“¹⁴

მ ც ქ ა // მსქა¹⁵ „ფუტკარი“

ო - მ ც ქ ა ლ - ე < *ო-მსქალ-ე „სკა“, „საფუტკრე“ (შდრ. მეგრ. ო-სქალ-ე „სკა“, „საფუტკრე“)

— მუთე უ მ ც ქ ა მ ? : „რას აქებ?“ (შდრ. მეგრ. ცქეაფა)

— ო მ ც ქ ა ლ ე თ ე ბუმცქამ „სკას ვაქებ“.

— ო მ ც ქ ა ლ ე მუს უწუმენან? „სკას რას ეძახით?“¹⁶

ჭან. მ ე - მ - ც ხ ვ - ე რ - ი (ათინ. „სახსარი“) < *მე-მ-სხვ-ერ-ი, მ ე - ნ - ც ხ - უ რ - ი < *მე-ნ-სხ-ურ-ი „სახსარი“. შდრ.

აგრეთვე ჭან. მე-ხ-ულ-ი < *მე-ნ-სხ-ურ-ი, მეგრ. სა-რ-სხ-ალ-ი, ქართ. სა-ხს-არ-ი < // საკს-არ-ი¹⁷

ო - მ ც ხ - უ („შეერთება“) < *ო-მსხ-უ. შდრ. მეგრ. მე-რ-სხ-

14. სერგი ჟღენტის, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა... გვ. 155.

15. თავკიდურ მს ამ ფუძეში მეორეულად მიიჩნევა გ. კ ლ ი მ ო ვ ი (Этим. словарь... გვ. 164), რაც, ცხადია, სწორია. შდრ. მეგრ. სქა/სკა „ფუტკარი“, ქართ. ს კ ა „საფუტკრე“. გ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი კიდეც ამ ფუძესთან დაკავშირებით წერდა: „გადასვლა სქ/ცქ/ ჭანურში [მ]-ს მომდევნო პოზიციაში, როგორც ჩანს, დიალექტური მოვლენაა: მს ქ ა > მ ც ქ ა [„სკა“], ო მ ს ქ უ > ო მ ც ქ უ „თავის მონონება“ (იხ. Н. М а р р, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем, С-Пб, 1910, გვ. 186-187). შდრ. სხ/>/ჩხ/ და მხ/>/ჩხ/ ჭანურის ყველა კილოკავშიო“. (იხ. მისი „საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა“, თბ., 1965, გვ. 89⁴).

16. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1938, გვ. 82,7-8.

17. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი... გვ. 59-60. ს. ჟ ლ ე ნ ტ ი, ჭანურ-მეგრული ფონეტიკა... 1953, გვ. 156. Г. А. К л и м о в, Этимологический словарь, М., 1964, გვ. 171-172, 267. გ. მ ა ჭ ა ვ ა - რ ი ა ნ ი, საერთო ქართველური კონსონანტური. გვ. 98. უკავშირებს მეგრ. „ქუდარსხუ“ ფუძეს.

უ-აფ-ა „შეერთება“,¹⁸ „მირთვა“, „შეკავშირება“
მ ც კ ა ლ ა (> მწკალა) < *მსკალა „კიბე“¹⁹

§2. ს სპირანტის აფრიკატიზაცია სვანურში

ს'ს აფრიკატიზაცია (ს > ც) ბუნებრივი ჩანს სვანურ ენაშიც. ამაზე ყურადღებას ამახვილებდა ს. ყ ლ ე ნ ტ ი ადრე, სვანური ენის ფონეტიკის კვლევისას. ის აფრიკატიზაციად მიიჩნევდა ს > ც შემთხვევებს მაგალითებში:

ლ უ რ ც მ ა ნ ა რ (ბზ. 64,13) < *ლურსმანარ, ქართ. „ლურსმნები“

კ ა ნ ც ე რ (ლზმ) < *კანსერ, ქართ. „კონსერვი“ (უცხ.) და სხვ.²⁰

შემდეგ სწორედ აფრიკატიზაციად თვლიდა მსგავს მოვლენებს მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, როცა ის იხილავდა ფონეტიკის საკითხებს სვანური ენის ლახამულურ კილოკავში. მისი მაგალითებია:

რ ე ლ ც (ლზმ) < რელს (ბზ. ჩზხ) „релс“ (რუს.)

ს ა კ ც ა რ (ჩზხ) < საკსარ (ლზმ) „ბერკეტი“

ქ ი რ ც (ლშხ) < ქირს (ლზმ) „ოსპი“

ფ ა რ ც ა გ (ლშხ) < ფარსაგ (ლზმ) „კარგი“...

ავტორი თან იმასაც აღნიშნავს, რომ ლახამულური მეტყველება მთელ სვანურში ყველაზე მეტად გაურბის ს'ს აფრიკატიზაციას.²¹ თვით აფრიკატიზაციის გამომწვევი მიზეზის ახსნას არც ერთი მკვლევარი ცდილა და არც — მეორე.

განსახილველ საკითხს ეხებოდა ამ ენის მკვლევარი თ. შ ა - რ ა ძ ე ნ ი ძ ე ც. ის წერს: „საკმაოდ ხშირია ს-სა და ც-ს

18. გ. კ ლ ი მ ო ვ ი ს დასახ. შრომა, გვ. 267.

ქანური მე-მ-ცხვერი-ისა და მცქა („ფუტკარი“) ტიპის მაგალითები განსაკუთრებით საყურადღებოა: ამ და მსგავს კომპლექსიან სხვა სიტყვათა ს'ს აფრიკატიზაციაში გარკვეული როლი მომდევნო ს სპირანტსაც და ქხშულსაც უნდა ეთამაშა. ამ რიგის საკითხების შესახებ დანვრ. იხ. ქვემოთ, თ. IV-ში.

19. შდრ. გურული პწკალე „კიბე“.

20. ს. ყ ლ ე ნ ტ ი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, ექსპერიმენტული გამოკვლევა, თბ., 1949, გვ. 180.

21. მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, სვანური ენის ლახამულური კილოკავის ფონეტიკური თავისებურებანი, იკე, VII, თბ., 1955, გვ. 158-159.

მონაცვლეობა. ჩვეულებრივ, ეს ხდება წს კომპლექსებშიო“ (ხაზი ჩვენია. ა.ლ.). ავტორის მიერ წარმოდგენილი მაგალითები ასეთია:

ყს > ყც: ხ ა ტ (ყ) ც ი < *ხატ(ყ)სი < ხატსი: ხატსი [ხ ა ტ (ყ) ც ი] ცხვის (სვ.) „სცემს ისარს“.²²

წს > წც: ხ ე ნ ც ი ხ (ტვ.) < *ხენსიხ: გეზალ დემ ხ ე ნ - ც ი ხ „შვილი არ ებადებათ“.

ხ ა ნ ც ე (ტვ) < *ხანსე: ალ დინად მიჩო მუ ხ ა ნ ც ე „ამ გოგომ მამამისი დაჰატიჟა.“²³

როგორც ვხედავთ, ყველა ამ მაგალითში ს ც'თი იცვლება არა მხოლოდ წს კომპლექსში, არამედ საერთოდ ხშული თანხმოვნების (ტ, ყ, წ, კ... რ, ნ, ლ...) მ ო მ დ ე ვ ნ ო დ, მათთან უშუალო კონტაქტის დროს. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ აქ ს, ც თანხმოვანთა უბრალო მონაცვლეობა კი არა გვაქვს, არამედ ს'ს კანონზომიერი აფრიკატიზაცია წინა ხ შ უ ლ ი თ ა ნ ხ მ ო ვ - ნ ი ს გ ა ვ ლ ე ნ ი თ, მ ა გ რ ა მ ა რ ა მ ა ს თ ა ნ შ ე რ - ნ ყ მ ი თ.

§3. ს სპირანტის აფრიკატიზაცია ქართულში

ხშულის მომდევნო პოზიციაში ს'ს აფრიკატიზაციის ფაქტები იშვიათია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, მაგრამ შედარებით ხშირია მის დიალექტებში, განსაკუთრებით კი გურულში (ქვემო გურულში). აქ ისე, როგორც მეგრულში, აფრიკატიზაციას განიცდის როგორც მიცემითი ბრუნვის სუფიქსისეული -ს, ისე III სუბიექტური პირის სუფიქსისეული -ს:

ა) მიცემითი ბრუნვა:

მჭად-ი — მჭად-ს > მჭ ა დ - ც, დათვ-ი — დათვ-ს > *დათ-ს > და თ - ც, კუნძ-ი — კუნძ-ს > კ უ ნ ძ - ც // კ უ ნ - ც, კვიც-ი — კვიც-ს > კ ვ ი ც - ც (// კ ვ ი - ც), ლურჯ-ი —

22. შდრ. ლშხ. ხ ა ტ ც ი ხ (ლშხ) < // ხატსიხ „ურტყამენ“.

23. თ. შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე, სვანური ენის ცხუმარული კილოკავის ძირითადი თავისებურებანი, იკე, IX-X, თბ., 1958, გვ. 238.

ლურჯ-ს > ლ უ რ ჯ - ც, ბიჭ-ი — ბიჭ-ს > ბ ი ჭ - ც (> ბიჩ)...
 უწყვეტ-ი — უწყვეტ-ს > უ წ ყ ვ ე ტ - ც > უწყვე-ც ... სადი-
 ლ-ი — სადილ-ს > ს ა დ ი ლ - ც, ყურდგელ-ი — ყურდ-
 გელ-ს > ყ უ რ დ გ ე ლ - ც, წყალ-ი — წყალ-ს > წ ყ ა ლ
 - ც ...²⁴ ბეჭეტ-ს > *ბეჭეთ-ს > ბ ე ჭ ე - ც, ბატ-ს > *ბათ-ს >
 ბ ა - ც, ორშაფათ-ს > ო რ შ ა ფ ა - ც, პარახოდ-ს > *პარახოთ-
 ს > პ ა რ ა ხ ო - ც (გურ., აჭარ.).

ბ) III სუბიექტური პირის ფორმებში დასტურდება:

წველ-ს > წ ვ ე ლ - ც, ძულ-ს > ძ უ ლ - ც, ხვრეტ-ს >
 ხ ვ რ ე ტ - ც, წყვეტ-ს > წ ყ ვ ე ტ - ც, წმენდ-ს > წ მ ე ნ დ - ც,
 ყიდ-ს > ყ ი - ც, უყიდ-ს > უ ყ ი - ც, კვეთ-ს > კ ვ ე - ც,²⁵ მხატ-ს >
 მ ხ ა - ც.

დღეს მაგის წასლამდი ს ა დ ი ლ ც ნუ გამევიტანთო (ქდ
 418,7). ხოდა, მივეპარე ამ ყ უ რ დ გ ე ლ ც და ვესროლე
 თოფიო (ქდ 418,9). ღორის ხორცის გარიგებაში იმდენი დიეკლო
 ამ თ ო ლ ც, რომე გუმური ნაქცეულიყო (ქდ 418,2). ღორთაფონი
 იმიზა ქვია იმ ა რ დ გ ი ლ ც, რომე ნამეტარი ბრევილი
 ღორები იცოდა თურმე (ქდ 418,16). ხუცესმა უთხრა ქ ა ლ ც
 (ქდ 419,13). ძრუგით ხომ ვერ წეილეფ ამ ქ ფ ი ლ ც (ქდ
 421,8). ჩვენ მ ე ზ ო ბ ე ლ ც მაქსიმეს რომ კამბეჩი მუუკტა
 (ქდ 421,24). შემოგეთვალენო და მ ო ს ა ტ ყ უ ე ბ ე ლ ც
 ნამევილებდიო (ქდ 420,1). მ ა რ თ ა ლ ც არ ეტყოდა არიკაცს
 (ქდ 419). იყო ერთი გოგიე მეპურე, რ ო მ ე ლ ც ა ც, გარდა
 მისი ხელობისა, აფერი გააჩთა (ქდ 420,19). მე წ ყ ა ლ ც
 ამევიყვან აქანეო (ქდ 435,10)...

ამას გარდა, ს > ც ფონეტიკური პროცესი დასტურდება ამ
 დიალექტის სიტყვათა ფუძეებშიც:

შ ა ნ ც - ი < *შანს-ი, შ ა ნ ც ი ა ნ - ი < *შანსიან-ი, კ ე ნ -

24. ი. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე, მიცემითი ბრუნვის ნიშნისა და მესამე პირის
 სუბიექტური ნიშნის სახეცვლილება გურულში, თბილისის სახ. უნივერსიტეტის
 შრომები, VI, თბ., 1938. .

25. ი ქ ვ ე.

ც ი ა < *პენსია, პნკალე („იბე“) < *მ ც კ ა ლ ე < *მსკალე,²⁶
 ე ლ ც ა ბ ე დ - ი < *ელსაბედ-ი < *ელისაბედ-ი, ხ ე ლ ც ა ხ ო -
 ც - ი < *ხელსახოც-ი, მ ა მ პ ა რ ც ე < *მამპარსე, შ ა მ -
 პ ა ნ ც კ - ი > *შამპანსკი (რუს. шампанский, ტოპ. 238-242, 260),
 რ ო ც ა - ც < *როთსა-ც < *როდსა-ც < *როდესა-ც, პრეტანტ-
 ი // პრეტანტელ-ი (// პრენსანტელ-ი < *პრეთსანტელ-ი <
 *პრედსანტელ-ი < *პრედსედატელ-ი (რუს.), ა ლ ც ი ა ნ დ -
 რ ე < *ალსანდრე < *ალექსანდრე.

ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ი ს მიხედვით, გურულში „ს, შ, ზ
 სპირანტების აფრიკატიზაცია ხდება ლ და რ სონანტების
 მეზობლად: ალექსანდრე > *ალსანდრე (ექ კომპლექსის
 ჩავარდნით) > ა ლ ც ა ნ დ რ ე, ხელს > ხ ე ლ ც... ზოგჯერ
 აფრიკატიზაცია შესაძლოა მოხდეს სხვა შემთხვევებშიც: ნ
 სონანტთა და გ ხშულის თანაპოვნეობისას (პენსია > პ ე ნ -
 ც ი ა, შანსი > შანცი...)“.²⁷

მსგავსი მასალა მოიპოვება აჭარულ დიალექტშიც:

ბღაველ-ს > ბ ლ ა ვ ე ლ - ც (ნიჟ., ზ. აჭ. 31-32), პარახოდ-ს >
 *პარახოთ-ს > პ ა რ ა ხ ო - ც, სამშაფათ-ს > ს ა მ შ ა ფ ა - ც,
 ხუჩაფათ-ს > ხ უ ჩ ა ფ ა - ც, ოთხშაფათ-ს > ო თ ხ შ ა ფ ა - ც,
 სიმინდ-ს > *სიმინთ-ს (ასიმილაციით) > ს ი მ ი ნ - ც,
 წელინად-ს > *წელინათ-ს (ასიმილაციით) > წ ე ლ ი ნ ა - ც
 > წ ე ლ ნ ა ც... გ ა მ პ ა რ ც ე (ნოლ., ნარკვ., II, 216) < გამპარსე,
 პ ე ნ ც ი ა (იქვე) < პენსია... ე რ თ ც ხ ვ ა (ცინც., კირ. მარ. 7)
 < *ერთსხვა, მნკალა („იბე“) < *მ ც კ ა ლ ა < *მსკალა, პ ა რ -
 ც კ ო ლ ა შ ი < პართსკოლაში (ასიმ.) < *პარტსკოლაში
 (ზემო აჭარ.), ფ ე რ ც ხ ა ლ - ი („გვერდი“, „ნეკნი“) < *ფერსხალი
 (ალბათ, < ფერდ-სხეულ-ი‘საგან), ე რ ც ა ლ ა მ ო ზ ე <

26. ს>ნ'ზე მიუთითებდა ნ. მ ა რ ი ც: სარმატ > წარმათ (Грам. древн. груз. языка... გვ. 021), თუმცა ხან ფიქრობდა პირიქითაც: წარმათ > სარმატ. ფაქტს
 ბგერათმონაცვლეობად მიიჩნევდა: ს>ც>ნ. ი. ქ ო ბ ა ლ ა ვ ა კი აღნიშნავს: ასეთ
 შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ ნ მიღებულია ც' საგან ს'ს მკვეთრთან
 ასიმილაციით; მაგ.: სკ>*ცკ>ნკ: ტარსკი (სოფელია ჩრდ. კავკასიაში) > *დარცკი >
 დარწკი (მოხ.). დებულების ავტორის აზრით, „ცკ კომპლექსი საერთოდ
 შეუძლებელია არსებობდეს. გვაქვს ან ცქ ან წ (ი. ქ ო ბ ა ლ ა ვ ა,
 აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები... გვ. 71, 71³), რაც
 სწორია.

27. ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია... თბ., 1989, გვ. 520.

*ერთსაღამოზე, ერცახე <ერსახე < *ერთსახე (ქობ.)... ერცახე'ს პარალელურად იხმარება ერიცახე („ერი ცახე ბალანა“. ნ. ილ. ჭყონია, 228), ან კიდევ ერთი ცახე („ერთიცახე მეიცადე“. იქვე).

აქ საქმე უნდა გვეკონდეს ერც ფორმის საზღვრულ სახე-სიტყვის სახელობითის ფორმასთან ხელახალ შეთანხმებასთან სახ. ბრუნვაში (იხ. ქვემოთ რაჭულის მაგალითის ახსნა, აგრეთვე, ერ-ი სახე, ერთ-ი სახე).

მ ა ს ა ლ ა ტ ე ქ ს ტ ე ბ ი დ ა ნ :

ხნა-თესვა სამსე თვარეზე — ს ა მ შ ა ფ ა ც ა ნ ხუჩაფაც იციან (ნიჟ., ზ. აჭ. 152,7). ო თ ხ შ ა ფ ა ც გზაზე არ წევლიან (იქვე). ს ი მ ი ნ ც ძირეულის დროს ვამეჩხრეფთ (იქვე, 153,21). კაჲ კვენდლით შეღობვილი ღობე 50 წ ე ლ წ ა ც ძლევს (იქვე, 174,25). ერცალამოზე თიდან ჩამუა ამ ქალის უმფოსი მაზლი ჩუმათალაჲ (იქვე, 171,19). მაშინ მე პ ა რ ც კ ო ლ ა შ ი ვსტავლობდი (იქვე, 182,35). ის სულ ისე კვენესის, ფ ერ ც ხ ლ ე ბ ი მტკივაო (ქდ 394,9).

ს > ც : ი გელი შეჭმული რომ დეინყეფს ბ ლ ა ვ ი ლ ც... ძროხები დეინყებენ ბ ლ ა ვ ი ლ ც, ხბიებს ეკვინტირებიან.

შ. ნიჟარაძეს სპონტანურ აფრიკატიზაციად მიაჩნია კომპლექსის გარეშე აფრიკატიზაციის სახეობა; ასეა ცნობილიო და წერს (იხ. გვ. 85): „სპირანტთა — ს, შ, ზ-ს აფრიკატიზაცია უპირატესად დასტურდება რ ვიბრანტისა და ლ ლატერალის უშუალო მეზობლობაში“.²⁸

ასეთად მითითებულია:

ს > ც : გაპარცვა, გაპარცული, პენცია, ციცჲელი „მეხი“, ბლავილც („ზროხები დეინყებენ ბ ლ ა ვ ი ლ ც, ხბიებს ეკვინტირებიან“, გაზ. საქ., 1916, № 248), თ უ რ მ ე ც.²⁹

ს > ც ფაქტია იმერულში:

პ ა რ ც ვ - ა < პარსვ-ა: წვერი მ ო პ ა რ ც უ ლ ი აქსულ მიდღენჩი ტენტერას (გაჩ., ხზ 131¹). მ ო პ ა რ ც უ ლ ი (გაჩ.,

28. შ. ნიჟარაძე, აჭარული დიალექტი, თბ., 1975, გვ. 87.

29. იქვე, გვ. 86.

ხზ 131). შ ა მ პ ა რ ც ე, დედა, ქოჩორი! (ლევ. ზ. იმერ. 178²). რო გაქაფა საპონი, ჩ ა მ ო პ ა რ ც ა ცალი გვერდი (ქდ 444,10). რო გაათავა პირი პ ა რ ც ვ ა, გასალესად მივიდა წყალთანა (ქდ 444,11).

პ ე ნ ც ი ა (ქძვკ 78) < *პენსია: პ ე ნ ც ი ა მექნებოდა ახლა (ლევ. ზ. იმერ. 178).

ე რ თ ც ა ხ ე (ჯაჯ., მას. 251) < *ერთსახე

ქ ე რ ც უ ვ ა ნ ა (ტოპ. 239, 231) < *ქერსუკანა (ქვ. იმერ., წყალტუბო)

ფ ა რ ც ა გ ი < *ფარსაგი (უცხ.)

შ ა ნ ც - ი < *შანს-ი; შ ა ნ ც ი ა ნ ი < *შანსიანი

ც კ ი < სკი (რუს. სუფიქსი); კ ე რ ე ნ ც კ - ი < *კერენსკი: „კერენსკი ბურჯუების მომხრე იყო“. ტ ა რ ო ს ე ლ ც კ - ი < *სტაროსელსკი...³⁰

პ რ ე ც ა ნ ტ ე ლ ი (< // პრენანტელი) < *პრეთსედატელი < *პრედსედატელ-ი (რუს. „თავმჯდომარე“)

მეორე დღეს... პრედსედატელი მოვიდა...

— ეხლა ვილას ელით, კამერალიაში ხომ შეგიყვანეთ გუშინ?

— ეხლა პრეცანტი ნახეთო, იმათთან მიგვასწავლეს, — უთხრა ბერომ, — და არ ვიცით, სად უნდა ვნახოთ.

— პრედსედატელი კიდეც მოვიდა და კიდეც გაისტუმრა მაჩივრები. სად იყავით აქამდის?

— აი, დილა რიჟრაჟისა აქეთია, სულ აქა ვდგევართ და ჩვენ არც პრეცანტელი გვინახავს და არცა...

— რა ვიცოდით, შვილოსა, თუ ეგ იქნებოდა პრენანტელი. აბა, რა უნდა შეატყო, რომ ეგ არი პრენანტელი: სხვებსაც სერთუკი აცვია და მაგასაც.³¹

ს თანხმომვნის აღნიშნული ფონეტიკური ცვლილება სხვა დიალექტებშიც შეინიშნება:

30. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954, გვ. 156. ს > ც ფაქტი ამ შრომაში მიჩნეულია სუბსტიტუციად (გვ. 155).

31. ანტ. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე, ქიტესა, „ჩვენი საუნჯე“, ტ. 10, თბ., 1960, გვ. 145-146.

ლექსუმური:

ე რ თ ც ა ხ ე < *ერთსახა, „მცირე, ერთი ბენო“³²

რაჭული:

მთარაჭულში რს კომპლექსის ს გადადის ც'ში.

პ ა რ ც ა ვ ს < *პარსავს: თამარიკიანთ ბალანა ყმანვილებს
პ ა რ ც ა ვ ს თავსაო...³³

გ ა პ ა რ ც ა ვ - ს < *გაპარსავს-: 1. გაკრეჭს: ცხვარი გ ა -
პ ა რ ც ა . 2. თმას, წვერს გაპარსავს, მოპარსავს.

თავი გ ა მ პ ა რ ც ე! თავი გ ა დ ა მ პ ა რ ც ა . ვერ მოიპარცამ
პირს, ტყვიაცივით რო დადიხარ? შემოდგომის ნ ა პ ა რ -
ც ი მატყლი. ცხვრის პ ა რ ც ვ ა ს თავისი ცოდნა უნა.³⁴

ე რ ც ა ხ ე (// ერთი ცახე) < *ერთსახე (< *ერთი სახე)
„ოდნავ, სულ ცოტა, ერთი ცახე“: მაცალე ე რ ც ა ხ ე.³⁵

პარალელურად ხმარებული ე რ თ ი ც ა ხ ე მიღებულია
ერცახე'საგან მეორეული შეთანხმების ნიადაგზე.

ქართლური:

პ ე ნ ც ი ა < *პენსია, პ ე ნ ც ი ო ნ ე რ - ი < *პენსიონერი,
შ ა ნ ც ი ა ნ - ი < *შანსიანი, ა ვ ა ნ ც - ი < *ავანსი³⁶

ხ ე ლ ც ა ხ ო ც ი < *ხელსახოცი, პ ი რ ც ა ხ ო ც - ი <
*პირსახოცი, ც ხ ვ ი რ ც ა ხ ო ც - ი < *ცხვირსახოცი, გ ა ო -
პ ა რ ც ე ბ ა < *გაიპარსება: ცალი უღვაში და ცალი წვერი
ჩ ა მ ო ღ პ ა რ ც ა იმ ლედელსა (ქართლ. დ., II, 47,4).³⁷

32. მ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ტოპონიმიკურ სახელთა წარმოება ლექსუმური მასალების მიხედვით, ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგური ინსტიტუტის შრომები, VII, 1949, გვ. 239. იხ. აგრეთვე, მისივე, ლექსუმური ლექსიკონი, ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები, I, თბ., 1941.

33. შ. შ ი ძ ი გ უ რ ი, ქართული ენის მთარაჭული დიალექტის ძირითადი თავისებურებანი, ენიკის მოამბე, II, ტფ., 1937, გვ. 99.

34. ალ. კ ო ბ ა ხ ი ძ ე, რაჭული დიალექტის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1987, გვ. 32, 27, 74, 81, 86.

35. ი ქ ე ე, გვ. 48.

36. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური, „არილი“, ტფ., 1925, გვ. 137.

37. გრ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, ბორჯომის ხეობის ქართლურის თავისებურებანი, იკე, VIII, თბ., 1956, გვ. 86; ქართლური დიალექტი, I, თბ., 1974, გვ. 154. ავტორს აქ მაგალითები: გ ა ი პ ა რ ც ე ბ ა, პ ე ნ ც ი ა და ა ვ ა ნ ც ი მიაჩნია „სკონტანური აფრიკატიზაციის შემთხვევებად“, რაც უმართებულოდ მიგვაჩნია (იხ. ქვემოთ).

ა რ ც ა დ ა < *არსადა: ა რ ც ა დ ა ჩანს (გურამ. 127).

ა რ ც ა ი თ < *არსაით: გზა ა რ ც ა ი თ წარემართა (იქვე, გვ. 121).

ნ უ რ ც ა დ < *ნურსად: თქვენ ნ უ რ ც ა დ წაეჩრებით (იქვე).

ვ ე რ ც ა დ < *ვერსად: მას ვ ე რ ც ა დ დავემალები, გავეძევი, ვერცად წაუვალ (იქვე, გვ. 187).³⁸

ჯავახური:

პ ე ნ ც ი ა < პენსია, პ ე ნ ც ი ო ნ ე რ ი < პენსიონერი, ა ვ ა ნ ც ი < ავანსი, ხ ე მ ც უ რ ე ბ ი < ხემსურები (ხევსურები)

გ ა ი ბ ა რ ც ა < გაიბარსა (< გაიბასრა) „მოკვდა“, „დაიწყევლა“: შე გ ა ს ა ბ ა რ ც ო, შენა, რათ გატეხე? ამ გ ა ს ა ბ ა რ ც ვერ უყურამ“, „სადაც გ ა რ ბ ა ც უ ლ ა, არ მოვიდა. ბიჭო, ხუარ გ ა ი ბ ა რ ც ე, მოდი!

დ ი ლ ც ქ ა (> // დ ი ლ ი ც ქ ა „დილის კარი“) < დილსქა < (ასმ.) დილსკა < დილისკა < დილის კარი.

„რამდენიმე შემთხვევაა, როცა ცალკეული ს ა ნ ი გადადის ც-ში. მაგალითად, ი მ ა თ ც ა (< იმათსა), ა მ ა თ ც ა < ამათსა“... სადაც „კომბინატორული აფრიკატიზაციით მოსალოდნელი იყო ი მ ა ც ა, ა მ ა ც ა“.³⁹

ასეთი ტიპის მაგალითი დასტურდება ფერეიდნულშიც. აქ შენიშნულია სიტყვა-ფორმა ე რ თ ც ხ ო < ერთსხუა.⁴⁰ ეს, ჩვენი თვალსაზრისით, ფრიად მნიშვნელოვანია: გარკვევით მეტყველებს იმაზე, რომ ს'ს აფრიკატიზაცია ხდება არა მარტო თ'სთან შერწყმით (თს > ც), არამედ მასთან, როგორც ხშულთან, მეზობლობის დროსაც, ისე როგორც სხვა ხშულებთან (ფ, დ, ტ, ძ, ც, წ... მ, ნ, რ, ლ და ა.შ. უფრო დაწვრილებით იხ. ქვემოთ).

კახური:

არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი და გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი წერენ: „კახურში ადგილი აქვს სპირანტივ სპონტანური აფრიკატიზაციის

38. ს. ულენტი, ქართული ენის ფონეტიკა, თბ., 1956, გვ. 236.

39. გრ. ბერიძე, ქართული ენის ჯავახური კილო, თბ., 1988, გვ. 63.

40. იქვე, გვ. 64.

მოვლენებს (ხაზი ჩვენია. ა. ლ.). ამ ნიადაგზე ... სწარმოგვიდგება ც-ს სახით: მ ე ე პ ა რ ც ა < *მეეპარსა, ხ ე ლ ც ა ხ ო ც ი < *ხელსახოცი, ც ხ ვ ი რ ც ა ხ ო ც ი < *ცხვირსახოცი (ორივეგან შეიძლება ასიმილაცია იყოს), პ ე ნ ც ი ა, პ ე ნ ც ი ო ნ ე რ ი ..., ⁴¹ ვ ე რ ც ა დ, ა რ ც ა დ ⁴² < ვერსად, არსად, ა ვ ა ნ ც ი < *ავანსი.

წავიდა რიყეშია, ხ ე ლ ც ა ხ ო ც ი აავსო ქვიშითა (კახ. დ. 74, 36).

მთიულურ-გუდამაყრულშიც სსპირანტი აფრიკატიზაციას განიცდის: ა რ ც ა დ < არსად // არცა. ⁴³ კერძოდ, გუდამაყრულში ფაქტია: ა რ ც ა ი თ < *არსაით, ვ ე რ ც ა დ < *ვერსად, ვ ე ლ ა რ ც ა დ < *ველარსად:

ა რ ც ა დ არ გამიგონია (ქდ 87,22). ა რ ც ა დ მამქდარა (ქდ 87,22). ჩვენ თუ გზა ა რ ც ა ი თ ვნახეთ, ჩვენ ეს დაგვლევს (ქდ 96,34). — მენაო, დედიო, ველი ვ ე რ ც ა დ ვერ მოვფელეო და ვერც სოფელიო (ქდ 96,23). ვ ე ლ ა რ ც ა დ დამემალებიო! (ქდ 101,3).

ა რ ც ა ი თ (ქდ 570) < *არსაით „არსით“

მოხეური:

დარწკი < *ტ ა რ ც კ ი < *ტარსკი: დ ა რ წ კ ზ ე გავრეკე ჯალაბანი... (ტ ა რ ს კ ი სოფელია ჩრდ. კავკასიაში). ⁴⁴

გ უ ე რ ც < *გვერდს (ქდ 561)

ე რ თ უ ც ი („ერთმანეთი“, ქდ 561) < *ერთურთს-ი: დაუჭირა ქელი და წაართო და ე რ თ უ ც ი ს ცოლ-ქმარი გამოვიდეს (ქდ 43,32).

ფშაური:

ა რ ც ა დ (ა) < *არ სად(ა), ⁴⁵ ა ლ ა რ ც ა დ < *ალარსად,

41. არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ, თბ., 1956, გვ. 47.

42. შ. ძიძიგური, დავით გურამიშვილის ენა, თბ., 1980, გვ. 17.

43. ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია... გვ. 277.

44. იხ. ი. ქობალაძე, აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები იბერიულ-კავკასიურ ენებში, ივე, IX-X, თბ., 1958, გვ. 71.

45. შდრ. არასადა „არასოდეს“: ჩუენ ნათესაენი აბრაჰამისანი ვართ და ა რ ა ს ა დ ა ვის ვჰმონებდიო! (რაზიკ. 22-23, 8-33). იხ. გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, თბ., 1978.

ველარცად < *ველარსად (ქდ 591): მე ბაგაში ჩავიკუნჭე და, ვფიქრობ, რო ველარცად მაძკელვენ (ქდ 137,14). იმათ ნათიბი არცადა ჩან (რაზიკ. 88,24). წითელ ცხენ აღარცად არი (რაზიკ. 179,256).

ვერცაით (ქდ 591) < *ვერსაით „ვერსაიდან“...

გ. ცოცანიძის დაკვირვებით, ს სპირანტის აფრიკატიზაცია ფშაურში გვაქვს რ'ს მომდევნო პოზიციაში:

არცა < [არსა] < არსად: ი ბაღლ სად არი, რო არცა გამოჩნდა (მივლ. თხ.).

ვერცადა < *ვერსადა: ნეტარ ვერცადა ჰხედავა ლიხში ნადგომსა ცხვარსაო (რაზიკ. 167).

არცად < *არსად: რძალ არცად ნამავალია (რაზიკ. 181).

ვერცაით < *ვერსაით: კაცი ვერცაით მაჰრჩება თავის ბედსა და წერასა (რაზიკ. 123).

წურცა < *წურსა: წურცა წამიხვალ, აქ ამიარე (ვაჟა, 111,8).

აღარცა < *აღარსა < *აღარსად: ნამუსი აღარცა არი და დანდობაო (ვაჟა, 111,49)...

აღარცაით < *აღარსაით: ნავედ შინ, ის აღარცაით გამაიქცას, არ მამენიოსო.⁴⁶

ხევსურული:

არცა < // არცად < *არსად „არასოდეს“: აღარცად < *აღარსად (გაბ. 255,43); აღარცაით (აღარსაით < აღარსადით (გაბ. 217,33); ვერცად < ვერსად; ველარცად < ველარსად: შენ იმას არ ხარ შამსწვრალი, სახლში ფურ არცა გზვებია (ხევს. პოეზ. 675,15).⁴⁷ მე სხვაგან არცად დავწვები (ქდ 24,19). უფირჩხილოდ ეშმა ვერცად წავას (იქვე, 21,16).

ა. ჭინჭარაულს > ც ფონეტიკური პროცესი მიაჩნია არა აფრიკატიზაციად, არამედ რს და რც კომპლექსთა მონაცვლეობად ისევე, როგორც სძ > ზ და თს > ც, რაც, რა თქმა უნდა, არაა გასაზიარებელი (რ'სთან კონტაქტში ს'ს ც'ში გადასვლაზე

46. გიორგი ცოცანიძე, ფშაური დიალექტი... გვ. 39,141.

47. ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 22-23.

იმ მიზეზით, რომ რ ხშული თანხმოვანია, თუმცა სონორი. იხ. ქვემოთ). რაც შეეხება თს > ც მოვლენას, როგორც ზემოთ ვნახეთ, ის ჩვეულებრივი შერწყმის შედეგია, თუმცა ზოგჯერ ს ასეთ შემთხვევაშიც ც'ში გადადის წინა ხშული თ თანხმოვნის შენარჩუნებით, მაგრამ მისი გავლენით ისევე, როგორც დ, ტ, ძ, ც, ნ, ჯ, ჩ, გ, ქ...სთან მეზობლობისას: შდრ. გურ. დათ-ც (< დათ-ს < დათვ-ს), აჭარ. ერთცხვა, იმერ. ერთცახე, ლეჩხ. ერთცახა...) ⁴⁸ (იხ. ქვემოთ). სძ > ზ ფონეტიკურ პროცესში კი საქმე გვაქვს წინა ს'ს გავლენით ძ'ს დეზაფრიკაციზაციასთან (რაზედაც დანვრილებით იხ. წინამდებარე შრომის VIII თავში).

თუშური:

ს ა ნ ა მ დ ი ც < *ს ა ნ ა მ დ ი ნ ც < *სანამდინას: ⁴⁹ შენაქო-ელებს ს ა ნ ა მ დ ი ც ვერ გეყბუე, სანამდინას ნივრეს არ გადმოჩენილიყვნეს ჯარი (ქდ 108,26).

ე გ ე მ ც ე ვ (ქდ 580) < *ეგემსეც.

ს > ც ფონეტიკური პროცესი დასტურდება ძველ სალიტერატურო ქართულშიც. ასე, მაგალითად, როგორც ზ. ს ა რ ჯ ვ ე - ლ ა ძ ე აღნიშნავს, X საუკუნის ათონის ასკეტურ კრებულში (309r, 20-21a) თ ხშულის მომდევნოდ გვაქვს:

ე რ თ ც ა ხ ე დ < *ერთსახედ: მიერიტგან ე რ თ ც ა ხ ე დ ეუფლიან. ⁴⁹

შოთა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი ს „ვეფხისტყაოსანშიც“ მოიპოვება ზმნის ასეთი პირიანი ფორმები:

ძ ა ლ - უ ც < *ძ ა ლ - უ ძ ც < *ძალ-უძს: „არ ძ ა ლ უ ც სრულ-ქმნა სიტყვათა, გულისა გასაგამირეთა“.

ქ ვ ე უ ც < *ქ ვ ე უ ძ ც < *ქვე უძს: „ზოგთა აქვთ საღმრთო

48. შდრ. თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატიკური სტრუქტურა, თბ., 1976, გვ. 128, სადაც წერს: „ხევსურულ ე რ თ უ ც ს ფორმაში ადგილი აქვს თ/ც მონაცვლეობას: ერთურთს/ერთუთს > ერთუცს. შემდეგ ხდება პარადიგმების გასწორება მიცემითზე, ერთუც-ი, ერთუც-მა და ა.შ.“, რაც, ჩვენი აზრით, ეწინააღმდეგება რეალობას.

49. ზ. ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1975, გვ. 115. ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984, გვ. 353-354. ავტორს ეს მაგალითი შეცდომით თს კომპლექსის შერწყმის ფაქტებში აქვს წარმოდგენილი.

სიახლე, დაშვრების აღმაფრენითა, კვლა ზოგთა ქვეუც ბუნება კეკლუცთა ზედა ფრენითა“.⁵⁰

თ ა ნ ა გ უ ა ც < * თ ა ნ ა გ უ ა ძ ც < * თ ა ნ ა გ უ ა ძ ს⁵¹

ძ ა ლ გ ი ც < * ძ ა ლ გ ი ძ ც < * ძ ა ლ გ ი ძ ს: „ძ ა ლ გ ი ც განმენდა ჩემი (მთ., VIII₂).“⁵²

ა ც < * ა ძ ც < * ა ძ ს: „აბრეშუმი ამას ზედან არა ზედა ა ც (დოკ. 362, 1593).“⁵³

ს > ც მოცემულ ფორმებში შეპირობებულა ხშულ ძ თანხმოვანთან მეზობლობით, მისი ხშვის ნანილობრივი შეერთებით ს სპირანტის არტიკულაციასთან,⁵⁴ ხოლო ძც კომპლექსში ძ'ს დაკარგვა გამონევეულია მისი შეხვედრით ჰომორგანულ აფრიკატთან, ახლადწარმოქმნილ ც'სთან: ძც კომპლექსი ძნელი წარმოსათქმელია, არაბუნებრივი კომპლექსია, რის გამოც პირველი იკარგება: ძალ-უძს > ძალ-უძც > ძალ-უძც.⁵⁵

50. შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1970, გვ. 7, 8.

51. ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, №1, ნაკვ. 1, ტფ. 1919, გვ. 3.

52. იბ. ს. უ ლ ე ნ ტ ი, ქართული ენის ფონეტიკა... გვ. 226.

53. არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, დიალექტიზმები XV-XVIII სს. კახურ ისტორიულ საბუთებში, იკე, IV, თბ., 1953, გვ. 249.

54. შდრ. Н. Я. М а р р, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925, გვ. 177 (§ 213). არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, დიალექტიზმები XV-XVIII სს. კახურ ისტორიულ საბუთებში... გვ. 249; საერო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი, იკე, VI, თბ., 1954, გვ. 104. ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ქართული ენის ისტორიისათვის, XII-XVIII სს., I, თბ., 1964, გვ. 297, 299. სტ. ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი, ფონეტიკური მოვლენები ძველ ქართულში შიბერდულ ხელნაწერთა მიხედვით, თბილისის უცხო ენათა პედ. ინსტიტუტის შ რ ო მ ე ბ ი, ტ. I, 1958, გვ. 442. გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბ., 1969, გვ. 36.

აღნიშნული ავტორების მიხედვით, ამ შემთხვევაში ძ აფრიკატისა და ს სპირანტის შერწყმა იძლევა სისინა ც აფრიკატს, რაც არ მიგვაჩნია შესაძლებლად.

55. შდრ. ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში... გვ. 3. ი. ქ ო ბ ა ლ ა ვ ა, აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები... გვ. 66-67.

ამ ავტორთა შეხედულებით უც < უძს (უძევს), თანაგუაც < თანაგუაძს მფლერი ძ'ს ყრუ ს'სთან ნან. რეგრ. ასიმილაციით (იხ. ზემოთ, „შესავალი“). ი. ქ ო ბ ა ლ ა ვ ა ს აზრითაც, ამ შემთხვევაში ს იკარგება, რადგან „ორი სისინა ერთად მოექცა ბოლოში“ (უცს > უც, მიცს < მიც...). უკანასკნელ დებულებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი ფაქტები: ზოგჯერ ძალ-უც ფორმას ხელახლა უჩნდება III სუბიექტური პირის -ს სუფიქსი. ასე, მაგ., ვახუშტი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს ნიგნში ეკითხულობთ: „და თუ შთაუტეო კაცი, მცირეს ჟამს ვერ ძალუცს დათმენად სიცივისა“ (საქართველოს გეოგრაფია, I ნიგნი, ს ა მ ც ხ ე, ტფ., 1892, გვ. ლვ), ე. ი. ც და ს ერთადაც ძლებენ!

ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ი ს მიხედვითაც, „საშუალო ქართულის ტექსტებში სხვადასხვა დიალექტურ ჯგუფებს შემოუტანია და მ რ ა ვ ლ ა დ დასტურდება წინაენისმიერთა... აფრიკატიზაცია“, მაგალითად, ს > ც (ხაზი ჩვენია. ა. ლ.). ის მიუთითებს ასეთ ფაქტებზე:

პ ა რ ც ა ვ ს < პარსავს; ფ ა რ ც ხ ა ნ ა ყ ა ნ ე ვ ი < *ფ ა რ -
ც ა ნ ა ყ ა ნ ე ვ ი (< ფარსმანყანევი); ფ ე რ ც ა თ ი < *ფერსათი;
ა რ ც ა დ ა < *არსადა, ვ ე რ ც ა დ < *ვერსად, კ ო ნ ც უ -
ლ ი < *კონსული; პ ე ნ ც ი ი ს ა < *პენსიისა; კ ო ვ ა ლ ი ნ -
ც კ ი < *კოვალინსკი; ზ ე მ ც კ ი < *ზემსკი.⁵⁶

ს. ჟ ლ ე ნ ტ ს მოაქვს მაგალითები დ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი -
ლ ი ს ენიდან და სავსებით მართებულად მიუთითებს ს
თანხმოვნის გააფრიკატიზებაზე ისეთ მაგალითებში, როგორიცაა:
ა რ ც ა დ ა < არსადა: ა რ ც ა დ ა ჩანს (გურამ., გვ. 127).
ა რ ც ა ი თ < არსაით: გზა ა რ ც ა ი თ წარემართა (იქვე,
გვ. 121).

ნ უ რ ც ა დ < ნურსად: თქვენ ნ უ რ ც ა დ წაეჩრებით (იქვე).
ვ ე რ ც ა დ < ვერსად: მას ვ ე რ ც ა დ დავემალეები,
გავექციე, ვ ე რ ც ა დ წაუვალ (იქვე, გვ. 187).⁵⁷

არის სხვა მაგალითებიც: ა რ ც ა დ ჩნდა თავის საფარი,
მაზედ შემექმნა წუხილი (გურამ., დავითიანი 117,5). ვექებ და
შენი მზგავსი მე აქ ვ ე რ ც ა დ ა ვნახეო (იქვე, 99,13).

ახნილი არ არის, თუ რა მიზეზმა გამოიწვია ეს ფონეტიკური
პროცესი.

ჩვენი აზრით, ყველა ამ შემთხვევაში, როგორც გარკვევით
ჩანს, საქმე გვაქვს ხშულ თანხმოვანთან (თ, ძ, რ, ნ, მ)
მეზობლობაში ს სპირანტის გააფრიკატიზების ფაქტებთან.

როგორც განხილულმა მასალამ გვიჩვენა, ფაქტია, რომ
ხშული თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში ს სპირანტის
აფრიკატიზაციის ტენდენცია დამახასიათებელია ყველა

56. ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ქართული ენის ისტორიისათვის, XII-XVIII სს, I, თბ.,
გვ. 243-244.

57. ი ქ ე ვ ე, გვ. 236. იხ. აგრეთვე, შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, დავით გურამიშვილის
ენა... გვ. 17. ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ქართული ენის ისტორიისათვის, XII-XVIII სს...
გვ. 382.

ქართველური ენისათვის (ქართული, სვანური, კოლხური). განსაკუთრებით ჩვეულებრივი კი ის აღმოჩნდა კოლხური ენის მეგრული დიალექტისათვის, ქართული ენის დიალექტებიდან კი გ უ რ უ ლ ი ს ა თ ვ ი ს, რაც შემთხვევითი არ ჩანს.

ამავე დროს, ისიც საყურადღებოა, რომ ცნობილი დიალექტოლოგიური მასალის მიხედვით, ს'ს გადაქცევა ც'დ არ ფიქსირდება ზოგ დიალექტში, რაც გამოწვეულია ან მასალის უკმარისობით,⁵⁸ ან კიდევ უცხო ენათა გარემოცვაში ყოფნით.⁵⁹ განხილული მასალა კი გარკვევით გვიჩვენებს, რომ ს' სპირანტის აფრიკატიზაცია, ანუ ც'დ გარდაქმნა არაა ხშულისა და სპირანტის შერწყმის შედეგი და არც სონორთან (მ, ნ, ლ, რ) მეზობლობით გამოწვეული, მისი თავისებური განხშვით წარმოქმნილი. ამის მაუწყებელია ის გარემოება, რომ ეს პროცესი (ს > ც) ხდება ყოველგვარი ხშულის მომდევნო უშუალო მეზობლობაში. ასეთი ხშულებია: ფ, პ; დ, თ, ტ; ძ, ც, წ; კ, ჯ, ჩ, ჭ; ყ, კ ... ეს ფაქტი თეორიულად გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ს > ც'ს შემთხვევაში საქმე გვექონდეს ორი თანხმოვნის შერწყმის ფაქტთან, რადგან შეუძლებელია ს'ს შერწყმა ყოველგვარ ხშულთან იძლეოდეს ერთნაირ შედეგს. ეს რომ ასეა, დასტურდება ფაქტობრივადაც, კერძოდ, როგორც ვნახეთ, მეგრულ-ჭანურის, სვანურისა და ქართულის მასალა გვიჩვენებს, რომ ს სპირანტი ც'ში გადადის იმ შემთხვევაშიც, როცა მისი წინა პოზიციის ხშული შენარჩუნებულია. ასე, მაგალითად, ც'ს წინ შემონახულია სონორები: მ, ნ, ლ, რ, გარდა ამისა, მჟღერი, ხშული და მკვეთრი წმინდა ხშულებიც:

მეგრულში: ჩხომ-ც „თევზ-ს“, მერკიან-ც „მიკივი-ს“, ნგერეფ-ც „მგლებ-ს“, ტორონ-ც „მტრედ-ს“, ჩილ-ც „ცოლ-ს“, ოჭკომალ-ც

58. ალბათ, მასალა არ გვეყოფნის, თორემ აღნიშნული პროცესი არ უნდა იყოს შეუძლებელი დარჩენილ ხშულებთანაც: ბ'სთან (გობ-ც < გობ-ს), გ'სთან (ჯოგ-ც < ჯოგ-ს), ქ'სთან (ქალაქ-ც < ქალაქ-ს), კ'სთან (ფეკ-ც < ფეკ-ს).

59. იხ. შ. მ. ძ ი ბ ი გ უ რ ი, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან... გვ. 142. შ. ნ ი უ ა რ ა ძ ე, აჭარული დიალექტი... გვ. 51, სადაც ავტორი წერს: „თურქულისავე გაყვლენას უნდა მიენეროს რუსული „სიბირის“ უცვლელად გადასვლა იმერხეულში: არაფინ არ გადამირჩენს, გამგზავნიან ს ი ბ ი რ შ ი (გვ. 47). ასეთივე ფორმით გვხვდება ეს სიტყვა აჭარულშიც: ბუნტის თავეფს ს ი ბ ი რ ი და სალოვკა არ აცდებოდა, შეიჭირიმი“. „ფონეტიკური პროცესების მხრივ ერთ ხაზს მიჰყვებიან აჭარული და იმერხეული“.

„საჭმელ-ს“, ქურც-ი „ქუსლი“, ერცქემი „ჯიხვი“, მინდორ-ც „მინდორ-ს“... ჩხოუღეფ-ც „ძროხებ-ს“ ცურდგელეფ-ც „ყურდ-ლებს“, ლორონთ-ც (//ლორონ-ც) „ღმერთს“, ზუგდიდ-ც „ზუგდიდ-ს“, პიჯ-ც „პირ-ს“, მეტ-ც „მეტ-ს“, კოჩ-ც „კაც-ს“, ხოჯ-ც „ხარ-ს“... სადაც ის არაა, დაკარგულია: მე-ც < // მეტ-ც, კო-ც < // კოჩ-ც, ხო-ც < // ხოჯ-ც, ლორონ-ც < // ლორონთ-ც, პი-ც < // პიჯ-ც, ზუგი-ც < // ზუგდიდ-ც...

სვანურში: კანცერ „კონსერვი“, რელც „რელსი“, ხატცი // ხატყცი „სცემს ისარს“, ხანცე „დაპატიჟა“, საკცარ „ბერკეტი“...

ქართული ენის დიალექტებიდან: გურ.: სადილ-ც, ელცაბედი... მჭად-ც, დათ-ც < (დათ-ს < დათვ-ს), უწყვეტ-ც, ხვრეტ-ც, კუნძ-ც, კვიც-ც, ლურჯ-ც, ბიჭ-ც... აჭარ.: ერთცხვა... იმერ.: ერთცახე... ლეჩხ.: ერთცახა... რაჭ.: გვერ-ც < *გვერდ-ს... ქართლ.: ნურცად, პარცვა, პენცია, ავანცი... ჯავახ.: იმათცა... ამათცა... კახ.: ხელცახოცი... ინგ.: გორ-ც... მთიულ.-გუდ.: არცაით, არცად, ველარცად... მოხ.: გჷერ-ც... ფშავ.: აღარცად... ხევს.: არცადა, გჷერ-ც < *გჷერდ-ც... თუშ.: ვერცაით, ველარცად...

ასე და ამგვარად, წარმოდგენილი მასალა გარკვევით მეტყველებს იმაზე, რომ ს'ს ც'დ გადაქცევის პროცესში მიზეზად გამოირიცხულია როგორც ორი თანხმოვნის შერწყმა, ისე სონორთა განხშვის ფაქტორიც.

მაშ, რა არის მიზეზი აღნიშნული ფონეტიკური მოვლენისა?

ცხადია, ის, რაც დამახასიათებელია ს'ს წინა პოზიციის ჩამოთვლილი თანხმოვნებისათვის: ესაა მათი ხშვის თვისება, ხშვის გავლენა: წინა თანხმოვნის ხშვის კომპონენტის ნაწილობრივი შეერთება, resp. შერწყმა ნაპრალოვან ფშვინვიერ ს'სთან სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ ეს უკანაკნელი იქცეს ჰომორგანულ ფშვინვიერ აფრიკატად, ც'დ,⁶⁰ რადგან ის, როგორც ყოველი აფრიკატი იწყება ხშვით და თავდება ნაპრალით (სპირანტი-სათვის დამახასიათებელი თვისებით): დიდ-ს > დიდ-ც, ჩხო-

60. ც'მ კი შესაძლებელია მკვეთრთან მეზობლობაში სახე იცვალოს: იხ. მოხ. ტ ა რ ს კ ი > (სოფელია ჩრდ. კავკასიაში) *დარცკი > დარწკი (ამაზე იხ. ქვემოთ, თ. VII).

ულეფ-ს > ჩხოულეფ-ც, ჩიტ-ს > ჩიტ-ც (> ჩი-ც)... ესაა განმ-
საზღვრელი ფაქტორი ს სპირანტის კანონზომიერი აფრიკა-
ტიზაციისა.

ს > ც ფონეტიკური პროცესი თავის ლაბილურობასთან ერთად
საკმაოდ ძველი ფონეტიკური ფაქტია (ამაზე დამატ. იხ. ქვემოთ).

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგიც: განხილული მოვლენა, რა
თქმა უნდა, არ გამორიცხავს ს და ც თანხმოვანთა ს უ ბ ს ტ ი-
ტ უ ც ი ი ს (მონაცვლეობის) შესაძლებლობას. ეს გვაქვს ხმოვნებთან
მეზობლობაში, როგორც სიტყვის ინლაუტში, ისე აუსლაუტსა და
ანლაუტშიც. მაგალითები:

მეგრ.: ა ნ კ ე ც ი (ყიფ., ლექს. 195,197) < // ანკესი (ქართ.).
შდრ. ბანძ. ა ნ ტ კ ე ც ი „ანკესი“

ს ა კ ვ ე ც ი (ყიფ. 47,18) < // საკვესი (ქართ.)

ქ ა ც ი ლ ა შ ი (// ქასლაში ყიფ., ლექს. 342) < *ქასილაში
„ტიკჭორა“

ც უ რ უ (ყიფ., ლექს. 371) < *სურუ < სურო (ქართ.)

ც ა კ ვ ა ი ა (რუს. саквожа) ფრანგ. „სამგზავრო ჩანთა“,
„საკვოიაჟი“, „რედიკული“) < *საკვოია...

სვან.: კ ჳ მ ი ც ი ა (ლხმ) < ქართ. კომისია (უცხ.)

ლ ი კ ვ ე ც (ბზ 262,19) < ქართ. კვენსა⁶¹

კ ა ვ კ ა ც ი ა (ლხმ) < კავკასია (ჩბხ)

ტ ა რ ო ც (ლშხ) < *ტაროს. შდრ. ტარეს (ლხმ) „ტაროსი“...

აჭარ.: თ უ რ მ ე ც < *თურმეს...

იმერ.: თ ი თ ქ მ ი ც < *თითქმის...⁶²

რაჭ.: ე ფ ე რ ა ც უ ე ბ ა („ეპირფერება, ევარისეველება“)⁶³
< *ეფერასუება... პირში ე ფ ე რ ა ც უ ე ბ ი ა ნ...

ქართლ. და მოხ.: ფ ა ც ა ნ ა უ რ ი < *ფასანაური...⁶⁴

ჯავახ.: ვ ი ს ც ა < *ვისსა...⁶⁵

61. ს. უ ლ ე ნ ტ ი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, ექსპერიმენტული გამოკვლევა... გვ. 180.

62. შდრ. ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989, გვ. 555. ავტორის აზრით, აქ სპირანტის გააფრიკატება ხდება სონანტის „დისტანციური მეზობლობის“ წყალობით, რაც არაა მართებული.

63. ალ. კ ო ბ ა ხ ი ძ ე, რაჭული დიალექტის ლექსიკონი (მასალები)... გვ. 48.

64. ს. უ ლ ე ნ ტ ი, ქართული ენის ფონეტიკა... გვ. 236.

65. გრ. ბ ე რ ი ძ ე, ქართული ენის ჯავახური კილო... გვ. 63. ავტორი ს>ც მოვლენას დისიმილაციის შედეგად მიიჩნევდა სს > სც.

ფერეიდნ.: მ ე ც (ქდ 630) < *მეს
თ ი თ ქ ო ც < *თითქოს (ძზი 116)
თ ი თ ქ მ ი ც < *თითქმის (ძზი 145)...

სალიტ. ქართ.: ც ა ნ დ ა ლ ი < // *სანდალი „ფერკოსაცმელი“
(საბა)

ც ი მ ბ ი რ ი < *სიმბირი (< სიბირ-ი. რუს.)⁶⁶

ტ უ ც ა ლ ი < *ტუსალი

ფ ო დ ნ ო ც ი < *ფოდნოსი (რუს.)

კ ვ ე ც ი ტ ა ძ ე < *კვესიტაძე...⁶⁷

ს> // ც გვხვდება ანალოგიის, ანუ ენ. პარადიგმატული გასწორების
ტენდენციის მოქმედების შედეგადაც:

მეგრ.: დ რ ო - ც < *დრო-ს „დრო-ს“, ხ ო ლ ო - ც < *ხოლო-ს „ახლოს“, დ ლ ა - ც < *დლა-ს „დლე-ს“, ა ლ ი შ ქ ე რ - ქ ო უ - ც (ადამიანის საკ. სახელია) < *ალიშქერქოუ-ს, მ ო რ ო უ ა - ც < *მოროუა-ს (გეოგრ. საკ. სახელია)... გ ე ხ ა რ ე - ც < *გეხარე-ს „გაიხარე-ს“, რ ყ უ ნ დ ა - ც - ჯ < *რყუნდა-სჯ „გყავდეს“...

ინგური გოუძაფუნა დო ქობოგუნა მ ო რ ო უ ა ც (ყიფ. 159-23) „ენგური გადაუგუბავთ და ხიდს აკეთებენ მოროუაზე“ („მოროუას“ მდინარეა).

დედები ჭოფილო ქოძირესგნი, წორეთ გურქ გ ე ხ ა რ ე ც (ხუბ. 187,32) „დედაბერი დაჭერილი რომ ნახეს, სწორედ გულით გაიხარეს“. ოსურ ოკო რ ყ უ ნ დ ა ს ჯ ნ ი ქულა, ცვერე, ხანდი-ცალი: „ცოლი უნდა გყავდეს კოჭლი, ბრმა, ხანდისნაირი“...⁶⁸

ამგვარად, ქართველურ ენებში ს სპირანტის აფრიკატიზაციას ინვეს კომბინაციური ფონეტიკური პროცესები: ფშვინვიერ ხშულ თ თანხმოვანთან შერწყმა, ყოველგვარ ხშულ თანხმოვანთან მეზობლობა, ანალოგია და სუბსტიტუცია. აქედან მთავარია ხშულთან მეზობლობა: ს სპირანტის აფრიკატიზაციის სიხშირე ძირითადად ამ უკანასკნელითაა გამოწვეული. დანარჩენი სამი მოვლენა იშვიათობას წარმოადგენს.

66. ეს სიტყვა თურქულის გავლენით უცვლელადაა დაცული აჭარულსა და იმერხეულში: იხ. შ. ნიჟარაძე, აჭარული დიალექტი... გვ. 51.

67. ივ. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის... გვ. 243.

68. შდრ. ი. ქობალავა, აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები... გვ. 71-72, 83.

ღამოწმებული ლიტერატურა

1. ბ ე რ ი ძ ე გრ., ქართული ენის ჯავახური კილო, თბ., 1988.
2. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, I ნიგნი, ს ა მ ც ხ ე, ტფ., 1892.
3. გ ა ბ უ უ რ ი ბ., ქვესურული მასალები, ქართული საენათ-მეცნიერო საზოგადოების წელიწდული, I—II, თბ., 1923-1924.
4. გ ა ჩ ე რ ი ლ ა ძ ე პ., იმერული დიალექტის ხანურ-ზეგნური მეტყველება, იკე, VIII, თბ., 1956.
5. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი ი., თ ო ფ უ რ ი ა ვ., ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე ი., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961.
6. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი დავითი, დავითიანი, თბ., 1955.
7. თ ო ფ უ რ ი ა ვ., ქართლური, „არილი“, ტფ., 1925.
8. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი გრ., ბორჯომის ხეობის ქართლურის თავისებურებანი, იკე, VIII, თბ., 1956.
9. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი გრ., ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბ., 1966.
10. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი გრ., ქართლური დიალექტი, I, თბ., 1974.
11. კ ა ჭ ა რ ა ვ ა გ., ნასესხებ სიტყვათა ერთი ჯგუფის ფონეტიკური ცვლილებისათვის მეგრულში, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XXX, № 3, თბ., 1963.
12. კ ო ბ ა ხ ი ძ ე ალ., რაჭული დიალექტის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1987.
13. ლ ე უ ა ვ ა ლ., ზემოიმერულის მასალები ერთი სოფლის მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით, იკე, IX-X, თბ., 1958.
14. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი არ., დიალექტიზმები XV-XVIII სს. კახურ ისტორიულ საბუთებში, იკე, IV, თბ., 1953.
15. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი არ., საერო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი, იკე, VI, თბ., 1954.
16. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი არ. და ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი გრ., ქართული ენის კახური დიალექტი, გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ, თბ., 1956.

17. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი გ., საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბ., 1965.
18. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე ი., მიცემითი ბრუნვის ნიშნისა და მესამე პირის სუბიექტური ნიშნის სახეცვლილება გურულში, თსუ შრომები, ტ. VI, თბ., 1938.
19. ნ ი ყ ა რ ა ძ ე შ., ზემოაჭარულის თავისებურებანი, ბათუმი, 1957.
20. ნ ი ყ ა რ ა ძ ე შ., აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1975.
21. ნ ო ლ ა ი დ ე ლ ი ჯ., ნარკვევები და ჩანაწერები, წ. II, დიალექტოლოგიის საკითხები, ბათუმი, 1972.
22. ყ ლ ე ნ ტ ი ს., სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, ექსპერიმენტული გამოკვლევა, თბ., 1949.
23. ყ ლ ე ნ ტ ი ს., ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1953.
24. ყ ლ ე ნ ტ ი ს., ქართული ენის ფონეტიკა, თბ., 1956.
25. რ უ ს თ ა ვ ე ლ ი შოთა, ვეფხისტყაოსანი (ზ. ჭიჭინაძის გამოცემა), თბ., 1970.
26. ს ა მ უ შ ი ა კ., ქართული ხალხური პოეზიის საკითხები, მეგრული ნიმუშები, თბ., 1979.
27. ს ა მ უ შ ი ა კ., ქართული ზეპირსიტყვიერება, მეგრული ნიმუშები, თბ., 1990.
28. ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1975.
29. ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
30. ტ ო პ ო ნ ი მ ი კ ა, I, თბ., 1976.
31. უ თ უ რ გ ა ი ძ ე თ., ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976.
32. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე ანტი, ქიტესა, „ჩვენი საუნჯე“, ტ. 10, თბ., 1960.
33. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე ივ., ქართული ენის ისტორიისათვის XII-XVIII სს, I, თბ., 1964.
34. ქ ა ლ დ ა ნ ი მ., სვანური ენის ლაზამულური კილოკავის ფონეტიკური თავისებურებანი, იკე, VII, თბ., 1955.
35. ქ ო ბ ა ლ ა ვ ა ი., აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები იბერიულ-კავკასიურ ენებში, იკე, IX-X,

თბ., 1958.

36. ყ ი ფ შ ი ძ ე ი., ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, №1, ნაკვ. I, ტფ., 1919.
37. შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე თ., სვანური ენის ცხუმარული კილოკავის ძირითადი თავისებურებანი, იკე, IX-X, თბ., 1958.
38. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ., ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტექსტებითურთ, თბ., 1936.
39. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ., ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.
40. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი მ., ტოპონიმიკურ სახელთა წარმოება ლეჩხუმური მასალების მიხედვით, ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VII, თბ., 1949.
41. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი მ., ლეჩხუმური ლექსიკონი, ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები, I, თბ., 1941.
42. ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი სტი, ფონეტიკური მოვლენები ძველ ქართულში შატბერდულ ხელნაწერთა მიხედვით, თბილისის უცხო ენათა პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბ., 1958.
43. ც ი ნ ც ა ძ ე მ., კირნათ-მარადიდის მეტყველების თავისებურებანი, შ. რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, I, ბათუმი, 1954.
44. ც ო ც ა ნ ი ძ ე გ., ფშაური დიალექტი, თბ., 1978.
45. ძ ი ძ ი გ უ რ ი შ., დავით გურამიშვილის ენა, თბ., 1980.
46. ძ ი ძ ი გ უ რ ი შ., ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954.
47. ძ ი ძ ი გ უ რ ი შ., ქართული ენის მთარაჭული დიალექტის ძირითადი თავისებურებანი, ენიმკის მოამბე, II, ტფ., 1937.
48. ძ ო ნ ე ნ ი ძ ე ქ., ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973.
49. ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი ალ., ხევსურულის თავისებურებანი, ტექსტებითა და ინდექსით, თბ., 1960.
50. ხალხური სიტყვიერება, III, პირველი სერია, II, ხალხური ლექ-

სები თედო რაზიკაშვილის მიერ ჩანერილი, მის.
ჩიქოვანის რედაქციით, თბ., 1953.

51. ხ უ ბ უ ა მ., მეგრული ტექსტები, ტფ., 1939.
52. ჯ ა ჯ ა ნ ი ძ ე პ., მასალები იმერული კილოს ლექსიკონის
სათვის, ქუთაისის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის
შრომები, IX, ქუთაისი, 1949; X, ქუთაისი, 1950-1951.
53. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ბ., ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989.
54. К и п ш и д з е И., Грамматика мингрельского (иверского) язы-
ка с хрестоматиею и словарем, С. _ Петербург, 1914.
55. К л и м о в Г. А., Этимологический словарь картвельских
языков, М., 1964.
56. М а р р Н. Я., Грамматика древнелитературного грузинского
языка, Ленинград, 1925.
57. М а р р Н. Я., Грамматика чанского (лазского) языка с хрес-
томатиею и словарем, С. _ Пб., 1910.
58. Ц а г а რ ე ლ ი Ал., Мингрельские этюды, второй выпуск, Опыт
фонетики мингрельского языка, С. _ Пб., 1880.

თ ა ვ ი III

ს სპირანტის აფრიკატიზაცია ქართულ ტოპონიმებში

§4. ს > ც „სამცხე“ ტოპონიმში¹

თანამედროვე მესხეთის, ანუ ახლანდელი ახალციხის, ასპინძისა და ადიგენის რაიონების, მკვიდრთ, რომელნიც ოდითგანვე ბინადრობენ ამ ტერიტორიაზე, დღემდე შეუნარჩუნებიათ წინაპარსა მეტყველება, რაც საენათმეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ქართული ენის მესხური დიალექტის სახელწოდებით.

„მესხეთს, ჩვეულებრივ, სამცხესაც ეძახიან და დღევანდელი გაგებით ისინი ერთმანეთს ფარავენ. გეოგრაფიულად იგი მოიცავს ყოფ. ახალციხის მაზრას, ნაწილია ზემო ქართლისა და მდებარეობს მდ. მტკვრის აუზში. დიალექტოლოგიური თვალსაზრისით მესხური კილო ამ ტერიტორიაზე ძველ მოსახლე ქართველთა მეტყველებაა.

დღევანდელ მესხეთს აღმოსავლეთით ესაზღვრება ქართლი, მიჯნაა თრიალეთის ქედი. ტაშისკარიდან (ქვიშეთიდან) მდ. მტკვრის ხეობით მესხეთში შედის მთავარი გზა; სამხრეთ-აღმოსავლეთით მესხეთის გაგრძელებას წარმოადგენს ჯავახეთი; დასავლეთით აკრავს არსიანის ქედი და აჭარა, საიდანაც გოდერძის გადასავლით იგი უკავშირდება შავი ზღვის სანაპიროს; ჩრდილოეთით მისი მოსაზღვრეა იმერეთი, რომელთანაც მესხეთს აერთებს ზეკარის უღელტეხილი, სამხრეთით უძვეს ერუშეთის მთები და იმერხევი, რომლებიც თურქეთის მფლობელობა-

1. ნაწილია გამოკვლევისა: „მცხეთისა“ და „სამცხის“ ეტიმოლოგიისათვის“, რომლის შედეგებიც მოხსენდა ი. ჭავჭავაძის სახ. თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის XXIX. სამეცნიერო სესიას 1979 წლის 25 დეკემბერს.

შია“.²

„ძველი მესხეთი იგივე ზემო ქართლია, იგივე სამხრეთ საქართველოა, სამცხე კი მისი ნაწილია“.³

„საქართველოს ისტორიით ცნობილია, რომ ძველი ნელთალ-რიცხვის VII საუკუნეში მუშქების, იმავე მესხების გაბატონების გამო სამხრეთ საქართველოს მესხეთი დაერქვა. იგი მოიცავდა მდ. ჭოროხის აუზში შემავალ მხარეებს — შავშეთს, კლარჯეთს, ტაოს, სპერს, აჭარას — და მდ. მტკვრის ხეობაში მდებარე სამცხეს და სხვ“.⁴

ისტორიულად მესხურ დიალექტზე მეტყველი ქართველები ცხოვრობდნენ არა მარტო სამცხეში, არამედ ჯავახეთში, თორსა და კოლაში, არტაანში, შავშეთსა და კლარჯეთში, ერუშეთსა და აჭარაში, იმერხევეში, ტაოში, სპერსში, თორთომში და ბასიან-შიც კი. ორი მდინარის ხეობას მოიცავდა მესხეთი: „...ქვეყანასა ამას შინა არიან მდინარენი უდიდესნი მტკვარი და ჭოროხი, რამეთუ მტკვარს მოერთვიან ყოველნი მდინარენი სამცხისანი, ჯავახეთისანი და კოლა-არტანისანი, და ჭოროხს სრულიად კლარჯეთის მდინარენი, თუნიერ ჭანეთისანი“⁵ და რომელსაც „საზოგადო სახელად ზემო ქართლი ეწოდებოდა, საკუთრივ კი და უფრო ხშირად მესხეთს ეძახდენ“.⁶

ზემო ქართლი, ანუ „მესხეთი ბევრს სხვადასხვა სახელის მატარებელს თემს შეიცავდა. მესხეთის სანაპირო თემებად აღმოსავლეთითგან რომ მოვაცოლოთ შემდეგი ადგილები იყო: ჯავახეთ-აბოცი, არტაშან-კოლა, კლარჯეთი, ტაო-ოლთისი და თორთუმ-ისპირი. კლარჯეთის სამხრეთ-დასავლეთით ზღვის პირას ტრაპიზონამდის უკვე ლაზისტანი, ანუ ჭანეთი იყო“.⁷ ვახუშტი მიუთითებს, რომ „ყოველთა ამათ ადგილებთა და ქვეყა-

2. ი. გ. გინეი შვილი, ვ. თ. ფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, ქართული ენის კილოთა მოკლე განხილვა. ტექსტები. ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 357-358.

3. იქვე, გვ. 358.

4. იქვე, გვ. 358.

5. ვახუშტი, აღწერასამეფოსასაქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურისა და ნ. ბერძენი შვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 123.

6. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვეთა ლაზრისით განხილული, ტფ., 1919, გვ. 35.

7. იქვე.

ნათა კრებით ეწოდა მესხნი, იგივე ძველი სახელი სამცხეთოსი, და სიმოკლისათჳს მესხნი ითქმის“.⁸ ამგვარად, „ვახუშტიმ ... იცის, რომ ეთნიკურად ჯავახეთის „მოსახლენიც არიან მესხნი“ ისევე, როგორც სამცხისა და ზემო ქართლის სხვა რეგიონთა მცხოვრებნი“.⁹

ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმიკური ტერმინი მესხეთი, ისტორიული წყაროების მიხედვით, უცილობლად აღნიშნავს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს, კერძოდ, იმ ტერიტორიას, სადაც ცხოვრობდა მესხეთის მკვიდრი ქართველობა, მესხები, „კაცნი და ქალნი არიან მგზავსნი ქართველთანი, არამედ უმეტეს ნელიად და ენატკბილად მოუბარნი, ტანოვანნი, მქნენი, შემმართველნი, შვენიერნი, ცოდნა-ქელოვნების მოყვარენი... ენა საკუთრად აქუსთ იგივე ქართული“,¹⁰ ენობრივად არიან ერთნი, მაგრამ თემობრივად — განსხვავებულნი.

გეოგრაფიულ სახელ მესხეთში გამოიყოფა -ეთ სუფიქსი. „ეს სუფიქსი არის ჩვეულებრივი და ყველაზე გავრცელებული სახე გეოგრ. სახელთა საკუთარი მანარმოებლისა. ის უშუალოდ დაერთვის საზოგადო სახელთა ფუძეს: ტბ-ეთ-ი, ორბ-ეთ-ი, ქორ-ეთ-ი, ბი-ეთ-ი, ნიგოზ-ეთ-ი, თელ-ეთ-ი, კლდ-ეთ-ი და სხვ.“

განსაკუთრებით აღსანიშნავია ტომობრივი და ეთნიკური სახელები, რომლებსაგან იმავე ეთ-ის საშუალებით გეოგრ. სახელები კეთდება: ხევსურ-ეთ-ი, თუშ-ეთ-ი, მთიულ-ეთ-ი, სვან-ეთ-ი, ოს-ეთ-ი, სომხ-ეთ-ი, რუს-ეთ-ი, სპარს-ეთ-ი, არაბ-ეთ-ი და სხვ“.¹¹

„არეალი -ეთ მორფემისა ერთობ ვრცელია. მოიცავს საქართველოს დღევანდელ მიწა-წყალს მთლიანად, ზოგ კუთხეში მეტად, ზოგში ნაკლებად გვხვდება. საგულისხმოა იმის აღნიშვნაც, რომ ძველი ქართული წყაროების მონაშობით, -ეთ მორფემა ერთერთი თავდაპირველი, ყველაზე გავრცელებული სართია, რომლითაც საგეოგრაფიო სახელებია წარმოქმნილი. დღევანდელი ვითარებაც გვარწმუნებს, რომ -ეთ ქართველური ტოპონიმიის

8. ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა... გვ. 121.

9. შ. ლ. ო. მ. ს. ა. ძ. ე, სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუაწლებიდან XIX საუკუნის შუაწლებამდე), თბ., 1975, გვ. 280.

10. ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა... გვ. 123.

11. ა. შ. ა. ნ. ი. ძ. ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, მეორე გამოცემა, თბ., 1973, გვ. 138.

ძირითადი მანარმოებელია. მას, ჩანს, იმთავითვე დაჰკისრებია საგეოგრაფიო სახელების (წმინდა ტოპონიმების) აღნიშვნა¹².

ამგვარად, ტოპონიმიკური სახელი მესხეთი მიღებულია მესხ-ძირისაგან, საგეოგრაფიო სახელის სიტყვათმანარმოებელი აფიქსის -ეთ-ის დართვით და იგი სახელობითი ბრუნვის ფორმაა.

ტერმინი მესხი ამ გეოგრაფიული სახელით აღნიშნული ტერიტორიის მკვიდრ ქართველს აღნიშნავს ზოგადად.

ბ. მ ა რ ი წერს: "В эту эпоху, очевидно, как и впоследствии, "месх" или "мех" шел за этнографическую разновидность грузинского племени, за провинциального представителя грузина. Но в более древние времена у грузин с тем же термином связывалось представление о племени, хотя и родственном с картами - грузинами, но самостоятельным".¹³

ამგვარად, ტერმინების: მესხეთი და მესხი ამოსავალი ერთი ძირია — მესხ.

როგორც ითქვა, ძველი მესხეთის (იგივე ზემო ქართლის) ნაწილი ს ა მ ც ხ ე იყო.

ვახუშტი ბატონიშვილი ტოპონიმ სამცხე'ს წარმოშობას გეოგრაფიულ საკ. სახელ მცხეთა'ს უკავშირებდა. მისი აზრით, იმის გამო, რომ სამცხის მესხი მოსახლეობა სარწმუნოებრივად მცხეთის საკათალიკოსოს ემორჩილებოდა, ამ კუთხეს ჯერ კიდევ ბაგრატიონთა მეფობამდე სამცხეთო ეწოდა, აქედან კი სახელი სამცხე წარმოდგა:

„და ესრეთ განიყო სახელი ზემო ქართლისა სამად. არამედ ან ოძრახოს წილს, გურიის მთამდე და არსიანის მთამდე, უწოდებენ სამცხეს, მცხეთოსისა და ქალაქის მცხეთის გამო, პირველვე წოდებულს მცხეთის მორჩილებისათჳს“ (ხაზი ჩვენია - ა. ლ.).¹⁴

12. ალ. ლ ლ ო ნ ტ ი, მცხეთის ტოპონიმია, II, ტოპონიმიკური ძიებანი, თბ., 1975, გვ. 15.

13. М а р р Н. Я., О языке и истории абхазов, М. - Л., 1938, გვ. 51.

14. ქართლის ცხოვრება, IV, ბატონი შვილი ვახუშტი, აღწერასამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, თბ., 1973, გვ. 657-658. აქვე ავტორი მიუთითებს ამ ტოპონიმის ხალხურ ეტიმოლოგიაზეც: „უაღლად იტყვან: ოდეს აღაშენა სუმბატ ბივრიტიანმან ციხე დემოსს, სამთა ციხეთათჳს ლომ(ს)ისა, ოძრახესა მეპირისპირედ, ესე იგი არს სამციხეთა, ამით იწოდა სამცხე“ (ხაზი ჩვენია — ა. ლ.).

შენიშვნა: საკ. სახელთა საძიებელშიც ვახუშტის შრომის გამომცემელს უწერია „სამცხეთო: ძველი სახელი სამცხეთოსი“.¹⁵

ეს შეხედულება აღნიშნულ სიტყვათა მხოლოდ გარეგან მსგავსებას ემყარებოდა. ახსნა იმისა, თუ როგორ მივიღეთ სამცხეთო'დან სამცხე, ვახუშტის არ მოუცია. ამიტომაც, ბუნებრივია, ამ მოსაზრებამ მეცნიერებაში ფეხი ვერ მოიკიდა.

ცნობილია, რომ სამცხის მხარე მესხებით იყო დასახლებული.¹⁶ ამიტომ საფიქრებელი იყო ამ ტერიტორიის აღმნიშვნელი ტოპონიმი სამცხე, როგორც დანიშნულების, განკუთვნების გამომხატველი, ეტიმოლოგიურად მესხ ძირიდან ყოფილიყო ნაწარმოები. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს შეხედულება გაბატონდა, თუმცა დღემდე აუხსნელი რჩება, რა გზით იქნა მიღებული მესხ ძირიდან მცხ ძირი, სა-მცხ-ე'ში რომ გვაქვს ფიქსირებული.

ბ. მ ა რ ი წერდა: "С картским префиксом sa-, образующим названия места же "корна" (იგულისხმება „მცხ“ „шмц“) имеем სამცხე Sa-mǫǫ-е Самцхэ', название страны, примыкавшей на западе к Таши и Кларджети“.¹⁷

ნათელია, რომ ბ. მ ა რ ი სა- სართს თვლის სიტყვათმანარმოებელ აფიქსად, მაგრამ არას ამბობს -ე სუფიქსზე, თუმცა იგი გამოყოფილი აქვს.

დანიშნულებითის სახელთა მანარმოებელ აფიქსთა შორის ა. შ ა ნ ი ძ ე გამოყოფს სა — ე მანარმოებელს და განმარტავს: „სა — ე, გამოხატავს დანიშნულებას, განკუთვნებას: სა-ქათმ-ე, სა-ლორ-ე, სა-ცხვრ-ე, სა-ყურ-ე...“¹⁸ „გეოგრაფიულ სახელებში გამოყენებულია რიგი მანარმოებლებისა, რომლებიც დანიშნულებას გამოხატავენ: სა — ე, სა — ო, სა — ის, სა — ურ: სა-მშვილდ-ე, სა-ბუ-ე, სა-ირმ-ე, სა-ლანძილ-ე, სა-ლვინ-ე, სა-კირ-ე, სა-ვან-ე, სა-კერპ-ო (სოფელია გუდამაყარში), სა-ცხენ-ის-ი, სა-ორბ-ის-ი, სა-ბად-ურ-ი (მთაა ერწოში) და

15. ქართლის ცხოვრება, IV, ბატონი შვილი ვახუშტი, აღწერასამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, თბ., 1973, გვ. 1964.

16. შ. ლ ო მ ს ა ძ ე, სამცხე-ჯავახეთი... გვ. 280.

17. М а р р Н. Я., О языке и... გვ. 51.

18. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები... გვ. 132.

ამგვარ სახელებს ხშირად ფუძედ აქვთ ეროვნულ-ტომობრივი, საგვარეულო ან რომელიმე მფლობელის სახელი, საკუთარი თუ საზოგადო: სა-მცხ-ე (*სა-მესხ-ე), სა-ქართველ-ო, სა-მეგრელო...¹⁹ (ხაზი ჩვენია — ა. ლ.).

ზემოთ თქმულიდან ცხადად ჩანს, რომ სა-მცხ-ე ტოპონიმში, ა. შ ა ნ ი ძ ი ს აზრით, სა — ე არის გეოგრაფიულ სახელთა სიტყვათწარმოების აფიქსი (და არა მხოლოდ სა-), ფუნქციურად დანიშნულების გამომხატველი, ფუძე კი არის მცხ < *მესხ სატომო სახელისაგან. სა-მცხ-ე მიღებულია სა-მესხ-ე'საგან, რაც აღნიშნავს მესხთა საცხოვრებელ ადგილს, მესხებით დასახლებულ მხარეს, მესხთა ქვეყანას.

უკანაქნელ ხანს ენათმეცნიერმა გ. ბ ე დ ო შ ვ ი ლ მ ა რ გაიზიარა ეს საერთოდ გავრცელებული შეხედულება და შეეცადა ისტორიული და ენობრივი დასაბუთება მიეცა სამცხე ტოპონიმის ზემოაღნიშნული ვახუშტისეული ახსნისათვის. მკვლევარი ემყარება ორ ენობრივ პოსტულატს:

1. რომ „ეთნიკური შინაარსის სახელები ტოპონიმებში, ჩვეულებრივ, ა რ ი კ უ მ შ ე ბ ი ა ნ“ (ხაზი ჩვენია — ა. ლ.). ამ ახსნაში კი ივარაუდება, „რომ ტოპონიმს ცვლილების ასეთი გზა გაუვლია: სა-მესხ-ე > სა-მსხ-ე > სა-მცხ-ე“.

2. „ ე თ ნ ო ნ ი მ ე ბ ი ს, აგრეთვე საგვარეულო სახელების /ზედწოდებების/ მიხედვით გაფორმებულ ტოპონიმებში სადერივაციო საშუალებად მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ სა — ო აფიქსი გამოიყენება და არა სა — ე აფიქსი. ამის მიხედვით გვაქვს: სა-ქართველ-ო, სა-მეგრელ-ო, სა-ზან-ო, სა-ინგილ-ო, სა-ბარათიან-ო, სა-გურამ-ო, სა-ციციან-ო, სა-კორინთლ-ო და სხვ.

და უ შ ვ ე ბ ე ლ ი ა : სა-ქართველ-ე, სა-მეგრელ-ე, სა-ზან-ე, სა-ინგილ-ე, სა-ბარათიან-ე, სა-გურამ-ე, სა-ციციან-ე, სა-კორინთლ-ე...

ამ წესის გათვალისწინებით მოულოდნელი ჩანს ტოპონიმ სამცხის ეთნონიმური წარმომავლობა, რადგან მაშინ სა-მცხ-ო უნდა გვექონოდა და არა სა-მცხ-ე (შდრ. სა-ქართველ-ო, სა-ჯავახ-ო, სა-ზან-ო...)“ (ხაზი ყველგან ავტორისაა. ა.ლ.).

19. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები... გვ. 137.

შემდეგ მკვლევარი იძლევა აღნიშნული ტოპონიმის გენეზისის ახსნას, რომლის მიხედვით, „ტოპონიმ სამცხისათვის ამოსავლად უნდა ვივარაუდოთ რეგიონის, ტერიტორიის ერთობლიობის აღმნიშვნელი სახელწოდება სამცხეთო, რომელიც ძირითადად IX საუკუნის დროინდელ ტაო-კლარჯეთში შეიქმნა მცხეთის ეპარქიის მიერ საქვეშევრდომო, „საყმო“ მამულების შემოერთების დროს. სამცხეთო ტერმინის ქვეშ ივარაუდებოდა: „მცხეთის საგამგებლო ტერიტორია“, „მცხეთის საეპარქიო მამულები“ (ხაზი ავტორისაა. ა.ლ.).

ავტორი დასძენს: „სამცხეთოში შემავალი მოსახლეობის აღმნიშვნელი ზოგადი სახელწოდება სამცხეთარი // სამცხეთარნი დოკუმენტობრივად და დადასტურებული „ქართლის ცხოვრებაში“.

სამცხეთო ფორმას მოგვიანებით, დაახლოებით IX ს-ის დასასრულს, X ს-ის I ნახევარში, გამარტივების შედეგად სამცხე მოუცია. სახელწოდება სამცხეთო-ს შეკვეცისათვის ხელი უნდა შეეწყოს მის კომპოზიტურ წყვილში შესვლას: სამცხეთო-საათაბაგო > სამცხე-საათაბაგო“²⁰ (ხაზი ავტორისაა. ა.ლ.).

გამოდის, რომ „სამცხეთო“ ფორმას თ — ო დაბოლოება მოეკვეცა და დარჩა სამცხე (სამცხეთო > სამცხე).

განვიხილოთ წარმოდგენილი დებულებები.

1. ე თ ნ ო ნ ი მ ე ბ ი ს, ასევე საგვარეულო სახელების (ზედწოდებების) საშუალებით გაფორმებული ტოპონიმების საწარმოებლად ქართული ენა, მისი დიალექტები, მართლაც არ იყენებენ სა — ე აფიქსს. ამაში მკვლევარი მართალია და ისიც ჭეშმარიტებაა, რომ სა-მცხ-ე'ში ასეთი წარმოება არ იყო მოსალოდნელი, თუ მცხ ფუძე მომდინარეა სატომო სახელისაგან მესხ-ი. და ეს იმიტომ, რომ დანიშნულების სა — ე აფიქსი ქართულში მხოლოდ ნივთის (არაადამიანის) სახელთაგან მომდინარე ტოპონიმების საწარმოებლად გამოიყენება:²¹ თივა —

20. გ. ბ. ე. დ. შვილი, ტოპონიმ სამცხის წარმოშობის ისტორიისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXXVII სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1981, გვ. 35-36.

21. ასეთია ამ სუფიქსის მეგრული შესატყვისის ო — ე'ს ფუნქციაც: ოლაჭვათირე „სანვეთი“, „სანვეთლა“, ოისირე „საისლე“, ოსიმინდე „საოსიმინდე“, ოლეჯე „სალორე“, ოქოთოშე „საქათშე“...

სა-თივე „თივისთვის განკუთვნილი“, სირი — სა-სირ-ე „სირისთვის განკუთვნილი“, მშვილდი — სა-მშვილდ-ე „მშვილდისთვის განკუთვნილი“, შავარდენი — სა-შავარდენ-ე „შავარდენისთვის განკუთვნილი“, კულუხი — სა-კულუხ-ე „კულუხისთვის განკუთვნილი“...

ტოპონიმი მესხ-ი კი გენეტიურად სატომო სახელია, ე თ ნ ო ნ ი მ ი, ქართული ხ სუფიქსით ნანარმოები ისევე, როგორც კოლ-ხ-ი, ტაო-ხ-ი, ჯავა-ხ-ი, კა-ხ-ი, კუ-ხ-ი, ჰენიო-ხ-ი და სხვ., რაც ეჭვმიუტანლად დაამტკიცა გ. რ ო გ ა ვ ა მ.²² ასე რომ, შეუძლებელი იყო გვექონოდა სამცხის ამოსავლად ნავარაუდები ტოპონიმი სა-მესხ-ე. და ამდენად, ზედმეტია ლაპარაკი ამ არარსებული ტოპონიმის კუმშვაზეც (სამესხე > სამსხე... პროცესის შესაძლებლობაზე).

მაშასადამე, გ. ბ ე დ ო შ ვ ი ლ მ ა სავსებით სწორად დაასაბუთა ს ა მ ე ს ხ ე ტოპონიმიდან ს ა მ ც ხ ე 'ს წარმოშობის შეუძლებლობა. ეს, ჩვენი აზრით, ამ საყურადღებო საკითხის გადანიჭების გზაზე უთუოდ წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ ვერ გავიზიარებთ მის მოსაზრებებს ს ა მ ც ხ ე ტოპონიმის ვერც ისტორიისა და ვერც გენეზისის შესახებ, რომელსაც ის გვთავაზობს.

მკვლევარი გვაუწყებს: ს ა მ ც ხ ე „ამ ფორმით... ქართულ ლიტერატურულ და საისტორიო-ეკონომიკურ ძეგლებში XII-XIII საუკუნეებიდან არის დადასტურებული“.

ეს ასე არაა. ცნობილია, რომ IX ს. დასაწყისში ქართლის ერისმთავარმა აშოტ ბაგრატიონმა სამხრეთ-დასავლეთ სა-ქართველოს ტერიტორიაზე ჩამოაყალიბა ტაო-კლარჯეთის სამთავრო, ანუ „ქართველთა სამეფო“. ამ სამთავროს შემადგენლობაში კი, თანამედროვე ქართველი ისტორიკოსების დასკვნით, ერთ-ერთ პროვინციას სამცხე წარმოადგენდა.

ისინი წერენ:

„აშოტის დროს სამთავროს ფარგლებში შედიოდა შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალი, აჭარა, ტაო, სპერი, სამცხე, ჯავახეთი, არტაანი“.²³

22. გ. რ ო გ ა ვ ა, ზოგი ქართული გვარის სუფიქსაციისათვის, აღწერილობის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIII, ქუთაისი, 1955, გვ. 1-8.

23. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 445-446, 449.

დადგენილია, რომ აშოტი გარდაიცვალა 826-836 წლებს შორის.²⁴

მაშასადამე, მითითებული გამონათქვამის მიხედვით, ს ა მ - ც ხ ე ცნობილი ტოპონიმი ყოფილა IX საუკუნის 20-30-იან წლებში.

გარდა ამისა, X საუკუნის პირველ მეოთხედში სამცხის სასულიერო წოდების ყოფისა და მოღვაწეობის შესახებ ბ ა ს ი ლ ზ ა რ ზ მ ე ლ ი ს მიერ დაწერილ „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ არაერთხელაა ნახსენები ტოპონიმი „სამცხე“. აი, სათანადო ადგილები:

„ხოლო ჩუენდა ჯერ არს, რათა ნეშტი თხრობისა გულს-მოდგინებით ვისმინოთ, თუ ვითარ მოინივნეს სანახებთა ქუეყანისა სამცხისათა. ესერა ვთქუათ! რამეთუ იყო რა დიდი იგი მამაჲ და მოძღუარი მიქელ მდგომარე ლოცვასა ღამისასა, განკურვებაჲ რაჲმე დაეცა და აღიტაცა ზეცად და იხილა ვინმე, ვითარცა მღვდელ-შუენიერად შემოსილი, და ეტყოდა მას, რათა მის მიერ განსწავლულნი იგი მონაფენი მყის წარავლინნეს ქუეყანად სამცხისად, რომელ არიან სერაპიონ და იოანე; და უჩუენებდა ნიშთა რათმე და სახეთა, თუ რომელსა მივიდენ ადგილსა, პოონ, მივიდენ რა, სასწაული იგი და მუნ „ქელყონ აღშენებაჲ მონასტრისაჲ...“²⁵ (ხაზი ჩვენია — ა.ლ.).

„ხოლო წელსა მეოთხესა ამათ საქმეთასა განაბრწყინვა ღმერთმან დიდი იგი მღვდელთ-მოძღუარი გიორგი შუარტყლელი, რომელმან დაიპყრა საყდარი აწყურისაჲ, რამეთუ არა ჯერ იყო ცხედარსა ქუეშე დაფარვაჲ სანთლისაჲ. და ქელთ იდვა რა განგებაჲ სამცხისაჲ, დააწყნარა ყოველი საბრძანებელი თვისი, ვითარცა წეს-იყო, და დაიპყრა ყოველი მამული და ეკლესიანი პირველთა მათ მეშფოთეთანი“²⁶ (ხაზი ჩვენია — ა.ლ.).

ისიც ხომ ფაქტია, რომ X ს. II ნახევრის დასაწყისის (951 წ.) საყოველთაოდ ცნობილ ისტორიულ-ლიტერატურულ ძეგლში — გ. მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ — არაერთგზის გვხვდება ტოპონიმი სამცხე იმასთან დაკავშირებით,

24. ი ქ ე ე, გვ. 451.

25. ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ ღმერთმემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისი, ჩვენი საუნჯე, ტ. I, 1960, გვ. 99.

26. ი ქ ე ე, გვ. 121.

რომ ამ ნაწარმოების არაერთი გმირი წარმოშობით სამცხელია ან სამცხეში მოღვაწეობს. ასე მაგალითად:

„და ვითარცა კორციელად შეიმატებოდა, ეგრძევე სულიერად შეეძინებოდა რიცხუსა მას წმიდათა კაცთასა, რამეთუ მას უამსა მოვიდეს მამაჲ ეპიფანე და მღვდელი მატოი ქართლით, და დიდი ზენონ სამცხით...“²⁷

„ხოლო ზენონ შვილი იყო საჩინოჲსა ვისიმე კაცისაჲ სამცხეს და ღმრთის-მსახურებით აღზრდილი იყო და სინმიდით იქცეოდა“...²⁸

„და ვითარ მოიწინეს სამცხეს, ბრძანებითა ღმრთისაჲთა ძმ დიდისა მირეან აზნაურისაჲ დაიმონაფეს, სახელით არსენი, რომელსა ეწოდა ღირსად დიდი არსენი, ქართლისა კათალიკოზი და მცხეთისა საყდრისა გურგუნი დაუჭნობელი“.²⁹

გრიგოლმა, „ვითარ მოიწია ქართლისა სანახებსა, ნებითა ღმრთისაჲთა ძიებასა მას ძმათასა პოვა ეფრემ ყრმაჲ, ჭაბუკი ღირსი და ღირსებასა შინა იხილვა მამაკაცებასა სულსა მინვეწული სინმიდითა, და სინმიდესა შინა აწყურისა ეპისკოპოსი სასწაულთა მოქმედი. ხოლო ეპისკოპოსობასა შინა მიიწია მოხუცებულებასა კეთილსა, და აღესრულა საკურველებით, და ნაწილი მისნი წმიდანი მიეცნეს ნათლად ს ა მ ც ხ ე ს ა“.³⁰

„და მგზავრ სლვასა მათსა პრქუეს ნეტარსა გრიგოლს სანატრელთა მათ თეოდორე და ქრისტეფორე: „წმიდაო მამაო, უამსა მას წარმოსვლისა ჩუენისასა ხანძით ს ა მ ც ხ ე ს რაჲ მოვიწინით მახლობელად ადგილსა მირეან აზნაურისასა, და გუხილნეს ჩუენ კაცთა მისთა, რამეთუ სადგური ჩუენი უამსა მწუხრისასა ველსა ზედა ვყავთ, და აუწყეს უფალსა თჳსსა, და მსწრაფლ ხოლო მოვიდა მირეან თჳთ და მოგუკითხნა სიმდაბლით და წარგუყვანნა ტაძრად თჳსად და განგუყუენნა კეთილად“.³¹

27. გიორგი მერჩული, შრომაჲ და მოღვაწეობა ღირსადცხოვრებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი, ჩვენი საუნჯე, ტ. I, 1960, გვ. 149.

28. იქვე, გვ. 149.

29. იქვე, გვ. 155.

30. იქვე, გვ. 155-156.

31. იქვე, გვ. 159.

„და წარვიდეს ზოგად ს ა მ ც ხ ი ს ა და ქართლისა, არეთა მათ უდაბნოთა, და პოვნეს ორი ადგილნი სამონასტრედ და ალაშქნეს სენაკები ორგანვე“.³²

„არამედ ქართლისა ეპისკოპოსნი მირენ არსენის მამისათუს ფრიად გულწყებულ იყვნეს ამის მიზეზისათუს, რამეთუ თუნიერ განზრახვისა მათისა მძლავრ სამცხისა ერითა ძმ თუსი დაადგინა კათალიკოზად თანადგომითა და კურთხევითა მცირედთა ეპისკოპოსთაჲთა“.³³

„რამეთუ დიდი ეფრემ, უწინარშს მრავლით წლით არსენისა, იქმნა ეპისკოპოს აწყურისა საყდარსა სამცხეს“³⁴ (ხაზი ჩვენია — ა.ლ.).

თანამედროვე ქართველი ისტორიკოსები სომხურ წყაროებზე დაყრდნობითაც ს ა მ ც ხ ე ს ტაოს სამთავროში შემავალ პროვინციად ასახელებენ ადრეულ შუა საუკუნეებში:

„თვითონ ტაოს [სამთავროს] ქართულობა მიწა-წყლითა და ძირითადი მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობით ეჭვს არ იწვევს, რაზედაც ადრინდელი ისტორიული ვითარების გარდა აშკარად მეტყველებენ ს ო მ ხ უ რ ი წ ყ ა რ ო ე ბ ი, რომელთა მიხედვით, ა დ რ ე უ ლ შ უ ა ს ა უ კ უ ნ ე ე ბ შ ი კლარჯეთი, არტაანი, შავშეთი, ჯავახეთი, სამცხე, აჭარა და ტაოც ქართულ სახელმწიფოში შემავალ ერთეულებად არის წარმოდგენილი“³⁵ (ხაზი ჩვენია — ა.ლ.).

მე-11 ს. ისტორიკოსი ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი წერს:

[სუმბატმა] „ალაშენა ციხე ქუეყანასა ოძრქევისასა, რომელს[ა] ეწოდებოდა სამცხე, ადგილსა, რომელსა ჰქუიან დომთა, მოკიდებულად მთასა ლადოსსა, და დაუტევნა მას შინა ლაშქარნი შემწედ წუნდათ და მაბრძოლად ოძრქეველთა და წარვიდა“³⁶ (ხაზი ჩვენია — ა.ლ.).

32. გიორგი მერჩული, შრომაჲ დამოლუანებაჲ ღირსადცხოვრებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი, ჩვენი საუნჯე, ტ. I, 1960, გვ. 149, გვ. 171.

33. იქვე, გვ. 181.

34. იქვე, გვ. 181.

35. საქართველოს ისტორიის ნარკვევები... გვ. 484.

36. ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, „ცხოვრება ქართუელთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“, ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეულიწიწისა, დასაბეჭდად მოამზადა ფილოლოგიის განყოფილებამ ს. ყ ა უ ხ რ ი შ ვ ი ლ ის რედაქციით, თბ., 1942, გვ. 29.

როგორც ამ ამონაწერებიდან ჩანს, ს ა მ ც ხ ე საქართველოში ცნობილი ყოფილა არა თუ XII-XIII საუკუნეებში, არამედ გაცილებით ადრე, IX ს-ის პირველ მეოთხედშიც კი, რომ არაფერი ვთქვათ VIII საუკუნეზე, რომელსაც ზემოხსენებული ნაწარმოებები ნაწილობრივ მანაც ეხება (იხ. ქვემოთ).

გ. ბ ე დ ო შ ვ ი ლ ი ს შეხედულებით, ტოპონიმი ს ა მ - ც ხ ე გენეტიურად მიღებულია „რეგიონის, ტერიტორიის ერთობლიობის აღმნიშვნელი სახელწოდება ს ა მ ც ხ ე თ ო - დ ა ნ“, რომელიც „ძირითადად IX საუკუნის დროინდელი ტაოკლარჯეთში შეიქმნა მცხეთის ეპარქიის მიერ საქვეშევრდომო „საყმო“ მამულების შემოერთების დროს“.

ამასვე ამბობდა ვ ა ხ უ შ ტ ი ც იმ განსხვავებით, რომ, მისი აზრით, ს ა მ ც ხ ე თ ო ტაოკლარჯეთის სამეფოს ეწოდა ჯერ კიდევ ბაგრატიონთა მეფობამდე,³⁷ ე. ი. IX საუკუნემდე.

რა უნდა ითქვას სახელწოდება ს ა მ ც ხ ე თ ო ს შესახებ? ჯერ ერთი, მეცნიერულად არავის დაუმტკიცებია, რომ ტაოკლარჯეთის სამთავროს ოდესმე ს ა მ ც ხ ე თ ო ეწოდებოდა. ეს, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ივარაუდა ვახუშტიმ, რაკი ტოპონიმი სამცხე ბგერითი შედგენილობით ჰგავდა მცხეთას. მერეა და, რაც მთავარია, ტოპონიმი ს ა მ ც ხ ე ხომ ცნობილი იყო VII-VIII საუკუნეებშიც, ე. ი. გაცილებით ადრე, ვინემ ხსენებულ ავტორთაგან ს ა მ ც ხ ე თ ო ს გაჩენა ივარაუდება. ასე, მაგალითად:

IX საუკუნის არაბი ისტორიკოსების ცნობით, შ ა ბ ი ბ - ი ბ ნ მ ა ს ლ ა მ ა ს „დაცვის სიგელში“, რომელიც შედგენილია 654 წელს არაბების მიერ ქართლის დაპყრობასთან დაკავშირებით, ნათქვამია, რომ ქართლის პატრიკიოსის უშუალო სამფლობელოსთან ერთად არაბებს იმავე პირობით დაემორჩილნენ საქართველოს სხვა კუთხეებიცო და ჩამოთვლილია: ს ა მ - ც ხ ე, არტაანი, შავშეთი, კლარჯეთი, თრიალეთი, კახეთი, კუხეთი, გარდაბანი და სხვ.³⁸

37. ქართლის ცხოვრება, IV, ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა... გვ. 658-659.

38. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II... გვ. 286-287, 295; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1948, გვ. 72-73.

კუხეთი, გარდაბანი და სხვ.³⁸

VII საუკუნის გეოგრაფიული წყაროს ავტორის, ან ა ნ ა შ ი რ ა კ ე ლ ი ს, ცნობით, ამ დროს იბერიაში იყო შემდეგი ოლქები: კლარჯეთი, არტაანი, შავშეთი, ჯავახეთი, ს ა მ ც ხ ე, აჭარა და სხვ.³⁹

„სომხური გეოგრაფია“, ანუ „აშხარაცუიცი“, რომლის „საბოლოო რედაქცია VI-VII საუკუნეთა მიჯნას ეკუთვნის“ და რომლის „მონაცემები საქართველოს შესახებ სავარაუდოდ IV ს-ს უნდა ეკუთვნოდეს“, „ქართლში შემავალი პროვინციების ანუ „ქვეების“ ჩამოთვლას იწყებს ქოროხის მდინარიდან ტაოს ჩრდილოეთით და მოჰყვება აღმოსავლეთისაკენ: 1. კლარჯეთი... 2. შავშეთი, 3. არტაანი, 4. ჯავახეთი, 5. ს ა მ ც ხ ე, 6. გოროთისხევი...“⁴⁰

აღსანიშნავი ისიცაა, რომ ქართველი ისტორიკოსები ამ ტოპონიმზე მიუთითებენ IV—VI სს,⁴¹ თუ III—IV სს რუკებზეც.⁴²

ვფიქრობთ, ზემოთ წარმოდგენილი მასალები გარკვევით ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ ტოპონიმი ს ა მ ც ხ ე VII საუკუნის II ნახევრის დასაწყისიდან მაინც იხმარებოდა, თუ უფრო ადრე არა.

როგორც ვხედავთ, ს ა მ ც ხ ე ტოპონიმი ზემოხსენებული ავტორების მიერ სავარაუდოდ ს ა მ ც ხ ე თ ო ს გაჩენამდე არსებულა და დებულება იმის შესახებ, რომ „სამცხეთო ფორმას... დაახლოებით IX ს-ის დასასრულს, X ს-ის I ნახევარში, გამარტივების შედეგად სამცხე მოუცია“, ისტორიულ საფუძველს მოკლებულია.

თქმულიდან გამომდინარე, უმართებულოა მეორე დებულება, რომელიც ს ა მ ც ხ ე თ ო ს ენობრივ ცვლილებას, „გამარტივებას“, ეხება. ამ დებულების მიხედვით, „სახელწოდება სამცხეთოს შეკვეცისათვის ხელი უნდა შეეწყოს მის კომპოზიტურ წყვილში შესვლას: სამცხეთო-საათაბაგო > სამცხე-საათაბაგო“. როგორც ცნობილია, სამცხე-საათაბაგოს სამფლობელო თავისი

39. ი. ს. ი. ხ. ა. რ. უ. ლ. ი. ძ. ე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმთა, ნ. I, ბათუმი, 1958, გვ. 23.

40. დ. მ. უ. ს. ხ. ე. ლ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ნ. I, თბ., 1977, გვ. 171-172.

41. საქართველოს ისტორიის ნარკვევები... ტ. II, გვ. 96-97.

42. დ. მ. უ. ს. ხ. ე. ლ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. ს. დასახ. ნაშრომი, რუკა IV.

უნდა, XIII საუკუნის ეს ფაქტი VII-VIII საუკუნის მოვლენის სახეცვლილებას ხელს ვერ შეუწყობდა.

რა უნდა ითქვას გ. ბ ე დ ო შ ვ ი ლ ი ს იმ საბუთზე, რომ „სამცხეთოში შემავალი მოსახლეობის აღმნიშვნელი ზოგადი სახელწოდება სამცხეთარი // სამცხეთარნი დოკუმენტობრივად დადასტურებული „ქართლის ცხოვრებაში“?

სამცხეთარის მრ. რიცხვის ფორმა „სამცხეთარნი“, რომელსაც გ. ბ ე დ ო შ ვ ი ლ ი ემყარება, „ქართლის ცხოვრებაში“ არაა ნახმარი. ის მოცემულია ამ ტექსტის საკუთარ სახელთა საძიებელში (ქართლის ცხოვრება, ტ. II... გვ. 681) „სამცხეთართა“ სიტყვის განსამარტავად და ეკუთვნის ტექსტის გამომცემელს, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ს. ასე რომ, ეს სიტყვა-ფორმა საბუთად არ გამოდგება.

რაც შეეხება სიტყვა სამცხეთარ'ს, ის „ქართლის ცხოვრებაში“ (ტ. II) ნახმარია. აქ ვკითხულობთ:

„შევიდა ეშმაკი გულსა და გონებასა მისსა და მის მიერ შერისხდა ღმერთი ორბელთა და ყოველთა ტომთა და მიმდგომთა მათთა: სამცხეთართა, ჰერეთთა, კახეთთა და სადაცა ნათესავი და ნატამალი მსმენარი მათდა იყო. იქმნა განდგომა, ბრძოლანი, კლვანი, სისხლნი და რბევანი“.⁴³

არაა საეჭვო, რომ სამცხეთარი სატომო სახელია. აკი ნათქვამია: „ორბელთა და ყოველთა ტომთაო“ და ჩამოთვლილია: სამცხეთართა, ჰერეთთა, კახეთთა... სამცხეთარი ნიშნავს სამცხის ტომის წარმომადგენელს, სამცხის მცხოვრებს, სამცხელს. ასეც აქვს განმარტებული ეს სიტყვა არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს: „სამცხელს უდრისო“, — წერს ის და არა ს ა მ ც ხ ე თ ო შ ი მცხოვრებს, როგორც ამას ზემოხსენებული ავტორი ფიქრობს. სიტყვაშიც გამოჰყოფს სა-თურქეთ, სა-ყივჩაყეთ'ის ტიპის ფუძეს: სა-მცხეთ-ის⁴⁴ და არა სა-მცხეთ-ოს (ამაზე ქვემოთ).

ამას რომ თავი დავანებოთ, ს ა მ ც ხ ე თ ო'დან სამცხეთარ'ის წარმოების დაშვება გაუმართლებელია თუნდაც იმიტომ,

43. ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, თბ., 1959, გვ. 18.

44. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ადგილის სახელთა წარმოების ტიპები და მათი ისტორიული ურთიერთობა ქართულში, იკე, XIX, თბ., 1974, გვ. 73.

რომ ქართულში ო ხმოვანი არაა კვეცადი;⁴⁵ გვაქვს: ნათ. სამცხეთო-ს, მოქმ. სამცხეთო-თი, ვით. სამცხეთო-დ და არა სამცხეთის, სამცხეთ-ით, სამცხეთ-ად. შესაბამისად უნდა გვქონოდა სამცხეთო-არ-ი და არა სამცხეთ-არ-ი.

ს ა მ ც ხ ე თ ა რ - ი ნანარმოები ჩანს სამცხეთ ფუძიდან: სამცხეთ-არ-ი ისე, როგორც ჰ ე რ ე თ - თ - ა, კ ა ხ ე თ - თ - ა და, რაც მთავარია, როგორც სატომო სახელი ს ო მ ხ ი თ - ა რ - ი, მრ. ს ო მ ხ ი თ - ა რ - ნ - ი („სომხეთის მცხოვრები“) ფუძე სომხით'იდან:

„და მომრბეველმან ტაშირისა და ლორის კართამან დაიბანაკა აგარათა. და გაგზავნა ლაშქარნი, რომელნი დარჩომილ იყვნეს ერთგულად მისად და სხუა თემისა და თემის: მესხნი, თორელნი, ქართლელნი, ს ო მ ხ ი თ ა რ ნ ი და თუთ გაზრდილი მისი მეჯინიბეთ-უხუცესი ჭიაბერი, და მივიდეს ქუეყანასა ჰერეთისასა“.⁴⁶

გავარკვიოთ, თუ რას ნარმოადგენს ის თ, რომელიც ერთვის ტოპონიმ სამცხე'ს: სამცხეთ-არ-ი.

სალიტერატურო ქართულში ცნობილია დანიშნულებითის (განკუთვნების) სა — ეთ კონფიქსიანი ნარმოება: სა-თაგვ-ეთ-ი (ვაჟა)... სა-ძალღ-ეთ-ი, სა-კაც-ეთ-ი, სა-გიჟ-ეთ-ი (ნ. ლორთქიფანიძე)... სა-სროლ-ეთ-ი (გაზ. „ლელო“)...⁴⁷ სა-ქალ-ეთ-ი... ის ფართოდ გამოიყენება ტოპონიმების სანარმოებლადაც სხვადასხვა დიალექტებში, კერძოდ, ქართლურში:

სა-სირ-ეთ-ი⁴⁸ (სოფელი მცხეთის რ., ფიქსირებულია კასპისა და ქარელის რაიონებშიც), სა-ქაშ-ეთ-ი (სოფელი დმანისის რ.), სა-რკინ-ეთ-ი (მცხეთისა და დმანისის რ.), სა-ფერშ-ეთ-ი („ვეძათხევის დასავლეთით“)... ძველ ქართლში სა-ბარკლ-ეთ-ი, სა-ქორ-ეთ-ი (ლენინგორის რ.), სა-ზელ-ეთ-ი (ჯავის რ.), სა-კვირ-ეთ-ი, სა-ცხენ-ეთ-ი⁴⁹ (ცხინვალის რ.), სა-მაჩვ-ეთ-ი

45. როგორც ცნობილია, ერთადერთი გამონაკლისია ღვინო — ნათ. ღვინო-ს, მოქმ. ღვინო-თ — ნა-ღვინ-არ-ი, სა-ღვინ-ე და ა.შ.

46. ქართლის ცხოვრება, ტ. II... გვ. 19.

47. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ადგილის სახელთა ნარმოების ტიპები... გვ. 72.

48. სირი “ჩიტი“.

49. პატარა ლიხეზე მდებარეობსო, — წერს დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ე ი ლ ი, თან მიუთითებს იმაზეც, რომ სომხურ გეოგრაფიაში ის მოხსენებულია „კავკასიის ძირობაზე“, როგორც სა ც ხ უ მ ე თ ი ო (იხ. მისი საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები... გვ. 172-173, 177).

(თეთრი წყაროს რ.), სა-ჩხერ-ეთ-ი (საჩხერეს ნაცვლად. იხმა-
რება ოსურ ხალხურ სიმღერებში),⁵⁰ სა-კოშკეთ-ი (მინდორი,
საძოვარი. ს.ქუშხევი, ერწო-თიანეთში).⁵¹

მ ე ს უ რ შ ი (resp. ძველ ზემო ქართლში): სა-ყუნ-ეთ-ი (სა-
კუნ-ეთ-ი, სა-ლუნ-ეთ-ი), სათესი (ახალციხის რ.), სა-ლოშეთ-ი
(შა-ლოშეთ-ი), სა-ურმ-ეთ-ი...⁵²

ჯ ა ვ ა ხ უ რ შ ი: სა-ძაღლ-ეთ-ი („დადატ“, სადაც მხოლოდ
გადაგვარებული ხალხი ცხოვრობს“),⁵³ სა-მღერ-ეთ-ი (ვარძიის
ზემოთ).

ი მ ე რ ხ ე უ ლ შ ი: სა-ქუჩ-ეთ-ი, სა-რკინ-ეთ-ი, სა-სხ-ეთ-ი...

განსაკუთრებით უხვია ამ აფიქსით ნანარმოები ტოპონიმები
აჭარულში, მესხურის უშუალო მეზობელ დიალექტში.⁵⁴

სა-ვან-ეთ-ი (სათიბი), სა-მელ-ეთ-ი (სათიბი), სა-ყავრ-ეთ-ი, სა-
თოვლ-ეთ-ი, სა-კვირიკ-ეთ-ი (სათესი), სა-ძგვერ-ეთ-ი, სა-ჯგველ-
ეთ-ი // სა-ჯგვერ-ეთ-ი (სათესი, ტყე), სა-ლორ-ეთ-ი (სა-ლორ-
ეთ-ის წყალი, სა-ლორ-ეთ-ის ციხე), სა-ყენ-ეთ-ი, სა-ჩიქ-ეთ-ი, სა-
ჩქ-ეთ-ი, სა-სახლ-ეთ-ი, სა-სირ-ეთ-ი (სა-სირ-ეთ-ის ქალის თავი),
სა-სუქ-ეთ-ი, სა-ფილ-ეთ-ი (სათიბი, მთა, ტყე, საძოვარი), სა-ფრიქ-
ეთ-ი, სა-ფუტკრ-ეთ-ი (სათესი, ტყე), სა-მოლ-ეთ-ი, სა-გველ-
ეთ-ი (სათიბი), სა-თოვრ-ეთ-ი (სათესი), სა-თიხ-ეთ-ი, სა-მულ-
ეთ-ი, სა-ქორიქ-ეთ-ი (ბუჩქნარი), სა-რავ-ეთ-ი (სათესი), სა-
ჭალიმ-ეთ-ი (სათესი), სა-ისალ-ეთ-ი (ტყე), სა-თიბ-ეთ-ი
(სათიბი), სა-კობზ-ეთ-ი (ტყე), სა-წვ-ეთ-ი, სა-ის-ეთ-ი (ბუჩქნარი,
საძოვარი), სა-სვ-ეთ-ი, სა-ისრი-ეთ-ი, სა-ისრ-ეთ-ი, სა-ცირიქ-

50. არნ. ჩ ი ქ ბ ა ვ ა, ადგილის სახელთა წარმოების ტიპები... გვ. 73.

თვით სა-ჩხერ-ე კი ჩხერის (ბაძგის) ბუჩქებიან ადგილს უნდა ნიშნავდეს.
შდრ. მეგრ. ჩხერ-ონ-ა (ტყიანი ადგილი ძველი სენაკის სას. საბჭოში, პატარა
შხეფში (ცხაკიას რ.).

51. გ. ბ ე დ ო შ ვ ი ლ ი, ერწო-თიანეთის ტოპონიმია, თბ., 1980, გვ. 161.

52. ს. ჯ ი ქ ი ა, გურჯისტანის ვილაიეთი, დიდი დავთარი, წიგნი III, თბ., 1953,
გვ. 126, 256, 594.

53. გრიგოლ ბ ე რ ი ძ ე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ.,
1981, გვ. 115.

54. ვფიქრობთ, უხვი იქნებოდა მასალა სხვა დიალექტებშიც, რომ
ტოპონიმია ყველგან ისევე ზედმიწევნით კარგად იყოს შესწავლილი,
როგორც ეს აჭარულში ი. ს. ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე მ და სხვებმა შეძლეს.

ეთ-ი, სა-ქორ-ეთ-ი, სა-ნიგ-ეთ-ი, სა-სკ-ეთ-ი.⁵⁵

გ უ რ უ ლ შ ი: სა-სტაკ-ეთ-ი, სა-ბუ-ეთ-ი...

ი მ ე რ უ ლ შ ი: სა-ბნელ-ეთ-ი (ძვ. გლოვის ტაძარი ან სახლი), სა-ჩაფ-ეთ-ი (სოფელი წულუკიძესთან ახლოს).

რაც მთავარია, სა — ეთპრეფიქს-სუფიქსი ქართულში გამოყენებულა ეთნონიმებისაგან ტოპონიმების სანარმოებლადაც: ბერძენ-ი — სა-ბერძენ-ეთ-ი, სომეხ-ი — სა-სომეხ-ეთ-ი, თათარ-ი — სა-თათარ-ეთ-ი, ფრანგ-ი — სა-ფრანგ-ეთ-ი, თურქ-ი — სა-თურქ-ეთ-ი, ყივჩაღ-ი — სა-ყივჩაღ-ეთ-ი (ძვ. სა-ყივჩაყ-ეთ-ი)... არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ზემოაღნიშნულ ს ა მ ც ხ ე თ ა რ'შიც („სამცხელი“) გამოჰყოფს ამგვარად ნანარმოებ ფუძეს: სა-მცხ-ეთ. ამ მაგალითებიდან სა-ბერძენ-ეთ-ი, როგორც არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა აღნიშნავს, უძველესია: ის ძველ ქართულ ძეგლებში არაერთგზის არის დადასტურებული.⁵⁶

აქედან გამომდინარე, ცხადია, ბუნებრივი იყო წარმოება: სა-მესხ-ეთ-ი, რაც მესხების ტომით დასახლებულ ადგილს აღნიშნავდა.

ასეთი დაშვების შესაძლებლობას მხარს უჭერს ქართულის მოძმე კოლხური (მეგრულ-ჭანური) ენის მე გ რ უ ლ ი დიალექტის ჩვენებაც.

ქართული სა — ეთ კონფიქსის შესატყვისი მე გ რ უ ლ -შ ი არის ო — ეთ კონფიქსი (ქართ. ა'ს ხომ კოლხურში ო შეესატყვისება: კაც-ი: კოჩ-ი...): მეგრ. ო-შურ-ეთ-ი „საიქიო“ (ზედმინ. „სა-სულ-ეთ-ი“)... ამავე დროს, ცნობილია, რომ ეს სიტყვანარმოებითი აფიქსი დანიშნულების ფუნქციით შემონახულია ქართული ენის იმ დასავლურ დიალექტებში, რომელთა სუბსტრატს კოლხური წარმოადგენს: ქ ვ ე მ ო ი მ ე რ უ ლ შ ი: ო-რაგვ-ეთ-ი (წულუკიძის რ.), ო-ფურჩხ-ეთ-ი (წყალტუბოს

55. ჯ. ნ ო ლ ა ი დ ე ლ ი, აჭარა დიალექტოლოგიურად, [მიმოხილვა და ტექსტები], ბათუმი, 1936, გვ. 10; ნარკვევები და ჩანაწერები, ნ. II, ბათუმი, 1972, გვ. 220. ი ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, ნიგნი!... ნიგნი II, ბათუმი, 1959. შ. ნ ი ყ ა რ ა ძ ე, ზემოაჭარულის თავისებურებანი (გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ), ბათუმი, 1957, გვ. 54. მ. ც ი ნ - ც ა ძ ე, კირნათ-მარადიდის მეტყველების თავისებურებანი, შ. რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის სტუდ. შრომები, I, ბათუმი, 1954, გვ. 10. ა. მ ს ხ ა ლ ა ძ ე, მაჭახლის ხეობის ტოპონიმიკისათვის, შ. რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის სტუდ. შრომები, I, ბათუმი, 1954, გვ. 19-29.

56. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ადგილის სახელთა წარმოების ტიპები... გვ. 72.

რ.), ო-მ-ჯოხ-ეთ-ი (ვანის რ.), ო-ფრ-ეთ-ი (ქუთაისის რ.)...
გ უ რ უ ლ შ ი: ო-მ-ფარ-ეთ-ი (ლანჩხუთის რ.),⁵⁷ ო-ნჯარ-
ეთ-ი, ო-ზრიკ-ეთ-ი, ო-ჩინ-ეთ-ი, ო-ნჭიკ-ეთ-ი (ბუჩქნარი)...

ამავე დიალექტში დაცულია ქართული სა — ეთ აფიქსის შესატყვისი სხვა კოლხური სუბსტრატული აფიქსებიც: ო — ათ, სა — ათ (აკი, ქართ. ე'ს კოლხურში ახმოვანი შეესატყვი-
ლება: ცერ-ი: ჩანჯ-ი...), რომელთა საშუალებითაც ჩვეულებრივია დანიშნულების (განკუთვნების) გამომხატველი ტოპონიმების წარმოება:

გ უ რ უ ლ შ ი: ო-სკინ-ათ-ი...

აჭარულში: სა-მგლი-ათ-ი (ტყე), სა-ქორი-ათ-ი (ტყე), სა-
ბძელ-ათ-ი (სათესი, ტყე), სა-ბძელ-ანთ-ი (სათესი), სა-კარჭალ-
ათ-ი, სა-ყორნი-ათ-ი, სა-სხვ-ათ-ი, სა-ლორი-ათ-ი, სა-მბლი-ათ-ი,
სა-ბუქარ-ათ-ი...⁵⁸ სა-წოლ-ათ-ი...⁵⁹

კოლხურის ამ ჩვენებას დასმული საკითხის გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობა აქვს მიუხედავად იმისა, რომ მითითე-
ბულ აფიქსებს (ო — ეთ, ო — ათ, სა — ათ) ქართ. სა —
ეთ აფიქსისაგან განსხვავებით, არ ახასიათებთ ტოპონიმების
წარმოება ეთნიკური სახელებისაგან. არსებითი მნიშვნელობა
აქვთ იმიტომ, რომ ამ აფიქსების არსებობით დასტურდება ქართ.
სა — ეთ პრეფიქს-სუფიქსიანი სიტყვანარმოების სიძველე,
რომ ის ქართულისათვის დამახასიათებელი იყო უძველეს ხანაში,
ჯერ კიდევ ქართულ-კოლხურის გაყოფამდე, რამდენადაც
აღნიშნული კოლხური აფიქსებისათვის ამოსავალი ქართული
აფიქსია: ო — ეთ < სა — ეთ; ო — ათ < სა — ეთ; სა
— ათ < სა — ეთ.

რა ფუნქცია უნდა ჰქონოდა ამ უძველეს ხანაში სა — ეთ

57. მაგალითები აღებულია არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა ს ამავე შრომიდან (გვ. 74).

58. ი. ს. ი. ხ ა რ უ ლ ი ძ ე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმოგა,
ნიგნი, I, ...

59. ვ. თ. ო. ფ. უ. რ. ი. ა., გეოგრაფიულ სახელთა -თა სუფიქსისათვის
ქართულში, კრებ. „სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ
ენებში“, I, თბ., 1956, გვ. 8-9.

მეგრულში ბუნებრივია ტოპონიმების ოდენ -ათ სუფიქსიანი წარმოებაც:
კახ-ათ-ი, ყორ-ათ-ი, თეკლ-ათ-ი, ზან-ათ-ი, აბედ-ათ-ი... ასევეა გ უ რ უ ლ შ ი:
ჯუმ-ათ-ი, ჩოჩხ-ათ-ი, მამ-ათ-ი... ქვემო ი მ ე რ უ ლ შ ი: გეზ-ათ-ი, გელ-
ათ-ი... (შდრ. ნ. მახარაძე, საიდან მომდინარეობს სახელწოდება „გელათი“,
„ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე“, №4, 1995, გვ. 5-17).

(სა-მესხ-ეთ) აფიქსს?

არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა სა — ეთ (სა-სირ-ეთ-ი...), ო — ეთ (იმერ. ო-რაგვ-ეთ-ი... გურ. ო-მ-ფარ-ეთ-ი... მეგრ. ო-შურ-ეთ-ი...), კონფიქსების ეთ ელემენტს მიიჩნევს იმავე სუფიქსად, რაც გეოგრაფიულ სახელთა -ეთ მანარმოებელია: ტბ-ეთ-ი, ორბ-ეთ-ი... მესხ-ეთ-ი, თუშ-ეთ-ი, კახ-ეთ-ი, სვან-ეთ-ი... რამდენადაც ფიქრობს, რომ ეს უკანასკნელი მიღებულია სა — ეთ კონფიქსისაგან (ქორ-ეთ-ი < სა-ქორ-ეთ-ი... ყივჩალ-ეთ-ი < სა-ყივჩალ-ეთ-ი, ბერძნ-ეთ-ი < სა-ბერძნ-ეთ-ი...) და წერს: „სა-ფიქრებელია, რომ -ეთ- სუფიქსის ამოსავალი მნიშვნელობა იგივე იყოს, რაც -ედ- სუფიქსისა, სახელდობრ, -იან-, -ოვან-, ე.ი. მქონეობის მანიშნებელი: კარვ-ედ-ი (კარვიანი ადგილი), ყურ-ედ-ი — ყურიანი (საბა)... კუდ-ედ-ი „კუდის მქონებელი“ (საბა) (ხაზი ჩვენია. ა.ლ.)“.

მკვლევარი განაგრძობს: „თუ -ეთ განვმარტეთ როგორც -ედ: ტბ-ეთ-ი იქნება „ტბიანი“ ადგილი, თელ-ეთ-ი „თელიანი“, კლდე-ეთ-ი — კლდეებიანი, სვან-ეთ-ი — „სვანმოსახლეობიანი“, არაბ-ეთ-ი „არაბმოსახლეობიანი“, მკვდრ-ეთ-ი „მკვდრე-ბიანი“, სულ-ეთ-ი „სულეებიანი, ადგილი, სადაც სულეებია...“ სარკინ-ეთ-ი „ადგილი, სადაც რკინა მოიპოვება“, სა-მგლ-ეთ-ი „ადგილი, სადაც მგლებია“... სა-ბერძნ-ეთ-ი „ბერძნეებიანი რამ, ბერძნებით დასახლებული ადგილი“...⁶⁰

არის სხვა, შედარებით გაზიარებული, თვალსაზრისიც. ნ. მ ა რ ი ს, ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს, ალ. ლ ლ ო ნ ტ ი ს და სხვ. ენათმეცნიერთა შეხედულებით, ქართულ ტოპონიმთა (გეოგრაფიულ სახელთა) -ეთ მანარმოებელი (მესხ-ეთ-ი, თუშ-ეთ-ი, ხევსურ-ეთ-ი, სომხ-ეთ-ი... ორბ-ეთ-ი...) გენეტურად მრავლობითი რიცხვის სუფიქსია⁶¹ და წარმოადგენს იმავე ოდენობას, რაც გვაქვს მრ. რიცხვის გამოსახატავად მოთხრობითში, მიცე-

60. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა სა, ადგილის სახელთა წარმოების ტიპები... გვ. 70-71, 74.

61. Н. Я. Марр, история термина "абхаз" (1912 г.), კრებ. Н. Я. Марр, О языке и истории абхазов, Л., 1938, გვ. 50-51; მისივე: К истории передвижения яфетических народов с юга на север Кавказа, ИАН, Петроград, 1916, გვ. 1399; Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925, გვ. 35-36, 102. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ენის განვითარების შინაგან კანონთა ერთი ნიმუში ქართულში, იკე, ტ. V, თბ., 1953, გვ. 522-524. ალ. ლ ლ ო ნ ტ ი ს, მცხეთის ტოპონიმია, ი... გვ. 22-23, 25-28.

ვ. თოფურიამ მრავლობითობის -ეტი < ეთ < *ედ სუფიქსის არსებობის კვალი ოთხთავში საზოგადო სახელებშიც დაადასტურა: კრ-ეტი-საბმელი (< კარ-ეთ-საბმელი): „კ რ ე ტ - ს ა ბ მ ე ლ ი იგი ტაძრისაჲ მის განიპო ორად“.⁶⁸

ბ. მარი, ვ. თოფურია, ი. იმნაიშვილი, ალ. ლლონტი და სხვ. -ეთ სუფიქსს მრავლობითი რიცხვის ნიშნად მიიჩნევენ ვინ კითხვითი ნაცვალსახელის ისეთ ფორმებში, როგორიცაა: ვი-ეთ, ვი-ეთ-მე,⁶⁹ ვი-ეთ-ნი.⁷⁰

ი. იმნაიშვილმა ძველ ქართულში ადამიანთა საკუთარ სახელებთან: აზარეთ, ანანიეთ, ბარსაბაეთ და სხვ. -ეთ სუფიქსი მრავლობითი რიცხვის მანარმოებლად ცნო. ის წერს: „ადამიანთა სახელების მრავლობითობის აღსანიშნავად ეთ სუფიქსის გამოყენება თავისთავად მიუთითებს ამ მოვლენის სიძველეზე. აქ ჩვენ უნდა გვექონდეს ასახული სახელებში რიცხვის კატეგორიის ჩამოყალიბების ის საფეხური, როცა გვექონდა -ეთ სუფიქსი და არ გაგვარჩნდა ნ; ამ ეთ'ს დაკისრებული ჰქონდა ის ფუნქციები, რაც, ვთქვათ, დღეს ებ-ს აქვს მიჩენილი: იგი გამოხატავდა სახელთა მრავლობითობას ყველა ბრუნვაში, მათ შორის სახელობითის წინაპარშიც“.⁷¹

ვ. დონდუამ ძველი ქართულის ლიპარიტეთ და მისი ანალოგიური ფორმის სხვა საკ. სახელები: დავითეთ, ვახტანგეთ, შარვანშეთ, პავლეეთ, შამირამეთ და მისთ. მრავლობითი რიცხვის ფორმებად მიიჩნია.⁷²

ალ. ლლონტის აზრით, -ეთ სუფიქსი ამ რიგისაა ხევის

68. ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში, იკე, I, თბ., 1946, გვ. 72; ენის განვითარების შინაგან კანონთა ერთი ნიმუში ქართულში... გვ. 522.

69. შდრ. აგრეთვე, ვი-ეთთა-მე: „იციან კულად ქართული ენა ვიეთთა-მე“, — წერს ვახუშტი აჭარლებზე. იხ. ქართლის ცხოვრება, IV, ბატონი-შვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა... გვ. 690.

70. Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного... გვ. 102. ვ. თოფურია, ენის განვითარების შინაგან კანონთა... გვ. 523, ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 386. ალ. ლლონტი, მცხეთის ტომონიმია, II... გვ. 26-27.

71. ი. იმნაიშვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 386.

72. ვ. დონდუა, „ლიპარიტეთისა“ და ანალოგიური ფორმის გვარ-სახელებისათვის ქართულ ისტორიულ წყაროებში, საისტორიო ძიებანი, I, თბ., 1967, გვ. 101-128.

მიკროტოპონიმებში: ოხთანგეთ, ეფხვეთ, თადიეთ, პეტიეთ, შიბლიეთ, ჯანუეთ, ყაზიეთ...

„ეთ // -თ ფორმანტის გაჩენამ ადამიანის საკუთარ სახელებში მრავლობითი რიცხვის ნიშნად ნიადაგი მოამზადა იმისათვის, რომ მსგავსი სტრუქტურული მრდელის სახელებით ტოპონიმები აღნიშნულიყო“.⁷³

ამგვარ სახელებში „თავდაპირველი ფუნქცია -ეთ ფორმანტისა მრავლობითი რიცხვის ჩვენება უნდა ყოფილიყო და ეს ფუნქცია მას არ დაუკარგავს, დღესაც აქვს. ძველი ქართულის ლ ი პ ა რ ი ტ ე თ ფორმა იგივეა, რაც „ლიპარიტისანები“.⁷⁴

ფ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა ნერს: „-ეთ სუფიქსი სინქრონიული თვალსაზრისით მხოლოდ გეოგრაფიულ სახელთა მანარმოებელი ტოპოფორმანტია (რუსი — რუს-ეთ-ი...), მაშინ როცა იგი, დიაქრონიული გაგებით, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, მრავლობითის სუფიქსია“.⁷⁵

ზემოთ წარმოდგენილი მიმოხილვიდან აშკარაა, რომ -ეთ მორფემის თავდაპირველი ფუნქცია მრავლობითი რიცხვის გამოსატყვის იყო ძველ ქართულში, კერძოდ, მის არსებით სახელებში. ამას უნდა დაემატოთ ისიც, რომ ეს სუფიქსი უძველესი ჩანს მრავლობითობის ნიშანთა შორის (იხ. ზემოთ). ამავე დროს, ის მრავლობითობის საერთო ქართველური ფუძე-ენიდან მომდინარე ფორმანტია, რამდენადაც მას თავისი ფონეტიკური შესატყვისები მოეპოვება როგორც კოლხურში (მეგრულ-ჭანურში) -ათ, ისე სვანურშიც: -ეშდ.⁷⁶

რიცხვის გარჩევა, ცხადია, საჭირო იყო დანიშნულების გამოხატვის დროსაც. ამდენად, ბუნებრივი იყო, თუ უძველესი ქართულის მრ. რიცხვის აღნიშნული -ეთ მორფემა დანიშნულების ამსახველ სიტყვანარმოებაშიც დაჩნდებოდა. ავი გვაქვს კიდევ:

სა-მგლ-ე „მ გ ლ ის საჭმელი რამ“ — სა-მგლ-ეთ-ი „ადგილი, სადაც მ გ ლ ე ბ ი ა“.

სა-თაგვ-ე „თ ა გ ვ ი ს თ ვ ი ს განკუთვნილი რამ“ — სა-

73. ალ. ლ. ლ. ო. ნ. ტ. ი., მცხეთის ტოპონიმია, II... გვ. 28.
74. იქვე, გვ. 26-27.
75. ტოპონიმოვება, I, თბ., 1976, გვ. 122.
76. Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964, გვ. 80.

თაგვეთ-ი „ადგილი, სადაც თ ა გ ვ ე ბ ი ა“.

სა-ძალღ-ე „ძ ა ლ ლ ი ს თ ვ ი ს განკუთვნილი რამ“ — სა-ძალღ-ეთ-ი „ადგილი, სადაც ძ ა ლ ლ ე ბ ი ა“.⁷⁷

სა-ქორ-ე „ქ ო რ ი ს თ ვ ი ს განკუთვნილი რამ“ — სა-ქორ-ეთ-ი „ადგილი, სადაც ქ ო რ ე ბ ი ა“.⁷⁸

სა-ჩაფ-ე „ჩ ა ფ ი ს თ ვ ი ს განკუთვნილი რამ“ — სა-ჩაფ-ეთ-ი „ადგილი, სადაც ჩ ა ფ ე ბ ი ა“.

სა-გიჟ-ე „გ ი ჟ ი ს თ ვ ი ს განკუთვნილი რამ“⁷⁹ — სა-გიჟ-ეთ-ი „ადგილი, სადაც გ ი ჟ ე ბ ი ა“...

პირველი ფორმა, როგორც მორფოლოგიური ოდენობა, მხოლოდობითი რიცხვის სემანტიკის გამომხატველია, მეორე — მრავლობითი რიცხვისა.

საზოგადო სახელთა ამგვარი ფორმები შემდეგ გამოყენებულა ტ ო პ ო ნ ი მ ე ბ ა დ. ასეთ შემთხვევაში მხოლოდობითის ფორმას, ჩვეულებრივ, მრავლობითის მნიშვნელობა აქვს მოპოვებული და არსებობს მნიშვნელობით ერთნაირი, მაგრამ ფორმით განსხვავებული ტოპონიმები:

სა-სირ-ე (მცხეთის რ.) — სა-სირ-ეთ-ი (მცხეთის, კასპის და ქარელის რ.)

სა-რკინ-ე (ნაქალაქარი, მცხეთის უბანი) — სა-რკინ-ეთ-ი (მცხეთისა და დმანისის რ., იმერხევი).

სა-ვან-ე (საჩხერისა და ზესტაფონის რ.) — სა-ვან-ეთ-ი (ქართლში)

სა-კვირიკ-ე (მესხეთში) — სა-კვირიკ-ეთ-ი (აჭარაში)

77. ფიქსირებულია ჯ ა ვ ა ხ ზ რ შ ი: „ს ა ძ ა ლ ლ ე თ ი — გადატ. სადაც მხოლოდ გადაგვარებული ხალხი ცხოვრობს... „სჯობია საძალღეთის ქვეყნი ხალხი დარჩეს, ვიდრე მაგათი“ (გრიგოლ ბ ე რ ი ძ ე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა... გვ. 115).

78. შესაბამისად განიმარტება ოდენ-ეთ სუფიქსიანი ტოპონიმებიც: სვან-ეთი „ს ვ ა ნ ე ბ ი თ დასახლებული ადგილი“, ბერძნ-ეთი „ბ ე რ ძ ნ ე ბ ი თ დასახლებული ადგილი“, არაბ-ეთი „არაბებით დასახლებული ადგილი“, ყივჩაღ-ეთი „ყ ი ვ ჩ ა ლ ე ბ ი თ დასახლებული ადგილი“... ტბ-ეთი „ადგილი, სადაც ტ ბ ე ბ ი ა“, თელ-ეთი „ადგილი, სადაც თ ე ლ ე ბ ი ა“, კლდე-ეთი „ადგილი, სადაც კ ლ დ ე ე ბ ი ა“, მკვდრ-ეთი „ადგილი, სადაც მ კ ვ დ რ ე ბ ი ა“, სულ-ეთი „ადგილი, სადაც ს უ ლ ე ბ ი ა“, ქორ-ეთი „ადგილი, სადაც ქ ო რ ე ბ ი ა“... შდრ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ადგილის სახელთა წარმოების ტიპები... გვ. 70.

79. ზოგჯერ იხმარება სა გ ი ჟ ე თ ი ს მნიშვნელობითაც, რაც მეორეულია (არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ადგილის სახელთა წარმოების ტიპები... გვ. 72).

სა-ბუ-ე (ყვარლის რ.) — სა-ბუ-ეთ-ი (გურიაში)⁸⁰

ამგვარი საპირისპირო ფორმები ტოპონიმებში
სახით განსაკუთრებით ხშირია აჭარაში, მესხეთის მომიჯნავე
კუთხეში, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა:

| | | |
|------------|---|-----------------------------|
| სა-თივრ-ე | — | სა-თივრ-ეთ-ი |
| სა-ქორ-ე | — | სა-ქორ-ეთ-ი |
| სა-ლორ-ე | — | სა-ლორ-ეთ-ი |
| სა-მელ-ე | — | სა-მელ-ეთ-ი |
| სა-სირ-ე | — | სა-სირ-ეთ-ი |
| სა-ვან-ე | — | სა-ვან-ეთ-ი |
| სა-სახლ-ე | — | სა-სახლ-ეთ-ი |
| სა-ფუტკრ-ე | — | სა-ფუტკრ-ეთ-ი |
| სა-ჭალიმ-ე | — | სა-ჭალიმ-ეთ-ი ⁸¹ |

აქედან გამომდინარე, სამცხე-სათვის, როგორც მრ.
რიცხვის შინაარსის მატარებელი ტოპონიმისათვის, ამოსავალი
უნდა ყოფილიყო დანიშნულებითის მრ. რიცხვის სა — ეთ
კონფიქსით ნაწარმოები ფორმა — სა-მცხ-ეთ (მითუმეტეს, რომ
ეთონიმისაგან სა — ე პრეფიქს-სუფიქსით ტოპონიმი
ქართულში, როგორც ზემოთაც ითქვა, არ იწარმოება). ეს
სწორედ ის ფუძეა, რომელიც სა-მცხ-ეთ-არ'ში გამოიყო.
ცვლილებები კი ასე უნდა წარმოვიდგინოთ: სა-მცხ-ე < *სა-მცხ-
ეთ... < *სა-მესხ-ეთ.

ამგვარად, სამცხე ფუძის ამოსავალი ოდენობა ისეთივე აგებუ-
ლებისა უნდა ყოფილიყო, როგორიც გვაქვს ამჟამადაც სა-
ბერძნ-ეთ, სა-სომხ-ეთ, სა-თათრ-ეთ, სა-თურქ-ეთ, სა-ყივჩაღ-
ეთ, სა-ფრანგ-ეთ... ფუძეთა სახით.

კი, მაგრამ სა-მცხ-ეთ ფუძეში რამ გამოიწვია მრავლობითობის
სუფიქსისეული თ'ს დაკარგვა (სა-მცხეთ > სა-მცხ-ე) ?

უთუოდ ფონეტიკური ცვლილებების გამო ამ სიტყვის თავდა-
პირველი სემანტიკის, კერძოდ, მრავლობითობის გაგების გაუჩი-

80. ტყიბულის რაიონში არის ბუ-ეთ-ი 'ც.

81. ი. ს. ი. ხ. ა. რ. უ. ლ. ი. ძ. ე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმისა, ნ.
I და ნ. II...

ნარება-გაქრობას უნდა მოჰყოლოდა თ'ს, როგორც ფუნქცია-დაკარგული სუფიქსისეული ელემენტის გაქრობა. შედეგად კი ს ა - მ ც ხ - ე თ ფუძისაგან მიღებულია ს ა - მ ც ხ - ე, დანიშნულებითის მხოლოდობითი რიცხვის ფორმისებური ერთეული. ამიტომ დგას ის განმარტოებით ს ა — ე'თი ნანარმოებ (სა-სირ-ე, სა-მშვილდ-ე...) ტიპის ტოპონიმებს შორის, როგორც ეთნონიმისაგან (მესხ-ი) ნანარმოები ერთადერთი სახელი კუთხისა.

და ბოლოს, გასარკვევი დარჩა საკითხი, თუ როგორ მივიღეთ სა-მესხ-ეთ ფუძიდან სა-მცხ-ეთ ფუძე (მესხ ძირიდან მცხ ძირი), რომლის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდის არაფერი თქმულა.

საკითხის გადასაწყვეტად აუცილებელია ქართულ-ქართველური ენების სიტყვათმახვილის ადგილისა და ბუნების ისტორიის გათვალისწინება.

როგორც გარკვეულია, ქართულისა და, საერთოდ, ქართველური ენების უძველესი საფეხურისათვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ძლიერი დინამიკური სიტყვათმახვილი, რომელიც სიტყვებში უპირატესად თავკიდურ მარცვალზე, ბოლოკიდურ მარცვალზე ან ბოლოდან მეორე მარცვალზე მოდიოდა. ცნობილია ისიც, რომ ხმოვნის რედუქცია ფუძეში მახვილთან იყო დაკავშირებული. თავკიდური (პრეფიქსული თუ ფუძის) მარცვლის მახვილი მომდევნო მარცვლის, ხმოვნის რედუქციას იწვევდა: მიკმს < *მიკამს... თაფ-ლ < *თაფ-ალ (შდრ. მეგრ. თოფ-ურ), იფ-ქ-ლ < *იფ-ექ-ალ...⁸²

საანალიზო ს ა მ ე ს ხ ე თ — ფუძეში მახვილი თავკიდურ (პრეფიქსისეულ) მარცვალზე უნდა გვექნოდნა: ს ა მ ე ს ხ ე თ (შდრ. თანამედროვე სამცხე!). მას კი შეეძლო მომდევნო ე ხმოვნის რედუქცია გამოენვია: ს ა მ ე ს ხ ე თ > *ს ა მ ს ხ ე თ. და ეს მიუხედავად იმისა, რომ მესხ ფუძე, არაა კუმშვადი ისე, როგორც ეთნონიმები: ბერძენ-ი (ბერძნ-ის, ბერძნ-ით, ბერძნულ-ი... სა-

82. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. III, №№ 2, 3, თბ., 1942, გვ. 191-198, 297-303. სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 106-111 (/ 446).

ბერძნ-ეთ-ი), სომეხ-ი (სომხ-ის, სომხ-ით, სომხურ-ი... სა-სომხ-ეთ-ი), თათარ-ი (თათრ-ის, თათრ-ით, თათრულ-ი... სა-თათრ-ეთ-ი)... (შდრ. ზემოთ). მაგრამ, განა ქართულში, ჩვეულებრივ, უკუმშველი ფუძეები გარკვეულ ვითარებასა თუ დიალექტში არ განიცდიან ხმოვნის რედუქციას? ძველ ქართულში, როგორც ზემოთაც ვნახეთ, ფიქსირებულია კ რ - ე ტ - ს ა ბ მ ე ლ ი < კარ-ეთ-საბმელი, თუმცა კარი არ ყოფილა და არცაა კუმშვადი ფუძე (შდრ. კარ-ის, კარ-ით, სა-კარ-ე...).

სალიტერატურო ქართულში გვაქვს ქობულ-ეთ-ი — აქედან ქობულეთ-ის, ქობულეთ-ით, ქობულეთ-ურ-ი... მაგრამ გურულ და აჭარულ დიალექტებში გვხვდება ქ ო ბ ლ ე თ - ი.⁸³

არის სოფელი ზომულეთ-ი (ლანჩხუთის რ.) — აქედან ზომულეთ-ის, ზომულეთ-ით, ზომულეთ-ელ-ი... მაგრამ გურულსა და აჭარულში გვხვდება ზ ო მ ლ ე თ - ი, ზ ო მ - ლ ე თ ე ლ - ი.⁸⁴

არის გვარი ნიქრაძე — აქედან ნიქრაძ-ის, ნიქრაძ-ით, ნიქრაძე-ებ-ი... მაგრამ არის ტოპონიმი ნ ი ქ რ ე თ - ი.⁸⁵

სალიტ. ქართულში გვაქვს ბრონეული — აქედან ბრონეულ-ის, ბრონეულ-ით, სა-ბრონეულ-ე... მაგრამ ქართლში არის ტოპონიმი ბ რ ო ნ ლ ე თ - ი.⁸⁶ შდრ. ძვ. ქართ. მრონლე „ჯოგი“.

სალიტ. ქართულში გვაქვს ელისაბედი — აქედან ელისაბედ-ის, ელისაბედ-ით... მაგრამ გურულში გვხვდება ე ლ ს ა ბ ე - ღ - ი...⁸⁷

სალიტ. ქართულში გვაქვს ალექსანდრე — აქედან ალექსან-დრე-ს (სახლი), ალექსანდრე-თი... მაგრამ გურულში გვხვდება ა ლ ს ა ნ დ რ ე...⁸⁷ (ამ უკანაენელი ორი მაგალითის შესახებ დამატ. იხ. ქვემოთ).

ფშაურში დადასტურებულია ტოპონიმები: ბ უ რ ი ა ნ ი, ბ ა შ ნ ა ი ს ნ ყ ა ლ ი, ხ ა ქ ვ ლ ი ა ნ ი, რომლებიც, როგორც ირკვევა, ხმოვანთა რედუქციითაა მიღებული ასეთი შესაბამისი

83. ი. მ. გ. რ. ე. ლ. ი. ძ. ე, რედაქტორისგან, ნიგზში: ჯ. ნ. ო. ლ. ა. ი. დ. ე. ლ. ი. ნარკვევები და ჩანაწერები, ნ. II... გვ. 7.

84. ი. ქ. ვ. ე.

85. ალ. ლ. ო. ნ. ტ. ი, მცხეთის ტოპონიმი, II... გვ. 26.

86. ი. ქ. ვ. ე, გვ. 16.

87. ი. მ. გ. რ. ე. ლ. ი. ძ. ე, მიცემითი ბრუნვის ნიშნისა და მესამე პირის სუბიექტური ნიშნის სახეცვლილება გურულში, თსუ შრომები, ტ. VI, თბ., 1938.

სახელებისაგან: *ბუერიანი, *ბაშინაისწყალი, *ხაქოლიანი.⁸⁸

ქართულში (მარტყოფის ჩრდილოეთით) დადასტურებულია ტოპონიმები: ა ვ თ ა ნ დ ა რ ი ა ნ ი // ა ვ თ ა ნ დ რ ე ბ ი (ნაბალარი, ტყე),⁸⁹ სადაც უკანაქნელი რედუცირებული ფორმაა *ავთანდარები'სა...⁹⁰

ზემოთ აღდგენილ *ს ა მ ს ხ ე თ (<ს ა მ ე ს ხ ე თ) ფუძის მს კომპლექსში ს სპირანტს აფრიკატიზაციის შედეგად უნდა მოეცა ც (მს > მც): სა-მსხ-ეთ > სა-მცხ-ეთ > სა-მცხ-ე, რადგან, როგორც უკვე დადგენილი გვაქვს,⁹¹ ყოველ ხშულ ბგერასთან (მათ შორის სონორებთან და აფრიკატებთან) მეზობლობისას ხშვის კომპონენტის ნაწილობრივი შეერთება (შერწყმა) სპირანტულობასთან, resp. ნაპრალთან, იძლევა ც აფრიკატს (აფრიკატი ხომ ხშვისა და ნაპრალის შემცველი ბგერაა!). ეს ფონეტიკური მოვლენა ქართულ დიალექტთაგან განსაკუთრებით დამახასიათებელია მ ე ს ხ უ რ ი ს ა რ ე ა ლ ი ს დიალექტებისათვის, კერძოდ კი, გურულ-აჭარულისათვის, რომელთა სუბსტრატს, როგორც ცნობილია, კოლხური (მეგრულ-ჭანური) ენა წარმოადგენს.⁹² თვით კოლხურში სპირანტთა აფრიკატიზაციის პროცესი ძალიან ხშირია (და ძველიც...). შდრ.: მეგრ.: ჩხომ-ც („თევზ-ს“) < ჩხომ-ს, ქომონ-ც („ქმარ-ს“) < ქომონ-ს, ოსურ-ც („ქალ-ს“) < ოსურ-ს, ჩილ-ც („ცოლ-ს“) < ჩილ-ს...

88. ფ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, არაგვის ხეობის ფშავის ტოპონიმთა, ტოპონიმთა, ს, თბ., 1976, გვ. 117.

89. უ. ს ა ხ ლ თ ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი, მარტყოფის ტოპონიმის ისტორიისათვის, ტოპონიმთა, ს, თბ., 1976, გვ. 322.

90. სათანადო მაგალითები დამატებით იხ. გამოკვლევებში: ვ. თ ო ფ უ რ ი ა, რედუქციისათვის ქართველურ ენებში... გვ. 70-83, აგრეთვე, 87-89. გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელის ფუძის კუმშვისა და უკუმშველობის შემთხვევები ახალ ქართულში, იკე, XXI, თბ., 1980, გვ. 94-95, 106-107, 112, 117, აგრეთვე 123.

მსგავსი მაგალითები დასტურდება მეგრულ ანთროპოტოპონიმებშიც (იხ. პ. ცხადაია, -ლე — ე, სა-სა — ო აფიქსების შემცველი ანთროპოტოპონიმები მთიან სამეგრელოში, ტოპონიმთა, ს, თბ., 1976, გვ. 370-371. მთელი მარცვლის ამოვარდნაზე — გვ. 365).

91. იხ. ჩვენი სტატია: მიცემითი ბრუნვის მორფემისათვის მეგრულში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №1, თბ., 1972.

92. კოლხური სუბსტრატის არსებობას მ ე ს ხ უ რ ი ს ა თ ვ ი ს ვარაუდობს ვ. თ ო ფ უ რ ი ა თავის გამოკვლევებში: ქართულ-ქართველური ეთნონიმის ლინგვისტური საკითხები, ს, მესხ ეთნონიმის ისტორიისათვის, იკე, XVII, თბ., 1970, გვ. 121; ერთი პიპოტეტური ფორმის რეალურობისათვის ზანური ენის არეალიდან (სამცხის ტოპონიმთა, მაცნე, №6, 1968, გვ. 167-171.

ცირეფ-ც („ქალიშვილებ-ს“) < ცირეფ-ს, დუდ-ი („თავი“) — დუ-ც < *დუდ-ც < დუდ-ს, ღორონთ-ი („ღმერთი“) — ღორონ-ც < *ღორონთ-ც < ღორონთ-ს, კო-ც („კაც-ს“) < კოჩ-ც < კოჩ-ს... ჭკუნ-ც („ჭამს“) < ჭკუნ-ს, მურ-ც („მოდის“) < მურ-ს... ქურცი („ქუსლი“) < ქურსი, რცქინი („ქადილი“) < // რსქინი, ფარცაგი („საკვირველი“) < // ფარსაგი, ერცქემი („ჯიხვი“) < // ერსქემი...⁹³

ჭან. მცხულეფუნა („მსხალნარი“, სათესი ადგილის სახელწოდება)...⁹⁴

გურ. ქალ-ც < ქალ-ს, სანთელ-ც < სანთელ-ს, მჭად-ც < მჭად-ს, დიდ-ც < დიდ-ს, ლურჯ-ც < ლურჯ-ს, ქინძ-ც < ქინძ-ს... სტუდენ-ც < *სტუდენტ-ც < სტუდენტ-ს, ნალ-ც < ნალდ-ც < ნალდ-ს, დათ-ც < დათვ-ც < დათვ-ს, თი-ც < თით-ც < თით-ს, ჩი-ც < ჩიტ-ც < ჩიტ-ს... უყი-ც < უყიდ-ც < უყიდ-ს, უწყვე-ც < უწყვეტ-ც < უწყვეტ-ს, კე-ც < კეტ-ც < კეტ-ს... ვიპარცები < ვიპარსები, ფარცაგი < ფარსაგი, პენცია < პენსია, შანცი < შანსი, ხელცახოცი < ხელსახოცი, ელცაბედი < ელსაბედი < ელისაბედი, ალცანდრე < ალსანდრე < *ალქსანდრე < ალექსანდრე...⁹⁵ სულ-ც < სულ-ს, შამპანცკი < შამპანსკი (რუს.)...⁹⁶

აჭარ. ბლავილ-ც < ბლავილ-ს...⁹⁷

იმერ. პარცვა < პარსვა, ფარცაგი < ფარსაგი, პენცია < პენსია, შანციანი < შანსიანი...⁹⁸ ქერცუკანა < ქერსუკანა (წყალტუბოს რ.)...⁹⁹

93. უფრო დანვრილებით იხ. ჩვენს სტატიაში: მიცემითი ბრუნვის მორფემი-სათვის...

94. ი. ს. ხ. ა. რ. უ. ლ. ი. ძ. ე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმთა, ნიგნი II... გვ. 140, 188.

95. მაგალითები ამოღებულია ი. მ. ე. გ. რ. ე. ლ. ი. ძ. ი. ს. ხ. ა. რ. უ. ლ. ი. ძ. ე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმთა, ნიგნი II... გვ. 140, 188.

96. იხ. ი. გ. ი. გ. ი. ნ. ე. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. ძ. ე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმთა, ნიგნი II... გვ. 419.

97. შ. ნ. ი. ე. ა. რ. ა. ძ. ე. ზემოაჭარულის თავისებურებანი... გვ. 31.

98. პ. გ. ა. ჩ. ე. ჩ. ი. ლ. ა. ძ. ე. იმერული დიალექტის ხანურ-ზეგნური მეტყველება, იკე, VIII, თბ., 1956, გვ. 120; ლ. ლ. ე. ჟ. ა. ვ. ა. ზემოიმერულის მასალები ერთი სოფლის მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით, იკე, IX-X, თბ., 1958, გვ. 178.

99. ბ. ჯ. ო. რ. ბ. ე. ნ. ა. ძ. ე. დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური ცვლილებები ქართულ ტოპონიმთაში (ზოგადი მიმოხილვა), ტოპონიმთა, თბ., 1976, გვ. 231, 239.

ს სპირანტის აფრიკატიზაცია შეიმჩნევა ბ ო რ ჯ ო მ ი ს
ხ ე ო ბ ი ს ქ ა რ თ ლ უ რ შ ი ც, resp. ძველი ს ა მ ც ხ ი ს
მეტყველებაში, რაც განსაკუთრებით საგულისხმო ფაქტია
ტოპონიმ ს ა მ ც ხ ე 'ს გენეზისის გასარკვევად: გაიპარცება
< გ ა ი პ ა რ ს ე ბ ა...¹⁰⁰

სხვათაშორის, შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი ს „ვეფხისტყაოსანშიც“ ვკითხულობთ: „არ ძ ა ლ - უ ც ს რ უ ლ - ქ მ ნ ა
სიტყვათა გულისა გასაგმირეთაო“, სადაც ძალ-უც < *ძალ-უძც
< ძალ-უძს (შდრ. უძს < უძევს < უდევს).

ასე რომ, *ს ა მ ს ხ ე (< *სამესხეთ) > *ს ა მ ც ხ ე თ > ს ა მ -
ც ხ ე სავსებით შესაძლებელი, მეტსაც ვიტყვოდით, სავსებით
ბუნებრივი მოვლენა უნდა ყოფილიყო V-VII საუკუნეების მესხურ-
სა (resp. ზემო ქართლურსა), თუ მის მეზობელ ქართულ დიალექ-
ტებში, სადაც ეს ტოპონიმი უნდა წარმოშობილიყო. დასადა-
სტურებული ფაქტი თავისთავად იმის მაუწყებელია, რომ ს > ც
ფონეტიკური პროცესი ამ დროსაც დამახასიათებელი მოვლენა
იყო ქართულისათვის.

იმის გარკვევა კი, ეს ტოპონიმი თვით მესხებმა შექმნეს, თუ
მეზობელმა ტომებმა, ჯერჯერობით არ ხერხდება. ამისათვის
აუცილებელია ამ არეალის ყველა დიალექტის გამოწვლილვითი
შესწავლა, რაც ჯერ კიდევ მომავლის საქმეა.

დაეოფეგული ლიტერატურა

1. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართვე-
ლოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლ ო მ ო უ -
რ ი ს ა და ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით,
თბ., 1941.

100. გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ბორჯომის ხეობის ქართლურის თავისებურებანი,
იკე, VIII, თბ., 1956, გვ. 86.

მაგალითების სიმცირე კი, ვფიქრობთ, გამოწვეულია იმით, რომ მესხური
დიალექტი, მესხეთის ტოპონიმიც ამ თვალსაზრისით არაა სათანადოდ
შესწავლილი.

2. ბ ე დ ო შ ვ ი ლ ი გ., ტოპონიმ ს ა მ ც ხ ი ს წარმოშობის ისტორიისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, XXVII სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1981.
3. ბ ე დ ო შ ვ ი ლ ი გ., ერწო-თიანეთის ტოპონიმია, თბ., 1980.
4. ბ ე რ ი ძ ე გრიგოლი, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1981.
5. გ ა ჩ ე რ ი ლ ა ძ ე პ., იმერული დიალექტის ხანურ-ზეგნური მეტყველება, იკე, VIII, თბ., 1956.
6. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი ი., თ ო ფ უ რ ი ა ვ., ქ ა ვ თ ა - რ ა ძ ე ი., ქართული დიალექტოლოგია, I, ქართული ენის კილოთა მოკლე განხილვა. ტექსტები, ლექსიკონი, თბ., 1961.
7. დ ო ნ დ უ ა ვ., „ლიპარიტეთისა“ და ანალოგიური ფორმის გვარ-სახელებისათვის ქართულ ისტორიულ წყაროებში, საისტორიო ძიებანი, I, თბ., 1967.
8. თ ო ფ უ რ ი ა გ., ერთი ჰიპოთეტური ფორმის რეალურობისათვის ზანური ენის არეალიდან (სამცხის ტოპონიმიკიდან), მაცნე, №6, თბ., 1968.
9. თ ო ფ უ რ ი ა გ., ქართულ-ქართველური ეთნონიმიკის ლინგვისტური საკითხები, I, მესხ-ეთნონიმის ისტორიისათვის, იკე, XVII, თბ., 1970.
10. თ ო ფ უ რ ი ა ვ., რედუქციისათვის ქართველურ ენებში, იკე, I, თბ., 1946.
11. თ ო ფ უ რ ი ა ვ., ენის განვითარების შინაგან კანონთა ერთი ნიმუში ქართულში, იკე, ტ. V, თბ., 1953.
12. თ ო ფ უ რ ი ა ვ., გეოგრაფიულ სახელთა -თა სუფიქსისათვის ქართულში, კრებ. — „სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში“, I, თბ., 1956.
13. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი გრ., ბორჯომის ხეობის ქართლურის თავისებურებანი, იკე, VIII, თბ., 1956.
14. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი გრ., სახელის ფუძის კუმშვისა და უკუმშველობის შემთხვევები ახალ ქართულში, იკე, XXII, თბ., 1980.

15. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი ი., სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957.
16. ლ ე ჟ ა ვ ა ლ., ზემოიშერულის მასალები ერთი სოფლის მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით, იკე, IX-X, თბ., 1958.
17. ლ ო მ თ ა ძ ე ა., მიცემითი ბრუნვის მორფემისათვის მეგრულში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №1, თბ., 1972.
18. ლ ო მ ს ა ძ ე შ., სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუანლებიდან XIX საუკუნის შუანლებამდე), თბ., 1975.
19. მ ა კ ა ლ ა თ ი ა ფ., არაგვის ხეობის ფშავის ტოპონიმიკა, ტოპონიმიკა, I, თბ., 1976.
20. მ ა ხ ა რ ა ძ ე ნ., საიდან მომდინარეობს სახელწოდება „გელათი“, ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე, №4, 1995, გვ. 5-7.
21. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე ი., მიცემითი ბრუნვის ნიშნისა და მესამე პირის სუბიექტური ნიშნის სახეცვლილება გურულში, თსუ შრომები, ტ. VI, თბ., 1938.
22. მ ე რ ჩ უ ლ ე გიორგი, შრომა და მოლუანება ღირსად-ცხოვრებისა და წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი, ჩვენი საუნჯე, ტ. I, თბ., 1960.
23. მ რ ო ვ ე ლ ი ლეონტი, „ცხოვრება ქართუელთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“, ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, დასაბეჭდად მოამზადა ფილოლოგიის განყოფილებამ, (ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით), თბ., 1942.
24. მ ს ხ ა ლ ა ძ ე ა., მაჭახლის ხეობის ტოპონიმიკისათვის, შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის სტუდ. შრომები, I, ბათუმი, 1954.
25. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ნ. I, თბ., 1977.
26. ნ ი ჟ ა რ ა ძ ე შ., ზემოაჭარულის თავისებურებანი (გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ), ბათუმი, 1957.
27. ნ ო ლ ა ი დ ე ლ ი ჯ., აჭარა დიალექტოლოგიურად (მიმო-

ხილვა და ტექსტები), ბათომი, 1936.

28. ნოღაიდელი ჯ., ნარკვევები და ჩანაწერები, წ. II, დიალექტოლოგიის საკითხები. კრებული გამოსაცემად მოამზადა, რედაქცია გაუკეთა პროფ. ი. მეგრელიძემ, ბათუმი, 1972.
29. როგავა გ., ზოგი ქართული გვარის სუფიქსაციისათვის, აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIII, ქუთაისი, 1955.
30. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973.
31. სახლთხუცისვილი უ., მარტყოფის ტოპონიმის ისტორიისათვის, ტოპონიმოკა, I, თბ., 1976.
32. სიხარულიძე ი., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმოკა, წიგნი I, ბათუმი, 1958.
33. სიხარულიძე ი., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმოკა, წიგნი II, ბათუმი, 1959.
34. ტოპონიმოკა, I, თბ., 1976.
35. ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959.
36. ქართლის ცხოვრება, IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
37. ლლონტი აღ., მცხეთის ტოპონიმია, II, ტოპონიმოკური ძიებანი, თბ., 1975.
38. შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, მეორე გამოცემა, თბ., 1973.
39. ჩიქობავა არნ., სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.
40. ჩიქობავა არნ., მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. III, №№ 2, 3, თბ., 1942.
41. ჩიქობავა არნ., მრავლობითობის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში, იკე, VI, თბ., 1954.

42. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ., ადგილის სახელთა წარმოების ტიპები და მათი ისტორიული ურთიერთობა ქართულში, იკე, XIX, თბ., 1974.
43. ც ი ნ ც ა ძ ე მ., კირნათ-მარადიდის მეტყველების თავისებურებანი, შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის სტუდ. შრომები, I, ბათუმი, 1954.
44. ც ხ ა დ ა ი ა პ., ლე — ე, სა-, სა — ო აფიქსების შემცველი ანთროპოტოპონიმები მთიან სამეგრელოში, ტოპონიმიკა, I, თბ., 1976.
45. ცხორება და მოქალაქობა ღმერთშემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისი, ჩვენი საუნჯე, ტ. I, 1960.
46. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, ტფ., 1919.
47. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1948.
48. ჯ ი ქ ი ა ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, თბ., 1958.
49. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ბ., დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური ცვლილებები ქართულ ტოპონიმიაში (ზოგადი მიმოხილვა), ტოპონიმიკა, თბ., 1976.
50. К л и м о в Г. А., Этимологический словарь картвельских языков, М., 1964.
51. М а р р Н. Я., О языке и истории абхазов, М.-Л., 1938.
52. М а р р Н. Я. История термина "абхаз", Известия императорской Академии наук, Т. VI, С-П, 1912.
53. М а р р Н. Я., К истории передвижения яфетических народов с юга на север Кавказа, ИАН, Петроград, 1916.
54. М а р р Н. Я., Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია XI ს-ის ისტორიკოსის — ლეონტი მროველის მიერ გადმოცემული ლეგენდა, რომლის მიხედვით უძველესი ქალაქი მცხეთა ეთნარქმა მცხეთოსმა „ალაშენა... შესაკრებელსა შორის მტკურისა და არაგვსასა და უწოდა სახელი თჳსი მცხეთა“.¹

ქართულ გეოგრაფიულ სახელთა შორის ეს ტოპონიმი ერთ-ერთი უძველესია. იგი დასტურდება დღემდე შემონახულ როგორც ქართულ, ისე უცხოურ ოდინდელ ძეგლებში.²

მცხეთის ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრებით მიკვლეული მასალის საფუძველზე ისტორიკოსებისა და არქეოლოგების მიერ დადგენილია, რომ ჯერ კიდევ ადრინდელ ბრინჯაოს ხანასა და გვიან ბრინჯაოსა და ადრინდელ რკინის ხანაში — III—I ათასწლეულში ჩვენს წელთაღრიცხვამდე — მტკვრისა და არაგვის შესართავთან მართლა არსებობდა სამი დასახლებული პუნქტი: მტკვრის მარცხენა ნაპირზე — მცხეთა, მდინარეთა შესაყარის აღმოსავლეთით — წინამური (სტრაბონის მიხედვით, სეუსამორა // სეუმორა), ხოლო მტკვრის მარჯვენა მხარეს — ქართლი, შემდეგში არმაზად წოდე-

* ნაწილი გამოკვლევისა: „მცხეთისა“ და „სამცხის“ ეტიმოლოგიისათვის, რომლის შედეგებიც მოხსენდა ი. ჭავჭავაძის სახ. თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის XXIX სამეცნიერო სესიას 1979 წლის 25 დეკემბერს.

1. ქართლის ცხოვრება, I, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს რედ., თბ., 1955, გვ. 9.

2. საკითხის შესწავლის ისტორია იხ. ალ. ლ. ლ. ო. ნ. წ. ნაშრომში — „მცხეთის ტოპონიმი, II, ტოპონიმიკური ძიებანი“, თბ., 1975.

3. ნ. ბ. ბ. ე. ნ. შ. ვ. ი. ლ. ი. რედ., თბ., 1946, გვ. 63. ა. ა. ფ. ა. ქ. ი. ქ. ე. გ. გ. ო. ბ. ე. ე. შ. ვ. ი. ლ. ი. რედ., თბ., 1946, გვ. 63. ა. ა. ფ. ა. ქ. ი. ქ. ე. გ. გ. ო. ბ. ე. ე. შ. ვ. ი. ლ. ი. რედ., თბ., 1937; არმაზის არქეოლოგიური ექსპედიცია, ენიშვის მოამბე, ტ. IV, ნაკვ. 3, თბ., 1937; არმაზის არქეოლოგიური ექსპედიცია, 1938 წ., ენიშვის მოამბე, ტ. IV, ნაკვ. 3, თბ., 1939; გ. ლ. ო. მ. თ. ა. თ. ი. ქ. ე. გ. გ. ო. ბ. ე. ე. შ. ვ. ი. ლ. ი. რედ., თბ., 1945; გ. მ. ე. ლ. ი. ქ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. რედ., თბ., 1955; გ. ლ. ო. მ. თ. ა. თ. ი. ქ. ე. გ. გ. ო. ბ. ე. ე. შ. ვ. ი. ლ. ი. რედ., თბ., 1955; ა. ა. ფ. ა. ქ. ი. ქ. ე. გ. გ. ო. ბ. ე. ე. შ. ვ. ი. ლ. ი. რედ., თბ., 1958; ა. ა. ფ. ა. ქ. ი. ქ. ე. გ. გ. ო. ბ. ე. ე. შ. ვ. ი. ლ. ი. რედ., თბ., 1963, გვ. 11-12; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გ. მ. ე. ლ. ი. ქ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. რედ., თბ., 1970; ა. ა. ფ. ა. ქ. ი. ქ. ე. გ. გ. ო. ბ. ე. ე. შ. ვ. ი. ლ. ი. რედ., თბ., 1984.

ბული.³

ამავე დროს, სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ „ჯერ კიდევ პირველი ათასწლეულის დამდეგს, ძველი წელთაღრიცხვით, ბრინჯაოს ხანაში, მცხეთა მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილა“, ხოლო „ელინისტურ ხანაში მცხეთა ქალაქად გადაიქცა“,⁴ ძვ. წ. IV ს-ის ბოლოდან კი ის ახლადწარმოქმნილი ქართლის (ანუ იბერიის) სამეფოს პოლიტიკური ცენტრი გახდა. „საქართველოს ისტორიაში“ ვკითხულობთ: „სწორედ ელინისტურ ხანაში სასპერ-იბერების სამეფომ დიდი მიწა-წყალი დაჰკარგა სამხრეთისაკენ და, ბოლოს, ამიერკავკასიის საზღვრებში მოემწყვდა.

სამხრეთის რაიონების დაკარგვას ის მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა, რომ სახელმწიფოებრივმა და კულტურულმა ცენტრებმა ერთხელ კიდევ გადმოინაცვლეს თავისი ადგილი ჩრდილოეთისაკენ, მტკვრის აუზში. იბერიის, ანუ ქართლის სამეფოს დედაქალაქად მ ც ხ ე თ ა გადაიქცა...

ამის შემდეგ ვიდრე შეექვსე საუკუნემდე, ახ. წ., აღმოსავლეთ საქართველოს დედაქალაქი მცხეთა იყო.“⁵

ამ დროს მისი სახელი განზოგადდა შემოერთებულ ახლომდებარე სამოსახლო პუნქტებზეც: წინამური, არმაზი (დღევანდელი ბაგინეთი) და სხვ. და დიდ მცხეთად იქცა. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს სიტყვით, „დიდი მცხეთა ბაგინეთ-მცხეთა-წინამურით და უბნებით მონათმფლობელური ქართლის სახელმწიფოს პოლიტიკური ცენტრი“ იყო.“⁶

ამ დროიდან მოყოლებული მცხეთა დღემდის არსებობს თავის ფუძეზე, წარმოადგენს უნიკალურ სიძველეთა სავანეს, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართველი ხალხის ისტორიისათვის.

ტოპონიმი „მცხეთა“ დიდი ხანია, რაც ეტიმოლოგიური ძიების ყურადღების ცენტრშია. მას იკვლევდნენ ნ. მ ა რ ი, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ალ. ლ ლ ო ნ ტ ი...

4. ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია... გვ. 63.

5. იხ. იქვე, გვ. 62.

6. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი VIII, თბ., 1975, გვ. 222.

ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა ნ. მ ა რ ი ს შრომა: "История термина "абхаз".

ავტორს ის უძველესი სიტყვიერი ფორმა აბას-გ'ის ფონეტიკურ სახესხვაობად მიაჩნია. გ', მისი შეხედულებით, მრავლობითი რიცხვის ნიშანია, ა- პრეფიქსი, ბას- კი ამ ერთ-ერთი უძველესი იაფეტური ტომის სახელწოდების ძირია, რომელმაც თავისი კვალი დატოვა კავკასიის როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის გეოგრაფიულ სახელებში.

ეს იაფეტური ეთნიკური ძირი გამოიყო იაფეტიდების სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მოძრაობის დროს. მისი პირველადი სახეა მას-(< *ბას), მრავლობითი რიცხვის სუფიქსით: *მას-ბ, რაც გვაქვს სამი სახესხვაობით: თუბალ-კაინური მ ო ს - ო - ბ (არასრულხმოვანი სახით მ ო ს - ბ), სვანური მ ე ს - ბ (შემონახული ქართულიდან ნასესხები სახით), ერთიდაიმავე ხალხის ორ სახელწოდებაში და არიულ-სომხური *მ ა ს - ე - ბ (არასრულხმოვნებით *მ ა ს - ბ). შემდეგ ავტორი ასკვნის: "По огласовке разновидность съ а - *mas-ǵ, при тубал-кайнском о (mos+o-ǵ) и сванском е (mes-ǵ), пришлось бы признать картскою, но в картской и тубал-кайнской группах ǵ не служил показателем множественности, множественная форма *masǵ была принята за основу, от которой и образовано внов мн. число *masǵ-om с суффиксом -om, диалектическим эквивалентом древне-грузинского -em, показателя множественности и в связи с этим окончания названий стран... От тех же согласных, воспринятых, как трехсогласный корень (msǵ), при том с подъемом s в ǵ (mǵq), с помощью суффикса -em в эмфатической форме образовано название древнейшего города Грузии мცხეთა mǵǵ-em-a Мцхета, очевидно, насаждения абхазов=абазхов, собственно их прародителей мосохов, а не картов".⁸

როგორც ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობიდან ჩანს, ნ. მარისათვის „მცხეთა“ სიტყვის ამოსავალი „მესხ“ ფუძეა, ამ ორი ფუძის ერთმანეთთან დაკავშირება კი შეპირობებულია არაქართველთა ტომის, შესხების, მიგრაციით სამხრეთ საქართველოდან.

7. Н. Я. Марр, История термина "абхаз", Известия Императорской Академии Наук, том VI, гв. 698-706, С-II, 1912.

8. ი ქ ვ ე, გვ. 703-704.

გარდა ამისა, ნ. მარის მიხედვით, „მცხეთა“ სიტყვის ამოსავალი სამთანხმოვნოანი ფუძეა: მსხ, რომელიც მომდინარეა *მას-ხ // *მოს-ო-ხ // *მეს-ხ ფუძისაგან, მსხ > მცხ კი შედეგია ს თანხმოვნის გადასვლისა ც'ში, აგრეთვე, „მცხეთა“ ფუძეში -ეთ სუფიქსი ადგილის სახელწოდების მანარმოებელია (ისევე, როგორც თუშ-ეთ-ი, ხევსურ-ეთ-ი, სომხ-ეთ-ი...) — ყველა ეს დებულება ჩვენ უდავოდ მიგვაჩნია, მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ შემდეგი:

1. უნდა ახსნილიყო, თუ რამ გამოიწვია *მას-ხ // *მოს-ო-ხ // *მეს-ხ ფუძეებში ა // ო // ე ხმოვნების რედუქცია;
2. აუხსნელია მიზეზი იმისა, თუ რამ შეაპირობა ს'ს გადასვლა ც'ში;
3. უნდა ახსნილიყო, რატომ ჩაითვალა -ეთ სუფიქსის მომდევნო -ა („მცხ-ეთ-ა“) ემფატიკურ ოდენობად, უნდა გარკვეულიყო მისი ფუნქციაც;
4. არ არის, აგრეთვე, ახსნილი, თუ ამ დასახელებული პუნქტის სახელდებისას რატომ გამოიყენეს არა „სამცხე“, არამედ მისი მხოლოდ მცხ (<მსხ) ნაწილი (მცხ-ეთ-ა).

ასე რომ „მცხეთა“ ტოპონიმის ნ. მარისეული ეტიმოლოგია სრულყოფილი სახისა არაა.

ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს აზრითაც, რაკი აღმოსავლეთ საქართველოს „სამეფოს დედაქალაქს მცხეთა ერქვა, უეჭველია უძველეს დროს, მაშინ, როცა ქართველი ტომები კავკასიაში შეხიზნულან, უმთავრესი პოლიტიკური მნიშვნელობა მესხების ტომს უნდა ჰქონოდა იმიტომ, რომ საქართველოს უძველესი სატახტო ქალაქის სახელი მცხეთი, ანუ მცხეთა მესხეთს ანუ მესხების ბინასა ნიშნავს; მესხების სახელის ამგვარივე სახე „მცხე“ იმ ქვეყანის სახელწოდებაშია შერჩენილი, სადაც შემდეგ მესხების მცირედი ნაწილი ცხოვრობდა, „სამცხე“-ში (სა-მცხე): აქაც, როგორც სიტყვა „მცხეთა“-ში „მცხე“ მესხებსა ნიშნავს. შემდეგ მესხებს პოლიტიკური მნიშვნელობა დაუკარგავთ და იბერნი გაბატონებულან და მთელ სამეფოსათვის თავიანთი სახელი მიუნიჭებიათ. ეს უეჭველია პირველ საუკუნეზე გაცილებით უფრო ადრე უნდა მომხდარიყო, იმიტომ, რომ

სტრაბონის დროს, პირველ საუკუნის დასასრულს ქრ. წ. იბერია უკვე ჩვეულებრივი და როგორც ეტყობა დიდის ხნითგან განმტკიცებული სახელი იყო.⁹

ავტორის მიხედვით, როგორც ვხედავთ, მცხეთი, მცხეთა და სამცხე ტოპონიმებში „მცხე მესხებს ნიშნავს“, თვით „მცხეთი, ანუ მცხეთა მესხეთს, ანუ მესხების ბინას ნიშნავს“. ისე, როგორც ნ. მართან, ამ შემთხვევაშიც სადავოდ არ გვეჩვენება ის, რომ მცხეთა'დ მიჩნეულია მესხებით დასახლებული ადგილი (მსგავსად სამცხე'სი), მაგრამ ეს დებულება რომ მეცნიერულად დასაბუთებულად ჩაითვალოს, უნდა აიხსნას, როგორ იქცა მესხ ფუძე მცხე'დ და როგორ მოერგო მას -თა სუფიქსი. ამის გარკვევა კი არაერთი პრობლემის გადანწყვეტას მოითხოვს (იხ. ქვემოთ).

ვ. თ ო ფ უ რ ი ა თავის ნაშრომში სპეციალურად ეხება გეოგრაფიულ სახელთა -თა სუფიქსის [ანგელოს-თა (მდინ.), ბალ-თა, ჯავახ-თა...] წარმოშობის საკითხს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ის გენეტიურად ქართულ ნიადაგზეა წარმოშობილი და „წარმოადგენს მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოებას“. ჯავახ-თა იგივე იყო, რაც ჯავახ-ებ-ის.

მას უდავოდ მიაჩნია გეოგრაფიულ სახელთა -თა და -ეთ სუფიქსების (ჯავახ-თა... ჯავახ-ეთ-ი) არა მარტო ფონეტიკური, არამედ მორფოლოგიურ ფუნქციათა ერთიანობაც, მიუღებლად თელის -თა'ს თ ელემენტთან ა'ს გვიან დაკავშირების ვარაუდს. მისი აზრით, ეს ორი კომპონენტი იმთავითვე მთლიანად უნდა ყოფილიყო მოცემული და „მას დროთა ვითარებაში ადგილის სახელთა სუფიქსების ფუნქცია დაუკავშირდა“, მაგრამ გარკვევითაა ისიც თქმული, რომ „როგორც საწარმოებელი სუფიქსი იგი დღეს მკვდარია“, თანამედროვე ქართულში უკვე აღარ ფუნქციონირებს.

ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს მიხედვით, ამ „ნიადაგზე უნდა აიხსნას საქართველოს გეოგრაფიული სახელები, რომელთა -თა მოეპოვებათ დაბოლოებად: ...გომარ-თა, გურიან-თა... იკორ-თა, დვალ-თა...“ და „რა თქმა უნდა, „მცხეთა“-ც“.

9. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, ნიგნი პირველი და მეორე, ტფ., 1913, გვ. 89.

ავტორი გაკვირით ეხება ამ უკანასკნელს და წერს: „მართალია, მისი ეტიმოლოგია მრავალჯერ იყო მოცემული, მაგრამ მაინც გაუგებარი რჩებოდა. თუ „მცხე“ (სა-მცხე) მართლა მ ე ს ხ ს აღნიშნავს, მაშინ ჩვენთვის ნათელი იქნება, თუ რას უნდა ნიშნავდეს მ ც ხ ე თ ა. ეგევე ითქმის ბ ი ჭ ვ ი ნ თ ა ზ ე ო“.¹⁰

ამგვარად, ავტორის მიხედვით, მცხე-თა გენეზისში სემანტიკურად იგივე იყო, რაც მესხ-თა, მესხ-ებ-ის-ა.

არსებობს თუ არა დაბრკოლება საკითხის ამგვარი გადანწყვტის შემთხვევაში?

რა თქმა უნდა, არსებობს:

1. ასახსნელია „მცხე“ ფუძის ბოლოკიდური ე'ს რაობისა და ფუნქციის საკითხი. მესხ ეთნონიმში ხომ ის არ გვაქვს?

2. არც აქაა გარკვეული, როგორ მივიღეთ მესხ ძირისაგან მცხე ფუძე.

აღ. ლ ლ ო ნ ტ მ ა სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნა მცხეთის ტოპონიმს.¹¹ მკვლევარი დეტალურად მიმოიხილავს საენათმეცნიერო ლიტერატურაში ტოპონიმ „მცხეთას“ ეტიმოლოგიის შესახებ არსებულ ლიტერატურას და ასკვნის, „მცხეთა რომ ეტიმოლოგიურად ს ა მ ც ხ ე ს // მ ე ს ხ ს უკავშირდება, ეს ახლა სადაოდ აღარ მიაჩნიათ“.¹² არც თვით ავტორს მიაჩნია ეს დებულება სადავოდ და აქამდე ცნობილი თვალსაზრისისაგან განსხვავებით, ცდილობს, დაასაბუთოს „მცხეთის“ მცხ ძირის იზოგლოსობა ქართლურსა და, საერთოდ, ქართულში. ის წერს: „მ ც ხ ე თ ა ტოპონიმი იზოგლოსია ს ა მ ც ხ ი ს ა, ხოლო ორივე მათგანი მესხური ელემენტია ქართლურში, მთლიანად საერთო-ქართულში. მ ც ხ, ადსტრატული პირველსახე მ ე ს ხ ეთნონიმისა, მესხურიდან მომდინარე ადრეული იზოგლოსია ქართლურში, შემდეგ გაფართოებული და განზოგადებული მ ე მ ც ხ ე თ ა ფორმით, რაც „მემწვავა“, „მემჟავას“ მნიშვნელობითაა დამკვიდრებული. ძირეული მორფემა მცხ,

10. ვ. თო ფ უ რ ი ა, გეოგრაფიულ სახელთა-თასუფიქსისათვის ქართულში, კრებ. „სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში“, I, თბ., 1956, გვ. 288-289.

11. აღ. ლ ლ ო ნ ტ ი, მცხეთის ტოპონიმი, II...

12. ი ქ ვ ე, გვ. 7.

მოტანილია მესხურ კილოზე მოლაპარაკეთა მიერ იბერიაში და მიგვანიშნებს, რომ ამ სახელწოდების დასახლებული პუნქტი ან მათ მიერაა აშენებული, ანდა მათი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მოქცევის გამოძახილია¹³ (ხაზი ჩვენია. ა.ლ.). ამ ციტატის ავტორს უდავოდ უნდა დავეთანხმოთ იმაში, რომ მცხ ძირეული მორფემა იბერიაში მესხურ კილოზე მოლაპარაკეთა მიერ არის მოტანილი, რომ ამ ძირის შემცველი სახელწოდებით დასახლებული პუნქტი ან მათ მიერაა აშენებული, ანდა მათი სამხრეთიდან მოქცევის გამოძახილია. სწორია, რომ მცხ ძირი, „სამცხე“ და „მცხეთა“ მესხური ელემენტია ქართლურში, მთლიანად საერთო-ქართულში, მაგრამ არ გვეჩვენება სარწმუნოდ, რომ „მცხეთა“ და მცხ ძირი იზოგლოსებია, რომ მცხ ძირი „შემდეგ გაფართოებული და განზოგადებულია მ ე მ ც ხ ე თ ა ფორმით, რაც „მემწვაჟა“, „მემჟავა“-ს მნიშვნელობითაა დამკვიდრებული“. „მცხეთა“ და მცხ იზოგლოსები ქართლურში არ დასტურდება. ამაზე მეტყველებს ამ დიალექტის ჩინებული ლექსიკონი, რაც 1981 წელს გამოსცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა.¹⁴ ამ შრომის ლექსიკური მასალის მიხედვით, ბგერათა ეს კომპლექსი რაიმე სახით ქართლურში გავრცელებული არ ჩანს. არც სხვა დიალექტებშია ის გავრცელებული. ამგვარად, მცხეთა და მცხ ძირი იზოგლოსი კი არაა, არამედ წარმოქმნილია მესხ ძირიდან ფონეტიკურ ცვლილებათა ნიადაგზე: მესხ > მცხ (> მცხ-ეთ-ა). ასახსნელია სწორედ ეს ფონეტიკური პროცესი. სანამ ეს არ გაკეთებულა, ამ ორი ცნების ერთმანეთთან დაკავშირების მოსაზრება ვარაუდად რჩება და არა მეცნიერულად დამტკიცებულ დებულებად. ასეთ ვარაუდს კი, როგორც ვნახეთ, ყველა ხსენებული მკვლევარი (და არაერთი სხვაც) მხარს უჭერდა, და, მართლაც, „მცხეთა“ ტოპონიმი რომ მესხ ძირის ნიადაგზე უნდა აიხსნას, ჩვენც უდავოდ მიგვაჩნია. საკითხის უფრო ნათელსაყოფად საჭიროა პატარა ისტორიული ექსკურსი გავაკეთოთ.

ახლო აღმოსავლეთის უძველესი პოლიტიკური და კულტურ-

13. ი ქ ვ ე, გვ. 3-4.

14. იხ. თ. ბ. ე. რ. ო. ზ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი, მ. მ. ე. ს. ხ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი, ლ. ნ. ო. -
ზ. ა. ძ. ე., ქართლური დიალექტის ლექსიკონი, თბ., 1981.

რული წარმონაქმნები და „მესხეთისა და ქვემო ქართლის ტერიტორიაზე არსებული გაერთიანება უძველეს ხანაშივე თავის გავლენას ავრცელებდა აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილო მხარეზე, კერძოდ, მცხეთის რაიონზე, რომელიც სხვადასხვა მხრიდან (დასავლეთ საქართველოდან, მესხეთიდან, აზერბაიჯანიდან [უფრო ზუსტად ალბანეთიდან — ა.ლ.], ჩრდილო კავკასიიდან მდ. არაგვის ჩაყოლებით) მომავალი გზების შესაყარს წარმოადგენდა.“¹⁵ „აქ გადიოდა საერთ. სავაჭრო გზები, რალებიც მდივნების: არაგვისა და მტკვრის გაყოლებით მიემართებოდა“.¹⁶ ასეთ ადგილას, რა თქმა უნდა, ბუნებრივი იყო მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელის წარმოქმნა და ასეც დასტურდება: არქეოლოგიური ძიების საფუძველზე ირკვევა, რომ ამ ტერიტორიაზე აბორიგენ ქართველებთან ერთად ძვ. წ. პირველ ათასწლეულში უცხოვრიათ ებრაელებს, ხეთებს, ბერძენ-რომაელებს, სპარსელებს... აქედან გამომდინარე არ იყო შეუძლებელი აქ სამხრეთელი მესხები (მუშქები) გამოჩენილიყვნენ. ასეც ვარაუდობენ. ამ მოძრაობას ჩრდილოეთისაკენ უთუოდ შეუწყობდა ხელი შემდეგმა გარემოებამაც:

როგორც ცნობილია, ძვ.წ. 676 წელს მცირე აზიაში, აღმოსავლეთით, კიმერიელებმა, სკვითებმა და ურარტუელებმა საერთო ძალით დაამხეს იქ მოსახლე მუშქების (მესხების) სამეფო (დასავლეთით ქართველთა ხალიტუს ანუ ქალდეების გაერთიანება). ამის შედეგად, ბუნებრივი იყო, რომ ისინი შედარებით უფრო მასობრივად დაძრულიყვნენ ჩრდილოეთით, მტკვრის ნაპირისაკენ, სადაც ცნობილი სავაჭრო ტერიტორია ეგულებოდათ. ამ საქმის სპეციალისტი მეცნიერები ფიქრობენ, რომ ეს ასეც მოხდა. „საქართველოს ისტორიაში“ ვკითხულობთ: „აღმოსავლურ-ქართული სამყაროს პოლიტიკურ ცხოვრებაში ამ პერიოდში აქტიურ როლს ასრულებდა მესხური ელემენტი. კიმერიელთაგან დარბეულმა და თავის საცხოვრებელ ადგილებიდან აყრილმა მუშქების (მესხების) სამეფოს მოსახლეობის ერთმა ნაწილმა ჩრდილო-აღმოსავლეთით გადმოინაცვლა. მესხური სა-

15. ტ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1957, გვ. 8.

16. იხ. ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ს. კ ი ნ წ უ რ ა შ ვ ი ლ ი, ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 7, თბ., 1984, გვ. 256.

მოსახლეობი სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ბევრ ადგილას გაჩნდა. ერთი ამათგანი იყო მცხეთაშიც. თვით ამ პუნქტმაც თავისი სახელი მესხების სახელწოდებიდან მიიღო“ (ხაზი ჩვენია. ა.ლ.).¹⁷

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რა ფაქტები მეტყველებს იმაზე, რომ მესხების ტომი ამ ტერიტორიაზე ბინადრობდა?

სანამ ამ კითხვაზე თვით ტოპონიმ „მცხეთის“ ენობრივი ანალიზის საფუძველზე ვუპასუხებდეთ, აღვნიშნავთ შემდეგს:

1. მესხების აქ არსებობაზე უთუოდ მეტყველებს ის გარემოება, რომ მცხეთის მახლობლად მდებარე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ციხე-ქალაქს იბერიისას, რომელსაც ქართლი ეწოდებოდა (თანამედროვე ბაგინეთი) იმ წარმართობის ხანაში შერქმევია არმაზი, იგივე მესხების სამხრეთელი მეზობელი ხალხის, ხეთებისა და სხვა მცირე აზიელების მთავარი ღვთაების სახელი არმას-ი.¹⁸

გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი წერს: „აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრში მთავრის ღვთაების თაყვანისცემა „არმაზის“ სახელით აქ ხეთურ-მცირეაზიური კულტურული ტრადიციების მატარებელი ხალხის გამოჩენას უკავშირდება — ასეთად კი, პირველყოვლისა, სავარაუდებელი არიან სწორედ მცირეაზიელი მუშქები (მესხები)“.¹⁹

2. მესხების აღმოსავლეთ საქართველოში არსებობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ, როგორც პ. უ ს ლ ა რ ი გადმოგვცემს, ქართველთა ჩრდილოეთის მეზობელი ხალხი —

17. გ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958, გვ. 51.

18. შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, თბ., 1944, გვ. 56. А. И. Болтунова, К вопросу об Армазе, Вестник древней истории 2/28/, М., 1949, გვ. 236-240.

19. გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი... გვ. 135-136. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე: Г. А. Меликишвили, Наири-Урарту, Тб., 1954, გვ. 420-421; მისივე, О происхождении грузинского народа, Тб., 1952, გვ. 44. კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 71. გ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია... გვ. 51. ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება... გვ. 176-178.

დალესტნელი ხუნძები ქართველ ტომებს: თუშებს, ფშავლებსა და ხევსურებს — მოსოქ'ს უწოდებენ, რაც, ხსენებული ავტორის მართებული შეხედულებით, იგივე ბიბლიური მოსოხ და კლასიკური მოსხ ეთნოტერმინებია.²⁰

3. როგორც გაკვრით ითქვა, ამაზე მიუთითებს თვით ტომონიმი მცხეთის აგებულებაც. დავიწყოთ მისი დაწვრილებითი ანალიზი.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ენათმეცნიერებისა და ისტორიკოსების ზოგი წარმომადგენელი ფიქრობს, რომ ის მიღებულია მესხ ფუძისაგან ფონეტიკური ცვლილებების გზით (ნ. მარი), ზოგნი კი ვარაუდობენ, რომ ის მიღებულია მესხების აღმნიშვნელი მცხე ფუძის საშუალებით და ნიშნავს მესხთა სამოსახლოადგილს (ივ. ჯავახიშვილი, ვ. თოფურია, აღ. ღლონტი...)

ჩვენი აზრით, უფრო პირველი მოსაზრებაა გასაზიარებელი, ვინემ მეორე. სამცხე სახელიდან მისი ერთი ნაწილის (მცხე'ს) გამოყენებით ახალი ტომონიმური სახელის წარმოების ვარაუდი გამორიცხებულია, რადგან ასეთი რამ საერთოდ არ ხდება რომელიმე პუნქტის სახელდებისას; ამგვარ ოპერაციას არ აწარმოებენ არც ემიგრირებულნი და არც მათი მეზობელი მოსახლენი. მერეა და, მცხე კი არ ნიშნავს მესხს (ან მესხებ'ს!), არამედ მცხ < მესხ. ენობრივი თვალსაზრისით, უფრო სავარაუდო ჩანს, ტომონიმი მცხეთა მიღებული იყოს მესხ ძირისაგან (ისევე, როგორც სამესხ-ეთ-ი > სა-მესხ-ეთ-ი > სა-მცხ-ე), მისი ამოსავალი ფორმა კი იყოს *მესხ-ეთ-ა.

ამ სიტყვა-ფორმის შემადგენელი ელემენტებიდან მესხ მორფემა ძირეული ოდენობაა, -ეთ და -ა კი სუფიქსები (-თა სუფიქსი აქ არ გვაქვს და არც გვექონია!). აქედან -ეთ სუფიქსი გეოგრაფიულ საკუთარ სახელთა ფართოდ გავრცელებული უძველესი მანარმოებელია,²¹ რომელიც აღნიშნავს ა დ გ ი ლ ს, სადაც ესა თუ ის ეთნიკური ერთეული (ტომი, ხალხი, საგვა-

20. П. К. У с л а р, Этнография Кавказа, III, Аварский язык, Тифлис, 1889, გვ. 24-26.

ამ საკითხზე ჯერ კიდევ 1924 წელს ყურადღება გაამახვილა ს. კ ა კ ა ბ ა - დ ე მ. იხ. მისი ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, „საისტორიო მოამბე“, ნ. 1, ტფ., 1924, გვ. 255-256.

21. აღ. ღ ლ ო ნ ტ ი, მცხეთის ტომონიმია, II... გვ. 15-25.

რეულო და სხვ.) არის დასახლებული: კახ-ეთ-ი — ადგილი, სადაც კახელთა ტომი სახლობს, თუშ-ეთ-ი — ადგილი, სადაც თუშთა ტომი სახლობს, სვან-ეთ-ი — ადგილი, სადაც სვანთა ტომი სახლობს... სომხ-ეთ-ი — ადგილი, სადაც სომეხი ხალხი სახლობს, რუს-ეთ-ი — ადგილი, სადაც რუსი ხალხი სახლობს... გოგი-ეთ-ი (მახარაძის რ.) — ადგილი, სადაც გოგიები სახლობენ, სერგი-ეთ-ი — ადგილი, სადაც სერგიები სახლობენ... მსგავსადვეა ნაწარმოები ტოპონიმები: ხევსურ-ეთ-ი, იმერ-ეთ-ი, კოლხ-ეთ-ი, აფხაზ-ეთ-ი... ოს-ეთ-ი, ინგუშ-ეთ-ი, ჩეჩნ-ეთ-ი, ბალყარ-ეთ-ი, სპარს-ეთ-ი, თურქ-ეთ-ი... ნიქრ-ეთ-ი (გვარია ნიქრაძე), სეფი-ეთ-ი, ხაჯაჟ-ეთ-ი (< *ხაჯალ-ეთ-ი — გვარია ხაჯალია) და სხვ.

— ეთ სუფიქსით იწარმოება, აგრეთვე, უსულო საგანთა სამყოფი ადგილის აღმნიშვნელი გეოგრაფიული სახელებიც: ბჟოლი-ეთ-ი (ჩოხატაურის რ.) — ადგილი, სადაც ბჟოლებია (თუთის ხეებია), ბელლ-ეთ-ი — ადგილი, სადაც ბევრი ბელელია, ვეძ-ეთ-ი — ადგილი, სადაც ვეძებია (მუავე წყლებია)...

ზემოთ წარმოდგენილის მსგავსადვეა ნაწარმოები: თელ-ეთ-ი, კლდე-ეთ-ი (ზესტაფონის რ.), აფი-ეთ-ი (ადიგენის რ.), იგო-ეთ-ი (კასპის რ.), ბერშუ-ეთ-ი (გორის რ.), აჩაბ-ეთ-ი (ცხინვალის რ.), ალგ-ეთ-ი (თეთრი წყაროს რაიონი) და სხვ.²²

ამ შემთხვევაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ, როგორც აღ. ლლონტი ადასტურებს, ამგვარად ნაწარმოები ძველი ტოპონიმები მოიპოვება თვით მცხეთის შემოგარენშიც. ასეთებია: ბაგინ-ეთ-ი, ბარბარ-ეთ-ი, აბულ-ეთ-ი, იდლ-ეთ-ი, სავან-ეთ-ი, სარკინ-ეთ-ი, უფურ-ეთ-ი, ფრეზ-ეთ-ი, დამპალ-ეთ-ი...²³ მაშასადამე, აღნიშნული ტიპის ტოპონიმთა წარმოება მცხეთის არეალშიც ბუნებრივი უნდა ყოფილიყო.

ვფიქრობთ, ზემოთ წარმოდგენილი მასალის ანალიზი გარკვევით იძლევა იმის საშუალებას, რომ დავასკვნათ: მესხეთ-ა'ში — ეთ სუფიქსი უნდა ყოფილიყო გამომხატველი ა დ გ ი ლ ი ს ა, სადაც მ ე ს ხ ე ბ ი სახლობდნენ.

რა ფუნქცია უნდა ჰქონოდა საანალიზო სახელის -ა სუფიქსს

22. უფრო დანვრილებით — ეთ ტოპომორფემის შესახებ იხ. აღ. ლლონტი, მცხეთის ტოპონიმია, II... გვ. 15-25.

23. იქვე, გვ. 15.

(მესხ-ეთ-ა)?

ცნობილია, რომ ქართულში -ა სუფიქსი შესაძლებელია იყოს ემფატიკური ელემენტი (ძველი განსაზღვრებითი ნაწილაკიდან მომდინარე): ქალ-თ-ა, ბავშვ-თ-ა... ხე-თ-ა, ძუძუ-თ-ა... აგრეთვე, კინობითობის მანარმოებელი: დედოფალ-ა, სირაქლემ-ა... აქედან პირველი ჩვენს ასახსნელ ფორმაში გამორიცხულია გვეკონდეს, მეორე კი შესაძლებელია, მაგრამ უფრო სავარაუდოა სხვა. ა. შ ა ნ ი ძ ე გამოჰყოფს -ა სუფიქსის კიდევ ერთ ფუნქციას. ის ამბობს: „ეს მანარმოებელი ქონების წარმოდგენას გვაძლევს გარკვეული ტიპის სახელებში“ და მოაქვს ასეთი მაგალითები: „წითელ პერანგ-ა ჯალათი“ — წითელი პერანგის მქონე ჯალათი. „ერთი შავტარ-ა დანა“ — შავი ტარის მქონე დანა, „სქელ-კისერ-ა იამშჩიკი“ — სქელი კისრის მქონე იამშჩიკი, „ცალ-თვალ-ა ტყავის ხურჯინი“ — ცალი თვალის მქონე ტყავის ხურჯინი, „ცალთვალ-ა სასიმინდე“ — ცალი თვალის მქონე სასიმინდე, „სამფეხ-ა საკიდელი“ — სამი ფეხის მქონე საკიდელი, ცხრა-ფეხ-ა (კიბორჩხალ-ი // კიბორჩხალ-ა) — ცხრა ფეხის მქონე... ას-ფურცელ-ა — ასი ფურცლის (ნაკეცის) მქონე რამ, თორმეტ-გოჯ-ა ნანლავი — თორმეტ გოჯიანი ნანლავი, ენა-ჭარტალ-ა — ენის ჭარტალის თვისების მქონე პირი...“ ავტორი შემდეგ ამბობს: „როგორც მაგალითებიდან ჩანს, ასეთი წარმოების სახელებს მსაზღვრელი ახლავს (რიცხვითისა ან ზედსართავი სახელების სახით), მაგრამ შეიძლება მსაზღვრელი არ ახლდესო“ და ჩამოთვლის: „ლილებ-გახსნილი, პ ე რ ა ნ გ - ა, განსვენებას ეძლეოდა“ (ყაზ. 300,37), წ ვ ე რ - ა (თევზის სახელია, — იგივეა, რაც მურწა), თ ი თ - ა (ყურძნის ჯიშიაო)“.²⁴

რა თქმა უნდა, ამ ორ უკანაკნელ მაგალითშიც -ა ფორმანტი ქონებას აღნიშნავს: წ ვ ე რ - ა გამოხატავს წვერიან თევზს.²⁵ შდრ. შავ-წვერ-ა — შავი წვერის მქონე, გრძელ-წვერ-ა — გრძელი წვერის მქონე, ბაბუა-წვერ-ა (ბოტ., იმერ.) — ბაბუას წვერის მქონე... თ ი თ - ა'ც ნიშნავს ყურძნის ისეთ

24. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, გვ. 125-126.

25. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (თბ., 1964, ტ. VIII) მითითებულია ულვაშზე.

ჯიშს, რომელსაც თითის მოყვანილობა აქვს.²⁶

ა. შ ა ნ ი ძ ე ასეთად თვლის, აგრეთვე, სიტყვებს: დიდ-
ყურა (ვირის ეპითეტია), დიდ-თავა, ცისფერ-თვალება, სამ-
ფეხა, თორმეტ-გოჯა, შავ-თვალა.²⁷

მაგალითები სხვაც ბევრია: ციცინათელა (შდრ. ციცინათე-
ლი), ღორმუცელა, დამპალა (შდრ. დამპალი), ტანწერწეტა,
სამყურა (ბალახი), გაიძვერა, მჭყავანა, მკვეხარა და სხვ.

სსენებული ავტორი, სხვათაშორის, ამ -ა'ს მიიჩნევს
მ ს გ ა ვ ს ე ბ ი ს მანარმოებელ სუფიქსადაც. ის წერს: „ეგვე
მანარმოებელი გამოყენებულია მსგავსების აღსანიშნავად.
მსგავსება შეიძლება იყოს ფერისა, მოყვანილობისა ან სხვა რამე
ნიშნის მიხედვით: ქერა (ქერის ფერი), სვილა (სვილის ფერი:
ს ვ ი ლ ი — ჭვავი), შვინდა (შვინდის ფერი), ღვინა (ღვინის
ფერი...), წითელა (ავადმყოფობაა), კიდობანა („შეისვენეს
კიდობანა ქვასთან. ყაზ. 300,37), მაყვალა (ქალის სახელია) და
სხვ“.²⁸

ფაქტიურად, ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს ქ ო ნ ე ბ ი ს
წარმოდგენასთან, რამდენადაც ფერისა, მოყვანილობისა და სხვ.
მსგავსება გულისხმობს ფერის, მოყვანილობისა და სხვ. ქონებას:
ქერის ფერთან მსგავსება იგივე ქერის ფერის ქ ო ნ ე ბ ა ა,
კიდობანის მოყვანილობასთან მსგავსება იგივე კიდობანის
ფორმის ქონებაა და ა.შ.

ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე აჭარის ტოპონიმების განხილვისას
წარმოგვიდგენს არაერთ მაგალითს, სადაც -ა სუფიქსი ადგილის
მანარმოებლის როლშიც გამოდის,²⁹ მაგრამ ამ შემთხვევაშიც
იგი ამოსავალში რალაცის ქონებას გულისხმობს. ასეთებია:
ორბაგა — ადგილი, რომელიც ორი ბაგის მქონეა, მტირალა
(იდიომია) — ადგილი, რომელიც მწირია, ყანაგრძელა — ადგი-
ლი, რომელიც გრძელი ყანის მქონეა, კურდღელა — ადგილი,
სადაც კურდღელი იცის, ფარეხა — ადგილი, სადაც ფარეხი დგას
ან იდგა... ამ რიგისაა: ქელა, ჭანგა, ობოლა, გიდელა...

26. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1955, ტ. IV.

27. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები... გვ. 159-160.

28. ი ქ ვ ე, გვ. 127.

29. ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია,
წიგნი I, ბათუმი, 1958, გვ. 34.

მაშასადამე, -ა სუფიქსს, ისე, როგორც -იან, -იერ, -ოსან, -ოვან, -ედ სუფიქსებს, გააჩნდა და გააჩნია ქონებ ის აღნიშვნის ფუნქცია.

ეს -ა სუფიქსი საკმაოდ ხშირად თან ახლავს ზემოხსენებულ -ეთ სუფიქსიან ფორმებსაც, სადაც ის ისევ და ისევ ქონებ აზე მიუთითებს. მაგალითად, მთიანეთის არეალში გვაქვს მლეთი (დუშეთის რ-ში სოფლებია: ზემო მლეთი, ქვემო მლეთი) და მლეთა (< *მელეთა შდრ. აჭარაში დაცული სამელე, სამელეთი — სათიბი) (ძველი სახელწოდება აღნიშნული სოფლებისა).³⁰

არის არგვეთი (მარგვეთი - ძვ. ქართულ მწერლობაში) — ისტორიული პროვინცია დას. საქართველოში, აგრეთვე, სოფელი საჩხერის რაიონში), გამოღმა არგვეთი (სოფელი გორის სოფსაბჭოში) და არგვეთა (სოფელი ზესტაფონის რაიონში, ქვემო საქარის სოფსაბჭოში; არის რკინიგზის სადგურიც).³¹

ასეთი მაგალითები უხვადაა აჭარის რეგიონში: არის კეჟერეთი და ამავე დროს, კეჟერეთა (ზ. ჭიჭ.)³² — ადგილი, სადაც კეჟერა მოიპოვება (კეჟერას მქონეა); ტიბეთა (შდრ. ჭან. ტიბა „ტიბა“) და ტბეთა (ზ. ჭიჭ.)³³ — ადგილი, რომელიც ტბებიანია; სამოლეთა (სათესი ხელვაჩაურის რაიონში)³⁴ — ადგილი, რომელიც მოლიანია; ფიქალეთა (ბუჩქნარი ჭურიეთში, მახვილაურის სას. საბჭოში)³⁵ — ადგილი, რომელიც ფიქლიანია... მსგავსი აგებულებებისაა: აკავრეთა (ხეობა), აბუქეთა,³⁶ სანირეთა (ჩაის ფართობი ქვემო აჭარაში)³⁷ ... და, რაც მთავარია, ასეა ნაწარმოები ხალხის საცხოვრისი

30. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 7, თბ., 1984.

31. ლეონტი მროველის (XI ს.) მიხედვით, მოიცავდა ტერიტორიას ლიხის ქედიდან რიონამდე და რაჭის მთებიდან ფერსათის მთებამდე (ჟორჯონიკიძის, საჩხერის, ზესტაფონის, თერჯოლის, მაიაკოვსკის და ტყიბულის რაიონებს და ტყიბულისა და ჭიათურის საქალაქო საბჭოების ტერიტორიას). ფარნავაზის დროის ტოპონიმი. იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, I, თბ., 1975.

32. იური სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, ნიგნი II, ბათუმი, 1959, გვ. 152.

33. იქვე, გვ. 152, 147, 151.

34. იქვე, გვ. 46.

35. იქვე, გვ. 45.

36. იქვე, გვ. 133, 153.

37. იური სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, ნიგნი I... გვ. 54.

ადგილის სახელიც: სომხ-ეთ-ა³⁸ (ს. კუთხე ახალშენის სასოფლო საბჭოში) — კუთხე სოფელში, რომელიც სომეხი მოსახლეობი-
ანია, სადაც სომეხები სახლობენ (შდრ. სომხ-ეთ-ი). ზუსტად ამგვარ-
ადაა ნანარმოები ჩვენი საკვლევე ტოპონიმიც: მესხ-ეთ-ა.

აი, ამ მესხ-ეთ-ა ფორმიდან ჩანს მიღებული მსხ-ეთ-ა პირველი
მარცვლისეული ე ხმოვნის რედუქციით, რედუქცია კი უნდა გა-
მოენვია ბოლოდან მეორე მარცვლის ოდინდელ ძლიერ დინამი-
კურ მახვილს: მესხ-ეთ-ა > მსხ-ეთ-ა.

კი, მაგრამ ისტორიულად გვექონდა ქართულში დინამიკური
მახვილი სიტყვის ბოლოდან მეორე მარცვალზე?

დიახ, დიაქრონიულმა ძიებამ მკვლევრები მიიყვანა იმ დას-
კვნამდე, რომ ქართველურ ენებში, კერძოდ, ქართულში, განვი-
თარების უძველეს საფეხურზე უნდა გვექონოდა ძლიერი დინა-
მიკური მახვილი უპირატესად სიტყვათა თავკიდურ მარცვალ-
ზე, ბოლოკიდურ მარცვალზე ან ბოლოდან მეორე მარცვალზე
და ხმოვანთა რედუქცია ფუძეში ძირითადად ამ მახვილით უნდა
ყოფილიყო შეპირობებული.³⁹ ასეთ ვითარებაში, ცხადია, გვექნე-
ბოდა მახვილიანი სიტყვა-ფორმა მე-სხ-ეთ-ა. მახვილის გავლე-
ნით სავსებით კანონზომიერად უნდა მომხდარიყო წინა ხმოვნის
რედუქცია, შედეგად უნდა მიგველო მ-სხ-ეთ-ა, ამ უკანასკნელი-
საგან კი - მ-ცხ-ეთ-ა (*მე-სხ-ეთ-ა > *მ-სხ-ეთ-ა > მ-ცხ-ეთ-ა).

და ესაა მივადევით ბოლო საკითხს: როგორ მივიღეთ მსხ-
ეთ-ა (< *მესხ-ეთ-ა) ფორმისაგან მცხ-ეთ-ა? უფრო კონკრეტულად:
როგორ მივიღეთ ს სპირანტი თანხმოვნისაგან ც აფრიკატი?

ჩვენი აზრით, ქართველურ ენებში, კერძოდ, ქართული ენის
დიალექტებში ხშული თანხმოვნების, მათ შორის სონორების:
მ, ნ, ლ, რ'ს — მეზობლობისას ს სპირანტი გადადის ც აფრი-
კატში. მიზეზი ამისა არის მეზობელი ხშული თანხმოვნის ხშვის
არტიკულაციის ნაწილობრივი შერწყმა ს სპირანტის ნაპრა-

38. იური სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთსაქართველოს ტოპონიმიკა, ნიგნი II... გვ. 48.

39. არნ. ჩიქობავა, მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში, (წინასწარი მოხსენება), I, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. III. № 3, თბ., 1942, გვ. 191-198, 297-303; სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 106-111, (§ 46), ე. ლ. მ. თ. ა. ძ. ე. სიტყვათმახვილი დიდოურ ენებში (შედარებით-ისტორიული ანალიზი), თბ., 1984, გვ. 136-144 (თ. VII).

ლოვან (ლრიჭოვან) არტიკულაციასთან.⁴⁰ ს'ს ასეთი სახეცვლილება ხდება სპირანტი ხ თანხმოვანთან მეზობლობის დროსაც, რაც გამონწვეულია იმით, რომ ამ უკანაკნელის წარმოთქმის დროსაც ადგილი აქვს ნაწილობრივ ხშვას.

საანალიზო მსხ-ეთ-ა ფორმაში ს სპირანტი მ'ს უშუალოდ მოსდევს და, ამავე დროს, ხ'სთან მეზობლობაშიც იმყოფება. ასე რომ, ამ კონტექსტში მისი აფრიკატიზაცია მესხურ მეტყველებაში ბუნებრივი იყო და რეალიზებულიცაა: ის გადასულია ც'ში, გააფრიკატებულია. ამ გზით კი მსხ-ეთ-ა ქცეულია მცხ-ეთ-ა'დ (მსხ-ეთ-ა > მცხ-ეთ-ა). მომხდარია ისეთივე ფონეტიკური ცვლილება, როგორიც დადასტურდა სა-მცხ-ე'ს ისტორიის განხილვისას: სა-მესხ-ეთ-ი > სა-მესხ-ე > სა-მსხ-ე > სა-მცხ-ე.

ასე და ამგვარად, მცხეთა არაა მიღებული სამცხე'საგან, მაგრამ ორივე მათგანის ამოსავალი მესხ ძირია. მეცნიერულად სწორია დებულება, რომ ტოპონიმი მცხეთა სამხრეთიდან მომდინარე ძვრების შედეგად მესხური ტომის ნამოღვანარია.

40. იხ. ა. ლ ო მ თ ა ძ ე, მიცემითი ბრუნვის მორფემისათვის მეგრულში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1972, გვ. 106-116.

დაგოწმებული ლიტერატურა

1. ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია I, თბ., 1944.
2. აფაქიძე ა., გ. გობეჯიშვილი, აღ. კალანდ აძე, არმაზის არქეოლოგიური ექსპედიციის წინასწარი ანგარიში, ენიმკის მოამბე, ტ. IV, ნაკვ. 3, თბ., 1937.
3. აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდ აძე აღ., არმაზის არქეოლოგიური ექსპედიცია, 1938 წ., ენიმკის მოამბე, ტ. IV, ნაკვ. 3, თბ., 1939.
4. აფაქიძე ა., არმაზციხის ლოკალიზაციის საკითხისათვის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკვ. I, 1958.
5. აფაქიძე ა., ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, თბ., 1963.
6. აფაქიძე ა., კინწურაშვილი ს., მენაბდე ლ., „მცხეთა“, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 7, 1984.
7. ბეროზაშვილი თ., მესხიშვილი მ., ნოზაძე ლ., ქართლური დიალექტის ლექსიკონი, თბ., 1981.
8. ბერძენიშვილი ნ., ჯავახიშვილი ივ., ჯანაშია ს., საქართველოს ისტორია, ნაწილი I, თბ., 1946.
9. ბერძენიშვილი ნ., დონდუა ვ., დუმბაძე მ., მელიქიშვილი გ., მესხია შ., რატია ნიპ., საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958.
10. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ნ. VIII, თბ., 1975.
11. გრიგოლია კ., ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954.
12. თოფური ა ვ., გეოგრაფიულ სახელთა -თა სუფიქსისათვის ქართულში, კრებ. „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში“, I, თბ., 1956.
13. კაკაბაძე ს., პატარა წერილები და შენიშვნები, 2,

ფხოელი — მოსოხი, „საისტორიო მოამბე“, ნ. I, ტფ., 1924.

14. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე გ., მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, I, თბ., 1955.
15. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე გ., არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში, თბილისი, 1945.
16. ლ ო მ თ ა ძ ე ა., მიცემითი ბრუნვის მორფემისათვის მეგრულში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1972.
17. ლ ო მ თ ა ძ ე ე., სიტყვათმახვილი დიდოურ ენებში (შედარებით-ისტორიული ანალიზი), თბ., 1984.
18. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი გ., საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბ., 1955.
19. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, თბ., 1970.
20. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე იური, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, წიგნი I, ბათუმი, 1958.
21. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე იური, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, წიგნი II, ბათუმი, 1959.
22. ქართლის ცხოვრება, I, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქტორობით, თბ., 1955.
23. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV, თბ., 1955.
24. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII, თბ., 1964.
25. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. I, თბ., 1975.
26. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. VII, თბ., 1984.
27. ლ ლ ო ნ ტ ი ალ., მცხეთის ტოპონიმიკა, II, ტოპონიმიკური ძიებანი, თბ., 1975.
28. შ ა ნ ი ძ ე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბ., 1973.
29. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ., სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.
30. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ., მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში (წინასწარი მოხსენება), I, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. III, № 3, თბ., 1942.
31. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ტ., მცხეთის უძველესი არქეოლოგიური

ძეგლები, თბ., 1957.

32. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი და მეორე, ტფ., 1913.
33. Б о л т у н о в а Г. И., К вопросу об Армазе, Вестник древней истории, 2(28), М., 1949.
34. М а р р Н. Я., История термина "абхаз", Известия Императорской Академии Наук, Том VI - томе VI, С-П, 1912.
35. М е л и к и ш в и л ი Г. А., О происхождении грузинского народа, Тб., 1952.
36. М е л и к и ш в ი ლ ი Г. А., Древневосточные материалы по истории народов закавказья, I, Наირи-Урарту, Тб., 1954.
37. У с л а р П. К., Этнография Кавказа, III, Аварский язык, Тифлис, 1889.

ს სპირანტის აფრიკატიზაცია
კოლხურ აფიქსებში

§ 6. მიცემითი ბრუნვის აფიქსისეული ს სპირანტის
აფრიკატიზაცია

მიცემით ბრუნვას კოლხური (ზანური) ენის მეგრულ დია-
ლექტში ორი მორფემა აქვს: -ს და -ც. აქედან მეგრულის ს ე-
ნ ა კ უ რ კილოკავში მიცემითის ნიშნად, როგორც ბოლოსმოვნიან,
ისე ბოლოთანსმოვნიან სახელებთან, მხოლოდ -ს მორფემა გვაქვს:

| | |
|----------------------|-------------|
| სახ. დიხა „მინა“ | მიც. დიხა-ს |
| „ მეშარე „მგზავრი“ | „ მეშარე-ს |
| „ ქორთუ „ქართველი“ | „ ქორთუ-ს |
| „ თხოლო „თხლე“ | „ თხოლო-ს |
| „ დაჩხირ-ი „ცეცხლი“ | „ დაჩხირ-ს |
| „ მარგალ-ი „მეგრელი“ | „ მარგალ-ს |
| „ შქართუნ-ი „საბანი“ | „ შქართუნ-ს |
| „ ქოთომ-ი „ქათამი“ | „ ქოთომ-ს |
| „ ბოში-ი „ბიჭი“ | „ ბოში-ს... |

ბოლო ს მო ვ ნ ი ა ნ ე ბ ი :

ქოხონუნა დ ი ხ ა ს : ხუბ. 56,22 „ქე ხნავენ მინას“. ჟირი
ჯიმა მუშენდღ ც ვ ა ნ ა ს : ხუბ. 64,4 „ორი ძმა მუშაობდა
ყანაში“. ათე ც ი რ ა ს ა გიანთხ მუგუდენქე: ცაგ. 14,4. „ამ
გოგოს დაეცა რალაც“. ჯ ა ს მუკოჩანს: ბერ. 53,23 „ხეს ასხია“.

— სი სო მეურქია, — კითხუ მ ე შ ა რ ე ს ცვანაშ მინჯექ:
ხუბ. 23,25 „შენ სად მიდიხარო, — ჰკითხა მგზავრს ყანის
პატრონმა“. ც უ დ ე ს დუჭყეს ბოშის ოსურიში რიგება: ხუბ.
63,11 „სახლში ბიჭს დაუნყეს ქალის გარიგება“. ამბეში გიშანწყუ-
ალო იყუ ხენწფეში დ ო ხ ო რ ე ს სხუნუაქ: ხუბ. 54,31 „ამბის

გამოსასწორებლად ხელმწიფის სასახლეში შეიქნა სჯა („რჩევა“). თითო მარასა და ფულეებსა ქომიდარაჯითია: ცაგ. 10,5 „თითო კვირას საფლავზე მიდარაჯეთო“. მოჯგირეს გ მინუხენსუ: ბერ. 54,9 „მოყვარეს მინუხებს“.

მუმას ქუნუათ დო უირხოლოს ოჭკომუნანია: ხუბ. 61,22 „მამას ვუთხრათ და ორივეს შეჭამენო“. მა სადილს ოჭკომუნქ ოროს: ხუბ. 52,30 „მე სადილს შევჭამ ჩრდილში“. გამეეთხუ არძოსა დო დოღურუ: ცაგ. 10,7 „გამოეთხოვა ყველას და მოკვდა“.

ორე თე კოჩი ონადირუს: ხუბ. 64,5 „არის ეს კაცი სანადიროდ“. მუსა ქეშანთია: ცაგ. 15,1 „რას ხენეშითო?“

ბოლოთა ნხმოვნინანე ბი:

თე საქვარს ხოლო თინა გინმოტენა: ხუბ. 55,26 „ამ საქმეს კიდევ ის გადაგვარჩენს“. თიმ სერს ომბოლია დო მუშ ოსურსქუა დაგვირგვინ: ხუბ., 58,25 „იმ ლამეს ომბოლია და თავისი ქალიშვილი დააქორწინა“. ინტუ უკული დო ჩილი დო სქუა ჭუნდუ გურს: ხუბ. 46,5 „გაიქცა შემდეგ და ცოლშვილი სწავდა გულს“. სი დეკვირი ჩქიმი ქურს: ხუბ. 61,10 „შენ დაუკვირდი ჩემ ქუსლს“. სქანი ნტერსა ეფერი ლოლამუდასა: ცაგ. 6,5 „შენს მტერს ისეთი დამართოდეს!“ თეში მოლაყუნუ ჯარსა: ცაგ. 14,2 „ისე წამოჰყვა ჯარს!“

ათე ეკოხონს ვარასი გეკომიყონი დო ვარა მა გეკოიყო-ნანქია: ხუბ. 19,20 „ამ აღმართზე ან შენ ამიყვანე და ან მე აგიყვანო.“ თე კეტი მიდელი დო ლეხი ძღაბიში შქართუნს უირიშა ქიგიაშქვია: ხუბ. 24,27 „ეს ჯოხი წაიღე და ავადმყოფ გოგოს საბანზე ორჯერ დაარტყიო“. ათეს ნოღვე, თი უირი ბოშენს უღუდუნი, უირ თისხი ღონე: „ამას ჰქონია ორი იმოდენა ღონე, რამდენიც — იმ ორ ბიჭს“.

დიაჩქიმ ქოთომს მიყვილუნდ ირ დღას: „დედაჩემი ქათამს მიკლავდა ყოველდღე“.

მარა თე მოხუცებულს ქურქ, მუს ლოლანან: ხუბ. 21,27 „მაგრამ ამ მოხუცებულმა იცის, რას უზამენ“. ყვილუა ოკონა ხენწიფე დო მუში ჩილს ჩქიმი ოსტატეფიშია: ხუბ. 22,15 „მოკვლა უნდათ ხელმწიფესა და მის ცოლს ჩემი ოსტატებისაო“. ეჩდოვით ჯორიში ხარგა ორქო დო ვარჩხილს ქიმერჩანქ

დო მიდგოყუნუა სამანგიეროთია: ხუბ. 25,4 „სამაგიეროდ ოცდაათ ჯორის ტვირთ ოქროსა და ვერცხლს მოგცემ და გაგატანო“.

ე ბ ო შ ი ს დიდა ლურელ ყოფუ: „ამ ბიჭს დედა მკვდარი პყოლია“.

ზ უ გ დ ი დ უ რ - ს ა მ უ რ ზ ა ყ ა ნ უ ლ კილოკავში, როგორც წესი, -ს ყოველთვის შენარჩუნებულია მხოლოდ ბ ო ლ ო ხ მ ო ვ ნ ი ა ნ სახელებში ა და ი შემომტკიცებულ ფუძეებში:

| | | |
|-----------------------|------|------------|
| სახ. ცირა „ქალიშვილი“ | მიც. | ცირა-ს |
| „ ოზე „ეზო“ | „ | ოზე-ს |
| „ ტუ „ცური“ | „ | ტუ-ს |
| „ ბაბუ „ბაბუა“ | „ | ბაბუ-ს |
| „ კოტო „ქოთანი“ | „ | კოტო-ს |
| „ ძღაბ-ი „გოგო“ | „ | ძღაბი-ს... |

უნუ მუშ მ უ მ ა ს: ხუბ. 220,35 „უთხრა თავის მამას“. მი მომიყონანა თი ც ი რ ა ს? ხუბ. 68,12 „ვინ მოგვიყვანს იმ ქალიშვილს?“ ქემორთუ იმ ო ნ ჯ უ ა ს: ხუბ. 68,7 „მოვიდა იმ საღამოს“. ჯ ი ხ ა ს ქნოდოხოლდუ: ხუბ. 210,7 „ციხე-კოშკში ჩაჯდა“.

ჯამ ო რ ო ს გიმელე თეე: ხუბ. 275,20 „ხის ჩრდილში ჩამოვიდა ეს“. რენა თაქი ართი-ჟირი მ ა რ უ ო ს: ხუბ. 182,16 „არიან აქ ერთი-ორი კვირა“. ლებია ქინწრლვეს კ ო ტ ო ს: ხუბ. 192,7 „ლობიო ჩაყარეს ქოთანში“.

თე ანგელოზენქ მუთ უწუნ, თ ე ს გინწსქიდუ ასე, ა რ თ - ი ს: ხუბ. 136,15 „ამ ანგელოზებმა რაც უთხრეს, ამას, ერთს, გადაურჩა ახლა“. თინფეიში ო დ ი ა რ ე ს ათვოლურანთენი, თ ი ს ვა უჯგუნო, რაშეფი ქუორაყათ ტყაშა: ხუბ. 177,19 „მათ ბალახს რომ შევაკვდეთ, იმას არ სჯობია, რაშები გავრეკოთ ტყეში“. ალიშქერქუქ ხ ე კ უ ლ ე ს ქეკლადოხოლდუ ხ უ - ჯ ი ს: ხუბ. 186,25 „ალიშქერქოუ უხელოს შემოაჯდა მხარზე“. ჭ ა ლ ე ს მეტი ვა ბძირია: ხუბ. 194,35 „ჭალაში მეტი ვერ ვნახეო“. ხ ე ს ქდეკუნე: ხუბ. 187,23 „ხელში დაიჭირა“. ქემორთუ ართიქ პირველო დო ქაშადოხოლდუ ო ყ ე ბ უ რ ე ს: ხუბ. 226,32

„მოვიდა პირველად ერთი და დაჯდა კერიასთან“.

ქოზეპუ ჭუნ ჩ ხ ო უ ს: ხუბ. 192,25 „დაარტყა ნნელი ძროხას“. რო ბ უ ს ქილარაგვეს ვიშო: ხუბ. 261,29 „ხრამში გადააგდეს იქით“. ართი კ უ თ ხ უ ს ქეკნანთხუ: ხუბ. 187,27 „ერთ კუთხეში წაიქცა“. ჭ კ ა დ უ ს ქოუნუ, ცხენი შურო ვეპალუნია... „მჭედელს უთხრა, ცხენი სულ არ ჩანსო“...

შეადლას ძ ლ ა ბ ი ს ქვარაში ჭუა ქუდუუჭყუ: ყიფ. 83,26 „შუადღეს გოგოს მუცლის ტკივილი დაენყო („დაუნყო“)“.

ბ ო ლ ო თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ი ა ნ ე ბ თ ა ნ კი ზუგდიდურ-სამურზაყანულში -ს მორფემაც გვაქვს და -ც'ც. -ს დასტურდება სოფლები: ნაას, ფახულანის, აჩიგვარას, კოჩარას, წარჩეს, მერხეულის, დრანდას, აგუბედიას, I ბედიას, ოჯიბინეს და სხვ. მეტყველებაში:

შკაფის ლ ი ვ ე რ ს მუჭო ვოცოთანქია: ხუბ. 227,14 „კარადას რევილვერს როგორ ვესვრიო“. ართის ოჭუმარეს პჭკუმუნდი, მაჟიას — ს ა დ ი ლ ს: ხუბ. 67,7 „ერთს დილას ვჭამდი, მეორეს — სადილზე“. თხუ ადამურქ თე მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ს: ხუბ. 275,22 „სთხოვა ადამურმა ამ მოხუცებულს“. ადამურქ ქეგედოხოდუ ც ხ ე ნ ს: ხუბ. 275,1 „ადამური შეაჯდა ცხენს“. იმ ს ე რ ს კამპანია ულუდეს: ხუბ. 207,33 „იმ ლამეს ქორნილი პქონდათ“. ქუმოუსქუ ნ კ კ რ ს: ხუბ. 258,26 „მიაბა ბარდს“. ონჯუას უნუ ჯ ი მ ა ლ ე ნ ს: ხუბ. 160,14 „სალამოს უთხრა ძმებს“. ასე ტყობიშე ქინახუნუ ლ ა გ ვ ა ნ ს ბოში: ხუბ. 259,13-14 „ახლა მალულად ჩასვა ბიჭი ქვევრში“. ასე პაპაქ უნუ თი ს უ მ ა რ ს: ხუბ. 260,12 „ახლა მღვდელმა უთხრა იმ სტუმარს“. მილუდ გ უ რ ს ი ა: ხუბ. 220,15 „მქონდა გულშიო“. ქანარაგუ ნ ყ ა რ ს: ხუბ. 227,32 „ჩააგდო წყალში“. ჰა, იარმუკობა რე ასე ს ო ფ ე ლ ს: ხუბ. 129,12 „ჰა, ბაზრობა არის ახლა სოფელში“. ქეკობე ყ ე ბ უ რ ს: ხუბ. 182,8 „კერიასთან ქე ზის“.

ბ ო ლ ო თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ი ა ნ სახელებში მიცემითის ნიშნად -ც მორფემა დამახასიათებელია როგორც ზ უ გ დ ი დ უ რ ი, ისე ს ა მ უ რ ზ ა ყ ა ნ უ ლ ი მეტყველებიასათვის:

სახ. გურ-ი „გული“

მიც. გურ-ც

„ წყურგილ-ი „წყარო“

„ წყურგილ-ც

| | | |
|------------------------|---|------------|
| „ ჯინჯ-ი „ძირი“ | „ | ჯინ-ც |
| „ ხან-ი „ხანი“ | „ | ხან-ც |
| „ ჩხომ-ი „თევზი“ | „ | ჩხომ-ც |
| „ ლორონთ-ი „ღმერთი“ | „ | ლორონ-ც |
| „ ჩხოულ-ეფ-ი „ძროხები“ | „ | ჩხოულ-ეფ-ც |

უნუ მუში ც ხ ე ნ ც : ხუბ. 218,33 „უთხრა თავის ცხენს“, გასხუპეს ა რ თ ი ა ნ ც : ხუბ. 189,14 „გადაკოცნეს ერთმანეთი“. ჯიმალეფიში იმენდი მ უ თ უ ნ ც ვჰხვარუნი... ხუბ. 184,23 „ძმების იმედი რომ არაფერს შველის“... ჩილაბურიში თუდო ლ ო რ ო ნ ც 2 ქაახვენდღე: ყიფ. 61,9 „ცრემლებით შესთხოვდა ღმერთს“.

დედების უი კ ი ს ე რ ც ქიგიოსხაპე: ხუბ. 187,26 „დედაბერს ზედ კისერზე დაახტა“. ართ დლა-ონდლეში გ უ რ ც : ხუბ. 181,24 „ერთ დღეს, შუადღეს“. დ ა ჩ ხ ი რ ც ქელანჯირუ: ხუბ. 187,30 „ცეცხლს მიუნვა“. გოთი ნწყინდღე მუში ო ს უ რ ც გატყურიაქ: ხუბ. 193,14 „ქე წაეკიდა თავის ცოლს გატყურია“.

ქინაბათქუ გვარგვალანდენი ეთი ნ ყ უ რ გ ი ლ ც : ხუბ. 184,25 „ჩაადღო, რომ დულდა, ისეთ წყაროში“. ქოჩვანგ მ უ - მ უ ლ ც : ხუბ. 220,6 „ჩაუნისკარტა მამალს“. ითამ კოჩი მითოჯან თე ნ ო რ ჩ ა ლ ც : ხუბ. 217,26 „ვითომ კაცი ჩანოლილია ამ ქვეშაგებელში“. რგილ ო ჭ კ ო მ ა ლ ც მუ ფჩანცია: ხუბ. 178,12 „ცივ საჭმელს რა მაჭმევსო“.

კოჩი ქუმეთხოზე ი რ ე მ ც, პ ა ლ უ რ ც ქუჩანთუანც: ხუბ. 185,36 „კაცი ქე მისდევს ირემს, პანლურს ქე ურტყამს“. გენძე ს ქ ა მ ც ქეგიოკერე: ხუბ. 187,29 „გრძელ სკამზე ზედ დააბა“.

ხენწეფექ უზოჯე ვ ე ზ ო რ ე ნ ც : ხუბ. 216,27 „ხელმწიფემ უბრძანა ვეზირებს“. ჯ ი მ ა ლ ე ნ ც მუ ხვადენია? ხუბ. 189,21 „ძმებს რა ხვდებათო?“

თიცალი ქიმიოკეჟინე, ნამუდა მ უ რ ი ც ხ ე ფ ც 2 ქედუქანცალუუ: ყიფ. 60,7 „ისეთი მიაყვირა, რომ ვარსკვლავები შეანძრია“. ვაკოდე მუში სქუაქ ნ დ ე მ ე ფ ც ქიმაკლურუკონი: ყიფ. 60,4 „არ უნდოდა, რომ თავისი შვილი დევებს შეკვდომოდა“. გეჭოფუნცუ ლაკვატასე, ოცოთანცე დო ჩ ი ტ ე ფ ც 2 დუცუ სოფუნცუ: ყიფ. 56,34 „იღებს სასროლ ჯოხს, ესერის და

ჩიტებს თავს წყვეტს“.

დაბეჭდილი მეგრული ტექსტების მიხედვით, მიცემითში ს-სა და ც'ს პარალელურად ვხვდებით ერთგვარ კომპლექსებში: რს, ლს, ნს, მს, ფს, დს, თს, ჯს... რც, ლც, ნც, მც, ფც, დც, თც, ჯც... და, სხვათა შორის, ერთისა და იმავე პირის მეტყველებაშიც კი:¹

ჯანფეზიაში² წყარს ჭიჭე ქაცა-გუდათ ვისერს ქიძთქოკათრანქია დო გურს მიპუნანქია: ხუბ. 193,10 „ჭიაფერას წყალს პატარა გუდით კისერზე შემოგაბამ და გულს მოვიყვანო“.

შდრ. გეუსუ ვისერც სუმი-ოთხიშა დო მიკუჯიკუ ოსურცუ ჭიჭე: ხუბ. 193,25 „გადაუსვა კისერზე ორ-სამჯერ და ოდნავ უჯიკავა ცოლს“.

მავა³ თენა ოსური მაფუდუკონი, თეში მილუდუ გურსია: ხუბ. 220,15 „მე ეს ჩემს გულში როგორც ცოლი ისე მიმაჩნდაო“.

შდრ. ცუდე ართი სერც ოკო გამკართინუევე: ხუბ. 216,1 „სახლი ერთ ღამეს უნდა შეაბრუნოო“. შქა-სერც გინაჩრთენი, თი დროს... ხუბ. 220,4 „შუალამეს რომ გადასცილდა, იმ დროს...“

ჟირხოლო⁴ სტოლს ქიგლახუნუ: ხუბ. 189,18 „ორივე მაგიდაზე დასვა“.

შდრ. რაშიშ ვუდელც ქეკვირეს: ხუბ. 189,27 „რაშის კუდზე მიაბეს“. რგილ ოჭკომალც მუ ფჩანცია: ხუბ. 178,12 „ცივ საჭმელს რა მაჭმევსო“.

ქეკოხე ყებურს:⁵ ხუბ. 182,8 „კერიასთან ქეზის“. აკურქიუ მუშ რაშის, ოტაკინუ თი უზარმაზარ ზაბოროს... ხუბ. 183,5-

1. შდრ. Г. А. Климов, Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, М., 1962, გვ. 76.

2. ჩანერილია ვლ. ფანჩვიძის მიერ ს. კოჩარაში სოლომონ გვადის ძე შენგელიასაგან.

3. ჩანერილია ვლ. ფანჩვიძის მიერ ს. კოჩარაში (ლაბრა) სპირიდონ მაქსიმეს ძე გულუასაგან.

4. ჩანერილია მ. ხუბუასა და ვლ. ფანჩვიძის მიერ ს. ოჯიბინეში კოლია მაქსიმეს ძე ლვინჯილიასაგან.

5. ჩანერილია მ. ხუბუასა და ვლ. ფანჩვიძის მიერ ს. ოჯიბინეში კოლია მაქსიმეს ძე ლვინჯილიასაგან.

6 „მოუქნია თავის რაშს, დაატაკა იმ უზარმაზარ ყორეს...“

შდრ. ათე მ ი ნ დ ო რ ც გილეურცე ართი ჭაკი ცხენი: ხუბ. 179,31 „ამ მინდორში დადის ერთი ჭაკი ცხენი“. ალიშქერქოუქ ო ნ ა გ ე რ ც ხე მოკიდე: ხუბ. 184,31 „ალიშქერქოუმ უნაგირს ხელი მოჰკიდა“. დედუბის კ ი ს ე რ ც ქიგიოსხაპე: 187,26 „მოხუც ქალს ზედ კისერზე დაახტა“.

მუთუნ ვა ძირეს დო მ უ ნ ე ნ ს ხოლო ხუჯიქ იართეს: ხუბ. 177,23 „ვერაფერი ნახეს და თვითონაც მხარი ექცათ.“

შდრ. თქვა ხოლო თინენც ქეკანდღნუთ: ხუბ. 177,12 „თქვენც იმათ შეენირებით“. უნუ მუში ბ ო შ ე ნ ც: ხუბ. 177,5 „უთხრა თავის ბიჭებს“. ათე ბოში გუთოხე ხოლოში ჭიჭე დ უ ქ ა ნ ც: ხუბ. 177,33 „ეს ბიჭი ზის ახლობელ პატარა დუქანში“.

ქუნის⁶ ა რ თ ი ა ნ ც: ხუბ. 212,30 „უთხრეს ერთმანეთს“. ნ ა მ ე ტ ა ნ ს ქოშქერენს: ხუბ. 212,26 „ძალიან („მეტისმეტად“) შია“.

შდრ. სალამი ქუნის ა რ თ ი ა ნ ს: ხუბ. 214,25 „გამარჯობა უთხრეს ერთმანეთს“. დერაგადი ნ ა მ თ ი ნ ც: ხუბ. 214,7 „დაე-ლაპარაკე რომელიმეს“. სუფთა ნყარც ტ ა ნ ც იბონა: ხუბ. 214,6 „სუფთა ნყალში ტანს იბანენ“.

გუუკვათენქე ქორას ათე ჩ ხ ო მ ს გ : ყიფ. 48,2 „გავუჭრი ამ თევზს მუცელს“.

შდრ. სადილო ქოდაახუნეს ეფერი უ ა მ ც, ხენნიფეში მოთას კულათ ღვინი ქემეჩესე: ყიფ. 54,27-29 „სადილად რომ დასვეს ისეთ დროს, ხელმწიფის შვილიშვილს კულით ღვინო მისცეს“.

სი ჯგირი ოსური ქორდიკო ნი, სქანი ქ ო მ ო ნ ს ღ ე-ჯ ე ნ ს ვარკთი ოთხილაფუანდია: ყიფ. 52,7 „შენ კარგი ქალი რომ ყოფილიყავი, შენს ქმარს ღორებს არ ამწყემსინებდიო“.

შდრ. ე ცირაში ქ ო მ ო ნ ც მუთუნი ვა აქიმინედე: ყიფ. 50,2-3 „ამ გოგოს ქმარს არაფრის გაკეთება არ შეეძლო“.

მუში მუმაში ც ხ ე ნ ს ნოხირო ქიგედოხოდუ: ყიფ. 51,21 „თავის მამის ცხენს ქურდულად (მალულად) შეაჯდა“.

შდრ. თიმუ უ ა ნ ც ართი ჯიმაქ, უნჩაშიქ, დოლურუ: ყიფ.

6. ჩანერილია ს. კოჩარაში ვლ. ფ ა ნ ჩ ე ი ძ ი ს მიერ გიორგი გოგუასაგან.

52,22 „იმ დროს ერთი ძმა, უფროსი, გარდაიცვალა“.

ქოძირ⁷ მუდგარენი ნ ყ ა რ ს ე ქინიისოფუნი: ყიფ. 82,11 „ნახა, რალაც წყალში რომ შფოთავს“. გიოჯინე ნ ყ ა რ ს ე - ნ ი, ზისხირიში წიკვილო ქოძირე: ყიფ. 82,13 „წყალს რომ დახედა, სისხლით დასვრილი ნახა“.

შდრ. ბალანაქ მ ი ნ დ ო რ ც ე ლაყაფი ქედიიჭყუ: ყიფ. 83,33 „ბავშვმა მინდორში თამაში დაინყო“. წყარქ ო ს უ რ ც ე ვიში ქაგნაანუთ ტანსე: ყიფ. 84,26 „ქალს წყალი ქე გადაეხსა ტანზე“. ი მ ე ს ე რ ც ე ქედიინჯირე გური შეწუხებულ: ყიფ. 84,32 „იმ ლამეს გულშენუხებული დანვა“. ათე დო ათე მ უ - ხ უ რ ც ი ა, — კითითე ქაანურე: ყიფ. 85,9 „ამა და ამ კუთხეშიო, — თითით უჩვენა (მიანიშნა)“.

თეში მამანგარა ბოში დიორდე მ ი თ ი ნ ს ე ვო უძირე: ყიფ. 84,20 „ამის სიმაგრე ბიჭი ჯერ არავის უნახავს“.

შდრ. ქოძირე ნდემეფი, უირი, ა რ თ ი ა ნ ც ე ქაარკინენანი: ყიფ. 82,17 „ნახა დეეები, ორი, ერთმანეთს რომ ეჭიდავებთან“. ქიმეკინდე ხე შქვილი დო ს ა გ ა ნ ც ე: ყიფ. 84,7 „მოკიდა ხელი შვილდსა და ისარს“.

ეს ფაქტები შემთხვევითი არ ჩანს.

მიცემითის -ს მორფემა მეგრულს საერთო აქვს კოლხურის მეორე დიალექტთან, ჭანურთან, ასევე ქართულსა და სვანურთან. ქართველოლოგიაში ამჟამად საყოველთაოდ გაზიარებულია აზრი, რომ ეს ნ ი შ ა ნ ი ქ ა რ თ ვ ე ლ უ რ ე ნ ა თ ა მიცემითის უძველესი, დ ი ფ ე რ ე ნ ც ი ა ც ი ა მ - დ ე ლ ი მ ო რ ფ ე მ ა ა. ამდენად, არაა სადავო, რომ მეგრულში -ც ახალია, მეორეული.

რა ინვეს -ს-ს შეცვლას -ც-თი? ი. ყიფშიძეს ა ლ ნ ი შ ნ უ - ლ ი აქვს, რომ „падежное окончание с путем подъема дает ც“: კო-ს (სენაკ.) > კო-ც (ზუგდიდ.-სამურზ.), ოსურ-ს (სენაკ.) > ოსურ-ც (ზუგდ.-სამ.).⁸ ამგვარად, ი. ყ ი ფ შ ი ძ ი ს მიხედვით, ს > ც პროცესი ხმოვნისა და თანხმოვნის შემდეგ ერთნაირად კანონზომიერია ზუგდიდურ-სამურზაყანულში.

7. ქვემოთ წარმოდგენილი მასალა ჩანერილია ი. ყ ი ფ შ ი ძ ი ს მიერ ს. ცაიშში დიაკვან ბესარიონ მაქაყარიასაგან.

8. И. К и п ш и д з е, Грамматика мингрельского... გვ. 024.

ს. ჟღენტი, ემყარება რა ი. ყიფშიძის შრომას, წერს, რომ აფრიკატიზაციის შედეგად „სამურზაყანულსა და ზუგდიდურ კილოკავში მიცემითი ბრუნვის -ს წარმოითქმის როგორც ც“:⁹ ს-ს აფრიკატიზაცია მას ერთნაირად შესაძლებლად მიაჩნია როგორც თანხმოვნის შემდეგ, ისე ხმოვნის შემდეგაც (კო-ც < კო-ს). ამ დებულებათა დასაბუთება ავტორს მოცემული არა აქვს.

მიცემითის (აგრეთვე, მოქმ. გვარის ზმნის მხოლოობითი რიცხვის III სუბიექტური პირის) -ს ნიშნის ც-ში გადასვლას მ. ც ი კ ო ლ ი ა მიიჩნევს ბგერათა მონაცვლეობად (შენაცვლება, სუბსტიტუციად), რაც მისი აზრით, ამ ბგერათა წარმოების ადგილითაა განსაზღვრული¹⁰.

-ც-ს წარმოქმნის პოზიციის განსაზღვრას შეეცადა გ. კ ლ ი მ ო ვ ი თავის წიგნში — "Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте":

"Вариант С встречается лишь в самурзакано-зугдидском говоре менгрельского диалекта и обычно лишь при основах с ауслутом на сонорный"... დასადასტურებლად მას მოჰყავს მაგალითები: ქობალ-ც // ქობარ-ც („პურს")... ვარჩხილ-ც („ვერცხლს"), მინდორ-ც („მინდორს"). ავტორი განაგრძობს: "Налицо он здесь и при основах множественного числа". მითითებულია მაგალითებზე: ოსურ-ენ-ც „ქალებს", ჩხოულ-ეფ-ც „ძროხებს".¹¹

ეს უკანასკნელი მაგალითი (ჩ ხ ო უ ლ - ე ფ - ც) გარკვევით მეტყველებს იმაზე, რომ ს > ც პროცესი მეგრულში სონორთა მეზობლობით არაა შეპირობებული: ფ თანხმოვანი ხომ ჩქამიერი ბგერაა და არა სონორი!

გასაზიარებელია მოსაზრება, რომ აქ საქმე გვაქვს ს სპირანტის აფრიკატიზაციასთან (ს. ჟღენტი), მხოლოდ გასარკვევია, როდის ხდება ის და რა ინვეს მას?

ს-ს აფრიკატიზაცია ბოლოკიდურ ს ო ნ ო რ ე ბ თ ა ნ ა ც

9. ს. ჟღენტი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1953, გვ. 156.

10. მ. ც ი კ ო ლ ი ა, მეგრულის სამურზაყანულ-ზუგდიდური კილოკავის ფონეტიკური მიმოხილვა, დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის შრომები, XXV, სოხუმი, 1954, გვ. 335.

11. Г. А. К л и м о в, Склонение в картвельских языках... გვ. 70.

გვხვდება და არასონორებთანაც: კერძოდ, იგი ხდება როგორც მ, ნ, რ, ლ, ისე ფ, დ, თ, ტ, ქ, ჩ... ხშულ თანხმოვნებთანაც.

აქ ორგვარი შემთხვევა უნდა გაირჩეს:

1. ფუძის ბოლოკიდური სონორები და ხშული ფ ჩქამიერი თანხმოვანი ს-ს აფრიკატიზაციისას ცვლილებას არ განიცდის:

| | |
|-------------------------|-------------------------|
| სახ. ოსურ-ი „ქალი“ | მიც. ოსურ-ც < // ოსურ-ს |
| „ ჩხომ-ი „თეზი“ | „ ჩხომ-ც < // ჩხომ-ს |
| „ ხან-ი „ხანი“ | „ ხან-ც < // ხან-ს |
| „ ჩილ-ი „ცოლი“ | „ ჩილ-ც < // ჩილ-ს |
| „ ცირეფ-ი „ქალიშვილები“ | „ ცირეფ-ც < // ცირეფ-ს |

2. ხშულები: დ, თ, ტ, ჯ, ჩ კი, ჩვეულებრივ, რედუცირებულნი არიან მის შემდეგ, რაც ს-ს აფრიკატიზაცია უკვე მომხდარია. შედეგად ც (< ს) ხან სონორებს მოსდევს, რადგან დაკარგული ხშულების წინ სონორებია წარმოდგენილი, ხან — ხმოვნებს, რადგან დაკარგული ხშულების წინ ხმოვნებია წარმოდგენილი (სხვა შემთხვევაში აღნიშნული თანხმოვნები არ შეიძლება დაიკარგოს):

| | |
|------------------------|--|
| ა) სახ. მარდ-ი „მაღლი“ | მიც. მარ-ც < *მარდ-ც < მარდ-ს |
| „ ჩხვინდ-ი „ცხვირი“ | „ ჩხვინ-ც < *ჩხვინდ-ც < ჩხვინდ-ს |
| „ ლორონთ-ი „ღმერთი“ | „ ლორონ-ც < // *ლორონთ-ც < // ლორონთ-ს |
| „ ზოთონჯ-ი „ზამთარი“ | „ ზოთონ-ც < *ზოთონჯ-ც < ზოთონჯ-ს |
| „ ქომონჯ-ი „ქმარი“ | „ ქომონ-ც(ღ) < *ქომონჯ-ც(ღ) < ქომონჯ-ს(ღ) |
| „ ჯინჯ-ი „ძირი“ | „ ჯინ-ც < *ჯინჯ-ც < ჯინჯ-ს |

| | |
|----------------------|---|
| ბ) სახ. დუდ-ი „თავი“ | მიც. დუ-ც(ღ) < // დუდ-ც(ღ) < // დუდ-ს(ღ) |
| „ ბედ-ი „ბედი“ | „ ბე-ც- < *ბედ-ც < ბედ-ს |
| „ კოჩ-ი „კაცი“ | „ კო-ც < *კოჩ-ც < კოჩ-ს |

„ ხოჯ-ი „ხარი“
„ მეტ-ი „მეტი“

„ ხო-ც < *ხოჯ-ც < ხოჯ-ს¹²
„ მე-ც < *მეტ-ც < მეტ-ს¹²

მუზარბიში ლურაქ ახიოლჯ იში ო ს უ რ ც უ: ყიფ. 55,18 „მუზარბის სიკვდილი გაუხარდა მის ცოლს“. იმი ს ე რ ც ე ნდემეფი ვა მუშათინანდესუ: ყიფ. 55,11 „იმ ლამეს დევები ვერ შემობედავდენენ“.

ოკო დედუბი ქეტიყინტუასი, ფერი ყ ა მ ც ე ბოშიქე გოშქეილუუ საგანი, ზღვინდუ ნ დ ე მ ც ე დო დინაშა ქედუ-უდურინუუ დუდი: ყიფ. 58,16-18 „უნდა მოხუცი ქალი გადაყლა-პოს. ამ (ასეთ) დროს ამ ბიჭმა ესროლა ისარი, მოარტყა დევს და მიწაზე დააგდებინა თავი“.

ეზემა ხ ა ნ ც ე მუზარბის ქემჭიშუუ ლურადლაქე: ყიფ. 55,17 „ამდენ ხანს მუზარბის მოუსნრო სიკვდილმა“. მ უ ა ს - ქ ა ნ ც ე ყუნდუ რაშია: ყიფ. 61,29 „მამაშენს ჰყავდაო რაში“.

ათენეერო, ო ჭ კ უ მ ა ლ ც ე ვა არკენცე და დო დიდასუ. დიდას ენა ბ რ ე ლ ც ე ვა ახიოლჯ: ყიფ. 57,6 „ამგვარად, საჭმელს არ აკლებს დასა და დედას. დედას ეს ძალიან („ბევრს“) არ უხარია“.

გეჭოფუნცუ ლაკვატასუ, ოყოთანცე დო რ ი ტ ი ე ფ ც ე დ უ ც უ სოფუნცუ: ყიფ. 56,34 „ილებს სასროლ ჯოხს, ისვრის და რიტებს თავს წყვეტს“. ათაქინე დ უ ც უ ქანჯგოყვილა ამუდლა: ყიფ. 56,8 „აქ შენს წინ თავს მოვიკლავ დღეს“. ზ უ გ ი ც ე თქვა ქიმერთითუ უჩარდიაშა: ყიფ. 2,30 „ზუგდიდში თქვენ მიდით უჩარდიასთან“.

ათე ამბე ირიფელი ქუუნუუ ლ ო რ ო ნ ც ე: ყიფ. 86,18 „ეს ამბავი, ყველაფერი, უთხრა ლმერთს“.

გუუკვირდ კ ო ც ე: „გაუკვირდა კაცს“.

უნუუ თე ხენნიფეში ჩირქ მუში ქ ო მ ო ნ ც ე: ყიფ. 47,6-7 „უთხრა ამ ხელმწიფის ცოლმა თავის ქმარს“. ტ ო რ ო ნ ც დუუძახუ დო უზოჯუ: ყიფ. 86,10 „მტრედს დაუძახა და უბრძანა“. შ ა რ ა პ ი ც გილახედუ: „გზის პირას იჯდა“. პლატოკი

12. ამ უკანასკნელ მაგალითზე მიუთითებს ი. ყ ი ფ შ ი ძ ე. იხ. "Грамм. мингрелского..." გვ. 023, 027, აგრეთვე, იხ. ლექსიკონი, გვ. 280.

ქიგიოყოთუ ჩხვინდი დო პიცუ: ყიფ. 86,24 „ცვირსახოცი დააგდო ცხვირ-პირზე („ცხვირსა და პირზე)“. ოსურცუ ხუცუ ფოხალი, წყარიში ეფშა, ქიკლაადგუ: ყიფ. 84,23-24 „ქალს მხარზე წყლით სავსე კოკა წამოუდგამს“.

იქნებ ს-ს აფრიკატიზაციამდე მოხდა აღნიშნულ ხშულთა დაკარგვა? არა! ამაზე, პირველ ყოვლისა, მრავლობითის სუფიქსისეული ბოლოკიდური ფ მიუთითებს: ის არასდროს იკარგება, ს-ს აფრიკატიზაცია კი ხდება: ცირ-ეფ-ი „ქალიშვილები“ — ცირ-ეფ-ც, ჩხოულ-ეფ-ი „ძროხები“ — ჩხოულ-ეფ-ც, ცუჯ-ეფ-ი „ყურები“ — ცუჯ-ეფ-ც...¹³ მერეა და, ამაზე მეტყველებს ზოგი ისეთი პარალელური ფორმაც, სადაც აღნიშნული თანხმოვნები შემონახულია და ს-ს აფრიკატიზაციაც მომხდარია: სახ. დუდ-ი „თავი“ — მიც. დუდ-ცუ (// დუდ-სუ), სახ. ლორონთ-ი „ღმერთი“ — მიც. ლორონთ-ც (// ლორონთ-ს).

რაკი გაირკვა ს-ს აფრიკატიზაციის პოზიცია, ასახსნელად რჩება: რა თვისება აქვთ საერთო სონორებსა (მ, ნ, ლ, რ) და აღნიშნულ ხშულ თანხმოვნებს (ფ, დ, თ, ტ, ჯ, ჩ...), რაც ორსავე შემთხვევაში იწვევს ს-ს აფრიკატიზაციას? ხ შ უ - ლ ო ბ ა. ხშვა დამახასიათებელია, როგორც წმინდა ხშულეზისათვის (ფ, დ, თ, ტ) და აფრიკატიზისათვის (ჯ, ჩ), ისე ყველა სახის სონორებისათვის (მ, ნ, ლ, რ). სონორები, როგორც ცნობილია, ხშულ-ნაპრალოვანი, ანუ ნარევი ბგერებია.¹⁴

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ: ს სპირანტის აფრიკატიზაცია (ს > ც) მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ის ხშულ თანხმოვნებს ხვდება. არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ როგორი ბგეროვნობისაა თანხმოვანი: სონორია ის, თუ მჟღერი, ფშვინვიერი ან თუ მკვეთრი. მთავარია, ხშვის პროცესი ახასიათებდეს მას. ამიტომაცაა, რომ ს ც-ში გადადის არა მარტო ნამდვილ ხშულებთან (ფ, დ, თ...) და აფრიკატიზთან (ჯ, ჩ), არამედ ისეთ სონორებთანაც კი, როგორიცაა რ, ლ. ხშვის

13. შდრ. Г. А. Климов, Склонение в картвельских языках... გვ. 70.

14. ბ ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949, გვ. 39-44.

ელემენტის შეერთება (შ ე რ ნ ყ მ ა) სპირანტულობასთან, resp. ნაპრალთან, იძლევა ც აფრიკატს (და არა ბ გ ე რ ა თ ა შერწყმა: თს > ც, თშ > ჩ. შდრ. ქართ. ათსამმეტი > ცამეტი... ათშვიდმეტი > ჩვიდმეტი),¹⁵ რაც თავისთავად ბუნებრივია: ც ხომ ხშვისა და ნაპრალის შემცველი ბგერაა, აფრიკატი.¹⁶

ასეთივე მდგომარეობაა მესამე სუბიექტური პირის მორფემისეული ს-ს აფრიკატიზაციის შემთხვევაშიც.¹⁷

როგორც ვხედავთ, აღნიშნული ხშული ბგერები იკარგებიან, მაგრამ არა უკვალოდ: ისინი კვალს ტოვებენ ც-ში ხშვის სახით. რაც შეეხება სონორებსა და ფ-ს, მათ წილი უდევთ ც-ს წარმოქმნაში და თვითონაც არსებობენ.

რად არ იკარგება ხშული ფ? უთუოდ იმიტომ, რომ ის მორფოლოგიური ფუნქციის მატარებელია (მრავლობითობის აღნიშვნას ემსახურება!).

მეგრულში ს-ს აფრიკატიზაცია არ ხდება წინმავალ არა-ხშულ თანხმოვნებთან (სპირანტებთან) და ხმოვნებთან მეზობლობაში (სპირანტი + ს, ხმოვანი + ს). მართალია, -ს მორფემის ადგილას -ც გვხვდება ხმოვნების შემდეგაც, მაგრამ ყველა ამ შემთხვევაში ფუძის ბოლოს უნდა გვექნოდა რომელიმე ზემოდასახელებული ხშული თანხმოვანთაგანი: დ, თ, ტ, ჯ, ჩ... ისინი რედუცირებულნი არიან.

მ. ხ უ ბ უ ა ს ტექსტებში არის რამდენიმე მაგალითი, სადაც ბოლოხმოვიან ფუძეებში მიცემითის -ს-ს ადგილას -ც ზის. მაგალითად: ალიშქერქოუ-ც (საკ. სახელია), დრო-ც („დროს“), ხე-ც („ხელს“), დღა-ც („დღეს“), ხოლო-ც („ახლოს“).

რით უნდა აიხსნას ასეთი ფაქტები?

პირველ მაგალითს იქვე ეძებნება პარალელური ფორმა:

15. შდრ. თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, ქართული ენის მთის კილოთა კონსონანტიზმი სალიტერატურო ქართულთან მიმართებით, მეტყველების ანალიზის საკითხები, თბილისი, 1969, გვ. 169; თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი, 1976, გვ. 127-128.

16. ასე რომ, ყოველ ხშულთან და აფრიკატთან შეხვედრას შეეძლო მოეცა ს-ს აფრიკატიზაცია და, თუ ეს ალბათობა არაა რეალიზებული, ეს ფუძის სტრუქტურითა და პარადიგმატული თავისებურებებით უნდა იყოს გამოწვეული.

17. ამის შესახებ სპეციალურად სხვა დროს.

ა ლ ი შ ქ ე რ ქ ო უ - ს, რაც უფრო ხშირადაც იხმარება. სხვა მაგალითები ტექსტებში იშვიათად შეინიშნება. ყველა ეს შემთხვევა ანალოგიას უნდა მიენეროს.

ს. ყ ლ ე ნ ტ ი ს მიხედვით, ს-ს აფრიკატიზაცია ხმოვნების შემდეგაც შესაძლებელია არა მარტო აუსლაუტში, არამედ ანლაუტშიც. მისი შეხედულებით: მეგრ. ანკეცი (შდრ. ბანძ. ანტკეცი) < ქართ. ანკესი; მეგრ. ცურუ < ქართ. სურო. გარკვევით არაფერია თქმული, მაგრამ ივარაუდება, რომ მეგრ. საკვეცი < საკვესი (ქართ.).¹⁸

სინამდვილეში, როგორც ზემოთ ვნახეთ, პროცესი ასეთია: კ ო ც < კოჩ-ს. ამგვარად, ს სპირანტის აფრიკატიზაცია აქ ხშილ ჩ-სთან შეხვედრის შედეგია. რაც შეეხება სხვა მაგალითებს, რომლებშიც ხმოვნების შემდეგ ს > ც გვაქვს: ა ნ კ ე ც ი // ა ნ ტ კ ე ც ი, ს ა კ ვ ე ც ი, ც უ რ უ (ეს უკანასკნელი საეჭვო მაგალითია!) აქ ს და ც თანხმოვნების მონაცვლეობასთან (სუბსტიტუცია) უნდა გვექონდეს საქმე და არა აფრიკატიზაციის პროცესთან, რამდენადაც ყველა ამ შემთხვევაში ქართულიდან ნასესხებ სიტყვებთან გვაქვს საქმე.

ზემოთ აღინიშნა, რომ მეგრულის სენაკურ კილოკავში მიცემითისეული ს-ს აფრიკატიზაცია (ს > ც) არ დასტურდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ს-ს აფრიკატიზაციას ამ კილოკავში საერთოდ ადგილი არ ჰქონდეს.

სენაკურ კილოკავში ს სპირანტის აფრიკატიზაცია გვხვდება ფუძისეულ მასალაში, მეგრულისთვის ბუნებრივ რს კომპლექსში და, სხვათა შორის, არა მარტო აუსლაუტში, არამედ ანლაუტსა და ინლაუტშიც. გვაქვს: ქ უ რ ხ-ი > // ქ უ რ ც-ი „ქუსლი“... რ ს ქ ი ნ ი > // რ ც ქ ი ნ ი „ქადილი“ (მუს ი რ ც ქ ი ნ ა ფ თი კოჩ? „რას იქადნება ის კაცი?“)... ფ ა რ ს ა გ ი > // ფ ა რ ც ა გ ი „საკვირველი“, ე რ ს ქ ე მ ი > // ე რ ც ქ ე მ ი „ჯიხვი“...

არაა გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ეს პროცესი ზემოჩამოთვლილ სხვა თანხმოვნებთანაც დადასტურდეს.

მიცემითის მორფემისეული ს-ს აფრიკატიზაცია (ს > ც) არა გვაქვს სალიტერატურო ქართულში, მაგრამ დასტურდება

18. ს. ყ ლ ე ნ ტ ი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა... გვ. 156.

ქართულის გურულ დიალექტში.¹⁹ ზოგჯერ შეინიშნება აჭარულშიც: ბლავილ-ც...²⁰ ორსავე შემთხვევაში, მსგავსად მეგრულისა, მოვლენა ლაბილური ხასიათისაა.

ი. მეგრელიძის გამოკვლევის მიხედვით, გურულში ს გვაძლევს ც-ს განსაზღვრულ კომპლექსში: ლ თანხმოვანთან მეზობლობაში (კბილ-ც...), ასევე, დ, თ, ტ, ძ, ც, წ; ჯ, ჩ, ქ თანხმოვნების შემდეგ, მაგრამ უმთავრესად იმ შემთხვევაში, როცა ამ თანხმოვნების წინ მოცემულია რომელიმე ნარნარა ბგერა: ლ, რ, წ:²¹ წ ა ლ დ - ს > წ ა ლ - ც... ვ ა რ დ - ს > ვ ა რ - ც... ს ტ უ დ ე ნ ტ - ს > ს ტ უ დ ე ნ - ც...

ავტორს ეს სონორები მიაჩნია ს-ს ც-თი შეცვლის მიზეზად: ლს > ლც (ქალ-ს > ქალ-ც, სანთელ-ს > სანთელ-ც...)

იმ შემთხვევაში, როცა კომპლექსში სონორსა და მიცემითის ნიშანს შორის მოცემულია რომელიმე ზემომითითებული არასონორი თანხმოვანთაგანი (დ, თ, ტ; ძ, ც, წ; ჯ, ჩ, ქ), ისინი იკარგებიან და ამის შემდეგ სონორები ინვევენ ს-ს ც-თი შეცვლის პროცესს: წ ა ლ დ - ს > წ ა ლ - ც, ვ ა რ დ - ს > ვ ა რ - ც, ს ტ უ დ ე ნ ტ - ს > ს ტ უ დ ე ნ - ც...

ამდენად, ამ ტიპის კომპლექსიან ფუძეებს აუსლაუტში ც არ შეიძლება გააჩნდეს აღნიშნულ თანხმოვანთა მოკვეცამდე, მაგრამ „თანხმოვანშეკვეცილში [მიცემითი] ბრუნვის ნიშნად -ც გვაქვს და არა -ს“.²²

ასევეა განსაზღვრული ზმნათა III სუბიექტური პირის -ს სუფიქსის შეცვლაც -ც-თი.²³

ავტორს არა აქვს მოცემული ა ხ ს ნ ა, თუ რატომ უნდა გამოენვია სონორებს -ს-ს შეცვლა ც აფრიკატით. საკითხის ახსნას შეეცადა შ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი თავის საყურადღებო შრომაში: „სპირანტთა აფრიკატიზაციის საკითხისათვის ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში“.²⁴

19. იხ. ი. მეგრელიძე, მიცემითი ბრუნვის ნიშნისა და...
20. შ. ნიჟარაძე, ზემოაჭარულის თავისებურებანი, ბათუმი, 1957, გვ. 31.
21. ი. მეგრელიძე, დასახ. შრომა, გვ. 354.
22. იქვე, გვ. 350.
23. იქვე, გვ. 352-353 და შემდ.
24. შ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი, სპირანტთა აფრიკატიზაციის საკითხისათვის ზოგიბერიულ-კავკასიურ ენაში, საქ. მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინსტ. VI (XII) სამეცნ. სესიის მუშაობის გეგმა და მოხს. თეზისები, თბ., 1955, გვ. 29 — 31.

ფაქტიური მასალის ჩვენ მიერ ჩატარებული ანალიზი არკვევს, რომ გურული დიალექტი ძირითადად იმავე სურათს გვიჩვენებს, რასაც მეგრული:

1. არაა არც ერთი შემთხვევა, რომ აუსლაუტში ს სპირანტის აფრიკატიზაცია (ს > ც) ხდებოდეს ისე, რომ მას წინ ხშული თანხმოვანი (მჟღერი, ყრუ, სონორი) არ უძღოდეს და, თუ არ უძღვის; დაკარგული არ იყოს.

2. აქაც საკმაოდ ხშირია ისეთი მაგალითები, რომლებიც ს უ ლ ა რ შ ე ი ც ა ვ ე ნ ს ო ნ ო რ ე ბ ს, მაგრამ მიცემითისეული ს-ს აფრიკატიზაცია ახასიათებთ: დიდ-ი — დი-ც, დათვ-ი — და-ც (> *დათ-ც...), თით-ი — თი-ც, ათ-ი — ა-ც... ჩიტ-ი — ჩი-ც, კეტ-ი — კე-ც... თუჯ-ი — თუჩ (> *თუ-ც...). ტკერ-ი — ტკერ (< *ტკერ-ც...) ბიჭ-ი — ბიჩ (< *ბიჩ-ც...)... კვიც-ი — კვი-ც // კვიც-ც, კაც-ი — კაც // კაც-ც.²⁵

3. მიცემითის მორფემისეული ს-ს აფრიკატიზაცია გურულშიც ფუძის ბოლოკიდურ ხშულ თანხმოვანთა (დ, თ, ტ; ძ, ც, წ; ჯ, ჩ, ჭ) მოკვეცამდე ხდებდა. ამას ადასტურებს თვით ხსენებული ავტორის ისეთი მაგალითები, სადაც ბოლოკიდური ხშულიცაა წარმოდგენილი და -ც მორფემაც: მჭად-ი — მჭად-ც... მხეც-ი — მხეც-ც (// მხეც), კვიც-ი — კვიც-ც (// კვიც)... ლურჯ-ი — ლურჯ-ც (// ლურჩ)... კუნძ-ი — კუნძ-ც (// კუნ-ც), ქინძ-ი — ქინძ-ც...

აქედან აშკარაა, რომ გურულშიც, ისე, როგორც მეგრულში, ს სპირანტის აფრიკატიზაციას იწვევს არა მხოლოდ სონორი ბგერა, არამედ ყოველი ზემოჩამოთვლილი ხშული ბგერა (დ, თ, ტ; ძ, ც, წ; ჯ, ჩ, ჭ). მიზეზიც იგივეა: ხ შ ვ ი ს კ ო მ-პ ო ნ ე ნ ტ ი ს ნ ა ნ ი ლ ო ბ რ ი ვ ი შ ე ე რ თ ე ბ ა (შერწყმა) ს-ს ს პ ი რ ა ნ ტ უ ლ ო ბ ა ს თ ა ნ (ნაპრალთან).

უკანასკნელად წარმოდგენილი მაგალითები არღვევენ ი. ქ ო ბ ა ლ ა ვ ა ს მოსაზრებასაც, რომლის მიხედვით, გურულის საანალიზო მასალაში მიცემითისეული ს-ს აფრიკატიზაცია

25. ზმნათა ფორმებშიც: უყიდ-ს — უყი-ც, უწყვეტ-ს — უწყვე-ც, მხატ-ს — მხა-ც, კეტ-ს — კე-ც...

შედგება 'ხშულ და სპირანტი თანხმოვანთა შერწყმისა:²⁶ თ + ს > ც (დი-ც < დით-ს < დიდ-ს; ლმერ-ც < ლმერთ-ს; ჩი-ც < ჩით-ს < ჩიტ-ს).

თუ აქ თანხმოვანთა შერწყმაა, ც აფრიკატის გვერდით შერწყმაში მონაწილე დ, თ... კომპონენტები არ უნდა გვექონოდა შემორჩენილი. ფაქტობრივად კი გვაქვს: მჭად-ც... მერეა და, შერწყმის შესაძლებლობას გამორიცხავს ჯ და ძ-ზე დამთავრებული ფუძეები: ლ უ რ ჯ-ც... კ უ ნ ძ-ც, ქ ი ნ ძ-ც. აქ ბოლოკიდური ჯ, ძ არაა დაკარგული, სონორებთან უშუალო მეზობლობა არაა მიღწეული, ს-ს აფრიკატიზაცია კი ფაქტია! რამ გამოიწვია ის? ჯ და ს, ძ და ს თანხმოვნების შერწყმამ? ასეთი კომპონენტების შერწყმა, როგორც ცნობილია, ც აფრიკატს არ იძლევა. ყოველ შემთხვევაში, ამას გურულის მასალაზე დადასტურება დასჭირდება, რაც ძნელი საფიქრებელია, მოხერხდეს.

როგორც ვხედავთ, მიცემითის მორფემისეული ს სპირანტის აფრიკატიზაცია მეგრულსა და გურულ-აჭარულში პოზიციურ-კომბინატორული ხასიათისაა: ის ხდება ხშულთა მომდევნოდ, უშუალო კონტაქტის შემთხვევაში, და ხშულის გავლენით. არაა აუცილებელი ხშულის სონორობა. მას ჩქამიერი ხშულებიც ისევე იწვევენ, როგორც — სონორები.

ამავე მიზეზითაა გამოწვეული გურულში ს სპირანტის აფრიკატიზაცია ი ნ ლ ა უ ტ შ ი ც: ხელსახოცი > ხელცახოცი, ელსაბედი (< ელისაბედი) > ელცაბედი, ალსანდრე (< *ალქსანდრე < ალექსანდრე) > ალცანდრე... პარსვა > პარცვა, ვიპარსები > ვიპარცები, ფარსაგი > ფარცაგი... პენსია > პენცია, შანსი > შანცი.²⁷

ამ მასალაში ლ, რ, ნ თანხმოვნები ს სპირანტის აფრიკატიზაციას იმიტომ კი არ იწვევენ, რომ ისინი სონორები არიან, ან თავისებური განხშვა ახასიათებთ, არამედ იმიტომ, რომ ისინი ხშვის კომპონენტის შემცველი ბგერებია.

26. ი. ქობალავა, აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები იბერიულ-კავკასიურ ენებში, იკე, IX — X, თბ., 1958, გვ. 66.

27. მაგალითები ამოღებულია ი. მეგრელიძის ზემოხსენებული შრომიდან, გვ. 354.

ასეთივე ახსნა უნდა მიეცეს ქართული ენის სხვა დიალექტების მსგავს მასალას, რომელიც, ჩვეულებრივ, ს — ც თანხმონათა სუბსტიტუციადაა მიჩნეული: ი მ ე რ უ ლ შ ი: პარსვა > პარცვა, მამპარსეს > მამპარცეს, გეიპარსა > გეიპარცა, პენსია > პენცია, ფარსაგი > ფარცაგი, შანსიანი > შანციანი...²⁸ ქ ა რ — თ ლ უ რ შ ი: გაიპარსება > გაიპარცება...²⁹

იქნებ მსგავსადვე აიხსნას ს-ს შეცვლა ც-თი ს ვ ა ნ უ რ — შ ი ც ხ შ უ ლ ე ბ ის (ყ, წ...) მომდევნო (ყს > ყც, წს > წც): ხატსი (ხატყცი) ცხვის: „სცემს ისარს“. გეზალ დემ ხენცის (ხენსის): „შვილი არ ებადებათ“.³⁰

ასევე უნდა იხსნებოდეს ს სპირანტის აფრიკატიზაცია არაერთ მთის იბერიულ-კავკასიურ ენაშიც: ჩ ა ჩ ნ უ რ შ ი: ურს > ურც „დანა“...³¹ ხ უ ნ ძ უ რ შ ი: ემსუდ > ემცუდ „მამამ“, ჰუნსა > ჰუნცა „მანდედან“...³² უ დ ი უ რ შ ი: ბაფსუნ > ბაფცუნ“.³³

როგორც ჩანს, ხშულის მომდევნოდ ს სპირანტის აფრიკატიზაციის ტენდენცია მოქმედებს არა მარტო კოლხური ენის მეგრულ დიალექტში, არამედ საერთოდ ქართველურ ენებსა (ქართული, სვანური) და მთის იბერიულ-კავკასიურ ენებშიც კი.³⁴ ქართულის გურულ დიალექტში ამ პროცესის განსაკუთრე-

28. პ. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე, იმერული დიალექტის ხანურ-ზეგნური მეტყველება, იკე, VIII, თბ., 1956, გვ. 120; ლ. ლ ე უ ა ვ ა, ზემოიმერულის მასალები ერთი სოფლის მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით, იკე, IX-X, თბ., 1958, გვ. 178.

29. გ რ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ბორჯომის ხეობის ქართლურის თავისებურებანი, იკე, VIII, თბ., 1956, გვ. 86.

30. თ. შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე, სვანური ენის ცხუმარული კილოკავის ძირითადი თავისებურებანი, იკე, IX-X, თბ., 1958, გვ. 238.

31. ი. ქ ო ბ ა ლ ა ვ ა, აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები... გვ. 77.

32. ი. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ხუნძური ენის ანუნუსური დიალექტი, იკე, II, თბ., 1948, გვ. 153-154.

33. ი. ქ ო ბ ა ლ ა ვ ა, აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები... გვ. 83;

34. მსგავს პოზიციაში ხშულთან შეხვედრით ჩანს გამოწვეული სხვა სპირანტების: შ, ზ, უ-ს აფრიკატიზაციაც ქართულ-ქართველურ ენებში (და იქნებ მთის იბერიულ-კავკასიურ ენებშიც: აფხაზურში, ჩაჩნურში, დარგულში...):

შაჩ: ქართ. (გურ.-აჭარ.) ხარშვა > ხარჩვა, მოხარშული > მოხარჩული, ხარშო > ხარჩო (შდრ. მეგრ. ხარშო; ხაშუა „ხარშვა“).

ზაძ: ქართ. საბზელი > საბძელი...

ჟაჯ: მეგრ. ბჟა, ჭან. მჟორა > მჯორა „მზე“, მეგრ. ჟვაბუ > ჭან. მჯვაბუ „ბაყაყი“... ქართ. (დიალექტ.) ბურჟუაზია > ბურჯუაზია(!). ამაზე ცალკე.

ბული გავრცელებულობა შესაძლებელია, მეგრული სუბსტრატის გავლენით იყოს გამოწვეული.

დამოწმებული ლიტერატურა

1. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949.
2. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი შ., სპირანტთა აფრიკატიზაციის საკითხისათვის ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში, საქ. მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის VI (XII) სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1955.
3. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე პ., იმერული დიალექტის ხანურ-ზეგნური მეტყველება, იკე, VIII, თბ., 1956.
4. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი გრ., ბორჯომის ხეობის ქართლურის თავისებურებანი, იკე, VIII, თბ., 1956.
5. ლ ე ჟ ა ვ ა ლ., ზემოიმერულის მასალები ერთი სოფლის მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით, იკე, IX—X, თბ., 1958.
6. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე ი., მიცემითი ბრუნვის ნიშნისა და მესამე პირის სუბიექტური ნიშნის სახეცვლილება გურულში, თსუ შრომები, ტ. VI, თბ., 1938.
7. ნ ი ჟ ა რ ა ძ ე შ., ზემოაჭარულის თავისებურებანი, ბათუმი, 1957.
8. უ ლ ე ნ ტ ი ს., ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1953.
9. უ თ უ რ გ ა ი ძ ე თ., ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976.
10. უ თ უ რ გ ა ი ძ ე თ., ქართული ენის მთის კილოთა კონსონანტიზმი სალიტერატურო ქართულთან მიმართებით, მეტყველების ანალიზის საკითხები, თბ., 1969.
11. ქ ო ბ ა ლ ა ვ ა ი., აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები იბერიულ-კავკასიურ ენებში, იკე, IX—X,

თბ., 1958.

12. შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე თ., სვანური ენის ცხუმარული კილოკავის ძირითადი თავისებურებანი, იკე, IX-X, თბ., 1958.
13. ც ე რ ც ვ ა ძ ე ილ., ხუნძური ენის ანწუხური დიალექტი, იკე, II, თბ., 1948.
14. ც ი კ ო ლ ი ა მ., მეგრულის სამურზაყანულ-ზუგდიდური კილოკავის ფონეტიკური მიმოხილვა, დ. გულიას სახ. აფხაზეთის, ენის, ლიტ. და ისტ. ინსტ. შრომები, ტ. XXV, სუხუმი, 1954.
15. К и п ш и д з е И. А., Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, С. - П., 1914.
16. К л и м о в Г. А., Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, М., 1962.

§ 7. მესამე სუბიექტური პირის აფიქსიკული ს სანიანტის აფრიკატიზაცია

ცნობილია, რომ ქართულში მესამე სუბიექტური პირის მორფემად მხოლოდობით რიცხვში გვაქვს -ს (აშენებ-ს, იკერავ-ს, დულ-ს, წევ-ს), -ა (ააშენ-ა, შეიკერ-ა, დადულდ-ა, დანვ-ა), -ო (შეაქ-ო, გაადნ-ო, გააძრ-ო).

ამ მორფემებიდან კოლხური (ზანური) ენის მეგრულ დიალექტში (როგორც სენაკურ, ისე ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავებში) მესამე სუბიექტური პირის ერთერთი ძირითადი მოქმედი აფიქსია -ს ან მ ყ ო ს ა და მ ყ ო ფ ა დ-ის მწკრივებში (ჭუნ-ს „წვავს“, იბონ-ს „იბანს“, ფუნ-ს „დულს“, ლურ-ს „ძინავს“... დოჭუნ-ს „დანვავს“, გიბონ-ს „დაიბანს“, ქოფუნ-ს „ადულდება“, ქიდირულუნ-ს „დაიძინებს“), ასევე კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი ს ყველა მწკრივში (ჭუნდა-ს „წვავდეს“... დოჭუნდა-ს „დანვავდეს“... დოჭვა-ს „დანვას“... დუჭუნდა-ს „დაენვას“...). აღნიშნულ სუფიქსს შესაძლებელია ერთგოდეს ი: ჭუნ-სი, იბონ-სი..., უ: ჭუნ-სუ, იბონ-სუ... (სენაკურ კილოკავებში) ან გ: ჭუნ-სგ, იბონ-სგ... (ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავებში).

-ს მორფემა ყოველგვარი ზმნის კავშირებითის ფორმებში (არა აქვს მნიშვნელობა, რომელი კავშირებითია) ყოველთვის ხ მ ო ვ ა ნ ს მოსდევს, რადგან კავშირებით კილოს -ა სუფიქსი აწარმოებს: ჭუნდ-ა-ს... დოჭუნდ-ა-ს... დოჭვ-ა-ს... დოჭუნდ-ა-ს.

წარმოვადგენთ მაგალითებს ტექსტებიდან:

I. ა ნ მ ყ ო ს კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი

| | |
|-------------------------------|---------------------------|
| აღუძუდ-ა-ს „ედოს“ | მიზიმუნდ-ა-ს „მიზომავდეს“ |
| მიჭყორუდ-ა-ს „მინყრებოდეს“ | გარჩქილედ-ა-ს „გესმოდეს“ |
| მუკოჰკირუდ-ა-ს „გებას“ | ქემკობუდ-ა-ს „ეკიდოს“ |
| ხვილგდ-ა-ს „დამწყვედელი იყოს“ | რდ-ა-ს „იყოს“ |
| იბირდ-ა-სი „მღეროდეს“ | ქეკორთხოზუდ-ა-ს |
| | „მოგსდევდეს“ |
| იძიცანდ-ა-სი „იციოდეს“ | მონტუდ-ა-სგ „მეკიდოს“ |

დაბა ეგებუ ჯიბეშა მუთუნი ა ლ უ ძ უ დ ა ს ი ა, — იფირქუ თიქუ: ყიფ. 85,33 „იქნებ ჯიბეში რაიმე ედოს, — იფიქრა მან“. ნანდულო ღორონთი მა ოკო მ ი ქ ყ ო რ უ დ ა ს ი ე: ყიფ. 98,18 „ღმერთი ნამდვილად მე უნდა მინყრებოდესო“. ოსურქ გაგე- ხანგასუ და, მ უ კ ო ჯ კ ი რ ჯ დ ა ს ჩ ე ჯ ა შ ა: ბ. 87,16 „ცოლი თუ გაგისულელდა, მიბმული უნდა გყავდეს ჩინარზე“. ნამდვი- ლო თიში მანწარარე, ჯიხას კოჩი ხ ვ ი ლ ჯ დ ა ს: ბ. 113,5 „ნამდვილად ისე მწარეა, როგორც კაცი ციხეში იყოს დამ- ნყვდეული“. შხვა ი ბ ი რ დ ა ს ი, ი ძ ი ც ა ნ დ ა ს ი — აკმეჭიროთუ შური: ბ. 65,7 „სხვა მღეროდეს, იცინოდეს — შემინუხდება სული“. სინჩხეს ოკო მ ი ზ ი მ უ ნ დ ა ს: ბ. 141,25 „სიცხეს უნდა მიზომავდეს“. შხვაში ნგარა ქოგისხუნუ, გ ა რ- ჩ ქ ი ლ ე დ ა ს ჩქიმი ბირა: ხუბ. 310,5 „სხვისი ტირილი გირჩვენია [იმას], რომ ჩემი სიმღერა გესმოდეს“. ღუმუა ჟი ქ ჯ მ კ ო ბ უ- დ ა ს თეშია: ხუბ. 142,9 „ღომიო მალლა ეკიდოს ისეო“. მათ ეფერსი დოგისხუნუ, გურს დაჩხირი გ ო ნ ტ უ დ ა ს ჯ: ხუბ. 314,35 „მეც ისეთს გეტყვი, რომ გულზე ცეცხლი გეკიდოს“. ვარდიშ მინჯეთუ რ დ ა ს ო კვარია?: ქხპნ 22,13 „ვარდის პატრონად იყოს ყვაეი?“ ოჭიში ვაძირა ნტერც, ოში ქ ე კ ო რ- თ ხ ო ზ ჯ დ ა ს: ქხპნ 20,28 „მტერს ზურგი არ აჩვენო, ასიც რომ მოგდევედეს“.

2. მ ყ ო ფ ა დ ი ს კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი

| | |
|-----------------|-------------------|
| მააკორდუდ-ა-სუ | „დააკლდებოდეს“ |
| ქოგმაშინუდ-ა-სუ | „გამახსენდებოდეს“ |
| ემალედ-ა-სუ | „ამისრულდებოდეს“ |
| ქიმმართედ-ა-სუ | „მიმესვლდებოდეს“ |

ოშ-ოშო გეშაბჭოფუნდეე დო მუთას მ ა ა კ ო რ დ ჯ დ ა - ს ჯ ნ ი: ყიფ. 186,12 „ას-ასად გამოვიჭერდე და არაფერი დააკლდებოდეს“. აკა ქ ო გ მ ა შ ი ნ უ დ ა ს ჯ სქანი გემუანი ნინა! ხუბ. 310,3 „ერთი გამახსენდებოდეს შენი ტკბილი სიტყვა!“ თიცალი ბედიშ ქოპუას, ნარტი ე მ ა ლ ე დ ა ს ჯ ნ ი: ქხპმ 24,2 „ისეთი ბედის გამხადა, რომ ნანატრი ამისრულდებოდეს“.

სოდეთ სი იყუაფუქი, მათ თექ ქ ი მ მ ა რ თ ე დ ა ს ე ნ ი: ქხპმ 24,4 „სადაც შენ იქნები, მეც იქ მიმესვლებოდეს“.

3. II კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი

| | |
|----------------------------------|----------------------------|
| ვა მომილას-ა-სუ „ნუ მომიშალოს“ | ვეგურუ-ა-ს „არ ისწავლოს“ |
| ვა გაშქურინ-ა-სუ „არ შეგეშინდეს“ | კინიღვ-ა-ს „გაიდეvas“ |
| გუუმორძგვ-ა-ს „გაუმარჯოს“ | დუძახ-ა-ს „დაუძახოს“ |
| დინორთ-ა-ს „ჩავიდეvas“ | იდ-ა-ს „წავიდეvas“ |
| ქიმინ-ა-ს „ქნას“ | ქენოსქედ-ა-ს „დარჩეს“ |
| გიმელ-ა-სუ „ჩამოვიდეvas“ | ქომურ-ა-ს „მომცეს“ |
| ქიიძირუ-ა-სი „ინახულოს“ | ვემდაჟლ-ა-ს „არ წაგართვას“ |
| თქუ-ა-სი „თქვას“ | ვემგოხირ-ა-ს „არ მოგპაროს“ |
| ძირ-ა-სუ „ნახოს“ | მეგერიდ-ა-სუ „მოგერიდოს“ |
| ქიგიოდინ-ა-სი „დააკვდეvas“ | |

ლორონთქ ნუ მომილასასუ სქანი ხეში მონული! ყიფ. 20,13 „ღმერთმა ნუ მომიშალოს შენი ხელის მონეული!“ ვა გაშქურინასუ: ყიფ. 18,12 „არ შეგეშინდეს“. ლორონთქ გუუმორძგვას დიდი დოჭიჭეს! ყიფ. 132,170 „ღმერთმა გაუმარჯოს დიდსა და პატარას!“ დინორთასო? მუქინინასი, ვა უჩქე: ყიფ. 19,8 „მინაში ჩავიდეvas? რა ქნას, არ იცის“. მუქუ ხვალე გიმელასუ გვალაშე დოქიიძირუასი, ოშქურუ: ყიფ. 57,15 „თვითონ მარტო ჩამოვიდეvas მთიდან და ინახულოს, ეშინია“. კოჩიშ თოლქე მუძირასუ თეში მანგი ოძირაფუ? ქხპნ 19,59 „კაცის თვალმა რა ნახოს ამის დარი სანახავი?“ თქუასია დოთისუ ქიგიოდინასია: ყიფ 73,19 „თქვასო და მას დააკვდეvas“. მიქით ჯგირო ვქგურუას, ქალვოფურტინათი თოლსი: ბ. 162,3 „ვინც კარგად არ ისწავლოს, ჩავაფურთხოთ თვალეში“. ხუს ბურჭული კინიღვას... ბ. 124,24 „მხარზე წალდი გაიდეvas...“ აკადუძახას მუშ რაშისუნ, მეტი ვამოკონა: ხუბ. 124,17 „ერთი რომ დაუძახოს თავის რაშს, მეტი არ [არაფერი] გვინდა“. ანნი ოკო იდას მუშ მუმაშა: ხუბ. 127,11 „ანი უნდა წავიდეvas თავის მამასთან“. ან ვარა თექ ოკო ქენოსქედას დო ვარა — თიქ:

ხუბ., 130,8 „ან ან ეს უნდა ჩარჩეს და, ან — ის“. ნოტე მუთუნი ქ ო მ უ ჩ ა ს ს ი რექუნი თიში ნერიი ხუბ. 314,11 „ნეტავ რამე მომცეს, შენ რომ ხარ, იმნაირი“. ხოჯეფი მითინქ ვ ე მ დ ა ლ ა ს, ვარა ვ ე მ გ ო ხ ი რ ა ს: ხუბ. 52,31 „ხარები ვინმემ არ წაგართვას, ან არ მოგპაროს“. თუნთიქ მ ე გ ე რ ი ა ს ჯ და ბაბა დუძახია: ყიფ. 176,15 „დათვი თუ მოგერიოს, მამა დაუძახეო“.

-ს სუფიქსი მეგრულშიც, ისევე, როგორც ქართულში, ი რ - ი ბ ო ბ ი ე ქ ტ ს გადმოსცემს მოქმედებითი გვარის ზმნათა III კავშირებითის ი ნ ვ ე რ ს ი უ ლ ფორმებში:

| | |
|--------------------------|---|
| აკუსოფუდ-ა-ს „დაეგლიჯოს“ | რსურებუდ-ა-ს „გსტუმრებოდეს“ |
| დუუჭყუდ-ა-ს „დაენყველოს“ | ქობლოლამუდ-ა-ს „დამმართოდეს“ |
| უჭარუდ-ა-ს „ენეროს“ | გოტიბაფუდ-ა-ს „გათბობოდეს“, „შეენყალებინოს“ |
| ქიგერჭუდ-ა-ს „დაგნვოდეს“ | ქაშარჭყოლადჯდ-ა-ს „დაგვინყებოდეს“ |
| რყოფუდ-ა-ს „აგხდენოდეს“ | შეხვალამუდ-ა-ს „შეხვედროდეს“ |

ინა ჩქიმოთ ვაგოკო(ნ)და, ჯოლორს ა კ უ ს ო ფ უ დ ა ს: ბ. 129,12 „ის ჩემთვის თუ არ გინდა, ძალღს დაეგლიჯოს“. ლორონს დ უ უ ჭ ყ უ დ ა ს არძო ართო: ბ. 117,9 „ღმერთს დაენყველოს ყველა ერთად“. ითამ დიდა დო მუმას უ ჭ ა რ უ დ ა ს, თეშ გაგმანწყუ თე მაზაკვალ ოსურქ: ხუბ. 143,17 „ვითომ დედასა და მამას დაენეროს, ისე გამოანყო ამ მზაკვარმა ქალმა“. სქან ქუდეშა მუშა იბდა, უჩათ ქ ი გ ე რ ჭ უ დ ა ს ჯ ნ ი! ხუბ. 314,28 „შენს სახლში რისთვის წავიდე, შავად რომ დაგნვოდეს“. თეზმა ჩქიმი გოლანძღუა, ცირა, ჯგირი რ ყ ო ფ უ დ ა ს ჯ! ხუბ. 314,33 „ჩემი ამდენი გალანძღვა, ქალიშვილო, კარგად აგხდენოდეს!“ ოკონდა რ ს უ რ ე ბ უ დ ა ს ი ა მოზღსხარე ნტიერი: ყიფ. 142,20 „თითქოს გსტუმრებოდეს მოსისხლე მტერი“. ჭირი ქ ო ბ ლ ო - ლ ა მ უ დ ა ს სქანი ჩელა კკსერიში: ყიფ. 164,22 „ჭირი დამმართოდეს შენი თეთრი კისრისა“. ლორონთი გ ო ტ ი ბ ა - ფ უ დ ა ს ოსურცჯ დო ქომოლც: ყიფ. 132,18 „ღმერთს შეენყალებინოს ქალიცა და ვაჟკაციც“. ლორონთი, ქ ა შ ა რ ჭ ყ ო - ლ ა დ ჯ დ ა ს ჯ! ბ. 86,1 „ღმერთო, დაგვინყებოდეს!“ მა ამბექ

შეფხვადენი, ფერი შ ე ხ ვ ა ლ ა მ უ დ ა ს ტერს: ბ. 94,21 „მე რომ ამბავი შემემთხვა, ისეთი შეხვედროდეს მტერს“.

რაც შეეხება S₃ -ს მორფემას ა ნ მ ყ ო ს ა და მ ყ ო ფ ა დ ის მწკრივებში, უნდა ითქვას შემდეგი: ის ახასიათებს მოქმედებითი გვარის ზმნებს, ასევე საშუალო გვარის ზმნათა საშუალო მოქმედებითის (მედიაოქტიურთა) ჯგუფს, საშუალო-ვნებითებიდან (resp. მედიაოპასიურებიდან) კი ინვერსიულ ზმნათა აბსოლუტურ უმრავლესობას და ზოგ არაინვერსიულ ზმნასაც. ყველა ამ შემთხვევაში -ს ყოველთვის თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ს მ ო ს დ ე ვ ს. ეს თანხმოვნები არის როგორც აფიქსისეული, ისე ძირეული. აფიქსები, რომელსაც მოსდევს მესამე სუბიექტური პირის მორფემა, ანმყოს მანარმოებლებია, ანუ ე. წ. თემის ნიშნები; ასეთებია: -ან-, -ენ-, -ინ-, -ონ-, -უნ-, ენ.

ა). ა ნ მ ყ ო ს მ წ კ რ ი ვ შ ი

-ან-

| | |
|-----------------------------|-------------------------------|
| ვამორულუ-ან-ს „არ მაძინებს“ | მოსქილიდუ-ან-სი „(მო)მარჩენს“ |
| ღურჭულ-ან-სი „გალობს“ | რკი-ან-ს „კივის“ |
| იფურ-ან-ს „იფიცავს“ | რჩხვი-ან-ს „ჩხავის“ |
| იჭყ-ან-ს „იწყებს“ | გოჩ-ან-ს „ასხია“ |
| რაგად-ან-სი „ლაპარაკობს“ | ეწხორ-ან-ს „არ სახლობს“ |
| ონჯ-ან-სუ „აღებს“ | ითხ-ან-სი „სუნიაო“ |
| ჭ-ან-სუ „კერავს“ | ვაუხუჯ-ან-ს „არ უხდება“ |

ხან ფიქრი დო ხან ყოროფა სერიო ვ ა მ ო რ უ ლ უ ა ნ ს: ბ. 122,21 „ხან ფიქრი და ხან სიყვარული ღამით არ მაძინებს“. ქომოძირი თი ჩიტია, ნამკრე თაში ღ უ რ ჭ უ ლ ა ნ ს ი: ყიფ. 173,2 „მაჩვენეო ის ჩიტი, რომელიც („რომელია“) ასე ჭიკჭიკებს“. მუმაში შური ქიშაჭყოლადად, ბაბუს ი ფ უ ჩ ა ნ ს: ყიფ. 177,5 „მამის სული დავინყებია, ბაბუას ფიცულობს“. ირი მინუტის თერს ი ჭ ყ ა ნ ს ე: ყიფ. 162,8 „ყოველ წუთს თოვას („თოვლს“) იწყებს“. ათაში რ ა გ ა დ ა ნ ს ი ა სქანი სქუავა: ხუბ. 121,14 „ასე ლაპარაკობსო შენი შვილი („შვილიო“)“. ათე ვითოჟირი ჯიმა ო ნ ჯ ა ნ ს ე ნ, ათე კარი გიორგიქ ხვალე განჯუ: „ეს, თორმეტი ძმა რომ აღებს, ეს კარი გიორგიმ მარტო გაალო“.

ჯამ ჯინს გითოხე ცირა დო ქ ა ნ ს ე ნ... ხუბ. 130,14 „ხის ძირას ზის ქალიშვილი და რომ კერავს...“. უკტებაში წყარი მ ო ს ქ ი - ლ ი დ უ ა ნ ს ი ა: ხუბ. 115,26 „უკვდავების წყალი (მო)მარჩენსო“. ბაბუ ჩ ხ ვ ი ა ნ ს, ბაბუ რ კ ი ა ნ ს: ყიფ. 183,14 „ბაბუ ჩხავის, ბაბუ კივის“. ათე ხრისტაგანს თუმა გ ო რ ა ნ ს ქ უ რ უ რ ი ა: ყიფ. 90,19 „ამ ხრისტაგანს თმა ასხია დაქურჩულებული“. მოულა თიჯგურა ქევანას, კორი ვ ა ხ ო რ ა ნ ს სახოს სოთინი: ხუბ. 149,24 „მოდინ ისეთ ქვეყანაში, კაცი არ სახლობს არსად, ახლოს“. — მუ ორენია ქირსიანეშ შური ითხანსიე: ხუბ. 133,30 „ — რა არისო, [რომ] ქრისტიანის სუნი გვცემსო?“ ემუხვარქ მათინუ: გეცადინით ვ ა უ ხ უ ჯ ა ნ ს: ბ. 83,5 „ემხვარმა მოახსენა: დაცდაც არ ვარგა („არ უხდება)“.

-ენ-

მანუხ-ენ-სუ „მანუხებს“
 მალორ-ენ-ს „მატყუებს“
 ვამარძ-ენ-ს „არ მაძლევს“
 აბად-ენ-ს „ბადებს“
 მიწოლ-ენ-სუ „მეუბნება“
 ვაგიმონკ-ენ-ს „არ გიმძიმებს“
 ჩინეფულ-ენ-ს „ცნობს“
 ჭყ-ენ-ს „წყველის“
 აჭიჭარ-ენ-ს „აპატარავენს“

წუხ-ენ-ს „წუხს“
 ძინულ-ენ-ს „მატულობს“
 ხვამულ-ენ-ს „ლოცულობს“
 რშქირ-ენ-სი „გშია“
 პუმ-ენ-ს „მწყურია“
 ქოფირქ-ენ-სუ „ფიქრობს“
 გილმან-ენ-ს „ჩამოედინება“
 მოც-ენ-ს „მოცვივა“

ეშმაკეფი მ ა ნ უ ხ ე ნ ს ე: ყიფ. 153,3 „ეშმაკეფი მანუხებენ“. მა მ ა ლ ო რ ე ნ ს ი რო: ყიფ. 151,12 „მე მატყუებს ყოველთვის“. შურო გური ვ ა მ ა რ ძ ე ნ ს მუკორთაში იმენდის: ყიფ. 155,21 „გული სულ არ მაძლევს მობრუნების იმედს“. უსამართო პატონეფი შურო მუთას ა ბ ა დ ე ნ ს: ყიფ. 149,22 „უსამართლო ბატონები სულ არაფერს ბადებენ („ბადებს“)“. ცოროფილეფიში გამათ ჭანდი მიწ ო ლ ე ნ ს ე ზარს: ყიფ. 140,8 „შეყვარებულების მაგივრად ბუზი მეუბნება ზარს“. ვორწყექ, ფიქრეფ’ ვ ა გ ი - მ ო ნ კ ე ნ ს თე ჭიჭე დუსი: ბ. 158,5 „ვხედავ, ფიქრები არ გიმძიმებენ ამ პატარა თავს“. გამოცდილეფი მესვად ვარა მუთას ჩ ი ნ ე ფ უ ლ ე ნ ს ტყარი: ბ. 114,19 „გამოცდილები მიხვდებიან

(„მიხვდება“), თორემ ვერაფერს ცნობს ტყეიერი“. არძა თის ქ ყ ე ნ ს: ბ. 166,13 „ყველა იმას წყევლის“. დიდის დო ჭკვერს აჭიჭარენს: ბ. 166,13 „დიდსა და ჭკვიანს აპატარავებს“.

ირიკოჩი შხვას ნ უ ხ ე ნ ს გ დო... ბ. 52,7 „ყველა („ყოველი კაცი“) სხვას ნუხს და...“ წყარი ძ ი ნ უ ლ ე ნ ს: ბ. 123,2 „წყალი მატულობს“. ჭყიშ ართგურო ხ ვ ა მ უ ლ ე ნ ს: ბ. 128,4 „მწყემსი ერთგულად ლოცულობს“. ძალიანი მონყენებულო ქ ო ფ ი რ - ქ ე ნ ს გ ნ ი... ყიფ. 38,22 „ძალიან მონყენილად რომ ფიქრობს...“ თოფური გ ი ლ მ ა ნ ე ნ ს: ყიფ. 6,1 „თაფლი ჩამოედინება“. თირო მ ო ც ე ნ ს გოცინილი: ბ. 133,2 „თოვლად მოცვივა გაყინული“.

-უნ-:

ხონ-უნ-ს „ხნავს“

ქიგეც-უნ-სი „მიჰყვება“

გორ-უნ-ს „ეძებს“

ქემონწყ-უნ-სე „მოანგრევს“

ჭკუმ-უნ-სე „ჭამს“

ქოს-უნ-ს „გვის“

ქოშ-უნ-ს „სვამს“

ხაჩქ-უნ-ს „თოხნის“

პჭ-უნ-ს „მწვავს“

უცვილ-უნ-ს „უკლავს“

კირ-უნ-სუ „კრავს“

ობ-უნ-ს „ღვრის“

პჭოფ-უნ-ს „მიჭერს“, „მაკავებს“

ჭარ-უნ-ს „წერს“

მეგურჯ-უნ-ს „მიგელავს“

ძალა ეკობონს ხ ო ნ უ ნ ს: ყიფ. 178,3 „ძალა აღმართს ხნავს“. მითი ქ ი გ ე ც უ ნ ს ი ჯგირო, გურაფა ღურადლაშა რე ირო: ყიფ. 182,14 „ვინც მიჰყვება კარგად, სწავლა სიკვდილამდის („სიკვდილის დღემდე“) არის ყოველთვის“. უბადო კოჩი უბადო ოჭოფალი ცხენს გ ო რ უ ნ ს: ყიფ. 178,26 „ცუდი კაცი ცუდ დასაჭერ ცხენს ეძებს“. მუგიდა რე ნი ქ ე მ ო ნ წ ყ უ ნ ს გ: ქიყანას: ყიფ. 26,31 „რალაცა („რალაც რომ არის“) მოანგრევს ქვეყანას“. ე ნდიი ჭ კ უ მ უ ნ ს გ: ყიფ. 41,17 „ეს დევი ჭამს“. ახალი ოქოსალი ჯგირო ქ ო ს უ ნ ს: ყიფ. 180,15 „ახალი ცოცხი კარგად გვის“. ქემუნჯირალე ართი დემიჯგურა კოს თე წყა-რიშა დო ქ ო შ უ ნ ს: ხუბ. 56,11 „მინოლია ერთი დევისმაგვარი კაცი ამ წყალს და სვამს („ქე სვამს“)“. მუმა მუკორე ცვანას, ხ ა ჩ ქ უ ნ ს: ხუბ. 138,32 „მამა ჩამოდგომია ყანას [და]

თოხნის". პ ჭ უ ნ ს დაჩხირი, უშკირატ: ბ. 71,9 „მწვავს ცეცხლი, უშრეტი“. აზრი გურს უ ყ ვ ი ლ უ ნ ს: ბ. 174,26 „აზრი გულს უკლავს“. თეცალი ხანგეფიშო რენო მუმა ფარას კ ი - რ უ ნ - ს უ (ნ ი): ბ. 63,16 „ასეთი სულელებისათვისაა, მამა ფულს რომ ინახავს?“ სქანი ცოროფა თეში პჭოფუნს, მუჭო რკინა მაგნიტინი: ბ. 121,12 „შენდამი („შენი“) სიყვარული ისე მიჭერს, როგორც რკინა-მაგნიტი“. ირო ჭვინს, ირო ო ბ უ ნ ს: ბ. 123,1 „ყოველთვის წვიმს, ყოველთვის ასხამს“. ჭ ა რ უ ნ ს სქუა: „წერს შვილი“.

შქას მ ე გ უ რ ჯ უ ნ ს ხობიშ წყარი: ქსს 64,2 „შუაში მიგელავს ხობის წყალი“.

-ღნ-

პილ-ღნ-ს „მკლავს“

ხაჩქ-ღნ-ს „თოხნის“

დგრკ-ღნ-ს „დრეკს“

ილ-ღნ-ს „ღელავს“

გორ-ღნ-ს „ეძებს“

ქორწინ-ღნ-ს(ი) „ბრწყინავს“

მეცალ-ღნ-ს „მიცელავს“

ვემებრთენი, გურქ ვაბლოლ, ვარა პ ი ლ ღ ნ ს სქანუ ძირაფა: ბ. 183,14 „არ მივიდე, გული არ მიშვება, თუ არა და მკლავს შენი ნახვა“. იში სულეფი დ გ რ კ კ ღ ნ ს ჯას: ხუბ. 115,19 „იმისი ფრთები დრეკს ხეს“. მაჟია ოჭუმარეს გ ო რ ღ ნ ს ი კოჩი ჭითა ცხენს: ხუბ. 129,30 „მეორე დილას ეძებს ის კაცი წითელ ცხენს“. ქაშპყუნუ ტყას, გელენწყ ე ბოშიქ სატეგარი დო მ ე - ც ა ლ ღ ნ ს: ხუბ. 122,2 „შეუყვა ტყეს, ამოილო ამ ბიჭმა ხმალი და მიცელავს“. მინ ხ ა ჩ ქ ღ ნ ს, მინ ვაჭრენს: ბ. 125,17 „ზოგი თოხნის, ზოგი ვაჭრობს“. ფუნს ბჟა, მორთუს ორთუ, ზღვაცალო ი ლ ღ ნ ს: ხუბ. 126,14 „დულს რძე, აქცევს ქვეყანას, ზღვასავით ღელავს“. მუთი ქ ო - რ წ კ ი ნ ღ ნ ს ი, ირიფელი ორქო ვა რე: ყიფ. 172,18 „რაც ბრწყინავს, ყველაფერი ოქრო არაა“.

-ინ და -ონ სუფიქსები იშვიათად გვხვდება:

ჭვ-ინ-ს „წვიმს“¹

1. არის პარალელური ფორმაც: ჭვ-ენ-ს (ჭ ვ ე ნ ს, ვალუნც დო... ბ. 127,5 „წვიმს, ელავს და...“).

ირო ქ ვ ი ნ ს, ირო ობუნს: ბ. 123,1 „ყოველთვის წვიმს, ყოველთვის ასხამს“. ქ ვ ი ნ ს ... მოსვანჯირო: ბ. 132,24 „წვიმს... წყნარად („დასვენებით““).

ვებ-ონ-ს „არ იბანს“

ხეს ვ ე ბ ო ნ ს, პიჯის ვ ე ბ ო ნ ს... „ხელს არ იბანს, პირს არ იბანს“...

როცა ზმნის ფუძე მ ა რ ტ ი ვ ი ა (resp. უთემისნიშნოა), ანმყოს ფორმებში მესამე სუბიექტური პირის -ს მორფემა უშუალოდ მოსდევს ძირის ბოლოკიდურ თანხმოვანს. ასეთი თანხმოვანი კი უფრო ხშირად არის რ:

1. ა) მე-ურ-ს, მე-ურ-სე, მე-ურ-სი „მიდის“

შური მ ე უ რ ს, ბლურუქ, იბჭუქ: ბ. 198,9 „სული მიდის, ვკვდები, ვინვი“. მ ე უ რ ს ე ნ ი, ჭითა გვერი ქოძირე: ყიფ. 23,30 „რომ მიდის, წითელი გველი დაინახა“. გედირთუ მაჟია დლას დო მ ე უ რ ს ე ნ... 144,11 „ადგა მეორე დღეს და რომ მიდის...“ ჯაშა მ ე უ რ ს ი — კოჩი ვა რე: ყიფ. 184,14 „ხეზე მიდის — კაცი არაა“.

ბ) მ-ურ-ს // მუ-ურ-სე // მ-ურ-ს // მო-ურ-ს „მოდის“

უბედურ ჩქიმი დუს, ირიფელი ჭუა ჩქინდა მ უ რ ს: ბ. 79,21 „უბედური ჩემი თავი, ყოველგვარი სატიკვარი ჩვენთან მოდის“. ვა მ უ უ რ ს, — ის მუ უჭირს: ყიფ. 153,11 „არ მოდის, — მას რა უჭირს“. შარას მ უ უ რ ს ე ნ ი, ართი მეღეჯე ქოძირე: ყიფ. 51,24 „გზაზე რომ მოდის, ერთი მელორე დაინახა“. ვარდიქ თქუ: ჩქიმი თინა რე, მით მ უ რ ს დო შურს მინთხუანს: ბ. 86,18 „ვარდმა თქვა: ჩემი ისაა, ვინც მოდის და დამყნოსავს“. აბა, რიონ სოლე მ ო უ რ ს? ბ. 131,27 „აბა, რიონი საიდან მოდის?“ აშო ვ ა მ უ რ ს ანინ, ვოუჩქუნო: ხუბ. 115,28 „აქეთ არ მოვა ანი, არ იცის?“ დიდი დიდარი კოჩიშ მეტი შხვა კოჩ ვ ე მ უ რ ს თექ: ხუბ. 130,32 „ძალიან მდიდარი კაცის მეტი სხვა კაცი არ მივა იქ“.

გ) გინმ-ურ-ს „გადადის“

თაქ გ ი ნ მ უ რ ს, თე ოზეს: ხუბ. 146,27 „აქ, ამ ეზოზე, გადადის“.

დ) გილუ-ურ-ს², გილ-ურ-სუ, გილ-ურ-სი, გილ-ურ-ს, გილ-ურ-ს „დადის“

მინდორს გილუურსჯნი, ქომორთუ ირემქუ დო უნუ: ყიფ. 39,10 „მინდორში რომ დადის, მოვიდა ირემი და უთხრა“. მონონება დო სიჯგირე მუშუში დუდიშო გილუურსუ: ბ. 61,24 „მონონება და სიკარგე თავთავისთვის დადიან“. ეჯოლორეფი მუშენი ენია გილუურსი ე? ხუბ. 137,12 „ეს ძალლები რატომ არის, რომ დადიანო?“ მუში ნებაშა გილ-ურ-ს: „თავის ნებაზე დადის“. ანნ გილუურს, ნასადილს, ხენჯეფეშ სქუა: ხუბ. 142,28 „ანი დადის, ნასადილევს, ხელმნიფის შვილი“.

ე) ალიმ-ურ-ს „ამოდის“

ბუა დო თუთა ალიმურს ქიყანაში გკმანათლებელო: ბერ. 130,1 „მზე და მთვარე ამოდის ქვეყნის გასანათებლად“.

II. ინთქარ-ს(ჯ)² „ითქვამს“

ჩხომს პიჯი გუუნჯამუ დო შურს ინთქარსჯნი, ქოძირუ: ყიფ. 36,24 „თევზს პირი გაუღია და სულს რომ ითქვამს, ნახა“.

III. მი-ჭყორ-ს „მინყრება“, გი-ჭყორ-ს(ჯ) „გინყრება“

მა სი მექოროფიკონი, ეშენი ლორონთი მუთუ მიჭყორს: ბ. 195,14 „მე შენ რომ შემყვარებოდი, ამისთვის ღმერთი რატომ მინყრება?“ სი მა მექოროფიკონი, ეშენი ლორონთ მოთ გიჭყორსჯ?! ხუბ. 310,30 „შენ მე რომ შემყვარებოდი, ამისთვის ღმერთი რატომ გინყრება?!“

2. სენაკურ კილოკავში — ინთქარს.

IV. ა) ი(ნ)-გარ-ს „ტირის“, დილენ-გარ-ს „ტირის“, „ჩატირის“

ი გ ა რ ს დო ნუხენსნი, დიდაქ ქიმეხვარუ: ხუბ. 140,5 „რომ ტირის და ნუხს, დედა დაეხმარა“. ნმტყ თიში ბედღს, ... მისჯთი თოლი ვ ა ა ნ გ ა რ ს გ ნ ი ბ. 71,8 „ნეტავი იმის ბედს, ... ვისაც თვალი არ უტირის!“

დ ი ლ ე ნ გ ა რ ს ჯაში ჯინს: ყიფ. 46,5 „ტირის ხის ძირას“.

V. იბირ-ს „მღერის“

ქემკჳქუნუ ბოშის დო ი ბ ი რ ს: „ჩააცვა ბიჭს და მღერის“. ხელეფი ოკოკჯრილი აფუ, ოჭკომალი ვოულუნ, ი ბ ი რ ს: „ხელები შეკრული აქვს, საჭმელი რომ არა აქვს, მღერის“.

მსგავსი ვითარებაა ისეთ ზმნებშიც, რომელთაც ფუძე საერთო აქვთ ქართულ ზმნებთან:

VI. ჯვარი გი-ნერ-ს(ი) „ჯვარი გწერია“

გვეძე, ჯვარი გ ი ნ ე რ ს ი დო ჰამოთი გლურსი: „გვეძე, ჯვარი გწერია და ტკბილად გძინავს“.

VII. უ-ჯერ-ს(ჯ) „უჯერებს“

ოსურს უ ჯ ე რ ს გ ნ თი ქომოლეფია, ოსურს ქიმშუ-ანგარიშია: ხუბ. 138,10 „ის მამაკაცები, რომლებიც ქალებს უჯერებენ, ქალებს („ქალს“) მიათვალეო“.

ი ნ ვ ე რ ს ი უ ლ ზ მ ნ ე ბ შ ი ზემოთ განხილული III სუბიექტური პირის -ს სუფიქსი გამოსხატავს რეალური ირიბი ობიექტის მესამე პირს:³

3. ინვერსიის სწორი გაგებისათვის იხ.: არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფ., 1936, გვ. 93-94; გ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში (საკანდ. დისერტაცია, გადაბეჭდილი რემინგტონზე), თბ., 1953, გვ. 38.

1. ნაწარმოებ ფუძეებში:

-ან-:

ვა მ-ი-ხ-უჯ-ან-ს „ხელს არ მაძლევს“

ე საქმე თაში მა ვა მ ი ხ უ ჯ ა ნ ს: „ეს საქმე ასე მე ხელს არ მაძლევს“.

-ენ-:

რ-შქირ-ენ-ს „გშია“

პუმ-ენ-ს „მწყურია“

რ შ ქ ი რ ე ნ ს ი ა და, მორთი აშო დო მიდაიქონა მავა: ხუბ. 113,13 „თუ გშიაო, მოდი აქ („აქეთ“) და მე წაგიყვანო“. წყარი ართი ყენტი ვე მურს დო „პ უ მ ე ნ ს, ბლურუქია“, — ქიძახ ირიათო: ხუბ. 56,12 „ერთი ყლუპი წყალი არ მოდის და „მწყურია, ვკვდებიო“, — იძახის სულ“.

-ონ-:

მონ-ონ-ს „მოსწონს“

მოპნ-ონ-ს „მომწონს“

ირ კოს მ ო წ ო ნ ს: ხუბ. 123,34 „ყველას („ყოველ კაცს“) მოსწონს“. ფიქრი, თქვანი, მ ო პ წ ო ნ ს: ბ. 175,11 „ფიქრი, თქვენი, მომწონს“...

-უნ-

მე-ყუნ-სჯ „მიჰყავს“

მო-ყუნ-სჯ „მოჰყავს“, „მოჰყვება“

გილა-ყუნ-სჯ „დაჰყვება“

ვა-ყუნ-სი „არ ჰყავს“

ონანგერამი ცხენი მ ე ყ უ ნ ს გ: ბ. 95,21 „უნაგირიანი ცხენი მიჰყავს“. მუშა მ ო ყ უ ნ ს გ ნ უჩქე: ხუბ. 124,30 „რისთვის მო-ჰყავს, იცის“. ათე ფინია ირ დიხაშა გ ი ლ ა ყ უ ნ ს თე ბოშის: ხუბ. 114,35 „ეს ფინია ყველგან დაჰყავს (დაჰყვება) ამ ბიჭს“. სქან დიდას სქან მეტი სქუა ვ ა ყ უ ნ ს ი ა: ხუბ. 114,20 „შენს დედას

შენს მეტი შვილი არ ჰყავსო“.

II. მარტივ ფუძეებში:

ა) მიცორ-ს(ი) „მიყვარს“, გიგორ-ს(ჯ) „გიყვარს“, უცორ-ს „უყვარს“

მით მა მიცორს წმინდა გურით, მიშენი თაში დეველონი... ბ. 154,7 „ვინც მე მიყვარს წმინდა გულით, ვისთვისაც ასე დავლონდი...“ მარგალი ვორექ, ძალამი მიცორს ნანაშ' ნინა მარგალური: ბ. 171,10 „მეგრელი ვარ, ძალიან მიყვარს დედის ენა, მეგრული“. სითი გიგორს, თესით უცორქ, გიღებანძლუთ იშო-აშო: ბ. 167,3 „შენც გიყვარს, ამასაც უყვარხარ, დაეთრევით იქით-აქეთ“. ჩქიმ ცოროფილს, უბედურს, ჩქიმი დუდი ვაუცოროს შურო: ბ. 53,25 „ჩემს სატრფოს, უბედურს, ჩემი თავი სულ არ უყვარს“. მის ვაუცოროს მუშ' ქიყანა?! ბ. 171,12 „ვის არ უყვარს თავისი ქვეყანა?!“. ადამიანს ვაუცოროს ი, — რე ხვალე კორინიშ' ჭკორი: ბ. 167,16 „ადამიანს არ უყვარს, — არის მარტო ნდომის ყმა“. შხვა მითინი უცოროს ი და, ის ვემეფჩა სათი ვადას. ხუბ. 312,9 „სხვა ვინმე თუ უყვარს, იმას არ მივცემ [ერთ] საათ ვადას“. ვო უცოროს ეს ეოსური: ხუბ. 144,38 „არ უყვარს ამას ეს ქალი“. ე მუიე, მუიე: გიგორს ჯ დო ვა გაჯვიდინე ნი? ყიფ. 184,23 „აბა, რა არის, რა არის: გიყვარს და რომ ვერ აკოცებ?“ ნი „ნინუცა“ გიგორს ი და, წანას „ნინო“ იყი „მაშო“! ბ. 167,6 „წელს თუ „ნინუცა“ გიყვარს, გაისად „ნინო“ იქნება „მაშო“!“. ხვალე სქან' გურიშენი რე ქიყანა მიცოროს ი: ბ. 158,17 „მარტო შენ გამო („შენი გულისათვის“) არის, რომ ქვეყანა მიყვარს“.

ბ) ბლურ-ს(ჯ), ბლურ-ს(ი) „მძინავს“, მიკობლურ-ს(უ) „მიძინებულნი ვარ“

ბოლოს თაში გიმადირუ, ვითომ თქვანიწკმა ბლურს: ბ. 151,16 „ბოლოს ასე მომეჩვენა, ვითომ თქვენთან მძინავს“. მუჭო თაში ბლურს ი, თეში გემოძირუ ჩქიმი ცხენი: ყიფ. 151,1

„როგორც ასე მძინავს, ისე მეჩვენება ჩემი ცხენი“. მ ი კ ო ბ -
ლ უ რ ს უ უმინჯურსუ, ხეშა გილამიძე დუდი. ყიფ. 150,24
„მიძინებული ვარ [მე] უბედური, ხელზე მიღვეს თავი“.

გ) უჭირ-ს(ი) „უჭირს“, გიჭირ-ს „გიჭირს“, მიჭირ-ს(ი)
„მიჭირს“

ისი მუთუნი ვ ა უ ჭ ი რ ს ი, მითი გამოცდილიენი: ბ. 85,7
„იმას არაფერი უჭირს, ვინც გამოცდილია“. სოლე მურქ, მუ
გ ი ჭ ი რ ს, ვარა სო მეურქია: ხუბ. 2,24 „საიდან მოდიხარ, რა
გიჭირს, ან სად მიდიხარო“. მუ მიჭირსია-და... ყიფ. 37,14 „რა
მიჭირსო-და...“ — ათეცალი საქმე მ ი ჭ ი რ ს ი ა დო მისჯ
მუგახვარებენია: ყიფ. 101,14 “ — ასეთი საქმე მიჭირსო და ვის
შეგიძლია დამეხმაროო“.

ბ) მ ყ ო ფ ა დ ი ს მ ნ კ რ ი ვ შ ი
-ან-:

| | |
|------------------------------|--------------------------------|
| მოჭარუ-ან-ს „მალირსებს“ | დოგისქილიდუ-ან-სი „მოგირჩენს“ |
| ქოფრ-ან-ს „მაჭმევს“ | დუნკანტუ-ან-სუ „დაანკნატუნებს“ |
| დემორძლ-ან-სუ „გამაძლობს“ | ქოლოლ-ან-ს „უზამს“ |
| კნიიკართ-ან-სი „წაიკაპინებს“ | ვაგორხონუ-ან-ს „არ გაცხონებს“ |
| მერჩ-ან-სუ „მოგცემს“ | ვაგინყუნუ-ან-ს „არ გატყენს“ |
| მოძირ-ან-სუ „მაჩვენებს“ | ვეშქმდ-ან-უ „არ იკადრებს“ |
| ქიმილ-ან-ს „მოიტანს“ | მომიფერუ-ან-სუ „მომეფერება“ |
| ქემოიფონ-ან-ს „მოგიყვანს“ | ვარჯგინ-ან-ს „ვერ აჯობებს“ |
| ქაყოთ-ან-ს „ესვრის“ | მააჭიშუ-ან-ს „მიენევა“ |
| ქუმგოგ-ან-სი „წამოგაცვამს“ | |

თქვანი სახეში ძირაფას ანი მა მი მოჭარუანს? ყიფ.
155,34 „თქვენი სახის ნახვას ანი მე ვინ მალირსებს?“ დუდიშა
ქეგმაშქვინენ და, ჭკის ირი კოჩი ქ ო ფ რ ა ნ ს: „თავზე თუ
შევძლებ დარტყმას, მჭადს ყველა („ყოველი კაცი“) მაჭმევს“.
ინა ჯგერო დ ე მ ო რ ძ ლ ა ნ ს ე: ყიფ. 174,4 „ის კარგად
გამაძლობს“. მითი ხეს ვე კ ნ ი ი კ ა რ თ ა ნ ს ი ა, ინა ვე
იბშანს ხართასია: „ვინც ხელს არ წაიკაპინებს, ის ვერ აივსებს

ხალთასო“. მეზობერს ხოჯი უზალი დო ღორონთი სი მ ე რ -
 ჩ ა ნ ს ე: ყიფ. 176,8 „მეზობლისთვის ხარი ისურვე და ღმერთი
 შენ მოგცემს“. მა ან ის მითა მ ო ძ ი რ ა ნ ს: ყიფ. 155,30 „ანი
 მე მას არავინ მაჩვენებს“. ირ ონჯუას ათე კოჩი ქ ი მ ი ლ ა ნ ს
 დიშქას: ხუბ. 128,5 „ყოველ სალამოს ეს კაცი მოიტანს შეშას“.
 ქ ე მ ო ი ყ ო ნ ა ნ ს ნიკოსია: ხუბ. 124,1 „მოგიყვანსო ნიკოს“.
 გამათხოზუ ბირგულით შველს, ქ ა ყ ო თ ა ნ ს, დოყვილუნს:
 ხუბ. 113,26 „გამოეკიდება მთელი სისწრაფით [„მუხლით“] შველს,
 ესვრის, მოკლავს“. ეთექ ქ ე მ გ ო გ ა ნ ს ი ა მასარს: ხუბ. 146,34
 „იქ წამოგაცვამსო მესერზე“. თიშ გური დო ჩონჩხი დ ო -
 გ ი ს ქ ი ლ ი დ უ ა ნ ს ი ა: ხუბ. 115,10 „იმისი გული და ღვიძლი
 მოგირჩენსო“. ათაშ დ უ ნ კ ა ნ ტ უ ა ნ ს ე ნ, კოს დუს
 მეჭკირუნსია ხათე: ხუბ. 146,31 „ასე რომ დაანკნატუნებს, კაცს
 თავს მოსჭრისო მაშინვე“. კოს ირფელს ქ ო ლ ო ლ ა ნ ს: ბ.
 70,9 „კაცს ყველაფერს უზამს“. ჩქიმი გოჯოგაფაშენი ღორონთი
 ვ ა გ ო ჩ ხ ო ნ უ ა ნ ს: ბ. 55,28 „ჩემი შეძულებისათვის ღმერთი
 არ გაცხონებს“. გურს ვ ა გ ი ნ ყ უ ნ უ ა ნ ს ე: ბ. 86,24 „გულს
 არ გატყენს“. ენას ვ ე შ ქ ი დ ა ნ ს ე ცირა: ბ. 194,15 „ამას არ
 იკადრებს ქალიშვილი“. მუჟანს დევეხოლებუქუნი, თინკუმა
 მ ო მ ი ფ ე რ უ ა ნ ს უ: ბ. 179,22 „როცა დავუახლოვდები, მაშინ
 მომეფერება“. ის ვ ა რ ჯ გ ი ნ ა ნ ს ნტერიშ ტყვია, ლეკური
 დო ზარბაზანი: ყიფ. 168,25 „მას ვერ აჯობებს მტრის ტყვია,
 ხმალი და ქვემეხი“. უბედურს ქუა ეკობონს მ ა ა ტ ი შ უ ა ნ ს:
 ყიფ. 177,24 „უბედურს ქვა აღმართზე მოენევა“.

-ენ-:

ვაბკით-ენ-ს „არ მკითხავს“
 ვადგანებ-ენ-სი „არ დაგანებებს“
 გუტენ-სი „გაუშვებს“
 გაჩემ-ენ-სი „გააჩერებს“
 დნლორ-ენ-ს „მოატყუებს“
 ვანიმანყუნდ-ენ-ს „არ წამწყმედს“
 მუგ-ენ-სე „მოუგებს“

ანყენ-სი „ანყენს“
 მიკან-ენ-სე „მიხსმება“
 დუცენ-ს „დაუცვივა“
 მინილ-ენ-ს „შევა“
 გიმელ-ენ-ს „ჩამოვა“
 გეცენ-ს „აცვივა“
 ვა დაშენ-ს „არ დაშვენდება“

კოჩი მუთუნს ვა ბ კ ი თ ხ ე ნ ს: ყიფ. 153,6 „კაცი არაფერს მკითხავს“. ჩქი ქიმერჩანთია, მარა უჩა ხენნიფე ვა დ ჯ გ ა ნ ე ბ ე ნ ს ი ა: ყიფ. 33,25 „ჩვენ მოგცემთო, მაგრამ შავი ხელმწიფე არ დაგანებებსო“. ეთინა ვა გ უ ტ ე ნ ს ი ა კოს: ხუბ. 116,6 „ის არ გაუშვებსო კაცს“. თის თინა გ ა ჩ ე მ ე ნ ს ი ა: ხუბ. 116,4 „მას ის გააჩერებსო“. მა ის ვავალორინი, მარა ხომ დ ა ლ ო რ ე ნ ს შხვა ბრელს: ბ. 173,17 „მე მან ვერ მომატყუა, მაგრამ ხომ მოატყუებს ბევრ სხვას“. ეშუმაკვეფი მანუხენსე, ლორონთი ვა ნ ი მ ა ნ ყ ე ნ დ ე ნ ს: ყიფ. 153,4 „ეშმაკები მანუხებენ („მანუხებს“), ლმერთი არ წამწყმედს“. ათეს მ უ გ ე ნ ს ე ნ, ფერი კოჩი ოკონა ასე თექ გუტუანინ: ხუბ. 137,7 „ამას რომ მოუგებს, ისეთი კაცი უნდათ ახლა იქ გაუშვან“. მისუთი თენა ვა ა ნ ყ ე ნ ს ი, კოჩი თინა იყუაფუ! ყიფ. 181,4 „ვისაც ეს არ აწყენს, კაცი ის იქნება!“ მუსგუთ მ ი კ ა ნ ე ნ ს ე ნ ი, ირიფელს დოჭუნს! ყიფ. 87,21 „რასაც [რომ] მიესხმება, ყველაფერს დანავს“. დიდი ჯას დიდი ნახაფული დ უ ც ე ნ ს: ყიფ. 178,9 „დიდ ხეს ბევრი („დიდი“) ნაფოტი დაუცვივა“. მაჟირა ცხენი მ ი ნ ი ლ ე ნ ს დოხათე ჭკომუას ქიდიჭყანს: ხუბ. 55,9 „მეორე ცხენი შევა და მაშინვე ჭამას დაიწყებს“. რაში კენი გ ი მ ე ლ ე ნ ს: ხუბ. 122,29 „რაში ისეე ჩამოვა“. სქანი ართი ჯგირი სიტყვათ წყარსე გ ე ც ე ნ ს ჩქიმი დარდი: ბ. 195,8 „შენი ერთი კარგი სიტყვით წყალში ჩაცვივა ჩემი დარდი“. თუნთის სხაპუა ვა დ ა შ ე ვ ე ნ ს: „დათეს ცეკვა არ დაშვენდება“.

-უნ-:

დოჭ-უნ-ს „დანავს“
 მორნიკ-უნ-ს „დაგსვრის“
 ვა დორჭ-უნ-ს „არ დაგნავს“
 დოჟორილ-უნ-ს „დააღპობს“
 გეშ-უნ-სე „დაღვეს“
 მეჭკირ-უნ-სი „მოჭრის“
 ვაქიმილ-უნ-ს „არ იზამს“
 დოხ-უნ-ს „დახვრეტს“
 დოჟვილ-უნ-ს „მოკლავს“

გოლახ-უნ-ს „გალახავს“
 ძირ-უნ-ს „ნახავს“
 ოჭკომ-უნ-ს „შეჭამს“
 გინოტახ-უნ-ს „გადაამტვრევს“
 გინოფურინ-უნ-ს „გადააფრინდება“
 ვაბჯღვავ-უნ-ს „არ მტაცებს“
 ვამკობნილ-უნ-ს „არ მომწყვეტს“
 დოთ-უნ-ს „დათოვს“

ირფელს დოჭუნს: ყიფ. 87,22 „ყველაფერს დანვავს“. მოწიკვილი კეტის ხეს ქემეთხუნქი ნი, მორნიკუნს: ყიფ. 178,19 „დასვრილ ჯოხს ხელს რომ მოკიდებ, დაგსვრის“. გურსუ ვარა ვა დორჭუნსო, უსქანეთუ ბჭყორდუდევე? ყიფ. 145,1 „გულს მაინც არ დაგნვავს, უშენოდ [რომ] ვნადგურდებოდე?“ ართი ქორადილი უშქური ოში შხვას დოქორი-დუნს: ყიფ. 179,6 „ერთი დამპალი ვაშლი ას სხვას დაალპობს“. მითი ღვინსუ გეშუნსჯნი, კორი თინა რე: ყიფ. 132,10 „ვინც რომ ღვინოს დაღვეს, კაცი ისაა“. კოს დუ მეჭკირუნსია ხათე: ხუბ. 146,32 „კაცს თავს მოსჭრისო მაშინვე“. მუშე ვაქიმინუნსეს? ხუბ. 144,36 „რატომ არ იზამს ამას?“ ოკონ დოხუნს დოდოქვილუნს, ოკონ აშენენს, აცოცხლენს: ბ. 166,11 „უნდა დახვრეტს და მოკლავს, უნდა ააშენებს, აცოცხლებს“. დლაშე ხუთიშახ გოლახუნს: ბ. 173,7 „დღეში ხუთჯერ სცემს“. მუს ძირუნს კორიშ თოლი ენფეიში უჯგუშის: ხუბ. 3,34 „რას ნახავს კაცის თვალი ამათ უკეთესს“. ვითი ირემსუ დოსქვერს ოჭკომუნს: ყიფ. 41,28 „ათ ირემსა და შველს შეჭამს“. ყუდეს ბუხარს გინოტახუნსია: ხუბ. 55,18 „სახლს ბუხარს გადაამტვრევსო“. ჩიტი გინოფურინუნს და ვარა, მუთუნს ვემნართე: ხუბ. 122,6 „ჩიტი თუ გადაუფრენს, თორემ ვერაფერი შევა“. ხეს ვაბჯღვაბუნს, ვამკობნილუნს: ბ. 149,3 „ხელს არ მტაცებს, არ მომწყვეტს“. დიდი გოლენს თისხის დოთუნს... ბ. 133,3 „დიდ მთებში იმდენს დათოვს...“

-უნ-:

დომიკვილ-უნ-ს „მომიკლავს“

გობლახ-უნ-სი „გამლახავს“

დოგიჭარ-უნ-ს „დაგინერს“

ვარძირ-უნ-სი „ვერ გნახავს“

გოტახ-უნ-სი „გატეხს“

გოკვათ-უნ-ს „გაკვეთს“

მოფთხ-უნ-ს „მომკიდებს“

იქ-უნ-ს „იზამს“

ვამკომნილ-უნ-ს „არ მომწყვეტს“

დოჭყოლ-უნ-ს „დაჭრის“

გუუტუე, მუმას დომიკვილჯნს, ვაგოუტუე — დიდასუ: ყიფ. 181,11 „რომ გავუშვა, მამას მომიკლავს, არ გავუშვა — დედას“. პატონს ლურსუ დოვა გააკურცხინუა, ვარა გობლ-

ახუნსია: ყიფ. 49,19 „ბატონს სძინავს და არ გააღვიძო, თორემ მცემსო“. ლორონთი მარდო დო გიჭარუნს ადამიანიში მოხვარას: ყიფ. 164,8 „ღმერთი მაღლად ჩაგითვლის („დაგინერს“) ადამიანისადმი („ადამიანის“) დახმარებას“. ვარძირუნსიე, სარკეს გოტახუნსია: ყიფ. 39,27 „რომ ვერ განახავსო, სარკეს გატეხსო“. მუჟანს უშქურს გოკვათუნსთე ცირან, დოღურე ბოში: ხუბ. 130,18 „როცა ეს ქალიშვილი ვაშლს გაჭრის, ბიჭი მოკვდება“. ხეს მიმოფთხუნს, მის მუუნუა? ბ. 58,14 „ხელს ვინ მომკიდებს, ვის რა ვუთხრა?“ ეცალი ცოდას იქუნსი, იში მახორობა ნწყვილი: ბ. 61,1 „ამისთანა ცოდვას რომ იზამს, იმისი ოჯახი დაიქცეს („დაქცეული“)“. ხეს ვაბჯღვებაუნს, ვამკოპნილუნს, ჩქიმი სისქვამათ დუს ირთუანს: ბ. 86,20 „ხელს არ მტაცებს, არ მომწყვეტს, ჩემი სილამაზით თავს ირთობს“. ართი ჭყოლირს ოსქილიდუანს, მაჟრას კნი დოჭყოლუნს: ბ. 64,16 „ერთ დაჭრილს არჩენს, მეორეს ისევ დაჭრის“. მით ვარძირუნსი — სი გიჯინე, კუჩხის ეკატახანა: ბ. 182,20 „ვინც განახავს — შენ გიყურებს, ბორძიკით ფეხს იმტვრევენ“.

მარტივეფუძიან (resp. უთემისნიშნო) ზმნათა მყოფადში S_3 პირის -ს ნიშანი უშუალოდ მოსდევს ძირის ბოლოკიდურ თანხმოვანს, რაც, ჩვეულებრივ, არის რ:

1. ა) მიდ-ურ-ს, ურსუ/ „წავა“

სისქვამეთი ვეცად, თითი ვიშო მიდურს: ბ. 78,8 „სილამაზეც არ იცდის, ისიც (იქით) წავა“. ვითი წანა ამარი ურსუ, გაღე ვა მიძირე ცუნდი: ყიფ. 150,30 „ათი წელი არ გავა, გარეთ არ მინახავს ცვარი“. ვართი სკანით მურთუმუნდო, ვართი სკანით იშო ურსუ: ბ. 62,4 „არც შენით მოსულა, არც შენით წავა იქით“. დუდ იპილე, მუს ოხვარე, მუჭოთ ზისხირ ვა ურსუნო! ხუბ. 311,2 „თავი მოვიკლა, რას შველის, როგორც სისხლი არ წავა“.

ბ) ქომუჟურ-სი/ჯ // ქუმუ-ჟურ-სჯ // ქუმ-ჟურ-ს // ქემ-ჟურ-ს „მოვა“

ვა მუჟურს — ის მუ ჟჭირს, ქ ო მ უ ჟ რ ს ი — ოჭოფუნა: ყიფ. 153,12 „არ მოვა — მას რა უჭირს, მოვა — დაიჭერენ“. ქ ო - მ უ ჟ რ ს ჯ მუგჯდენი: ყიფ. 35,19 „მოვა რალაცა“. მუჭოთ ქ უ - მ უ რ ს გვერშაპიე, ათენა ქეგმაშქვია დუსია: ხუბ. 150,30 „როგორც კი მოვა გველეშაპია, ეს ჩამარტყი თავშიო“. დემი წოხოლე ქ უ მ უ ჟ რ ს ჯ: ყიფ. 42,3 „დევი უფრო ადრე („წინ“) მოვა“. ნანდულო ქ ჯ მ უ რ ს ჩქინი ჯიმავა: ხუბ. 134,38 „ნამდვილად მოვა ჩვენი ძმაო“.

გ) მოლ-ჟურ-სი „წამოვა“

ინა მ ო ლ უ რ ს ი ა აშოვა დო ცუდშა ქუმულანია: ხუბ. 142,23 „ის წამოვაო აქეთ და სახლში მოვლენო“.

დ) კელ-ჟურ-სი „გავა“

მაყალეში გურიშენი მი კ ჯ ლ უ რ ს ი დანჩხჯრსია: ყიფ. 148,12 „ამხანაგის გულისათვის ვინ გავა ცეცხლშიო“.

ე) მუკ-ჟურ-ს „მოსცილდება“ („გაუვა“)

მუჟანსით ბულს ტყები მ უ კ უ რ ს ჯ ნ ი, თიმწკალა ოკო ტყაბარუე: ყიფ. 180,18 „ბალს როცა ტყავი შეიძლება მოსცილდეს („როცა გაუვა“), მაშინ უნდა გაატყავო“.

ვ) ვაჟ-ჟურ-სჯ „არ გამოვა“

ზეთი ვ ა ჟ უ რ ს ჯ თე ცოროფაშე: ბ. 57,13 „ზეთი არ გამოვა ამ სიყვარულიდან“.

II. ა) მინგარ-ს „მიტირებს“

შხვა მითინი ანწი ნგარათ ვარა მუშენი მა მ ი ნ გ ა რ ს ?

ყიფ. 140,6 „ანი სხვა ვინმე ტირილით ან როგორ დამიტირებს მე?“.

ბ) დომინგარ-ს „დამიტირებს“

გამისოფანს ჩელა ღვას დო გურჭვილო დომინგარს: ყიფ. 139,20 „გაიტყავებს თეთრ ლოყას და გულდანყვეტიტ დამიტირებს“.

III. ა) ნაურ-სუ „ნახდება“

ჩიჩიეთი გენწარებუ, მუჟანს საქმე ნაურსუნ: ხუბ. 311,4 „გლახაც გამწარდება, როცა საქმე გაფუჭდება“.

მეგრული დიალექტის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილო-კავში ზემოთ წარმოდგენილი III სუბიექტური პირის -ს მორფემის ნაცვლად საკმაოდ ხშირად -ც გვაქვს.

ამ მოვლენის შესახებ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ ი. ყიფშიძე მიუთითებდა თავის წიგნში: "Грамматика мингрельскаго (иверскаго) языка". აქ 056 გვერდზე ნათქვამია: "Для 3-го лица ед. ч. имеются, как в чанском, два суффикса: 1) картский ს resp. ც (диалектически) и тубал-кайнский б. Первый употребляется при глаголах действительного залога, а второй при глаголах страдательного залога⁴ (ხაზი ჩვენია. ა. ლ.).

გვ. 061-ზეც (§74) წიგნის ავტორი ამბობს: "Для образования абсолютных форм главных времен I-го спряжения субъективного строя действительного залога берется глагольная тема на с т о я щ а я или аористная, и к ней прибавляются -

ა) в ед. числе известные местоименные субъективные частицы, именно: в 1-м лице настоящего префикс и суффикс, во 2-мъ л. - только суффикс, въ 3-мъ л. - суффикс ს resp. ც⁵ (ხაზი ჩვენია. ა. ლ.).

4. И. К и п ш и д з е, Грамматика мингрельскаго (иверскаго) языка съ хрестоматиею и словаремъ, С.-П., 1914, გვ. 056.

5. И. К и п ш и д з е, Грамматика мингрельскаго (иверскаго) языка съ хрестоматиею и словаремъ, С.-П., 1914, გვ. 061.

პარადიგმაში მოტანილია მაგალითები: დვან-ს/ც, ჭუნ-ს/ც, ჭარუნ-ს / ჭარუნ-ც, ცვილუნ-ს/ც, ცვიჟუნ-ს, იბირ-ს/ც, ინგარ-ს/ც, აკეთენ-ს/ც, ოგორან-ს/ც...⁶ ა-რზენ-ს/ც, გა-რზენ-ს/ც, მა-რზენ-ს/ც...⁷ ოჭარაფუნ-ს/ც...⁸ ნან-ს/ც, ყუნ-ს/ც, შქირენ-ს/ც.⁹

როდის და რა შემთხვევაში გვხვდება -ც ალომორფი? ი. ყ ი ფ შ ი ძ ე ამ საკითხს, არ შეხებია, მის მიერ მოტანილი მასალიდან კი ჩანს, რომ ის დაერთვის ნ და რ თანხმოვანზე დასრულებულ ფუძეებს: დვან-ც „დებს“, ჭუნ-ც „წევას“, ჭარუნ-ც „წერს“... იბირ-ც „მღერის“, ინგარ-ც „ტირის“...

გ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი თავის საკანდიდატო დისერტაციაში წერდა: „ზუგდიდურ-სამურზაყანულში ს > ც [გვაქვს] ნ, რ-ს შემდეგ: ჭარუნ-ც (< სენაკ. ჭარუნ-ს) „წერს“, ინგარ-ც (< სენაკ. ინგარ-ს) „ტირის“ (და უთითებს ი. ყ ი ფ შ ი ძ ი ს ზემოხსენებულ ნაშრომზე).¹⁰

ქართველურ ენებში S₃ პირის მორფემის არქეტიპის ძიებინას ა. ო ნ ი ა ნ ი კვლავაც ი. ყ ი ფ შ ი ძ ი ს მაგალითებზე დაყრდნობით აღნიშნავს: „ზუგდიდურ-სამურზაყანულში ნ, რ თანხმოვანთა მომდევნო პოზიციაში /-ს/-ს /ც/ ენაცვლება: ჭარუნ-ც „წერს“, იბირ-ც „მღერის“, ინგარ-ც „ტირის“, აკეთენ-ც „აკეთებს“ და სხვ.“¹¹

-ც ალომორფი მეგრულში გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ ა ნ მ ყ ო ს ა და მ ყ ო ფ ა დ ი ს მწკრივებში, როცა მოსალოდნელი -ს სუფიქსი ხშულ (კერძოდ, სონორ) თანხმოვანთა მეზობლობაში იმყოფება. ეს თანხმოვანი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ან სუფიქსისეულია (resp. თემის ნიშნისეული), ან ფუძისეული. აღნიშნული თანხმოვანი ფუძისეულია იმ შემთხვევაში, როცა ზმნის ფუძე მარტივია (resp. უთემისნიშ-

6. ი ქ ვ ე, გვ. 056, 062-063, 070.

7. ი ქ ვ ე, გვ. 076-077.

8. ი ქ ვ ე, გვ. 078.

9. ი ქ ვ ე, გვ. 080-084.

10. გ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში (საკანდ. დისერტაცია, გადაბეჭდილი რემინგტონზე), თბ., გვ. 1953.

11. ა. ო ნ ი ა ნ ი, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბ., 1978, გვ. 73.

ნოა). ასეთი შემთხვევა შედარებით იშვიათია. ჩვეულებრივ, ანმყოს ფუძე ანმყოს მწკრივის ნიშნებით (resp. თემის ნიშნებით) არის ნაწარმოები. ეს სუფიქსებია: -ან, -ენ, -უნ, -უნ, იშვიათად: -ონ, ინ და რაკი ეს სუფიქსები ყოველთვის ნ თანხმოვანზეა დასრულებული, მ₃ პირის -ც ალომორფი ნ'ს მეზობლად გვაქვს (ნც), რაც შეეხება მარტივ (resp. უთემისნიშნო) ზმნებს, აქ გვხვდება სონორი თანხმოვნები, ჩვეულებრივ, ნ და რ. -ც ალომორფიც მათ მეზობლობაში გამოვლინდება (ნც, რც). ერთადერთ შემთხვევაში ის ლ'სთან მეზობლობაშიც გვაქვს: სრულც „სურს“ (იხ. ქვემოთ).

ანალიზი დავიწყოთ ანმყოს მწკრივის განხილვით.

მწკრივის ნიშანია -ან-:

ა) მოქმედებითი გვარის ზმნებში

| | |
|---------------------------------|--|
| ღვარ-ან-ც „ყვირის“ | ქიტოხუ-ან-ც „ირტყამს“ |
| ქუურეფუ-ან-ც „ურტყამს“ | ქუჯიკუ-ან-ც „უჯიკავენს“ |
| ინვინ-უ-ან-ც „ინენს“ | ოჩან-უ-ან-ც „ხრის“ |
| რაგად-ან-ც „ლაპარაკობს“ | ბღგვარღგვალ-ან-ც „მდულრავს“ |
| ათალირკინ-ან-ც „ჭყვივის“ | ელმელ-ან-ც „იღებს“ |
| ოსქილიდუ-ან-ცი „არჩენს“ | ოძირ-ან-ც „აჩვენებს“ |
| მიხუტოლ-უ-ან-ც „მიხუტებს“ | უხუტორუ-ან-ც „ღრღნის“ |
| მიცხვანტალ-უ-ან-ც „მიფორიაქებს“ | რჩუ-ან-ც „(შე)გინახავს“ |
| ურძლ-ან-ც „უძლობს“ | ხვარჩალ-ან-ც „აკრიალებს“, „რეცხავს“ |
| მითმიგ-ან-ც „ირტყამს“ | ოთან-უ-ან-ც „ათევს“ |
| ხვამ-ან-ც „ლოცავს“ | უშქვიდუ-ან-ც „ულრჩობს“ |
| გუუდაცუ-ან-ც „ატლაშუნებს“ | ახვამ-ან-ც „ულოცავს (ჭიქას)“ |

ირიართო ღ ვ ა რ ა ნ ც უ ტყაშიკოჩი: ყიფ. 86,6 „გამუდმებით ბლავის ტყისკაცი“. წყარცუ ქეგიოხვილუუ... ჩხომი... დუცუ ქუასუ ქ უ უ რ ე ფ უ ა ნ ც უ ნ ი: ყიფ. 71,32 „წყალზე შენიშნა, რომ... თევზი... თავს ქვას ურტყამს“. ბაბუ თუმას ი ნ ვ ი ნ უ ა ნ ც უ:

ყიფ. 183,15 „ბაბუა თმას იგლეჯს“. მენძელი რ ა გ ა დ ა ნ ც ე: ყიფ. 132,23 „მასპინძელი ამბობს“. მაფშალიას უღუ გედგუ, ურემც ა თ ა ლ ი რ ნ კ ი ნ ა ნ ც ე: ყიფ. 146,22 „ბულბულს უღელი ადგას, ურემს ქვეშ წყივწყვივებს“. ოკო ქეშიბტყევეე, მუ ო ს ქ ი ლ ი დ უ ა ნ ც ი ე ნდემიში მორდილცე: ყიფ. 68,24 „უნდა გავიგოო („შევიტყოო“), რა არჩენსო დევის გამზრდელს“. ევერ' ყოროფილი პუნცე, გურიშა მ ი ხ უ ტ ო ლ უ ა ნ ც ე: ყიფ. 148,4 „ისეთი შეყვარებული მყავს, გულში მიხუტებს“. ხენწფე ცვაშა ქ ი ტ ო ხ უ ა ნ ც ე: ყიფ. 76,8 „ხელმწიფე შუბლზე ირტყამს“. მუდგა რენი კურჩის ქ უ ჯ ი კ უ ა ნ ც ე ნ ი, ქნგინუ: ხუბ. 184,28 „რომ რალაც ფეხზე უჯიკავეებს, იგრძნო“. განიშე ლივერი ქიპყოთინი, დიხას ო ჩ ა ნ უ ა ნ ც ე დუცე: ბ. 98,10 „რეეოლვერი რომ განზე ვისროლე, მინამდის ხრის თავს“. ბჭუნს, ბკერგნს, ბ დ გ ვ ა რ დ გ ვ ა ლ ა ნ ც ე: ქხს 57,27 „მწვავს, მხრაკავს, მდაგავს“. ათენკემა ხენწიფე ე ლ მ ე ლ ა ნ ც ე წერილც დო ო ძ ი რ ა ნ ც ე სქუას: „მაშინ ხელმწიფე იღებს [ჯიბიდან] წერილს და აჩვენებს შვილს“. ჭუკი უ ხ უ ტ ო რ უ ა ნ ც ე: ქხს 142,14 „თაგვი ღრღნის“. გურცუ მ ი ც ხ ვ ა ნ ტ ა ლ უ ა ნ ც ე: ქხს 148,22 „გულს მიფორიაქებს“. მოხანდეფც თოლც უ რ ძ ლ ა ნ ც ე: ქხპმ 117,21 „მშრომელებს თვალს უძღობს“. მუგერიებუ, დიხას რ ჩ უ ა ნ ც ე: ქხპნ 22,10 „მოგერევა, მინაში გმარხავს („მინაში გინახავს“)“. ჯუნუნც ყ ო რ ო ფ ი ლ ი ც ა ლ ო, ბონჯც დო ხ ვ ა რ ჩ ა ლ ა ნ ც ე: ქხპნ 18,24 „კოცნის შეყვარებულივით, ბანს და აკრიალებს“. ჭკრქა ხესი უკინებუ დო ხ ვ ა მ ა ნ ც ე ა რძას: „ჭიქა ხელში უკავია და ლოცავს ყველას“. ყანწით ღვინცე ა ხ ვ ა მ ა ნ ც ე: ქხპმ 66,2 „ყანწით ღვინოს ულოცავს“. ცვაშა ხეს მ ი თ მ ი გ ა ნ ც ე: ქხპმ 63,79 „ლოყაზე ხელს ირტყამს“. სერც თექ ო თ ა ნ უ ა ნ ც ე: „ღამეს იქ ათევს“. ტერეფი სქუასე უ შ ქ ვ ი დ უ ა ნ ც ე: „მტრები შვილს უღრჩობენ“. კუდელც ბ ე უ დ ა ც უ ა ნ ც ე: „კუდს ატლა-შუნებს“.

ბ) საშუალო გვარის ზმნებში

| | |
|-----------------------------------|-------------------------|
| (რ)ჩხვი-ან-ც „ჩხავის“ | ლაჭალ-ან-ც „ჩხუბობს“ |
| რკი-ან-ც(ი) „კივის“ | ოხორ-ან-ც „სახლობს“ |
| ირულუ-ან-ც „იძინებს“ | ზარზალ-ან-ც „ზანზარებს“ |
| გვარგვალ-ან-ც(ი) „დულს“ | ყურ-ან-ც „ყმუის“ |
| ქიგლეჩინგინ-ან-ც(ი) „დაბორიალობს“ | ყელენ-ან-ც „ბლავის“ |
| კუს-ან-ც „კვენის“ | რჩ-ან-ც „გასხია“ |
| იძინ-ან-ც „მატულობს“ | იშხ-ან-ც „ბრაზობს“ |
| ვარკალ-ან-ც „ბზინავს“ | უფიფ-ან-ც „უფიფინებს“ |
| მიშაბარჩხალ-ან-ც „ბრწყინავს“ | |

ბაბუ ჩ ხ ვ ი ა ნ ც, ბაბუ რ კ ი ა ნ ც: ყიფ. 183,15 „ბაბუ ჩხავის, ბაბუ კივის“. მუშა კათა იხანგებუ, ორგული ი რ უ ლ უ ა ნ ც უ ნ ი: ყიფ. 162,33 „მშრომელი ხალხი გიჟდება, ორგული რომ იძინებს“. უდაჩხირეთ გ ვ ა რ გ ვ ა ლ ა ნ ც ი ა: ხუბ. 183,35 „უცეცხლოდ დულსო“. ცხენი ამარი ქ ი გ ლ ე ჩ ვ ი ნ გ ი - ნ ა ნ ც ი ა: ხუბ. 180,33 „ცხენი აგერ გამოლენჩებული დგასო“. არძა ართნერო კ უ ს ა ნ ც: ქსს 206,6 „ყველა ერთნაირად კვენის“. ირი წუთისუ ი ძ ი ნ ა ნ ც: ქსს 323,12 „ყოველ წუთს უმატებს“. თუდო ქვიშა... ვ ა რ კ ა ლ ა ნ ც უ: ქსპნ 18,26 „ქვევით სილა ... ბზინავს“. ბუაშ ჩხორიას გემშუტყობუ, შქასუ მ ი შ ა - ბ ა რ ჩ ხ ა ლ ა ნ ც უ: ქსპნ 18,28 „მზის სხივი შეპარულა, შუა ადგილას ბრწყინავს“. არძო ართო ლ ა ჭ ა ლ ა ნ ც უ: ქსპმ 66,228 „ყველა ერთად ჩხუბობს“. ეშარსხებუშა მოურცუ დო რ კ ი ა ნ ც ი: „დასახსნელად მოდის და წანკანებს, კივის“. ემერ ო ხ ო რ ა ნ ც უ: „ეგერ სახლობს“. თელ ქიანა ზ ა რ ზ ა - ლ ა ნ ც: „მთელი ქვეყანა ზანზარებს“. სოდეთ ხვალე ტურა-ნგერი ყ უ რ ა ნ ც: ქსპმ 71,453 „სადაც მარტო ტურა-მგელი ყმუის“. მოურცუ თუნთი, ყ ე ლ ე ნ ა ნ ც: ქსპმ 112,1 „მოდის დათვი, ბლავის“. ჩე ფრიმული რ ჩ ა ნ ც უ: ქსს 285,9 „თეთრი წვერი გაქვს („გასხია“)“. პატენი ი შ ხ ა ნ ც, იგორაფუ: ქსპმ 70,416 „ბატონი ბრაზობს, იგინება“. პიჯიშ სახექუ ქანელიჟ, უ ფ ი ფ ა ნ ც წარი: „პირისახე ჩამოელია, უფიფინებს წარბი“.

-ენ-:

ა) მოქმედებითი გვარის ზმნებში

| | |
|----------------------------|-----------------------------|
| აკეთენ-ც „აკეთებს“ | მანუხენ-ც „მანუხებს“ |
| ვეტალენ-ც „არ ტოვებს“ | ანორენ-ც „ასწორებს“ |
| არკენ-ც „აკლებს“ | ვაგურაფულენ-ც „არ სწავლობს“ |
| გიჩინენ-ც „გიცნობს“ | ვენდენ-ც „არ ინდობს“ |
| არზენ-ც „აძლევს“ | გიხარენ-ც „გიხარებს“ |
| ვავენყალენ-ც „არ მწყალობს“ | ვაშქიდულენ-ც „არ კადრულობს“ |
| ირქენ-ც „იქნევს“ | პატისცენ-ც „პატივს სცემს“ |

მარა მუსუ აკეთენც? შურო გიმოს ვეტალენც: ყიფ. 156,19 „მაგრამ რას აკეთებს? გემოს სულ არ ტოვებს“. ოჭკომალცუ ვა- არკენც და დო დიდას: ყიფ. 57,6 „საჭმელს არ აკლებს დასა და დედას“. მასქური ირქენც, ბორია რე: ქხპმ 61,6 „მასქური ქრის, ქარია“. სი გიჩინენც ოდიში: „შენ გიცნობს ოდიში“. ... დო შონეშე ჯას არზენც: ქხპმ 122,26 „...და სვანეთიდან ხეს აძლევს“. ღორონთი ვავენყალენც: ქხს 165,8 „[მე] ღმერთი არ მწყალობს“. უმოსო თინა მანუხენც: ქხს 199,2 „უფრო მეტად ის მანუხებს“. მახორხალი ჯას ანორენც: „მხერხავი ხეს ასწორებს“. მაოთხა სქუა ლეხირე, ვაგურაფულენც: „მეოთხე შვილი ავადმყოფია, არ სწავლობს“. ჯიმა ჯიმას ვენდენც - და ... „ძმა ძმას თუ არ ინდობს-და...“ გურს გიხარენც სქვამი ნინათ: „გულს გიხარებს ლამაზი ენით“. დგებუაძე ვაშქიდულენც თეს: „დგებუაძე არ კადრულობს ამას“. ართი ძლაბიქ გეურჩქინდუ თენენც მინჯეთ დო ცენც დიდი პატის: ხუბ., 186,15 „ერთი გოგო გაუჩნდა ამათ და დიდ პატივს სცემს“.

ბ) საშუალი გვარის ზმნებში

| | |
|-------------------------------|--------------------------|
| ნეტარენ-ც „ნეტარებს“ | ითიქოცენ-ც „გაცვივა“ |
| მეფირქენ-ც „გზადაგზა ფიქრობს“ | ბყარაულენ-ც „მყარაულობს“ |
| შერენ-ც „გიუობს“ | |

ჩქიმი გური ნ ე ტ ა რ ე ნ ც ე: ყიფ. 156,18 „ჩემი გული ნეტარებს“. შარას ირო მ ე ფ ი რ ქ ე ნ ც ე: ყიფ. 76,4 „გზაზე ყოველთვის ფიქრობს“. ბორია ირქენს, შ ე რ ე ნ ც ე: ბ. 127,1 „ქარი ქრის, გიჟობს“. ნამუღისა ი თ ი ქ ო ც ე ნ ც ე ნ ი, არძოსკ სი ყინტუნქე: ყიფ. 15,20 „მინა, რომელიც გაცვივა, ყველას შენ ყლაპავ“. მა ე ქ ი ჯ ო ლ ო რ ი ბ ყ ა რ ა უ ლ ე ნ ც ე: ყიფ. 156,13 „მე იქ ძალდი მდარაჯობს“.

-უნ-:

ა) მოქმედებითი გვარის ზმნებში

| | |
|---------------------------|------------------------------|
| ქოჭკომ-უნ-ცე „ჭამს“ | ველაფ-უნ-ც(უ) „არ იღებავს“ |
| ქოშ-უნ-ცუ „სვამს“ | ვაისხუნ-უნ-ც(უ) „არ გირჩევს“ |
| ჯუნ-უნ-ცე „კოცნის“ | გილანჩურ-უნ-ც(უ) „დაცურავს“ |
| გილანწყ-უნ-ც „მიმონგრევს“ | გორ-უნ-ც „ეძებს“ |
| იყვილ-უნ-ც „იკლავს“ | სოფ-უნ-ც(უ) „გლეჯს“ |
| ისოფ-უნ-ც(უ) „იგლეჯს“ | მეხონ-უნ-ც „მიდის და ხნავს“ |
| ბჭ-უნ-ც(უ) „მწვავს“ | ბონ-უნ-ცე „ბანს“ |

ირო ქოთომც ქ ო ჭ კ ო მ უ ნ ც ე: ყიფ. 147,1 „ყოველთვის ქათამს ჭამს“. ართი კოჩი... წყარცუ... ქ ო შ უ ნ ც უ: ყიფ. 15,11 „ერთი კაცი... წყალს... სვამს“. ჯ უ ნ უ ნ ც ე ბ ო შ ი ს: ყიფ. 59,25 „კოცნის ბიჭს“. წმინდა გიორგიში რაში სარკოთ დიხას გ ი - ლ ა ნ ე ყ უ ნ ც ე: ბ. 127,14 „წმინდა გიორგის რაში საოცრად მიმონგრევს მინას“. გვალო დუდის ი ყ ვ ი ლ უ ნ ც ე: ხუბ. 185,38 „მთლად თავს იკლავს“. ჩე ფრიმულც ი ს ო ფ უ ნ ც უ: ქსმ 63,80 „თეთრ წვერს იგლეჯს“. ათენა რე გურცუ ბ ჭ უ ნ ც უ: ქსმ 68,318 „ესაა გულს რომ მწვავს“. ლეჩქვის ინა ვ ე - ლ ა ფ უ ნ ც უ: ქსმ 92,13 „ტუჩებს („ტუჩს“) ის არ იღებავს“. ვ ა ი ს ხ უ ნ უ ნ ც უ სიკეთეს: ქსმ 81,18 „არ გირჩევს სიკეთეს“. ჭითა ჩხომი გ ი ლ ა ნ ჩ უ რ უ ნ ც უ: ქსს 11,27 „წითელი თევზი დაცურავს“. ხოც გ ო რ უ ნ ც ხ ო ჯ გ ო რ ი ა: ქსს 12,2 „ხარს დაეძებს ხარის მადებარა“. ოყოთანცუ დო ჩიტეფცუ დუცუ ს ო - ფ უ ნ ც უ: „ისვრის და ჩიტებს თავს გლეჯს“. მ ე ხ ო ნ უ ნ ც ე, მეულ ლელო: „მიდის და ხნავს, მიაქვს ლელო“. ჯ უ ნ უ ნ ც ე

ქოროფილცალო, ბონუნც დო ხვარშალანც: „კოცნის შეყვარებულივით, ბანს და აკრიალებს“.¹²

ბ) საშუალი გვარის ზმნებში

| | |
|-------------------------|---------------------------|
| მიფუნ-ც „მიდულს“ | ფურინ-უნ-ც „ფრენს“ |
| მოსოფუნ-ც „მოგლიჯინებს“ | გინმოსხაპუნ-ც „ახტება“ |
| ვალუნ-ც „ელავს“ | გენგრნინუნ-ც „ნუნუნებს“ |
| ვა ფალუნ-ცუ „არ ყვავის“ | ანოჯლუნ-ცი „მიუძღვის წინ“ |
| მოქურჩუნ-ცუ „მოედინება“ | გინაქუნ-ც „ახურავს“ |
| მიკაფუნ-ცუ „უდულდება“ | მუკმოქუნ-ციე „მაცვიაო“ |
| გოპუნ-ც „გარს მივლის“ | |

ზღსხგრ' მიფუნც: ყიფ. 159,13 „სისხლი მიდულს“. ქორორა მოურცუ, მოსოფუნც: ყიფ. 97,4 „ქორორა მოდის, მოგლიჯინებს“. ჭვენს, ვალუნც დო მერეხანს: ბ. 127,5 „წვიმს, ელავს და ამერეხებს“. ჩქიმი ხოლოს ვა ფალუნცუ სქანი ჯგუა ნადირეფი: „ჩემ ახლოს ვერ ხარობს („ვერ ყვავის“) შენისთანა მხეცები“. არაგვი, მტკვარ-ალაზანი მოქურჩუნ-ცუ ქომოლურო: ქსპნ 17,12 „არაგვი, მტკვარ-ალაზანი ვაჟკაცურად მოედინება“. ქუაშ კიდას მიკმაფუნცუ: ქსპნ 18,20 „ქვის კედელს უდულდება“. ფურინუნც ჩქიმი გური: ქსს 74,17 „ფრენს ჩემი გული“. თარასხანი გინმოსხაპუნც დეჟს დო მეურცუ ძლაბიშა: „თარასხანი თავს ახტება დეიდას და მიდის გოგოსთან“. დიდი ხორხიში ხასილას მუშობურათ გენგრნინუნც: „დიდი ხერხის გვერდით თავისებურად ნანკანებს“. მუკოჩი რე, თე ლაშქარცუ კანდიორო ანოჯლუნცი? „რა კაცია, ამ ლაშქარს [რომ] წინ მიუძღვის კადნიერად?“ ცურუშ ნაბადი გინაქუნც: „ცურუშ ნაბადი

12. ანმყოს მწკრივის -უნ მანარმოებლის ადგილას შეგვხვდა -ონ: ათეჯგუა უჩა სერც ჭყიმ გორონცუ ქვერე თხას: „ასეთ ბნელ ლამეს ინყემსი ეძებს ბრმა თხას“. -ონ აქ -უნ'იდანაა მიღებული წინაო ხმოვნის მომდევნოდ უხმოვნის პროგრეს. ასიმილაციის ნიადაგზე: გორუნ-ცუ > გორონ-ც. მსგავსი მაგალითია, აგრეთვე: გიშაგორუნ-ცუ > გიშაგორონ-ცუ (მიდგას გიშაგორონცუ საქომონჯოთუნი, თის ქიმეჩას უშქური მუში: ყიფ. 91,31 „ვისაც ამოირჩევს საქმროდ, იმას მისცეს თავისი ვაშლი“.

ახურავს". მუ რე, ხუჯით მეუღლუნა, ჟი ნოსეფი გ ი ნ ა ქ უ ნ -
ც ი? „რა არის, მხარზე გადაებული მიაქვთ, ზევით ნოსები
ახურავს". ეჭდოსუთი წანა რენია, თენა მ უ კ მ ო ქ უ ნ ც ი ე:
„ოცდახუთი წელია, ეს მაცვიაო“.

-ღნ-:

ა) მოქმედებითი გვარის ზმნებში

| | |
|-----------------------|-----------------------------|
| ჭყოლ-ღნ-ც „ჭრის“ | მოხვატ-ღნ-ცი „მოაკნატუნებს“ |
| რყვილ-ღნ-ც „გკლავს“ | ქონკერ-ღნ-ც „აპობს“ |
| უკიჟინ-ღნ-ც „უყვირის“ | ტახ-ღნ-ც „ტეხს“ |
| გორ-ღნ-ც „ეძებს“ | რად-ღნ-ც „ხეთქს“, „აპობს“ |
| კვათ-ღნ-ც „ჭრის“ | ვახვატ-ღნ-ც „არ ტკვერს“ |
| ბონ-ღნ-ც „ბანს“ | წ-ღნ-ც „წოვს“ |
| თვალ-ღნ-ც „მოთქვამს“ | წღრწინ-ღნ-ც „წანკანებს“ |

თის მუთუნი ვახვარე, მიში გურცუ ჭ ყ ო ლ ჯ ნ ც ჯ ნ ი: „მას
არაფერი შველის, ვის გულსაც კოდავს“. სქუა რ ყ ვ ი ლ ჯ -
ნ ც ჯ, სქანი სქუა: „შვილი გკლავს, შენი შვილი“. ტურა გერე
შორსუ დო უ კ ი ჟ ი ნ ჯ ნ ც ჯ კ ო ც ე: ყიფ. 20,8 „ტურა დგას შორს
და უყვირის კაცს“. ამუდლა გ ო რ ჯ ნ ც ე: ყიფ. 13,29 „ეძებს
დღეს“. კოცე არგუნი უკებუ დო დიშქასუ კ ვ ა თ ჯ ნ ც ე: ყიფ.
19,7 „კაცს ცული უკავია და შეშას ჭრის“. ბ ო ნ ჯ ნ ც დ ო
ხვარჩალანც: ქხმ 18,24 „ბანს და აკრიალებს“. ასე ხე დო კითის
თ ვ ა ლ ჯ ნ ც ე: 54,17 „ახლა ზის და თითს დასტირის“. მედიშქეს
ქემღალ დიშქეფ დო ქ ო წ კ კ რ ჯ ნ ც ე: „მეშეშეს მოუტანია
შეშა („შეშები“) და აპობს“. ქუას ტახნც, ჟალემც რ ა დ ჯ ნ ც ე,
ულუ ტეხერც დიდი ძალი: „ქვას ტეხს, ხეებს აპობს, ტეხურსა
აქეს დიდი ძალა“. ჯოლორი ჯოლორიში ტყეებისე ვ ა ხ ვ ა -
ტ ჯ ნ ც დღასია: „ძალლი ძალლის ტყავს არ ტკვერს
არასოდესო“. გინ ჩხოუს წ ჯ ნ ც ე: „ხბო ძროხას წოვს“.
ეშარსხებუშა მოურცე დო წ ჯ რ წ ი ნ ჯ ნ ც ე, რკიანცი:
„დასახსნელად მოდის და წანკანებს, კივის“.

ბ) საშუალო გვარის ზმნები

მოკვეც-ენ-ც „მოკვესავს“
ვალ-ენ-ც „ელავს“

ეკორნკინ-ენ-ც „ბრწყინავს“
გურგინ-ენ-ც „გრგვინავს“

თოლშე დაჩხირი მოკვეცენც: ყიფ. 146,5 „თვალეებიდან („თვალიდან“) ცეცხლი მოკვესავს“. მუ ორე, თე მუნაფა ცასკ ვემიკოხე დო ვალენცენი? ყიფ. 74,33 „რა არის ეს ღრუბელი, ცას არც კი ამჩნევია („ცაზე არც კი ზის“) და რომ ელავს?“ მელე მიკააჯინენი, ქეკორე ბუაცალო ეკორნკინენცენი, ეფერი: ყიფ. 82,19 „გალმა რომ გაიხედა, [ნაპირზე] დგას მზესავით რომ ბრწყინავს, ისეთი“. გოფურაფილ რკინას ურო გიანთხუ დო გურგინენც: ქხმ 68,22 „გახურებულ რკინას ურო ეცემა და გრგვინავს“.

მარტივ ფუძეთა ანმყოს ფორმებში S₃ პირის -ც ალომორფი ისე, როგორც -ს, უშუალოდ მოსდევს ფუძის ბოლოკიდურ თანხმოვანს, რაც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ჩვეულებრივ, არის რ:

1. ა) მეურ-ცუ „მიდის“

კერდეს მეურცუ: ქხმ 122,2 „კლდეზე მიდის“. მუში შარას მეურცუ მელეჯე: ყიფ. 90,7 „თავის გზაზე მიდის მელორე“. მისგთი ოკონი, მეურცუ: ყიფ. 65,14 „ვისაც უნდა, მიდის“.

ბ) მოურ-ცე/ი, მუ(უ)რ-ცე/უ „მოდის“
ქიმოურ-ც, ქემურ-ცე „მოდის“ („ქე მოდის“)

ზარხული მოურცე, დაჩნიკეფ მოყუნცე: „ზაფხული მოდის, მოაგარაკენი მოჰყავს“. ცაშ ნოტეხი უიშე მუურცუ: ქხმ 70,424 „ზევიდან ცის ნატეხი ჩამოდის“. აშო დიირთუ ტყაში კორჯ დო მუურცენი, ქოძირუ: ყიფ. 86,19 „აქეთ რომ დაბრუნდა ტყის კაცი და რომ მოდის, დაინახა“. მინ კუჩხითუ მურცე: „ზოგი ფეხით მოდის“. ეშარსხებუშა მოურცე დო წურწინენცე, რკიანცია: „დასახსნელად მოდის და წივის, კივისო“.

ცირაქ გემიჯინეზ ნი, ქოძირე ბოში მ ო უ რ ც ი: ყიფ. 105,34 „გოგომ რომ გამოიხედა, ნახა, ბიჭი მოდის“. ართი ჭიჭე ფაცხას კუმა ქ ი მ ო უ რ ც: ხუბ. 182,7 „ერთი პატარა ფაცხიდან კვამლი ამოდის („ქე ამოდის“)“. ...დო ქ ე მ უ რ ც ე ნი ქოძირეს: ყიფ. 81,4, ... და რომ მოდის, დაინახეს“.

გინმ-ურ-ც „გადადის“

ჭკუაშე გ ი ნ მ უ რ ც ხენნიფე: „ჭკუიდან გადადის ხელმწიფე“.

ეშმ-ურ-ცუ „ამოდის“, „ადის“

შქას ე შ მ უ რ ც უ წკონტა წყარი: „შუაში ამოდის ანკარა წყალი“.

გილო-ურ-ც(ე) „დადის“

ათე მინდორც გ ი ლ ო უ რ ც ე ართი ჭაკი ცხენი: „ამ მინდორზე დადის ერთი ჭაკი ცხენი“. გილურცუ დო გ ი ლ ე ნ-გ ა რ ც: ქს 12,3 „დადის და დატირის“.

2. ინგარ-ც(ე) „ტირის“

ი ნ გ ა რ ც ე ძლაბი: ყიფ. 93,30 „ტირის გოგო“. თვალენც, ი ნ გ ა რ ც, ითაკარე: ქსპმ 70,418 „მოთქვამს, ტირის, შფოთავს“. გილურცუ დო გ ი ლ ე ნ გ ა რ ც: ქს 12,3 „დადის და დატირის“. ი ნ გ ა რ ც ე მუში დლაც: ხუბ. 185,18 „ტირის თავის დლეს“.

3. ქო-უ-მბარ-ც „უბერავს („ქე უბერავს“)

პიჯით თის ქ ო უ მ ბ ა რ ც: ხუბ. 179,5 „პირით მას უბერავს („ქე უბერავს“)

4. ი-ბირ-ც „მღერის“

მინ იბირც? „ვინ მღერის?“

5. ქაშე-დიარ-ც „ბალახობს“

[ტყაში კოჩქე] ქოძირე, რაში ტყასე ქ ა შ ე დ ი ა რ ც ე ნი: ყიფ. 86,19 „[ტყის კაცმა] დაინახა, რომ რაში ტყეში ძოვდა“.

6. ბჯერ-ც „მჯერა“
ვაჯერ-ცუ „არ სჯერა“

გურიო ბ ჯ ე რ ც, აზრით ბნანც: ქხპმ 55,46 „გულით მჯერა, აზრით მნამს“. ვაჯერცუ-და, ქოძირუნცუ: ქხპმ 99,67 „თუ არ სჯერა, ნახავს“.

ინვერსიულ ზმნებში ზემოთ წარმოდგენილი S₃ პირის -ც ალო-მორფი, ისევე, როგორც -ს, გამოხატავს რეალური ირიბი ობიექტის მესამე პირს:

1. ნანარმოებ ფუძეებში

-ან-:

ნ-ან-ც(უ) „სნამს“

ქორნ-ან-ც(ი) „გნამს“ („ქე გნამს“)

მუშენ ნამთინ ვა რ ნ ა ნ ც უ ნ ი — ვართი ცოდა, ვართი მარდი?! ქხპმ 25,9 „რატომ არცერთი არ გნამს: არც ცოდევა, არც მადლი?“ ჯიმალობა ქორნანცია და მართახი ქემომილია: ყიფ. 14,3 „ძმობა თუ გნამს, მათრახი მომიტანეო“.

-ენ-:

რშქირ-ენ-ცი „გშია“

ფშქირ-ენ-ცუ „მშია“

შქერ-ენ-ცუ „შია“

პუმ-ენ-ცუ „მწყურია“

— ვაი, დედა, დობლური, პ უ მ ე ნ ც უ ! ყიფ. 15,11 „— ვაიმე, დედა, მოვკვდი, მწყურია!“ მუშენიე გერცუ ირო შ ქ ი რ ე ნ - ც ი ე? ყიფ. 71,3 „რატომაა, რომ მგელს ყოველთვის შიაო?“ შ ქ ქ რ ე ნ ც დო ვეგმართე ჯაშე: „შია. და ვერ ჩამოვა ხიდან“. ნამუ დიხა ითიქოცენცენი, არძოსუ სი ყინტუნქუ დო იძახქუ: „ფ შ ქ ი რ ე ნ ც უ“: ყიფ. 15,20 „რამდენი მიწაც კი გაცვივა ხოლმე, ყველას შენ ყლაპავ და იძახი: „მშია“.

-უნ-:

ქ-უნ-ც(უ) „ჰყავს.“

ქო-ქ-უნ-ც „ჰყავს“ („ქე ჰყავს“)

ვა-პ-უნ-ცუ „არ მყავს“

მუში ნაგორა მისჯთი ქ უ ნ ც ე, ბედინერი ორე თინა: ყიფ. 146,15 „თავისი მონაძებნი ვისაც ჰყავს, ბედინერი არის ის“. ნირსუფალი ქ უ ნ ც უ სალორონთო: „მშობლები ჰყავს ღვთის-ნიერი („სალმერთო)“. მეტ მაყალე მა ვ ა პ უ ნ ც უ: ქსს 262,14 „მეტი ამხანაგი მე არ მყავს“. დანიშნული მითა პ უ ნ ც უ: ქსპმ 43,68 „დანიშნული არავინ მყავს“. ხოლო ქ ო ც უ ნ ც ჩქიმ მუმასჯ: ქსპმ 96,32 „კიდევ ჰყავს („ქე ჰყავს“) ჩემს მამას“. რჩენ მორდუ პ უ ნ ც, სი ქოიჩქე ქსპნ 73,578 „მობხუცი გამზრდელი მყავს, შენ კი იცი!“

მე-ც-უნ-ცე „მიჰყვება“

მუში სინჯალეფი ჟირხოლო, მუ სარაგადო რე, თექე მ ე-ქ უ ნ ც ე: ყიფ. 97,13 „თავისი სიძეები, ორივე, რა სათქმელია, იქ მიჰყვება“.

აშა-ც-უნ-ცუ „შუაზე მიჰყვება“

ა შ ა ც უ ნ ც უ ზღვა დო გვალა: ქსპმ 48,2 „შუაზე მიჰყვება ზღვა და მთა“.

მო-პ-უნ-ც „ვირთავ“, „მომყავს“

ოსურ მ ო პ უ ნ ც დო ქედომხუადითია ოჭკომალით: „ცოლს ვირთავ („ცოლი მომყავს“) და დამხვდითო სუფრით („საჭ-მლით“)“. სუმი მილიონი დო გვერდი კოჩი მ ო ც უ ნ ც ე: „სამმილიონნახევარი კაცი მომყავს“.

მიკო-ც-უნ-ც „ირგვლივ მიჰყვება“

თუდო სქვამი ჭენინყარი ლენტიშორო მ ი კ ო ც უ ნ ც უ: ქსპნ 19,58 „ქვევით ლამაზი ჭანის წყალი ირგვლივ მიჰყვება ლენტივით“.

გილარ-ც-უნ-ცუ „დაგყვება“

ვადგეთხიებუ, გ ი ლ ა რ ც უ ნ ც უ ნ ი: ქსპნ 21,6 „არ მოგშორდება, რომ დაგყვება“.

მემიჯლ-უნ-ცუ „მიმიძღვის“

მუ უბადო მემიჯლუნცუ: ქსპმ 68,312 „რა ცუდი რამ მიმიძღვის [მის წინაშე]“.

II. მარტივ ფუძეებში

უ-ცორ-ცუ „უყვარს“

ქუუ-ცორ-ცი „უყვარს“ („ქე უყვარს“)

უ ც ო რ ც მალალი ჯა: „უყვარს მალალი ხე“. თი ნდემი თიზემასუ ქ უ უ ც ო რ ც ი ა, ნამდა თოლი თიშა აფუ მეჩემე-ბულია: ყიფ. 77,20 „ის დევი იმდენად („იმ ზომაზე“) უყვარსო, რომ თვალი მასზე აქვს მიპყრობილიო („მიჩერებულიო“)“. მაფშალია მ ი ც ო რ ც უ დო... ქსპმ 97,13 „ბულბული მიყვარს და...“

ლურ-ცუ „სძინავს“

ირკოც ართო ჰამას ლ უ რ ც უ: ქსპმ 61,7 „ყველას ერთად ტკბილად სძინავს“. ე დედიბიქე ქიიხვამილუუ ე ძღაბი, ლ უ რ ც უ ნ ი'თეში: ყიფ. 102,34 „ამ დედაბერმა მოიტაცა ეს გოგო, რომ სძინავს ისე“. გილურცუ დო იშენი ლ უ რ ც უ: „დადის და მაინც სძინავს“.

-ც ალომორფი ჩვეულებრივია ქართულიდან ნ ა ს ე ს ხ ე ბ ზმნებშიც:

-ონ-:

მორწ-ონ-ცუ „მოგწონს“
ვამოპწ-ონ-ც „არ მომწონს“

მუს რე დუდი მ ო რ წ ო ნ ც უ ? „რატომ მოგწონს თავი?“
ათე დროს მა ვ ა მ ო პ წ ო ნ ც უ: „ამ დროს მე არ მომწონს“.

რ-:

მჯერ-ც „მჯერა“
ვაჯერ-ცუ „არ სჯერა“

გურით ბ ჯ ე რ ც, აზრით ბნანც: ქსპმ 55,46 „გულით

მჯერა, აზრით მწამს“. ვ ა ჯ ე რ ც ე - და, ქოძირცე: ქსპმ 99,67 „თუ არ სჯერა, ნახავს“.

უჭირ-ცე „უჭირს“
ვა გიჭირ-ცე „არ გიჭირს“

მის უჭირ ცე, მუთ გეგინე?! ქსპმ 101,18 „ვის უჭირს, რით უნდა გაიგო?!“ მიდართი სი, ქოძირი, მუ ორე, თი კოც უჭირ-ცე ნი: ყიფ. 86,11 „ნადი შენ, ნახე, თუ რა უჭირს იმ კაცს („რა არის, იმ კაცს რომ უჭირს“)“. სი იშენი მუთუნი ვა გ იჭ ი რ ც ე დო მა ქომუ სქანი ნაბადია: ყიფ. 160,19 „შენ მაინც არაფერი გიჭირს და მე მომეცი შენი ნაბადიო“.

ლ-:

სრულ-ცე „სურს“

მის ს რ უ ლ ც უ, ნეკითხით, ვარა მუთა მილუ ძალი: ყიფ. 162,29 „ვისაც სურს, წაიკითხეთ, თორემ მეტი არ მაქვს ძალა“. მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავეში S₃ პირის -ს და -ც ალომორფები (ისე, როგორც მიცემითი ბრუნვის -ს და -ც ნიშნები) პარალელურად იხმარება; საილუსტრაციოდ მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

1. ბაბუ ჩ ხ ვ ი ა ნ ს, ბაბუ რ კ ი ა ნ ს: ყიფ. 183,14 „ბაბუა ჩხავის, ბაბუა კივის“. შდრ. ბაბუ ჩ ხ ვ ი ა ნ ც, ბაბუ რ კ ი ა ნ ც: ყიფ. 183,15 „ბაბუა ჩხავის, ბაბუა კივის“.

2. ენას ვ ე შ ქ ი დ ა ნ ს ე ცირა: ბ. 194,15 „ამას არ იკადრებს გოგო“ შდრ. დგებუაძე ვ ა შ ქ ი დ უ ლ ე ნ ც თეს: „დგებუაძე არ კადრულობს ამას“.

3. მითი ლ ვ ი ნ ს ე გ ე შ უ ნ ს ე ნ ი, კოჩი თინა რე: ყიფ. 132,10 „ვინც ღვინოს დაღვეს, კაცი ის არის“. შდრ. ართი კოჩი ... წყარცე ... ქ ო შ უ ნ ც უ დო ქიიძახე: ყიფ. 15,11 „ერთი კაცი... წყალს... სვამს [„ქე სვამს“] და იძახის [„ქე იძახის“]“.

4. ვითი ირემსე დო სქვერს ოჭ კ ო მ უ ნ ს: ყიფ. 41,28 „ათ ირემსა და შველს შეჭამს“. შდრ. ირო ქომონც ქ ოჭ კ ო მ უ ნ ც ე: ყიფ. 147,1 „ყოველდღე [„ყოველთვის“] ქმარს ჭამს“. ან

კიდევ: ინა ირ დღას ქოჭკომუნცუ: ქხპმ 80,15 „ის ყოველდღე ჭამს („ქე ჭამს“)“.

5. გურსუ ვარა დორჭუნსო, უსქანეთუ ბჭყორდღევე: ყიფ. 145,1 „გულს მაინც არ დაგწავს, რომ უშენოდ ვნადგურდებოდე“. შდრ. ათენა რე გურცუ ბჭუნცუ: ქხპმ 68,318 „ესაა, გულს მიწვავს“.

6. გუუტუე, მუმას დომიქვილუნს, ვაგოუტუე — დიდას: ყიფ. 181,11 „რომ გავუშვა, მამას მომიკლავს, რომ არ გავუშვა — დედას“. შდრ. გვალო დუდის იქვილუნც: ხუბ. 185,38 „თავგანწირვით თავს იკლავს“. ან კიდევ: ქოპილუნც სქანქოროფა: ქხპმ 39,5 „მკლავს შენი სიყვარული“. სქუარქვილუნცუ, სქანი სქუა: „შვილი გკლავს, შენი შვილი“.

7. მაჟია ოჭუმარეს გორუნსი კოჩი ჭითა ცხენს: ხუბ. 129,30 „მეორე დიღას ეძებს კაცი წითელ ცხენს“. შდრ. ამუღლა გორუნცუ: ყიფ. 13,29 „დღეს ეძებს“.

8. გედირთუ მაჟია დღას დომეურსუნ, სუმი ოსური ქემულან, ქოძირუ: ხუბ. 144,11 „ადგა მეორე დღეს და რომ მიდის, ნახა, რომ სამი ქალი მოდის“. შდრ. ცირაქ გემიჯინუ ნი, ქოძირუ ბოში მოურცი: ყიფ. 105,34 „გოგომ რომ გამოიხედა, დაინახა, ბიჭი მოდის“, ან კიდევ: მუში შარას მეურცუ მეღეჯე: ყიფ. 90,7 „თავის გზაზე მიდის მელორე“.

9. ნიტქე თიში ბედღს... მისუთი თოლი ვაანგარსუნი! ბ. 71,8 „ნეტავი იმის ბედს... ვისაც თვალები [„თვალი“] არ უტირის!“, შდრ. ინგარცუ მუში დღას: ხუბ. 185,18 „ტირის თავის დღეს“.

10. გიქორსუნი კოჩი ვარექ, ვაგიქორსუნა, გიძრახუნა: ბ. 70,15 „რომ გიყვარს კაცი, არა ხარ, თუ არ გიყვარს, გძრახავენ“. შდრ. მაფშალია მიყორცუ დო... ქხპმ 97,13 „ბულბული მიყვარს და...“.

11. ქიღიჯირუ ექლო ლურსუნ... ხუბ. 143,15 „დანვა ეს და, რომ სძინავს...“ შდრ. ედედიბიქუ ქიხვამილუუ ეძღაბი, ლურცუნი, თეში: ყიფ. 102,34 „ამ დედაბერმა ხელთ იგდო ეს გოგო, რომ სძინავს, ისე“.

12. ოსურენს უჯერსუნთი ქომოლეფია, ოსურს ქიმშუანგარიშია: ხუბ. 138,10 „ის მამაკაცები, რომლებიც ქალებს უჯერე“

ბენ, ქალებს [„ქალს“] მიათვალეო“. შდრ. გურით ბ ჯ ე რ ც, აზრით ბნანც: ქხპმ 55,46 „გულით მჯერა, აზრით მნამს“.

13. მუგოკონ, სორგუ ირფელი დო მუ უჭირს ანი ეს: ხუბ. 114,8 „რაც გინდა, ყრია ყველაფერი და რა უჭირს ანი ამას“. შდრ. მის უჭირცე, მუთ გეგინე?! ქხპმ 101,18 „ვის უჭირს, რით უნდა გაიგო?!“.

ასეთი შემთხვევები შეინიშნება ერთი და იმავე პირის მეტყველებაშიც კი.

ზემოთ განხილული მეგრულის მხ. რიცხვის III სუბიექტური პირის -ს მორფემა საერთოა კოლხური ენის მეორე დიალექტთან, ჭანურთან, ასევე, ქართულთან და სვანურთან.

ჭ ა ნ უ რ შ ი ის გვაქვს მოქმედებითი გვარის ზმნების ა ნ მ ყ ო შ ი და ყოველგვარი ზმნის კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ - შ ი. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა წერს: მხ. რიცხვში „სუბიექტის მესამე პირს სუფიქსები აღნიშნავენ; ეს სუფიქსებია: -ნ, -ს და -უ... -ს გამოყენებულია ანმყოში გარდამავალ ზმნებთან (ე.ი. მოქმედებითი გვარის ზმნებთან), კავშირებითის პირველსა, მეორესა და მესამესთან — ყველა ზმნებთან“.¹³ ავტორი წარმოგვიდგენს სათანადო მასალასაც:

ანმყო

იმხოორ-ს „ჭამს“
იდუშუნ-ს „ფიქრობს“
ხოორხუმ-ს „ხერხავს“

ხაჩქუმ-ს „თოხნის“
ცხუნუმ-ს „არჩევს“

I კავშირებითი

ხოორხუმტა-ს „ხერხავდეს“
ხაჩქუმტა-ს „თოხნიდეს“
ცხუნუმტა-ს „არჩევდეს“

ღურრუტა-ს „კვდებოდეს“
იშქვიდეტა-ს „იღრჩობოდეს“
ირდეტა-ს „იზრდებოდეს“

II კავშირებითი

ხოორხა-ს „ხერხოს“
ხაჩქა-ს „თოხნოს“
ცხუნა-ს „არჩიოს“

ღურა-ს „მოკვდეს“
იშქვიდა-ს „დაიღრჩოს“
ირდა-ს „იზარდოს“¹⁴

13. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფ., 1936, გვ. 89-90.

14. ი ქ ვ ე, გვ. 90.

ჭანურის „ართაშენულ თქმაში S₃ -ს იკარგება; მრავლობითის -ეს დაბოლოებაც კარგავს -ს-ს. -ს-ს დაკარგვა ფონეტიკური ხასიათისაა“.¹⁵

ათინურში ს სუსტდება: ს > ჟ: შუჟ < შუმ-ს.¹⁶

გ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი ს დაკვირვებით, -ს ანმყოში III სუბიექტური პირის ნიშნად აქვს კოლხურის ზოგ ს ტ ა ტ ი - კ უ რ ზ მ ნ ა ს ა ც: ჭან. ჯოხონ-ს „ჭქვია“, იცონ-ს „არჭვია“, „აცვია“... მეგრ. ც უ ნ ს/ც „ჭყავს“, მიცორ-ს „მიყვარს“...¹⁷

ჩვენი შეხედულებით, III სუბიექტური პირის -ს, მსგავსად მეგრულისა, გვაქვს ჭანურის მ ყ ო ფ ა დ ი ს მწკრივშიც:

| | |
|------------------------------------|-----------------------------|
| ა-მოშქუმეს „შეუშვებს“ | ჟეზდიფ-ს „ანევს“, „აზიდავს“ |
| ქოგამოონამ-ს „გამოიყვანს“ | გედგიფ-ს „დადგამს“ |
| დოლოდგუმ-ს ¹⁸ „ჩადგამს“ | |

მითი ვა ა მ ო შ ქ უ მ ე ს — ჟ ა: „არავის არ შეუშვებსო“. ჰეშო იხორჯა ივენ-ქი, ქომოლი ნოსის ქ ო გ ა მ ო ო ნ ა მ ს: „ისეთი ქალი იქნება, რომ ქმარს ჭკუაზე შეშლის („გონებიდან გამოიყვანს“)“.

ჭანურის ვინურ-არქაბულსა და ათინურ კილოკავებშიც დასტურდება მყოფადის ფორმები:

| | |
|------------------------|--------------------------------|
| დოხვამ-ს „დამარხავს“ | დორგამ-ს „დარგავს“ |
| დუხენამ-ს „გაუკეთებს“ | დოლოკიდაფ-ს „ჩაკიდებს“ |
| მენდიონამ-ს „ნაიყვანს“ | ნოჭკირაფ-ს „მოჭრის“ |
| დობლამ-ს „დაყრის“ | ძირემ-ს „ნახავს“ ¹⁹ |
| გონკამ-ს „გახსნის“ | |

ძ ვ ე ლ ქ ა რ თ უ ლ შ ი, როგორც არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა წერს,

15. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურის გრამატიკული... ტფ., 1936, გვ. 90 (§ 8).
16. ი ქ ვ ე, გვ. 28-30, 90.
17. გ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ზმნის ძირითადი მორფოლოგიური ... გვ. 7.
18. პარალელურად არის ქ ო ლ ა დ გ ი მ ს.
19. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურის გრამატიკული ... გვ. 117-129 (§ 37), 131-132, 155.
აღნიშნულ კილოკავებში გამოიყოფა არაორგანულად („არის“ დამხმარე ზმნით) ნაწარმოები მყოფადიც: მომჩან-ორენ „მომცემენ“, იკანწურან-ორენ „იქანავებენ“... შუმას-ერე „გაზომავს“... ი ქ ვ ე, გვ. 153-155.

ს₃ პირის -ს გვექონდა „ანმყოში, ნამყო ხოლმეობითსა და სამივე კავშირებითში“.²⁰ ანმყო: ჰგონიე-ს (ახ. ჰგონი-ა)... იზრდებ-ი-ს (ახ. იზრდებ-ა), აღანთ-ი-ს, დაფარ-ი-ს, უწყ-ი-ს, იც-ი-ს, ვიდ-ი-ს, აღირლყ-ს, იტყყ-ს, (ახ. ამბობ-ს), თქყ-ს (ახ. „იტყვი-ს“, „ამბობ-ს“)... მრ. წარავლინ-ნი-ის (იგინი)...²¹

უნყვეტილისა და წყვეტილის ხოლმეობითების მწკრივებში გვექონდა: ვიდოდ-ი-ს, ეტყოდ-ი-ს, დრეკდ-ი-ს...²² დაჯდ-ი-ს, მივიდ-ი-ს...²³ წყვეტილის ხოლმეობითის ასეთი ფორმები ზოგჯერ ახალ. სალიტ. ქართულშიც შეინიშნება: „გადაბრუნდ-ი-ს ჩვენი ციგა“.²⁴

| თურმეობითში: უ-წყ-ი-ე-ს (ახ. ქართ. და-უ-წყ-ი-ა), უ-ბრძან-ებ-ი-ე-ს (ახ. ქართ. უბრძან-ებ-ი-ა)...²⁵

ახალ სალიტერატურო ქართულში ს₃ პირის -ს მორფემა მოეპოვება მოქმედებითი გვარისა და მედიოაქტიური ზმნების ანმყოს, მყოფადისა და კავშირებითების მწკრივებს. უკანასკნელთაგან III კავშირებითის ინვერსიულ ფორმებში მას ფუნქცია შეცვლილი აქვს: გამოხატავს რეალურად არსებულ პირდაპირობიექტს.²⁶

მოქმედებითი გვარის -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნებს -ს სუფიქსი ახასიათებთ | თურმეობითის ფორმებშიც (და-მ-ი-ხნავ-ს, და-გ-ი-ხნავ-ს, და-უ-ხნავ-ს... და-მ-ი-ბამ-ს, და-გ-ი-ბამ-ს, და-უ-ბამ-ს), მაგრამ ამ ინვერსიულ ფორმებშიც ის გამოდის III პირდაპირიობიექტური პირის ნიშნის ფუნქციით.

20. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში, ენიმკი-ს მოამბე, V-VI, თბ., 1940, გვ. 14.

21. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, პერმანსივის („ხოლმეობითის“) ისტორიული ადგილისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. IV, №1, 1943, გვ. 93-95.

22. ი ქ ვ ე, გვ. 93-95. აგრეთვე: ა. ო ნ ი ა ნ ი, ქართველურ ენათა ისტორიული... გვ. 68.

23. ა. ო ნ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 68.

24. აკ. შ ა ნ ი ძ ე, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1980, გვ. 210.

25. -ა სუფიქსიანი ფორმები -ს სუფიქსიანების პარალელურად ძველ ქართულშიც გვექონდა (იხ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, თურმეობითი პირველის წარმოების ერთი თავისებურება უღვლილების სისტემის ისტორიასთან დაკავშირებით ქართულში: ლიტერატურული ძიებანი, ტ. II, თბ., 1945, გვ. 131-134.

26. აქ, ცხადია, არ ივარაუდება მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევიანი (ვი-შენებ ტიპი) ზმნები, რაკი მათ III სერის მწკრივები საერთოდ არ გააჩნიათ.

ვნებითი გვარის ზმნებიდან S_3 -ის -ს მორფემა ახასიათებს დინამიკურ ზმნებს, მაგრამ მხოლოდ კავშირებითის მწკრივებში.

მედოპასიური ზმნებიდან არაინვერსიულებს S_3 პირის ნიშნად -ს აქვთ ანმყოსა და | კავშირებითში (წევ-ს — ინვე-ს, დგა-ს — იდგე-ს, ზი-ს — იჯდე-ს, არი-ს — იყო-ს...), რაც შეეხება ინვერსიულებს, მის ერთ ნაწილს ის ახასიათებს²⁷ ანმყოსა და | კავშირებითში (მ-ძულ-ს — მ-ძულდე-ს, მ-იყვარ-ს — მ-იყვარდე-ს, მ-ძინავ-ს — მ-ეძინო-ს, მ-ყავ-ს — მ-ყავდე-ს, მ-აქვ-ს — მ-ქონდე-ს და სხვ.), მეორე ნაწილს კი — მხოლოდ | კავშირებითში (მ-ში-ა — მ-შიოდე-ს, მ-წყური-ა — მ-წყუროდე-ს, მ-ცხელ-ა — მ-ცხელოდე-ს, მ-ეზიზღებ-ა — მ-ეზიზღებოდე-ს და სხვ.) და ორსავე შემთხვევაში გამოდის ირიბი ობიექტის ნიშნის როლში.²⁸

სვანურ ენაში III სუბიექტური პირის -ს მორფემის შესახებ ვ. თ. ო. ფ. უ. რ. ი. ა. წერდა: „-ს характерен для сослагательных наклонений“.²⁹ ასეცაა:

სვანური ენის ანმყოში III სუბიექტურ პირს ნიშანი საერთოდ არ მოეპოვება, კავშირებითში კი არის -ს.³⁰

S_3 პირის -ს სუფიქსის გენეზისის საკითხზე ქართველოლოგიაში სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული.

ბ. მ. ა. რ. ი. III სუბიექტური პირის -ს მორფემას მეგრულში ქართულიდან ნ ა ს ე ს ე ბ ა დ მიიჩნევდა. ის წერდა: "Из двух разновидностей суффикса 3-го лица ед. ч. господствующею является, въ действительномъ залогѣ исключительно, картская форма *ს*, внесенная въ чанский языкъ, какъ и въ мингрельский, по всей вероятности, подъ влияниемъ грузинскаго языка, напр. ჭარუმ-ს пишеть; что же касается тубалкайнской формы *ბ*, она сохраняется въ спряжении лишь страдательнаго залога, куда примыкают и средние

27. ამ შემთხვევაში საკითხისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ფუძეთა მონაცვლეობას!

28. ამ ზმნებს II სერიის მწკრივები არ მოეპოვებათ, სხვა მწკრივთა ფორმები კი ნასესხები აქვთ დინამიკური ვნებითებისაგან.

29. Языки народов СССР, IV, Иберийско-кавказские языки, М., 1967, გვ. 84.

30. ვ. თ. ო. ფ. უ. რ. ი. ა., სვანური ენა, I, ზმნა, ტფილისი, 1931, გვ. 108, 168. ის აგრეთვე, ტაბულა | (ნიგნის ბოლოში).

გაგოლი, какъ напр. რე-ბ есть (§ 109).

Суффикს ბ რაზვ პოაქვლათა სუ გლასნымъ исходомъ უ, იმენნო ვუ глагол ო__ბ ილი ო__ბუ, ნა ატინსკომ გოვორე ოზნაქაოშემუ есть (§ 109); ბუტუ მოქუთუ ეტოტუ суффикс-переживание характера Им. падежа, ვუ ვიდე ბუ".³¹

ი. ყ ი ფ შ ი ძ ე ც იზიარებდა ამ მოსაზრებას. მას ნათქვამი აქვს: "Для 3-го лица ед. ч. имеются, как в чанском, два суффикса: 1) картский ს, герс. ც (диалектически) и тубалкайнский б. Первый употребляется при глаголах действительного залога, а второй при глаголах страдательного залога".³²

ბ. მ ა რ ს S₃ პირის -ს სუფიქსი სვანურ ენაშიც ქართულიდან ნასესხებად მიაჩნდა.³³

ნასესხობის ეს თეორია აღნიშნულ ავტორთა მიერ დასაბუთებული არ ყოფილა.

სვანური ენის მიმართ ეს მოსაზრება გაიზიარა ვ. თ ო ფ უ რ ი ა მ. მისი შეხედულებით, S₃ პირის ბოლოსართი -ს საერთო ოდენობაა ქართულ-მეგრულ-ჭანურისათვის, ს ვ ა ნ უ რ შ ი კ ი ის შეტანილია ქართულიდან (ისევე, როგორც მიცემითის -ს). ავტორი შეეცადა ამ დებულების დამტკიცებას.³⁴ მისი დასკვნით, „სვანურს...ს'ს რიგისა არაფერი აქვს საკუთარი".³⁵

S₃ პირის -ს მორფემის შესახებ ამავე აზრს იზიარებდა გ. მ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ი. მისი შეხედულებით, „სვანურს მესამე სუბიექტური პირის ნიშანი (სუფიქსი) ა რ გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ა" (ხაზი ჩვენია. ა. ლ.). კავშირებითი კილოს ნაკვეთებში კი -ს სუფიქსი ქართულიდანაა ნასესხები.³⁶

არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს აზრით, გენეტურად -ს სუფიქსი საერთოა ქართულისა და ჭანურ-მეგრულისათვის, ის წერს: „სუბიექტის

31. Н. М а р р, Грамматика чанскаго (лазскаго) языка съ хрестоматиею и словаремъ, С-Петербургъ, 1910, გვ. 45.

32. И. К и п ш и д з е, Грамматика мингрельского... გვ. 056.

33. Н. Я. М а р р, Где сохранилось сванское склонение?, Известия Императорской Академии Наук, С.-П., 1199-1206.

34. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ნ და ს ფენებისათვის ქართველურ ენებში, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, №1-2, თბ., 1941.

35. ი ქ ვ ე, გვ. 193.

36. გ. მ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები... გვ. 199.

მესამე პირის ნიშანთან ჭან.-მეგრ. -უ სუფიქსი იგივე ქართული -ა-ა (ქართ. ა — ჭან.-მეგრ. ო > უ). -ს სუფიქსი საერთოა ქართულისა და ჭანურ-მეგრულისათვის.³⁷

სვანურში S_3 პირის -ს სუფიქსის ისტორიასთან დაკავშირებით საყურადღებოა ამავე ავტორის ასეთი მოსაზრება:

„პერმანსივი სვანურში არა ჩანს, საფიქრებელია იმიტომ, რომ ამ ენაში ჰ მ კ - ი - ს ტიპის ზმნები ქმნიდენ ძირითად მასივს: სვან. ანმყოს -ი-³⁸ პერმანსივისეულია გენეტურად“.³⁹

თუ აქ თქმულს იმასაც დავემატებთ, რომ სვანურ სიტყვებს თავკიდური მარცვლის მახვილის მოქმედების შედეგად ბოლო დაზიანებული აქვთ, იქნებ უფრო საფიქრებელი ის იყოს, რომ ანმყოს მწკრივში S_3 პირის -ს სუფიქსი სვანურს დაკარგული აქვს და არა განუვითარებელი (საკითხის გარკვევა, რა თქმა უნდა, სპეციალურ ძიებას საჭიროებს).

გ. კ ლ ი მ ო ვ ი აღნიშნულ -ს მორფემას საერთო-ქართველურ საფეხურის აფიქსად მიიჩნევს, მაგრამ, მისი ვარაუდით, ის S_3 პირის ნიშნის ფუნქციით მხოლოდ და მხოლოდ კავშირებითში უნდა გვექონოდა, ისე, როგორც დღევანდელ სვანურში გვაქვს, სხვა კილოთა ფორმებში კი კავშირებითიდანაა გავრცელებული (მეგრულ-ჭანურში, ქართულში).⁴⁰

ა. ო ნ ი ა ნ ი ვარაუდობს, რომ აღნიშნული -ს წარმოშობით კავშირებითი კილოს მანარმოებელი უნდა ყოფილიყო.⁴¹ III სუბიექტური პირის (ავტორის მიხედვით, „მესამე სავალდებულო პირის“) ნიშნად ის მერე იქცა რეინტერპეტაციის შედეგად.⁴² „კავშირებითის მწკრივებში -ს-ს რეკონსტრუქცია შესაძლებელია საერთო-ქართველურ საფეხურზე, მაგრამ არა მესამე სავალდებულო პირის მორფემის წარმომადგენლად, არამედ კავშირებითის მორფემის ერთ-ერთ ელემენტად“.⁴³

37. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი... გვ. 101.

38. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური ენა, I, ზმნა, ტფ., 1931.

39. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, პერმანსივის („ხოლმეობითის“) ისტორიული ადგილისათვის... გვ. 95.

40. Г. А. К л и м о в, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964, გვ. 161.

41. ა. ო ნ ი ა ნ ი, ქართველურ ენათა ისტორიული... გვ. 174, 177-178.

42. ი ქ ვ ე, გვ. 172, 174-175.

43. ა. ო ნ ი ა ნ ი, ქართველურ ენათა ისტორიული... გვ. 174-175.

(ხაზი ჩვენია. ა. ლ.).

ჩვენი მიზანი ამჟამად არაა S_3 პირის -ს სუფიქსის გენეზისის გარკვევა და, ამდენად, აქ არ შევუდგებით აღნიშნულ შეხედულებათა სპეციალურ ანალიზს (ეს მომავლის საქმეა), ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ არაა შეუძლებელი მითითებული -ს, როგორც III სუბიექტური პირის ნიშანი, ქართველურ ენათა დიფერენციაციამდელ საერთო აფიქსად იქნეს მიჩნეული, რამდენადაც ის ამ ფუნქციით სამსავე ქართველურ ენაში (კერძოდ, ძველ ქართულში) ერთ-ერთი ძირითადი აფიქსთაგანია... ის საერთო-ქართველური ფუძე-ენიდან მომდინარე აფიქსი ჩანს ისევე, როგორც მიცემითი ბრუნვის -ს სუფიქსი. რაც შეეხება მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში S_3 პირის ნიშნად მოქმედ -ც ალომორფს, ის გარკვევით მეორეული წარმოშობისაა და, როგორც ამას ი. ყ ი ფ შ ი ძ ე ც აღნიშნავდა, შედარებით ახალ დიალექტურ მოვლენას წარმოადგენს.

ბუნებრივია, დაისმის საკითხი: რა ინვესს'ს გადასვლას ც'ში?

ი. ყ ი ფ შ ი ძ ე ს არაფერი აქვს ნათქვამი ამის შესახებ.

მ. ც ი კ ო ლ ი ა ს აზრით, ს > ც გამონვეულია ბგერათმონაცვლეობით (სუბსტიტუციით), რასაც აპირობებს ამ ბგერათა ერთნაირი წარმოების ადგილი.⁴⁴

სანამ -ს'ს > -ც'ში გადასვლის მიზეზების ახსნას შევუდგებოდეთ, უნდა აღინიშნოს შემდეგი:

მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში ანალოგიურ ცვლილებას განიცდის მიცემითი ბრუნვის -ს მორფემაც. ამ ფონეტიკური მოვლენის ახსნას მიეძღვნა ჩვენი სპეციალური გამოკვლევა: „მიცემითი ბრუნვის მორფემისათვის მეგრულში“.⁴⁵

მიცემითის -ს სუფიქსის -ც'ში გადასვლა გვხვდება სონორების: მ, ნ, ლ, რ'ს მეზობლად (ჩხომ-ი „თევზი“ — მიც. ჩხომ-ს > // ჩხომ-ც... ხან-ი „ხანი“ — მიც. ხან-ს > // ხან-ც...

44. მ. ც ი კ ო ლ ი ა, მეგრულის სამურზაყანულ-ზუგდიდური კილოკავის ფონეტიკური დახასიათება, დ. გულიას სახ. აფხაზეთის ენის, ლიტ. და ისტ. ინსტ. შრომები, ტ. XXV, სოხუმი, 1959, გვ. 335.

45. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მ ა ც ნ ე, ენისა და ლიტერატურის სერია, №1, თბილისი, 1972 წ., გვ. 106-116.

ოსურ-ი „ქალი“ — მიც. ოსურ-ს > // ოსურ-ც... ჩილ-ი „ცოლი“ — ჩილ-ს > // ჩილ-ც..., ასევე მ ჟ ლ ე რ და ყ რ უ ხშულ თანხმოვნებთან: ფ... დ, თ, ტ, ჯ, ჩ'სთან. აქედან მეზობელი ფ თანხმოვანი (ისე, როგორც სონორები) ს > ც პროცესის დროს რაიმე სახის ცვლილებას არ განიცდის: ცირეფ-ი „გოგონები“ — მიც. ცირეფ-ს > // ცირეფ-ც, ჩიტეფ-ი „ჩიტები“ — მიც. ჩიტეფ-ს > // ჩიტეფ-ც... სხვა ხშულები კი მეტწილ შემთხვევაში რედუქციას განიცდიან. ამის შედეგად ც ხან სონორებს მოსდევს, რადგან დაკარგული ხშულის წინ ფუძეში სონორია წარმოდგენილი, ხან კი მოსდევს ხმოვნებს, რადგან დაკარგული ხშულის წინ ხმოვანია წარმოდგენილი:

- ა) სახ. ლორონთ-ი „ღმერთი“ მიც. ლორონ-ც < ლორონთ-ც < (// ლორონთ-ს
 „ ჩხვინდ-ი „ცხვირი“ „ ჩხვინ-ც < *ჩხვინდ-ც < ჩხვინდ-ს
 „ ზოთონჯ-ი „ზამთარი“ „ ზოთონ-ც < *ზოთონჯ-ც < ზოთონჯ-ს
- ბ) სახ. დუდ-ი „თავი“ მიც. დუ-ც(2) < დუდ-ც(2) < // დუდ-ს(2)⁴⁶
 „ კოჩ-ი „კაცი“ „ კო-ც < *კოჩ-ც < კოჩ-ს⁴⁷
 „ ხოჯ-ი „ხარი“ „ ხო-ც < *ხოჯ-ც < ხოჯ-ს⁴⁸
 „ მეტი-ი „მეტი“ „ მე-ც < *მეტი-ც < მეტი-ს⁴⁹

კი, მაგრამ, თუ პროცესი ერთი და იგივეა, რატომ გვაქვს ს > ც მოვლენა III სუბიექტური პირის ფორმებში მხოლოდ და მხოლოდ ნ, რ, ლ თანხმოვნებთან მეზობლობაში და არა მ, ფ, დ, თ, ტ, ჯ და მისთ. ხშულ თანხმოვნებთან? ეს იმიტომ, რომ ანმყოსა და მყოფადის ფორმებში ზმნის ფუძე ამ თანხმოვნებზე არ თავდება: აქ, როგორც უკვე ითქვა, ჩვეულებრივ, გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ თემისნიშნისეული ნ, უთემისნიშნო ზმნებში კი — რ და (მეტად იშვიათ შემთხვევაში) ლ. ეს ასეა მიუხედავად იმისა, რომ მეგრული ზმნის მარტივი ფუძე

46. ამ ამოსავალი ფუძის პარალელურად არის მისგან მიღებული დუ-ს ფორმაც.
 47. ამ უკანაკნელის პარალელურად გვაქვს კო-ს < კოჩ-ს.
 48. პარალელურია ხო-ს < ხოჯ-ს.
 49. დანვრ. იხ. ა. ლო მ თ ა ძ ე, მიცემითი ბრუნვის მორფემისათვის... გვ. III.

თითქმის ყველა თანხმოვანზე თავდება. თქმულის დასადასტურებლად საკმარისია შევადაროთ ნამყო ძირითადის (წყვეტილის), ანმყოსა და მყოფადის ფორმები ერთმანეთს (ყოველ თანხმოვანზე წარმოვადგენთ თითო მაგალითს):

| ნ. ძირით. | ანმყო | მყოფადი |
|---------------------|-----------------|----------------------------|
| გობონ-უ „დაბანა“ | — ბონ-უნ-ს | — გობონ-უნ-ს |
| ოჭკომ-უ „შეჭამა“ | — ჭკომ-უნ-ს | — ოჭკომ-უნ-ს ⁵⁰ |
| გოცირ-უ „გაცრა“ | — ცირ-უნ-ს | — გოცირ-უნ-ს |
| დოკილ-უ „დაკელა“ | — კილ-ან-ს | — დოკილ-ან-ს |
| ქაბ-უ „გადააქცია“ | — ობ-უნ-ს | — ქაბ-უნ-ს |
| ქოფ-უ „დულს“ | — ფ-უნ-ს | — ქოფ-უნ-ს |
| გოპ-უ „აყვავდა“ | — გუთმოპ-უნ-ს | — გოპ-უნ-ს |
| მოდ-უ „გაზარდა“ | — რდ-უნ-ს | — მორდ-უნ-ს |
| დოთ-უ „მოთოვა“ | — თ-უნ-ს | — დოთ-უნ-ს |
| გუტ-უ „გაუშვა“ | — უტ-ენ-ს | — გუტ-ენ-ს |
| მიარძ-უ „შეაძლია“ | — მითმიარძ-ენ-ს | — მიარძ-ენ-ს |
| დიქანცუ-უ „დაიძრა“ | — იქანცუ-ან-ს | — დიქანცუ-ან-ს |
| დოხოზ-უ „გათალა“ | — ხონ-უნ-ს | — დოხოზ-უნ-ს |
| გაჯ-უ „გაალო“ | — ოჯ-ან-ს | — გაჯ-ან-ს |
| გოფაჩ-უ „გაშალა“ | — ფაჩ-უნ-ს | — გოფაჩ-უნ-ს |
| დოჭ-უ „შენვა“ | — ჭ-უნ-ს | — დოჭ-უნ-ს |
| ქუდარაგ-უ „ნააქცია“ | — ორაგუ-ან-ს | — ქუდარაგუ-ან-ს |
| დოქ-უ „დაფქვა“ | — ქ-უნ-ს | — დოქ-უნ-ს |
| დოკაკ-უ „დანაყა“ | — კაკ-უნ-ს | — დოკაკ-უნ-ს |
| დოჭყ-უ „დანყველა“ | — ჭყ-ენ-ს | — დოჭყ-ენ-ს |
| ქუდარზ-უ „დაანთო“ | — ორზ-ან-ს | — ქუდარზ-ან-ს |
| გოქოს-უ „დაგავა“ | — ქოს-უნ-ს | — გოქოს-უნ-ს |
| დოჟეჟ-უ „მოჟეჟა“ | — ჟეჟ-უნ-ს | — დოჟეჟ-უნ-ს |
| დოშ-უ „მოქსოვა“ | — შ-უნ-ს | — დოშ-უნ-ს |
| მიდულ-უ „ნაართვა“ | — მიდმულ-ან-ს | — მიდულ-ან-ს |
| გოხ-უ „გახვრიტა“ | — ხ-უნ-ს | — გოხ-უნ-ს |
| დორაყ-უ „დაფერთხა“ | — რაყ-უნ-ს | — დორაყ-უნ-ს... |

50. სენაკურ კილოკავში ჩვეულებრივია: ანმყ. ჭკ-უნ-ს, მყოფ. ოჭკ-უნ-ს.

როგორც ვხედავთ, ანმყოსა და მყოფადში თემის ნიშნის საშუალებით ახალი ფუძე იქმნება, თემის ნიშანი კი ნ-ზე თავდება (-ან, -ენ, -უნ, -უნ, -ონ, -ინ) და, ბუნებრივია, სხვა თანხმოვნები არ უნდა გვექნოდნა. ასეცაა. უთემისნიშნო ზმნებში კი, როგორც ვთქვით, რ და იშვიათად ლ ჩანს მხოლოდ.

ვფიქრობთ, ამ ახსნის შემდეგ მიცემითისა და III სუბიექტური პირის მორფემებში ს > ც ფონეტიკური პროცესის იგივეობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს, მიუხედავად იმისა, რომ III სუბიექტურ პირში -ც ალომორფი მხოლოდ ნ, რ, ლ თანხმოვნებთან მეზობლობაში გვაქვს, ხოლო მიცემითისა — სონორებს გარდა, ფ, დ, თ, ტ, ჯ, ჩ... თანხმოვნებთანაც. აქედან გამომდინარე, ის ახსნა, რაც მიეცა მიცემითის ს > ც ფონეტიკურ მოვლენას, შეიძლება მიეცეს III სუბიექტური პირის -ს მორფემის -ც'ში გადასვლასაც.

მიცემითის -ს > -ც მოვლენის ანალიზმა გაარკვია, რომ მეზობელი თანხმოვნის ხ შ უ ლ ო ბ ა ა მიზეზი ს სპირანტის აფრიკატიზაციისა (ს > ც), ხ შვა კი, როგორც ცნობილია, დამახასიათებელია როგორც წმინდა ხშულებისათვის (ფ, დ, თ, ტ) და აფრიკატიზებისათვის (ჯ, ჩ...), ისე მ, ნ, რ, ლ, სონორებისათვისაც, რამდენადაც ეს უკანასკნელნი ხშულ-ნაპრალოვანი, ანუ ნარევი ბგერებია. ამიტომაც აღნიშნულ სტატიკაში ჩვენ ვწერდით:

„ს სპირანტის აფრიკატიზაცია (ს > ც) მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ის ხშულ თანხმოვნებს ხვდება. არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა რაგვარობისაა თანხმოვანი: სონორია ის, თუ მჟღერი, ფშვინვიერია თუ მკვეთრი. მთავარია, ხშვის პროცესი ახასიათებდეს მას. ამიტომაც, რომ ს ც-ში გადადის არა მარტო სუფთა ხშულებთან (ფ, დ, თ) და აფრიკატიზებთან (ჯ, ჩ), არამედ ისეთ სონორებთანაც კი, როგორცაა რ, ლ. ხშვის ელემენტის შეერთება (შერწყმა) სპირანტულობასთან resp. ნაპრალთან იძლევა ც აფრიკატს (და არა ბ გ ე რ ა თ ა შერწყმა: თს > ც, თშ > ჩ. შდრ. ქართ. ათსამმეტი > ცამეტი... ათშვიდმეტი > ჩვიდმეტი), რაც თავისთავად ბუნებრივია: ც ხომ ხშვისა და ნაპრალის შემცველი ბგერაა, აფრიკატი.

ასეთივე მდგომარეობაა მესამე სუბიექტური პირის მორფე-

მისეული ს-ს აფრიკატიზაციის შემთხვევაშიც⁵¹

ეს ახსნა ამჟამადაც ძალაში რჩება III სუბიექტური პირის სუფიქსისეული ს > ც ფონეტიკური პროცესის მიმართ, რამდენადაც ამ მოვლენის სპეციალურმა შესწავლამ, როგორც ვნახეთ, წარმოაჩინა, რომ აქაც ს ც'ში გადადის ნ, რ, ლ სონორებთან. მათი ხშვის პროცესის ნაწილობრივი შეერთება, შერწყმა, მეზობელი ს'ს წარმოთქმის ნაპრალთან გვაძლევს ც'ს, ხშულ-ნაპრალოვან თანხმოვანს, ანუ აფრიკატს. ასე და ამგვარად, მოცემულ შემთხვევაში წინამავალ ხშულ თანხმოვანთა ხშულობა განსაზღვრავს ს > ც ფონეტიკურ მოვლენას.

III სუბიექტური (ინვერსიულ ზმნებში III ობიექტური) პირის სუფიქსისეული ს'ს აფრიკატიზაცია (ს > ც) არ გვაქვს ჭანურსა და სვანურში, არც სალიტერატურო ქართულში, მაგრამ გვაქვს ქართული ენის გ უ რ უ ლ დიალექტში და ის, ისე, როგორც მეგრულში, ლაბილური ბუნების მქონეა.

გურული დიალექტის ეს თავისებურება მიცემითი ბრუნვის სუფიქსისეული ს'ს აფრიკატიზაციასთან ერთად, როგორც აღვნიშნეთ ზემოთ, ჯერ კიდევ 1930-იან წლებში გამოიკვლია ი. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე⁵²

ი. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე თავის სტატიაში წერს: „საცა კი, ლ-ს შემდეგ უშუალოდ მოდის მესამე პირის სუბიექტური ნიშანი -ს, ან საცა ზმნების ბოლოკიდურ ბგერებად გვევლინება ტ, დ, თ და შემდეგ მას დაერთვის მესამე პირის სუბიექტური ნიშანი -ს, ბგერათა კომპლექსი ლს ამას გვაძლევს: ლც, ხოლო ტს, დს და თს გამოითქმიან ერთ ბგერად: ც“.⁵³

აი, ავტორის მიერ მოტანილი მაგალითებიც:

ლც: მიწველ-ც, მძულ-ც, ესროლ-ც, შველ-ც, ხველ-ც...

ტს > ც: მიხვრეტ-ს — მიხვრე-ც, მიწყვეტ-ს — მიწყვე-ც, მიჭყენ-ს — მიჭყენ-ც, მხატავ-ს — მხატ-ს > მხა-ც, კ ე ტ ვ ა: კეტ-ს > კე-ც, ლლეთა: ლლეთ-ს > ლლე-ც.

დს > ც ნმენდა: ნმენდ-ს — ნმენ-ც, ყიდვა: უყი-ც.

51. იხ. ჩვენი „მიცემითი ბრუნვის მორფემისათვის...“ გვ. 112.

52. იხ. ი. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე, მიცემითი ბრუნვის ნიშნისა და მესამე პირის სუბიექტური ნიშნის სახეცვლილება გურულში, თსუ შრომები, ტ. VI, თბილისი, 1938.

53. ი ქ ვ ე, გვ. 352.

თს > ც მკვეთ-ს — მკვე-ც, მანვეთ-ს — მანვე-ც, მფლეთ-ს — მფლეთ-ც.⁵⁴

„ე. ი., — დაასკვნის ავტორი, — ზმნებშიც მეორდება იგივე ცვლილებები, რაც გვექონდა ნ, ძ, ც, ჭ, ჯ და ჩ ბოლოკიდურიან სახელებში; ოღონდ კვლავ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ბგერებზე დაბოლოებულ სიტყვებში, როგორც ბრუნვების, ისე უღვლილების დროს, შემჩნეული ცვლილებანი რაოდენობრივ ვერ შეედრება ლ, ტ და თ-ბოლოკიდურებიან სიტყვებში აღნიშნულ ცვლილებებს; უკანასკნელების შემდეგ ს უფრო სისტემატურად იცვლება ც-დ, ვინემ ნ, ძ, ც, ჭ, ჯ-სა და ჩ-ს შემდეგ“.⁵⁵

გამოკვლევის დასკვნით ნაწილში S₃ პირის მორფემისეული ს'ს შეცვლას ც'თი გურულ დიალექტში ავტორი ხსნის ფონეტიკურ ნიადაგზე. მისი აზრით, ის ხდება ბგერათა „განსაზღვრულ კომპლექსებში“;⁵⁶ ნარნარა ლ, რ, ნ თანხმოვნებთან უშუალო მეზობლობაში: ლს > ლც, რს > რც, ნს > ნც.⁵⁷ შემდეგ ავტორი გვაუწყებს: „ასევე ბგერების: ტ, დ, თ-ს და ზოგჯერ ნ, ძ, ც, ჭ, ჯ, ჩ'ს შემდეგ მომავალი -ს გვაძლევდა ც-ს, ისიც უმთავრესად იმ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნულ ბგერებზე დამთავრებულ სიტყვებს, ამ ბგერების წინ თავის მხრივ უსწრებდა კიდევ ერთი რომელიმე ნარნარა ბგერა: ლ, ნ, რ“ (ხაზი ჩვენია. ა. ლ.).⁵⁸

ამგვარად, ავტორის შეხედულებით, ს > ც ფონეტიკური პროცესი ხდება ორგვარ ვითარებაში:

ა) როცა ს მოსდევს ნარნარა ლ, რ თანხმოვნებს.

ბ) როცა ს მოსდევს ტ, დ, თ, ნ, ძ, ც, ჭ, ჯ, ჩ თანხმოვნებს, მაგრამ უმთავრესად მაშინ, როცა ამ ჯგუფის ფუძისეულ ბგერებს (ჩქამიერებს) წინ უძღვის რომელიმე სონორი ბგერა: ლ, ნ, ან რ.

თქმულიდან გარკვევით ჩანს, რომ მკვლევრისათვის ეს სონო-

54. იხ. ი. მ. ე. გ. რ. ე. ლ. ი. ძ. ე. მიცემითი ბრუნვის ნიშნისა და მესამე პირის სუბიექტური ნიშნის სახეცვლილება გურულში, თსუ შრომები, ტ. VI, თბილისი, 1938, გვ. 352-353.

55. ი. ქ. ვ. ე. გვ. 353.

56. ი. ქ. ვ. ე. გვ. 354.

57. ი. ქ. ვ. ე.

58. ი. ქ. ვ. ე.

რი ბგერებია მიზეზი იმისა, რომ III სუბიექტური პირის სუფიქსი-
სეული ს გადადის ც'ში.

საილუსტრაციო მაგალითების I ჯგუფში აღნიშნული სონო-
რი ბგერა უშუალოდ წინ უძღვის III სუბიექტური პირის ს სპი-
რანტს (ლს > ლც): მინველ-ს > მინველ-ც, მძულ-ს > მძულ-ც...
II ჯგუფში კი ის ფუძის ბოლოკიდური ტ, დ, თ'ს უძღვის
უშუალოდ წინ: მიჭყენტ-ს > მიჭყენტ-ც... წმენდ-ს > წმენ-ც...
ავტორის აზრით, აქ სწორედ ეს სონორები ინვევენ ტს, დს, თს
კომპლექსების ც'ში გადასვლას. პირველ ჯგუფში კი მხოლოდ
ს გადადის ც'ში (ლს > ლც).⁵⁹

რამდენად სწორია ასეთი ახსნა? პასუხს იძლევა დანარჩენი
საილუსტრაციო მაგალითების ანალიზი: 1. ზოგი ამ მაგალით-
თაგანი სულ არ შეიცავს სონორ (ნარნარა) ბგერას, მაგრამ III
სუბიექტური პირის მორფემისეულ ს'ს აფრიკატიზაცია მაინც
მოსდის. ასე, მაგალითად, არის:

კეტვა — კეტ-ს > კე-ც

ყიდვა — უყიდ-ს > უყი-ც

2. რამდენიმე მაგალითში სონორი მ ფუძის თავშია და არა
უშუალოდ ს სუფიქსის წინ, მაგრამ ამ უკანასკნელის აფრიკატი-
ზაცია (ს > ც) მაინც ხდება:

წყვეტა — მიწყვეტ-ს > მიწყვე-ც

ხატვა — მხატ-ს > მხა-ც

კვეთა — მკვეთ-ს > მკვე-ც

წვეთება — მანვეთ-ს > მანვე-ც⁶⁰

3. ისეთი მაგალითებიც, როგორიცაა: მიხვრეტ-ს >
მიხვრე-ც, ლლეთ-ს > ლლე-ც, მფლეთ-ს > მფლე-ც შეიცავენ სონორ
თანხმოვანს, მაგრამ ეს უკანასკნელი არც ერთ შემთხვევაში
ს'სთან უშუალო კონტაქტში არ იმყოფება (მათ შორის ხმოვანი

59. ასევე ხსნის სტატიის ავტორი მიცემითისეული -ს'ს აფრიკატიზაციასაც
(ამის შესახებ დანვრილებით იხ. ჩვენი „მიცემითი ბრუნვის მორფემისათვის...“
გვ. 106-116.

60. ამ მაგალითებზე უთითებს ი. ყ ი ფ შ ი ძ ე ც.

ზის). ამდენად, ისინი ს'სთან ერთად არ ქმნიან კომპლექსს (რს, ლს), ამავე დროს, ისიც არ ჩანს, რომ ამ ფუძეებში ბოლოკიდური ტ, დ, თ თანხმოვნების წინ სონორი თანხმოვანი გვექონდა და დაიკარგა. ს > ც პროცესი კი გვაქვს. ასე რომ, განხილული მაგალითების -ს სპირანტის აფრიკატიზაციაში სონორთა როლი სავსებით გამორიცხულია. ეს მაგალითები გარკვევით მეტყველებენ იმაზე, რომ ს > ც ფონეტიკური მოვლენა არ ხდება მხოლოდ სონორებთან უშუალო მეზობლობაში ან სონორების გავლენით. პირიქით, ის ჩვეულებრივი მოვლენაა ს'თვის როგორც სონორებთან უშუალო მეზობლობის დროს, ისე ჩქამიერ თანხმოვნებთან უშუალო მეზობლობის დროსაც, კერძოდ, ისეთ ხშულებთან კონტაქტში, როგორიცაა: ტ, დ, თ. მაშასადამე, ს'ს აფრიკატიზაცია (ს > ც) არაა გამონეული სონორ (ნარნარა) თანხმოვანთან მეზობლობით ან მისი გავლენით. ის არასონორ თანხმოვნებთანაც ბუნებრივია, მაგრამ ხდება მხოლოდ და მხოლოდ ხშულ თანხმოვნებთან უშუალო მეზობლობის დროს. ასეთი თანხმოვნებია წმინდა ხშულები: ბ, ფ, პ, დ, თ, ტ, გ, ქ, კ; აფრიკატიზაცია: ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ; სპირანტოიდი ყ და სონორები: მ, ნ, ლ, რ. ამგვარად, ჩქამიერთა კომპლექსებში (ტს, თს, დს) ორი თანხმოვნის შერწყმით კი არ მიიღება ც აფრიკატი (ტს > ც, თს > ც, დს > ც), როგორც ამას სტატიის ავტორი ფიქრობს, არამედ სავსებით ისე, იმგვარად, როგორც ლს კომპლექსში (ლს > ლც), ე. ი. ც მიიღება მხოლოდ და მხოლოდ ს'საგან: ტს > ტც, თს > თც, დს > დც. ეს რომ ასეა, ამას ადასტურებენ მიცემითი ბრუნვის ისეთი მაგალითები, სადაც ხშულები შენარჩუნებულია და ს'ს აფრიკატიზაცია მაინც ხდება: სახ. მჭად-ი — მიც. მჭად-ც, სახ. დათვ-ი — მიც. დათ-ც (< დათ-ს < დათვ-ს), სახ. ლურჯ-ი — მიც. ლურჯ-ც...⁶¹

ს'ს აფრიკატიზაციის შემდეგ ჩქამიერთა კომპლექსებში: დც, თც, ტც — წინა ხშულები (დ, თ, ტ) ხშირ შემთხვევაში იკარგება.

61. უფრო დანერ. იხ. ჩენი „მიცემითი ბრუნვის მორფემისათვის...“ გვ. 114. ასეთი მაგალითები საქმენი როდია მეგრულშიც: სახ. ცირ-უფ-ი „გოგონები“ — მიც. ცირ-უფ-ც, სახ. დუდ-ი „თავი“ — მიც. დუდ-ც, სახ. ლორონთ-ი „ღმერთი“ — მიც. ლორონთ-ც (იხ. იქვე, გვ. 112).

ეს ქმნის ილუზიას, თითქოს ს > ც ხდებოდეს დაკარგული თანხმონების წინ წარმოდგენილი სონორების ან ხმონების მეზობლობაში, მაგრამ ასე როდია: როგორც ვნახეთ, ხშული თანხმონები ჯერ ს'ს აფრიკატიზაციას იწვევენ (ს > ც) და მერე იკარგებიან არაბუნებრივ კომპლექსში მოქცევის გამო.

დასკვნა: III სუბიექტური (ინვერსიულ ზმნებში III ობიექტური) პირის სუფიქსისეული ს'ს აფრიკატიზაციის (ს > ც) შემთხვევაში ყველაფერი ისე იხსნება, როგორც ეს ზემოთ მეგრულში ვნახეთ და როგორც ადრე მიცემითი ბრუნვის მორფემისეული ს'ს აფრიკატიზაციის (ს > ც) შემთხვევაში დადასტურდა, ერთი მხრივ, მეგრულში და, მეორე მხრივ, ქართული ენის გურულსა და აჭარულ დიალექტებში.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. თოფურია ვ., სვანური ენა, I, ზმნა, ტფილისი, 1931.
2. თოფურია ვ., ნ და ს ფენებისათვის ქართველურ ენებში, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, 1—2, თბილისი, 1941.

3. ლ ო მ თ ა ძ ე ა., მიცემითი ბრუნვის მორფემისათვის მეგრულში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №1, თბილისი, 1972.
4. მ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ი გ., ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში (საკანდ. დისერტაცია, გადაბეჭდილი რემინგტონზე), თბილისი, 1953.
5. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე ი., მიცემითი ბრუნვის ნიშნისა და მესამე პირის სუბიექტური ნიშნის სახეცვლილება გურულში, თსუ შრომები, ტ. VI, თბ., 1938.
6. ო ნ ი ა ნ ი ა., ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბილისი, 1978.
7. შ ა ნ ი ძ ე ა., თხზულებანი, ტ. III, თბილისი, 1980.
8. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ., ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფილისი, 1936.
9. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ., პერმანსივის („ხოლმეობითის“) ისტორიული ადგილისათვის ქართული ზმნის უღვლილებების სისტემაში, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. IV, №1, თბილისი, 1943.
10. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ., მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში, ენიმკი-ს მოამბე, ტ. V—VI, თბილისი, 1940.
11. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ., თურმეობითი პირველის წარმოების ერთი თავისებურება უღვლილებების სისტემის ისტორიასთან დაკავშირებით ქართულში, „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. II, თბილისი, 1941.
12. ც ი ვ ო ლ ი ა მ., მეგრულის სამურზაყანულ-ზუგდიდური კილოკავის ფონეტიკური დახასიათება, დ. გულიას სახ. აფხაზეთის ენის, ლიტ. და ისტ. ინსტ. შრომები, ტ. XXV, სოხუმი, 1959.
13. К и п ш и д з е И., Грамматика мингрельскаго (иверскаго) языка съ хрестоматиею и словаремъ, С.-П., 1914.
14. К л и м о в Г. А., Этимологический словарь картвельских языков, М., 1964.

15. М а р р Н. Я., Грамматика чанскаго (лазскаго) языка, съ хрестоматтїею и словаремъ, С.-П., 1910.
16. М а р р Н. Я., Где сохранилось сванское склонение? - ИАН, 1911.
17. Языки народов СССР, IV, Иберийско-кавказские языки, М., 1967.

უ სპირანტის აფრიკატიზაცია
ქართვულურ ენებში

§ 8 უ > ჩ (სინქრონიული ანალიზი)

ქართველოლოგიაში უდავო ფაქტადაა მიჩნეული, რომ ქართულ ენასა და მის დიალექტებში წინაენისმიერი ფშვინვიერი უ სპირანტის შერწყმა წინაენისმიერ ფშვინვიერ თ ხშულთან იძლევა ფშვინვიერ ჩ აფრიკატს (თ + უ > ჩ). ასე, მაგალითად: სალიტერატურო ქართულში გვაქვს: ჩვიდმეტი < *ათ + შვიდმეტი; ბეჩავი < *ბეთ + შავი < *ბედ + შავი (ასიმილაციით)...

ქართული ენის გ უ რ უ ლ დიალექტში (ზემო გურულ კილოკავში) დადასტურებულია ფორმები: ფერჩი („ფერდში“), ამინუჩი („ამ მინუტში“).

გურულის პირველი მაგალითის შესახებ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვევითაა აღნიშნული ჯერ კიდევ 1936 წელს ს. ყ ლ ე ნ ტ ი ს მიერ: „თშ კომპლექსი გვაძლევს ჩ-ს, მაგ.: „მიარტყა ფერჩი (ფერდში > ფერთში)“¹. ამისდაკვალად, ამინუჩი < *ამ მინუთში < *ამ მინუტში, რამდენადაც ქართულში ფშვინვიერი ჩ აფრიკატი მიიღება მხოლოდ და მხოლოდ თშ კომპლექსის შერწყმით (იმერ., კახ. საათში > სააჩი), მკვეთრი ხშული ტ'სა და ფშვინვიერი შ'ს, ან კიდევ მჟღერი ხშული დ'სა და ფშვინვიერი შ'ს შერწყმა არ ხდება. ტ და დ ასიმილაციით უნდა გადაიქცეს ფშვინვიერ თ ხშულად, რომ ტშ ან დშ

1. ს. ყ ლ ე ნ ტ ი, გურული კილო, გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი, თბ., 1936, გვ. 50.

არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ თვით -ში ძველისძველი თანდებულია ქართულ ენაში (იხ. არამ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, თანდებული ქართულში, იკე, I, თბ., 1946, გვ. 217-218).

კომპლექსისაგან ჩ მივიღოთ (ტშ > თშ > ჩ; დშ > თშ > ჩ).²

აჭარული დიალექტი (ზემოაჭარული კილოკავი):

| | |
|----------------------|-----------------------------------|
| ხუჩაფაც < *ხუთშაბათს | ი მინუჩი < ი მინუთში < *ი მინუტში |
| სააჩი < საათში | შელმარჩი < *შელმართში |
| წუჩი < წუთში | გვერჩი < *გვერთში < *გვერდში |

ხნა-თესვა სამსე თვარეზე — სამშაფაც ან ხ უ ჩ ა ფ ა ც
იციან (ზემ. აჭ. 152,7). ნახევარ ს ა ა ჩ ი სულ ჩემხლა სახლი
(იქვე, 148,23). ყოველ წ უ ჩ ი, საყვარელო, მოწყენილი ვზივარ
(იქვე, 197,15). წაჲ ა მ ი ნ უ ჩ ი და ... ამოზიდე (იქვე, 177,12).
— ამათაც აღარ მწყარეს და არ შეყნენ იმ შ ე ლ მ ა რ ჩ ი
თურმე (იქვე, 170,12). — იქით გ ჭ ე რ ჩ ი ერთი საბძელი იდგა
(იქვე, 169,12). იმ გ ვ ე რ ჩ ი გახე, უსუფავ, წერნაქი გ ვ ე რ
ჩ ი (იქვე, 178,13). ი მ ი ნ უ ჩ ი დობტორი გაჩინდება (იქვე,
149,6). გზას ნახვარ ს ა ა ჩ ი გაგარბენიებდა (იქვე, 182,13).

იმერული დიალექტი:

ბეჩა < *ბეთშავო < *ბედშავო — გაკვირვებითი შორისდებული
(წულუკიძე)... ამაჩი < *ამათში, იმაჩი < *იმათში. მინუჩი < *მინუთში:
იმ მ ი ნ უ ჩ ი („იმ მინუტში“). ერ მ ი ნ უ ჩ ი („ერთ მინუტში“)
/წულუკიძე, თერჯ./³ ი მ ი ნ უ ჩ ი დავაძინებო.⁴

„მინუჩი“ ფორმის შესახებ შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი წერს: იმერულ
დიალექტში (კერძოდ, თერჯოლურ მეტყველებაში) „გვხვდება
მ ი ნ უ ჩ ი /„იმ მინუჩი“, „ერ მინუჩი“ = მინუტში/. აქ თშ კომპლექსი

2. გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები,
I, თბ., 1938, §§ 45, 46, 52.

3. შდრ. გ. ც ო ც ა ნ ი ძ ე, სპირანტის აფრიკატიზაციის ერთი შემთხვევა
ქართულ დიალექტებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, თბ.,
1974, გვ. 115.

3. შდრ. მინუთი < *მინუტი (რუს.).

3. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954, გვ.
44, 149, 156.

4. ვ. გ ა ჩ ე რ ი ლ ა ძ ე, იმერული დიალექტის ხანურ-ზეგნური მეტყველება,
იკე, VIII, თბ., 1956, გვ. 131.

შერწყმულია ჩ-დ. რომ აქ თშ არის ამოსავალი და არა ტშ (მინუთი — მინუტი), ჩანს იქიდან, რომ იხმარება თანიანი ფორმა: მინუთი, ში თანდებულის დართვისას ამოსავლად ეს უნდა მივიჩნიოთ". ეს მოსაზრება სავსებით გასაზიარებელია.

რატული (ზემორატული კილოკავი):

ბეჩა < *ბეთშა < *ბეთშავო < *ბედშავო... იმაჩი < *იმათში...
ხუჩაფათი < *ხუთშაბათი...

ბ ე ჩ ა, რას მეძახოდი ტყუილათა! ბ ე ჩ ა, რასა კნავი!
ბ ე ჩ ა, ვინ მოსულა! უი, ბ ე ჩ ა, რა მამივიდა!... ვაჟმე
ი მ ა ჩ ი მდარესა!⁵... ხ უ ჩ ა ფ ა თ ს ქათმი ხარშო ვიცოდით
(ქდ 523,20).

კახური დიალექტი:

სააჩი < *საათში — ემ ს ა ა ჩ ი. იმ ს ა ა ჩ ი ვ ე.⁶

მსგავსივე ვითარებაა კოლხური ენის მეგრულ დიალექტში:

ყუჩა < *ყუთშა < *ყუდშა /ასიმილაციით/. შდრ. ყუდე „სახლი“.
ნყნარას ყ უ ჩ ა ქემურთემუ: „წყნარად მოსულა სახლში“.
ხენნიფეშ სქუა ყ უ ჩ ა ქემიყონეს: „ხელმწიფის შვილი სახლში
მოიყვანეს“. შდრ. ძღაბი მუნეფიშ ყ უ დ შ ა მიდეყუნეს: ხუბ.
185,12 „გოგო თავიანთ სახლში წაიყვანეს“. მიდართუ ყ უ დ შ ა
დო მუში ოთახს ქიდინჯირუ: ხუბ. 159,30 „წავიდა სახლში და
თავის ოთახში დანვა“. ხორცი ქიგიონკარეს დო ყ უ დ შ ა
გაგშელეს: ხუბ. 172,10 „ხორცი დაანყვეს და სახლში ამოიტანეს“.

ზემოთ წარმოდგენილ ყველა მაგალითში ჩ მიიღება თშ კომ-
პლექსის შერწყმის ნიადაგზე: ჩვიდმეტი < *ათშვიდმეტი...

5. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ძიებანი... გვ. 191, 231.

ავტორის მიხედვით, იმ თავისებურებებში, „რომლებიც ახასიათებს მთარატულს და ზემორატულში არ გვხვდება, „ერთ-ერთი არის -ჩი თანდებული -ში თანდებულის ნაცვლად (გვ. 239).

6. არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაი შვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956, გვ. 48.

ხუჩაფაც < *ხუთშაბათს... ბეჩა < *ბეთშა < *ბეთშავო... სააჩი < *საათში... ყუჩა < *ყუთშა < *ყუდშა (მეგრ.)... ამიტომაა, რომ ჩ თანხმობნიან ფორმაში არსად ჩანს თშ თანხმობნები. ორივე მათგანის ადგილზე გვაქვს ერთი თანხმობანი: ჩ, რომელიც აფრიკატიკა, ხშვისა და ნაპრალის შემცველი ბგერა. ის შეიცავს ამოსავალი თანხმობნებს: როგორც ფშვინვიერი თ ხშულის, ისე ფშვინვიერი შ სპირანტის არტიკულაციურ თვისებებს.

არის სხვა რიგის შემთხვევებიც და, სხვათა შორის, გაცილებით უფრო ხშირი, როცა ორი თანხმობნის (თშ) შერწყმასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ მხოლოდ შ'ს აფრიკატიზაციასთან: შ > ჩ. ესაა აფრიკატიზაცია თ სპირანტთან შერწყმის გარეშე. განვიხილოთ ეს საკითხი.

შ სპირანტის აფრიკატიზაცია ქართული ენის თითქმის ყველა დიალექტში ფაქტია, მისი სიხშირის მხრივ კი მათ შორის განსხვავება თვალსაჩინოა, ეს გარკვევით ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ მეტი წილი დიალექტებისა სოფელ-სოფელ ჯერ კიდევ არაა შესწავლილი და შ'ს აფრიკატიზაციის ფაქტებიც სათანადოდ არაა გამოვლენილი.

ჩვენი დაკვირვებით, შ სპირანტის აფრიკატიზაცია ძირითადად გვხვდება ხშული თანხმობნების, ასევე ხშულობის კომპონენტის შემცველ ლ და ხ მთრთოლი სპირანტების უშუალო მეზობლობაში, როგორც მომდევნოდ, ისე წინ. ზოგჯერ ის გვხვდება წმინდა სპირანტებთან და ხმობნებთანაც. ჩვენ აქ განვიხილავთ აღნიშნულ ბგერათა მომდევნო პოზიციის ფაქტებს როგორც ქართული ენის დიალექტებში, ისე სალიტერატურო ქართულსა და კოლხური ენის მეგრულ დიალექტშიც, სადაც ის ბუნებრივი მოვლენა ჩანს.

დავინყოთ ქართული ენის დიალექტებით.

შ > ჩ საკმაოდ ხშირია გ უ რ უ ლ შ ი:

მ ი დ ლ ე მ ჩ ი კაცი არ ენახა (ქდ 430,31). ნეფე-დედუფლის სადღინგრძელო თამადას ხ ე ლ ჩ ი ეკავა (ქდ 421,13). დადიოდა ს ო ფ ე ლ ჩ ი და თხოულობდა პურს (ქდ 420,20). მოხთა ტარით მ უ ც ე ლ ჩ ი და გიერჭო (ქდ 422,2). გუმური რომ

ჩიერჭვენ თოლჩი... (ქდ 418,1).⁷ აგერ კაცს რო ჩააყენე შენს ადგილჩი... (ლევ. ზს 202). წყალჩი გველები დამჭამს (იქვე). გარე არ გამოდიან თოლჩი (იქვე). ხელჩი არ დეიჭირავდა (იქვე). დეიკავე თოხი ხელჩი (იქვე). არ მიხვალ ტირილჩი? (იქვე). ვალჩი მუჟცია (იქვე). ქორწილჩი წევდა (იქვე).⁸ ხარები დაკლა, მოხარჩა და შეჭამა (ქდ 420,11). იხარჩება ლობიე (ლევ. ზს 202). მოხარჩული კეკალი (იქვე). ხარჩო (იქვე). თავზე ტყავი გადუჟტყავდა, ესთეი მეიხარჩა (ქდ 426,6). იი ხარები დავკალი, ურემი შიშათ მეყო, ქვაბი — მოხახარჩავათო (ქდ 420,16).

ამ დიალექტის ზემოსურების მეტყველების ანალიზისას ლ. ლეჟავა აღნიშნავს, რომ აქ "ში თანდებული ჩი'ს სახითაა წარმოდგენილი ლ-ზე დამთავრებულ ფუძეებთან"-ო. ამავე დროს ავტორი შენიშნავს, რომ „ერთ ფუძეში შ > ჩ'ს რ'ს მეზობლობაში“ ვხვდებითო: ხარშ > ხარჩ; მაგ, იხარჩება ლობიე... მოხარჩული კეკალი.⁹

აჭარულ დიალექტში ის ზემოაჭარულ კილოკავში დასტურდება:

ზამთარი რომე გამუა, ზაფხულჩი იქიარებიან (გაზ. „საქ.“, 1916, 248); გედევდა ეს ქალი სხვა სოფელჩი (ზ. აჭარ. 214,31). ოლომ ამ წრქალობას გადამარჩინე და სახლჩი მიმიყვანე (ზ. აჭარ. 213,29). სახჩი.¹⁰

მოხარჩვა (ნოლ., ნარკვ., II, 216). ჩადებენ წყალში და მოხარჩვენ (ნოლ., აჭარ. კილ. 20).

გვაქვს იმერულ დიალექტშიც, კერძოდ, ქვემოიმერულ კილოკავსა და ზემოიმერული კილოკავის ხანურ-ზეგნურ მეტყველე-

7. იხ. ი. მეგრელიძე, მიცემითი ბრუნვის სახეცვლილება გურულში, თსუ შრომები, ტ. VI, 1938, გვ. 354-355. ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურიია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, დიალექტთა განხილვა. ტექსტები. ლექსიკონი, თბ., 1961.

8. ლ. ლეჟავა, შენიშვნები ზემოსურების მეტყველებაზე, იკე, XIV, თბ., 1964, გვ. 202.

9. ლ. ლეჟავა, შენიშვნები... გვ. 202.

10. შ. ნიჟარაძე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ, ბათუმი, 1961, გვ. 78.

ბაში. ამ უკანასკნელში ის შედარებით უფრო ხშირია.

ა) ქ ე ე მ ო ი მ ე რ უ ლ ი: ხუთწაბათი < *ხუთშაბათი, საათჩი < *საათში, მიდლემჩი < *მიდლემში < *მისდლემში,¹¹ მიდლენჩი < *მიდლენში < *მისდლენში. მიზდლემჩიდ < *მიზდლემშიდ < *მისდლემშიდ, წყალჩი < *წყალში.

ბ) ხ ა ნ უ რ — ზ ე გ ნ უ რ ი: მიდლემჩი < *მიდლემში < *მისდლემში, მიდლენჩი < *მიდლენში < *მისდლენში.

რავა მიდლემჩი უნახავივით ეცა საჭმელს!.. (ხან.-ზეგნ. 131). წვერი მოპარცული აქ სულ მიდლენჩი ტენტერას (იქვე, 131). ცხენი ხო მიდლემჩი ვერ გაძლებდა (ქდ 477).¹² დიდხან უნდა იდულოს, კარქათ რო მოიხარჩოს (ქდ 480,27). რო მოიხარჩება კარქა და ჩავეყრით ქვილს და შევზილამთ... (ქდ 480,28). დედამ ლობიო მოხარჩა (ქდ 474,34). ხარჩვა. უხარჩავი სოიო. ხარჩო (გარ., ხზ 120).

შენიშნულია ლეჩხუმურში:

ნახარჩო¹³ — შაშხის ნახარში წვენი (ალ. მას.). ვნახავთ, თუ იწელება, მოხარჩულია მაშინ (ქდ 495,24).

ჩ < შ ფონეტიკური პროცესი იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება რაჭულ დიალექტის მთარაჭულ კილოკავშიც; გვაქვს:

სოფელჩი < *სოფელში

ხელჩი < *ხელში

არმოელჩი < *არმოელში...

წავიდა სოფელ-ჩი. მოვიდა ანე სოფელ-ჩი კაცი (ძიძ., ქდ 191). შენი ლახტი ხელჩი მომე (იქვე)¹⁴.

11. შ. ძიძიგური, ძიებანი... გვ. 44, 149; ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბ., 1970, გვ. 40, 155. ო. კახაძე, ოკრიბულის თავისებურებანი, იკე, VI, თბ., 1954, გვ. 164, 171.

12. კ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის ხანურ-ზეგნური მეტყველება... გვ. 131-132.

13. შდრ. რაჭული ხარშო („ხარჩო“): ხუჩაფათს ქათმი ხარშო ვიცოდით (ქდ 523,20).

14. შ. ძიძიგური, ძიებანი... გვ. 191.

აღმოსავლური დიალექტებიდან იშვიათია ის ქ ა რ თ -
ლ უ რ შ ი, მ თ ი უ ლ უ რ შ ი, მ ე ს ხ უ რ -
შ ი, თ ი ა ნ უ რ შ ი, კ ა ხ უ რ შ ი.

ქ ა რ თ ლ უ რ ი:

გვერდჩი < *გვერდში

წიგნჩი < *წიგნში

ფისუანჩი < *ფისუანში

დღეჩი < *დღეში

რამდენჩი < *რამდენში

სახლჩი < *სახლში

სახჩი < *სახლში

დამჭრეს ხელში და გვერდჩი (არაგვ. ქართლ. 326).¹⁵
წიგნჩი არი (ატ. წ. 282).¹⁶ ფისუანჩი ზედსიძედ არი
მოსული ყველაშვილი (იქვე, 282). რამდენჩი გამოვიდა?
(იქვე, 282). შამუა სახლჩი (არაგვ. ქართლ. 326). ესლა
დაანება ამ ცხვარ თავი და ნავიდა სახლჩი (ატ. წ. 282).
ათი აქლემი მამალჩი დაასაპანა (მარტ. ანგ. 217).¹⁷

მ თ ი უ ლ უ რ ი (გუდამაყრული კილოკავი):

კაცჩი < *კაცში

ველჩი < *ველში

ცეცხლჩი < *ცეცხლში

სოფელჩი < *სოფელში

სახლჩი < *სახლში

აბა, ძმებო, მე მაინც კაცჩი სათოლი არა ვარ (ქდ 97,2).
მიიტანა და ჩააგდო ცეცხლჩი (ქდ 100,1). ჩვენ იქ უნდა
ნავიდეთ და იქ ვიცხოვროთ, იმ სახლჩი (ქდ 96,37). ამ ტყეს
გამაცლიეთ, რო სადმე ველჩი გავიდე და სოფელჩი
მივიდეო (ქდ 96,6).

15. გრ. იმნაიშვილი, არაგვის ხეობის ქართლური, იკვ, IV, თბ., 1953, გვ. 326. ქართლური დიალექტი, I, თბ., 1974, გვ. 202.

16. ოტ. კახაძე, ატენისა და ნედისის ხეობის ქართლური, იკვ, IV, თბ., 1953, გვ. 293.

17. არ. მარტიროსოვი, ანგარიში საზაფხულო მივლინებისა ფრონის ხეობაში 1938 წ., ენიმკის მოამბე, ტ. IV, თბ., 1939, გვ. 217.

მ ე ს ხ უ რ ი:

წვერჩი < *წვერში

ყანაჩი < *ყანაში

სახჩი < *სახლში

ჩაუვლია იმ თხისთვინ წვერჩი ხელი (ქდ 367,18).¹⁸ მოლა ნასრადინაძე წამოვიდა თავი სახჩი (ქდ 368,33)... თხიები შესულან ყანაჩი (ქდ 367,17). ჩამოვიდა, ჩაავლო საყელორი (ქდ 368,11). მოლა ნასრადინაძე წამოვიდა თავი სახჩი (ქდ 368,33)...¹⁹

თ ი ა ნ უ რ ი:

სოფელჩი < *სოფელში

ზაფხულჩი < *ზაფხულში

ზამთარჩი < *ზამთარში

ჩემი მაზლი ასე სოფელჩი დადიოდა (ქდ 156,7). ქალაქში ცხოვრობდა, ზაფხულჩი მოდიოდის და ზამთარჩი მიდიოდის (ქდ 156,18)... რა ამბავჩი არიან ებალლები? (ქდ 147,30).

კ ა ხ უ რ ი:

დლეჩი < *დლეში

ეზოჩი < *ეზოში

ეზოჩი რაც გვქონდა... (ქეკდ 33,8)

აი, ბალჩი ვენახები... რაც გვქონდა, იმასაც გვართმევდნენ (ქეკდ 33,8).

-ში > -ჩი, მსგავსად გურულისა, საკმაოდ ხშირად გვხვდება ჯავახურსა და ფშაურში, შედარებით ნაკლებად — თუშურ-

18. ი. მაისურაძე, ძირითადი ფონეტიკური მოვლენები მესხურში, გორის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, I, თბ., 1942, გვ. 144.

19. შდრ. სახში (ქდ 370)...

ჯ ა ვ ა ხ უ რ ი:

| | |
|------------------------|----------------------|
| ჩხუბჩი < *ჩხუბში | მინდორჩი < *მინდორში |
| კანვერტჩი < *კანვერტში | ქოხჩი < *ქოხში |
| ბნელჩი < *ბნელში | თავეჩი < *თავეში |
| სოფელჩი < *სოფელში | გურიიჩი < *გურიიში |
| სახლჩი < *სახლში | ჯიბეჩი < *ჯიბეში |

ჩ ხ უ ბ ჩ ი წავიდა (ქდ 356,18). ეს ოთხმოცდაცხრამეტი ოქრო ასი სიღამ გაჩნდეს, კ ა ნ ვ ე რ ტ ჩ ი დაბეჭდილია?! (ქდ 356,24). სანამ ჩონი ხელისუფლება მოვიდოდა, ვიყავით ბ ნ ე ლ ჩ ი (ქდ 354,14). ერთი ნაბოლარი შვილი მყამ აქ, ს ო ფ ე ლ ჩ ი, ერთი შულიც ასპინძაში მყამ (ქდ 355,9). ადგა და მოვიდა ლალა ს ა ხ ლ ჩ ი დაღონებული (ქდ 355,22). ჩემი ქმარი ცხრა საათი მ ი ნ დ ო რ ჩ ი ყამდათ ხელებგაკრული (ქდ 355,10)... წყალმა უთხრა: ავდულდებო, ჩაგცხემ თ ა ვ ჩ ი, ჩაგაქრემო (ქდ 356,13)... სამ შული გ უ რ ი ა ჩ ი იყო, ერთი დაიკარქა (ქდ 355,8). შერიგდნენ და ჩაიდო შეიცარის ხემნიფემ ჯ ი ბ ე ჩ ი (ქდ 356,35). მალე ჩამოვიდა და აქ ხ ე ლ ო ბ ა - ჩ ი შევიდა, მასწავლებელი იყო (ქდ 355,6). მოხუცებული, ის კაცი ყ ა ნ ა ჩ ი რო მოვა... (ქდ 355,30). სხვა შულებიც აქეთ-იქით გ ლ ე ხ ო ბ ა ჩ ი არიან (ქდ 355,7).

ფ შ ა უ რ ი:

| | |
|------------------------|--------------------------------|
| ქელ-ჩი < *ქელ-ში | გზაგასაყარ-ჩი < *გზაგასაყარ-ში |
| ორწყალ-ჩი < *ორწყალ-ში | ბარ-ჩი < *ბარ-ში |
| ქორნილ-ჩი < *ქორნილ-ში | საკომ-ჩი < *საკომ-ში |
| ბოსელ-ჩი < *ბოსელ-ში | ცეცხ-ჩი < *ცეცხ-ში |
| ქალ-ჩი < *ქალ-ში | ლაშ-ჩი < *ლაშ-ში |
| კარ-ჩი < *კარ-ში | მინა-ჩი < *მინა-ში |

20. გ. ც. ო ც ა ნ ი ძ ე, სპირანტთა აფრიკატიზაციის ერთი შემთხვევა... III-III; შდრ. ალ. ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი, ხევსურულის თავისებურებანი, ტექსტებითა და ინდექსით, თბ., 1960, გვ. 50.

რას კაცი ქელჩი გაზდილი ვარ (ქდ 135,3). იმის ნათქომი: „ქორწილჩი ყოფნა, დათრობა...“ — ძალიან კარგ ნათქომი იყო (ქდ 134,27). დედაკაცი კი გეექცა და ბოსელჩი ეცა (ქდ 142,24). ჩემო სტვირო, ქამანჩაო, ბევრჯელ ჩამსვი ქალჩიაო, ბევრჯელ მიყავ ავი საქმე, გამამრეხვეს კარჩიაო (რაზიკ. 203,54). წასულა ის კაცი-დ' გზაგასაყარჩი დამჯდარა (ქდ 134,1). ერთს თვეს სუ კარჩი ვიყვენით (ქდ 138,8). ამ მილზედ უსხამ რძე და ბარჩი დენილა, იქკი უდღევბავ (ქდ 140,38). რო ნახეს ჯოროს გრძელ კაჩანი საკომჩი ჩამოჩრილნი, მოსდგეს ჯოხებითა (ქდ 142,18)... მაუჭრავ ეს ხე, ჩაუნვავე ცეცხჩი (ქდ 135,8). ის თურმე მდულარეს ქობშიით ცხელს ხინკალს ამაილებდა და ლაშჩი იკრავდა (ქდ 143,8)... იტიკი მინაჩი ჩაუმარხავ ისე... (ქდ 134,2). მუშაჩი სუყველა ნავა (ქდ 129,18). ისენ ორწყალჩი ირევიან (ქდ 128,2). დათვისისკარჩი (ტოპ. I, 61).

თ უ შ უ რ ი:

ფეკჩი < *ფეკ-ში

მოსულ-ჩი < *მოსულ-ში

საჩეჩელაყ-ჩი < *საჩეჩელაყ-ში

სნორ-ჩი < *სნორ-ში

კელ-ჩი < *კელ-ში

კარ-ჩი < *კარ-ში

პატაილ იქისაკ გადადგეგ ჯარანი, რაყ ყაქ ფეკჩი გიდგ (ცოც., სპირ. 112). ...როდის მოვიცლ, შვილო, სრულ საზდავ-საჩეჩელაყჩი ვარი (იქვე). თუშეთის მეომრებ ქელჩი ჩუყრია-დ' სუყველაყდ უჭკოცავ (ქდ 106,36). რად სრულ ყალიონსავით ქელჩი გიჭერავ ეგ ბალღი (ცოც., სპირ. 112). ჩემ ბაბომ თავფეკ გაყკმის, წასმოსულჩი გამოდგებავ (იქვე). ისრ გაგიქდ საქმეს, რო სნორჩი გასავალ დაგენატროს (იქვე), სირცხვილით კარჩი ველარ გამოდიოდავ (ქდ 108,22). მემრინას თუშეთის მთაჩი იკვლევდეს მგზავრებს (ქდ 117,31). ელანისად კელებ დუჭრა-დ' დისად უბეჩი ჩუყწყ (ქდ 115,37). გახვენილან მთებშიგ, კლდე-ლრეჩიგ (ქდ 104,16).

-ჩი-ს უკვე გაბატონებული მდგომარეობა აქვს მოპოვებული

მოხეურში, ხევსურულის პირიქითა კილოკავსა და ფერეიდნულში. პირიქითა ხევსურულში, ალ. ჭინჭარაულის ცნობით, ფუნქციონებს მხოლოდ -ჩი, პირაქეთაში მოქმედია როგორც -ჩი, ისე მისი ამოსავალი -ში.²¹ ეს უკანასკნელი იშვიათად თუ შეინიშნება მოხეურსა და ფერეიდნულში.²²

მ ო ხ ე უ რ ი:

| | |
|----------------------------------|--------------------------------|
| საჩალებე-ჩი < *საჩალებე-ში | ბათუმ-ჩი-გა < *ბათუმ-ში-გა |
| კოდებ-ჩი < *კოდებ-ში | შკამ-ჩი < *შკამ-ში |
| გორდ-ჩი < *გორდ-ში | ქობ-ჩი-გა < *ქობ-ში-გა |
| საათ-ჩი < *საათ-ში | სახ-ჩი < *სახ-ში |
| საყურ-ჩი-გა < *საყურ-ში-გა | საფლავე-ჩი < *საფლავე-ში |
| ძაუგ-ჩი < *ძაუგ-ში | თავე-ჩი < *თავე-ში |
| ქერქ-ჩი < *ქერქ-ში | ამაობა-ჩი < *ამაობა-ში |
| ქალაქ-ჩი < *ქალაქ-ში | მთა-ჩი < *მთა-ში |
| ყონდაყ-ჩი < *ყონდაყ-ში | რძე-ჩი < *რძე-ში |
| ფქჟილ-ჩი < *ფქჟილ-ში | ციხე-ჩი < *ციხე-ში |
| ცეცხლ-ჩი < *ცეცხლ-ში | საქართველო-ჩი < *საქართველო-ში |
| ჯარ-ჩი < *ჯარ-ში | საბჭო-ჩი < *საბჭო-ში |
| ცხორ-ჩი < *ცხორ-ში | თბილი-ჩი < *თბილი-ში |
| ტრაპიზონ-ჩი-გა < *ტრაპიზონ-ში-გა | |

იმას საჩალებეჩი ინახავდიანკე (ქდ 30,7). ფორის ფქჟილს საარაყე ფქჟილჩი ერთად ჩავხყრიდით კოდებჩი (ქდ 31,29). თავნასხმულ ყანებჩიგა ცხენები დადიოდა (ქდ 38,35). მუხლებჩი იცემენ და ტირიან (ქდ 39,8). საარაყეს ქობჩი ჩავასხამდით (ქდ 31,30). ქვა მახვდებოდა ცხორს... გორდჩი და მაკჟდებოდა (ქდ 50,29). ემ საათჩი გასნორდითო (ქდ 46,35). ძმას ძმა ჩამუჯდა საყურჩიგაო (ეთნ. 2,34). მეორე დღეს ძაუგჩი

21. ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი... გვ. 50.
 22. მაგალითად, მოხეურში ფიქსირებულია ფორმა გორში: უგემური ვინმე იქნებოდა ან გორში, ან სოფელჩიგა (ქდ 40, 16). შდრ. ს. ყლენტი, გურული კილო... გვ. 50. გ. ცოცანიძე, სპირანტის აფრიკატიზაციის ერთი შემთხვევა... გვ. 111-113.

შამავიდეს (ქდ 46,22). მუხის ქ ე რ ქ რ ი ვლებავდით ტოლსა
 (ქდ 51,17). ქ ა ლ ა ქ რ ი რო შეესწვრობოდა... (ქდ 46,27). აი,
 ამ ყო ნ დ ა ყ რ ი არ უგია სპილოს ძვალიო (ქდ 42,12)...
 უგემური ვინმე იქნებოდა ან გორში, ან სოფელ რიგა (ქდ
 40,16). მამჩემი დაიჭირეს და ცეცხლ რ ი ჩააგდეს (ქდ 43,35).
 საცა მე დავდივარკე და დამყავ ტურისტები, სულ წვიმებია და
 ბ ა რ რ ი კი, სოფელ რ ი, სუ დარია (ქდ 694,42). მე ქ ე ლ -
 რ ი მეჭირის (ქდ 47,4). წ ყ ა ლ რ ი გამაქდა (ქდ 43,27). ჯ ა რ -
 რ ი თუ ვინმე წავიდოდა... (ქდ 40,7). ც ხ ო რ რ ი დავდიოდი
 (ქდ 39,21). დავაკეთით პურები და ნ ა ც ა რ რ ი გამოვაცხეით
 (ქდ 51,14). მერე ჯ ი ნ ქ ა რ რ ი გ ა, ნ ა ც ა რ რ ი გ ა
 მოვხარებითკე (ქდ 31,16). ან თუ ლ ა შ ქ ა რ რ ი ყოფილა... (ქდ
 390,9). ბათუმით გოგურეკეს საომრათა ტ რ ა პ ი ზ ო ნ რ ი -
 გ ა (ქდ 51,3). გოგრეკეს ბ ა თ უ მ რ ი გ ა (ქდ 51,2). მე აქათკე
 ვზივარ საფაქრო შ კ ა მ რ ი (ქდ 30,36). ჩავე ქ ო ხ რ ი გ ა,
 დავანთე ცეცხლი (ქდ 50,12). ერთხელ სანდრომ ცხორი შარეკა
 ო თ ა ხ რ ი (ქდ 47,28). წინათ სამი სუდია იყო ამარჩეული
 ხ ა ლ ხ რ ი გ ა თ (ქდ 40,12). ცოდვილთ კალოს ქ ო ხ რ ი
 გავიდეთო (ქდ 46,27). წავიდეს ო ჯ ა ხ რ ი, კარგა აქეიფეს
 (ქდ 46,21). აქ, ხ ა ლ ხ რ ი, ძალიან პატივცემული იყო (ქდ 47,19).
 ის ბალაით ს ა ფ ლ ა ვ რ ი მ ც მ აინც მაისვენებსო (ქდ 36,24).
 მე შკოლაის თ ა ვ რ ი ვცხოვროფ (ქდ 27,19). ქვა მახვდებოდა
 ცხორს ან თ ა ვ რ ი, ან გორდჩი და მაკუდებოდა (ქდ 50,29).
 ჩავძვერ გ უ დ ა რ რ ი გ ა (ქდ 50,9). ასეთი შემთხვევა მამიქ-
 და მთაჩი (ქდ 50,1). ა მ ა ო ბ ა რ ი ქუდიც გამიგორდა (ქდ
 50,24). თ მ ა რ ი... იცემენ და ტირიან (ქდ 39,8). მე ოთხსავ
 ს ა ქ მ ე რ ი ვერიე (ქდ 35,6). თემის საქმე კი გადასწყდებოდა
 არშის ც ი ხ ე რ ი (ქდ 41,9). აბა, გასწორდითო, თორო ც ი -
 ხ ე რ ი ჩაგალპობინებთო (ქდ 46,35). აბა, გამობრძანდი და
 გაიგებ, რა დ ლ ე რ ი ა მწყემსებო (ქდ 47,1). მერე ძროხის
 მ წ ვ ი რ ე რ ი, ჯინჭარჩიგა, ნაცარჩიგა მოვხარებითკე (ქდ 31,16).
 ვერცხლს ჩასთლიდეს რ ძ ე რ ი (ქდ 34,23). ეგ ს ა ქ ა რ -
 თ ვ ე ლ ო რ ი იციან (ქდ 28,33). ს ა ბ ქ ო რ ი მოვიდოდა
 ამარჩეული თემის კაცები ყველა გორისა (ქდ 40,9). თ ბ ი ლ ი -
 რ ი ჩამიყონეს (ქდ 51,2).

უკანასკნელ მაგალითში (თ ბ ი ლ ი ჩ ი) დაკარგულია ფუძის ბოლო თანხმოვანი -ს: თბილის-ი, -ჩი თანდებული ი-ბოლოსმოვნიან ფუძეზე ჩანს დართული: თ ბ ი ლ ი - ჩ ი < *თბილი-ში < *თბილის-ში, წინააღმდეგ შემთხვევაში ს არ უნდა დაკარგულიყო...

მოხეურში გვხვდება ფორმა ს ა ხ ჩ ი: მეეტანა ს ა ხ ჩ ი (ქდ 50,21). ხომ არაა ამ სიტყვაში ლ დაკარგული -ჩი'ს დართვის შემდეგ? საეჭვოა ასე იყოს, რადგან ამავე ვითარებაში ის სხვა სიტყვებში შენარჩუნებულია: შდრ. ფქჟილჩი, სოფელჩი, კელჩი, წყალჩი, ცეცხლჩი, (მამაჩემი დაიჭირეს და ც ე ც ხ ლ ჩ ი ჩააგდეს (ქდ 43,35)... მერეა და, აკი, ხ-დაბოლოებიან სახელებში -ში თანდებული ისედაც გადადის -ჩი'ში: ქობ-ჩი < *ქობ-ში... (იხ. ზემოთ). როგორც ჩანს, იხმარებოდა ფორმა ს ა ხ - შ ი და მისგანაა მიღებული ს ა ხ - ჩ ი (ს ა ხ - შ ი ფორმა კი ბუნებრივია ქართულ დიალექტებში საერთოდ, კერძოდ კი: იმერულში,²³ აჭარულში, მესხურში, ქართლურში, ფერეიდნულში და ა.შ.).

მოხეურშივე დადასტურებულია სიტყვა ე ქ ჩ ე რ ე ბ ა < *ე ქ შ ე რ ე ბ ა „ემეტება“.²⁴

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი დიალექტის შატილურ-მიღმახეურ მეტყველებაში -ჩი თანდებულია გაბატონებული, სხვაგან კი -ში'ც გვხვდება და -ჩი'ც:²⁵

| | |
|----------------------------|----------------------------------|
| სოფლებ-ჩი < *სოფლებ-ში | ეხ-ჩი < *ეხ-ში |
| ქვაბ-ჩი < *ქვაბ-ში | ქაე-ჩი < *ქაე-ში |
| თოფ-ჩი < *თოფ-ში | საფლაე-ჩი < *საფლაე-ში |
| ლუდ-ჩი < *ლუდ-ში | დარბაზ-ჩი-ით < *დარბაზ-ში-ით |
| ერან-ჩი < *ერან-ში | ქარქაშ-ჩი < *ქარქაშ-ში |
| საყურ-ჩი-გა < *საყურ-ში-გა | ჭალა-ჩი < *ჭალა-ში |
| ქალაქ-ჩი < *ქალაქ-ში | გზა-ჩი < *გზა-ში |
| წელ-ჩი < *წელ-ში | საბალახე-ჩი-ით < *საბალახე-ში-ით |
| სახლ-ჩი < *სახლ-ში | უბე-ჩი < *უბე-ში |

23. იხ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ძიებანი... გვ. 158.
 24. იხ. ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, მასალები იმერული ლექსიკონისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბ., 1963, გვ. 112.
 25. ალ. ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი, ხევსურულის თავისებურებანი... გვ. 50.

ძირ-ჩი < *ძირ-ში

ორმო-ჩი < *ორმო-ში

საომარ-ჩი < *საომარ-ში

ჭერხო-ჩი < *ჭერხო-ში

კიღობან-ჩი < *კიღობან-ში

სრუ აიყარნან და სხვა სოფლებჩი გეეხიზნან (ქდ 12,1). ფაფას ჩასდებენ ხომიკებჩი (ქდ 6,6). ფაფას ადულებენ ზისცვრისასა-დ' სიმინდის ფქვილისას რკინის ქვაბჩი (ქდ 6,5). მაგრამ მჭედლაურას ძმის თოფჩი იქავ ედვ ტყვია (ქდ 16,6). შიგ ლუდჩი ერბო ჩაუყრავ (ქდ 14,12). ჩაასხამენ ერბოს რკინის ერანჩი (ქდ 6,15). დასკრეს მჭედლურასაც თოფი, სანამ საყურჩი დაბრუნდებოდ (ქდ 16,9). ძმას ძმა ჩამუჯდა საყურჩიგაო (ენტ. 2,34). დასჭრ ფირჩხილები კელზე და ჩაუყარ კმლის ქარქაშჩი (გაბ. 156,7). გავიჩარი წელჩი და დავმალე (ქდ 23,15). არ გაუვლავავ, წეედიოთ-დ' ფონის ორწყალჩი შაუკარითავ (ქდ 15,35). დაკოშნ მიციან ქელჩი (ქდ 14,12). აილებენ მემრა-დ' ცოტაად დაალობენ წყალჩი (ქდ 6,32). დააკვრენ მარკილზედა-დ' წყალჩი გადააგდებენ (ქდ 9,12). თუ კაცები ას სახლჩი საარაყეს ჩააყენებენ... (ქდ 5,4). ამ შულლჩი ერთ მაქცის წილ მშაველს არ გეეჩარა კართაჩი (ქდ 16,3). დასკეფენ, ჩახყრიან ქარჩამავალჩი (ქდ 7,35). იმას მაილოცავს სამს ადგილჩი (ქდ 8,14). შენ თავის ადგილჩი შამასულხარო (ქდ 12,10). სუყველას ქვაი აქვ სოფელჩი გამაჭრილ (ქდ 6,34). ერანს ქელჩი მისცემენ (ქდ 6,16). ერთ ტყეთ ძირჩი დავიმალებ (ქდ 17,29). — ვარდანავ, კარჩი გამოდი, ნუ მაიმთვრალეზ თავსაო (ქდ 14,27). აი მსუქან ქალ ჩამოეევიდავ ჭერჩიაო-დ' ძირშით ვარცლებ მიედგავ (ქდ 17,7). ნუ წახვალ მდევკარ-ჩიავ, არა შენ საქმეიავ! (ქდ 16,23). პირჩიითავ ძუძუ ამასწვადევ! (ქდ 14,14). წავლენ მექენცლედ ბარჩი (ქდ 6,12). კელოსან ფვარჩი აძლევს რიგს (ქდ 7,33). ერთს მშაველს იდაყვ უკრავ ქურჩია' (ქდ 13,4). მაშინ თათარიშვილნი ამა ჯალაბაურთ ქვიტიკირჩი ყოფილან (ქდ 13,11). აი, ქვიტიკირის საომარჩი ამქდარ თათარაშვილყამარისძეი (ქდ 13,26). ხავინს გახყინვენა-დ' კიღობანჩი ჩაზდგმენ (ქდ 8,12). გზაჩი ბეჯითად დაილამებდეს

სოფლის პირჩი (ქდ 11,8).

ისივ მისულ ქავთძირ ნაუყვანავ ეხჩი (ქდ 14,39).
ათასნილად საფლავეჩი ასვლათ სჯობ კაცის მოკვლას
(ქდ 11,38). ეგ საგინა გიორნმიდელ ყოფილ, ქავჩი ცხოვრებულ
(ქდ 13,33). დარბაზჩით კელოსან გამავ, დაამწყალობნებს
მეკვლეთ (ქდ 8,29). ქარქაშჩი ხო არა ჩაიყარავ (ქდ 23,11).
ნავლენ მთიბელნი მთაჩი (ქდ 6,10). გზაჩი ბეჯითად
დაილაგებდეს (ქდ 11,8). ეხლა სანადიროდ ყოფილ საგინაი და
ვაცუნ ჩამაულავ ჭალაჩი (ქდ 14,1). ქვას რო ვისრევთავ ყა-
ნაჩითავ, დაინყებსავ წივილსავ (ქდ 18,22). იმაჩი ლუდს
ადულებენ (ქდ 8,16). საკლავებს საბალახეჩით აიყვანენ
(ქდ 7,34). დილათენების ხან იყვავ, რო ტყეჩი მივედივ (ქდ
17,29). უძახებავ: „ვინ წინა ნიგვზიანს ორმოჩია?“ (ქდ
24,39). შავლენ მემრე ჭერხოჩი (ქდ 11,16). კილობან დგას
სადიასახლისოჩი (ქდ 8,11).

ფ ე რ ე ი დ ნ უ ლ ი :

გზებ-ჩი < *გზებ-ში

თებ-ჩი < *თებ-ში

ოთალებ-ჩი < *ოთალებ-ში

ქურთებ-ჩი-გა < *ქურთებ-ში-გა

მარტყოფ-ჩი < *მარტყოფ-ში

ჯულფათ-ჩი-გა < *ჯულფათ-ში-გა

მაჰალათ-ჩი < *მაჰალათ-ში

სანგარ-ჩი < *სანგარ-ში

ზაფხულ-ჩი < *ზაფხულ-ში

მუტელ-ჩი-გა < *მუტელ-ში-გა

სახლ-ჩი-გა < *სახლ-ში-გა

გულ-ჩი < *გულ-ში

ფიქრ-ჩი < *ფიქრ-ში

ფერეფდან-ჩი < *ფერეფდან-ში

ოთახ-ჩი < *ოთახ-ში

ხალლ-ჩი < *ხალლ-ში

ზამთარ-ჩი < *ზამთარ-ში

საშიში წელი იყო: ძალიები (ყაჩალია) გზებჩი იყნეს (ქდ
255,26). ნადირობასი ზამთარჩი დაიცვიან თებჩი თხა
და ბოტები (ქდ 254,19). მინაც ემსხო ოთალებჩი წვანანო
(ქდ 266,31). ნავიყუნანე ქურთებჩიგა ორდღეს (ქდ 257,20).
სალამოს სადაცლა რო მაგარ ტინებჩი დალაგდეს თხები
(ქდ 254,22). დამკვლელებიც იქებჩი, იმ დაბლებჩი,
დგანან დანებით (ქდ 255,1). რო უნდა ექებჩი ეძინოსი (ქდ

259,15). ძოლები იქებრიყვარა (ქდ 361,30). ჩონც სამი ხანი ვიყნევიტ მარტიყოფრი (ქდ 255,27). მითხრა, რო: ჯუღფათრი [გ]არიო (ქდ 257,10). წავიდა შორი მაჰალათრი (ქდ 263,28). იმათაც იცოდეს ზაფხულრი (ქდ 253,25). ცეცხლი ჩამვარდნია გულ-მუცელრიგაო, რო აღარა მესმის რაო (ქდ 254,15). წაველიტ ერთ სოფელრი (ქდ 255,36). ხუალ სადილზეო მუა ჩემ სახლრიგაო, შამოდი, ნახეო (ქდ 257,10). ერთი აგეთი ადამიზადის ხელრიგა მივსულვარო (ქდ 257,27). გულრი გასინჯა და თქო (ქდ 258,31). ნელრი რაქთენი შენსავითაო ჩამოსულან წყალსათიო (ქდ 262,15). რაც რო თოლრი ტუბილად და კარგად მოიდესო, იმისყე დახატული აღარცრა აღარ არიო (ქდ 262,29). ვაზირმა რანგი დაჰკარგა და ყეინი ჩავარდა ფიქრი (ქდ 267,40). რაქთენ დღეს უკან ჩამოარდა შარრი ნახოშობა? (ქდ 265,5). აველიტ ჟერე მდანი (ქდ 257,18). ნახა, რო ორი ოთახრი ჩირალები ენთების (ქდ 266,24). ბასქი დიდი კმა ჩავარდნილიყო ხალღრი (ქდ 264,31). წავედით თავის სახრი სტუმრათ, ყონალათ (ქდ 257,12). თელავრი უნინ ქონიარე ხალღი ჰყოლი (ქდ 253,17). მივიდა მიწას თავრი და ვარა აჰსხნა (ქდ 258, 29). რაქთენიცლა რო არიან თარი (ქდ 255,8). ბრენველი ჩადვა ჯაბარი (ქდ 263,20). და ჩავიდეს ჭარიგაო (ქდ 261,34). იმის ძებნარი ჩავარდებოსო (ქდ 267,37). რა დღე რიგა ხარო? (ქდ 254,13). სამ-ოთხ დღე რი ცოტა საქმე მაქ (ქდ 257,16). მეორე დღესა სადილზე წაველ კონსოლხანე რი (ქდ 257,12). არი თითო რი ათასი დანი იაყური (ქდ 263,8).

ქართული ენის ერთადერთი დიალექტი, რომელშიც შ'ს აფრიკატიზაცია, კერძოდ, -ში თანდებულის -ჩი'ში გადასვლა არ შეინიშნება, არის ინგილოური.²⁶ ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით.²⁷ მასალის

26. შდრ. არამ. მარტიროსოვი, თანდებული ქართლურში... გვ. 218.

27. ნათ. როსტიაშვილი, ინგილოური სალექსიკონო მასალები, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბ., 1963, გვ. 99-108. გრ. იმწანი შვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბ., 1966, გვ. 96, 163-208. რ. ღამბაშიძე, ინგილოური კილო, ტექსტები, თსუ შრომები, XXXგ-XXXგ, თბ., 1947.

სიმცირისა გამო ვერაფერს ვამბობთ ი მ ე რ ხ ე უ ლ ზ ე.²⁸

ქართული ენის დიალექტების დეტალური შესწავლა მომავალში, ალბათ, შ'ს აფრიკატიზაციის გაცილებით მეტ მაგალითებს წარმოაჩენს.

შ > ჩ ფონეტიკური მოვლენა შეინიშნება სალიტ. ქართულშიც. ასე, მაგალითად: იხმარება სიტყვა ხ ა რ ჩ ო < *ხარშო'საგან. შდრ. ხარშვა, მოხარშული.

არსებითი სახელი ხ ა რ ჩ ო (< *ხარშო, ხორციანი კერძის სახელწოდება), რაც საყოველთაოდ იხმარება სალიტ. ქართულ ენასა და მის დიალექტებში, დამახასიათებელია კოლხური ენის მე გ რ უ ლ ი დიალექტისათვისაც, თუმცა მის ამოსავალ ფუძეში შ არის შემონახული; გვაქვს: ხა-შ-უ-ა („ხარშვა“), ხაშ-ილ-ი („მოხარშული“): დედა, ამდღა ხარჩო გაკეთი: „დედა, დღეს ხ ა რ ჩ ო გააკეთე“. ხ ა რ ჩ ო ჯ სუნელი ქოილუნო: „ხარჩოს სუნელი გაქვს?“ (სენაკ.). ხ ა რ ჩ ო 'დან ნანარმოებია არს. სახელი ხ ა რ ჩ ო ნ ი ა „სასაუზმე“.

რაც შეეხება -ჩი თანდებულს, ის კოლხურსა და სვანურში არაა მოსალოდნელი გვეკონდეს, რამდენადაც მისი ამოსავალი -ში თანდებული მათ არ მოეპოვებათ და არც როდისმე ჰქონიათ.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ შ სპირანტის აფრიკატიზაცია (შ > ჩ) ქართული და კოლხური ენების საერთო კანონზომიერებაა და არა მხოლოდ ქართული ენის რომელიმე ერთი დიალექტის ან დიალექტთა ჯგუფისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური მოვლენა.²⁹

როგორც ვნახეთ, შ სპირანტის აფრიკატიზაცია დამახასიათებელი აღმოჩნდა არამარტო გურუული დიალექტისათვის, არამედ ქართული ენის ყველა დიალექტისათვის, როგორც დასავლურისათვის, ისე აღმოსავლურისათვის (ინგილოურის გამოკლებით), როგორც მთის, ისე ბარის დიალექტებისათვის (ქართლური, კახური)...³⁰ სულ სხვაა, რომ ზოგ დიალექტში ის ისე

28. იხ. ი. გიგინეი შვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია... გვ. 379-388.

29. შდრ. გ. ცოცანიძე, სპირანტის აფრიკატიზაციის ერთი შემთხვევა... გვ. 113, 114, 116.

30. ი ქ ვ ე, გვ. 116.

ხშირი არაა, როგორც — გურულში.

შ > ჩ გვხვდება: ა) სონორებთან მეზობლობაში; ბ) არასონორ ხშულებთან მეზობლობაში; გ) ხ და ლ სპირანტებთან მეზობლობაში; დ) ვ, ზ, შ სპირანტებთან და ა, ე, ო ხმოვნებთან მეზობლობაში.

ს ო ნ ო რ ე ბ თ ა ნ :

გურულში — მ, ლ, რ'სთან: მიდღემჩი, მუცელჩი, მოხარჩა...

აჭარულში — ლ, რ'სთან: ზაფხულჩი, მოხარჩავენ...

იმერულში — მ, ნ, ლ, რ'სთან: მიდღემჩი, მიდღენჩი, წყალჩი,
მოიხარჩება...

ლეჩხუმურში — რ'სთან: ნახარჩო...

რაჭულში — ლ'სთან: სოფელჩი...

ქართლურში — ნ, ლ'სთან: ნიგნჩი, სახლჩი...

მთიულურში (=გუდამაყრულში) ლ'სთან: ველჩი...

მესხურში — რ'სთან: ნვერჩი...

თიანურში — ლ, რ'სთან: ზაფხულჩი, ზამთარჩი...

კახურში — რ'სთან: კარჩი...³¹

ჯავახურში — ლ, რ'სთან: ბნელჩი, მინდორჩი...

ფშაურში — მ, ლ, რ'სთან: საკომჩი, კელჩი, ბარჩი...

თუშურში — ლ, რ'სთან: მოსულჩი, სნორჩი...

მოხეურში — მ, ნ, ლ, რ'სთან: ბათუმჩიგა, ტრაპიზონჩიგა,
ფქუილჩი, ჯარჩი...

ხევსურულში — ნ, ლ, რ'სთან: კიდობანჩი, წელჩი, ძირჩი...

ფერეიდნულში — ნ, ლ, რ'სთან: ჭერეიდანჩი, ზაფხულჩი,
ზამთარჩი, სანგარჩი...³²

სალიტ. ქართულში — რ'სთან: ხარჩო...

მეგრულში — რ'სთან: ხარჩონია, ხარჩო...

31. შდრ. გ. ც ო ც ა ნ ი ძ ე, სპირანტის აფრიკატიზაციის ერთი შემთხვევა... გვ. 116.

32. ი ქ ვ ე, გვ. 116: გურულში ის, „ალბათ, ზანურენობრივ სინამდვილესთან სიახლოვეთაა გამონწვეული“.

ა რ ა ს ო ნ ო რ ხ შ უ ლ თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ე ბ თ ა ნ :

იმერულში — თ'სთან: ხუთჩაბათი, საათჩი...

ქართლურში — დ'სთან: გვერდჩი...

მთიულურში — ც'სთან: კაცჩი...

ჯავახურში — ბ, ტ'სთან: ჩხუბჩი, კანვერტჩი...

თუშურში — ქ, ყ'სთან: ფეჭჩი, საჩეჩელაჭჩი...

მოხეურში — ბ, დ, თ, ჩ, გ, ქ, ყ'სთან: საჩალეებჩი, გორდჩი,
საათჩი, საყურჩიგა, ძაუგჩი, ქერქჩი, ყონდაყჩი...

ხევსურულში — ბ, ფ, დ, ნ, ჩ'სთან: სოფლებჩი, თოფჩი, ლუდჩი,
ერანჩი, ქალაქჩი...

ფერეიდნულში — ბ, ფ, თ'სთან: გუბჩი, მარტყოფჩი, ჯულფათჩი...

ხ, ლ ს პ ი რ ა ნ ტ ე ბ თ ა ნ :

ქართლურში — ხ'სთან: სახჩი...

კახურში — ლ'სთან: ბაღჩი...

მოხეურში — ხ'სთან: ქოხჩიგა...

ხევსურულში — ხ'სთან: ეხჩი...

ფერეიდნულში — ხ, ლ'სთან: ოთახჩი, ხაღღჩი...

ზოგან ის შეინიშნება ვ, ზ, შ ს პ ი რ ა ნ ტ ე ბ -
თ ა ნ და ა, ე, ო... ხ მ ო ვ ნ ე ბ თ ა ნ მეზობლობაშიც:

იმერულში (ქვემოიმერულ კილოკავში) — ამარჩი, ტყეჩი...

ქართლურში — დღეჩი...

მესხურში — ყანაჩი, საყელოჩი...

კახურში — დღეჩი, ეზოჩი...

ჯავახურში — თავჩი... გურიარჩი, ჯიბეჩი...

თიანურში — ამბავჩი... ყანაჩი, საყელოჩი...

ფშაურში — ლაშჩი... მინაჩი...

თუშურში — მთარჩი, უბეჩი...

მოხეურში — საფლავჩი... ამაობარჩი, რძეჩი, საქართველოჩი...

ხევსურულში — საფლავჩი, დარბაზჩიით, ქარქაშჩი... გზარჩი, ჭალარჩი,
საბალახეჩიით, უბეჩი, ორმოჩი...

ფერეიდნულში — თელავჩი... ძებნაჩი, დღეჩიგა, თითოჩი, ბოლოჩი...

დაეოწმებული ლიტერატურა

1. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი გ., ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, I, თბილისი, 1938.
2. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე პ., იმერული დიალექტის ხანურ-ზეგნური მეტყველება, იკე, VIII, თბილისი, 1956.
3. გ ი გ ' ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი ი., თ ო ფ უ რ ი ა ვ., ქ ა ვ თ ა რ ა - ძ ე ი., ქართული დიალექტოლოგია, I, დიალექტთა განხილვა. ტექსტები. ლექსიკონი, თბილისი, 1961.
4. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი გრ., არაგვის ხეობის ქართლური, იკე, IV, თბილისი, 1953.
5. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი გრ., ქართლური დიალექტი, I, თბილისი, 1974.
6. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი გრ., ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბილისი, 1966.
7. კ ა ხ ა ძ ე ოტ., ატენისა და ნედისის ხეობის ქართლური, იკე, IV, თბილისი, 1953.
8. კ ა ხ ა ძ ე ოტ., ოკრიბულის თავისებურებანი, იკე, VI, თბილისი, 1975.
9. ლ ე შ ა ვ ა ლ., შენიშვნები ზემო სურების მეტყველებაზე, იკე, XIV, თბილისი, 1964.
10. მ ა ი ს უ რ ა ძ ე ი., ძირითადი ფონეტიკური მოვლენები მესხურში, გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, I, თბილისი, 1942.
11. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი არამ., თანდებული ქართლურში, იკე, I, თბილისი, 1946.
12. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი არამ., ანგარიში საზაფხულო მივლინებისა ფრონის ხეობაში 1938 წ., I, აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, ტ. IV, თბილისი, 1939.
13. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი არამ. და ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი გრ., ქართული ენის კახური დიალექტი, თბილისი, 1956.
14. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე ი., მიცემითი ბრუნვის ნიშნისა და მესამე პირის სუბიექტური ნიშნის სახეცვლილება გურულში, თსუ შრომები, ტ. VI, 1938.
15. ნ ი შ ა რ ა ძ ე შ., ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ, ბათუმი, 1961.
16. ყ ლ ე ნ ტ ი ს., გურული კილო, გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი, თბილისი, 1936.
17. რ ო ს ტ ი ა შ ვ ი ლ ი ნათ., ინგილოური სალექსიკონო მასალები,

ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბილისი, 1963.

18. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე ი ვ., მასალები იმერული ლექსიკონისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბილისი, 1963.
19. ლ ა მ ბ ა შ ი ძ ე რ., ინგილოური კილო, ტექსტები, თსუ შრომები, XXX_გ — XXX_დ, თბილისი, 1947.
20. ც ო ც ა ნ ი ძ ე გ., სპირანტის აფრიკატიზაციის ერთი შემთხვევა ქართულ დიალექტებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, თბილისი, 1974.
21. ძ ი ძ ი გ უ რ ი შ., ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1970.
22. ძ ი ძ ი გ უ რ ი შ., ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბილისი, 1954.
23. ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი ალ., ხევსურულის თავისებურებანი, ტექსტებითა და ინდექსით, თბილისი, 1960.

§ 9. შ > ჩ ფონეტიკური პროცესის სპონტანურობის უმსახებ

სპონტანურია თუ კომბინაციური ეს ფონეტიკური პროცესი? ქართველოლოგიაში არაერთი მკვლევარი შეეცადა ამ საკითხის ახსნას.

ცნობილი დიალექტოლოგი ჯ. ნოღაიძე დიალექტში შ'ს ადგილას ჩ'ს წარმოჩენას სუბსტიტუციად მიიჩნევდა,¹ შ. ნიჟარაძე კი მას კონტამინაციას უწოდებს.² მკვლევართა მეტი ნაწილი ამ მოვლენას კომბინაციური ხასიათის ფონეტიკურ მოვლენად მიიჩნევს და სპეციალური კვლევის საკითხად აქვთ ქცეული (გ. როგავა, ი. მეგრელიძე, შ. გაფრინდაშვილი, ი. ქობალავა, გ. კლიმოვი, გ. ცოცანიძე და სხვ). ჩვენი შეხედულებით ეს უკანასკნელი მოსაზრება სწორია, მაგრამ გასარკვევია, რა ხასიათისა უნდა იყოს ეს კომბინაციური მოვლენა? რა ინვევს მას?

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს თანხმოვანთა კომპლექსის შერწყმის შედეგი არაა, რადგან ორი მეზობელი თანხმოვნიდან ერთი მათგანი, კერძოდ, ხშული თანხმოვანი, მეორეულ ფორმაში ყოველთვის დაცულია, სხვათა შორის, ყოველთვის უცვლელი სახით. ასე, მაგალითად: იმერულ დიალექტში (ქვემოიმერულ კილოკავში) შ დაერთვის თ თანხმოვანს: ხუთშაბათი > ხუთჩაბათი, საათში > საათჩი... ქართლურში — დ'ს: გვერდში > გვერდჩი, მთიულურის გუდამაყრულ კილოკავში — ც'ს: კაცში > კაცჩი... და მეორეულ ფორმებშიც აღნიშნული თ, დ, ც შენარჩუნებულია, შეცვლილია მხოლოდ შ (შ > ჩ).

მეორეულ ფორმებში ასევე შენარჩუნებულია სონორები (მ, ნ, ლ, რ): მიდღემში > მიდღემჩი, ფერეიდანში > ფერეიდანჩი, სოფელში > სოფელჩი, ხარშვა > ხარჩვა.

მეორეულ ფორმებში ასევე შემონახულია არასონორი ხშულები: მთებში > მთებჩი, თოფში > თოფჩი, კანვერტში > კანვერტჩი,

1 ჯ. ნოღაიძე დიალექტოლოგიის ნარკვევები და ჩანაწერები, ნ. II, ბათუმი, 1972, გვ. 61.

2 შ. ნიჟარაძე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ, ბათუმი, 1961, გვ. 47, 78.

ერანში > ერანჩი, საყურშიგა > საყურჩიგა, ძაუგში > ძაუგჩი, ქერქში > ქერქჩი, ყონდაყში > ყონდაყჩი, ფეკში > ფეკჩი, საჩეჩელაყში > საჩეჩელაყჩი...

მეორეულ ფორმებში შემონახულია სპირანტებიც: საფლაგში > საფლაგჩი, დარბაზში > დარბაზჩი, ქარქაშში > ქარქაშჩი.

მეორეულ ფორმებში უცვლელადაა წარმოდგენილი ხმოვნებიც: გურიაში > გურიაჩი, რძეში > რძეჩი, საქართველოში > საქართველოჩი...

მაშასადამე, ყველა შემთხვევაში შ'ს წინამავალი ბგერა, თანხმოვანია ის (ხშული, სპირანტი), თუ ხმოვანი, მეორეულ ფორმებში შენარჩუნებულია. ეს, ცხადია, იმაზე მეტყველებს, რომ ყველგან მხოლოდ და მხოლოდ შ თანხმოვანი იცვლება ჩ'დ, მხოლოდ და მხოლოდ შ გადადის ჩ'ში, ხდება შ სპირანტის აფრიკატიზაცია (შ > ჩ), აფრიკატიზაცია თანხმოვანთა კომპლექსის შერწყმის გარეშე.³

გ. რ ო გ ა ვ ა ადილური ენის კილოებში ადასტურებს ბგერათა შეერთების ერთ თავისებურ შემთხვევას: თუ ს სპირანტს უშუალოდ მოსდევს შიშინა შ ან ენ. სისინ-შიშინა სპირანტი შჲ, ისინი შეირწყმიან და მიიღება უკანასკნელთა რიგის აფრიკატი: ს+შ>ჩ, ს+შჲ>ჩჲ.⁴ ს და შ ან ს და შჲ სპირანტთა შერწყმა კი ამ ენაში ისეთსავე შედეგს იძლევა, როგორსაც თ ხშულის შერწყმა იმავე სპირანტებთან: თ+შ>ჩ, თ+შჲ>ჩჲ.⁵

გ. რ ო გ ა ვ ა ს მტკიცებით, ჩ აფრიკატის მიღების ადილური-სათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესის მსგავსი შემთხვევები უნდა ახასიათებდეს ქართულ ენასაც, კერძოდ, ზემოთქმულიდან გამომდინარე, ავტორისათვის ქართულში „-ში თანდებულის ნაცვლად ზოგჯერ -ჩი ვარიანტის ხმარება რიგს დიალექტებში — ხევსურულში, ფშაურში, მთიულურში, მოხევურში, ფერეიდნულში, გურულში, აჭარულში... უნდა აიხსნას სახელის მიცემით ბრუნვის -ს აფიქსისა და -ში(ნა) თანდებულის თავკიდური შ ბგერის შერ-

3. თვით ამოსავალი -ში თანდებულის ისტორიის შესახებ იხ. არამ. მარტი-როსოვი, თანდებული ქართულში, იკე, I, თბილისი, 1946, გვ. 217-220.

4. გ. რ ო გ ა ვ ა, ყრუ შიშინა სპირანტთა შერწყმის ერთი თავისებური შემთხვევა ქვემო-ადილურსა და ქართულში, იკე, II, თბილისი, 1948, გვ. 49-51.

5. იქვე, გვ. 51.

წყმიო. მაგ.: *მა-ჩი < მთა-ს-ში, სოფლებ-ჩი < *სოფლებ-ს-ში და სხვა...

თბერის მომდევნო სპირანტთან შერწყმით აფრიკატის მიღება ჩვეულებრივი მოვლენაა საერთოდ. ამის საფუძველია თვით აფრიკატის შედგენილობა, რამდენადაც იგი შეიცავს ხშულობისა და სპირანტობის მომენტებს. ი გ ი ვ ე შე დ ე გ ი მო გ ვ ც ა ქ ვ ე მო ა დ ი ლ ე უ რ ი ს ა და ქ ა რ თ უ ლ ი ს დ ი ა ლ ე ქ ტ ე ბ შ ი ი მ ა ვ ე ს პ ი რ ა ნ ტ ე ბ - თ ა ნ ა რ ა მ ხ ო ლ ო დ ხ შ უ ლ ი თ - ს , ა რ ა მ ე დ ა გ რ ე თ ვ ე ს პ ი რ ა ნ ტ ი ს 'ს შერწყმამ.

კითხვა დგება: რა მომენტი ია მომენტი, რომლითაც სბგერა თ-ს ძალის მქონე აღმოჩნდა? ის ხომ არა, რომ ს სისინა სპირანტი შიშინა ან ე.წ. სისინა-შიშინა სპირანტებთან შედარებით ნაკლებ ნაპრალოვანია და ენაკბილისმიერი?

ეს მით უმეტეს ითქმის ადილეური ს სპირანტის შესახებ, რომელიც კიდევ უფრო ნაკლებ-ნაპრალოვანი ჩანს (ვინემ ქართული).“⁶

ზემოთ მოტანილი ვრცელი ციტატიდან ნათელია, რომ, მისი ავტორის მიხედვით, ქართულში, მსგავსად ადილეურისა, ს და შ სპირანტების შერწყმა იძლევა აფრიკატ ჩ'ს, რაც, ვფიქრობთ, სწორად ვერ ასახავს რეალურ სინამდვილეს და, აი, რატომ:

1. გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი ქართული ენის აფრიკატებს ასე ასახაიათებს: „ა ფ რ ი კ ა ტ ი რთული ხშული თანხმოვანია და, საერთოდ მიღებული აზრით, შედგენილია მარტივი ხშულისა და მისი ჰომორგანული ნაპრალოვნისაგან (ანუ სპირანტისაგან)...

აფრიკატის შემადგენელი თანხმოვნები განსხვავდებიან, ერთმანეთისაგან... არა წარმოების ადგილით, არამედ რაგვარობით: პირველია ხშული, მეორე — ნაპრალოვანი (ანუ სპირანტი)...

...ქართული აფრიკატების წარმოებაში მონაწილეობს ხშულთა მეორე სამეული (დ — თ — ტ) და ნაპრალოვანთა მეორე (ზ — ს) და მესამე (ყ — შ) წყვილი, მჟღერები (ზ — ყ) ერთვიან მხოლოდ დ-ს, ხოლო ყრუები (ს — შ) — თ-სა და ტ-ს“.⁷

6. იბ. გ. როგავა, ყრუ შიშინა სპირანტთა... გვ. 51-52.

7. გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ზოგადი ფონეტიკის საფუძველები, თბილისი, 1949, გვ. 84-85.

გამოკვლევის ავტორი თავადაც ადასტურებს იმას, რომ აფრიკატი ხშულობისა და სპირანტობის მომენტებს შეიცავსო.⁸ აქედან გამომდინარე, ცხადია, ისეთი ორი ბგერის შერწყმად, რომელთაგან ერთ-ერთის დამახასიათებელი კომპონენტი არაა ხშვა, ვერ უნდა მოგვცეს აფრიკატი ბგერა.

2. ს ქართულში სხვა სპირანტებთან შედარებით რაც არ უნდა „ნ ა კ ლ ე ბ ნ ა პ რ ა ლ ო ვ ა ნ ი“ იყოს და „ე ნ ა კ ბ ი ლ ი ს- მ ი ე რ ი“, უდავოა, რომ იგი ხშული ბგერებისაგან თვისობრივად განსხვავებულია: მას არ ახასიათებს ხშვის ელემენტი. წმინდა სპირანტია! თ კი წმინდა ხშულია: მისი წარმოთქმა ხშვის ელემენტის გარეშე ისევე შეუძლებელია, როგორც დ'სა და ტ'სი. ამდენად, ს ქართულში თ'ს ძალისა არაა აფრიკატის შექმნაში. მისი შერწყმა შ'სთან აქ რომც მოხდეს, აფრიკატს ვერ მოგვცემს. ასეცაა.

სულ სხვა ვითარება ჩანს ადიღურში: აქ ს და შ'ს ან ს და შ'ს შერწყმა იძლევა აფრიკატს: პირველ შემთხვევაში ჩ'ს, მეორე შემთხვევაში — ჩ'ს. და ეს იმიტომ ხომ არაა, რომ აქ ს „ნაკლებნაპარალოვანი“ ყოფილა, ვინემ — ქართული ს? იქნებ ეს თამაშობს გარკვეულ როლს აფრიკატიზაციის მომენტში? იქნებ ს და შ სპირანტების არტიკულაციაშია მიზეზი? ყველაფერი ეს გასარკვევია.

3. და თუ დადასტურდება ის, რომ ადიღურში ს სპირანტი(!) თ'ს ძალისა აღმოჩნდა, ვფიქრობთ, იგი მაინც ვერ გამოდგება იმის მტკიცების საფუძვლად, რომ ქართულში ს და შ სპირანტთა შერწყმა იძლევა აფრიკატს, კერძოდ, ჩ'ს.

გ. ც ო ც ა ნ ი ძ ი ს აზრით, აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში (თუშურში, ფშაურში, გუდამაყრულში, მოხეურსა და ხევსურულში) ჩ მიიღება წინაენისმიერ ხშულთან, კერძოდ, თ'სთან შ სპირანტის შერწყმით ისე, როგორც ქართულში კარგად ცნობილ *ათშვიდმეტ > ჩვიდმეტის შემთხვევაში გვაქვს, ან კიდევ, გურულ მაგალითში — საათში > სააჩი. დასაბუთება აღნიშნული დებულებისა ასეთია: „თუშურში თითქმის ყოველთვის და ხშირ შემთხვევაში ფშაურშიც ჩი თანდებულთან

8. გ. როგავა, ყრუ შიშინა სპირანტთა... გვ. 52.

9. გ. როგავა, იქვე, გვ. 52.

სახელს ახლავს მრავლობითის გაგება: სტუმარჩი ნიშნავს ს ტ უ მ რ ე ბ შ ი, მთაჩი — მ თ ე ბ შ ი (და არა მთაში), კაცჩი — კ ა ც ე ბ შ ი, ხ ა ლ ხ შ ი. ცხადია, ასეთ შემთხვევაში თანდებული უნდა დართვოდა მრავლობითობის მიცემითი ბრუნვის ფორმას. მთის დიალექტებში მრავლობითი ნართანიანი იქნებოდა. ე.ი. ერთად აღმოჩნდებოდა სახელის მრავლობითის მიცემითის თ და თანდებულის შ, რომელთა შეერთებითაც ჩ-ს მიღება სრულიად კანონზომიერი მოვლენაა ქართულის ენობრივ სინამდვილეში...

გარდა ამისა, მთის დიალექტებში ხშირია — ნარ-თანიანი მრავლობითის მიცემითის გამოყენება ლოკატივად. მაგ.: „ხელთ ეპყრა შუბი, წვერბასრი მამისთვის მონაპარია“ (ვაჟა, „ბახტრიონი“). „მტრისამც დედასა გველი ხკებნს და ჩაუძვრება უბეთა“ (იქვე). „ნისქვილში საფქვავ წავილე, ორთავ ავხკიდე კატებსა, გზათ თაგვებ შემომეყარნეს, დამიცეს ანტი-ბანტესა“ (ხალხ., თუშ.).

ასეთ ლოკატივს თუ -ში თანდებული დაერთვოდა, კვლავ მივიღებდით თ-სა და შ-ს კომბინაციას და შემდეგ ჩ-ს. პროცესი ასე წარმოგვიდგება: ხელთ > *ხელთში > ხელჩი; უბეთ > *უბეთში > უბეჩი; გზათ > *გზათში > გზაჩი.

კელჩი, უბეჩი და გზაჩი მთის დიალექტებში რეალური ფორმები ია.

მაშასადამე, არსებობს საფუძველი, ვიფიქროთ, რომ -ში თანდებული აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში -ჩი-ში გადადის ნარ-თანიანი მრავლობითის ფორმაზე დართვისას¹⁰ (ხაზი ჩვენია. ა. ლ.).

ავტორი დაასკვნის: „ქართულის დიალექტებში -ში თანდებულის -ჩი-ში გადასვლის ორნაირი საფუძველი არსებობს: ერთი — ეს არის სონორის მომდევნო პოზიცია, ხოლო მეორე — წინაენისმიერი თ-სა და შ-ს შერწყმა. პირველი მოქმედებს მხოლოდ გურულში (რაც ალბათ ზანურ ენობრივ სინამდვილესთან სიახლოვითაა გამოწვეული) და მეორე — აღმოსავლეთ საქარ-

10. გ. ც. ო. ც. ა. ნ. ი. ძ. ე, სპირანტის აფრიკატიზაციის ერთი შემთხვევა ქართულ დიალექტში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, თბილისი, 1974, გვ. 115-116.

11. ი. ქ. ვ. ე. გვ. 116.

თველოს მთის დიალექტებში და ნანილობრივ გურულში¹¹ (ხა-
ზი ჩვენია. ა. ლ.).

როგორც ვხედავთ, აქ ავტორი თვლის, რომ შ > ჩ ფონეტიკუ-
რი პროცესი ქართულის დასავლური დიალექტებიდან ახასია-
თებს მხოლოდ გურულს, აღმოსავლური დიალექტებიდან კი მთის
დიალექტებს, გარდა ამისა, ჯავახურსა და ფერეიდნულს.¹²

ვფიქრობთ, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული
მასალის მოშველიებით ჩვენ დამაჯერებლად ვუჩვენეთ, რომ შ
> ჩ პროცესი ქართული ენის დიალექტებისათვის საერთო
კანონზომიერებას წარმოადგენს: ის მეტ-ნაკლებად დამახასიათე-
ბელია ყველა ქართული დიალექტისათვის (ინგილოურის გამოკ-
ლებით), თვით სალიტერატურო ქართულისათვის და მეგრულისათვის.
ასე რომ, ლოგიკურია, ვიფიქროთ, ამ კანონზომიერებას ერთი
და იგივე მიზეზი უნდა იწვევდეს ყველგან და არა —
სხვადასხვა.

ამდენად, უპირველეს ყოვლისა საძიებელია ეს საერთო მიზე-
ზი და არა სხვადასხვა: გურულისათვის — ერთი, მთის დიალექ-
ტებისათვის — მეორე, ჯავახურისა და ფერეიდნულისათვის
— მესამე და ა. შ.

და მაინც მოკლედ შევეხებით აღმოსავლეთ საქართველოს
მთის დიალექტებში შ > ჩ ფონეტიკური პროცესის ზემოთ
წარმოდგენილ ახსნას:

1. აქ მოცემულია მხოლოდ ვარაუდი, რომლის მიხედვით,
მრავლობითობის მიცემითი ბრუნვის ფორმებს: ხელთ, უბეთ,
გზათ და მისთ. შესაძლებელი იყო დართვოდა -ში თანდებული,
შედეგად კი თშ კომპლექსს შერწყმით -ჩ შეეძლო მოეცაო. სინამ-
დვილესი ასეთი რამ არ დასტურდება. ყოველ შემთხვევაში
დებულების ავტორს ამისი მაგალითი ან რაიმე სხვა დამამტკი-
ცებელი საბუთი წარმოდგენილი არა აქვს.

ფორმები: ხელთში, უბეთში, გზათში და მისთ. თუ როდისმე
მთის დიალექტებში არსებობდა, მისი ნაშთები მოსალოდნელი
იყო, შემოგვრჩენოდა იმ კილოკავებსა თუ დიალექტებში, სადაც
შ > ჩ პროცესი ჯერ კიდევ არაა დასრულებული, კერძოდ,

12. ავტორი ცდილობს ახსნას კიდევ, თუ რის გამო არ ახასიათებს,
ბარის დიალექტებს (იმერულს, ქართლურსა და კახურს) ეს მოვლენა (გვ.
116)!

პირაქეთა ხევსურულში... თუ შურში, ფშაურში, მთიულურში... არ შეინიშნება ასეთი რამ.¹³ მაშასადამე, ვარაუდი ვარაუდადვე რჩება; საფუძველი არ არსებობს იმისათვის, რომ მასში ნაგულსხმევის რეალური არსებობა ვირწმუნოთ.

2. ნავარაუდევია, რომ მოხეურისა და პირიქითა ხევსურულის მრავლობითის ფორმებში გაბატონების შემდეგ, -ჩი გადმოვიდა მხ. რიცხვშიც. როგორც ავტორი ამბობს, მან აქაც „-ში გამოდევნა“ ხმარებიდან და, ამგვარად, ამ დიალექტებში -ში-ს ადგილი მთლიანად დაიკავა -ჩი'მ ისე, რომ „-ში არც კი არის“.¹⁴

აქ კითხვა ისმის: როგორ გადავიდა -ჩი მრავლობითი რიცხვის ფორმებიდან მხ. რიცხვის ფორმებში? ანალოგიით? რამდენად შესაძლებელი იყო ეს? აკი, ზოგ დიალექტში (მაგალითად, თუ შურში, რომელსაც „სტაბილური მდგომარეობა აქვს შენარჩუნებული“) მხოლოდობითი და მრავლობითი რიცხვი -ში და -ჩი თანდებულებით უპირისპირდებიან ერთმანეთს: „-ჩი-ს ყოველთვის მრავლობითის ნიუანსი ახლავს“,¹⁵ — ში'ს კი მხოლოდობითისაო. ხომ ფაქტია, რომ ამ შემთხვევაში ჭირს ანალოგიის განხორციელება!

3. ავტორი გვაუწყებს, ფშაურშიც დაიწყო ეს ანალოგიაო. ფშაურის მაგალითებში კი არ ჩანს ასე: იმ მაგალითებიდან, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაშია ფიქსირებული, სულ სამიოდეს თუ შეიძლება ჰქონდეს მრავლობითის გაგება, დანარჩენებს კი ასეთი რამ არ ახასიათებს და შეუძლებელიცაა ახასიათებდეს; ასე, მაგალითად:

რას კაცის კ ე ლ ჩ ი გაზდილი ვარ = ხელში და არა ხელებში;

ისინი ო რ ნ ყ ა ლ ჩ ი ირევიან = ორწყალში და არა ორ

13. ჩვენ ფერეიდნულის ტექსტებში კი შეგვხვდა მსგავსი ორი მაგალითი, მაგრამ მათში თ არაა მრავლობითობის ნიშანი (საკუთარ სახელებშია). მერეა და, რაც მთავარია, მათში თ შ კომპლექსის შერწყმა არა გვაქვს: მეორეულ ფორმებში თ შენარჩუნებულია, შეცვლილია მხოლოდ შ (შ > ჩ). აი, ეს მაგალითებიც: ჯულფათჩი[გ] < ჯულფათში[გ]: მითხრა, რო ჯ უ ლ ფ ა თ ჩ ი [გ] არიო (ქდ 257,10); მაჰალათჩი < *მაჰალათში: ნავიდა შორი მ ა ჰ ა ლ ა თ ჩ ი (ქდ 263,28)...

14. სჯობდა თქმულიყო: „იშვიათიაო“, რადგანაც ზოგჯერ გამოჩნდება ხოლმე; ასე, მაგალითად, მოხეურ ტექსტებში შეგვხვდა გ ო რ შ ი: უგემური ვინმე იქნებოდა ან გ ო რ შ ი, ან სოფელჩიგა (ქდ 40,16).

15. ობ. ი ქ ე ე, გვ. 116.

წყლებში;

დედაკაც კი გიქცა და ბოსელჩი ეცა = ეცა ბოსელში და არა ბოსლებში;

გამამრეხვეს კარჩიაო = კარიდან და არა კარებიდან; ნასულა ის კაცი-დ' გზაგასაყარჩი დამჯდარა = გზასაყარში და არა გზაგასაყარებში;

ერთ თვეს სუ კარჩი ვიყვენით = კარში (გარეთ) და არა კარებში;

ბარჩი დენილა = ბარში დენილა და არა ბარებში;

საკომჩი = საკომში და არა საკომებში;

ცეცხლჩი = ცეცხლში და არა ცეცხლებში;

მინაჩი ჩაუმარხავ = მინაში და არა მინებში;

მუშაჩი = მუშად, სამუშაოდ და არა მუშებად, ან სამუშაოებად...

ასე რომ, თუშურის ვითარების განზოგადება ფშურზე და მის მეზობელ მთის სხვა დიალექტებზე არა ჩანს საფუძვლიანი.

4. -ჩი გაბატონებულია ფერეიდნულში, ხშირია ჯავახურში... უცხო ენათა გავლენას მიაწერს ამას ზემოხსენებული ავტორი. რა შუაშია აქ გავლენა, როცა ასეა აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებშიც, როცა -ჩი დასტურდება ქართული ენის ყველა დიალექტში, როგორც აღმოსავლურში, ისე დასავლურშიც?!

მოკლედ რომ ვთქვათ, საკითხის ის ახსნა, რაც გ. ც. ო. ც. ა. ნ. ი. ძ. ე. მ. შემოგვთავაზა, ჩვენი აზრით, რეალური ისტორიული ვითარების ადეკვატური არა ჩანს.

ი. მ. ე. გ. რ. ე. ლ. ი. ძ. ე. მ. ჯერ კიდევ 1933 წელს გამოწვლილვით შეისწავლა ეს მოვლენა ქართული ენის გურულ დიალექტში და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეს პროცესი ხდება სონორი თანხმოვნების (მ, ნ, ლ, რ) მომდევნოდ, უშუალო მეზობლობის დროს ისევე, როგორც ს > ც, ზ > ძ და ჟ > ჯ.¹⁶

შემდგომ, სოფ. სურების გურული მეტყველების ანალიზის

16. იხ. ი. მ. ე. გ. რ. ე. ლ. ი. ძ. ე. მ. მიცემითი ბრუნვის ნიშნისა და მესამე პირის სუბიექტური ნიშნის სახეცვლილება გურულში, თსუ შრომები, ტ. VI, 1938, გვ. 354-355.

დროს, ლ. ლ ე ჟ ა ვ ა ც მიუთითებს შ'ს აფრიკატიზაციის (შ > ჩ) ფაქტზე ლ და რ სონორებთან მეზობლობაში.¹⁷

ამ საკითხის ახსნას სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა შ. გაფრინდაშვილი მ. ა. მან მოვლენის ადგილის ი. მეგრელიძისეული განსაზღვრა გაიზიარა და მოგვცა ახსნა, თუ რა გავლენას ახდენს სონორი თანხმომავანი შ სპირანტიზზე, როცა ის გადადის ჩ აფრიკატში. მისი მტკიცებით, როდესაც სონორ ბგერას მოსდევს შ სპირანტი, მაშინ სონორის განსხვავება (ანუ ორი სამეტყველო ორგანოს უბრალო შლის დროს წარმოქმნილი ნაპარალი) ერწყმის მომდევნო სპირანტი შ'ს წარმოთქმისათვის საჭირო ნაპარალს და, ამგვარად, ამ არტიკულაციური პროცესის შეერთება სონორის ხშვის პროცესთან იძლევა აფრიკატს, კერძოდ, ჩ'ს, რადგან ის არტიკულაციურად ხშულ-სპირანტული ბგერაა:

ხელში > ხელჩი, მიდლემში > მიდლემჩი, ხარშვა > ხარჩვა და ა.შ.¹⁸

ი. ქობალავამ შ. გაფრინდაშვილის ახსნა სწორად მიიჩნია, მაგრამ შემთხვევათა მხოლოდ იმ ჯგუფში, სადაც შ სპირანტი უშუალოდ მოსდევს სონორ თანხმომავებს: მ, ნ, ლ, რ'ს, ხოლო მასალათა მეორე ჯგუფში, სადაც შ სპირანტი წინ უძღვის უკანაენისმიერებს (შხ, შჯ და მისთ), შ > ჩ ფონეტიკური პროცესის ახსნის საკითხი ღიად დატოვა (თუმცა, დაუშვა იმის შესაძლებლობაც, რომ ასეთ შემთხვევებში შ'ს აფრიკატიზაციის სიხშირე შეიძლება აიხსნას ანალოგიით, ანუ სტიანდარტიზაციის ტენდენციის არსებობით ენაში). მანვე გამოყო შემთხვევათა მესამე ჯგუფი, მისი თქმით, რაოდენობრივად განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი, სადაც შ > ჩ ხდება I და II ჯგუფში აღნიშნული კონტექსტის გარეშე (მთებჩი < *მთებში... გზაჩი < *გზაში, დლეჩი < *დლეში... ბალჩი < *ბალში, თავჩი <

17. იხ. ლ. ლ ე ჟ ა ვ ა ც, შენიშვნები ზემოსურების მეტყველებაზე, იკე, XIV, თბილისი, 1964, გვ. 202.

18. იხ. შ. გაფრინდაშვილი, სპირანტთა აფრიკატიზაციის საკითხისათვის ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში, საქ. მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის VI (XII) სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1955, გვ. 29-31.

*თავში და მისთ) და ამ რიგის მასალაში მან შ > ჩ პროცესი სპონტანურ მოვლენად ჩათვალა.¹⁹

ამ თვალსაზრისში უთუოდ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მისმა ავტორმა სწორად გაითვალისწინა სონორებთან მეზობლობის გარეშე არსებული მასალა და შეეცადა აეხსნა ის განსხვავებულად (ანალოგია, სპონტანური გარდაქმნა). ეს ამ საკითხის ახსნაში თავის დროზე, უთუოდ, წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

სონორებთან მეზობლობითვე ხსნის გურულში შ სპირანტის აფრიკატიზაციას გ. ც ო ც ა ნ ი ძ ე ისეთ მასალაში, როგორიცაა: სოფელჩი, თოლჩი, მუცელჩი, ხელჩი, მიდღემჩი და მისთ. (იხ. ზემოთ). გარდა ამისა, ის ფიქრობს, რომ -ში > -ჩი „სონორის მომდევნო პოზიციაში“ „მოქმედებს მხოლოდ გურულში (რაც ალბათ ზანურ ენობრივ სინამდვილესთან სიახლოვითაა გამონვეულიო“.²⁰

ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ შ > ჩ ფონეტიკური პროცესი გურულთან ერთად ახასიათებს ქართულის ყველა დიალექტს. ასე რომ, ზანურ ენობრივ სინამდვილესთან სიახლოვით ახსნის შესაძლებლობა გამოირიცხა. მერეა და, ში > ჩი მეგრულში არა გვაქვს, რადგან -ში თანდებული მას საერთოდ არ მოეპოვება, შ'ს აფრიკატიზაცია (ში > ჩ) მეგრულში უფრო იშვიათია, ვინემ გურულში (იხ. ზემოთ). ასე რომ, „სიახლოვე“ ამ შემთხვევაში არაფერს ნიშნავს (რაც შეეხება ს > ც'ს სიხშირეს, ის მეგრულთან სიახლოვით კი არ უნდა იყოს განსაზღვრული, არამედ მეგრული (resp. კოლხური) სუბსტრატით).²¹

ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ შ'ს გადაქცევა ჩ აფრიკატად ხდება არამარტო სონორებთან (მ, ნ, ლ, რ), არამედ არასონორ ხშულებთანაც (ბ, ფ; დ, თ, ტ; ც, წ; გ, ქ, ყ; ჯ, ყ; ც...)

უშუალო მეზობლობის დროსაც. კი მაგრამ, რა არის ის საერთო თვისება, რაც მოეპოვება აღნიშნულ თანხმოვნებს, რაც სახეს უცვლის შ სპირანტსა და აქცევს მას ჩ აფრიკატად? ესაა ხშვა, ხშვის პროცესი, რაც

19. იხ. ი. ქ ო ბ ა ლ ა ვ ა, აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები იბერიულ-კავკასიურ ენებში, იკე, IX-X, თბილისი, 1958, გვ. 71-72.

20. გ. ც ო ც ა ნ ი ძ ე, სპირანტის აფრიკატიზაციის ერთი შემთხვევა... გვ. 116.

21. იხ. ა. ლ ო მ თ ა ძ ე, მიცემითი ბრუნვის მორფემისათვის მეგრულში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №1, თბილისი, 1972, გვ. 116.

ახასიათებს ამ თანხმოვანთა არტიკულაციას. ამიტომაც, რომ ზემოთ დასახელებულ შემთხვევებში შ > ჩ ხდებოდა ყველა სახის (ჯგუფის) ხშულებთან: გვაქვს ის წმინდა ხშულებთან (ბ, ფ; დ, თ, ტ; გ, ქ; ც), აფრიკატებთან (ც, წ, ჩ), სპირანტიოიდებთან (ყ, კ), ნარევებთან (მ, ნ, ლ, რ). ე.ი. შ > ჩ'ში გადადის, თუ უშუალო მეზობელ თანხმოვანს ახასიათებს ხშვა.²² სწორედ ხშვაა ის მიზეზი, რაც სპირანტი შ'ს აფრიკატი ჩ'დ აქცევს. ამ მეზობელი თანხმოვნის ხშვის პროცესის ნაწილობრივი შერწყმა ჩ'ს ნაპრალოვან არტიკულაციასთან, იძლევა ჩ აფრიკატს (resp. ხშულ-ნაპრალოვან თანხმოვანს).

ასე რომ, სწორი თანხმოვანი, მისი არტიკულაციური თავისებურება, კერძოდ, მისი შლადი განხშვა არაფერ შუაშია; აქ მთავარია მეზობელი თანხმოვნის არტიკულაციის ხშვის მომენტის გავლენა შ სპირანტის არტიკულაციაზე ისევე, როგორც ეს ხდება ს სპირანტის ც აფრიკატად გარდაქმნის შემთხვევაში.

როგორც ზემოთ ვნახეთ, შ'ს აფრიკატიზაცია შეინიშნება უკანაენისმიერი სპირანტების: ხ, ლ'ს მომდევნოდაც: ქოხჩიგა < *ქოხშიგა, ოჯახჩი < *ოჯახში (მობ.), ბაღჩი < *ბაღში, ხაღჩი < *ხაღში (ფერეიდ)... ეს კანონზომიერიცაა ასე იყოს, რამდენადაც აღნიშნული თანხმოვნები (ხ, ლ) არ არიან წმინდა სპირანტები: მათი წარმოთქმის დროს ნაწილობრივ ხშვაც ხდება. ისინი ვიბრანტული ბუნების თანხმოვნებია და მათი არტიკულაციის დროს ვიბრაციისას ნაქი და რბილი სასა უკანა ენას ეხება, ე.ი. ნაპრალოვნობასთან ერთად ხდება ხშვაც.²³ ხშვის პროცესის მეზობლად წარმოთქმული სპირანტი შ კი იძლევა ჩ'ს ხშვის მომენტის ნაპრალთან ნაწილობრივი შერწყმის გამო.

22. კ, ყ სპირანტიოიდებია, მაგრამ მათ წარმოთქმაში მთავარი მაინც ხშვის მომენტია (იხ. ქვემოთ ლ, ხ'ს მაგალითები).

23. იხ. პანს ფო გტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი, 1961, გვ. 14, 67.

ამ საკითხთან დაკავშირებით იხ., აგრეთვე, კოლხური (მეგრულ-ჭანური) ლ, ხ'ს არტიკულაციის დახასიათება, მოცემული შრომებში: ნ. კ ი ზ ი - რ ი ა, ჭანურის ბგერითი შედგენილობა, თბილისი, 1980, გვ. 24; ნ. ი მ ნ ა - ძ ე, ჭანური ენის მეგრული დიალექტის ბგერითი შედგენილობა, თბილისი, 1981, გვ. 32, 59-61.

დასტურდება ფორმა **ს ა ხ ჩ ი** (ზემოაქარული)... საიდანაა ის მიღებული: **სახჩი < სახში** თუ **სახჩი < *სახლჩი < *სახლში**?

ორივე შესაძლებელია, რადგან ხშირად იხმარება ფორმა **სახ-ში**, აქედან კი შეიძლებოდა მიგველო **სახჩი**, რაკი ხ'სთან მეზობლობაში, როგორც ვნახეთ, შესაძლებელი იყო შ'ს აფრიკატიზაცია. ასევე შესაძლებელი იყო სონორ ლ'სთან მეზობლობაში მიგველო **შ > ჩ**; **სახლში > სახლჩი**, ხოლო შემდეგ ლ'ს დაკარგვით შეიძლებოდა **სახლჩი > სახჩი** პროცესის განხორციელება.

კი, მაგრამ ხომ დადასტურდა შემთხვევები, როცა -ში თანდებული -ჩი'ს სახითაა წარმოდგენილი არახშული ან ხ, ლ თანხმოვნების მომდევნოდ, არამედ ვ, ზ, შ სპირანტების, ან კიდევ ხმოვნების (ა, ე, ო) მეზობლად? იხ. საფლავჩი (მოხ., ხევს.), თელავჩი (ფერეიდ.), თავჩი (ჯავახ.), დარბაზჩი, ქარქაშ-ჩი (ხევს.), ლაშჩი (ფშ)... ამაჩი, ტყეჩი (ქვ. იმერ.), დლეჩი (ქართლ.), ყანაჩი, საყელოჩი (მესხ.), დლეჩი, ეზოჩი (კახ.), მთაჩი, უბეჩი (თუშ.), ამაობაჩი, რძეჩი, საქართველოჩი (მოხ.)...

ასეთი შემთხვევები, როგორც ვნახეთ, შეინიშნება იმ დიალექტებშიც, სადაც -ში > -ჩი მოვლენა იშვიათია (მესხური, კახური, თიანურის...) და იმ დიალექტებშიც, სადაც ის ხშირია (ჯავახური, ფშაური, თუშური...), ხოლო იმ დიალექტებში, სადაც -ში > -ჩი პროცესი თითქმის დასრულებულია (მოხურში, პირიქითა ხევსურულში, ფერეიდნულში), ბუნებრივია, -ჩი აღნიშნულ პოზიციებშიც უნდა გვექონოდა და გვაქვს კიდევ.

რა ნიადაგზე მოხდა ხსენებული პროცესის დასრულება? აკი, მას ყველა პოზიციასაში რეალიზაციის საფუძველი არ ჰქონდა?

ეს მოხდა ანალოგიის, ანუ პარადიგმატული გასწორების ნიადაგზე. ცნობილია, რომ ყოველ ენობრივ კოლექტივს აქვს ბუნებრივი (არაცნობიერი) მიდრეკილება გაამარტივოს თავისი ენის სტრუქტურული სირთულე, მოახდინოს ერთი ფუნქციის მქონე სხვადასხვა ენობრივი ფორმის ერთზე დაყვანა, სტანდარტიზაცია და ეს მოვლენა თავის კვალს ტოვებს ენაში. ესაა საფუძველი ანალოგიისა, ანუ პარადიგმატული გასწორებისა.

შეიძლება თუ არა მოცემულ შემთხვევაში ასეთ ტენდენციას

ემოქმედა ქართულ დიალექტებში? შეიძლება.

ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ შ^საგან ჩ მიიღებოდა:

1. თანხმოვანთა შერწყმის გზით — თ^სთან, ან ასიმილაციის დროს დ^სთან (დ > თ + შ) და ტ^სთან (ტ > თ + შ);

2. შ > ჩ პროცესი ხდებოდა წმინდა ხშულების (ბ, ფ; დ, თ, ტ; გ, ქ; ც) მეზობლობაში.

3. ის ხდებოდა ე.წ. სპირანტიოდეტან (ყ, კ) მეზობლობაში;

4. ხდებოდა აფრიკატებთან (ც, წ; ჩ, ჭ) მეზობლობაში;

5. ხდებოდა სონორებთან, ანუ ე. წ. ნარევი თანხმოვნებთან (მ, ნ, ლ, რ) მეზობლობაში;

6. მას ასევე ადგილი ჰქონდა ხშვის ელემენტის შემცველ ლ, ხ სპირანტებთან.

მართალია, მასალა ხელთ არა გვაქვს, მაგრამ შ^ს აფრიკატიზაცია მსგავსადვე მოსალოდნელია დადასტურდეს დანარჩენ ხშულებთანაც: პ, კ; ძ, ჯ^სთან (პირველი ორი წმინდა ხშულია, მეორე და მესამე კი — აფრიკატი!).

ასე რომ, შ > ჩ პროცესს საფუძველი აქვს განხორციელდეს 27 პოზიციაში.

დარჩა წმინდა სპირანტებისა (ვ, ზ, ს, ყ, შ, ჰ) და ხმოვნების (ბ, ე, ი, ო, უ) მეზობლობის პოზიციები: სულ 11, სადაც შ > ჩ ფონეტიკური პროცესი არ უნდა ხდებოდეს იმის გამო, რომ წინა მეზობელი თანხმოვანი არახშულია.

ასეთ ვითარებაში ანალოგია, რა თქმა უნდა, მოსალოდნელი იყო განსაკუთრებით იმ დიალექტებში, სადაც შ^ს აფრიკატიზაცია უკვე განხორციელებულია ჩამოთვლილ 27-სავე პოზიციაში და სადაც ჩ^ს უკვე გაბატონებული მდგომარეობისათვის მიუღწევია (მოხეური, პირიქითა ხევსურული, ფერეიდნული). ასეც არის: აღნიშნულ დიალექტებში უკვე ფაქტია შ^ს შეცვლა ჩ^ს-თი სპირანტების: ვ, ზ, ს, ყ, შ^სა და ხმოვნების მეზობლობაშიც.²⁴

24. ეს როდი ნიშნავს იმას, რომ -ში თანდებული აქსრულებით არ გვხვდება. მაგალითად, მოხეურში ფიქსირებულია: მამრე გადაიყვანეს ტყუეთ თავის საკელმწიფოში (ქდ 43,5). ოლონდ შენ გაიტაცე ის ქალი და ჩუენ გაგაცილებთო საზღორშიო (ქდ 43,1). მამრე იმას არშის ციხეში უცხოვრნია (ქდ 45,30)...

შდრ. გ. ცოცანიძე, სპირანტის აფრიკატიზაციის ერთი შემთხვევა... გვ. 111-113.

ანალოგია შედარებით ნაკლებად უნდა გვექონოდა ისეთ დიალექტებში, სადაც შ და მისი მონაცვლე ჩ ერთად იხმარება (უფრო ხშირად, თუ უფრო იშვიათად) და ასეც არის: ამ დიალექტებში, იმ მასალის მიხედვით, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში მოგვეპოვება და რომელიც ჩვენ ზემოთ მაქსიმალურად წარმოვადგინეთ, ანალოგიის შემთხვევები აღნიშნული წმინდა სპირანტებისა და ხმოვნების მეზობლობაში იშვიათია.

დასკვნა: შ > ჩ ჩვეულებრივი ფონეტიკური მოვლენაა ქართველურ ენებში, სალიტ. ქართულსა და მის ყველა დიალექტში (ინგილოურის გამოკლებით). ის კომბინატორული ხასიათის ფონეტიკური პროცესია და არა სპონტანური.²⁵ ეს ცვლილება გამონვეულია ხშულ თანხმოვანთა მეზობლობით: მეზობელი ხშული თანხმოვნის არტიკულაციისას ხშვის კომპონენტის ნაწილობრივი შეერთება (შერწყმა) შ სპირანტის ნაპრალოვან არტიკულაციასთან იძლევა ჩ აფრიკატს, ანუ ხშულ-ნაპრალოვან თანხმოვანს. ასეა ხშული თანხმოვნის მომდევნოდ, მასთან უშუალო მეზობლობაში. ასეთივე ვითარებასთან გვაქვს საქმე ხშულის წინა პოზიციაშიც, მაგრამ ამაზე — სხვა დროს.

დამოწმებული ლიტერატურა

1. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949.
2. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი შ., სპირანტთა აფრიკატიზაციის საკითხისათვის ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში, საქ. მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის VI(XII) სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1955.

25. შდრ. ი. ქ ბ ა ლ ა ვ ა, აფრიკატიზაციისა და დეაფრიკატიზაციის პროცესები... გვ. 72.

3. გიგინეიშვილი ი., თოფურია ვ., ქავთარაძე ი., ქართული დიალექტოლოგია, I, დიალექტთა განხილვა. ტექსტები. ლექსიკონი, თბილისი, 1961.
4. იმნაძე ნ., ზანური ენის მეგრული დიალექტის ბგერითი შედგენილობა, თბილისი, 1981.
5. კიზირია ნ., ჭანურის ბგერითი შედგენილობა, თბილისი, 1980.
6. ლეჟავა ლ., შენიშენები ზემო სურების მეტყველებაზე, იკე, XIV, თბილისი, 1964.
7. ლომთაძე ა., მიცემითი ბრუნვის მორფემისათვის მეგრულში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, I, თბილისი, 1972.
8. მარტიროსოვი არამ., თანდებული ქართულში, იკე, I, თბილისი, 1946.
9. მეგრელიძე ი., მიცემითი ბრუნვის ნიშნისა და მესამე პირის სუბიექტური ნიშნის სახეცვლილება გურულში, თსუ შრომები, ტ. VI, 1938.
10. ნიჟარაძე შ., ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ, ბათუმი, 1961.
11. ნოლაიდელი ჯ., ნარკვევები და ჩანაწერები, ნ. II, ბათუმი, 1972.
12. როგავა გ., ყრუ შიშინა სპირანტთა შერწყმის ერთი თავისებური შემთხვევა ქვემო-ადილეურსა და ქართულში, იკე, II, თბილისი, 1948.
13. ფოგტი ჰანსი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი, 1961.
14. ქობალავა ი., აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები იბერიულ-კავკასიურ ენებში, იკე, IX-X, თბილისი, 1958.
15. ცოცანიძე გ., სპირანტის აფრიკატიზაციის ერთი შემთხვევა ქართულ დიალექტებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, თბილისი, 1974.

ზ და შ სპირანტთა აფრიკატიზაცია

§ 10. ზ > ძ

ცნობილია, რომ ქართულში ხდება ზ მჟღერი სპირანტის აფრიკატიზაცია: ზ > ძ. მისი შესწავლის ისტორია ასეთია:

ჯერ კიდევ 1925 წელს ვ. თოფურია მ ქართული ენის ქართლური დიალექტის შესახებ წარმოდგენილ გამოკვლევაში — „ქართლური“ — სიტყვებში: საბძელი, სამძღვარი და ძრახვა'ში ზ'ს ადგილას ძ'ს წარმოიჩენა სუბსტიტუციად (ანუ ბგერათშენაცვლებად) მიიჩნია.¹

ს. ყელენტიშა გურულ დიალექტში და ჯ. ნოლაიდელოშა აჭარულში სიტყვა-ფორმა გვერდძე < *გვერდზე, ტახძე < *ტახტძე < *ტახტზე ზ > ძ მოვლენა ბგერათმონაცვლებად ცნეს.²

გ. ახვლედიანი მ საბძელ სიტყვაში ზ > ძ პროცესი „უეჭველ ბგერათსუბსტიტუციად“ ჩათვალა.³

ა. შანიძემ აღნიშნულ სიტყვაში ზ > ძ მოვლენა ბგერათშენაცვლებად მიიჩნია.⁴

პ. გაჩეჩილაძეს ზემოიმერულის, კერძოდ, ხანურ-ზეგნური მეტყველების სიტყვა-ფორმებში: გვერძე (< გვერდზე), ხიძე (< ხიდზე), ქუძე (< ქუდზე) ზ'ს ადგილას ძ'ს არსებობა ჩათვლილი აქვს „კომპლექსთა ცვლილებად“.⁵

1. ვ. თოფურია, ქართლური, „არილი“, ტფ., 1925, გვ. 137.

2. ს. ყელენტი, გურული კილო, გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი, ტფ., 1936, გვ. 49. ჯ. ნოლაიდელო, აჭარის ხალხური სიტყვიერება, (ზღაპრები, არაკები, ლექსები, გამოცანები, ანდაზები), ნ. 1, ბათომი, 1936, გვ. 81, 87.

3. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949, გვ. 227; ზოგადი ფონეტიკის შესავალი, თბ., 1966, გვ. 182.

4. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953, გვ. 22.

5. პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის ხანურ-ზეგნური მეტყველება, იკე, ტ. VIII, თბ., 1956, გვ. 123.

კახურში -ზე თანდებულის -ძე'დ შეცვლასთან დაკავშირებ-
ბით არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი და გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი წერენ:
„სპორადულად გვხვდება... კომბინატორული აფრიკატიზაციის
მოვლენები; მაგ., ფუძისეულ დ-სთან -ზე თანდებულის ზ თან-
ხმოვნის შერწყმით ვიღებთ წინაენისმიერ ხშულ ძ-ს; გ ვ ე რ
ძ ე (< გ ვ ე რ ღ ზ ე).“⁶

ბუნებრივია, იბადება კითხვა: თუ ღზ კომპლექსის შერწყმა
გვაძლევს ძ'ს, როგორ ხდება, რომ ამავე დიალექტში ზ სპირანტი
რ'ს მეზობლობაში დ'ს გარეშეც გადადის ძ'ში: არზა > არძა,
ვდღურზი > ვდღურძი)...

ასეა სხვა ხშულ თანხმოვნებთან უშუალო მეზობლობის დრო-
საც: საბძლევში < *საბზლევში, საგძალი < *საგზალი, სამძღვარი
< *სამზღვარი, შეკმანძა < *შეკმანზა... ჩანს, ზ'ს აფრიკატიზაციი-
სათვის არაა აუცილებელი დ'სთან შერწყმა. ის ამის გარეშეც
ბუნებრივია, თუ რომელიმე ხშულ თანხმოვანთან მეზობლობს.

სხვაგან არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი და გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი
ლ ი წერენ: „კახურში ადგილი აქვს სპირანტთა სპონტანური
აფრიკატიზაციის (ხაზი ჩვენია. ა. ლ.) მოვლენებს. ამ ნიადაგზე
ა). ზ იქცევა ძ'-დ; მაგ.: საგძალი: ჩაიდო ს ა გ ძ ა ლ ი... ს ა გ-
ძ ა ლ ი არ შეიტანეს (არჩ., II, 77); ცხენი შეკმანძა; შეკმანძული,
ცხენი ს ა კ მ ა ნ ძ ა ვ ი; სიძმარი: ს ი ძ მ ა რ ი ვ ი თ მახსომს;
არძა, ბენძიმი, გ ა ნ ძ რ ა ხ ა მაქ; ფხიძელი, მძვარეულები,
სამძღვარი (1700 წ., დოკ. 374), საძღვრით (1751 წ., სიძვ. III, 462),
დაენიშნა სამძღვარი (ილია, VI, 106) და სხვ.“⁷

„ანალოგიური მაგალითები დასტურდება, აგრეთვე, ქარ-
თლურსა და გურულშიო“.⁸

არის კი ეს მოვლენა სპონტანური?

რა თქმა უნდა, არა. აქ საქმე გვაქვს ზ სპირანტის აფრიკატი-
ზაციასთან ხშულის (გ, ნ, რ, მ) მომდევნოდ: საგძალი < საგზალი,
შეკმანძა < შეკმანზა... არძა < არზა, ბენძიმი < ბენზიმი... განძრახა

6. არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის კახური
დიალექტი, გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ, თბ., 1956, გვ. 47.

7. იხ. არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი და გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის კახური
დიალექტი... გვ. 47.

8. ვ. თოფურია, ქართლური... გვ. 137; გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, არაგვის ხეობის
ქართლური, იკე, ტ. IV, თბ., 1953, გვ. 314; ს. ჟღენტი, გურული კილო... გვ. 49.

< განზრახვა, მძვარეულები < მზვარეულები... სამძღვარი < სამ-
ზღვარი... ე.ი. მოვლენა კომბინატორული ხასიათისაა: წინამავალი
ხშული თანხმომენის გავლენით სპირანტი ზ ქცეულია ძ
აფრიკატად ისე, რომ თვით ხშული თანხმომენი
შენარჩუნებულია! (ამგვარად, თანხმომენთა კომპლექსის შერ-
წყმაც არ ხდება!).

არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი ს ხვა ნა შ რ ო მ შ ი ზ > ძ ფონეტიკურ
პროცესს ს ა მ ძ ღ ვ ა რ სიტყვაში სწორედ არასპონტანურ
მოვლენად აცხადებს, როცა მას შენაცვლებად თვლის.⁹

ზ > ძ'ს სუბსტიტუციად მიიჩნევს გ. შ ა ლ ა მ ბ ე რ ი ძ ე
ფორმებში: განძრახვა (< *განზრახვა), საბძელი (< *საბზელი),
საგძალი (< *საგზალი) ქართლურ დიალექტში, კერძოდ, მწერალ
ს. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი ს ენაში: ვერ მათქმევიწებდით...
მათ გ ა ნ ძ რ ა ხ ვ ა ს; მისი თავი ცარიელი ს ა ბ ძ ე ლ ი იყო;
მოგვექონდა თან ს ა გ ძ ღ ა დ პური.¹⁰

ზ > ძ ფონეტიკურ პროცესს გაკვრით ვეხებოდით ჩვენც
სტატიაში — „მიცემითი ბრუნვის მორფემისათვის მეგრულში“,
სადაც წამოვაცყენეთ დებულება, რომ ზ > ძ (საბზელი > საბძელი)
ფონეტიკური პროცესის ს > ც, შ > ჩ, ყ > ჯ მოვლენასთან
ერთად არის შედეგი ხშულ თანხმომენთან (მოცემულ
შემთხვევაში ბ'სთან) მეზობლობისა, უფრო ზუსტად მისი
არტიკულაციისას ხშვის ელემენტის ნაწილობრივი შერწყმისა
მეზობელი სპირანტის ღრიჭოვნებასთან.¹¹

დასმულ საკითხს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა
გ. რ ო გ ა ვ ა მ.¹²

ს ა ბ ძ ე ლ სახელთან დაკავშირებული ფონეტიკური პროცე-
სის (ზ > ძ) განხილვისას გ. რ ო გ ა ვ ა არ იზიარებს
სხვადასხვა ავტორის დებულებებს სუბსტიტუციის შესახებ და
გვთავაზობს ახალ თვალსაზრისს. ის ფიქრობს, რომ „ამ

9. იხ. არ. მარტიროსოვი, დიალექტიზმები XV-XVIII სს. კახურისტორიულ
საბუთებში, იკე, ტ. IV, თბ., 1953, გვ. 257.

10. გ. შ ა ლ ა მ ბ ე რ ი ძ ე, დიალექტიზმები ს. მგალობლიშვილის
მოთხრობებში, იკე, ტ. IX-X, თბ., 1958, გვ. 159.

11. იხ. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1972, I, გვ. 116.

12. გ. რ ო გ ა ვ ა, დისიმილაციური აფრიკატიზაციის ერთი კანონზომიერება
ქართულში (საბძელი < საბზელი), იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების
წელიწადური, ტ. X, თბ., 1983, გვ. 43-49.

შემთხვევაში ზ > ძ პოზიციური ხასიათის ბგერათშენაცვლებაა, სახელდობრ, პროგრესულ-დისიმილაციური აფრიკატიზაცია“ (ხაზი ავტორისაა. ა. ლ.). აღნიშნული ფონეტიკური პროცესის განხორციელებისათვის კი, მისი თვალთახედვით, სიტყვაში ორი მონაცემის არსებობაა აუცილებელი: თავკიდური (წინამავალი) ს ყრუ სპირანტისა და მჟღერ-ხშული თანხმოვანი + ზ კომპლექსისა: ბზ, გზ, მზ... საბზელი > საბძელი, საგზალი > საგძალი, სამზღვარი > სამძღვარი, სამზიარი > სამძიარი, სამზირი > სამძირი.¹³ ვინიცობაა, დასახელებულ მონაცემთაგან ერთ-ერთი არ იქნება წარმოდგენილი, კანონზომიერება არ იქნება დაცული.¹⁴

თუ ეს ასეა, ცხადია, საფუძველს მოკლებულია დებულების ავტორის მიერ იმის დაშვება, რომ ს ი ზ მ ა რ სიტყვაში შესაძლებელია მოხდეს პროგრესულ-დისიმილაციური აფრიკატიზაცია, რადგან აქ თავკიდური ს კი გვაქვს, მაგრამ მჟღერ-ხშული + ზ კომპლექსი არ მოგვეპოვება. გვაქვს ზმ კომპლექსი, სადაც მჟღერხშული მ წინ კი არ უძღვის ზ სპირანტს, არამედ მოსდევს. მაშასადამე, ამ შემთხვევაში ზ'ს აფრიკატიზაცია არ უნდა ხდებოდეს, მაგრამ აკი არის: სიზმარი > სიძმარი ჩვეულებრივია. ავტორის დებულების მიხედვით, ეს ფაქტი აუხსნელი რჩება.

ვერ დავეთანხმებით პატივცემულ ავტორს იმაშიც, რომ ბზ, გზ, მზ... „კომპლექსის ზ სპირანტი არ გააფრიკატდება წინამავალი ს სპირანტის გარეშე“. აკი გვაქვს სიტყვაფორმები: გ ა - ნ ი ბ ძ ა რ ო ს, გ ა ნ ე ბ ძ ა რ ო ს: ლომისაგან აღარა განიბძაროს (თემს 140); ძირი არ განებძაროს (გურამიშვი., 73). აქ ხომ ფაქტია ზ > ძ პროცესი, მაგრამ წინ დისტანციური ს სპირანტი სიტყვას არ გააჩნია?

მართალია, „თავკიდური ს სპირანტის გარეშე გზა სიტყვაში არც ერთ ქართულ კილოში ზ არ გადადის ძ'ში“, მაგრამ განა ეს ნიშნავს იმას, რომ მას წილი უდევს ზ'ს გააფრიკატებაში? არა! აკი, დადასტურებულია სიტყვა გ ი გ ძ ა ნ ი (ჯ. ნოღ., აჭარ. 20) < *გიგზანი. სადაა აქ დისიმილაციისათვის საჭირო დისტანციური ს ? არსად. ზ კი აფრიკატიზაციას მაინც განიცდის.

13. იქვე, გვ. 43-45.

14. იქვე, გვ. 43.

ამ მაგალითებიდან გამომდინარე, სავსებით დასაშვებად უნდა მივიჩნიოთ ზ სპირანტის გააფრიკატება ნებისმიერ ხშულთან თავკიდური ს სპირანტის გარეშე. აღნიშნულ ს'ს ამ ფონეტიკურ პროცესში არავითარი როლი არ ეკუთვნის (დანვრ. იხ. ქვემოთ).

გ. რ ო გ ა ვ ა აღნიშნული პროგრესულ-დისიმილაციური აფრიკატიზაციისაგან (საბძელი < საბზელი...) განასხვავებს ზ სპირანტის „ოდენ კონტაქტური (კომპლექსური) ხასიათის“ აფრიკატიზაციას, ე. ი. ისეთ შემთხვევებს, სადაც ზ'სპირანტიან ბგერათკომპლექსს წინ არ უძღვის ს სპირანტი. ქართული ენის დიალექტებში და ძველი ქართული ენის ტექსტებში ავტორი თვლის „ზოგ შემთხვევას“, მაგალითად ისეთს, როგორცაა: ზრაბ > ძრაბ: განვიძრაბე, ზედაზნელი > ზედაძნელი, ბელზებელი > ბელძებელი...¹⁵

ზანური ენის მეგრული დიალექტის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში: გურ-ს > გურ-ც „გულს“, თოლ-ს > თოლ-ც „თვალს“, ტვინ-ს > ტვინ-ც „ტვინს“

ასევე, ქართული ენის გურულ დიალექტში: ელისაბედი > ელსაბედი > ელცაბედი¹⁶

უპირველეს ყოვლისა, უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი მაგალითები საკმაოდ მრავალრიცხოვანია. ის დამახასიათებელია ქართულის თითქმის ყველა დიალექტისათვის, ამავდროს, კოლხურისა და სვანურისათვის¹⁷ და, ამდენად, მათი მიჩნევა „ზოგ შემთხვევად“, არა გვგონია, გასაზიარებელი იყოს.

რითი ხსნის გამოკვლევის ავტორი აღნიშნული ოდენკონსტრუქციული (კომპლექსური) ზ სპირანტის აფრიკატიზაციის მოვლენებს?

მკვლევარი იზიარებს სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილ დებულებას და ზ სპირანტის გააფრიკატებას მოცემულ შემთხვევაში მიაწერს წინმავალ ან მომდევნო რ, ლ, ნ სონანტებს, მაგრამ არაფერს ამბობს იმაზე, თუ რატომ იწვევენ ისინი მეზობელი ზ სპირანტის აფრიკატიზაციას, მიუთითებს

15. ი ქ ვ ე, გვ. 45-46.
16. ი ქ ვ ე, გვ. 46.
17. ი ქ ვ ე, გვ. 45-46.
18. ი ქ ვ ე, გვ. 46.

ი. ყ ი ფ შ ი ძ ი ს გრამატიკაზე.¹⁸ აქ კი წერია, ს > ც თანხმოვნებთან მეზობლობაშიც ხდება და ხმოვნებთან მეზობლობაშიცო¹⁹ (კო-ს, კო-ც... ოსურ-ს, ოსურ-ც...), რაც არა-რეალურია.

ეს მოსაზრებაც, ჩვენი შეხედულებით, სარწმუნო არაა, რად-გან აღნიშნული ფონეტიკური პროცესი ა რ ა ს ო ნ ა ნ ტ ხშულ თანხმოვნებთან კონტაქტურ მეზობლობაშიც ხორ-ციელდება და არა მარტო ქართულში, არამედ ქართველურ ენებში საერთოდ.²⁰ შდრ. ქართ. გიგზანი > *გიგძანი, მეგრ. ჩხოულეფ-ს > ჩხოულეფ-ც, სვან. თწრინგ ზელ (ბზ.) „მთა-ვარანგელოზი“ > *თარინგძელ > თწრიძელ „ანგელოზი“ (ლაშხ.)...

მასალის დეტალური ანალიზი გვიჩვენებს, რომ სიტყვათა ორსავე ჯგუფში, როგორც ს ა ბ ძ ე ლ სიტყვის ტიპში, ისე ბ ე ლ ძ ე ბ ე ლ სიტყვაში, ზ სპირანტის აფრიკატიზაცია ერთ კანონზომიერებას ემორჩილება: ესაა ნებისმიერ ხ შ უ ლ თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ ა ნ მ ე ზ ო ბ ლ ო ბ ა; ხშულისა და სპირანტის არტიკულაციისას ხშვის ნაწილობრივი შერწყმა სპირანტის ღრთქოვნებასთან. ამიტომ გვაქვს სწორედ ზ'ს აფრიკატიზაცია სიზმარ ფუძეში: ს ი ზ მ ა რ > ს ი ძ მ ა რ. ასე რომ, დისტანციური თავკიდური ს აქ არაფერ შუაშია. პრო-ცესი ზუსტად ისეთია, როგორც გვაქვს ბელზებელ > ბელძებელში.

ზემოთ თქმულის დასამტკიცებლად თავდაპირველად გავეც-ნოთ ვითარებას ქართულში.

აჭარული:

ბზ > ბძ: ს ა ბ ძ ე ლ ა თ ი — სათესი, ტყე (სიხ. 94, 108, 115), ს ა ბ ძ ე ლ ა თ ი ვაკე — სათესი, საძოვარი (სიხ. 94, 115), ს ა ბ ძ ე ლ ა ნ თ ი — სათესი (სიხ. 108), იქით გუერჩი ერთი ს ა ბ ძ ე ლ ი იდგა (ნიუ., ზ. აჭარ. 169,12). მაშინ შენ და ასლან-

19. იხ. И. К и п ш я д з е, Грамматика мингрельского (иверского) языка, С.-Петербург, 1914, გვ. 024.

20. ა. ლ ო მ თ ა ძ ე, მიცემითი ბრუნვის მორფემისათვის... გვ. 110-112.

ემომ ს ა ბ ძ ე ლ ი შიაფაჩინკეთ (ნიუ., ზ. აჭარ. 177,32).

გზ > გძ: საგზალი > ს ა გ ძ ა ლ ი: ერთი დღის სამგზავრო ს ა გ ძ ა ლ ი გამიკეთეთო (ნიუ., ზ. აჭარ. 219,6). მას განსაკუთრებით მგზავრობაში იყენებენ ს ა გ ძ ლ ა თ (ნიუ., ზ. აჭარ. 160,31). გ ი გ ძ ა ნ ი (< გ ი გ ზ ა ნ ი) (ჯ. ნოლ., აჭარ. 20).

დზ > დძ > ძ: ძალლი ხ ი ძ ე (< ხიდზე) გავახტუმლე (ნიუ., აჭარ. 171,15). პანა— მიდექ გ ვ ე რ ძ ე (< *გვერდზე). რას მესიბლები გზაში, ჭო! (იქვე, 172,18). ამ ძინარე კაც გ ვ ე რ ძ ე (< *გვერდზე) ხმალი აქ დადებული (იქვე, 219,28). ბოსლი გ ვ ე რ ძ ე საქათმე მიაშენა თურმი (იქვე, 47,5).

რზ > რძ: ჭალობის დრო მოგვადგა კ ა რ ძ ე (< კარზე) (ნიუ., ზ. აჭარ. 168,9).

ლზ > ლძ: — შიდან მოხვალ, ისაყავ, ამ და ლ ა მ ე ბ უ ლ ძ ე (< დაღამებულზე) ასე გ ა ყ ვ ა ვ ი ა ნ ე ბ უ ლ ი? (ნიუ., ზ. აჭარ. 166,27). — ჰაჲდამ მოხვალ, ჯეფერავ, ამ შ ე გ ვ ი ა ნ ე ბ უ ლ ძ ე (< შეგვიანებულზე)? (იქვე, 168,5). თ ვ ე ლ ძ ე (< თველზე) რომ ხარები ჩამოვლენ, ახალი დავანსოთ (იქვე, 168,2). ამაზე დივმა მეჯბა ნ ე ლ ძ ე (< ნელზე) და მელასაც მუაბა ნ ე ლ ძ ე ბანარი (ქდ 409,22).

ნზ > ნძ: ე ლ ა ნ ძ ე²¹ (იქვე, I, 340) „ერთ წუთას“, „ერთ წამში“, „სწრაფად“, „მალე“

მზ > მძ: ს ა მ ძ ღ ვ ა რ ი < *სამზღვარი (ნიუ., ზ. აჭარ. 46,1). ნ ა მ ძ რ ა ლ ი < *ნამზრალი (ტოპონიმი) „საძოვარი“ (სიხ. 59). ს ა მ ძ ი ა რ ი < სამზიარი (ტოპონიმი) „სათესი“ (სიხ. 63, 82, 47, 57). ს ა მ ძ ი ა რ ი (ჩაი) (სიხ., III, 137), ს ა მ ძ ი ა რ ი < სამზიარი (ტოპონიმი) „საძოვარი“ (სიხ. 14), ს ა მ ძ ი რ ი ქედი (ტოპონიმი) „საძოვარი“ (სიხ. 59). მ უ თ ა ნ ა ძ ი ა რ ე ვ ი < მ უ თ ა ნ ა მ ძ ი ა რ ე ვ ი < მუთანამზიარევი (ტოპონიმი) „სათესი“ (სიხ. 73). ს ა მ ძ ო რ ი ა (ტოპონიმი) < სამზორია — ტყე, მინდორი (სიხ. 77). ს ა მ ძ ლ ი ა < სამზლია (სიხ., II, 60). ო თ ხ ნ ა ძ ი ა რ ე ბ ი (საძოვარი) ოთხნაზიარები (სიხ. 75). ს ა მ ძ ღ ვ ა < *სამზღვა (ტოპონიმი)...²²

21. ე ლ ა ნ ძ ე < *ელანზე < *ერთლანდზე.

22. შდრ. ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1878, გვ. 455.

გურული:

გზ > გძ: სამი პური ერთმა წეილო ს ა გ ძ ლ ა თ, სამი — მეორემ (ქდ 434,25). ამას აღარა აქ ს ა გ ძ ა ლ ი მეტი (ქდ 434,31).

ბზ > ბძ: საბზელ-ი > ს ა ბ ძ ე ლ - ი (ჯორბ., დიალექტ. 549).

ლზ > ლძ: ერჯელ, ჯდებიენ ს ა ჭ მ ე ლ ძ ე, იი დროა... (ქდ 418,5). ავკიდე აი პური და წევილე წ ი ს ქ ფ ი ლ ძ ე დასაქფოვათ (ქდ 421,4). გამუაცხვეთ და დავარიგეთ ს ტ ო ლ ძ ე იი (ქდ 421,11).

წზ > წძ: ჩამოი ე ლ ა ნ ძ ე („ერთ წუთას“) ძირში! (ლეუ., იკე, XIV, 203). ზდრინგა ჯოხი წ ე ლ ძ ე (ქდ 419,30).

მზ > მძ: ს ა მ ძ ღ ვ ა რ ი < *სამზღვარი

იმერული:

გზ > გძ: ერთი კაი ცხვარი მამეცით ს ა გ ძ ლ ა თ და ერთი პურიო (ქდ 463,9).

ღზ > ღძ > ძ: ქუდი გ ვ ე რ ძ ე (< გვერდზე) მოუქცევია (იკე, VIII, 123). ხ ი ძ ე (< ხიდზე) გასვლის ქე ეშინია (ი ქ ვ ე). ქ უ ძ ე წითელი მასკვლავი აქ ბიძიას (ი ქ ვ ე).

წზ > წძ: ს ა ნ ძ ღ ვ ა რ ი < *სანზღვარი. გ ა ნ ძ რ ა ხ < *განზრახ (ჯორბ. 455).

მზ > მძ: ეგებო ქე დ ა მ ძ რ ა ხ ო, მარა, როცა აღარ შეგეძლება, სიცოცხლეს რაღას ეკიდები (ქდ 441,6). თათრები მეძალებიან ს ა მ ძ ღ ვ ა რ ზ ე < სამზღვარზე (ქდ 469,17). დ ა მ ძ რ ა < დამზრა...

რზ > რძ > ძ: ქუდი გ ვ ე რ ძ ე (< *გვერდზე < გვერდზე) მოუქცევია (იკე, VIII, 123).

ლეჩხუმური:

ბზ > ბძ: ტაროს ნარჩევს ფუჩეჩს გავახმოვო მზეზე და შევინახავთ ს ა ბ ძ ე ლ შ ი (ქდ 492,15).

რაჭული:

მზ > მძ: ჩემო მ ძ ა ხ ა ლ ო (< მზახალო) (ქდ 529,24) |
კეთილი იყოს ჩვენი მ ძ ა ხ ლ ო ბ ა ო (ქდ 528,36)! ერთი
კვირის შემდეგ ნეფი პატრონი გამოიპატიუებდა მ ძ ა ხ -
ლ ე ბ ს (ქდ 529,13).

ნზ > ნძ: ს ა ნ ძ ღ ვ ა რ ი (ძიძიგ. 213) < *სანზღვარი.

მზ > მძ: გაიტანეს თავის ს ა მ ძ ღ ვ ა რ შ ი (ძიძ., ქდმ
90,40).

რზ > რძ: „მეორე გ ვ ე რ ძ ე ვერ გადაატრიალეს და... (ძიძ.,
ქდმ 192,26). ი ტყავი დარჩა, რომ ველარ გადააბრუნეს, იმ
გ ვ ე რ ძ ე ო (იქვე, 192,27).²³

გზ > გძ: წადი, მოკალი ირემი, იქნება შენი ს ა გ ძ ა -
ლი ო (იქვე, 101,15).

ქართლური:

ბზ > ბძ: ს ა ბ ძ ე (< საბზე) ურემი — საბზევე ურემი,
ჭალებზე (გვერდებზე), წინ და უკან ლასტებაკრული ურემი
ბზის წასალებად (ქდ 641). მისი თავი ცარიელი ს ა ბ ძ ე ლ ი (<
საბზელი) იყო (შალ. 128).²⁴ აიტანეს, ახლოა ს ა ბ ძ ე ლ ი (ქდ
275,3). იმით ბოსელი და ს ა ბ ძ ე ლ ი ც გაკეთდება და
სახლიც (ქდ 310,9) ს ა ბ ძ ე ლ ი (ქართლ. 137).

გზ > გძ: მიგვექონდა თან ს ა გ ძ ღ ა დ (< საგზლად)
პური.²⁴ საგძალი (იმნ., ქართლ., I, 155).

მზ > მძ: სამძღვარი (< *სამზღვარი) — საზღვარი, მიჯნა
(ქდ 641). ს ა მ ძ ღ ვ ა რ ი (ქართლ. 137). ახუნდო, ჩემი ქმარიო
ს ა მ ძ ღ ვ ა რ გ ა რ ე თ არისო (ქართლ. დ., II, 66,20). ვერ
შიატყოფთ ჩვენ ს ა მ ძ ღ ვ ა რ ს ა (იქვე, 68,8). ნ ა მ ძ რ ა -
ლი (< ნამზრალი) — მზრალად ხნული, შემოდგომით

23. შდრ. ბ. ფ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია... გვ. 40.

ავტორი ფიქრობს, რომ ზ'ს გააფრიკატიება შედეგია დ ხშულისა და ზ
სპირანტის შერწყმისა: გვერდზე > გვერძე, რაც არ უნდა იყოს სწორი.

24. გ. შ ა ლ ა მ ბ ე რ ი ძ ე, დიალექტიზმები ს. მგალობლიშვილის
მოთხრობებში... გვ. 159. ავტორს ეს მოვლენა სუბსტიტუციად მიაჩნია, რაც არ
უნდა იყოს მართებული.

მოხნული მიწა (ქდ 640). იმათ ნ ა მ ძ რ ა ლ ი (< ნამზრალი) დავარქოთ (ქდ 272,17).

ნზ > ნძ: ვერ მათქმევინებდით... მათს გ ა ნ ძ რ ა ხ ვ ა ს (< განზრახვას) (შალ. 29). ბ ე ნ ძ ი ნ ი (< ბენზინი) ქართლ. დ., I, 155)...²⁵

რზ > რძ: ა ნ დ ე რ ძ ი (< ანდერზი. შდრ. სპარს. ა ნ - დ ა რ ზ, ხევს. ა ნ დ რ ე ზ ი, მეგრ., ა ნ დ რ ე ზ ი < * ა ნ - დ ე რ ზ ი)...

მესხური:

ღზ > ღძ: გვერდ-ზე > გ ვ ე რ-ძ ე...

ჯავახური:

აფრიკატიზაცია აქ ხდება „ცალკეული ბგერების გართულე-ბით ან ორი მარტივი ბგერის შერწყმით... ეს მოვლენა სისტემური არაა“:

ნზ > ნძ: უ ნ ძ რ ა ხ ო ბ ა < *უნზრახობა — 1. უღრმესი პატივისცემა, 2. ბარაქის დასამკვიდრებელი რიტუალი: „უ ნ ძ რ ა ხ ი წყლის მოტანა“. „უ ნ ძ რ ა ხ ი კარაქის ამოღება“. 3. გაბუტვა, დამდურება: შენ უ ნ ძ რ ა ხ ა თ ხარ მაგასთან?²⁶

მზ > მძ: ს ა მ ძ ღ ვ ა რ ი < *სამზღვარი, დ ა მ ძ რ ა - ლ ი < დამზრალი...

ბზ > ბძ: ს ა ბ ძ ე ლ ი < საბზელი, ბ ძ ა რ ი < *ბზარი...²⁷

კახური:

ბზ > ბძ: ხან სხვნეფში ავდიოდი, იქ ვიმალებოდი, ხან ს ა - ბ ძ ღ ე ფ შ ი ვიმალებოდი (ქეკდ 5,6).

25. ავტორი ამ ფაქტს და მსგავს მოვლენებს (საგძალი და სხვ.) სპონტანური ცვლილების შედეგად თვლის, რაც არ უნდა იყოს სწორი.

26. შდრ. „ვეფხისტყაოსანში“: „მიუყოლობა არ ვარგა, დამნამებს უ ზ რ ა - ხ ო ბ ა ს ა“ (360,2).

27. გრ. ბ ე რ ი ძ ე, ქართული ენის ჯავახური კილო, თბ., 1988, გვ. 62, 197.

გზ > გძ: ჩაიდო ს ა გ ძ ა ლ ი (<საგზალი)... ს ა გ ძ ა -
ლ ი არ შეიტანეს (არჩ., II, 77). ორივედვიან ს ა გ ძ ა ლ ი
მამზადებინოსო (ქექდ 143,11).

მზ > მძ: ს ა მ ძ ღ ვ ა რ ი (<სამზღვარი. 1700 წ. დოკ. 374).
თუ ცხვარი დ ა მ ძ რ ა ლ ი (<დამზრალი) მოიდა, მაშინ
ბინა— მოუთბუნებთ (ქექდ 166,16). მ ძ ვ ა რ ე უ ლ ე ლ ე ბ ი
(1700 წ. დოკ. 374) < მზვარეულები < *მზარეულები...

წზ > წძ: ცხენი შ ე კ მ ა ნ ძ ა (<შეკმანზა) „შეკაზმა“.
შ ე კ მ ა ნ ძ უ ლ ი (<შეკმანზული), ცხენის ს ა კ მ ა ნ ძ ა ვ ი
(საკმანზავი) (1700 წ. დოკ. 374). ეგრე შ ა კ მ ა ნ ძ უ ლ ი
ცხენით ეს ვინ შამოიდაო (ქექდ 121,29). გ ა ნ ძ რ ა ხ ა (<
განზრახა) მაქ... (1700 წ. დოკ. 374).

რზ > რძ: ა რ ძ ა < არზა... ხან ჯავრისაგან წინალამ საკრე
არა ვ დ ლ ლ უ რ ძ ი (<ვდლლურზი) ხოლმე (ქდ 222,6).

ღზ > ღძ > ძ: გ ვ ე რ ძ ე (<*გვერდზე). მოუდექო,
გ ვ ე რ ძ ე ოთახია (ახვლ., ფონ. შენ. 117). ჩემ გ ვ ე რ ძ ე რო
ოთახია, იქ შეიყვანეთ (ქექდ 123,33). ვარცლიც დაუდგა
გ ვ ე რ ძ ე (ქექდ 121,16).

თიანური:

ბძ < ბზ: ს ა ბ ძ ე ლ შ ი გაზრდილვარ, ნაგდებ-ნუგდები
(ქდ 149,26).

ფშაური:

გზ > გძ: ამოვილე გუდიდან ს ა გ ძ ა ლ ი და დავიწყე
პურის ქამა (ვაჟა). გამიხარდიმ... მოიხსნა ს ა გ ძ ლ ი ა ნ ი
გუდა (ვაჟა). ბევრი მეზობლის ბიჭი შესცქეროდა სიმსუნაგით...
ს ა გ ძ ა ლ ი ხურჯინს (თ. რაზიკ.). თქვენ ჩაგიდევით ს ა გ -
ძ ა ლ ი (რაზიკ. 63,129).

წზ > წძ: ჯორო კი შაკონეს დიდის საბლითა და ისრ დააგდეს
ბ ა ნ ძ ე დ ა (ქდ 142,34).

ლზ > ლძ: ამ ქობში ს ა კ ი დ ე ლ ძ ე ჩამოცოცდა დიდი
გველი-დ' ჩეეშვა ქობშია (ქდ 141,9).

მთიულური:

ღზ > დძ > ძ: გ ვ ე რ ძ ე < *გ ვ ე რ დ ძ ე < *გვერდზე
(ქდ 566)...

მოხეური:

გზ < გძ: ს ა გ ძ ა ლ ი (ქდ 563) < საგზალი. დედაკაცები
წინას დღეს გააკეთებდეს ს ა გ ძ ა რ ს ა (< საგზარსა) (ქდ
27,33). ვახთანგმა თავის ს ა გ ძ ა რ ი დაუტოვა ამათა (ქდ
45,5).

ხევსურული:

გზ < გძ: დილა მალედ, ღამიანად ჩაიდევს ს ა გ ძ ა ლ ი
(გაბ. 176,30). ადგეს, ჩაიდევს ს ა გ ძ ა ლ ი (გაბ. 176,30). ადგეს,
ჩაიდევს. ს ა გ ძ ა ლ ი, ძალი აჭენეს ღთისაო (ხევს. პოეზ. 174,8).
ადგა, ჩაიდვა ს ა გ ძ ა ლ ი, მაზვერვა სწადის მთისაო (ხევს.
პოეზ. 677,2), ცოლი დაუცხოვბს ს ა გ ძ ა ლ თ ა (ხევს. პოეზ.
263,4). ცოლო, დაუცხვენ ს ა გ ძ ა ლ ნ ი (ხევს. პოეზ. 234,4).
ს ა გ ძ ა ლ ი (ქდ 556) < საგზალი.

მზ > მძ: იაპონიის ს ა მ ძ ღ ვ ა რ ი (< სამზღვარი)
საყარაულო ჩვენია (ხევს. პოეზ. 455,5). მ ძ ა ხ ა ლ ი < მზახალი...

რზ > რძ: მ კ ა რ ძ ე თოფ გადაიკიდა. ბ ე რ ძ ი მ (<
ბერზიმ < ბენზიმი < ბენზინი): ბ ე რ ძ ი მ ი ს სულს ვერ იტანს.
ა ნ დ ე რ ძ ი < ანდერზი (სპარს. ანდარზ). რას ამბობ, განა
ბ ე რ ძ ი მ ი, რო ეგრ ჩქარა მეეკიდას ცეცხლ.

ლზ > ლძ: გ ი ძ ი < გ ი ლ ძ ი < გილზი (რუს. გზით:
Гильза): „ახლა მოგონობს გზაზედა: „გ ი ძ ი მაქვ დასათვლელია“
(ხევს. პოეზ. 216,23).²⁸

წ ე ლ ძ ე გახყვება ხანჯარი (ხევს. პოეზ. 201,6).

წზ > წძ: შ ე კ მ ა ნ ძ ა < შეკმანზა...

28. ალ. ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი, ხევსურულის თავისებურებანი, ტექსტებითა
და ინდექსით, თბ., 1960, გვ. 24.

თუშური:

- ბზ > ბძ: ს ა ბ ძ ე ლ ი (ქდ 583) < საბზელი...
გზ > გძ: ს ა გ ძ ა ლ ი (ქდ 584) < საგზალი...
მზ < მძ: ს ა მ ძ ღ ვ ა რ ი (მარტირ., დიალექტ. 257) < სამზღვარი. მ ძ ა ხ ა ლ ი < // მზახალი (შედ. ლექს. 39)...
ნზ > ნძ: ბ ა ნ ძ ე დ ა < ბანზედა (ქდ 596)...

სალიტერატურო ქართულში დასტურდება:

ბზ > ბძ: ს ა ბ ძ ე ლ ი — ბზის... შესანახი ნაგებობა (განმ. ლექს.). ლომისაგან აღარა გა ნ ი ბ ძ ა რ ო ს (თიმს 140). ძირი არ გა ნ ე ბ ძ ა რ ო ს (გურამიშვ. 73). ს ა ბ ძ ე ლ ი („დედაენა“). ცოდვით ნამტვრევთა ნ ა ბ ძ ა რ ნ ი...

გზ > გძ: ს ა გ ძ ა ლ ი (განმ. ლექს.). ს ა გ ძ ლ ი ა ნ ი (განმ. ლექს.) < *საგზლიანი (შდრ. ჭან. იგზალუ „ნავიდა“). ს ა გ ძ ა ლ ს ა წაილებდეს (შაჰნ., II, 389). აილეთ თვისა ერთისა ს ა გ ძ ა ლ ი (ამირანდარეჯ. 6). ს ა გ ძ ა ლ ი არ შეიტანეს (არჩ., II, 77). უ ს ა გ ძ ლ ო დ (გურამიშვ. 176) (შდრ. იქვე ს ა გ ძ ი ძ ა ლ ი). ბევრი მეზობლის ბიჭი შესქეროდა სიმსუნაგით... ს ა გ ძ ლ ი ა ნ ხურჯინს (თ. რაზიკ.). გამიხარდიმ მოიხსნა ს ა გ ძ ლ ი ა ნ ი გუდა (ვაჟა). ამოვიღე გუდიდან ს ა გ ძ ა ლ ი და დავინყე პურისჭამა (ვაჟა).

ნზ > ნძ: გა ნ ძ რ ა ხ ქნეს (რუსუდ.). წამისო გა ძ რ ა ხ უთო (გურამიშვ., 72).

მზ > მძ: ს ა მ ძ ღ ვ ა რ ი < *სამზღვარი < *საზღვარი... ეს ფონეტიკური მოვლენა შენიშნულია ი ლ ი ა ს ენაშიც კი: დაენიშნა ს ა მ ძ ღ ვ ა რ ი (ილია, VI, 106), ს ა მ ძ ღ ვ ა რ ი (იქვე, 101).

მ ძ ა ხ ა ლ ი — „სიძე - სძალთ მამა-დედანი“ (საბა). მ ძ ა ხ ა ლ ი — ე მ ძ ა ხ ლ ე ბ ა < *მზახალი < *ემზახლება.

29. ლ. ლ ე ჟ ა ვ ა, ქართული ანდაზების ენა, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, თბ., 1959, გვ. 246.

ქართ. ანდაზა: ვისაც ე მ ძ ა ხ ლ ე ო , იმას ემსგავსეო.²⁹ შდრ. ჭან. მზახალი, მეგრ. ძახალი.³⁰

დ ა მ ძ რ ა ლ ი < *დამზრალი: მე ყინვისაგან დ ა მ ძ რ ა ლ ი გენუკვი დასათობობელად (ძიძიგ., გურამ. ენა 105).

რზ > რძ: ა ნ დ ე რ ძ ი < ანდერზი (სპარს. ანდარზ). შდრ. ხევს. ანდერზი (გ. გაბ. 220,18).³¹ შდრ. მეგრ. ანდრეზი. ძ რ ა ხ ე ვ ა < ზრახვა (შდრ. ლექს. 40). მას ბალში ხილი დავკრიფე, ს ა გ რ ძ ა ლ ი მოვიმზადეო (გურამ., დავითიანი 137,8).

როგორც ვნახეთ, მულერი ზ სპირანტის აფრიკატიზაციის ფონეტიკური პროცესი მეტნაკლებად ქართული ენის ყველა დიალექტისათვის დამახასიათებელია: ამის თვალსაჩინო მაგალითებია თითქმის ყველა დიალექტში საყოველთაოდ გავრცელებული შემდეგი სიტყვები: ს ა ბ ძ ე ლ ი < *საბზელი (შდრ. ბზე), რაც გვაქვს აჭარულში, გურულში, იმერულში, ლეჩხუმურში, ქართლურში, კახურში, თიანურში, თუშურში... და სალიტერატურო ქართულშიც.

ს ა გ ძ ა ლ ი < *საგზალი [შდრ. ქართ. გზა, მეგრ. ო-რზოლ-ი (ხუბ. 19,5) „საგზალი“, ჭან. ოგზალონი „სატარებელი“, „საკაცე“ (ჩიქ., ჭან. 98), ი-გზალ-უ „ნავიდა“, იგზალუ ოხო(!) მუშიშა... „ნავიდა თავის სახლში“, (ჭან. 8,4). სვან. ლი-ზ-ი „ნასვლა“] — იხმარება გურულში, აჭარულში, იმერულში, ქართლურში, კახურში, ფშაურში, ხევსურულში, თუშურში... აგრეთვე, სალიტ. ქართულშიც. მ ო ხ ე უ რ დიალექტში ის ს ა გ ძ ა რ 'ის სახითაა წარმოდგენილი.

ს ა მ ძ ღ ვ ა რ ი < *სამზღვარი < საზღვარი — არის გურულში, ქართლურში, კახურში, ხევსურულში, თუშურში... ის შენიშნულია ილია ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ენაშიც.

-ძე < -ზე (თანდებ.) — აჭარულში, გურულში, ფშაურში, მთიულურში, თუშურში...

როგორია ვითარება კოლხურსა და სვანურში?

ზ'ს აფრიკატიზაციის ფაქტები აქაც შეინიშნება (და, სხვათაშორის, ზოგჯერ იმავე სიტყვებში, რაც ქართული ენის დიალექტ

30. არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფ., 1938, გვ. 39-40.

31. ი. ქობალავა, აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები იბერიულ-კავკასიურ ენებში, იკვ, IX-X, თბ., 1958, გვ. 70.

ტებში დადასტურდა).

კოლხურ ენაში:

რზ > რძ:

ა) მეგრულ დიალექტში: ერძამა < // ერზამა „დანთება“. დორძამა < // დორზამა „დანთება“. სენაკ. ძღაბიქ დაჩხირი ქუდწრძუ // ქოდწრძუ (< ქუდარზუ // ქოდარზუ): „გოგომ ცეცხლი დაანთო“. დაჩხირიშ დორძამა // დორზამა იჭყაფუ ოჭუმარეს: „ცეცხლის დანთება იწყება დილით („დილას“). შდრ. ძვ. ქართ. „გზება — ცეცხლის აღნთება“ (საბა), დააგზო „დაანთო“, ჭან. დაჩხერიშ ოგზაფუ „ცეცხლის დანთება“. ქოდო-გზუ „დანთება ცეცხლისა“...³² ძახალი (*ძახალი) < *ზახალი. შდრ. ჭან. მ-ზახ-ალ-ი, ქართ. მ-ზახ-ალ-ი // მ-ძახ-ალ-ი³³ (შდრ. ლექსიკ. 39) < ჭან. (ნ)-ძირ- // ზირ- // წირ-: ძირ-უ „ნახვა, პოვნა“³⁴... მეგრ. ძირაფა < ქართ. მზერ-ა...

ბ) ჭანურ დიალექტში: ნზ > ნძ: მანძაგე („მეზობელი“) < *მანზაგე. შდრ. ქართ. მეზობელი. მანძაგე მუშიშა ოხორჯა ქონოჩქუ (ჭან. გრ. 122) „თავის მეზობელთან ცოლი გაგზავნა („მიაგზავნა“). სოფ. მანძაგეე < მანძაგე-რე (ჭან. გრ. 21) < *მანზაგერე „მეზობელი“...

სვანურ ენაში:

გზ > გძ: თწრიზელ (ლშხ. 10,18) „ანგელოზი“ < *თწრიწ-გძელ < თწრინგზელ (ბზ 16,11) „მთავარანგელოზი“. შდრ. ლხმ. „თწრგლეზერ, ქართ. მთავარანგელოზი...

მზ > მძ: ძახლარ (ლშხ. 30,32) < *მძახლარ < *მზახლარ „მზახლები“...

ნზ > ნძ: ონძგრფაშა (ბზ) < *ონზგრფაშა „აზარფეშა“ შდრ. ქართ. აზარფეშა...³⁵

32. არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი... გვ. 260.

33. იქვე, გვ. 39-40.

34. იქვე, გვ. 390.

35. ს. ყლენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, ექსპერი-მენტული გამოკვლევა, თბ., 1949, გვ. 179-180; ფონეტიკური შენიშვნები სვანეთის ქართულ წარწერებზე, თსუ შრომები, XXX₆-XXXI, თბ., 1947, გვ. 433. მ. ქალ-დან, სვანური ენის ლაზამულური კილოკავის ფონეტიკური თავისებურებანი, იკე, VII, თბ., 1955, გვ. 158.

როგორც ვნახეთ, ქართველურ ენებში, მათ დიალექტებში ზ > ძ გვაქვს გზ, ბზ, მზ, ნზ, ლზ, რზ, დზ... კომპლექსებში. რა ინვეეს მას? ის საერთო, რაც ამ მეზობელ ბ, გ, მ, ნ, ლ, რ, დ... თანხმოვნებს ახასიათებს, ესაა ხშულობა. მათი არტიკულაციის დროს ხშვის ელემენტის ნაწილობრივი შერწყმა ზ'ს სპირანტილობასთან იძლევა ძ აფრიკატს. აფრიკატი აკი ხშვისა და ღრიჭონების ელემენტების შემცველია ე. ი. ამ შემთხვევაში ზუსტად იმავე პროცესთან გვაქვს საქმე, რაც ფშვინვიერი ს, შ სპირანტების აფრიკატიზაციასთან (ს > ც, შ > ჩ),³⁶ რაც სავესებით კანონზომიერია.

ასეთივე ვითარებაა მაშინაც, როცა ხშული თანხმოვანი მოსდევს ზ სპირანტს: ზბ, ზგ, ზმ... ამ მოვლენას სპეციალურად განვიხილავთ ცალკე.

ზ'ს აფრიკატიზაცია (ზ > ძ) შესაძლებელია გამონვეული იყოს სუბსტიტუციის ნიადაგზეც. ამის მაგალითებს წარმოადგენს: ქართ. ძ ე ნ ა რ ი < ზენარი (ივ. იმნ., ქეიქ 125-12), ძ ო ღ ი < ზოღი (ძონ., ზ. იმერ. 75), ძ ი ს < ზის, გ ო ძ ი ნ ა ყ ი < გოზინაყი, ძ ე ნ ა რ ი < ზენარი (ბერ., ჯავახ. 62); ძ ა ხ ი ლ ი < ზახილი (ქობ., აფრიკ. 70)... მეგრ. ძ ე ნ ნ ა რ ი < ზენარი (ქართ.), ვ ე ძ ი რ ი < ვეზირი (ქართ.), ძ ი რ ა ფ ა < მზერა (ქართ.), მ ე ძ ო ბ ე ლ ი < მეზობელი (ქართ.), ბ ა ძ ა რ ი (მარტვ. - ბანძ.) < ბაზარი... ჭან. ო ძ ი ტ უ < ზიტყვა < *სიტყვა (ქართ.)... სვან. ძღვიდ < *ზღუდე (ქართ.), ძ უ ღ ვ ა < *ზღვა (ქართ.) (ულ., ჭან. - მეგრ. 150; ქობ., აფრიკ. 70) და სხვ.

36. შდრ. ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია... გვ. 548-549. ავტორის მიხედვით სპირანტის აფრიკატიზაცია ხდება: ა) „სონანტის პოზიციურებისას“: კონტაქტურ და დისტანციურ ვითარებაში, წინა და მომდევნო პოზიციაში, ბ და გ თანხმოვანთა მეზობლად, „პალატალიზებული ხმოვნის წინა პოზიციაში“; ბ) „ხშულისა და სპირანტის შერწყმით, რასაც ზოგჯერ წინ უძღვის რეგრესული ასიმილაცია“.

ჩვენ „ბ და გ თანხმოვანთა მეზობლობისა“ და ნაწილობრივ შერწყმის პუნქტის გარდა, ვერც ერთ დებულებას ვერ ვიზიარებდით და ვერ ვიზიარებთ (იხ. ზემოთ და ასევე ჩვენი „მიცემითი ბრუნვის მორფემისათვის...“).

§11. უ > ჯ

მჟღერის უ სპირანტის აფრიკატიზაციის ფაქტები ქართულში შედარებით ნაკლებია. დიალექტებში დასტურდება:

ქართლური:

ინჯილერი (ვ. თოფ., ქართ. 137) < // ინჟინერი (გრ. იმნ., ქართლ. 155), სარჯენი (იქვე, 167) < *სარჟენი < *საჟენი, ამჯამათ (იქვე, 155) < *ამჟამათ, ბურჯუაზია < *ბურჟუაზია, ბჯა < *ბჟა < *ბზა: ბ ჯ ა ს მუაგროვდნენ და აანთებდნენ მზის ჩასვლისას (გრ. იმნ., ქართლ., II, 124,4).

კახური:

ინჯილერი < ინჯინელი (შალ., კდ 106) < *ინჟინერი...

ჯავახური:

ინჯინერი < *ინჟინერი...

რაჭული:

ლობჯანიძე (ქდ 527,24) < *ლობჟანიძე (გვარსახელია): დიდ ლებში სახლობენ გვარები: ლ ო ბ ჯ ა ნ ი ძ ე, გავაშელი (ქდ, 527,24).

იმერული:

ბურჯუები < *ბურჟუები: კერენცკი ბურჯუების მომხრე იყო (თერჯ.).

გურული:

ინჯინერი < *ინჟინერი, ბჯა < *ბჟა < *ბზა...

მსგავსი ფაქტები დასტურდება კოლხური ენის დიალექტებშიც.

კოლხური ენის მეგრულ დიალექტში:

ბ უ რ ჯ უ ა < *ბურჟუა, ბ უ რ ჯ უ ა ზ ი ა < ბურჟუაზია (ქობ., აფრიკ. 71)...

ჩქინ ქიანას მალას მაყვენუნა ბრელ ბ უ რ ჯ უ ე ფ ი (სენაკ.) „ჩვენს ქვეყანაში მალე გვეყოლება ბევრი ბურჟუა“. ბ უ რ - ჯ უ ა ზ ი ა ფარამ კათა რე, გამამდიდრენა, ვარო? (სენაკ.) „ბურჟუაზია ფულიანი ხალხია, გაგვამდიდრებენ, არა?“.

აღნიშნული ენის ჭანურ დიალექტში, არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს ჩვენებით, ყ > ჯ ფონეტიკური პროცესი ხშირია ა თ ი ნ უ რ ი კილოკავის ა რ თ ა შ ნ უ ლ თქმაში:

მჯა (ართაშ.) < მჟა (ხოფ., არქაბ.), ბჯა (ათინ.) < ბჟა (არქაბ.) „რძე“. შდრ. მეგრ. ბ-ჟა < *ბ-ჟალ... იხ. მა-ბ-ჟალ-ია — ბალახის სახელია: „რძიანა“, ახ. ქართ. რ-ძე, ძვ. ქართ. ს-ძე— (ჩიქ., შედ. ლექს. 94), სვან. ლჯე < *ლჯბჯე „რძე“: ფუჯიში მ ჯ ა შ ი კვალი დიქუმან (ჩიქ., ჭან., II, 153) „ძროხის („ფურის“) რძისაგან („რძის“) ყველს აკეთებენ“. ფუჯი ბუზი ულუნ. ბუზი მ ჯ ა მჭვალუმთ (ჩიქ., II, 113,26) „ძროხას ძუძუ აქვს, ძუძუდან რძეს ვწველით“. ბ ჯ ა ქობოხთიმანთ (იქვე, 113,28) „რძეს მოვურევთ“.

ლობჯა (ათინ.) < *ლობჟა < ლობჯა „ლობიო“ (ჩიქ., შედ. ლექს. 94; ჭან. გრამ. 27-28)...

ჯებჯირი (ათინ.) < გებჟირი (სხვა კილოკ.) „ავხოცე“, „მოვ-შალე“ (ჩიქ., ჭან. გრამ. 27-28)...

მჯორა (ათინ.) < მჟორა (სხვა კილოკ.) „მზე“. შდრ. მეგრ. ბჟა სვან. მიჟ (ჩიქ., შედ. ლექს. 202, 203), ქართ. მზე...

ჯინ... მ ჯ ო რ ა მცა ორენ(ონ). (ჩიქ. II, 109,27) „ზევით... მზე ცაზე არის“. მჯვაბუ (ათინ.) < მჟვაბუ (სხვა კილოკ.) „გომბეშო“. შდრ. მეგრ. ჟვაბუ „ბაყაყი“ (ჩიქ., II, 109,28; ჭან. გრამ. 27-28; შედ. ლექს. 118),³⁷ რუს. жанд „ბაყაყი“.³⁸

ჯოლი (ათინ.) < ბჟოლ-ი // მ-ჟოლ-ი (სხვა კილოკ.) „თუთა“. შდრ. ქართ. ბჟოლ-ა // ჟოლ-ა, სვან. ბ-ჟოლ-ა „თუთა“, „ბჟოლა“

37. ყველა ამ მაგალითში ყ < ჯ ფონეტიკურ პროცესს ავტორი „შენაცვლებად“ თვლის, რაც ჩვენ არ მიგვაჩნია ობიექტური ვითარების შესაბამისად. არც იმ აზრს ვუთანხმებით, რომ ჯ აფრიკატი ამ მაგალითებში სადმე „ინახებოდა თანხმოვნის (resp. სონანტის) მომდევნო პოზიციაში: სვან. ლჯე < *ლ ჯ ე „რძე“ (იხ. გ. მ ა ჭ ა ვ ა - რ ი ა ნ ი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბ., 1965, გვ. 31).

38. გ. კ ა ჭ ა რ ა ვ ა, ნასესხებ სიტყვათა ერთი ჯგუფის ფონეტიკური ცვლილებისათვის მეგრულში, საქ. მეცნ. აკადემიის მ ო ა მ ბ ე, ტ. XXX, № 3, თბ., 1963, გვ. 380-381.

(ჩიქ., შედ. ლექს. 126-127)...

ყ'ს აფრიკატიზაციის ფაქტები სვანურშიც გვაქვს:

ლითჯრჟინე (ჩბხ) < ლითჯრჟინე (ლხმ) „მთელი სიმძიმით დანოლა“...

ლიქპრჯე (ლშხ) < *ლიქპრჟე „გასულელება“. შდრ. (ლხმ) ლიქაჟე „გასულელება“...

ჰანჯვედ (ჩბხ) < *ჰანჟვედ „უზანგი“. შდრ. (ლხმ.) აჟჟენდ < ანჟჟენდ „უზანგი“...³⁹

ლჯჟე < *ლჯჟე „რძე“. შდრ. მეგრ. ბჟა „რძე“, ჭან. მჯა (ართაშ.) < მჟა (ხოფ., არქაბ.) ბ-ჯა (ათინ.) < ბ-ჟა (არქაბ.), ქართ. რ-ძე, ძვ. ქართ. ს-ძე.

სამეცნიერო ლიტერატურაშიც გამოთქმულია მოსაზრება, რომ ზემოთ წარმოდგენილ მასალაში პირველადს ყ სპირანტი წარმოადგენს: ყ > ჯ.⁴⁰

განხილული მასალის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ:

ქართველურ ენებში ფშვინვიერი და მჟღერი სპირანტები: ს და ზ, შ, ყ — აფრიკატიზაციას განიცდიან მაშინ, როცა ისინი უშუალოდ მოსდევენ ხშულ თანხმოვნებს ან ხშვის ელემენტების მქონე ხ, ლ სპირანტებს. აფრიკატიზაციას იწვევს ამ თანხმოვანთა არტიკულაციისათვის დამახასიათებელი ხშვის ელემენტის ნაწილობრივი შეერთება (შერწყმა) აღნიშნული სპირანტების არტიკულაციის ნაპრალოვნობასთან. მაგრამ ეს სპირანტთა აფრიკატიზაციის ერთ-ერთი გზაა და არა ერთადერთი.

ცხადია, არაა შეუძლებელი ისიც, რომ ყ > ჯ პროცესი განხორციელდეს სუბსტიტუციის გზით. ამაზე მეტყველებს ჭანურის ათინურ კილოკავში დადასტურებული მაგალითი: ყურ > ჯურ „ორი“. შდრ. ვიტოყურ > ვიტოჯურ „თორმეტი“, ყურენერ > ჯურენერ „ორმოცი“, ყუროშ „ორასი“ (ჩიქ., ჭან. გრამ. 27-28; შედ. ლექს. 213-214).

39. მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, სვანური ენის ლახამულური კილოკავის... გვ. 159.

40. მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, სვანური ენის ლახამულური კილოკავის... გვ. 159.

დაყოფიებული ლიტერატურა

1. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949.
2. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი გ., ზოგადი ფონეტიკის შესავალი, თბ., 1966.
3. ბ ე რ ი ძ ე გრ., ქართული ენის ჯავახური კილო, თბ., 1988.
4. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე პ., იმერული დიალექტის ხანურ-ზეგნური მეტყველება, იკე, VIII, თბ., 1956.
5. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი ი., თ ო ფ უ რ ი ა ვ., ქ ა ვ თ ა - რ ა ძ ე ი., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961.
6. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი დავითი, დავითიანი, თბ., 1955.
7. თ ო ფ უ რ ი ა ვ., ქართლური, „არილი“, ტფ., 1925.
8. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი გრ., ქართლური დიალექტი, I, გამოკვლევა, თბ., 1974.
9. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი გრ., ქართლური დიალექტი, II, ტექსტები, თბ., 1974.
10. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი გრ., არაგვის ხეობის ქართლური, იკე, IV, თბ., 1953.
11. კ ა ჭ ა რ ა ვ ა გ., ნახესებ სიტყვათა ერთი ჯგუფის ფონეტიკური ცვლილებისათვის მეგრულში, საქ. მეცნ. აკადემიის მ ო ა მ ბ ე, ტ. XXX, № 3, თბ., 1963.
12. ლ ე ჟ ა ვ ა ლ., ქართული ანდაზების ენა, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, თბ., 1959.
13. ლ ო მ თ ა ძ ე ა., მიცემითი ბრუნვის მორფემისათვის მეგრულში, მაცნე, №1, 1972.
14. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი არ., დიალექტიზმები XV-XVIII სს. კახურ ისტორიულ საბუთებში, იკე, IV, თბ., 1953.
15. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი არ. და ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი გრ., ქართული ენის კახური დიალექტი, გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ, თბ., 1956.
16. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი გ., საერთო-ქართველური კონსონანტური

სისტემა, თბ., 1965.

17. ნ ი ყ ა რ ა ძ ე შ., ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, ბათუმი, 1961.
18. ნ ო ლ ა ი დ ე ლ ი ჯ., აჭარის ხალხური სიტყვიერება (ზღაპრები, არაკები, ლექსები, გამოცანები, ანდაზები), წ. I, ბათომი, 1936.
19. ყ ლ ე ნ ტ ი ს., გურული კილო, გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი, ტფ., 1936.
20. ყ ლ ე ნ ტ ი ს., ფონეტიკური შენიშვნები სვანეთის ქართულ წარწერებზე, თსუ შრომები, XXX-XXXI, თბ., 1947.
21. ყ ლ ე ნ ტ ი ს., სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, ექსპერიმენტული გამოკვლევა, თბ., 1949.
22. ყ ლ ე ნ ტ ი ს., ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1955.
23. რ ო გ ა ვ ა გ., დისიმილაციური აფრიკატიზაციის ერთი კანონზომიერება ქართულში (საბძელი < საბზელი), იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, ტ. X, თბ., 1983.
24. ქ ა ლ დ ა ნ ი მ., სვანური ენის ლახამულური კილოკავის ფონეტიკური თავისებურებანი, იკე, VII, თბ., 1955.
25. ქ ო ბ ა ლ ა ვ ა ი., აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები იბერიულ-კავკასიურ ენებში, იკე, IX-X, თბ., 1958.
26. შ ა ლ ა მ ბ ე რ ი ძ ე გ., დიალექტიზმები ს. მგალობლიშვილის მოთხრობებში, იკე, IX-X, თბ., 1958.
27. შ ა ლ ა მ ბ ე რ ი ძ ე გ., კახური დიალექტის თავისებურებანი ყვარლის რაიონის მეტყველების მიხედვით, იკე, VII, თბ., 1955.
28. შ ა ნ ი ძ ე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953.
29. შ ა რ ა შ ი ძ ე ქრ., სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XIII-XV სს), თბ., 1982.
30. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ., ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტექსტიტურთ, თბ., 1936.
31. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ., ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფ., 1938.
32. ძ ი ძ ი გ უ რ ი შ., დავით გურამიშვილის ენა, თბ., 1980.

33. ქინჭარაული ალ., ხევსურულის თავისებურებანი, ტექსტებითა და ინდექსით, თბ., 1960.
34. ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989.
35. К и п ш и д з е И., Грамматика мингрельскаго (иверскаго) языка, С.-Петербург, 1914.

თ ა ზ ი VII

სპირანტთა აფრიკატიზაცია ხშულ თანმოვანთა და ლ, ხ სპირანტთა წინა პოზიციებში

სპირანტთა აფრიკატიზაციის საკითხს ქართველურ ენებში არაერთი ქართველოლოგი შეხებია. ჩვენ აქ, გარკვეული თვალსაზრისით, ამ ფონეტიკური პროცესის მხოლოდ ერთ სახეობაზე გვინდა შევაჩეროთ ყურადღება.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ სპირანტთა აფრიკატიზაცია ქართველურ ენებში ხდება ხშულებისა და ლ, ხ სპირანტების წინა პოზიციებშიც, ამ შემთხვევაშიც უშუალო მეზობლობის დროს დასტურდება: ზ > ძ, ს > ც, ს > წ, ყ > ჯ, შ > ჩ, შ > ქ.

ანალიზს შევუდგეთ ამავე თანამიმდევრობით.

§12. ზ > ძ

ამ მოვლენის შესახებ გ. როგავა წერდა: „ქართულის ზოგ კილოში დადასტურებულია ზ სპირანტის შენაცვლება ძ აფრიკატი ს ი ზ მ ა რ სახელში:

კახურში (ს ი ძ მ ა რ ი ვ ი თ მახსომს),¹ მთიულურში,² ზემოაჭარულში.³

დასახელებულ შემთხვევაში ზ სპირანტის გააფრიკატიებას, უნდა ვიფიქროთ, ხელი შეუწყო თავკიდურმა ს სპირანტმა,

1. ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956, გვ. 47.

2. ლ. კ ა ი შ ა უ რ ი, მთიულურის დარგობლივი ლექსიკა, თბ., 1967, გვ. 19.

3. შ. ნ ი ყ ა რ ა ძ ე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, ბათუმი, 1961, გვ. 45.

ოლონდ აქ დისიმილირებულ ზ სპირანტს მოსდევს მ სონორი, სიზმარ-ი > სიძმარ-ი.⁴

რაც შეეხება ძველ ქართულში ზ სპირანტის გააფრიკატების ისეთ მაგალითებს, როგორცაა „ზმნური ფუძე ზ რ ა ხ > ძ რ ა ხ — განვიძრახე, ზედაზნელი > ზედაძნელი, ბელზებელი-ი > ბელძებელი...“⁵ ასეთ შემთხვევაში ზ-ს გააფრიკატება შეიძლება მიენეროს წინამავალ ან მომდევნო რ, ლ სონანტებს“.⁶

შენიშვნა: ამათგან ბ ე ლ ზ ე ბ ე ლ ი ს ტიპის მაგალითებზე იხ. ზემოთ.

წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ ზ > ძ ქართული ენის დიალექტებში შეინიშნება სონორების: მ, ნ, ლ, რ'ს, ასევე, გ ხშულისა და ლ სპირანტის წინ:

ქართლური:

ს ი ძ მ ა რ ი < *სიზმარი: ერ დროს გახდა ხენწიფე ავათა, ნახა ს ი ძ მ ა რ ი (ქდ, II, 97,19). ასეთი ს ი ძ მ ა რ ი ნავხეო, კლდეში უკვდავების წყალი გამოდისო (ქდ, II, 97,22).

და მ ა ძ რ ო < დამაზრო: მზევე, მომეშველე, განმათბე, სიცივით ნუ და მ ა ძ რ ო ბ ა (გურამ, დავითიანი 103,14).

გ ა ნ ძ რ ა ხ ვ ა < *განზრახვა: ვერ მათქმევიანებდით... მათს გ ა ნ ძ რ ა ხ ვ ა ს. იმან სცნა ვახტანგ მეფისა საქმე და გ ა ნ ძ რ ა ხ უ ლ ო ბ ა (გურამ, დავითიანი 150,8). მუნ მისვლა ველარ გავბედე, შორს წასვლა გ ა ნ ვ ი ძ რ ა ხ ე ო (იქვე, 137,6).

ეს უკანაქნელი ფაქტი გ. შ ა ლ ა მ ბ ე რ ი ძ ე ს სუბსტიტუციის მაგალითად მიაჩნდა.⁷

ძ რ ო ხ ა < ზროხა (ქვ. ქართლ.), ძ ღ ვ ე ნ ი < *ზღვენი. შდრ. ხევს. ზღვენები (ბ. გაბ. 122,23).

4. გ. როგავა, დისიმილაციური აფრიკატიზაციის ერთი კანონზომიერება ქართულში (ს ა ბ ძ ე ლ ი < ს ა ბ ზ ე ლ ი), იკენ, X, თბ., 1983, გვ. 45.

5. ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწილი II, თბ., 1971.

6. გ. როგავა, დისიმილაციური აფრიკატიზაციის ერთი კანონზომიერება... გვ. 45.

7. გ. შ ა ლ ა მ ბ ე რ ი ძ ე, დიალექტიზმები ს. მგალობლიშვილის მოთხრობებში, იკენ, IX-X, თბ., 1958, გვ. 159.

ციზლარ-მოზდოკური:

და მ ს ძ რ ა ხ ო ნ < *და მ ს ზ რ ა ხ ო ნ: იმასაც ს ცხვენთან ლაპარაკი, რომ არ და მ ს ძ რ ა ხ ო ნ (ქდ 168,25).

მთიულურ-გუდამაყრული:

ძ რ ა ხ ვ ა < *ზ რ ა ხ ვ ა

ს ი ძ მ ა რ ი < *ს ი ზ მ ა რ ი...

კახური:

ს ი ძ მ ა რ შ ი < *ს ი ზ მ ა რ შ ი: ხედავთ, ს ი ძ მ ა რ შ ი ა ც უნახავთ (ქდ 207,37). ნუხელ ს ი ძ მ ა რ შ ი მითამ გავ- პარულიყავით (ქდ 207,33). ქიზ. ს ი ძ მ ა რ ი (მენტეშ.).

ძ რ ო ხ ა // < ზ რ ო ხ ა.⁸

არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი ამ ფაქტს ზ და ძ თანხმობვანთა შენაცვლებად თვლის.⁹

ძ რ ა ხ ვ ა < *ზ რ ა ხ ვ ა: ვერ მათქმევეინებდით... მათს გ ა ნ ძ- რ ა ხ ვ ა ს.¹⁰

ხევსურული:

ა ძ რ ა ხ დ ო მ ა < // ა ზ რ ა ხ დ ო მ ა „ხმის გაცემა, დალაპარაკება“. ა ზ რ ა ხ დ ა (შენ) „დაელაპარაკო, ხმა გასცე“.

თუშური:

და ნ ა ძ ლ ი ვ ე ბ ა ე < *და ნ ა ზ ლ ი ვ ე ბ ა ე („ნიძლავის დადება“): და ნ ა ძ ლ ი ვ დ ე ს ა ეს ო რ ნ ი (თვ 90).

ორ ხშულს შორისაც გვაქვს:

გ ა ნ ძ რ ა ხ ვ ა ე < განზრახვა: ციციმას თური გ ა ნ ძ რ ა ხ ვ ა ე ხქონდ ნოტო მქესხლიტ (თვ 80).

აქ მთავარია რ'ს გავლენა, რადგან პრეფიქსისეული ნ'ს გარეშეც დასტურდება ამ ფუძეში ზ > ძ: შდრ. ზ რ ა ხ ვ ა > ძ რ ა ხ ვ ა.

8. არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, დიალექტიზმები XV-XVIII სს. კახურ ისტორიულ საბუთებში, იკე, IV, თბ., 1953, გვ. 257.

9. ი ქ ვ ე, გვ. 256.

10. ს. ქ ლ ე ნ ტ ი, ქართული ენის ფონეტიკა, თბ., 1956, გვ. 237.

რაჭული:

ძ უ ძ ლ უ ნ ო ბ და < *ბუზლუნებდა: დათვი უკან ბრუნდებოდა და ძ უ ძ ლ უ ნ ო ბ და (ქდ 542,7).

ენ ი ძ ლ ა ვ ე ბ ა (კობ., რაჭ. 47) < *ენიზლავება.

იმერული:

ნი ძ ლ ა ვ ი < ნიზლავი: სოლომონის შვილი და ეკაცი და ნ ი ძ ლ ა ვ დ ე ნ (ქვემო იმერული, გვ. 472).

ძ რ უ გ ი (ქდ 668) < *ზრუგი < *ზურგი.

და ძ გ ა < *დაზგა: და ძ გ ა ზ ე ანყობენ გასათლელ ფიცრებს (მანდაეთი. ძზი 132).

რო ძ გ ი < *როზგი (რუს. р03г): უმალ, ბატონობის დროს, რო ძ გ ი ც ცოდნით (ჯალაურთა. ძზი 314).

ს ა ძ ლ ვ ე < // საზღვე: მოკლა და საძღვეში ჩააგდო (შომახეთი. ძზი 351).

შ ე ე ძ ი ძ გ ე ბ ა < *შეეზიზგება < *შეეზიზლება: ყველაფერი შ ე ე ძ ი ძ გ ე ბ ა, თუ ეს ნახე (ზარანი. ძზი, 434).

გურული:

ს. ყ ლ ე ნ ტ ი ს განმარტებით, „ზ ძ-თ იქცევა, თუ მას მოსდევს ე.წ. მდინარი ბგერები: რ, ლ“:¹¹

გ ა ნ ძ რ ა ხ ვ ა < *განზრახვა: „შიასრულა მისი გ ა ნ ძ რ ა ხ ვ ა“ (შდ. საბა ორბ: ძრახვა)¹²

გ ე ი ძ რ ა ხ ა < *გეიზრახა: ამასობაში ჩვენმა ვაჭარმა გ ე ი ძ რ ა ხ ა სავაჭროთ წასულიყო (ლძფმ 318).

და მ ძ რ ა ხ ა ვ ს < დამზრახავს: ვერა კაცი ვერ და მ ძ რ ა ხ ა ვ ს იმიზა (იქვე).

ძ რ უ გ ი < // ზრუგი < *ზურგი: ძ რ უ გ ი თ ამოზიდა. ძ რ უ გ ი თ ხომ ვერ წეილევ ამ ქვილც? (ქდ 421,8).

ს ა ძ ლ ვ ა რ ი (ყგ 243) < *საზღვარი

ი ძ ლ ა ძ ნ ე ბ ა > *იზლაზნება: ი ძ ლ ა ძ ნ ე ბ ა საშინლათ.¹³

11. ს. ყ ლ ე ნ ტ ი, გურული კილო, გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი, ტფ., 1936, გვ. 49.

12. ი ქ ვ ე.

13. ს. ყ ლ ე ნ ტ ი, ქართული ენის ფონეტიკა... გვ. 237.

აჭარული:

ს ი ძ მ ა რ ი < *სიზმარი: ერთ ლამეს გონჯი. ს ი ძ მ ა რ ი უნახია (ზემოაჭარ. დიალექ. 211,4).¹⁴ ნეფეს ს ი ძ მ ა რ ი ე ს ი ძ მ ა, ხელთ ეჭირა ოქროს ბულთი („დროშა“, №73, თბ., 1882).

ძ რ უ გ ი (ქდ 661) < *ზრუგი < *ზურგი: მეფკიდა დივმა ძ რ უ გ ზ ე (ქდ 409,7).

შ. ნ ი უ ა რ ა ძ ე ამათ „სპონტანური აფრიკატიზაციის“ მაგალითებად მიიჩნევს.¹⁵

პრინციპულად იგივე ვითარებაა სალიტერატურო ქართულში: ძ რ ო ხ ა < ზროხა (ძვ. ქართ., იმნ., ქოსლ 212).

ს ა ძ რ ო ხ ე < საზროხე (ქგლ 919).

ო ძ რ კ ე < *ოზრკე: ამან ო ზ რ კ ო ს ალაშენა ორნი ციხე-ქალაქნი: ო ძ რ კ ე და თ უ ქ ა რ ი ს ი (ქცხ, გვ. 6).

ძ რ ა ხ ვ ა (იხ. საბა ორბ.) < *ზრახვა: სძრახევდენ (დ. გურამ. 59).

გ ა ნ ძ რ ა ხ < განზრახ: გ ა ნ ძ რ ა ხ ქნეს (რუსუდ.). ნამისო გ ა ნ ძ რ ა ხ უთო (გურამ. 72).

ძ ლ ა რ ბ ი < *ზლარბი: შვევიყარ ძ ლ ა რ ბ ი (სიბრძნ. სიცრ. 114).

მეგრულში, მსგავსად ქართულისა, ჩვეულებრივია ზრ > ძრ, ზგ > ძგ, ზლ > ძლ და სხვ.:

ნ ი მ ი ძ რ ა ხ უ < *ნიმიზრახუ (შდრ. ქართ. ზრახვა: „ნუ დამზრახავს“): მა ეს მითინ ნ ი მ ი ძ რ ა ხ უ (ქხს 81,24). „მე ამას ნურავინ დამიზრახავს“.

ო ძ ი ძ გ უ < *ოზიზგუ < *ოზიზლუ (შდრ. ქართ. ეზიზლება): მართალს გინინქ, მუაჩქიმს მატყურენჯი კოჩი ო ძ ი ძ გ უ „მართალს გეტყვი, მამაჩემს მატყუარა კაცი ეზიზლება“.

ძ ლ ვ ა < // ზლვა „ზლვა“: „ჩქიმ ვარენო ძ ლ ვ ა დო გვალა?!“ (ქხს 170,5) „ჩემი არ არის ზლვა და მთა?!“

14. იხ. აგრეთვე, გვ. 20.

15. შ. ნ ი უ ა რ ა ძ ე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი... გვ. 45.

ძ უ ძ ღ ი ნ ა < *ზუზღინა < *ბუზღუნა „ბუზღუნა“: ენა ნამდვილი ძ უ ძ ღ ი ნ ა კოჩიე „ეს ნამდვილი ბუზღუნა კაცია“.

სხვათაშორის, ამ გზით უნდა იყოს მიღებული მეგრულში:

ჯ ლ ო ნ — (მიდა-ჯღონ-უ) „გაგზავნა“ < *ძღონ < *ზღონ: შდრ. ქართ. ძ ღ ვ ე ნ - ი < ზ ღ ვ ე ნ - ი.

სვანურში დასტურდება:

ძ ღ ვ ი დ < *ზღვიდ „ზღუდე“. შდრ. ქართ. ზ ღ უ დ ე, მეგრ. ზ ღ უ დ ე.

შესაძლებელია, მსგავსადვე იყოს მიღებული სვან. ძ უ ღ - ვ ა („ზღვა“) < *ძღვა < *ზღუა.¹⁶

ამგვარად, ვხედავთ, რომ ზ სპირანტის აფრიკატიზაცია დამახასიათებელი აღმოჩნდა არა თუ „ზოგი კილოსათვის“, არამედ საერთოდ ქართველური ენებისათვის. ზ'ს ასე ეცვლება სახე ხშული თანხმოვნების (მათ შორის სონორების) და ხშულობის გარკვეული ელემენტის შემცველი ლ, ხ სპირანტების წინ უშუალო მეზობლობის შემთხვევაში და, რაც მთავარია, უფრო ხშირად ფუძეში თავკიდური ხ სპირანტის გარეშეც; დადასტურდა:

ზმ > ძმ: სი-ზმ-არ-ი > სი-ძმ-არ-ი

ზრ > ძრ: ზრახ-ვ-ა > ძრახ-ვ-ა

ზლ > ძლ: ნი-ზლ-ავ-ი > ნი-ძლ-ავ-ი

ზგ > ძგ: დაზგა > დაძგა

ზღ > ძღ: ზღარბ-ი > ძღარბ-ი...

ასე რომ, „ზ სპირანტის გააფრიკატიზება“ აქ ხდება ხსენებული „თავკიდურ ხ სპირანტთან დისიმილაციის“ გარეშე. მთავარია, მომდევნო თანხმოვნებისათვის დამახასიათებელი საერთო

16. მ. ქა ლ დ ა ნ ი, სვანური ენის ლაზამულური კილოკავის ფონეტიკური თავისებურებანი, იკე, VII, თბ., 1955, გვ. 158. გ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბ., 1965, გვ. 24. შდრ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 185. K. H. S c h m i d t, Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache, Wiesbaden, 1962, გვ. III-III. Г. А. К л и м о в, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964, გვ. 89.

თვისება: ხშულობის კომპონენტი. ზ'ს აფრიკატიზაციის მიზეზი ხშულობასთან პროგრესული ასიმილაციაა და არა თანხმოვანთა „სუბსტიტუცია“ (გ. შ ა ლ ა მ ბ ე რ ი ძ ე), „შენაცვლება“ (ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი), „მდინარი ბგერების“ მეზობლობა (ს. ყ ლ ე ნ ტ ი) ან კიდევ „სპონტანური აფრიკატიზაცია“ (შ. ნ ი - ყ ა რ ა ძ ე).

აღნიშნული ფონეტიკური პროცესი ჩვეულებრივი მოვლენაა სხვა სპირანტთა მსგავს პოზიციაში, რაზედაც იხ. ქვემოთ.

ამდენად, ექსპერიმენტული ფონეტიკის სპეციალისტი პროფ. ს. ყ ლ ე ნ ტ ი სავსებით მართალი იყო, როცა წერდა: „სვანურში შედარებით უფრო ძლიერი ჩანს ტენდენცია თანხმოვანთა საარტიკულაციო ორგანოების მოქმედების მიხედვით მიმსგავსებისაო“.¹⁷

§13. ს > ც

განსახილველი ფონეტიკური პროცესი ფიქსირდება კ, ქ, ტ ხშულებისა და ხ სპირანტის წინ:

ქართლური:

ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს თქმით, „რუსულიდან ნასესხები სიტყვების -ский ბოლოსართი ქართლურში -ცკი'ს სახით არის წარმოდგენილი“.¹⁸

ა ნ ტ ო ნ ო ვ ც კ ი < *ანტონოვსკი;

ბ რ ო ც კ ი < *ბროსკი...¹⁹

ინგილოური:

წ უ ც ქ უ ლ [ი] < *წუქულ[ი] < წისქვილი

გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი ს აზრით, ეს ფაქტი ს'ს სპონტანურ

17. სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები (სადოქტორო დისერტაციის თეზისები), ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, თბ., 1965, გვ. 307.

18. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური, არილი, ტფ., 1925, გვ. 138.

19. ი ქ ვ ე.

გააფრიკატებას წარმოადგენს,²⁰ არის კი ს სპირანტის ხშულ ქ'სთან მეზობლობის შედეგი.

ფერეიდნული:

ც ხ ო < *სხო < სხვა (გადატანითი მნიშვნელობით: „ცუდი“, „უკადრისი“).²¹

თუშური:

ც ხ ვ ა < *სხვა:

თორმეტ კაც ც ხ ვ ა მწკვლ (ქდ 109,10). ოთხნ ც ხ ვ ა ნ ი ც შესყოლიყვნეს ვარდიხეს (იქვე, 109,18-19). დიდოების ჯარ ც ხ ვ ა სოფელში აღარ გეყშე (იქვე, 109,27). გნყქცნეს მურთა-ზი-დ' რამდენიმ ც ხ ვ ა კაცი (იქვე, 108,8-9). ყარ კამდ ც ხ ვ ა ქალ ცნყქ შობიარესთან წასულიყუ (ქდ 105,20). ც ხ ვ ა სოფ-ლებითიაჲ ჯარ მიშველებიყუ (ქდ 106,30). ზოგ ც ხ ვ ა გ ა ნ სოფლებში გარეკესავ (ქდ 118,29-30). თორმეტ კაც ც ხ ვ ა მწყვლ (ქდ 109,10). ც ხ ვ ა ს წელს (586). ც ხ ვ ა ყოჩალ კაც ყოფილ იყუ (ქდ 106,7). მარიამ ჯაგოდანიზეი-დ' ორ ც ხ ვ ა თუშ ქალნ წამოსრულიყვნეს თუშეთისაკ (ქდ 116,35). ც ხ ვ ა ს წელ მოხვიდიო-დ' ცნყმაშ მოგილებავ (ქდ 120,23). ც ხ ვ ა ჲ (586)...

ხევსურული:

ც ხ ო < *სხო < სხვა...²²

ფშაური:

ც ხ ვ ა < // სხვა: ი ც ხ ვ ა ცხვარი თავად დაინირეს იმეებმ (ცფდ 131,11). ც ხ ვ ა ხალხ აღარ დადიოდის იქა (იქვე, 145,23).

20. გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბ., 1966, გვ. 37.

21. თ. თუ რ გ ა ი ძ ე, დ. ჩ ხ უ ბ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ჯ. გ ი უ ნ ა შ ვ ი ლ ი, ფერეიდნული მეტყველების შესწავლისათვის, ივე, XXI, თბ., 1979, გვ. 105.

22. ი. ქ ო ბ ა ლ ა ვ ა, აფრიკატიზაციისა და... გვ. 70.

ც ხ ვ ა ვერა ვიცი (იქვე, 146,6). ც ხ ვ ა კ ა ნ²³ სადამა
ჯზიდავდიან (იქვე, 38,20). ც ხ ვ ა კ ნ ი თ ისესხეს არაყი ჩემ
მამიდამა-დ' მამიდაის ქმარმ (იქვე, 152,45).²⁴

მოხეური:

წ ი ც ქ ჯ ი ლ - ი < *წისქქილ-ი: ჰკითხავდეს იმის ცხოვრებასა,
წყალსა, წ ი ც ქ ჯ ი ლ ს ა, საქონელსა და ენდობოდეს ნათესავსა
(ქდ 39,26).

ც ხ ო (ქდ 565) < *სხო < *სხვა: ც ხ ო იქიველი კაცი არვინ
ლნახე? (ქდ 27,3). ც ხ ო ს დასწევ, ც ხ ო ამაფრინდება (ქდ
31,4). ასლანის, ც ხ ო ს ნიჩბები და სამთითები ეჭირისკე (ქდ
28,38). იმათი ბაღლიც იქ ყოფილიყო ამხანაგათ ც ხ ჯ ე ბ თ ა -
ნ ა (ქდ 40,23). შენ ც ხ ო ზ ე ალარ გასთხოვდეთ (ქდ 43,2).

ლეჩხუმური:

ც ხ ვ ე ნ ზ ე < *სხვენზე: ჩამოკიდებდენ მალლა, ც ხ ვ ე ნ -
ზ ე და ახმოზდენ (ქდ 490,17).²⁵

ზემო იმერული:

ნ ა ფ ი ც ტ ყ ე < // ნაფისტყე — სახნავი ადგილი (საჩხერის
რ., ჯალაურთის სას. საბჭო).²⁶

გურული:

ჯ ჯ ა რ ც ხ მ ა (სოფლის სახელი იყო ჩოხატაურის რაიონში,
ამჟამად ჩაისუბანი. უგ 262) < *ჯჯარსხმა.

მეგრული: ს > ც ძალიან ხშირია ს სპირანტის წინ, ხოლო
ჭანურში — როგორც ს სპირანტის, ისე ქ ხშულის წინ:

ც ხ ვ ე ნ - ი < *სხვენი „სხვენი“. შდრ. ქართ. ს ხ ვ ე ნ ი:
დიაჩქიმს ბრელმუთუნი ც ხ ვ ე ნ შ ა გილუძუდუ. „დედაჩემს

23. შდრ. დედაც სხვაკან სადამაყოფილიყო. ზოგ სხვაკან გადავიდა.
ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა კ ა ნ მეექვლა კიდენ ეგრე.

24. გიორგი ც ო ც ა ნ ი ძ ე, ფშაური დიალექტი, თბ., 1979, გვ. 28.

25. შდრ. გურ. ს ხ ვ ე ნ ი (უგ 244).

26. საქართველოს სსრ ტოპონიმია, თბ., 1987, გვ. 147.

ბევრი რამ სხვენზე ედო“. ჭუკი ცხვენისეხლო გილმახოხუნს: თაგვი სხვენიდანაც ჩამოხოხდება (ჩამოდის), ხოლმე“.

ცხილატა < *სხილატა < *სხლეტა. შდრ. ქართ. სხლტომა: კუჩხისეხლო მუ საონჯლორო რეცინს, მუშენ ფულუ?! კამფეტიქი გემიცხირტუ კისერს.

ცხიკორა < *სხიკორა. შდრ. ქართ. სკორე.²⁷

ცხოდი < *სხოდ-ი „კრება“ (რუს. сход ძვ. ყრილობა: сельский сход „სასოფლო ყრილობა“).

ცხვინდი < *სხვინდი „სხვენი“. შდრ. ქართ. სხვენი: ცხვინდიშა გალარღვაფილი რე „სხვენზეა დაყრილი“ (ქსს 185,5).

ცქუმუნტურ-ი < *სქუმუნტურ-ი < *სხუმუნტურ-ი. შდრ. ჭან. ცქირმუნტურ-ე // ცქიმუნტურ-ი // ცხუმუნტურ-ი, ქართ. ზღმარტლ-ი < *სღმარტლ-ი.

ცხოტი - („კაფვა“, „ბელვა“) < სხოტი. შდრ. ჭან. ცხოტი // ცხოტი - („კაფვა“, „ბელვა“), ქართ. სხლეტი²⁸ (გურ. დ. სხეპვა),²⁹ მეგრ. ჯაპის ცხოტუნსი კოჩი: „თუთის ხეს ბელავს ის კაცი“. ჯაგოცხოტუ მარა ... იშენ გოხომუ: „ხე გადაბელა, მაგრამ ... მაინც გახმა“.

ჭანური:

ცხოტი - // ცხოტი - („კაფვა“, „ბელვა“) < *სხოტი. შდრ. მეგრ. ცხოტი - უ - ა „ხის ტოტების გადაჭრა“, „გადასხეპვა“, „გადაბელვა“.

ო - ცხაპ - უ³⁰ < *ო-სხაპ-უ „სხვლა“, „გადასხვლა“, „მოკვლა“. შდრ. გურ. სხეპვა („ხის ტოტების გადაჭრა“). სუმ კოჩითი

27. ი. ქობალავა, აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის... გვ. 70-71.

28. იხ. არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი... გვ. 385-386.

29. ს. უღენტი, ჭანური ტექსტები. არქაბული კილოკავი, თბ., 1938, გვ. 202; სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები... გვ. 42.

30. ს. უღენტი, ჭანური ტექსტები... გვ. 202. შდრ. მისივე: ზანიზმები გურულ ზმნებში, ქეფს, თბ., 1965, გვ. 42: აქ უწერია ო - ცხოპ - უ.

გოცხოვე: „სამი კაცით მოკლა („გასხევა“).³¹
ო-ცხოვე,³² ო-ნ-ცხოვე,³³ ო-ცხოვე³⁴ <
ო-სხოვე „სხვენი“. შდრ. მეგრ. ცხვენი, ქართ. სხვენი.

(მ) ცხულ-ი < // მსხულ-ი (მრ. მსხულ-ეფე) „მსხალი“. შდრ. მეგრ. სხულ-ი, ქართ. მ-სხალ-ი, სვან. ი-ცხ „მსხალი“.³⁵
მცხულიშ ოხიუშა ვიდათაჲ (ჩიქ., I, 27,34) „მსხლის სა-
პარავად („პარვად“) ნავიდეთო“. მცხული ძირუ, ჩანს (ჩიქ.,
II, 20-18) „ნახა, მსხალი ასხია“. ცხული (იქვე, 5,11-12) „მსხალი“.

ცხუნ-უმ („სხლავ“) < *სხუნ-უმ. შდრ. მეგრ. სხუნ-უ, ქართ. სხლ-ავ,³⁶ სვან. ლი-ცხენე „სხვლა“.

ჭან. დი-ცხირ-ი („სისხლი“) < *ძი-ცხირ-ი < ზი-სხირ-ი. შდრ. მეგრ. ზი-სხირ-ი, სვან. ზი-სხ, ქართ. სი-სხ-ლ-ი.³⁷

მე-მ-ცხვე-ერ-ი // მე-ნცხ-ურ-ი // მე-ცხ-ულ-ი < *მე-მ-სხვე-ერ-ი // *მე-სხ-ულ-ი „სახსარი“. შდრ. მეგრ. სა-რ-სხ-ალ-ი (// „მე-რ-სხ-ელ-ი“), ქართ. სა-სხ-არ-ი < // სა-ქ-არ-ი: კითხიში მე მცხვე-ეფ-ე (II, 102,33) „თითის სახსრები“... არ კითხი სუმ მცხული ულუნ (II, 112,15) „ერთ თითს სამი სახსარი აქვს“...³⁸ ცქირმუნტურ-ი // ცქიმუნტურ-ი // ცხუმუნტურ-ი < *სხუმუნტურ-ი. შდრ. ქართ. ზღმარტლ-ი < *სღმარტლ-ი.

31. იხ. ორსავე შრომაში იქვე. ავტორი აქ მომდევნოდ წერს, აგრეთვე: „ჭანურის ცხ კომპლექსის შესატყვისად გურულში გვაქვს სხ კომპლექსიო“ და მოაქვს მაგალითები: ო-ცხოვე — სხვენი, მცხული-სხალი // ფსხალი (იხ. პირველ შრომაში გვ. 247, მეორეში — 43). შემდეგში ამავე აზრისა იყო გ. მავაძე არიანიც (იხ. მისი საერთო-ქართველური კონსონანტთა სისტემა... გვ. 24, 110-111).

32. ს. ყლენტი, დასახ. შრომები, გვ. 247, 40, 43.

33. ს. ყლენტი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1953, გვ. 185.

34. ი. ყიფშიძე, ჭანური ტექსტები, ტფ., 1939, გვ. 88, 19.

35. არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი... გვ. 120. ს. ყლენტი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა... გვ. 155.

36. არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტექსტიკურთ, თბ., 1936, გვ. 25, 80, 88, 89-90, 92. ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი... გვ. 387.

37. იქვე, გვ. 72. Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем, С.-Петербург, 1910, გვ. 75.

38. მასალა იხ. არნ. ჩიქობავას შრომაში: ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი... გვ. 59-60

ო მ ც ქ უ („სკიდან თაფლის ამოღება“. ულ, ქეშფ 59) < *ომსქუ. შდრ. ჭან. მცქა < // მსქა, მეგრ. სქა „ფუტკარი“, ქართ. სკა.

მ ც ქ ა < // მ ს ქ ა „ფუტკარი“. შდრ. მეგრ. სკა // სქა „ფუტკარი“, ქართ. სკა.

ჭან. ც ქ ა პ ი < *სქაპი „ჩიტის მახე“. შდრ. გურ. სხაპი „ჩიტის მახე“.³⁹

ც ქ ა ნ - ი < *სქან-ი „შენი“. შდრ. მეგრ. სქან-ი: ნენა ც ქ ა - ნ ი (ულ 46,31) „სიტყვა შენი“. მ ა ც ქ ა ნ დ ე მაქქურინენ (იქვე, 48,36) „მე შენი მეშინია“.⁴⁰

სვანურში ს > ც მოვლენა დასტურდება დ ხშულის, მ, რ სონორებისა და ხ სპირანტის წინ:

ა თ ა ც დ ა ხ < *ათასდახ: იორი შუკვს ა თ ა ც დ ა ხ (ტვ) „ორ გზას გაუარეს“ (შარად. 238).

ლ ი ც ხ ე ნ ე < *ლისხენე „სხვლა“. შდრ. მეგრ. სხუნ-უნ-ა, ჭან. ცხუნ-, ქართ. სხლ-ვ-ა.

ი - ც ხ⁴¹ (ეცერ. ვი-ცხ, ჩბხ. უ-ცხ) < *ი-სხ (*ვი-სხ, *უ-სხ) „მსხალი“. შდრ. მეგრ. სხ-ულ-ი, ჭან. ცხ-ულ-ი // მ-ცხ-ულ-ი, ქართ. მ-სხ-ალ-ი: ვ ი ც ხ ჩუქა (ეცერ.) „მსხლის ქვეშ“. უ ც ხ ჩუქა (ჩბხ) „მსხლის ქვეშ“.⁴²

ლ უ ც მ პ ნ (ბზ) < *ლუსმპნ „ლურსმანი“. შდრ. ლხმ. ლუსმპრ,⁴³ მეგრ. ლისმარ-ი (> ისმარ-ი), ლუსმარ-ი, ლუსმარ-ი, ქართ. ლურს-მან-ი.

ვ ი ც ხ ვ (ფარ.) < *ვისხვ „უსხი“. შდრ. ლხმ. ვისხვ, ქართ. უსხი.

39. ს. ყ ლ ე ნ ტ ი, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა, I, თბ., 1960, გვ. 91.

40. შდრ. გ. მ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა... გვ. 89, სადაც წერს: „გადასვლა (სქ) > (ცქ) ჭანურში (მ)-ს მომდევნო პოზიციაში (ხაზი ჩვენია. ა. ლ.), როგორც ჩანს, დიალექტური მოვლენაა: მ ს ქ ა > მ ც ქ ა, ო მ ს ქ უ > ო მ ც ქ უ „თავის მონონება“ (იხ. Н. М а р р, Грамматика чанского (лазского) языка... გვ. 186-187). შდრ. (სხ) > (ცხ) და (შხ) > (ჩხ) ჭანურის ყველა კილოკავში“.

41. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დასახ. შრომა, გვ. 120-121.

42. ს. ყ ლ ე ნ ტ ი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, ექსპერიმენტული გამოკვლევა, თბ., 1949, გვ. 180. მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, სვანური ენის ბალსქვემოური კილოს ეცერული თავისებურებანი, იკე, IX-X, თბ., 1958, გვ. 213.

43. მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, სვანური ენის ლაზამულური კილოკავის ფონეტიკური თავისებურებანი... გვ. 159.

ხოცრპრ (ფარ.) < ხოსრპრ — სოფლის სახელია. შდრ. ლხმ. ხოსვრპრ.

§ 14. ს > წ

ეს ფონეტიკური პროცესი ქართულში დასტურდება ყდაკხშულების წინ, მეგრულსა დაჭანურში — კხშულის წინ:

ჯერ კიდევ 1937 წელს ვ. თოფურია მწამოაყენა დებულება, რომ ქართული ენის ქვემოიმერულ კილოკავში სკ და სყ კომპლექსები გადადის წყში:

ტყისკენ > ტყინყენ;

ცეცხლისკენ > ცეცხლინყენ;

ამეიყვანოსყენ > ამეიყვანონყენ.⁴⁴

შემდეგში შ. ძიძიგურმა გარკვეული ცვლილებით გაიზიარა ეს დებულება: მისი აზრით, პირველ შემთხვევაშიც სკ კომპლექსი წყში გადადის სყ საფეხურის გავლით; არის ტყისკენ > ტყისყენ > ტყინყენ. ავტორის აზრით, ამაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ ქვემო იმერულში დღესაც პარალელურად არსებობს ტყისყენ და ტყინყენ ფორმები. ხსენებული ავტორი წერს: „კენ თანდებული წარმოდგენილია -ყენ-ის სახით, ოღონდ ნათესაობითი ბრუნვის ს-სთან ყგვაძღვეს წყ კომპლექსს (სყ > წყ). სყ-ის მაგალითები: ტყისყენ, მთისყენ, სოფლისყენ, უფრო ხშირია წყ-ის მაგალითები: ტყინყენ, მთინყენ, გორდინყენ, ქალაქინყენ“.⁴⁵

„წინამავალი თანხმოვნის ს-ს (S₃) მეზობლობა ყ-სთან

44. იხ. ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, IV, ბუნებრივი კომპლექსებისათვის, ენიშკის მოამბე, I, 1937, გვ. 121.

45. შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბ., 1970, გვ. 155-156.

გვაძლევს წყ კომპლექსს, თანახმად ფორმულისა: სყ > წყ:

1. თუ გააკეთებენ, გააკეთონ წყენ (// გააკეთოსკენ) მა დალოცვილიშვილებმა ელობეი;

2. (მათ) შემოავლო წყენ (// შემოავლოსკენ) გერილიაშემოსინა;

3. ამეიყვანო წყენ (// ამეიყვანოსკენ) ქალებმა ყველიო;

4. ჩაყარო წყენ (// ჩაყაროსკენ) მუშებმა ბალავერიო;

5. რო შემოუარო წყენ (// შემოუაროსკენ) ბაღებმა ეკლესიას...

6. მაგენმა როესაქმე გამიკეთო წყენ (// გამიკეთოსკენ)...

1. მბოქშებს ქუდი არც ქე უნდა ეხურო წყენ (// ეხუროსკენ)...

1. (ალიამ) რაფერ უნდა გიცადო წყენ (// გიცადოსკენ) ამდენხანს (თქვენ)...

წვევიდენ წყენ (// წვევიდესკენ)... იყო წყენ (// იყოსკენ) და მისთ⁴⁶.

სკ > წკ ფაქტია გურულში:

პწკალა/ე, -ი⁴⁷ < // ფსქალა/ე, -ი, („კიბე“) < *მსკალა/ე, -ი.

(დამატ. იხ. ქვემოთ წკჟარამი).

საფიქრებელია რაჭულშიც:

ფწკალა < *ფსკალა. „ფწკალა სანადირო მახეა; იყენებდნენ, კერძოდ კვერნის დასაჭერად“ (იხ. რობაქ. 51).⁴⁸

მოხეური:

დარწკი < *დარსკი: დარწკზე გავრეკე ჯალაბნი (ტარსკი სოფელია ჩრდ. კავკასიაში).

ქლომთათიძის აზრითაც, ქართულში წკ კომპლექსი არაერთგან მიღებულია სკ კომპლექსისაგან, მაგალი-

46. იქვე, გვ. 158-159.

47. ს. ულენტი წერს: „ჭან. პწკალა (//ფსქალა) ნიშნავს კიბეს. გურულშიც ყოველგვარ კიბეს პწკალას ეძახიან“ („გურული კილო“... გვ. 23, 239).

48. ალ. კობახიძე, რაჭული დიალექტის ლექსიკონი, თბ., 1987, გვ. 108. შდრ. ჭან. ცქაპი, გურ. სხაპი „ჩიტის მახე“. იხ. ს. ულენტი, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა, I, მარცვლის აგებულების პრობლემა... გვ. 91.

თად:

„სიტყვებში — წკიპარტი „თითის კვრა“ (საბა), წკიპურტი „მცირე შვილდაკი“ (საბა) — წ'ს მომდინარეობა ს-საგან მკვეთრი კ-ს მეზობლობაში. შდრ. ძვ. ქართულის ს კ ი პ ა რ - ტ ი: „დაიდგა ბარზიმი იგი“ ელსა მარცხენასა და სცის ს კ ი - პ ა რ ტ ი თ ა „ელსა მარჯუენისა მისისაჲთა (საკ. წიგნ. II, 72,3. ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, ლექსიკ. 399)“.⁴⁹

ასევე, ხსენებული ავტორის აზრით, ქართ. წ კ ვ ა რ ა მ ი < *სკვარამ-ი.⁵⁰ შდრ. გურ. წკუარამ-ი („ჯოჯოხეთი, წყევლის დროს ხმარობენ“. ჟგ, 258). მეგრ. წ კ ვ ა რ ა მ ი („რაიმე დიდი ღრმა ადგილის ძირი“ (იხ. ქვემოთ).

მეგრული:

წ კ ი ნ ტ ი ლ - ი < *სკინტილ-ი < *სკინტლ-ი. შდრ. ქართ. სკინტლ-ი > სკინტი, წკლინტი (ინგ.) < სკინტლ-ი. მეგრ. ოკარიე წ კ ი ნ ტ ი ლ ი თ ი ე ევშა „საქათმე სკინტლითაა სავსე“. წკუნწკი ოსურიე: ქოთომიშ წ კ ი ნ ტ ი ლ ს ვამასქიდუ შხვაშოთ: „წუნწკი ქალია: ქათმის სკინტლს ვერ გაიმეტებს სხვისთვის“.

წ კ ვ ა რ ა მ - ი („რაიმე დიდი ღრმა ადგილის ძირი“) < *სკვარამ-ი: ვარწყეჟო, ინჭა წ კ ვ ა რ ა მ ი შ ა ხ გუსინჯებუ დო ვედრა გეშულალუნი! „ვერ ხედავ, ჭა ღრმა ძირამდის გაუსინჯავს და ვედრო ამოულიაო!“ ინეფი ზღვაში წ კ ვ ა რ ა მ ი - შ ა ხოლო დინმულა, ქასაჭირუნადა „ისინი ზღვის უღრმეს ძირამდის ჩადიან, თუ სჭირდებათ“.

წ კ ვ ა რ ა მ - უ რ ა სერიდუ: „ღრმად შავი ღამე იყო“.

ქუა წ კ ვ ა რ ა მ ს ქოგუხუნუ „ქვა ღრმად, ძირს, ჩააგლო“.

ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს გამოკვლევის მიხედვით, „მეგრულ წ-კალა // წ-კელა // წ-კუმა [„თან“. შდრ. ჭან. კალა „თან“] თანდებულში წ... წარმომდგარია ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის -შ ელემენტი- საგან მომდევნო მკვეთრ კ'სთან შეხვედრის დროს (ხაზი ჩვენია.

49. ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, პოზიციური წარმოშობის მკვეთრი სპირანტები გურულ დიალექტში, იკენ, XIII, თბ., 1986, გვ. 70.

50. იხ. ი ქ ე ე.

ა.ლ.).⁵¹ ჩვენი აზრით, ამ ვითარებაში შკ კომპლექსის არაბუნებრივობის გამო შ გადადის ს'ში, ხოლო კ'სთან ხშულობის მიხედვით ასიმილაციით თვით ს სპირანტი გადადის წ აფრიკატში:

ჯიმა-წ-კელა < ჯიმა-ს-კელა < ჯიმა-შ-კელა;
ჯიმა-წ-კალა < ჯიმა-ს-კალა < ჯიმა-შ-კალა;
ჯიმა-წ-კუმა < ჯიმა-ს-კუმა < ჯიმა-შ-კუმა;
ჯიმა-წ-კგმა < ჯიმა-ს-კგმა < ჯიმა-შ-კგმა „ძმასთან“.⁵²

ჯ ი მ ა წ კ ე ლ ა (// ჯ ი მ ა წ კ ა ლ ა // ჯ ი მ ა წ კ უ მ ა)
ართო ჭოფუნდუ ჩხომს ამჭყანი „ძმასთან ერთად იჭერდა თევზს ამ დილას“. კოჩურ კოჩინკუმა (კოჩინკალა, კოჩინკელა) საქმე ქოგილუდა, ბედნიერიექ (// ბედნიერი რექ) „კაცურ კაცთან საქმე თუ გაქვს, ბედნიერი ხარ“. ხუთ წანას ათე კოჩინკალა (// კოჩინკელა // კოჩინკუმა) ვცხოვრენდი ქართის „ხუთი წელიწადი ამ კაცთან ვცხოვრობდი თბილისში“.

ჭანური:

მ წ კ ა ლ ა (პ წ კ ა ლ ა // ფ ს კ ა ლ ა // ფ ს ქ ა ლ ა) <
// მ ს კ ა ლ ა „კიბე“. შდრ. გურ. პ წ კ ა ლ ა/ე („კიბე“) <
ფ ს კ ა ლ ა/ე < *მ ს კ ა ლ ა/ე (იხ. ზემოთ).

ს. ყ ლ ე ნ ტ ი ს მიხედვით, „ასეთ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ წ მეორეულია: მიღებულია ც-საგან (მკვეთთან ასიმილაციით), ე.ი. სკ > ცკ > წკ“. ი. ქოზალავას აზრითაც: ცკ აუცილებლად უნდა გადასულიყო წკ'ში, რადგან „ცკ კომპლექსი საერთოდ შეუძლებელია არსებობდეს: გვაქვს ან ცქ, ან წკ“⁵³ (ხაზი ჩვენია. ა.ლ.).

ჯერ ერთი, ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ ცკ კომპლექსის არსებობა „საერთოდ შეუძლებელი“ არ ჩანს, თუმცა არაა ბუნებრივი:

51. იხ. ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, IV... გვ. 119-121.

52. შდრ. არნ. ჩიქოზავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი... გვ. 65, 63-64.

53. იხ. ი. ქოზალავა, აფრიკატიზაციისა და... გვ. 71.

ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს გამოკვლევით ქართული ენის ქართლურ¹ დიალექტში რუსული -ский სუფიქსი წარმოდგენილია ცკი-დ: ანტონოვსკი > ანტონოვცკი...,⁵⁴ მაგრამ ეს არაა მთავარი. მთავარი ისაა, რომ ზემოთ წარმოდგენილი კვლევა-ძიების მიხედვით, ს სპირანტი მკვეთრი კ ხშულის უშუალო მეზობლობაში იძლევა წ აფრიკატს (სკ > წკ) ისევე, როგორც სყ > წყ'ს (იმერ. ტყისყენ > ტყინყენ), სტ > // ცტ'ს (ზ. იმერ. ნაფისტყე > ნაფიტყე)... სქ > ცქ'ს (ჭან. მსქა > მცქა „ფუტკარი“)... ზგ > ძგ'ს (იმერ. დაზგა > დაძგა), ზრ > ძრ'ს (ძვ. ქართ. ზროხა > ძროხა) და ა.შ. ს სპირანტის წ აფრიკატად გარდაქმნაში მომიჯნავე კასრულებს მკვეთრი ხშულობის კომპონენტის როლს (შდრ. წ < სტ!). ცქ საფეხურის გავლა აქ არ იყო აუცილებელი. ეს მით უმეტეს გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს, თუ „ცკ კომპლექსი საერთოდ შეუძლებელია არსებობდეს“.

§ 15. უ > ჯ

ქ ა რ თ უ ლ შ ი ეს ფონეტიკური პროცესი გვხვდება ნ სონორის წინ, ხოლო მ ე გ რ უ ლ შ ი — გ ხშულისა და ღ სპირანტის წინ.

ქართლური:

და უ მ ი ჯ ნ ა < *დაუმიჟნა < *დაუმიზნა.⁵⁵

გუდამაყრული:

დი ლ ი ჯ ნ ე ბ ი < *დილიჟნები: დ ი ლ ი ჯ ნ ე ბ ი შენ არ გეცოდინება (ქდ 82,31).

მთიულური:

და ე პ ა ტ ი ჯ ნ ა < *დაეპატიჟნა: და ე პ ა ტ ი ჯ ნ ა ქელმნიფე (ქდ 63,1).

54. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური... გვ. 138.

55. შდრ. გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართლური დიალექტი, I, თბ., 1974, გვ. 155.

მეგრული:

კორი-ჯგურა < *კორი-ჟგურა < (გ'სთან გამჟღერებით) < *კორი-შგურა „კაცივით“. ც უ დ ე-ჯ-გ უ რ ა < *ცუდე-ჟგურა < *ცუდე-შგურა „სახლივით“.⁵⁶

§ 16. შ > ჩ

ქ ა რ თ უ ლ შ ი შ > ჩ გვაქვს ხ სპირანტისა და მ, კ ხშულებს წინ, ხოლო მ ე გ რ უ ლ შ ი — ქ'ს წინ:

კახურ-ქიზიყური:

შ ა ი ჩ მ უ ჩ ნ ის (ქდ 610) < *შიშმუშნის „შიშმუშნებოდა ხოლმე“.

მოხეური:

ჩ ხ ა მ ა < *შხამა, მ ა ჩ ხ ა ლ ა < მაშხალა;⁵⁷

ხ ა რ ჩ ო < *ხარშო...

ჯავახურში:

კ რ უ ჩ კ ა (ქდ 648) < *კ რ უ შ კ ა (რუს. кружка) „ტოლჩა“: ყველამ თითო კ რ უ ჩ კ ა წყალი ამოიღეთო (ქდ 338,6).

მეგრულში:

ლ ე - ჩ ქ ვ - ი < *ლე-შქე-ი „ბაგე“, „ტუჩი“. შდრ. ჭან. ლე-შქი „ბაგე“, „ტუჩი“, ქართ. ლა-შ-ი:⁵⁸ ე ძღაბის ლ ე ჩ ქ ვ ი გლახა ულუ „ამ გოგოს ტუჩი ცუდი აქვს“. მუ მოხელე რე

56. რა თქმა უნდა, ჯ < ჟ პროცესი ს კ ო ნ ტ ა ნ უ რ ა და ც ხდებდა და არაიშვიათად: ქართ. ჯ ა ნ გ - ი < *ჟანგი.

მეგრ. ჯ ო ხ ო < *ჟოხო „შქვია“ (შდრ. სვან. ჟახე, ქართ. ძახ-ილი < ზახ-ილი). მეგრ. ხაჯალი-ა < *ხაჟალი-ა — გვარი ადამიანისა (შდრ. ხაჟალური „დასასჯელი ჯაჭვი“).

ჭან. ჯინ (ჩიქ, II, 109,27) < *ჟინ. შდრ. მეგრ. ჟი(ნ) „ზე“ (თანდ.), ქართ. ზე, ზევით, ზედა.

სვან. ბერეჯ (უშგ. მერ.) < *ბერეჟ „რკინა“

57. ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989, გვ. 263.

58. შდრ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი... გვ. 51-52. ს. ჟ ლ ე ნ ტ ი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა... გვ. 137.

ლ ე ჩ ქ ვ ი გილაბარბატელი ოსური! „რის მაქნისია ტურებჩამოყრილი ქალი!“

ჩ ქ ვ ა („ეშვი“) < *შქვა. შდრ. ქართ. ე-შვი: ტყარ ლეს დიდი ჩ ქ ვ ა ულუ „გარეულ („ტყიერ“) ღორს დიდი ეშვი აქვს“. ინა ჩ ქ ვ ა მ ი ე — მოშქურუ ეჯგუა საქონელიშა „ის ეშვიანია — მეშინია ამისთანა საქონლისა“.

ქართული შ თანხმოვნის შესატყვისად მეგრულ-ჭანურში შ გვაქვს (იხ. ქვემოთ):

ქართული შვიდ-ი: მეგრ. შქვით-ი: ჭან. შქვით // შქით: სვან. ი-შგვიდ // ი-შქვით.

ქართული ვაშ-ლ-ი: მეგრ. უშქ-ურ-ი: ჭან. უშქ-ურ-ი // უშქ-ირ-ი // უშქ-ი-ი, ოშქ-ურ-ი // ოშკ-ურ-ი : სვან. უისგ-უ...⁵⁹

ჩვენ მიერ წარმოდგენილ მასალაში კი მოსალოდნელი შ'ს ადგილას გვაქვს ჩ: ქართ. ლა-ში-ი: მეგრ. ლეჩქვი, ქართ. ე-შვი: მეგრ. ჩქვა. აქედან, არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს აზრით, პირველ მაგალითში ადგილი აქვს შ და ჩ თანხმოვანთა მონაცვლეობას,⁶⁰ ჩვენი მიკვლევით კი ორსავე მაგალითში საქმე გვაქვს მეზობელი ხშული ქ თანხმოვნის გავლენით შ სპირანტის აფრიკატიზაციასთან.

ჭანურში შ სპირანტის აფრიკატიზაციის პროცესი (შ > ჩ) საკმაოდ ხშირია ქ, კ ხშულებისა და ხ სპირანტის წინ.⁶¹

შქ > ჩს:

ჩქვა („სხვა“, „კიდევ“) < *შქვა < *შხვა.⁶² შდრ. მეგრ. შხვა, ქართ. სხვა: ჩ ქ ვ ა მეხირუ მუთუ ვა იყუ ექონაში (I, 25,9) „სხვა ქურდობა არაფერი მომხდარა იქ“. მციქა ჩ ქ ვ ა გელამიხთატი ფოქსე (I, 18, 1) „ცოტა სხვაც რომ მოგვევლო...“ არ ჩ ქ ვ ა კოჩი ხოლო ქომობთუ (ა.ჩ., II, 11,6-7) „ერთი სხვა კაცი კიდევ მოვიდა“.

59. იხ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი... გვ. 216-217, 121.

60. არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი... გვ. 51-52.

61. შდრ. გ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, საერთო-ქართველური კონს. სისტ... გვ. 29.

62. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი... გვ. 246.

პტკომათ ჩ ქ ვ ა (I, 1,23) „ვჭამოთ რა („კიდევ“)“.

ჩ ქ ა („შუა“) < *შქა.⁶³

შკ > ჩკ:

ჭანურში ნათესაობითი ბრუნვის სუფიქსისეული შ'ც, იშვიათად, მაგრამ მაინც, აფრიკატიზაციას განიცდის (შ > ჩ) მომდევნო ნაწილაკის ხშული კ თანხმოვნის წინ.

ვიწურ-არქაბულ კილოკავში ფიქსირებულია:

ბ ი მ ტ ი თ'შ კ უ ლ ე > ბ ი მ ტ ი თ'ჩ კ უ ლ ე: პეკოლე ბ ი მ ტ ი თ'ჩ კ უ ლ ე, მახოშა ქომოფთი (ჩიქ., II, 27,18) „იქიდან რომ გავიქეცით (მას შემდეგ, როცა იქიდან გავიქეცით), მოვედი“... ჩვეულებრივია კი შ'ს ხმარება: არ ვით დ ღ ა-შ-კ უ ლ ე ხოლო ჭუკი ლაზიმი დაუ [ო]ას (ჩიქ., II, 9,17)... ჰეა კავი რენ; ნუდვინა-შ-კულე, შურა ავენ (ჩიქ., II, 2,28-29)“...

მაგალითები იხ. გვ. 2,31; 9,11-12; 19,20 და ა.შ. გარდა ამისა, შ ამ შემთხვევაში მთლიანად შენარჩუნებულია ათინურ კილოკავში და ნაწილობრივ გვაქვს ხ ო ფ უ რ შ ი ც (იხ. ქვემოთ).

შხ > ჩხ:

ბ უ ა ჩ ხ ა [„კვირა (დღე)“, „მზის დღე“] < *ბუაშხა. შდრ. მეგრ. უაშხა (< ბუაშ დლა) „კვირა („მზის დღე“).

თ უ თ ა ჩ ხ ა („ორშაბათი“, „მთვარის დღე“) < *თუთაშხა. შდრ. მეგრ. თუთაშხა „ორშაბათი“ („მთვარის დღე“).

ე რ კ ი ნ ა ჩ ხ ა („სამშაბათი“) < *ერკინაშხა. შდრ. მეგრ. თახაშხა „სამშაბათი“.

ჯ უ მ ა ჩ ხ ა („ორშაბათი“, „ძმის დღე“) < *ჯუმაშხა „ოთხშაბათი“ („ძმის დღე“).

ც ა ჩ ხ ა „ხუთშაბათი“ („ცის დღე“) < *ცაშხა. შდრ. მეგრ. ცაშხა „ხუთშაბათი („ცის დღე“)“.

ო ბ ი ჩ ხ ა < // ო ბ ი შ ხ ა „პარასკევი“ („ვობის დღე“). შდრ. მეგრ. ობიშხა „პარასკევი („ვობის დღე“):⁶⁴ ო ბ ი შ ხ ა (ო ბ -

63. ი. ქ ო ბ ა ლ ა ვ ა, აფრიკატიზაციისა და ... გვ. 71.

64. შდრ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი... გვ. 206-210. ს. ყ ღ ე ნ ტ ი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1953, გვ. 125-126, 152-153.

ი რ ხ ა) ნანა იტუმე (II, 107,18) „ობიშხა“-ს („ობიჩხა“-ს) დედა ამბობს“.

(მ) რ ხ უ რ - ი („ცხვარი“) < *შხურ-ი: შდრ. მეგრ. შხური, ჭან. ც ხ უ რ ი შ ი მუა „ცხვრის რძე“. ⁶⁵ ქჩე მ რ ხ უ რ ი ს ნა გ'ეხედატუ, უჩას ქოგ'ახუნუ „თეთრ ცხვარზე რომ უნდა შემ-ჯდარიყო, შავს შეაჯდა“. ⁶⁶

ჩ ხ ა მ - ი (ხოფ. ⁶⁷ „შხამი“) < *შხამ-ი. შდრ. მეგრ. შხამ-ი. ქართ. შხამ-ი, სხამი (საბა).

მ - რ ხ უ („მსხვილი“) < *მ-შხუ. შდრ. მეგრ. შხუ, ქართ. მ-სხ-ჭილ-ი (დიალექტ.), ⁶⁸ ფ-სხჭილ, სხ-ილ: არ მ რ ხ უ ბიგა-თი თვას ქოხომოტახუ „ერთი მსხვილი ჯოხიცი თავზე გადამატეხა...“ ⁶⁹

§ 17. შ > ჭ

ვ. თოფურიას მიერ ჯერ კიდევ 1937 წელს გაირკვა, რომ ჭანურში შ სპირანტი მომდევნო მკვეთრ კ თანხმოვანთან შეხვედ-რისას ჭ აფრიკატის სახეს ლებულობს. ასე, მაგალითად:

ნათ. ბრუნვის -შ + კულე („შემდეგ“) > ჭ + კულე. ⁷⁰

ოხოორ-ჭ-კაფურა (ათინ. „სახლის ქალბატონი“) ⁷¹ < *ოხოორი-შ-კაფურა. ⁷²

ჰი-ჭ-კუპა („პირველმა“) < ჰიჯი-შ-კუპა. ⁷³

ხოფური დიალექტის სარფულ მეტყველებაში ფუძისეული შ'ც

65. H. M a p p, Грамматика чанского (лазского) языка... გვ. 115.

66. Georges D u m é z i l, Contes lazès, Paris, 1937, გვ. 90, 13.

67. H. M a p p, დასახელებული შრომა... გვ. 212.

68. არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი... გვ. 207, 231-232. Г. А. К л и м о в, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964, გვ. 137.

69. არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი... გვ. 84,14.

70. ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში... გვ. 119-121. შდრ. არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი... გვ. 185.

71. არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი... გვ. 33.

72. ს. ყლენტი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა... გვ. 155.

73. ს. ყლენტი, კვლავ თანხმოვნების პარმონიულ კომპლექსთა შესახებ, ქეფს, თბ., 1965, გვ. 175.

კ'სთან შეხვედრისას გადადის ჭ'ში: დიჭკაფ-ი („ჭიშკარი“) < *დიშკაფ (თურქ).⁷⁴

აქედან პირველი სახის ფაქტები ჩვეულებრივია ხოფურ კილოკავში:

ა ნ ი'ჭ კ უ ლ ე (იქვე, 142,8) „ამის შემდეგ...“;

უ ნ უ'ჭ კ უ ლ ე (ჩიქ., I, 1,29) < უნუშკულე: „რომ უთხრა („მის შემდეგ, რომ უთხრა...)“;

დ ო რ ო დ ი ნ ე ს'ჭ კ უ ლ ე (ჩიქ., II, 25) „რომ დაამთავრეს“ („მას შემდეგ, როცა დაამთავრეს...“);

ს ქ ა ნ ი'ჭ კ უ ლ ე (ჩიქ., II, 142,1) < სქანი-შ-კულე „შენს შემდეგ...“;

ო ნ დ ლ ე ჭ კ უ ლ ე (იქვე, 143,11) < *ონდლე-შ-კულე „შუადღის შემდეგ...“;

მ ო ფ თ ი'ჭ კ უ ლ ე (იქვე, 143,12) „მოსვლის შემდეგ („რომ მოვედი, მის შემდეგ...“)...

შეინიშნება ის ვინურ-არქაბულშიც:

ჩ ქ ვ ა'ჭ კ უ ლ ე < *ჩქვაშკულე: მცია ჩ ქ ვ ა'ჭ კ უ ლ ე ხოჯა თუდე მელუ (იქვე, 8,23).

ქ ო გ ო ქ თ უ'ჭ კ უ ლ ე < *ქოგოქთუშკულე: ხოჯი ქომოლი მუშიქ გერი ქოგოქთუ-ის (ქოგოქთუ'ჭკულე), სირას ჩხომი ქოძირუ (იქვე, 5,25-26).

ბ ი ლ ი თ ჭ კ უ ლ ე < *ბილიშ-კულე: ქარმატეშე ლაზუტი ბილით-ჭკულე (ჩიქ., II, 61,18) „სიმინდი წისქვილში რომ წავიღეთ („მის შემდეგ, როცა სიმინდი წისქვილში წავიღეთ...“)...

ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ ვინურ-არქაბულში დასტურდება შ > რ'ს ფაქტიც (ჩ-კულე), შ > ჭ-ს ცალკეული შემთხვევებიც, მაგრამ შ-აფიქსიანი ფორმები (შ-კულე) აღმოჩნდა ძირითადი. ასევე დამახასიათებელია ეს შ-თანხმოვნიანი ფორმები ათინური კილოკავისათვის, მაგრამ ორი სახით: გვაქვს შ-კულე და შ-უკულე. მეორე სახის ფორმაში, ცხადია, შ სპირანტის სახეცვლილება არ იყო მოსალოდნელი და ასეთიცაა ვითარება:

უკაჩხეჩორბა შ კ ო მ უ-შ-უ კ უ ლ ე ქორბა ოკვახუ... (ჩიქ.,

74. ს. ყ ლ ე ნ ტ ი, იქვე. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ძივანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1964, გვ. 152.

II, 120,32-33);

ხოჯაქ არა მ ე კ ვ ა თ უ-შ-უ კ უ ლ ე, ხოჯა ჯ'ოლუ (ჩიქ. 87,8-9);

ოკახხე, სუმ თ უ თ ა-შ-უ კ უ ლ ე... ბერე ჰიქ იგზალუ (ჩიქ., II, 93,14);

ქ ო მ ე ქ რ ა-შ-უ კ უ ლ ე (ყიფ. 83,1) „რომ მოგცა, მის შემდეგ“ („მის შემდეგ, რომ მოგცა“...);

ეჩი ნ დ ლ ა-შ-უ კ უ ლ ე (ყიფ. 75,21) „ოცი დღის შემდეგ...“... ძირითადად ასევე უცვლელია აქ შ-კულე'ც:

ჰიმდორა ჯარი ქ ო რ უ-შ-კ უ ლ ე ნეკლა ჯუნკოლე (ჩიქ., II, 120,32);

ო ნ დ ლ ე-შ-კ უ ლ ე (ყიფ. 90,25) „შუადღის შემდეგ“.

მ ო ფ თ ი-შ-კ უ ლ ე (ყიფ. 90,26) „მოსვლის შემდეგ („რომ მოვედი, მის შემდეგ“...)“, თ უ თ ა-შ-კ უ ლ ე (ყიფ. 73, 20-21) „თვის შემდეგ“...⁷⁵

შ-კულე გვხვდება ხოფურ კილოკავშიც, მაგრამ შედარებით ნაკლებად:

ს ა ა თ ი-შ-კ უ ლ ე (ჩიქ. I, 17,6) „ერთი საათის შემდეგ“.
ა ნ ი-შ-კ უ ლ ე ხავესლული ვარ მილუნ (ჩიქ., II, 147,27) „ამის შემდეგ...“;

ს ქ ა ნ ი-შ-კ უ ლ ე მან-იი საღი ვარ გომალენ, გაელინი ჩქიმი! (ჩიქ., II, 139,20) „შენს შემდეგ“...

შ'ს ზოგჯერ ი'ც ახლავს, რაც ჭ'ს წარმოქმნას გამორიცხავს:
უ ნ უ-შ ი-კ უ ლ ე (ყიფ. 12,35) „თქმის შემდეგ („მის შემდეგ, რაც უთხრა“...)“...

ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს ახსნით, ზემოთ წარმოდგენილ ჭანურ ჭ - კ უ ლ ე'შ ი ჭ მიღებულია ნათესაობითი ბრუნვის -შ'სა და მომდევნო მკვეთრი კ'ს შეხვედრის ნიადაგზე; შ-კულე > ჭ-კულე, ისევე, როგორც ქვემოთმჩრულში ნათესაობითი ბრუნვისა და მესამე სუბიექტური პირის ს სპირანტი გადაადის წ აფრიკატში -კენ თანდებულისა და -ყე ნაწილაკის წინ: ტყის-კენ > ტყინ-ყენ,

75. ასეთივე მაგალითები იხ. ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, ჭანური ტექსტები... გვ. 73,20; 74,2; 90,24; 91,35 და სხვ.

რისი მოძიებაც ჩვენ ამ ეტაპზე მოვასხერხეთ. დარწმუნებული ვართ, მომავალში მსგავსი მაგალითები სხვაც დაიძებნება, მაგრამ არა ისე ძალუმად, როგორც — ხშულთა მომდევნოდ.

ბუნებრივია, კითხვა ისმის: რა აქვთ საერთო ამ მეზობელ თანხმონებს, რაც განსაზღვრავს აღნიშნული სპირანტების აფრიკატიზაციას? ხშულობა. მართალია, ლ და ხ თანხმონები ძირითადად სპირანტებია, მაგრამ, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, მათ ხშულობის ელემენტიც ახასიათებს.⁷⁹

ასე და ამგვარად, ზ, ს, ყ, შ სპირანტთა აფრიკატიზაციის საფუძველი აღნიშნულ თანხმოვანთა წინა პოზიციაში ხშულობაა.⁸⁰

ხომ არაა აქ ისეთივე გავლენა ხშულისა სპირანტზე, როგორიც გვაქვს ხშულის მომდევნო პოზიციაში?.

საფიქრებელია, რომ არა, რადგან ყოველ აფრიკატს არტიკულაციურად „ხშული დანყება აქვს და სპირანტული დაბოლოება“ (ს. ჟღენტი). აგებულების ეს სტრუქტურა სავსებით მისადაგება ხშულის მომდევნო პოზიციაში სპირანტის აფრიკატიზაციას ნაწილობრივი შერწყმით: ზან. ლს > ლც (თოლ-ს > თოლ-ც „თვალს“). აკი ასეა სრული შერწყმის შემთხვევაშიც: თს > ც (ათსამმეტი > ცამეტი), თშ > ჩ (ათშვიდმეტი > ჩვიდმეტი)!.., მაგრამ ხშულის წინა პოზიციაში სპირანტის ყოფნისას აღნიშნული სტრუქტურული თანამიმდევრობა ირღვევა, რაც გამორიცხავს აფრიკატიზაციის შესაძლებლობას. შედეგი ისაა, რომ არა გვაქვს სთ კომპლექსის შერწყმა: გვაქვს ბუ-ს-თვის და არა ბუ-ც-ვის; ასევე თშ, ჩვეულებრივ, არ გადადის ჩ'ში: არის ბუშ-თან და არა ბუჩ-ან; ზდ არ იძლევა ძ'ს, ჟდ — ჯ'ს და ა.შ. ამიტომაც ამ ნაწილობრივ შერწყმაზე ფიქრი საფუძველს მოკლებული ჩანს. აქ მხოლოდ პროგრესული ასიმილაცია შეიძლება ვივარაუდოთ; არტიკულაციის პროცესში სპირანტი მომდევნო მეზობელ თანხმოვანს ემსგავსება ხშულობის მიხედვით და ხდება მისი გააფრიკატება: ზ ხშულთან გადადის ძ'ში, ყ — ჯ'ში. რაც

79. შდრ. ი. ქ ო ბ ა ლ ა ვ ა, აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები... გვ. 72.

80. ს. ყ ლ ე ნ ტ ი, ქანურ-მეგრულის ფონეტიკა... გვ. 149-156.

შეხება ს'სა და შ'ს, ისინი ორ-ორ შედეგს იძლევიან იმის მიხედვით, თუ როგორ ხშულებთან აქვთ მეზობლობა: ფშვინვიერთან, თუ მკვეთრთან. პირველ შემთხვევაში ს ც'ში გადადის, შ > ჩ'ში,⁸¹ მეორე შემთხვევაში ს წ'ში გადადის, ხოლო შ > ქ'ში.⁸² განსხვავებული აფრიკატების (ც — წ, ჩ — ქ) ჩამოყალიბებაში ამ დროს განმსაზღვრელ როლს მათთან შემხვედრი ხშული თანხმოვნები ასრულებენ.⁸³

შდრ. სვანურში შ სპირანტის წინ თ'სა და დ'ს აფრიკატიზაცია, სადაც თ გვაძლევს ჩ'ს, დ — ჯ'ს, ხოლო ს სპირანტის წინ დ გვაძლევს ძ'ს: ხშულები: თ, დ სპირანტებს ემსგავსებიან „ადგილის მიხედვით“: თ გვაძლევს ჩ'ს, თ + შ > ჩ + შ:

ა ჩ შ ყ ე და < ათშყედა: თანთე რო ქ ქ ა ჩ შ ყ ე და მოლე „თვალში ჩავარდნია რალაცო“.

ჩ ო ჩ შ გ უ რ ნ ნ ა < ჩოთშგურნნა: მიჩა მუს როქე ჩ ო ჩ შ გ უ რ ნ ნ ა „მამაჩემმა დამარიგაო“.

დ + შ > ჯ + შ:

ჩ ა ჯ შ გ უ რ ნ ნ ე < ჩადშგურნნე: ამჟი ჩ ა ჯ შ გ უ რ ნ ნ ე მიჩა მუდ გეზალ „ასე დაარიგა მისმა მამამ შვილი“.

დ + ს > ძ + ს: ნ არ ტ ყ ვ ე ლ ნ ძ ს: <ნარტყველ'ღს: ათხე ალი ხოლლი, კწნსარ, ნარტყველწს „ახლა ეს უცდის, კეისარი, ნარტყველაღს“.

ეს ვითარება, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს იმას, რომ აფრიკატები სხვა შემთხვევაშიც შეიძლება წარმოიქმნან. მათ, ცხადია, თავიანთი მიზეზები აქვთ. ზოგს ისევ გარკვეული გარემოცვა უდევს საფუძვლად, კ ო მ ბ ი ნ ა ტ ო რ უ ლ ი ა (შდრ., მაგ: რ + ი > ჯ + ი: მეგრ. ხ ა რ ი > ხოჯი),⁸⁴ ზოგი კიდევ ს პ ო ნ ტ ა ნ უ რ ი ხასიათისაა... ქართ. ძელ- > მეგრ. ჯა- (< ჯალ-) „ხე“... არაერთი მათგანის გენეზისის საკითხები

81. შდრ. ი. ქ ო ბ ა ლ ა ვ ა, აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები... გვ. 72, 83.

82. შდრ. ს. ყ ლ ე ნ ტ ი ს დასახ. შრომა, გვ. 155-156.

83. თ. შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე, სვანური ენის ლატალური კილოკავის ზოგიერთი თავისებურება... გვ. 54-55.

84. გ. რ ო გ ა ვ ა, ქართველურ ენათა ბგერათშესატყვისობიდან: ქართ. რ: ზან. ჯ, ქესს, ს, თბ., 1959, გვ. 277-280.

ჯერ კიდევ გასარკვევია. ჩვენ აქ მხოლოდ ერთ-ერთი ჯგუფის წარმოქმნის მიზეზი დავადგინეთ.

დამოწმებული ლიტერატურა

1. თოფურია ვ., ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, IV, ბუნებრივი კომპლექსებისათვის, ენიშკის მოამბე, I, 1937.
2. თოფურია ვ., ქართლური, არილი, ტფ., 1925.
3. გიგინეიშვილი ი., თოფურია ვ., ქავთა-რაძე ი., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961.
4. გურამიშვილი დავითი, დავითიანი, თბ., 1955.
5. იმნაიშვილი გრ., ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბ., 1966.
6. იმნაიშვილი გრ., ქართლური დიალექტი, I, თბ., 1974.
7. იმნაიშვილი ი., ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწილი II, თბ., 1971.
8. კაიშაური ლ., მთიულურის დარგობლივი ლექსიკა, თბ., 1967.
9. კარტოზია გ., ორი თანდებულის გენეზისისათვის მეგრულში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა XVII სამეცნიერო კონფერენციის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1955.

10. კობახიძე ალ., რაჭული დიალექტის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1987.
11. ლომთათიძე ქ., პოზიციური წარმოშობის მკვეთრი სპირანტები გურულ დიალექტში, იკენ, XIII, თბ., 1986.
12. მარტიროსოვი არ., დიალექტიზმები XV-XVIII სს კახურ ისტორიულ საბუთებში, იკე, IV, თბ., 1953.
13. მარტიროსოვი ა. და იმნაიშვილი გრ., ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956.
14. მაჭავარიანი გ., საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბ., 1965.
15. ნიჟარაძე შ., ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, ბათუმი, 1961.
16. ყლენტი ს., გურული კილო, გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი, ტფ., 1936.
17. ყლენტი ს., ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1953.
18. ყლენტი ს., ქართული ენის ფონეტიკა, თბ., 1956.
19. ყლენტი ს., ჭანური ტექსტები, არქაბული კილოკავი, თბ., 1938.
20. ყლენტი ს., ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა, მარცვლის აგებულების პრობლემა, თბ., 1960.
21. ყლენტი ს., ზანიზმები გურულ ზმნებში, ქეფს, თბ., 1965.
22. ყლენტი ს., კვლავ თანხმოვნების ჰარმონიულ კომპლექსთა შესახებ, ქეფს, თბ., 1965.
23. ყლენტი ს., სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, ექსპერიმენტული გამოკვლევა, თბ., 1949.
24. ყლენტი ს., სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები (სადოქტორო დისერტაციის თეზისები), ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, თბ., 1965.
25. როგავა გ., დისიმილაციური აფრიკატიზაციის ერთი კანონზომიერება ქართულში (საბძელი < საბზელი), იკენ, X, თბ., 1983.

26. როგავა გ., ქართველურ ენათა ბგერათშესატყვისობიდან: ქართ. რ: ზან. ჯ, ქესს, ს, თბ., 1959.
27. საქართველოს სსრ ტოპონიმია, თბ., 1987.
28. უთურგაიძე თ., ჩხუბიანი შვილი დ., გიუნა შვილი ჯ., ფერეიდნული მეტყველების შესწავლისათვის, იკე, XXI, თბ., 1979.
29. ქალდანი მ., სვანური ენის ბალსქვემოური კილოს ეცერული თავისებურებანი, იკე, IX-X, თბ., 1958.
30. ქალდანი მ., სვანური ენის ლახამულური კილოკავის ფონეტიკური თავისებურებანი, იკე, VII, თბ., 1955.
31. ქობაღვაძე ი., აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები იბერიულ-კავკასიურ ენებში, იკე, IX-X, თბ., 1958.
32. ყიფშიძე ი., ჭანური ტექსტები, ტფ., 1939.
33. შალამბერიძე გ., დიალექტიზმები ს. მგალობლიშვილის მოთხრობებში, იკე, IX-X, თბ., 1958.
34. შარაძენიძე თ., სვანური ენის ლატალური კილოკავის ზოგიერთი თავისებურებანი, იკე, XVII, თბ., 1970.
35. ჩიქობავა არნ., ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტექსტი-თურთ, თბ., 1936.
36. ჩიქობავა არნ., ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.
37. ცოცანიძე გ., ფშაური დიალექტი, თბ., 1978.
38. ძიძიგური შ., ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954.
39. ძიძიგური შ., ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბ., 1970.
40. ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989.
41. Климов Г. А. Этимологический словарь картвельских языков, М., 1964.
42. Марр Н., Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем, С.-Пб., 1910.

43. S c h m i d t K. H., Studien zur Rekonstruktion des Lautstandes
der südkaukasischen grundsprache, Wiesbaden, 1962.
44. D u m é z i l Georges, Contes Lazes, Paris, 1937.

**დეზაფრიკატიზაცია (სპირანტიზაცია)
ქართულურ ენებში**

დეზაფრიკატიზაციის საკითხსაც ქართველურ ენებში სპეცი-
ალურად არაერთი მკვლევარი შეხებია,¹ მაგრამ აქ ჩვენ მაინც
გვინევს შეჩერება ამ საკითხზე, რამდენადაც ზოგი ნაშრომის
გამოცემის შემდეგ დიდი დრო გავიდა, ბევრი რამ ახალი გაირკვა,
მერეა და, ეს აუცილებელია შესატყვისობათა საკითხების
მართებულად და სრულყოფილად განხილვისათვის. რა თქმა
უნდა, ვერ ავცდებით ზოგი რამის გამეორებას, მაგრამ სათ-
ქმელი მაინც უნდა ითქვას.

დეზაფრიკატიზაცია ისევე, როგორც აფრიკატიზაცია, დამა-
ხასიათებელია ყველა ქართველური ენისათვის, მაგრამ შედარე-
ბით ნაკლებად გვაქვს ქართულში, უფრო ხშირად — კოლხურში
(მეგრულ-ჭანურში), განსაკუთრებით ხშირია ის სვანურში.
დეზაფრიკატიზაციას ყველგან ძირითადად სპირანტიზაციის
ხასიათი აქვს.

საკითხის განხილვა დავიწყოთ ქ ა რ თ უ ლ ი თ.

§ 18. ძ > ზ

ქართულში დამახასიათებელია დეზაფრიკატიზაცია
აფრიკატებისა ასეთი სახით: ძ > ზ; ც > ს, ც > ზ,

1. იხ. ს. ქლენტი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1953, გვ. 156-157; სვანური
ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, ექსპერიმენტული გამოკვლევა, თბ.,
1949, გვ. 179-182. ი. ქობალავა, აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის
პროცესები იბერიულ-კავკასიურ ენებში, იკე, IX-X, თბ., 1958, გვ. 83-86. ი. შე-
ლიძე, დისიმილაციური დეზაფრიკატიზაცია ქართული ენის
დასავლურ კილოებში, თსუ-ს სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული,
9, თბ., 1965, გვ. 35-39 და სხვ.

ც > თ; ნ > ს, ნ > ზ, ნ > ტ; ჯ > უ; ჩ > შ, ჭ > შ.

ქართული ენის ქართლურ დიალექტში დასტურდება:

ფ უ ზ ე (ალი)² < *ფუძე.

ზ მ ა < *ძმა: როცა მოსულან, ცხრა ძმა ყოფილან და დეერქო ც ხ რ ა ზ მ ა (ქდ II, 134,11). დასახლებულა ც ხ რ ა ზ მ ა ზ ე. (იქვე, 134,10). ც ხ რ ა ზ მ უ ლ ა ეს არი, საცა ხართ თქვენ (იქვე, 134,13).

ასევე იცვლება მეორეული ძ'ც:

ო ზ დ ა ე რ თ ი < *ოძდაერთი < *ოცდაერთი (დ'სთან ასიმილაციით, resp. გამჟღერებით).

ო ზ დ ა ო რ ი < *ოძდაორი < *ოცდაორი.

ო ზ დ ა ხ უ თ ი < *ოძდახუთი < *ოცდახუთი: საჩექმე ცოდნია ბატონსა ო ზ დ ა ხ უ თ ი მანეთი (ქდ 299,12).

ო ზ დ ა თ ე ქ ვ ს მ ე ტ ი < *ოძდათექვსმეტი < *ოცდათექვსმეტი: მე ო ზ დ ა თ ე ქ ვ ს მ ე ტ ი წელიწადი მოჯამაგირეთ ვიყავი ბოლნისში (ქდ 322,7).

ო რ მ ო ზ დ ა ა თ ი < *ორმოძდაათი < *ორმოცდაათი: ქვევრი შეიძლება იყოს ო რ მ ო ზ დ ა ა თ ი ფუთისა (ქდ 288,18).

ს ა მ ო ზ დ ა ა თ ი < *სამოძდაათი < *სამოცდაათი: ახლა ჩვენ სოფელში არის ს ა მ ო ზ დ ა ა თ ი კომლი (ქდ 312,24).

ამ ფორმათა ძ'-თანხმოვნისანი შუალედური საფეხური დღესაც დაცული აქვს გურულ დიალექტს: ოზდაერთი < // ოძდაერთი < *ოცდაერთი (იხ. ქვემოთ).

მესხური:

ზ ა ლ ი ა ნ³ < ძალიან.

ჯავახურშიც შეინიშნება ძ'ს დეზაფრიკატიზაციის შემთხვევები:

2. გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართლური დიალექტი, თბ., 1974, გვ. 156.

3. შ. მ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954, გვ. 136.

ზ ა ლ ი ა ნ < ძ ა ლ ი ა ნ, ზ ვ ე ლ ი (ტოპონიმი) < ძველი⁴.
ზ ა ლ ი < *ძალი < *რძალი, ნ ი ზ ლ ე ვ ი < *ნიძლევნი
< *ნიძლავნი⁵.

აქ დეზაფრიკატიზაციას განიცდის მეორეული ძ'ც — ზ < ძ < ც⁶.

ო ზ დ ა ხ უ თ ი < *ოდახუთი < *ოცდახუთი: ძველათ
ო ზ დ ა ხ უ თ ი სული ხიზანი ვიყავით სახში (ქდ 355,4).

ო რ მ ო ზ დ ა ა თ ი < *ორმოდდაათი < *ორმოცდაათი: ჩემ
თავ ვგრძნობ, როგორც ო რ მ ო ზ დ ა ა თ ი წლის კაცი (ქდ
354,40).

ს ა მ ო ზ დ ა ა თ ი < *სამოდდაათი < *სამოცდაათი: ეხლა
მე ვარ ს ა მ ო ზ დ ა ა თ ი წლისა (ქდ 354,39).

ო თ ხ მ ო ზ დ ა ც ხ რ ა < *ოთხმოდდაცხრა < *ოთხმოცდაცხრა:
ო თ ხ მ ო ზ დ ა ც ხ რ ა წლისა ვარ (ქდ 355,2).

კახური:

ზ ლ ვ ე ნ ი < *ძლვენი: მიუტანდნენ პატარძალ საჩუქარსა:
კაბა, ზ ლ ვ ე ნ ი... რა ვიცი, კიდე რასა (ქდ 188,34). მიუტანენ
ქალსა ზ ლ ვ ე ნ ს ა (ქდ 190,17). შემოიდოდა სახში თავი
საკველევრით (ზ ლ ვ ე ნ ი თ) (ქევდ 63,10).

შ ე გ ვ ი ზ ე ნ ი ა < *შაგვიძენია: ჩვენ შ ა გ ვ ი ზ ე ნ ი ა
ეს ამოტოლა ცხოვრება აემ სოვდაგრისაგან (ქდ 182,31. გარე-
კახური).

გ ა დ ა ი ზ რ ო < *გადაიდრო (ქდ 604): გ ა დ ა ი ზ -
რ ო ტანისამოსი და გაიქცა (ქდ 207,19. კახურ-ქიზიყური).

ს ა ნ ა ზ ლ ე ო < *სანაძლეო, ზ ნ ე ბ ი < *ძ ნ ე ბ ი,
შ ა ვ ი ზ ე ნ თ < *შავიძენთ, შ ე ზ ი ნ ე ბ უ ლ ი <
*შეძინებული.

4. ა. მარტიროსოვი, ჯავახეთის მესხურთან მიმართების საკითხისათვის, ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VIII, თბ., 1959, გვ. 291. ავტორის მიერ ეს მოვლენა მიჩნეულია თანხმოდანთა მონაცვლეობად.

5. მასალა აღებულია გრ. ბერიძის შრომიდან: ქართული ენის ჯავახური კილო, თბ., 1988, გვ. 64.

6. იხ. იქვე.

იცვლება მეორეული ძ'ც: **ოზდახუთი** < *ოძდახუთი < (დ'სთან გამჟღერებით) < *ოცდახუთი, **ოზდარვა** < *ოძდარვა < **ოცდარვა**.

ოზდაათი < *ოძდაათი < *ოცდაათი:⁷ ის ქალი **ოზდაათი** წლისა იყო (ქდ 181,3. გარეკახური). ზოგ-ზოგ ჩვენთან **ოზდაათი** გოდორი უდგება ხოლმე (ქდ 217,17. გარეკახური)...

ოთხმოზდათერთმეტი < *ოთხმოძდათერთმეტი < *ოთხმოცდათერთმეტი: დავიბადე რვაას **ოთხმოზდათერთმეტი** წელ (ქდ 221,9. ქიზიყური).

ორკვერიანი კალო **ასორმოზდაათ-ორასძინანია** (ქევდ 40,45).

ერთ კაცს **ოზდაცხრამეტი** დედალი ჰყავდა (ქევდ 70,23).

ინგილოურში ძ თანხმოვანი არ იხმარება; ყოველშემთხვევაში, ის ჩვენ ვერ შევნიშნეთ, მას ყველგან ცვლის ზ: ძ თანხმოვანი გადასულია ზ'ში დეზაფრიკატიზაციით:

დოჟზახა < *დოჟძახა, **გოჟზღევ** < *გოჟძღევ, **ზალ** („ძალი“) < *ძალ < *რძალ-ი. **ზალაე** („ძალუა“) < *ძალაე

ზალ („ძალა“, „ლონე“) < *ძალ-ა; **გაუზალიანდა** < *გაუძალიანდა

ზამა („ძმა“, „ძამია“) < *ძამა; **ზამაე** („ძამია“. ცოლისათვის ქმრის ძმები და მამრი ბიძაშვილები) < *ძამაე. **ზმამა** („ძმა“) < *ძმამა

ზეე („რძე“, „სძე“) < *ძეე < *რძეე... **ზიანაე** („რძიანა“) < *ძიანაე < *რძიანაე

ზივ („მძივი“) < *ძივ < *რძივი < *მძივი

ზილ („ძილი“) < *ძილ < *რძილი

7. არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956, გვ. 48.

მოვლენა მიჩნეულია დეზაფრიკატიზაციად.

ზ ო ნ ზ („ძონძი“) < *ძონძ < *ძონძ-ი

ზ უ რ კ („ძირკვი“) < *ძ უ რ კ < *ძირკვი-ი

ზ რ ო < *ძრო. ზ რ ო ა („ღერძი“) < ძროა.

ზ რ ო ხ ა ა („რქოსანი საქონელი“, ძველი ქართ. „ზროხა“) < ძროხაა

ზ უ რ ხ უ ნ ა ა („ძირხვენა“. მცენ.) < *ძურხუნაა⁸

გ ზ ე ლ < *გძელ-ი < *გრძელ-ი, ბ ი ზ ა ა < *ბიძაა,
გ ა ზ ლ ე ვ თ < *გაძლევთ, ზ ლ ო ნ < ძლონ < *ძლვენი,
ყ უ რ ზ ე ნ < *ყურძენ-ი, გ მ ა ა ლ უ ზ ა < *გმააღუძა <
*გამაიღვიძა, ზ უ რ < *ძურ < *ძვირ-ი (ქდ 617), გ ა ჰ ზ ა ლ (ქდ
614) < *გაჰძალ < *გაძელი, ზ ო ლ ი < *ძოლი < *ძველი,
გ ა ზ ლ ე ვ < *გაძლევ...

წარმოვადგენთ მაგალითებს ტექსტებიდან: ქოსამ ამ
ზ მ ა ს თ ა ნ ა ც ააჟურა დაგავორი შეჰკრა (ქდ 249,26). დიდ
ზ მ ა მ უთხრა შუალას. ადგნენ, სამნიმ ზ მ ე ბ სუდში
წაჟდნენ. სუდია და ზ ი ნ ე ბ ა შ ი აყრით აზრაჰილ
ჩყმოჟდა. დ ო უ ზ ა ხ ა ბალმანჩი, თქოავ; ესენ წააღ. იმი
ქორც თუ არ შჭომ, დუნჟაში ვერ გ ო უ ზ ლ ე ვ.⁹ ზ ო ლ ი
სახლი სიზგე იყო ოცი მეტრი, ათი-სიგანე. ფურიზგნი ზ ე ა
ოაღო. ბებრი ზ ე ა ჭომ. არ გ ა ზ ლ ე ვ! ჩემ სახლივი
სახლებ ააშენით, მევლან მოქცემყ.¹⁰ ზ უ ზ უ შ ი ზ ე ჟქო-
რება (ქეიდთ 196,24). ჩემ ბ ი ზ ა ა არის (ქდ 230,17). ესლა
ქალ აღარ გ ა ზ ლ ე ვ თ (ქდ 213,10). ჩონ თათრებ გ ო-
ზ ა ხ ი ა ნ, აენგილავ (ქეიდთ 163,4). შაკმანზულ ზ ა ლ
გომოჟდა, მარაქაში დაჟდა (ქდ 232,36). ბიჭის ყოჟმებიც
ზ ლ ო ნ ს აკეთებენ (ქდ 244,18). ფ ე ყ ზ ი მ ე დედაკაცი
განაჩაღდა (ქეიდთ 196,8). მერე მააღლევდნენ ყ უ რ ზ ე ნ ს

8. მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საინგილო, საქართველოს საისტორიო და
საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული „ძველი საქართველო“, ტ. II,
ინგილოური ტექსტები, ტფ., 1913, გვ. 246-247.

9. რ. ლ ა მ ბ ა შ ი ძ ე, ინგილოური კილო, თსუ შრომები, XXX_ხ, თბ., 1947, გვ.
292-293, 286.

10. გ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის
თავისებურებანი, თბ., 1966, გვ. 195, 180, 185.

(ქდ 233,36). პ ა ტ ა რ ზ ა ლ ი ა ზ ლ ე ვ ს საჩუქარ ყანუილაჲ ბალ (ქდ 234,17). აქე მენაბათიეზს ერთმერთი გ ა ჯ ლ ა ნ - ზ ლ ა ვ ყ ე (ქეიდთ 198,29). ბებერმა გ ა მ ა ე ლ ჯ ო ზ ა (ქდ 238,26). გაზაფხული გ ზ ე ლ დღიებში ნალარა-ზურნაჲთი ქორწილი იქნა (ქდ 245,24). ნახა, კარებთან მუხი კურკაჲ ზ ი რ ი დგას (ქეიდთ 200,29). მალე დ ა ე ზ ი ნ ე ს (ქდ 247,16). ერ დიდ ზ ნ ა ე დუაგროვ (ქეიდთ 190,27). ზ ო - ლ ა თ ოთხ დღე ჩედიოდნენ ქორწილ (ქდ 233,4). ერ თარაფით ზ ა ლ ლ ი ს ყეფილი ისმის (ქდ 246,41). იყიდა ბევრი ზ რ ო - ხ ა (ქეიდთ 202,3). ემ ფართობს კალოს ვ ე ზ ა ხ ი თ (ქდ 229,9). ჩანაცუენ პურს კუნტაჲ ვ ო ზ ა ხ ი თ (ქდ 229,35). საღამოზე პატარა ზ [ქ] მ ა ე დიდ ზ[ქ]მას ებნევის: — ზ მ ა ო, მამამ რაჲ ჩოგაბარა? (ქდ 236,37). ოთხ ზ მ ა ს ერ ფაფაყ დოჯბური (ქეიდთ 165,11). ამ დროს კუტუშა ზ ლ ე ბ ს ა ლ ჯ ო ბ ს (ქდ 247,27). ერ კ უ ნ ზ ე დავჟე (ქეიდთ 197,28). გუთანი ოთხ მეტროჲ მ ა ნ ზ ი ლ ზ ე ვკოლავეთ (ქდ 228,4). ცოცხალ იყო, ბალახს ზ ო ვ დ ა (// ზოვნიდა) (ქეიდთ 164,14). თუ შ ა ე ზ ლ ე ვ ი ს (// შაჲზლების), ჩემ ქალ მემეც! (ქეიდთ 175,31). იმაშინსუკან გ ა მ ა ე ზ რ ო კმალ (ქეიდთ 174,24). ამ არაში ქალ მ ზ ი მ ე დ დარჩა (ქეიდთ 188,1). თამაშაჲ ქნი დროზე თევზი ჰეჩბეთ არ დ ა ე ზ რ ა (ქეიდთ 189,1). ისიც ა ზ ლ ე ვ დ ა ფრისტოვს (ქეიდთ 194,31). წავდა, დ ა ზ ე ბ ნ ა, ერ მუხაქოშ იპოვნა (ქეიდთ 200,28). რაც შ ე ზ ლ ე ბ ა ჰქონდა... (ქეიდთ 209,10). სათუე ქ ო ზ რ ო ვ (ქდ 241,34). გავრეკე ს ა ზ ო ვ ა რ ზ ე (ქეიდთ 197,24). ზ ლ ი ვ - ჰ ა ლ ი, გამოჲყონ (ქდ 241,2). არ შ ე ე ზ ლ ე ვ უკან ნალევაჲ (ქდ 231,17).

ამ ფონეტიკური პროცესის სრულყოფაში, უდაოდ, მრავალ-საუკუნოვანმა უცხო ენობრივმა გარემომ ითამაშა გადამწყვეტი როლი, კერძოდ, გარემომცველმა ხუნძურმა (გ. თოფურია) და შემდეგ აზერბაიჯანულმა (გ. იმნაიშვილი) ენებმა, სადაც ძ ფონემა არ არსებობს,¹¹ მაგრამ დეზაფრიკატიზაციის (სპირან-

11. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, მესხური დიალექტის აღწერილი ანალიზი სხვა კილოებთან მიმართების თვალსაზრისით, ენიშკის მოამბე, თბ., 1941, გვ. 243; ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან... გვ. 136-137.

ტიზაციის) ტენდენცია თავისთავად, ინგილოურშიც უნდა არსებულებო¹² ისევე, როგორც კახურში და, საერთოდ, ქართული ენის დიალექტებში, ძველ ქართულსა და ქართველურ ენებში, რომელზედაც აქ გვაქვს მსჯელობა.

ვაგრძელებთ ანალიზს.

ძ'ს სპირანტიზაციის პროცესი დადასტურებულია იმერხეულ დიალექტშიც,¹³ მაგრამ აქ ის, მიუხედავად დაახლოებით ოთხსაუკუნოვანი თურქულენოვანი გარემოცვისა, არ არის სისტემატური ხასიათისა. ამ დიალექტში ზ უფრო ხშირად ძ'ს პარალელურად იხმარება. შდრ.: ძალიან // ზალიან // ზალჟან, ეძება // ეზება, დუუძახა // დუუზახა, დეეძინება // დეეზინება, სიძე // სიზე, ძმა // ზმა, მობძანდით // მობზანდით, მოზებნა < მოძებნა, უბზანა < უბძანა, საბზელი < საბძელი...¹⁴ ძ ა ლ ი ა ნ კარქათ ხიზმეთი უქნია, მაგრამ ზ ა ლ ი ა ნ მენატრება (მდ 49). ზ ა ლ ი ა ნ სიცოცხლე მინდა (მდ 53,4). ზ ა ლ ი ა ნ ა ც გეგიხარდა (მდ 53,5). სიზმრებიც რომ წემიხდება, ზ ა ლ ჯ ა ნ გავდერდიანდები (მდ 48). ზ ა ლ ჯ ა ნ .დავრჩი მოწყენილი (მდ 48).

არ ვ ე ძ ე ბ მე დეგირმანჩის (მდ 64).

იქ ბეჭერი ე ძ ე ბ ა სალები (მდ 63), მაგრამ იქვე გვაქვს: მ ო ზ ე ბ ნ ა ბუხავის კლიტე (მდ 63). ნაჩელიკმაც რომ შემიტყვა, გ ვ ე ზ ე ბ ნ ა - და ყველა სახში (მდ 50). სოფელი მტერი გემიხდა: მ ი ზ ე ბ ნ ი ა ნ სამყოფელსა (მდ 47). აბდულ ბეგი ზალიან მ ე ზ ე ბ ს (მდ 49).

დ უ უ ძ ა ხ ა, ბიჭი მიიყვანა გოგოსთან (მდ 59). დ ო - უ ძ ა ხ ა იმლახორ ალას (მდ 62).

და ა ძ ა ხ ნ ი ა: „ვინცხას თუ შეიძლება, ნეჟდეს ჩამლიბელში (მდ 61), მაგრამ ალი ალამ დ ე მ ი ზ ა ხ ა (მდ 48). დილას ესკერი მ ი ზ ა ხ ი ს: „ალარ გამეფხედო კარში!“ (მდ 48).

ზ ა ფ (ვ. ჯანგიძე) < ძ ა ფ (ჯორბ., ქდ 363).

12. ი. ქ ო ბ ა ლ ა ვ ა, აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები... გვ. 84-86.

13. ი. ქ ო ბ ა ლ ა ვ ა, დასახ. შრომა, გვ. 84.

14. ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989, გვ. 580, სადაც წერია: ძ > ზ „სისტემებზე გვხვდება“.

ქოროლლი ბეგებ დ ე ე ძ ი ნ ე ნ (მდ 63). მეგემ თლათ წევან და ძ ი ნ უ ა ნ (მდ 63). მაგრამ ერთი რომ და მ ე ზ ი - ნ ე ბ ა, დემესიზმრებიან ზაფთიები (მდ 48).

შეიყარა ს ი ძ ე (// ს ი ზ ე) — ყაენი (მდ 53,6)

ჩემმა ძ მ ა მ ა მომადახა (მდ 53,5), მაგრამ: არ მიკითხვენ ჩემი ზ მ ე ბ ი (მდ 50).

ბნელ ლამეში რომ მ ო ბ რ ძ ა ნ დ ი თ, თქვენ ხომ არა ხართ ფირალი? (მდ 53,9). ჩემ ყონახზე მ ო ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ეფენდიმა სიცოცხლეში არ დემივიწყოს (მდ 70), მაგრამ: შენი სიტყვაც მართალია, გ ი ბ ზ ა ნ დ ე ბ ი წაკტენილი (მდ 49). შენ რაცა ხიზმეთს ბ ძ ა ნ ო ბ, იმ ხიზმეთს მოვაფერებ (მდ 62)...

— პანაჲ ზ რ ო ხ ა — დეკეული, სულ პანაჲ-ხბო (ქდ 379,4)...

და, რაც მთავარია, ძ'ს გამოყენება იმერხეულში ჩვეულებრივია. მაგალითები:

ბიჭი გაკოჭილი ძ ი ა და ტირის ტყეში (მდ 56). მის ს ი - ძ ე მ ა მოუაროს (მდ 66). მე უნდა წეუდე, ცხვარი ვ ა ძ ო - ვ ო (მდ 58). ყონალის ძ ი რ შ ი დიდი წყალი მიდიოდა (მდ 59). იმ საქმეებსაც ველარ გ ო უ ძ ლ ო (მდ 50). არა კაცს აღარ შე ე ე ძ ლ ე ბ ო და ცხენთან შესვლა (მდ 66). ტყვილი არ შე ე ი ძ ლ ე ბ ა დიდ კაცთან (მდ 66). შენ რაცაც რო ბ ძ ა ნ ე, ისე ტყეში დავტიე გაკოჭვილი (მდ 56). უ ბ ძ ა - ნ ა ქოროლიმა (მდ 63). ცხენს უნაგირი მ ო ა ძ რ ო (მდ 67)...

გარდა ამისა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინგილოურისაგან განსხვავებით, იმერხეულში არ ფიქსირდება ჯ აფრიკატის სპირანტიზაციის (ჯ > ჟ) ფაქტებიც (იხ. ქვემოთ).

ამიტომაც წერს შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი: ძ'ს ზ'თი შენაცვლების ტენდენციას „იმერხეულშიც ვამჩნევთ... ოღონდ ძალზე მკრთალად, სპორადულად, — რამდენადაც ეს მარის მასალებიდან ჩანს... შიგადაშიგ ეს შენაცვლება დარღვეულია თუნდაც [ერთსადაიმავე] ფორმებში“.¹⁵ ის ხასიათდება „არასისტემურობით“ (ხაზი ჩვენია. ა. ლ.).

15. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან... გვ. 136-137.

ფერეიდნულში, არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს მიხედვით, ძ > ზ პროცესი თითქმის არ შეინიშნება.¹⁶ მიუთითებენ ერთადერთ მაგალითზე: მანზილ,¹⁷ მაგრამ არაა გათვალისწინებული, რომ ეს სიტყვა არაბულია და თავისთავად ზ'ს შემცველია და არა ძ'სი. ის ნიშნავს „სადგურს“, „სადგომს“.¹⁸ შდრ.: რეზა-ხანის კაცები, მოგონყდეს ზედ, შამოიდეს ჩონ მ ა ნ ზ ი ლ ზ ე (ქდ 255,38). აველ ჩონ მ ა ნ ზ ი ლ ზ ე. მე წავალ ჰაქიმის მ ა ნ ზ ი ლ ზ ე. დაიჭირე და წაიყვათ თქვენ მ ა ნ ზ ი ლ ზ ე. მე წაველ მ ა ნ ზ ი ლ ზ ე.¹⁹ წამიყუანეს თავით მ ა ნ ზ ი ლ ზ ე (ქდ 256,4).

ასე რომ, ძ'ს დეზაფრიკატიზაციაზე აქ ლაპარაკი უადგილოა.

ძ'ს შემცველი სიტყვები ამ დიალექტში ძირითადად შემონახულია, მიუხედავად სპარსული ენობრივი გარემოცვისა²⁰. აი, მაგალითებიც:

მირზას დ ო უ ძ ა ხ ა. რო შავდარს და ი ძ ა ხ ი ა ნ: ციმახ ე ძ ა ხ ო დ ე ს. იმახ და ა ძ ა ხ ი ა ნ. და მ ი ძ ა ხ ე ს.

ერთი ჩემი ბ ი ძ ა ს ბიჭი. ერთი სხოცა იმის ბ ი ძ ა - შ ვ ი ლ ი გაითქო პარსეთში პურის მიცემაზე...²¹

იმახ ა ძ ო ე ბ ე ნ და იმ ბატკნებს დაასუქებენ (იკე, XXI, 89, 43-44). რაზენაც რო გ ა მ მ ა მ ი ძ ა ხ ე ს, გამამივიდეს-მეთქი (იკე, XXI, 91,16). დანვა ემ წყაროზე და ბაატა ხან დ ა - ი ძ ი ნ ა... (იკე, XXI, 94,38-39). აი, მე საქართველოში ვარ, ჩემ ძ მ ე ბ თ ა ნ და მამებთან (იკე, XXIII, 197, 24-25).

ძ ა ლ ლ ე ბ ი: ანქითაო ძ ა ლ ლ ე ბ მ ა წამოიდიანყეო, რო ეს თავის ლეკები შაჭამონო (იკე, XXI, 100,42-43).

გ ა ძ ა ბ ვ ა ყალიჩასი — ქსლის ძაფების გაბმა საქსოვ

16. იხ. არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, ტფ., 1927, გვ. 196-247.

17. ი. ქობალავა, აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები... გვ. 84.

18. იხ. არნ. ჩიქობავას დასახ. შრომა, გვ. 245.

19. იხ. ი ქ ე ე, გვ. 224, 226, 227, 228.

20. იხ. ი ქ ე ე, გვ. 219-221.

21. იხ. ი ქ ე ე, გვ. 223, 228, 230-231, 236-238.

დაზგაზე: ორი დედაკაციც მუა და ემას, ყალიჩას, გ ა ჯ ძ ა -
ბ ა ვ თ (იკე, XXIII, 202,14; 216).

მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ძ > ზ პროცესს ფერეიდნულში
საერთოდ ადგილი არ ჰქონდეს. ასე, მაგალითად, არის:

ზ ე < სძე / რძე: ზ ე ს ერთგან დაასხმენ და თხუთმეტი
დღეს ერთის სახლჩი ზ ე იქნების (იკე, XXI, 89,37-38).
ზ ე ს გაათბობენ (იქვე, 89,39);

ზ ა ლ ი < *ძალი < სძალი / რძალი: მე თავის ზ ა ლ ი ვარ
და ის ძ მ ი ს დედაკაცს და მ ძ ა ხ ი ს (იკე, XXIII, 196,
10-11). ზ ა ლ ი ც რო დაინახავს, თავს მოოხრის ეგრე (იკე,
XXIII, 205,24).

ყ უ რ ზ ე ნ ი < *ყურძენი: სადაც რო ქართველია, იქ ბეჭერი
ემე... ბალი და ყურზენია (იქვე, 201,18-19). მამიტანისყე ჩემ
დედას სახლჩი: ყ უ რ ზ ე ნ ი... (იქვე, 203,13-14).

ო ზ დ ა ა თ ი < *ოძდაათი < *ოცდაათი: ოცი, ო ზ დ ა ა -
თ ი რო მამალ ბატკანი ჰყავ, დაარჩევენ და მაჲრეკენ (იკე,
XXI, 89,42-43). ო ზ დ ა ა თ თუმანსა ერთი ქოთთის პირსა
აიღებს (იკე, XXIII, 203,30).

ფაქტი მეტად საყურადღებოა ქართულისათვის და, საერ-
თოდ „უცხო გარემოცვის“ გავლენის საკითხთან დაკავშირებით.

თუშური:

ზ ა ლ < *ძალ < *რძალ-ი (სძალი): მეს ზ ა ლ არ შემინუხოვ
(ქდ 119,26). იქით გამოსრულ ქალ-ზ ა ლ ო გზა უკულმ გამოზ-
დიოდე... (ქდ 105,35). ქალ-ზ ა ლ ტყვედ წყესხ (ქდ 106,15).
ქალ-ზ ლ ის ა დ ძალადაც ნამუს ცუქკედი (ქდ 106,35). ნარჩომაჲ,
ჯერ იცნობ იმეს ჩჲენ ზ ა ლ ო ჲ (თკ 99).

ზ ი ს ა ს < *ძისას < *რძისას (სძისას): თუშურაც ყველს
აკეთებენ რაც გვერც ძროხისი, მაგრევ ცხვრის ზ ი ს ა ს (ქდ
104,21). ზ ე ს ზდღეებენა-დ' კარაქს ამწყლებენ (თკ 100).²²

22. შდრ. თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, სტრუქტურული შესატყვისები.
სპირანტიზაციისადადესპირანტიზაციისათვის ქართველურენათასისტემაში,
იკე, XVIII, თბ., 1973, გვ. 252. ავტორი ამგვარ მასალაში (თუშ., ხევს.) უარყოფს
სპირანტიზაციას: მისი აზრით, ზალ < ზძალ < სძალ; ზე < ზძე < სძე.

ზ ა ხ ვ ა < *ძახვა: ჯარნებს ვ ზ ვ ა ხ (თკ 100).

ზ რ ო ხ ა ა < *ძროხა: აეს ჩემ ზ რ ო ხ ა ა (თკ 101).

ზ რ ო ხ ო ბ ა ა „ძროხების ჯოგი, ნახირი (თკ 101).

ზ ღ ვ ე ნ ი < *ძღვენი: აეს ზ ღ ვ ე ნ ი-ღ' ულუფაჲ
ციციმისიჲ (თკ 101).

ზ ი ლ ი ჩ ა < *ძილიჩა (ჯს 132)

ან დ ე რ ზ ი < *ანდერძი: ანდრეზის აგებაჲ გადატ. მოკვლა:
ე ფილოჲ ისთაჲ კაცი, რომ ციციმ ბიჭს ა ნ დ რ ე ზ ს
შეგებს (თკ 66).

ხევსურული:

ზ ღ ვ ნ ე ბ ი < ძღვნები (ბ. გაბ. 122,23): ულელ კარნ ნამაიყვანა,
ხატში მიუდის ზ ღ ვ ნ ე ბ ი ა (ხევს. პოეზია 673,8).

ბ ზ ე ნ ი < ბძენი (ჭინჭ. 41)

ზ ღ ე ბ ი ო < *ძღებო < სძღებო.

მ ზ ო რ ი < *მძორი: ძაღლებ მირგვლივ ეხვეოდეს, მ ზ ო -
რ ი ედვა გამარხული (იქვე, 222,9).

მ ზ ე ვ ა ლ ი < *მძევალი („მძებნელი“): მემრ კი ბენვთაც
არ ავიწვდი — მ ზ ე ვ ლ ა დ ვიჭერ ბაჭუალასა (მივლ. მას.).

მ ზ ე ვ ა ლ ა < *მძევალა („ჭიამაია“. ეტიმ. მ ძ ე ვ ე -
ლი, ანუ მ ძ ე ბ ნ ე ლ ი): იქ გაფრინდი მ ზ ე ვ ა ლ ა ო,
სადაც ჩემი ცოლიაო (// ქმარიაო).²³

როგორც ვხედავთ, მოტიანილ მაგალითებში ძ > ზ პროცესი
მუდერ თანხმომვანთა (ღ, მ) მეზობლად ხდება, მაგრამ ეს არაა
ძ'ს დეზაფრიკატიზაციის მიზეზი: ამგვარი შემთხვევები აქ
ხდება ხმომვანთა წინაც, ხმომვნებს შორისაც და სხვა თანხმომვანთა
მეზობლობაშიც:

ზ ა ლ - ი < *ძალი / სზალი: ან დედ-მამა იქნების, ან ძ მ ა -
ზ ა ლ ი (ქდ 10,5). ქალ-ზ ა ლ ი (ქდ 557). ერთ დედამთილ
ყოფილ, ორნ ზ ა ლ ნ ხყვანივან (ქდ 7,5). ეტყვიან კიდევ...

23. შდრ. ალ. ჭინჭარაულის ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 25.

ზ ლ ე ბ ს: მექენცლეში დაგვეტანენითავ! (ქდ 5,28). დაიტანებენ მჩეჩელში ქალ-ზ ლ ე ბ ს (ქდ 6,39). ეგ ამბავ გამაუვლია ბათირს ეშმაკებით და თავის ზ ლ ი ს ა გ ა ნ (ქდ 23,42). უშვილოებ ზ ლ ე ბ ი ც გზაჩი მიეგებებოდეს მყოლებსა ა ხ ა ლ ზ ა ლ ს (ქდ 11,11). ა ხ ა ლ ზ ლ ი ს მაყვანა ძველად (ქდ 9,28).

ზ ი ს ც ვ ა რ ი < *ძისცვარი < *რძისცვარი: როსაც ზ ი ს-ც ვ ა რ თ დღევბდ, ეს ეშმა თუ წავიდოდ წყალზე (ქდ 21,23). ფაფას ადულებენ ზ ი ს ც ვ რ ი ს ა ს ა და სიმინდის ფქვილისას რკინის ქვაბჩი (ქდ 6,4).

ა ნ დ რ ე ზ ი < *ანდრეძი < *ანდერძი (ქდ 549): ნაქნარი ალუდაურის ა ნ დ რ ე ზ ა დ არ ითქმისაო (ხევს. პოეზია 103,16).

ბ ზ ე ნ ი < ბძენი (ჭინჭ. 41)

ალ. ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი ს განმარტებით, ხევსურულში ს თანხმოვნის შემდეგ ასიმილაციით ძ გადადის ზ'ში, შემდეგ კი სზ კომპლექსში თვით ს ვერ ძლებს და იკარგება:

ს ა ზ ე უ რ ი < ს ა ს ზ ე უ რ ი < ს ა ს ძ ე უ რ ი „ნალების ჭურჭელი“: ს ა ზ ე უ რ ამევეს, ზ ი ს ვ ა რ ნ მქონ დასადღვებნი...

ზ ი ს ვ ა რ ი < ს ძ ი ს ც ვ ა რ ი „რძე“: ქოოც დაძლებოდეს, ერთ ზ ი ს ვ რ ი ა ნ ქვაბ ამახვრიტეს. შდრ. მთიბელმამკლისა სანაყროდაო დუმას ზ ი ს ც ვ ა რ შ ი ხარშავლაეო (ეთნ, III, 1,4).²⁴

ფშაური:

ზ ო ვ ა < // ძოვნა: შეჭმული ზ ო ვ ი ს ა გ ა ნ ა; ისივ აი

24. ალ. ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი, ხევსურულის თავისებურებანი... გვ. 25. ფაქტი რატომღაც მიჩნეულია „კომპლექსთა მონაცვლეობის“ (გვ. 22). შედეგადაც.

25. გ. ც ო ც ა ნ ი ძ ე, ფშაური დიალექტი, თბ., 1979, გვ. 30. ძ'ს ხმარება ჩვეულებრივია: ასკოდინში ქერ მ ი ძ ე, ორასიანში წმიდაო (ვაუა, V, 29); აქ, 64, მაგრამ შდრ. ეხლაეძროხებსაც გამოგვართომს (იქვე). დეეძინა, გეეღვიძა (იქვე, გვ. 25). მაჩვენა თეთრი ძ უ ძ უ ა ქალმაო (გვ. 85).

იარა იმ დღესა, იტირა, ი ძ ა ხ ნ ა (იქვე, გვ. 37), ეხლა მ ძ ლ ი ვ ა ათქვი მართალი (იქვე, 38).

ნ ა ზ ო ვ ა რ ზ ე ნასულიყო ი დამწვარი.²⁵

მუღერი დ'ს წინ ც აფრიკატი აქაც მუღერდება და სახესაც ჩვეულებრივად იცვლის:

ო რ მ ო ზ დ ა შ ვ ი დ მ ე ტ ი < *ორმოდაშვიდმეტი < *ორმოცდარვიდმეტი: ვიქნები, შვილო, ეგრე ო რ მ ო ზ - დ ა შ ვ ი დ მ ე ტ -თვრამეტიანი.

ს ა მ ო ზ დ ა ც ხ რ ა მ ე ტ ი < *სამოდდაცხრამეტი < *სამოცდაცხრამეტი: მე ს ა მ ო ზ დ ა ც ხ რ ა მ ე ტ ი წლის კაცი ვარ.

ს ა მ ო ზ დ ა ც ა მ ე ტ ი < *სამოდდაცამეტი < *სამოცდაცამეტი: ჩემი სახლიკაცი მოკვდა ს ა მ ო ზ დ ა ც ა მ ე ტ ი ს ა.

ს ა მ ო ზ დ ა შ ვ ი დ ი < *სამოდდაშვიდი < *სამოცდაშვიდი: დედაჩემი მოკვდა ს ა მ ო ზ დ ა შ ვ ი დ ი ს ა.²⁶

მოხეური:

ზ ლ ო ნ ი (უქეფ 237) < *ძლენი, თ ე ზ ო ე ბ ი (იქვე) < *თეძოები...

მ უ უ ბ ზ ა ნ ი ა ნ < *მუუბზანიან: ხატი მ უ უ ბ ზ ა ნ ი - ა ნ.

მ ი ბ ზ ა ნ დ ე თ < *მიბზანდეთ: შაგიძლიათ იქ მ ი ბ ზ ა ნ დ ე თ.

აქ ძ აფრიკატის სპირანტიზაციის „ეს პროცესი გლობალური არაა“.²⁷

მთიულურ-გუდამაყრული:

ზ ლ ვ ე ნ ი (ქდ 572) < // ძლენი, ტ ა ზ ა რ ი < *ტაძარი, ო ზ დ ა ე რ თ ი < *ოდდაერთი < *ოცდაერთი...

ლექსუმური:

ზ უ რ ზ უ ტ ი < *ძურძუტი < *ძურძუკი — უმიზნო სიარული, ხეტიალი: „საქმეგამოლეულია, რომ დაზურზუტობს?“²⁸

26. გ. ც ო ც ა ნ ი ძ ე, ფშური დიალექტი... გვ. 46; 188,13; 194,18; 194,18-19.

27. ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ., 1985, გვ. 30.

28. მ. ა ლ ა ვ ი ძ ე, ლექსუმური ლექსიკონი, ენიმკ'ის ინსტ. აკად. ნ. მარის სახ., ქართველურ ენათა ლექსიკა, I, ლექსუმური ლექსიკონი, პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით, თბ., 1938, გვ. 146.

ნ ა ბ უ ზ ვ ა რ ი (ნ ა ფ უ ზ ვ ა რ ი) < *ნაბუძვარი — დიდი, ფართო და კარგი ადგილი ეზოსთან: „ჯერ ნ ა - ბ უ ზ ვ რ ე ბ შ ი არ დამნიფებულა სიმიდი და თაში როდის იქნება?“²⁹

იმერული (ზემოიმერული):

ნ ი ზ ლ ა ვ ი < ნიღლავი: დ ა ვ ნ ი ზ ლ ა ვ დ ე თ.

მ ო ი ზ უ ლ ე < მოიძულე, ტ ა ზ ა რ ი < ტაძარი (ნატარები < ნატაძრები), მ ო ვ ზ ი - მ ო ვ ზ ი ე < მოვძი- მოვძიე...³⁰

ს ა მ ო ზ დ ა რ უ ა ს ა < *სამოძდარუასა < *სამოცდარუასა.

ა ს ო თ ხ მ ო ზ დ ა ა თ ი < *ასოთხო მოძდაათი < *ასოთხ- მოცდაათი.

ო ზ დ ა ჩ ვ ი დ მ ე ტ ი ს ა < *ოძდაჩვიდმეტისა < *ოცდაჩვიდმე- ტისა...³¹

გურული:

ზ ი ნ ა ვ ს < *ძინავს: ზ ი ნ ა ვ ს ამ ვაჭარს.³²

ბ ო რ ზ ა ლ ი < *ბორძალი „ისარი“. შდრ. მეგრ. ბორზალი „ისარი“,³³ ქართ. ბორძალი „ისარი“

გ ი რ ზ ი ნ ე უ ლ ი („გამთვალავი, ავზრახვებიანი ადამიანი“)³⁴ < გ ი რ ძ ი ნ ე უ ლ ი < *გრძნეული

ო ზ დ ა ე რ თ ი < // ოძდაერთი < *ოცდაერთი

ო ზ დ ა ო რ ი < // ოძდაორი < *ოცდაორი

29. იქვე, გვ. 152.

30. ქ. ძ ო ნ ე ნ ი ძ ე, ზემოიმერული კილოკავი, ენობრივი მიმოხილვა და ტექსტები, თბ., 1973, გვ. 44.

31. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბ., 1970, გვ. 44.

32. ალ. ლ ო ნ ტ ი, ძირითადი ფონეტიკური მოვლენებისათვის გურულში, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, პირველი სერია: საზოგადოებათმეცნიერებანი, V, 1936, გვ. 318.

33. И. К и п ш и д з е, Грамматика мингрельского (ивверского) языка... გვ. 206. შდრ. ს. ჟ ლ ე ნ ტ ი, გურული კილო, გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი, ტფ., 1936, გვ. 24, სადაც უწერია მეგრ. ბ ო რ ძ ა ლ ი.

34. იხ. ს. ჟ ლ ე ნ ტ ი, იქვე, გვ. 218.

ოზდაათი < // ოძდაათი < *ოცდაათი
 ორმოზდახუთი < // ორმოდახუთი < *ორმოცდახუთი³⁵
 ოზდახუთი < // ოძდახუთი < ოცდახუთი: ოზდა-
 ხუთი მანათი უნდა მიეტანა ბატონიზა (ქდ 425,9).
 ოზდაათი < // ოძდაათი < *ოცდაათი: ამ ნიგოზზე
 ოზდაათ ფუთ ნიგოზს რეკდა (ქდ 421,35).

აჭარული:

ნიზლავი < *ნიძლავი: დგენიზლავა.³⁶
 ნაფუზარი (სათესი) < *ნაფუძარი (ხიხაძირისა და
 დიოკნისის ს.ს.), ნაფუზრები (ხულოსა და დიოკნისის ს.ს.)³⁷
 გეფრო < *გეძრო < *გაძრო.³⁸
 მობზანდით < *მობძანდით < *მობრძანდით: —
 მობზანდით! — დუძახა ქალმა (ქდ 404,14). შენ რომ იქ
 არ შემობზანდით (ქდ 404,25)...
 ოთხმოზდაცხრამეტი < *ოთხმოდაცხრამეტი <
 *ოთხმოცდაცხრამეტი: ეთმა ზენგინმა კაცმა ოთხმოზ-
 დაცხრამეტი კაცი მოკლა თურმე (ქდ 400,33).

ზემოაჭარულშიც დასტურდება მეორეული ძ'ს დეზაფრიკა-
 ტიზაციის (ანუ სპირანტიზაციის) პროცესი; იხმარება ოზდაათი
 და სხვ. მისთ.³⁹

ოზდაათი < *ოძდაათი < *ოცდაათი

35. შდრ. ს. ჟღენტი, გურული კილო... გვ. 50, სადაც წერს: „ც > ზ: ოცობითი
 თვლის სისტემაში, როდესაც ც და ღვდებიან მეზობლობაში, ყრუ ფშვინვიერი
 ც მჟღერდება და ლებულობს ზ-ს სახეს. მაგ.: ოზდაერთი, ოზდაორი, ოზდაათი,
 ორმოზდახუთი, ორმოზდაჩვიდმეტი, სამოზდახუთი, ოთხმოზდაათი, და სხვ.“

36. შ. ნიჟარაძე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, ბათუმი, 1961,
 გვ. 47.

ავტორი თან წერს: „ეს მოვლენა უფრო დამახასიათებელია ისეთი
 დიალექტებისათვის, რომლებმაც განიცადეს თურქულ-აზერბაიჯანული
 ენების გავლენა“. იხ. მ. ჯანაშვილი, საინგილო... გვ. 226.

37. იური სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთსაქართველოს ტოპონიმიკა,
 ნიგნი I, ბათუმი, 1958, გვ. 107, 124, 113, 123.

38. ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია... გვ. 549.

39. შ. ნიჟარაძე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი... გვ. 36.

ოზდათხუთმეტი < *ოძდათხუთმეტი < *ოცდათხუთმეტი როგორც ზემოთ ვნახეთ, რიცხვით სახელთა ასეთი სიტყვანარმოება დამახასიათებელია ქართული ენის როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური დიალექტებისათვის (ქართლური, ჯავახური, კახური, ფშაური, მთიულურ-გუდამაყრული, იმერული, გურული, აჭარული...). მათი გენეზისის ახსნაში სამგვარი მოსაზრება არსებობს. მკვლევართა ძირითადი ნაწილი (შ. ძიძიგური, ს. ყლენტი, ივ. ქავთარაძე, არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, გ. ცოცანიძე, გრ. ბერიძე, ი. ქობალავა...) ფიქრობს, რომ აქ უნდა მომხდარიყო $\zeta > \delta > \theta$ ფონეტიკური პროცესი, ე.ი. ფშვინვიერ ζ აფრიკატს დ'სთან რეგრესული ასიმილაციით უნდა მოეცა δ მჟღერი აფრიკატი, შემდეგ კი ამ უკანასკნელთან ხშულობის მიხედვით დეზაფრიკატიზაციით მიღებულია θ მჟღერი სპირანტი: ოცდაერთი > ოძდაერთი > ოზდაერთი.

ბ. ჯორბენაძის შეხედულებით, ამგვარი პროცესი აღმოსავლური დიალექტებიდან უნდა გვექონოდა ქართლურსა და თიანურ-გუდამაყრულში,⁴⁰ დასავლური დიალექტებიდან იმერულსა და აჭარულში კი მომხდარია განსხვავებული ფონეტიკური პროცესი: $\zeta > \chi > \theta$, ე.ი. ც'საგან აქ ხშულ დ'სთან დეზაფრიკატიზაციით ჯერ მიღებულია χ სპირანტი (სპირანტიზაციით). ხოლო შემდეგ ამ უკანასკნელისაგან დ'სთან რეგრესული ასიმილაციით მჟღერი θ : „ოცდაათი (დეზაფრიკატიზაციით) > ოსდაათი (რეგრესული ასიმილაციით) > ოზდაათი“. აღ. ლლონტის აზრით, გურულში, ხოლო შ. ნიჟარაძის აზრით, აჭარულში პროცესი მომხდარია ყოველგვარი შუალედური საფეხურის გავლის გარეშე: უნდა გვექონოდა $\zeta > \theta$, ე.ი. θ მიღებულია ც'საგან დ'სთან ასიმილაციით: ოცდაათი > ოზდაათი, ოცდათხუთმეტი > ოზდათხუთმეტი და ა.შ.⁴¹

საკითხის ახსნაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ზემოთ წარმოდგენილი გურული დიალექტის მონაცემებს, რამდენადაც

40. ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია... გვ. 277, 301, 455, 549.

41. აღ. ლლონტი, ძირითადი ფონეტიკური მოვლენებისათვის გურულში... გვ. 318. შ. ნიჟარაძე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი... გვ. 36.

ის დღემდე ინახავს ძ-თანხმოვნის შუალედურ მასალას: ო ზ დ ა ე რ თ ი < // ო ძ დ ა ე რ თ ი < *ოცდაერთი; ო ზ - დ ა ო რ ი < // ო ძ დ ა ო რ ი < *ოცდაორი... ო ზ დ ა ა თ ი < // ო ძ დ ა ა თ ი < *ოცდაათი და ა.შ., რაც გარკვევით მეტყველებს იმაზე, რომ შუალედური საფეხური იყო, ამავე დროს, ის იყო არა ს-თანხმოვნის, არამედ ძ-თანხმოვნის. სავარაუდოა, რომ ეს საფეხური აქვს გავლილი ყველა იმ დიალექტს, რომელსაც ეს მოვლენა ახასიათებს. სხვა ვარაუდის რეალური საფუძველი ჯერჯერობით არ არსებობს.

დავუმატებთ იმასაც, რომ ეს ახსნა პირველად ს. ყ ლ ე ნ - ტ მ ა მოგვცა სწორედ გურული დიალექტის თავისებურებათა შესწავლის დროს.⁴²

ძ'ს სპირანტიზაციის ფაქტები დასტურდება ძველ ქართულში: ზ რ ვ ა (ჟ) < *ძრვა(ჟ) („მინისძვრა“): კონსტანტინეპოლისს ზენა ზ რ ვ ა ს ა სახლი დაიზულა (კიმ. II, 218,27).

ც ხ რ ა ზ მ ა < ცხრაძმა: ჩვენ ც ხ რ ა ზ მ ი ს კევს კევსუფლად ვიყვენით (XI ს. ფიქალწერილი).

ა ნ ზ ი ა ნ ზ ო რ ი < // ანძიანძორი: გრიგოლი... ა ნ ზ ი - ა ნ ზ ო რ ს იქმნა ეპისკოპოს (A 19, 268,27); ა ნ ძ ი ა ნ ძ ო - რ ე ვ ე ლ ე ბისკოპოსისაჲ (იქვე, 360,6).

ზ ლ უ ა ნ ვ ა < // ძლუანვა: რომლისა სახლი ე ზ ლ უ ა ნ - ვ ო დ ა შესაკრებელსა მას (საქმ. მოციქ., თ. 18, 7) ... ეძლუნებოდა (იქვე, 2).⁴³ ქართულში ფიქსირდება, აგრეთვე: ბზანება < ბძანება.⁴⁴

მეგრული:

ლ ი რ ზ ე (> // ლერზე, ლერზი) < *ლირძე „ლერძი“. შდრ.

42. ს. ყ ლ ე ნ ტ ი, გურული კილო... გვ. 50. ქართული ენის ფონეტიკა, თბ., 1956, გვ. 237.

43. შდრ. მერი ძ ი ძ ი შ ვ ი ლ ი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, თბ., 1960, გვ. 85-86. ავტორი „ბ გ ე რ ა თ მ ო ნ ა ც ვ ლ ე ო ბ ა დ“ მიიჩნევს ყველა მაგალითს, მაგრამ ამბობს: „შუუძლებელი არაა ბევრი მათგანის ფონეტიკური საფუძველი ისევე გაირკვეს, როგორც გაირკვეა პატარა'ს პატარა'დ ქცევის მიზეზით“ (ი ქ ვ ე, გვ. 91).

44. თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, ქართული ენის ფონემატიური სტრუქტურა, თბ., 1976, გვ. 122.

ქართ. ლერძ-ი: მეგრ. ღ ი რ ზ ე მუს ოხვარუ? „ლერძი რას შველის?“ ამუდლა დო ამუსერი ღ ე რ ზ ე ს ვათხუ „დღე და ღამე ლერძს არ შორდება“. ღ ე რ ზ ი მუს ქულუდას „ლერძი მას ჰქონდეს“.

ნ უ ზ უ < // ნუძუ „ნაძვი“. შდრ. ქართ. ნაძვი-ი: მეგრ. ნ უ ზ უ ს ჯა ვაუჯგუ „ნაძვს ხე არ სჯობია“.

ბ ო რ ზ ა ლ ი („შუბი“, „ლახვარი“, „ისარი“) < *ბორძალი. შდრ. ქართ. ბოძალი „ისარი“. (ვახ., სამცხე. ი. ყიფშიძე, 206). მეგრ. თენა ქომინუნ, ბ ო რ ზ ა ლ ე ქ ეგმანთხუ: „ეს რომ მითხრა, ლახვარი დამეცა“.

ყ უ რ ზ ე ნ ი („ყურძენი“) < // ყურძენი: ჩქიმ სოფელო ყ უ რ ზ ე ნ ი ბრელი ჩანს „ჩემს სოფელში ყურძენი („ვაზი“) ბევრი ხარობს“.

ნ ი რ ზ ი („ნიძლავი“ "закладъ" < *ნირძი. (შდრ. ქართ. ნიძლ-ავი-ი): ჩქიმ ქომონს ნ ი რ ზ ი უცოროს „ჩემს ქმარს ნიძლავი უყვარს“. ნ ი რ ზ ი ს დემეთხი-მაქ, გირაგადუქ! „ნიძლავს დამეხსენი-მეთქი, — გეუბნები“.

გ ა რ ზ ე („გამძლე“) < *გარძე (შდრ. ქართ. გამძლე): ჭ ყ ო ნ ი გ ა რ ზ ე ჯა რე „მუხა გამძლე ხე არის“.

ღ ვ ე ზ ე ლ ი (ყიფ., ლექს. 350) < ღვეძელი „ერთგვარი საახალწლო კვერცხიანი ნამცხვარი“.⁴⁵

ჭანური:

ბ უ ზ ი („ძუძუ“) < *ბუძი: ფუჯი ბ უ ზ ი ულუნ, ბ უ ზ ი მჯა მჭვალუმთ: „ძროხას ძუძუ აქვს, ძუძუდან რძეს ვწველით“ (ჩიქ., II, 113,26)...

ო ხ ო რ ზ ა < // ო ხ ო რ ძ ა („ქალი“, „ცოლი“) < *ოხორჯა (ვიწ.-არქ., ხოფ.).

ო რ ზ ო („სავარძელი“) < *ორძო.⁴⁶

ზ უ ნ („ძევს“) < *ძუნ.⁴⁷

45. ცალკეული სიტყვა-მაგალითები მოგვაცქეს ი. ყიფშიძის ლექსიკონიდან: *Грамматика мидпрельскаго (иверскаго) языка...* გვ. 350-351, 291, 206, 355, 389.

46. Н. М а р р, *Грамматика чанского (лазского) языка*, С. - Петербург, 1910, გვ. 177.

47. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, *ჭანურის გრამატიკული ანალიზი*, გვ. 131,16; 132,4-5; 109,23.

მიუთითებენ, რომ დეზაფრიკატიზაციის ფონეტიკური პროცესი განსაკუთრებით ხშირია ათინურ კილოკავში:⁴⁸

ქოვზირი („ვიპოვენე“ ჩიქ., II, 119,13) < *ქოვძირი. შდრ. მეგრ. ქოვძირი „ვიპოვენე“. ჩხომი ქოზირუ (ჩიქ., II, 116,31) „თევზი იპოვნა“.

ყურზენი (ჩიქ., II, 131,15) < // ყურძენი „ყურძენი“. შდრ. მეგრ. ყურზენი < // ყურძენი. ქართ. ყურძენი.

აზინ („უძევს“) < *აძინ: კოჩი თოლნა გარ აზინ, ჩორი იენ (იქვე, 113,7) „კაცს თვალი რომ არ აქვს („უძევს“), ბრმა არის“.

ნეზი < // ნეძი (ყიფ., I, 74,15) „ნიგოზი“. შდრ. მეგრ. ნეძი „ნიგოზი“...⁴⁹

ასეთი ფაქტები, როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული, უთუოდ, სპარსულისა და თურქულის გავლენით უნდა აიხსნას: როგორც ცნობილია, მათ არ აქვთ მჟღერი ძაფრიკატი, ამ ნიადაგზე ქართველური ძიცვლება ზ-დ.

ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ ძ'ს აღნიშნული სპირანტიზაცია დამახასიათებელია ყველა ქართული დიალექტისათვის და, რაც მთავარია, მეგრულისათვის. ასევე დამახასიათებელია ის ძვ. ქართულისათვისა და სვანურისთვისაც (იხ. ქვემოთ). ასე რომ, ჭანური ამ შემთხვევაში გამონაკლისი არ შეიძლება იყოს: ეს მოვლენა მისი შინაგანი ბუნებიდან გამომდინარეა, რაც შეეხება მის სიბშირეს, ამ შემთხვევაში თურქულის გავლენა უდავოა ისევე, როგორც ეს ზემოთ, ინგილოურში, ვნახეთ. გავლენას ძირითადად განსაზღვრავს აღნიშნულ ენებზე ამეტიყველების ფაქტი.

სვანურში დეზაფრიკატიზაცია ძირითადად სპირანტიზაციის ხასიათისაა⁵⁰ და დამახასიათებელია ყველა დიალექტისათვის, მაგრამ ის ყველაზე რელიეფურად წარმოდ-

48. ს. ელენტი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა... გვ. 156-157.

49. ს. ელენტი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა... გვ. 156-157.

50. გ. როგავა, ქართველურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ძირითადი საკითხები, იკე, ტ. IV, თბ., 1952, გვ. 46-47. შდრ. Н. Я. Марр, Тубал-кайнский вклад в сванском, ИАН, 1912, გვ. 1094.

გენილია ბალსქვემოური დიალექტის ლახამულურ კილოკავში;⁵¹ მაგალითები:

ლხმ. კ ა რ ზ < კ არ ძ // კ არ ძ (ლშხ., ლნტ.) „ტყავის ძველა“

ლხმ. ჩბხ. ქ ი ნ ზ < ქ ი ნ ძ (ლშხ.) შდრ. ქართ. ქინძი

ლხმ. ლ ი ხ გ რ ზ ა ნ ი < // ლიხგრძანი (ლნტ.) „დაგრება“

ლხმ. კ ა რ ზ ი ლ (ა. მაყ., ლექსიკ.) < ხ ა რ ძ ი ლ (ლშხ.) „ხარისძირა“

ლხმ. ლ ი გ ზ ე ნ ე < // ლ ი გ ძ ე ნ ე (ლშხ.) „განელვა“, „გაჭიმვა“. შდრ. მეგრ. გი(რ)ძე, ჭან. გუნძე, ქართ. გრძ-ელ⁵²

ლხმ. ლ ი მ ზ ღ ვ ე < ლ ი მ ძ უ ღ ვ ე (ბზ.) „დამუნუკება“

ლხმ. ბზ. ყ უ ნ ზ ე ლ (ბზ. 50,12) < ყურძენ (ლშხ., ბზ.) „ყურძენი“. შდრ. მეგრ. ყურზენ-ი // ყურძენ-ი, ქართ. ყურძენ-ი

ლხმ. ლ ი ზ ხ ა ლ ი < ლ ი ძ ხ ა ლ ი // ლიძხალი (ბზ., ლშხ.) „პირუტყვის გარეკვა, გაძახება“

ლხმ. ლ ი ზ გ ჯ რ ი < ლ ი ძ გ ჯ რ ი (ქვ. სვან.) „დამთავრება“ სვან. ზ ი („ძევს“) < *ძ ი. შდრ. ქართ. ძევ-ს, მეგრ. ძუ(-ნ), ჭან. ძუ-ნ // ძი-ნ, ათინ. მოგო-ზუნ: კითინა მ ო გ ო - ზ უ ნ მანინდრი (II, 118,24) „თითზე რომ გაქვს („გიდევს“) ბეჭედი“...⁵³

ლხმ. ლ ა ზ ჰ ა < ლ ა ძ ა // ლ ა ძ ი ჰ ა (ლშხ., ბზ.) „საკლავი“

ლხმ., ჩბხ. ნ ე ნ ზ < *ნენძ, ლენზ (ლშხ.) < ლენძ. შდრ. ქართ. ნაძვი (სოჭი)

ლხმ., ჩბხ. გ ა ნ ზ (სვან. პოეზ. 170,182) < განძ (უშგ., ლშხ, ლენტეხ.). შდრ. ქართ. განძი

ლხმ. ლ ე რ ზ < ლ ე რ ძ (ჩბხ.). შდრ. ქართ. ღერძი.

51. იხ. მ. ქალდანი, სვანური ენის ლახამულური კილოკავის ფონეტიკური თავისებურებანი, იკე, VII, თბ., 1955, გვ. 160; სვანური ენის ჩუბეხეური მეტყველების თავისებურებანი, იკე, XI, 1959, გვ. 227...

52 შდრ. K. H. Schmidt, Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache, Wiesbaden, 1962, გვ. 102-103. თ. გამყრელიძე, გ-მაჭავეარიანი, სონანტოასისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965, გვ. 348.

53 არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფ., 1938, გვ. 387-388.

ლზმ. ა ნ ზ ს ნ რ კ ი ნ < *ანძს ნ რ კ ი ნ „ანძაზე ჩამოსაკიდებელი“.
შდრ. ქართ. ანძათ

ბ ზ ა ნ ე ბ ა (სვან. პოეზ. 387,107) < *ბძანება... (შდრ.
ქართ. ბრძანება): სა ბ ზ ა ნ ე ბ ე ლ ი ს გ ა (ბზ. 166,27) „საბრძანებელში“

ბ ე რ ზ ე ნ (ბზ. 39,13) < ბერძენ, ლშხ. ბ ე რ ძ ე მ
// ბ ე რ ზ ე მ. შდრ. ბერძენი

თ ე რ ზ (ბზ. 101,3) < *თერძ, შდრ. ლშხ. თერჯ, ქართ.
თერძი.

გ ჯ რ ზ ნ ა ვ ი ლ (უშგ.) < *გჯრძნავილ. შდრ. ქართ. გრძნეული
მ ზ ი ვ (უშგ.) < *მძივ, ლშხ. ძ ი ვ. შდრ. ქართ. მძივი

ო-ზიპ < // ა-ძქიპ (ბზ.) „დავკალი“ (სვან. ენა, 15,3)

მ ე ზ ბ ა რ (უშგ.) < *მეძბარ. შდრ. ქართ. „მეძებარი“

სვან. ლ ი კ ჯ რ ზ ა ნ ი < *ლიკჯრძანი. შდრ. ქართ. „დაკერძება“

სვან. კ ე რ ზ -კ ვ ი რ ზ < *კერძ-კვირძ. შდრ. ქართ.

მიკერძ-მოკერძება

სვან. ქ ი ნ ზ ი ს თ ა ვ (ბქვ.) < *ქინძისთავ. შდრ.

ქართ. ქინძისთავი

სვან. ა კ ა რ ზ ე < // ა კ ა რ ძ ე „ბანდავს“
(ა. შანიძე, „უმლაუტი“, 183).

სვან. ბ ო ზ ა ლ (სვან. პოეზ. 383, 5) < ბოძალ- „ისარი“.

შდრ. მეგრ. ბორზალ-ი < // ბორძალი, ქართ. ბოძალ-ი „ისარი“

(ვახ., სამცხე; ი. ყიფშიძე, 206).

სვან. ზ რ ხ ი ლ (სვან. პოეზ. 352,4) < *ძხილ. ნახესხეზია

ქართულიდან. შდრ. მეგრ. დო-ძახ-ინ-ი „დაძახება“, ქართ.

ძახილი⁵⁴

54. საერთო ქართველური ფუძეებიდან მომდინარედ კი სამართლიანად
მიიჩნევა:

სვან. ყახ-ე (> // ყახ-ე „ძახილი“, „სახელი“) < ჯახ-ე. შდრ. მეგრ.

ჯოხ-ო „ჰქვია“, „ეძახიან“, ჭან. ჯოხ-ო // ნ-ჯოხ-ო... „ჰქვია“,

„დაძახება“, ქართ. ძახ-ილ-ი, ზახ-ილ-ი (არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ე ა,

ჭანურ-მეგრული შედ. ლექს... გვ. 437-438; სახელის ფუძის უძვე-

ლესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 32-33. I. A.

К л и м о в, Этимологический словарь картвельских языков, М. 1964, გვ.

236-237. ჰაინც ფ ე ნ რ ი ხ ი, ზურაბ ს ა რ ჯ ვ ე -

ლ ა ძ ე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ.,

1990, გვ. 430.

სვან. ზ ე - ს ხ - რ ა (სპირანტიზაციით)⁵⁵ < *ზე-ცხ-რა < *ძე-ცხ-რა „ცაცხვი“. შდრ. ქან. დუ-ცხ-უ, მეგრ. ცა-ცხ-უ > // ცხა-ცხ-უ, სვან. ცა-ცხ-ჟ (ბზ.), ქართ. ცა-ცხ-ე-ი.⁵⁶

მ-უ-რ-სგვენ („მარჯვენა“) < * მ-ა-რ-სგვენ < *მ-ა-რ-ზგვენ < *მ-ა-რ-ძგვენ. შდრ. მეგრ. მ-ა-რ-ძგვენ-ი, ქართ. მ-ა-რ-ჯვენა

ი. ქ ო ბ ა ლ ა ვ ა ს შეხედულებით, ეს სვანური მაგალითი ძ'ს სპირანტიზაციის „ძველი პერიოდის“ მონაცემია.⁵⁷ თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე და გ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი მას მიაკუთვნებენ საერთო ზანურ-სვანური ხანის მომდევნო პერიოდს, როცა საკუთრივ „სვანური კონსონანტური სისტემა მნიშვნელოვნად დაშორდა ზანურ არეალში წარმოდგენილ კონსონანტიზმს“.⁵⁸ გ. რ ო გ ა ვ ა ს მტკიცებით კი, „არაა გამორიცხული, რომ აქ [ქართველურ-ადილურ ენათა] საერთო წარმომავლობის მასალასთან გვექონდეს საქმე“.⁵⁹

ქართულში ძ'ს სპირანტიზაცია (ძ > ზ) ხდება ხშული დ'ს, სონორების: მ, ლ, რ-ს, სპირანტების ვ და ლ'ს წინ და ბ, მ, რ, ნ'ს მომდევნოდ ხმოვნის წინ — ანლაუტში და ხმოვნებს შორის — ინლაუტში.

მეგრულში — რ'ს მომდევნოდ და ხმოვნებს შორის; ქანურში — რ, ვ'ს მომდევნოდ, ხმოვნების წინ და ხმოვნებს შორის.

სვანურში სპირანტიზაცია ხდება ბ, გ ხშულების, რ, ნ სონორების, ლ, ხ სპირანტების წინ; ბ, გ ხშულების, რ, ნ, მ სონორების მომდევნოდ, ხმოვნის წინ — ანლაუტში

55. ტ. გ უ დ ა ვ ა, რეგრესული დეზაფრიკატიზაციის ერთი შემთხვევა ზანურში (მეგრულ-ქანურში). საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, XXXIII, თბ., 1964, გვ. 497-499.

56. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი... გვ. 129. გ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბ., 1965, გვ. 50.

57. ი. ქ ო ბ ა ლ ა ვ ა, აფრიკატიზაციისა და... გვ. 84.

58. თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, გ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი... გვ. 347-348.

59. გ. რ ო გ ა ვ ა, მ ა რ ჯ ვ ე ნ ა ზედსართავის შედგენილობის საკითხი ქართველურსა და ადილურ ენებში, იკე, XXV, თბ., 1986, გვ. 35-37.

და ხმოვნებს შორის ინლაუტში. რა ინვეეს აღნიშნულ გარემოცვებში ძ აფრიკატის სპირანტიზაციას?

არის საფუძველი ითქვას, რომ ხშულებისა და სონორების წინ და მომდევნოდ ხსენებული სპირანტიზაციის მიზეზია მეზობელი თანხმოვნების ხშულობასთან დისიმილაცია. ასეთი ახსნა შეიძლება მიეცეს ლ, ხ სპირანტის წინა პოზიციის სპირანტიზაციასაც, რამდენადაც ამ სპირანტების არტიკულაცია ხშულობის მცირედ ელემენტსაც შეიცავს.

რაც შეეხება ვ'ს წინ, ხმოვნის წინა და ხმოვნებს შორის დადასტურებულ სპირანტიზაციას, ის სუბსტიტუციის შედეგია.

§ 19. ც > ს

ც აფრიკატის დეზაფრიკატიზაცია (სპირანტიზაცია) შეინიშნება ქართული ენის დიალექტებშიც და, საერთოდ, ქართველურ ენებშიც:

მოხეური:

ს ხ ი მ ი ა ნ ი ⁶⁰ < *ცხიმიანი: ს ხ ი მ ი ა ნ ს არც რას არ შჭამდეს, ღმერთს ლოცულობდეს ბერები.

ს ხ ე ნ ი ⁶¹ < *ცხენი: ბაღლები სულ ს ხ ე ნ ე ბ-ზ ე სხდანან. ყაზახები სულ ს ხ ე ნ ო ს ნ ე ბ ი იყვნეს.

ეს მეტად საყურადღებო ფაქტია, რადგან ა მ ა ვ ე ე დ ი ა ლ ე ქ ტ შ ი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ა მ პ ო ზ ი ც ი ა შ ი საქმე გვექონდა სრულიად საპირისპირო მოვლენასთან. ხ'ს წინ მოქცეული ს სპირანტი აფრიკატიზაციით ც'ში გადადიოდა: სხვა > სხო > ცხო: ც ხ ო ს დასწევ, ც ხ ო ამაფრინდება (ქდ 31,4)...⁶² უთუოდ, სხვადასხვა დროის მოვლენებია!

60. ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ქართული ენის მოხეური დიალექტი... გვ. 20.

61. ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ქართული ენის მოხეური დიალექტი... გვ. 20.

62. ამავე დროს იხ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული... გვ. 79.

ლექსუმური:

უ ს ა ბ ე დ ი < უცაბედი.⁶³

გურული:

გ ა დ ა ს თ ო მ ა შ ი < *გადაცთომაში < *გადაცდომაში:
შეიყვანა გ ა დ ა ს თ ო მ ა შ ი.⁶⁴ ორქუე თქალი მოსთხარეთ
და მომიტანეთო, რავა შევიდა ასეთ გ ა დ ა ს თ ო მ ა -
შ ი ო (ულ 107, 34-35). შ ე ს თ ა.

აჭარული:

შ ე ნ ა ს < *შენაც: შ ე ნ ა ს მიდიხარ?
ს ა დ ი ყ ა მ ა ს < *სადიყამაც: ს ა დ ი ყ ა მ ა ს
დამპირდა.⁶⁵

ჭანური:

ხ ო ც ქ - // ხ რ ო ც ქ - // ხროსქ „კვდომა ცხოველისა“.
შდრ. მეგრ. ხორცქ- „გლეჯა“. არ-უურ დლაშ-კულე [მგერი]...
დ ო ხ რ ო ც ქ უ დ ო რ ე ნ „მერე ერთი-ორი დღის შემდეგ
[მგელი]... მომკვდარა“. [ცხენი] მანჯურანი დლა დ ო ხ რ ო ს ქ უ
„[ცხენი] მეორე დღეს მოკვდა“.⁶⁶

სვანურშიც ისე, როგორც ქართულსა და კოლხურში, ც
აფრიკატის დეზაფრიკატიზაცია ბუნებრივი მოვლენაა. ამდენად,
მაგალითებიც ხშირია:

ვ ე ს კ ა ც ხ < *ვ ე ც კ ა ც ხ (ლხმ.) შდრ. ქართ.
ვაც-კაცი, მეგრ. ოჩ-ო-კოჩ-ი

ს უ რ ა ვ (ლშხ.) < *ცურავ. შდრ. ქართ. ცურვა, მეგრ.
ჩურუა

ტ კ ი ს დ < // ტკიცდ (ბზ 303,7) „მართლა“ („მტკიცედ“):
მეჯვედ ტ კ ი ს დ ჩოთჯკრვე (ბზ.) „მეჯოგემ მართლა
დაუჯერა“.

63. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი...
გვ. 176. ავტორი ამ ფაქტს ბერათმონაცველებად მიიჩნევს.

64. ს. უ ლ ე ნ ტ ი, გურული კილო... გვ. 50.

65. მასალა იხ. შრომაში: შ. ნ ი უ ა რ ა ძ ე, ზემოაჭარულის
თავისებურებანი, ბათუმი, 1957, გვ. 31 (აღნიშნავს, იშვიათიაო); მისივე, ქართული
ენის ზემოაჭარული დიალექტი... გვ. 47.

66. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული... გვ. 431-432.

კ ე ს ნ ა ნ ი < // კ ე ც ნ ჰ ნ ი (ლხმ.) — ადგილის სახელწოდება.⁶⁷

ჯ რ ი ს მ ა (დაბიშ.) < *ჯრიცმა < *ჯვრიცმა. შდრ. ქართ. ჯვარცმა

კ ს ნ ე < // კასნი (უშგ.) < *კაცნი. შდრ. ქართ. კაცნი.

ხ ა ტ ს ი ხ < // ხ ა ტ ც ი ხ (ლხმ.) „ურტყამენ“.

ა თ ა ს დ ა ხ < // ა თ ა ც დ ა ხ (ტვ) „გაუარეს“:
იორი შუეკს ა თ ა ც დ ა ხ // ა თ ა ს დ ა ხ (ტვ)
„ოთხ გზას გაუარეს“.⁶⁸

ზ ე ს ხ რ ა (ბქვ.) < *ზ ე ც ხ რ ა < *ძეცხრა < *დეცხრა⁶⁹
„ცაცხვი“. შდრ. ქართ. ცაცხვი-ი, მეგრ. ცაცხუ, ჭან. დუცხუ „ცაცხვი“

გ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ნ ი ზესხრა („ცაცხვი“) ფუძის მაგალითზე
წერდა: „სვანურში ისტორიულად ადგილი უნდა ჰქონოდა /სხ/
და /ცხ/ ჯგუფების თავისუფალ მონაცვლეობას. შდრ. პირუკუ
შ ე ს ა ტ ყ ვ ი ს ო ბ ა. ქართ. /სხ/: სვან. /ცხ/: ქართ.
მ ს ხ ა ლ - ი, სვან. ი-ცხ“ (ხაზი ჩვენია. ა. ლ.) და კომპლექსებს:
ცხ — სხ'ს, სხ — ცხ'ს კი მიიჩნევდა შესატყვისობად.⁷⁰

ჩვენ ზემოთ (თ. II) მსხალი — იცხ'ის ტიპის მაგალითები ს
სპირანტის აფრიკატიზაციად მივიჩნიეთ და, ვფიქრობთ, სავსებით
სწორად, რაც შეეხება ზ ე ს ხ რ ა ტიპის მაგალითებს, ის
მიგვაჩნია ც'ს დეზაფრიკატიზაციის შედეგად (ვფიქრობთ,
შესატყვისობაზე აქ ლაპარაკი უმართებულოა.), რაც, ჩვეულებრივ,
არაა დამოკიდებული მხოლოდ ხ'სთან მეზობლობაზე (ამდენად,
არც კომპლექსზეა მართებული საუბარი!). ამის დამადასტურებელია
მაგალითები, რომლებიც ზემოთაა წარმოდგენილი: ვეს-კაცხ <
*ვეცკაცხ (ლხმ.), სურავ < *ცურავ (ლშხ.) და ა.შ.

ც'ს დეზაფრიკატიზაციით ჩანს მიღებული თანამედროვე

67. სვანური მასალა იხ. შრომებში: სერგი ჟ ლ ე ნ ტ ი, ფონეტიკური
შენიშვნები სვანეთის ქართულ წარწერებზე... გვ. 433. სვანური ენის ფონეტიკის
ძირითადი საკითხები... თბ., 1949, გვ. 180-182.

68. ორი უკანასკნელი მაგალითი სოფ. ყიბიანის (უშგული) ღვთისმშობლის
ეკლესიის ხატის წარწერიდანაა.

69. ტ. გ უ დ ა ვ ა, რეგრესული დეზაფრიკატიზაციის ერთი შემთხვევა
ზანურში... გვ. 499. შდრ. გ. რ ო გ ა ვ ა, ნააფიქსარი დ-ს ფონეტიკური
სახეცვლილებანი და ზეცა ფუძის აგებულების საკითხი, ქუთაისის სახელმწიფო
პედ. ინსტიტუტის შრომები, XI, 1952-1953, გვ. 61.

70. იხ. გ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, საერთო-ქართველური კონსონანტური
სისტემა... გვ. 25.

ქართველური ტოპონიმი სოხუმის უძველესი საერთო-ქართველური ტოპონიმ ცხუმისაგან: სოხუმ - ი < *სხუმ-ი < *ცხუმ-ი. შდრ. სვან. ცხუმ,⁷¹ ცხვიმ - რა (ბზ.), მეგრ. ცხემურ - ი, მცხემბერი // ცხემური, ქართ. ცხლა (გურ., აჭარ.),⁷² რცხმელა (ლეჩხ.), რ - ცხემლა // რ - ცხემელა (კობ., რაჭ. 89), რ - ცხ - ილ - ა (მცენარის სახელი). საგულეებელია, ცხუმის აღნიშნავდა ადგილს, სადაც რცხილნარი, ცხმელონა ანუ რცხმელონა გვქონდა. ასეთივე წარმოშობისა ჩანს სვან. ტოპონიმი ცხუმ-არი — სოფლის სახელი, ქართლ. ცხინ-არ-ი (ადგილის სახელი)⁷³ და, აგრეთვე, ქართ. ცხინვალ-ი < ქრცხილვანი — მცირე ქალაქი, დიდის-ლიახვის კიდეზე, სადაც „მსახლობელნი არიან ქართველნი, სომეხნი, ურიანი“.⁷⁴ შდრ. „განა არიან ქრცხილვანის ქეობის კაცნი შვენიერჰაეროვანნი, მებრძოლნი, სირცხვილის მღევარნი, ამაყნი, ერთგულნი. სახლობენ თავადნი და აზნაურნი, და ქალნიცა ეგრეთვე რიცხვე“ (ხაზი ჩვენია. აღ.).⁷⁵

თქმული მითუმეტეს სავარაუდოა იმიტომაც, რომ აღნიშნულ მცენარეს განსაკუთრებული დაფასება ჰქონდა და აქვს ჩვენში. შდრ. გურული დღეობა: „ცხემლის ჭრა“: „ცხემლის ჭრას სახში მივედი, ცოლშვილი მენატრებოდა“.⁷⁶

ამგვარად, ცხს სპირანტიზაცია (ც > ს) ქართულში ხდება თხშულისა და ხსპირანტის წინ. აგრეთვე, ხმოვნის შემდეგ — აუსლაუტში და ხმოვნებს შორის - ინლაუტში, ხმოვნის მომდევნოდ — აუსლაუტში.

71. პ. ი. ნ. გ. ო. რ. ო. ყ. ვ. ა. გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 11. გ. მ. ე. ლ. ი. ქ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 65-66. აღ. ო. ნ. ი. ა. ნ. ი., ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, თბ., 1989, გვ. 306-308.

72.. H. M a r p, К палеонтологии речи по груз. лексике... გვ. 81. ს. ჟ. ლ. ე. ნ. ტ. ი., გურული კილო... გვ. 256. აღ. ლ. ლ. ო. ნ. ტ. ი., ქართულ კილოთქმათა სიტყვის კონა, II, თბ., 1975, გვ. 297.

73. იხ. ორი უკანასკნელი შრომა (ი ქ ვ ე).

74. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა საქართველოჲსა, II ნიგანი, ქართლი, ტფ., 1895, გვ. 131.

75. ი ქ ვ ე, გვ. 135.

76. აღ. ლ. ლ. ო. ნ. ტ. ი., ფრონების ხეობის ტოპონიმი, თბ., 1988, გვ. 80.

ჭ ა ნ უ რ შ ი ის გვაქვს ქ ხშულის წინ, ს ვ ა -
ნ უ რ შ ი კი — ხშულების: დ, კ'ს, სონორების: მ, წ'ს,
სპირანტი — ხ'ს წინ და ტ ხშულის მომდევნოდ — ინლაუტში;
გვხვდება, აგრეთვე, ხმოვნის წინ — ანლაუტში.

მოცემულ შემთხვევაში ც'ს სპირანტიზაციის მიზეზია მომდევნო
ხშულებთან, სონორებთან და, ასევე, ხ სპირანტთან და წინა ყ'სთან
დისიმილაცია ხშულობის მიხედვით, ხმოვანთა წინ, მომდევნოდ და
ხმოვნებს შორის კი ის სპონტანური ხასიათისა ჩანს.

დეზაფრიკატიზაციით ასევე შესაძლებელია ც'საგან მივიღოთ
მისი მეორე შემადგენელი ელემენტი — ხშული ფშვინვიერი თანხმო-
ვანი თ. ასეც დასტურდება, მაგრამ შედარებით იშვიათად:

ქართულში: ფითხლავ < // ფიცხლავ (გაინწნა თმანი).

დაფათურდნენ < // დაფაცურდნენ.⁷⁷

ზემოიმერულში: ზარმათი < ზარმაცი...⁷⁸

სვანურში — ვ, ყ'ს მომდევნოდ და ხმოვნებს შორის: ლახამ.
მეკვთოვალ < მეკვცოვალ (ჩბხ.) „მკვნესარი“.

ლიყთუ ნე < ლიყცღნე // ლიყჯლცღნე (ჩბხ., ლშხ.) —
გულამოსკვნით ტირილი.

ქვითი-ქვითი < ქვიც-ქვიც (ბზ.) „ქუცი-ქუცი“...⁷⁹

როგორც ვხედავთ, ც აფრიკატის დეზაფრიკატიზაცია გვაქვს
ქართლურ დიალექტში, ზემოიმერულსა და სვანურში. პირველში
ის დასტურდება ხ სპირანტის წინ და ხმოვნებს შორის, მეორეში
— ხმოვნებს შორის, ხოლო მესამეში — ვ სპირანტის, სპირანტოიდ
ყ'ს მომდევნოდ და ხმოვნებს შორის.

ხ'სა და ყ'ს მეზობლობის შემთხვევაში ც'ს დესპირანტიზაციას
უნდა იწვევდეს მათთან დისიმილაცია სპირანტულობის მიხედვით,
ხმოვნებს შორის კი ის სპონტანური ჩანს.

77. გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართლური დიალექტი... გვ. 155.

78. ქეთევან ძ ო ნ ე ნ ი ძ ე, ზემოიმერული კილოკავი... გვ. 285.
ფაქტი მიჩნეულია ბგერათმონაცვლეობად.

79. შდრ. მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, სვანური ენის ლახამულური კილოკავის...
გვ. 157-158.

§ 20. წ > ს

ს. უ ლ ე ნ ტ ი 1956 წელს გამოცემულ წიგნში — „ქართული ენის ფონეტიკა“ — წერდა: „ქართულში და საერთოდ ქართველურ ენებში მკვეთრ აფრიკატივად სპირანტიზაცია არ ხდება“-ო (გვ. 147. ხაზი ჩვენია. ა.ლ.).

1958 წელს კი ი. ქო ბ ა ლ ა ვ ა მ გარკვევით აღნიშნა: „სისინა მკვეთრი აფრიკატივის ს პ ი რ ა ნ ტ ი ზ ა ც ი ა ქართველურ ენათაგან მხოლოდ სვანურისათვისაა დამახასიათებელი, უკეთ: მისი კვალი მხოლოდ სვანურშია დადასტურებული“ (ხაზი ჩვენია. ა.ლ.). მოაქვს წ > სს დამადასტურებელი მაგალითები:

- სვან. ზისყ — ქართ. რ-წყილ-ი
- „ ბჰსყ — ქართ. მარწყვი
- სვან. მასხრაპ. შდრ. ქართ. ნკეპლა
- „ ნასოლდ. შდრ. ქართ. ნალდი⁸⁰

ამ ფაქტს ხსენებული მკვლევარი ძველ მოვლენად მიიჩნევს. მისი აზრით, სვანურ ენაში ასევე ძველი ჩანს ძ > ზ (მურსგვენ. შდრ. მეგრ. მარძგვან); ჯ > უ (უუ „ძილი“. შდრ. ჭან. ჯირ-„დაწოლა“, ქართ. ძილი); ჩ > შ (ლვაშ „ჯიხვი“. შდრ. მეგრ. ოჩი, ქართ. ვაცი; ჭპშ „კაცი“. შდრ. მეგრ. კოჩი, ქართ. კაცი); ჭ > შ (შყაუუ < *ჭყაუჭ. შდრ. მეგრ. ჭყორი „მწყერი“, ლიშკადი < *ლიჭკადი. შდრ. მეგრ. ჭკადუა „ჭედვა“).

შემდეგ წერს: „ქართველურ ენებში დეზაფრიკატიზაციის პროცესი საერთოდ სუსტად არის წარმოდგენილი. სუსტი უნდა ყოფილიყო იგი წინათაც, გამონაკლისს ქმნის მხოლოდ სვანური, რომლისთვისაც გარკვეულ პერიოდში ძლიერი სპირანტიზაცია ჩანს დამახასიათებელი. მაგრამ სვანურის ეს თავისებურება უკავშირდება თვით სვანური ენის ჩამოყალიბების რთულ პროცესებს, მასში განსხვავებულ ენობრივ ფენათა არსებობას“.⁸¹

„ადრინდელი სპირანტიზაცია ეხება ენ. შიშინ-სისინა აფრიკატებს. ამოსავალი ვითარება — აფრიკატი — დაცულია აფხაზური ენის

80. ი. ქო ბ ა ლ ა ვ ა, აფრიკატიზაცია და... გვ. 84.
 81. ი ქ ე ე, გვ. 85-86.

ბზიფურ დიალექტში. ადილეურსა და ყაბარდოულში გვაქვს შესაბამის სპირანტთა სამეული“.⁸²

საერთო ადილური *ძ', *ც', *წ' → ქვ. ადილ. და ყაბ. ზ', ს', ს'.

აფხ. (ბზიფ.) ძ', ც', წ' — სხვა დიალექტთა ძ, ც, წ (არაფერს ვამბობთ ლაბიალიზებულ შიშინ-სისინებზე).

დებულების ავტორი, რა თქმა უნდა, გულისხმობს ქართველოლოგიაში საკმაოდ ფეხმოკიდებულ თეორიას სვანურში სამი ენობრივი ფენის (საკუთრივ სვანური, ძვ. ქართული, ზანური და აფხაზურ-ადილური) არსებობის შესახებ.⁸³ მათგან დეზაფრიკატიზაციის (სპირანტიზაციის) ფონეტიკური პროცესის ნარმოდგენილი „სიძლიერე“ თითქოს უნდა მიენეროს გავლენას ადილური ფენისას, რომელზედაც მომდევნოდ თქმულია: „დეზაფრიკატიზაცია აფხაზურ-ადილურ ენებში ძირითადად სპირანტიზაციის გზით მიმდინარეობს. ფართოდ არის იგი გავრცელებული ადილეურსა და ყაბარდოულში“. და მითითებულია აღნიშნული ჯგუფის ენებში სპირანტიზაციის ადრინდელ ანუ უძველეს (შიშინ-სისინათა) შედარებით გვიანდელ (შიშინების) ნაკადზე და სრულიად ახალ (სისინების) შემთხვევებზე.

კი, მაგრამ გვაქვს სვანურში აღნიშნული სისინ-შიშინა ფენის ფარდი სიტყვები, სადაც წ (და ძ, ც) ფონემების სპირანტიზაციაა განხორციელებული? ასეთი ფაქტები მითითებულ ოთხ მაგალითში არ არის. რას უნდა დავემყაროთ? საბუთი არ ჩანს. ამდენად, ადილური ფენის ადრინდელ ანუ უძველეს გავლენაზე არაფერი გვეთქმის.

იქნებ აღნიშნულ ენათა გვიანდელმა ვითარებამ იმოქმედა? ეს ამ შემთხვევაში გამოირიცხებულია, რადგან ის ეხება შიშინა აფრიკატებს: ჯ, ჩ, ჭ'ს.

უახლესი პერიოდის სპირანტიზაცია სისინებისა ძ, ც, წ აფრიკატებს ეხება. მათგან სპირანტიზაციით გამოირჩევიან წ და ჭ. წ'ს

82. ი. ქოზალავა, აფრიკატიზაციისა და... გვ. 86.

83. Н. М а р р, Из поездок в Сванлию, “Христианский восток”, ტ. II, ВИП. I, С. - Пб., გვ. 16. ს, ჯ ა ნ ა შ ი ა, სვანურ-ადილეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები, ენიმკის მოამბე, ტ. XII, გვ. 252-253 (ან ს. ჯ ა - ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. III, თბ., 1959, გვ. 85-86), А. С. Ч и к о б а в а, Картвельские языки, их исторический состав и древний лннгвистический облик, იკვ, II, 1948, გვ. 261-263, 272-273. არნ. ჩ ი ქ ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი... გვ. 445 და სხვ.

სპირანტიზაციით ხასიათდება სვანური, მაგრამ ის არ ჩანს საკუთრივ სვანური მოვლენა. შემდეგ კი ნათქვამია:

„სსინა აფრიკატთა სპირანტიზაცია, ჩვეულებრივ, გაერცელებული არ არის, მაგრამ ცალკეული შემთხვევები მაინც დაიძვნება. ვხვდებით მას, მაგ., შაფსულურში. უპირატესად სპირანტიდება მკვეთრი აფრიკატი წ (ისიც მხოლოდ ზოგ სიტყვაში, მაგრამ დამახასიათებელია მთელი შაფსულურისათვის). შდრ. ბჟედ., ჭემგ. წწ > შაფს. სწ „ტილი“. ბჟედ., ჭემგ. კწ > შაფს. კს „სიცრუე“. ბჟედ., ჭემგ. წგნა > შაფს. სგნა „სველი“ და ზოგი სხვ.

სვანურში წს სპირანტიზაცია ამ შაფსულურის გავლენა თუ არის, ის ახალი ყოფილა, რაც ადილეურის ამ დიალექტის ტერიტორიული სიშორის გამო (შაფსულები ცხოვრობენ ადილეს ავტ. ოლქში, ყუბანში ან კიდევ შავიზღვისპირეთში, ტუაფსეს რ-ში)⁸⁴ გამორიცხულია, რომ არაფერი ვთქვათ ამ მოვლენის იშვიათობაზე თვით შაფსულურში.

ჯერ კიდევ 1952 წელს გ. რ ო გ ა ვ ა მ გაარკვია, რომ მიუხედავად მკვეთრი სპირანტიზების უქონლობისა, ს ვ ა ნ უ რ შ ი „მაინც შეინიშნება თითო-ოროლა შემთხვევა ჭ-ს გ ა ს კ ი - რ ა ნ ტ ე ბ ი ს ა, როცა იგი მომდევნო მკვეთრი ხშულის მეზობლობაში ინარჩუნებს (ბგერობრივ) სიმკვეთრეს: მაგალითად, სვან. მგ-შკად („მჭედელი“) < * მგ-ჭკად. შდრ. ზან. ჭკადუ, ქართ. მ-ჭედელი. სვან. შყაჟუ („მწყერი“) < * ჭყაჟუ < * ჭყაჟუ; შდრ. ზან. ჭყორი, ქართ. მწყერი...

მგშკად, შყაჟუ ფუძეებში შ მიღებულია ჭ-საგან. მკვეთრობას ინარჩუნებს“.⁸⁵

შემდეგში ვ. თ ო ფ უ რ ი ა მ გვიჩვენა, აგრეთვე, რომ ქართული წ აფრიკატის შესატყვისად ს „გვევლინება სვანურში, რაც კარგად არის შემონახული დეცესიური რიგის ჰარმონიულ კომპლექსებში, სახელდობრ უკანანისმიერი კ და ფარინგალური ყ'ს წინ“.

წყ > სყ: ქართ. რ-წყილი — სვან. ზი-სყ; ქართ. მარწყვი — სვან. ბწყ; ქართ. მოწყობა — სვან. ლი-სყი „გაკეთება“ (წ-

84. იხ. З. И. К е р а ш е в а, Особенности шалссутого диалекта адыгейского языка, Майкоп, 1957. Г. В. Р о г а в а, З. И. К е р а ш е в а, Грамматика адыгейского языка, Майкоп, 1966, გვ. 6.

85. გ. რ ო გ ა ვ ა, ქართველურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი..., გვ. 47.

სე-პნ „გაკეთდა“, „მოეწყო“).

წკ > სკ: მეგრ. წკირ-უა „პობა“ — სვან. ლი-სკრ-ე „ნათლა“; მეგრ. მა-რ-წკინდ-ი, ჭან. მა-წკინდ-ი // მა-წინდ-ი — სვან. მესკად „ბეჭედი“.

სვანურში წ'ს სპირანტიზაცია, მსგავსად, ჭ'სი, შეიძლება მოხდეს კომპლექსის გარეშეც:

ქართ. გა-ს-წრ-ება (ძირია წ-არ) — სვან. ლი-სრ-ე (ძირია ს-ერ: ათ-სერ „აჯობა“);

ვ. თ. ო. ფ. უ. რ. ი. ა. ს. ვ. ე. აზრით, შეიმჩნევა აღნიშნული აფრიკატის შესატყვისობათა მაგალითების სიმცირე, რაც გამოწვეულია მათი „რეფლექსების შემდგომი ცვალებადობით: ს > ჰ > 0 (ნულად):

| | | | | |
|-------|-----------|---|-------|------------------------------|
| ქართ. | ე-წ-ევა | — | სვან. | სე-ჰ-ა |
| „ | მიალ-წ-ია | — | „ | ად-ჰ-ე... |
| „ | წერ-ს | — | „ | ა-ირ-ი და სხვ. ⁸⁶ |

ავტორი ასკვნის: „სპირანტიზაცია მეორეული მოვლენაა, ამოსავალია არა მარტო შიშინა, არამედ ს ი ს ი ნ ა ა ფ რ ი კ ა ტ ე ბ ი ც და, ამდენად, სვანური თავისი ადრინდელი სახით ემთხვევა ზანურსაც და ქართულსაც“ (ხაზი ჩვენია. ალ.).

სპირანტიზაცია მომხდარია სვანური ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ამუამად ეს პროცესი მოქმედი არ არის. ამიტომ ზანურიდან და ქართულიდან უფრო გვიან შემოსულ სიტყვათა აფრიკატები უცვლელადაა წარმოდგენილი (ლი-წწ-პვი — და-წწ-ევა, ლი-წწ-ლ-ე — გან-წწ-ევა „გათხოვება“).⁸⁷

წ'ს სპირანტიზაცია (წ > ს) დადასტურებულია ქართულის ერთ მაგალითში — ტ ხშულის წინ: ლ უ ს ტ უ კ ე ნ ტ ი < ლუნტუენტი < ლუნ თუ კენტი და მიჩნეულია დისიმილაციის შედეგად.⁸⁸

86. იხ. ვ. თ. ო. ფ. უ. რ. ი. ა. ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი, იკე, XII, თბ., 1960, გვ. 154-155. აგრეთვე: მცენარეთა სახელწოდების შესწავლისათვის ქართველურ ენებში, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XVI, სამეცნ. სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1958, გვ. 8.

87. დასახ. შრომა, 157.

88. E. Neisser, Studien zur georgischen Wortbildung, Abhandlungen für die Kunde des Morgenlandes, XXXI, 2, 1953, გვ. 16.

ქართული ენის ი მ ე რ უ ლ ი დიალექტის, კერძოდ, ზემოიმერული კილოკავის სათანადო შესწავლამაც დაადასტურა, რომ აქ ჩვეულებრივი მოვლენაა წ > ზ ფონეტიკური პროცესი ხ მ ო ვ ნ ე ბ ს შ ო რ ი ს, რაც ფაქტობრივად წარმოადგენს წ აფრიკატის შემადგენელ ს სპირანტული ელემენტის გამჟღერების პროცესს, ხოლო ტ ელემენტის დაკარგვას (წ > ტს > ს > ზ). მაგალითები ასეთია:

ასაზეველა (ხევის სს) < ასანვეველა
ეიზევა < ეინვევა, ოუზიე < ოუნიე
აზეული < ანეული (ლეღვანი, ზარანი)...

გადაუზია < გადაუნია (თავი), ხელშეზეულათ < ხელშენეულად (= ხელმოკლედ) ვიყავი, მოიზიე < მოინიე, გეიზი < გეინი, დეიზით < დეინით⁸⁹

წს დეზაფრიკატიზაციის (წ > ს) საკითხს შეეხო გ. მ ა ქ ა - ვ ა რ ი ა ნ ი ც. ის წს ამ სახეცვლილებას განიხილავს ყსთან კომპლექსში. წყ და სყ კომპლექსებს თვლის შესატყვისად (ს — ქართ. *წ, ქართ. წ, მეგრ.-ჭან. წ, სვან. წ, ს), ამოსავლად კი წყ მიაჩნია (წყ > სყ); მისი მაგალითებია:

სვან. ზისყ < *ზინყ. შდრ. მეგრ. წყირ-ი, ჭან. მწკირ-ი, ძვ. ქართ. გრწყილ-ი

სვან. ხ-ო-მსყ-ირ-ი < *ხ-ო-მწყ-ირ-ი. შდრ. მეგრ. ორწყე-ე(წ) „უყურებს“, ჭან. ო-წკე-ენ, ქართ. უწყ-ის.

სვან. ა-სყ-ი „აკეთებს“ (ეტიმოლოგ. „ანყობს“), ხ-ა-სყ-ა (ლშხ.) „ანყვია“, მეგრ. ო-წყ-უნ-ს, ქართ. ა-წყ-ობ-ს.⁹⁰

და უმატებს: „/წყ/ ჯგუფი სვანურში რეგულარულად შეიცვალა /სყ/ ჯგუფით“ (ხაზი ჩვენი. ა.ლ.).⁹¹

თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე ც საერთო-ქართველური აფრიკატი

89. მასალა ამოღებულია ქეთევან ძ ო ნ ე ნ ი ძ ი ს ნიგნიდან: ზემოიმერული კილოკავი... გვ. 44, 116, 145, 176, 207. შდრ. ბ. ჯ ო რ - ბ ე ნ ა ძ ე: „გადაუნია > *გადაუსია (დეზაფრიკატიზაციით) > გადაუზია (ასიმილაციით)“. ქართული დიალექტოლოგია... გვ. 455.

90. გ. მ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა... გვ. 24-26 (§8).

91. ი ქ ვ ე, გვ. 257.

ფონემების რეფლექსების ძიებისას სვანურში *წყ პარმონიული თანხმოვანთჯგუფის რეფლექსად მიიჩნევა სპირანტიული კომპონენტის შემცვლელ სყ ჯგუფს. ეს უკანასკნელი, მისი აზრით, *წყ ჯგუფისაგან მიღებულია სპირანტიზაციის (დებაფრიკატიზაციის) გზით. სყ'ს საპირისპირო წყ დღესაც დაცულია ქართულსა და მეგრულ-ჭანურში:

სვან. ზი-სყ, ქართ. გრწყ-ილ-ი, მეგრ. წყირ-ი, ჭან. მწყირ-ი (ორი სხვა მაგალითიც იგივეა, რაც ზემოთ ვნახეთ).⁹²

და ეს მაშინ, როდესაც „საერთო-ქართველური ნინასიბილანტიური (სისინა) რიგის აფრიკატები: /*ძ/, /*ც/, /*წ/ წარმოდგენილია სვანურში შესაბამისი სისინა აფრიკატების სახით“:

სვან. წიფ-რა: ქართ. წიფ-ელ-ი: მეგრ.-ჭან. წიფურ-ი⁹³

და დაუშვამატებთ: მხოლოდ ს სპირანტის სახით.⁹⁴ სვან. ნასოლდ < *ნანოლდ. შდრ. ქართ. ნალდ-ი.

სვან. მ ა ს ხ რ ა კ < *მანხრაპ. შდრ. ქართ. წკეპლა...

როგორც ვნახეთ, მკვეთრი წ აფრიკატის სპირანტიზაცია ქ ა რ თ უ ლ შ ი შენიშნულია ტ ხშულის წინ და ხმოვნებს შორის. ს ვ ა ნ უ რ შ ი მას ადგილი აქვს ყ, კ ხშულების, რ სონორისა და ხ სპირანტის წინ, დ ხშულის მომდევნოდ, ხმოვნებს შორის და აუსლაუტში (ვ'ს შემდეგ).

ქ ა რ თ უ ლ შ ი ტ'ს წინ წ'ს სპირანტიზაცია დისიმილაციითაა გამოწვეული (ფ. ნ ა ი ს ე რ ი), ხმოვნებს შორის კი ის სპონტანურია.

სვანურში წ'ს სპირანტიზაცია ხშულების, რ სონორისა და ხ სპირანტის წინ შედეგი ჩანს ხშულობისა, თუ ხშულობის გარკვეულ ელემენტებთან (ხ) დ ი ს ი მ ი ლ ა ც ი ი ს ა, დ'სთან სპირანტიზაცია დწ კომპლექსის უჩვეულობას უკავშირდება, სხვა შემთხვევებში კი ის სპონტანური ხასიათისაა.

წყ და სყ კომპლექსების გენეზისზე და შესატყვისობაზე ჩვენი მოსაზრება იხ. ქვემოთ.

რაც შეეხება მეორე მკვეთრი აფრიკატის, ჭ'ს სპირანტიზაციას,

92. თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, დებაფრიკატიზაცია სვანურში. „გადანერის წესები“ დიაქრონიულ ფონოლოგიაში, თბ., 1968, გვ. 7.

93. იხ. ი ქ ვ ე.

94. ჭ თ ო ფ უ რ ი ა, აფრიკატთა ცვლისა და შესატყვისობის ზოგი საკითხი ქართველურ ენებში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XIII სამეცნიერო სესიის თეზისები, თბ., 1956, გვ. 22.

მასზე დანვრილებით იხ. ქვემოთ, § 23^{ში}.

იმერული:

საკმაოდ ხშირია სნ > სტ^ს შემთხვევები:

დ ე ი ს ტ ა ვ ლ ე < *დ. ე ი ს ნ ა ვ ლ ე: ახლა შენე
ე ჩემი სიტყვა დ ე ი ს ტ ა ვ ლ ე (ქდ 441,10).

ისტეველ დაბრუნდა საზღვარგარეთ ს ტ ა ვ ლ ი ს
გასაგრძელებლათ (ქდ 472,11). ერთი კაცი უშონია თურმე გზის
მ ა ს ტ ა ვ ლ ე ბ ე ლ ა თ (ქდ 469,42)...

ს ტ ო რ ა თ < ს ნ ო რ ა თ: ს ტ ო რ ა თ რო
გავარჩიო სამართალი (ქდ 473,1).

გ ა ა ს ტ ო რ ო < *გ ა ა ს ნ ო რ ო...

სნ კომპლექსის ნ დენაფრიკატიზაციით გადადის ხ შ უ ლ
ტ^{ში} და ვლებულობთ სტ კომპლექსს. ასეა ეს ზემოიმერულში,
რაჭულში, ლეჩხუმურში, გურულსა და აჭარულში. მაგალითები:

ზემოიმერული:

სტავლა < სნავლა, ასტავლა < ასნავლა, სტავლული < სნავლული,
უსტავლელი < უსნავლელი... დეისტრო < დეისნრო, ვესტრები <
ვესნრები... სისტორე < სისნორე, გასტორება < გასნორება,⁹⁵
სტორი < სნორი.

ქეთევან ძ ო ნ ე ნ ი ძ ე ამ მოვლენას თვლის კომპლექსთა
ს უ ბ ს ტ ი ტ უ ც ი ა დ.⁹⁶

რაჭული:

დ ღ ე ს ა ს ტ ა უ ლ ი < *დღესასწაული. შდრ
პარალელური დ ღ ი ა ს ნ ვ ე ლ ი დღე (გლოლური).⁹⁷

ლეჩხუმური:

ს ტ ა ვ ლ ა - განათლება < *ს ნ ა ვ ლ ა - განათლება
ს ტ ა ვ ლ ა - გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა ამისთანე სად იყო
სხუმის (ქდ 486,35). ნ ა ს ტ ა ვ ლ ი ა ყველე (ქდ 485,3)

95. ქეთევან ძ ო ნ ე ნ ი ძ ე, ზემოიმერული კილოკავი... გვ. 19.

96. იხ. ი ქ ვ ე, გვ. 207, 285.

97. ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია... გვ. 405

მ ა ს ტ ა ვ ლ ე ბ ლ ე ბ ი < *მ ა ს ნ ა ვ ლ ე ბ
ლ ე ბ ი: მ ა ს ტ ა ვ ლ ე ბ ლ ე ბ ი სკოლაში დავტოვეყე
(ქდ 480,31). მ ა ს ტ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი (ქდ 485,3).

მ ო ს ტ რ ე ბ ი ა < *მოსწრებია: განათლებით და
ჟველაფრით არ მ ო ს ტ რ ე ბ ი ა (ქდ 486,35).

მ ო უ ს ტ ა რ ი (ქდ 485,3) < *მოუსწარი.

გურულში ასეთი შემთხვევა, როგორც ს. ჟღენტი ნერს,
„ძალიან ხშირია“. ს ტ ო რ ე თ < ს ნ ო რ ე თ, მ ი
ე ს ტ რ ო < მ ი ე ს ნ რ ო: ს ტ ო რ ე თ უბედურს
გლახა დროი მ ი ე ს ტ რ ო. ნ ა ს ტ ა ვ ლ ი <
ნ ა ს ნ ა ვ ლ ი: რუსეთში ნ ა ს ტ ა ვ ლ ი ა ო და ამით
გამაბრიყვა (ნინოშვილი). ნუ გეშინია, მე გ ა ს ტ ა ვ ლ ი
(უგ 121,1). საშუალო ს ა ს ტ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი გაათავა
(უგ 106,19).

გ ა ა ს ტ ო რ ა < გ ა ა ს ნ ო რ ა: გ ა ა ს -
ტ ო რ ა ბერდენე. გ ა ა ს ტ ო რ ა ანგარიში (ქდ 407,13).

დ ლ ე ი ს ტ ო რ ა მ დ ი < დ ლ ე ი ს ნ ო -
რ ა მ დ ი⁹⁸ ს ტ ო რ ი < ს ნ ო რ ი, ს ა ს ტ ო -
რ ი < ს ა ს ნ ო რ ი.

მ ა ს ტ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი < მ ა ს ნ ა ვ ლ ე -
ბ ე ლ ი.

ს ტ ა ვ ლ ა < ს ნ ა ვ ლ ა.⁹⁹ ა ს ტ ა ვ ლ ა
(ქდ 662) < *ა ს ნ ა ვ ლ ა: ამ კაცმა ა ს ტ ა ვ ლ ა
(ქდ 428,35). ვინცა გამოცთილმა კაცმა ა ს ტ ა ვ ლ ა (ქდ
421,29). უ ს ტ ა ვ ლ ე ლ ი (უგ 246)

ს ტ ო ბ ო დ ა (ქდ 166) < *ს ნ დ ო ბ ო დ ა
< *ს ნ ვ დ ო ბ ო დ ა < *ს ნ ვ დ ე ბ ო დ ა. ვინცა
ცხენს ვერ შ ე ს ტ ვ ა და უნაგირს ტეხვა დუუნყოვო (ქდ
429,23).

98. მასალა ამოღებულია შრომიდან: ს. ჟღენტი, გურული კილო-
ბე. 50.

99. მასალა იხ. შრომაში: აღ. ლ ლ ო ნ ტ ი, ძირითადი ფონეტიკური
მოვლენებისათვის გურულში... გვ. 318.

აჭარული:

ს ტ ო რ ე თ < ს ნ ო რ ე თ, ს ტ ო რ ი < ს ნ ო რ ი: დ უ ს ი ს ტ ო რ ე ს < დ უ ს ი ს ნ ო რ ე ს. გ ა - მ ა ს ტ რ ო < გ ა მ ა ს ნ რ ო, არ მ ო მ - ს ტ რ ი ა < არ მ ო მ ს ნ რ ი ა, ძ მ ი ს ტ უ ლ ი < ძ მ ი ს ნ უ ლ ი, დ ი ს ტ უ ლ ი < დ ი ს - წ უ ლ ი, ს ა ს ტ ო რ ი < ს ა ს ნ ო რ ი, ი ს - ტ ა ვ ლ ე ს < ი ს ნ ა ვ ლ ე ს, მ ა ს ტ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი < მ ა ს ნ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი... ჭკუის ს ტ ა ვ ლ ე ბ ა (ქდ 404,9). კაცმა მ ა ს ტ ა ვ ლ ა (ქდ 405,5). გ ა ს ტ ო რ ე ბ ა (ქდ 656)

ამ დიალექტში ნ > ტ პროცესი სს გარეშეც შეინიშნება: კ ი ნ ტ ლ ო ბ ა < *კინწლობა¹⁰⁰ ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა - ძ ე მას დეზაფრიკატიზაციად თვლის.¹⁰¹

შ. ნ ი ყ ა რ ა ძ ი ს ცნობით, „სტ კომპლექსიანი ფორმები განსაკუთრებით ხშირად გვხვდება შუახვევის სოფლების მკვიდრთა მეტყველებაში“.¹⁰² მას სნ > სტ მოვლენა სს ნინ წს დ ე - ზ ა ფ რ ი კ ა ტ ი ზ ა ც ი ი ს შედეგად მიაჩნია.¹⁰³

ასეთად მიიჩნევს მას გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი ც. ის წერს: აჭარულსა და გურულში სნ კომპლექსი ყოველთვის გვაძლევს სტ-ს, აქ ადგილი აქვს დეზაფრიკატიზაციას. ნ აფრიკატი, როდესაც წინ ხვდება სანი, ე.ი. ისეთი ელემენტი, რომელიც მის შემადგენლობაში შედის, კარგავს სნორედ იმ შემადგენელ ელემენტს, რომლის მსგავსიც მას წინ დაუხვდა და მარტივი ს + ნ აფრიკატის (ს + ტ + ს) ნაცვლად ვიღებთ გამარტივებულ ბგერას: მარტ. ს + მარტ. ტ > სტ-ს¹⁰⁴ (ხაზი ჩვენია. ალ.).

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ აჭარულ-გურული მასალის აქ წარმოდგენილ ახსნას და, ვფიქრობთ, რომ ასეთივე ახსნა უნდა

100. შ. ნ ი ყ ა რ ა ძ ე, ზემოაჭარულის თავისებურებანი... გვ. 31.

101. იხ. მისი ქართული დიალექტოლოგია... გვ. 549.

102. შ. ნ ი ყ ა რ ა ძ ე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი... გვ. 47.

103. იხ. ი ქ ვ ე.

104. გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი... გვ. 37.

მიეცეს ამ მოვლენას იმერულშიც, რაჭულშიც და ლეჩხუმურშიც.¹⁰⁵ საფიქრებელია, ასეთივე ახსნა მიეცეს გენეტიკურად დ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ს ენაში შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი ს მიერ შენიშნულ სიტყვას — გ ა მ ს ტ რ ო ბ ი „დამზვერავი“, „მოთვალთვალე“:

„ვაი თუ ქვეყნისა გ ა მ ს ტ რ ო ბ ა დ ვითა ძე დანი სადარი,

მზეს ღრუბლის გამო ვერ ვხედავ, ან ბურმან დანისა დარი“.¹⁰⁶ გა-მ-ს-ტ-რ-ო-ბ-ი < *გამსნრობი = „ის ვინც ასწრებს მზერას, ნახვას“.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხშირად ნ'ს დისიმილაციით მიღებული ტ'ც იკარგება: სნ > სტ > ს.¹⁰⁷

შ უ უ ს რ ე ბ ს (იმერ. ქდ 673) < *შუუსტრებს < *შუუსნრებს.

გ ა მ ო ს ი < *გამოსტი < *გამოსნი: გ ა მ ო ს ი ენა (ქვ. გურ. ქდ 426,36).

მ ი ე ს რ ო < *მიესტრო < *მიესნრო: შვილიც მ ი ე ს რ ო ბის უნახავს (უგ 108,24).

დეზაფრიკატიზაციით უნდა აიხსნას, აგრეთვე, ნ > ს პროცესი ნ — ლ სონორებს შორის: აჭარ. კინტლობა < კინწლობა.

ირკვევა, რომ ზემოთ წარმოდგენილ მასალაში ნ გადადის ტ'ში ს სპირანტის მომდევნოდ, იშვიათად ნ — ლ სონორებს შორის.

პირველ შემთხვევაში ნ- აფრიკატის დეზაფრიკატიზაცია გამოწვეულია ს სპირანტთან დისიმილაციით სპირანტულობის მიხედვით: სნ > სტ. მეორე შემთხვევაში დისიმილაცია ხდება ნ — ლს სპირანტულ ელემენტთან: ნწლ > ნტლ.

105. რაც შეეხება მეგრულში დაცულ ფაქტს: ს ა ს თ ა უ ლ ი // ს ა ს ტ ა უ ლ ი // ს ა ს წ ა უ ლ ი საკითხი საკვლევა (იბ. ი. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, დისიმილაციური დეზაფრიკატიზაცია... გვ. 37, 38. ევ. ო ს ი ძ ე, სვანური ენის ლექსიკის შესწავლისათვის ისტორიული თვალსაზრისით, ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 1987, გვ. 34-38). 106. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, დავით გურამიშვილის ენა, თბ., 1980, გვ. 23 (სტროფი 341).

შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი წერს: „გამსტრობი იგივეა, რაც მსტოვარი“, ე.ი. მზვერავი, მოთვალთვალე, მზირი“ (გვ. 26).

107. ი. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, დისიმილაციური დეზაფრიკატიზაცია... გვ. 38.

§ 21. ჰ > უ

როგორც ზემოთ ვნახეთ, განხილულ მაგალითებში ჯ დეზაფრიკატიზაციით ხ შ უ ლ ბგერას დ'ს იძლეოდა. არის ისეთი ფაქტები, და ძალიან ხშირიც, როცა ჯ'ს დეზაფრიკატიზაციით ს პ ი რ ა ნ ტ ს ვლებულობთ.

ქართლური:

უ დ ი ს (ქდ 64) < *ჯდის: შენი სადიდედროო ბუხრის ძირას
 უ დ ი ს ო (ქდ 305,22).

ა დ ე რ ბ ე უ ა ნ ე ლ - ი (ქდ 633) < *ადერბეჯანელ-ი <
 *ადერბაიჯანელ-ი < *აზერბაიჯანელ-ი

ჯავახურში დეზაფრიკატიზაციით ჯ იძლევა სპირანტ უ'ს:

უ დ ო მ ა < *ჯდომა: შეუდა < *შეჯდა, დაუდა < *დაჯდა.
 თ ა უ ა < // თ ა ჯ ა (შდრ. თურქ. თაზა „ახალი“):
 თ ა უ ა პური მოიტანე „ახალი პური მოიტანე“¹⁰⁸

ინგილოურში ჯ თანხმოვნის ადგილას თითქმის ყველგან უ იხმარება: უ ო რ < *ჯვარი, უ ი ნ ტ ა რ < *ჯინჭარი,
 ბ ლ ე უ ა < *გლეჯა, უ ა ფ ა - მ < *ჯაფა-მ, უ ა მ ა -
 ა თ - ი < *ჯამაათი, - უ ა ნ < - ჯან (სულიკო-ჯან), -
 უ უ რ ა < - *ჯურა (=ნაირი), ლ უ რ უ < *ლურჯ-ი...

ბ ა უ ა ვ რ დ ა < *გაჯავრდა: დევ ბ ა უ ა ვ რ -
 დ ა თქო.¹⁰⁹ დევი უ ა ვ რ ო ბ ს (ქდ 248,11).

უ დ ე ბ ა < *ჯდება: შაჰ-აბაზი ცეცხლთან შუაზე
 უ დ ე ბ ა.¹¹⁰ ის კაციც იმ ფაეტონჩისთან შ ე უ დ ე ბ ა
 (ქდ 244,1).

უ ე რ < *ჯერ: უ ე რ დ ა უ დ ე ვ ო დ ნ ე ნ
 გადი თარაფით მონასულ ენგრევ (ქდ 233, 34).

უ ა მ < *ჯამი: საცერში ოთხ უ ა მ ფქულ ჩაჰყრი,

108. გრ. ბ ე რ ი ძ ე, ქართული ენის ჯავახური კილო... გვ. 64.

109. რ. ლ ა მ ბ ა შ ი ძ ე, ინგილოური კილო... გვ. 286.

110. გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი... გვ. 193.

გაჰსტრი (ქდ 229,16).

ხ უ რ ყ ი ნ - ი < *ხურჯინ-ი: ერ ტანჯ კორცხ იქნევის
იმ ხ უ რ ყ ი ნ შ ი (ქდ 231,2).

ყ ა ვ რ < *ჯავრი: მელას ყ ა ვ რ ი შომოჰყრი (ქდ
239,22).

მ ა რ ყ ო ნ ა < *მარჯვენა: პატარზალს დაიჭერს...
მ ა რ ყ ო ნ ა კელით (ქდ 234,7). გ ა მ ა რ ყ ო -

ვ ა < *გამარჯობა: — მურყანო, გ ა მ ა რ ყ ო ვ ა!
დ ა მ ყ ე რ ა < *დაიჯერა: მეფემ არ დ ა მ ყ ე რ ა
(ქდ 236,27). კაცი არ უ ყ ე რ ე ვ ს მურყანს (ქდ 237,37).

-ყ ე რ < * - ჯერ: ბ ე ჯ რ ყ ე რ კი, თუ სალამოზე
მამკდარ, ხუალ მარხონ (ქეიდთ 171,14).

ხ ა ნ ყ ა ლ < ხანჯალ-ი: უჭინა მუცელში ხ ა ნ ყ ა ლ
(ქეიდთ 174,12).

ყ ო ხ < ჯოხ-ი: დეკაცს დიდ ყ ო ხ გაუკეთევი (ქეიდთ,
182,19).

ყ უ ლ < *ჯულ < *რჯულ-ი: ბუთუმ მობრუნდა ქართული
ყ უ ლ ზ ე (ქეიდთ 163,19).

მ ე ყ ლ ი ს ი < *მეჯლის-ი: მე ვატარებდი სრუგან
მ ე ყ ლ ი ს ე ბ შ ი (ქეიდთ 203,3).

ყ ი ბ ე < *ჯიბე: ამ კაცმა ამაჲლა ყ ი ბ ი თ დანა
(ქეიდთ 203,21). ჩაჲდებდ ყ ი ბ ე შ ი, ნაჲდოდა (ქეიდთ
194,34).

ყ ი ნ ი < *ჯინი: — რეტიამო, ყ ი ნ ი ა ნ ო ბაჰ-
ლულო! (ქეიდთ 202,6).

ყ ა ლ ა ბ ო ბ ა < *ჯალაბობა: მესოცება ყ ა ლ ა -
ბ ო ბ ა (ქეიდთ 201,33).

ფ ე ნ ყ ე რ ა < *ფანჯერა < *ფანჯარა: დედაკაცი ფ ე ნ -
ყ ე რ ა მ თ იჭრუტობოდა (ქეიდთ 199,18).

დ ა ბ უ ყ ო ს < *დააბუჯოს < *დააბიჯოს: უორმოცო
დედაკაცმა ფეყი მიწაზე არ დ ა ა ბ უ ყ ო ს (ქეიდთ 196,23).

ძალიან იშვიათად შეინიშნება ჯ თანხმოვანი უს პარალელურად:
ჯუმა // ყუმა, უჯობა // უყობა, ოჯახში < ოყახში. ასე,
მაგალითად, ჩვენ შეგვხვდა:

თუ კდარ იმარხევის ოთხშაბათს ან ჯ უ მ ა ს (// ყ უ -

მ ა ს), მაშინ ის მარხულ იმარხვეის (ქეიდთ 172,22). ფერ ბიჩამ უ ჯ ო ბ ა (// უჟობა) (ქეიდთ 175,6). მოდიოდა ქალი ოჯახში (// ო ჟ ა ხ შ ი) ორმოც დედაკაც და ორმოც მამაკაც, დეკაცევ ცხენით, მამაკაცევ ფეყით (ქდ 233,20-21). ერ ჟ ე შ ი ლ (// ჯეპილ) ბიჭ მიჰსცა (ქეიდთ 205,2).

შენიშნულია, აგრეთვე: შ ე ჯ დ ა // შ ე ჟ დ ა, გ ა - ჯ ა ვ რ დ ა // გ ა ჟ ა ვ რ დ ა, გ ა მ ა რ - ჯ ვ ე ბ ა // გ ა მ ა რ ჟ ე ე ბ ა, ჯ ე რ // ჟ ე რ, ფ ე ნ ჯ ე რ ე / ა // ფ ე ნ ჟ ე რ ა, დ ა ჯ ე რ ა // დ ა ჯ ე რ ა.¹¹

ჯ > ჟ ფონეტიკური პროცესი დასტურდება ფშაურში.

გ ა ჟ ი ნ ი ა ნ ე ბ უ ლ ა < გაჯინიანებულა: გაჟინიანებულა ე ნადირი სმულობაშია (ქდ 143,36).

რაჭული:

დ ა ჟ დ ა < *დაჯდა: დ ა ჟ დ ა და დათაღნა შამფურნი. შ ე მ ო ჟ დ ა ცხენზე და გამოიპარა.¹²

იმერული:

შ ე ჟ დ ა < *შეჯდა: შ ე ჟ დ ა ე ბიჭი ამ ცხენზე (ქდ 456,29). იგი ჯორზე ი ჟ დ ა (ქდ 473,7).

წვეიდენ ჭჭურები და ჩ ა ჟ დ ე ნ ხვიმირაში (ქდ 474,10).

მოღის კაცი, ჟ ი ლ ა რ ი ა ცხენზე (ქდ 472,18).

თ ა ვ ჟ დ ო მ ა რ ე თ < *თავჯდომარეთ: იგი თ ა ვ ჟ დ ო მ ა რ ე თ იქნებოდა დაყენებული (ქდ 468,31).

ჯ > ჟ გვაქვს ლეჩხუმურში:

დ ა ჟ დ ე ბ ა < *დაჯდება: დ ა ა ჟ დ ე ბ ა თვრამეტ

11. შდრ. ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია... გვ. 341, სადაც წერია: „ინგილოურის სპეციფიკური მოვლენაა ჯ და ძ აფრიკატების უქონლობა, მათ, შესაბამისად, ცვლის ჟ და ზ სპირანტები: ხურჯინი > ხურჟინი, პატარძალი > პატარზალი... (ხაზი ჩვენია ა. ლ.)

12. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ქართული ენის მთარაჭული დიალექტის ძირითადი თავისებურებანი, ენიკვის მოამბე, 1(1), ტფ., 1937, გვ. 90,25; 96,39.

ან ოც კვერცხზე (ქდ 495,37).

კ ო უ < // კოჯე „ქვიანი ბორცვი, გორაკი (სვან. კოჯე „კლდე“. მ. ქალდანი).¹¹³

გურული:

დ ა უ დ ა < *დაჯდა: მევიდა გლახუნე და დ ა უ -
დ ა და აღარ მივა (ქდ 418,7). უ დ ა ნ ა (ქდ 666).
უ ი ლ ა რ ი ე ნ (ქდ 666). ცხენზე უ ი ლ ა რ ი ე ნ
(ქდ 427,9). ი უ დ ა (ქდ 664). დ უ უ უ ე დ ი (ქდ
663). გ ა დ ა ა უ დ ა ამ კაცმა ზეთ და გევიდა (ქდ 428,30).
მ უ უ უ ი ნ ე ს გველკაცი მეფის მზესავით ქალს (ქდ 432,14).
შ ე უ დ ა ცხენზე (ქდ 428,18). შ ე უ დ ა რაჟზე და
წევიდა იმ კოშკთან (ქდ 423,22). ქალმა აი ბიჭი შ ი ა უ ი -
ნ ა მის რაჟზე. დევებმა მის-მის რაჟებზე შ ე უ დ ე ნ
და წევიდენ.¹¹⁴ შ ე უ დ ა ცხენზე და წევიდა საცხა (ჟგ 112,5).
შ ი ა უ ე ქ ი თ მიორე ცხენზე (ჟგ 112,8). შ ა მ ო მ ი -
უ ი ნ ა მეც ცხენზე (ჟგ 113,19-20). უ ი ლ ა რ ი ე ნ (ქდ
427,9).

შ ა მ ე ი უ ი ნ ა < *შამოიჯინა. ი უ დ ა. დ უ
უ უ ე დ ი („ჩაუუჯეიქი, ჩაუუსაფრდი“ (ქდ 663) < *დუუჯედი.

გ ა უ ა ნ უ ლ ა ლ ე ბ ა („წყალში რაიმეს ამოვლება“)¹¹⁵
< *გაჯანჯლალება

კ ა ტ რ ი უ ა ნ - ი < *ბადრიჯანი...¹¹⁷

აჭარული:

დ ა უ დ ა < *დაჯდა: იმ ტოტ შჭრიდა, რომელცხაზე...
თვითან იყო შ ა მ ო მ უ დ ა რ ი (ქდ 400,29). შ ა -
ა უ დ უ მ ლ ე ს (ქდ 660). კაცი დ ა მ უ დ ა რ ა
სკამზე (ქდ 404,21). დ ა მ უ დ ა რ ა უმფოსი და ღარი
თავზე (ქდ 401,35). ამ სიტყვებზე ხატოსაც ა მ უ უ დ ა გული

113. ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია... გვ. 513.

114. ალ. ლ ლ ო ნ ტ ი, ძირითადი ფონეტიკური მოვლენებისათვის... გვ. 318.

115. ს. უ ლ ე ნ ტ ი, გურული კილო... გვ. 52, 226, 239.

116. იხ. ი ქ ვ ე, 216.

117. ი ქ ვ ე, გვ. 239.

(ქდ 401,39). უ დ ო მ ა (ნოლ. 22). დ ა მ უ დ ა რ ა უმფროსი (ქდ 401,35). შ ა ა ყ დ უ მ ლ ე ს ე ბერი ცხენზე (ქდ 403,15).

ჯ > ყ შენიშნულია ზემოაჭარულშიც (შუახვევის რაიონის ჭვანის მიმდებარე სოფლებში): დ ა ყ დ ა.¹¹⁸

ჭანური:

ე ყ დ ო ხ უ თ ი < *ეჯდოხუთი (დ'სთან ასიმილაციით < „ეჩდოხუთი „ოცდახუთი“. შდრ. მეგრ. ეჩდოხუთი „ოცდახუთი“. ჭან. უურ საათი[ს] ე ყ დ ო ხ უ თ მეკალაფე რენ (ალმოს. კილო).¹¹⁹ და, რაც მთავარია, ჯ'ს ასეთი სპირანტიზაციის ფაქტები ფიქსირებულ იქნა სვანურში:

ყ ე ლ (უბლკ — „ძალი“) < *ჯელ. შდრ. მეგრ. - ჭან. ჯოლორ-ი „ძალი“.¹²⁰

უახე („ძახილი“) < *ჯახე. შდრ. მეგრ.-ჭან. ჯოხო („ჰქვია“, „ენოდება“), ძვ. ქართ. ზახ. > ახ. ქართ. ძახილი.¹²¹

ბერეჟ (ჩბხ.) < ბერეჯ (ლნტ., უშგ.) „რკინა“¹²²

ლი - ყ ო ლ ე (ლშხ), ლი-ყველ (ბზ), ლი-ყელ (ლზმ. „ძლოლა“) < *ლი-ჯველ. შდრ. მეგრ. ჯლონ-ს „უძღვის“, ჯღვერ-ი „მძლოლი“, ქართ. უძღვის-ს, მოძღვარ-ი

უ ყ („ძილი“) < *უჯ. შდრ. მეგრ.-ჭან. ჯირ- „წოლა“, ქართ. ძილი-

118. შ. ნ. ი. ყ. ა. რ. ა. ძ. ე, ზემოაჭარულის თავისებურებანი... გვ. 31. მისივე, ქართული ენის ზემოაჭარული... გვ. 47.

119. Н. М а р р, Грамматика чанского (лазского) языка... გვ. 118.

მეგრულ-ჭანური ენის მეგრულ დიალექტში ამ და მსგავს კომპოზიტებს უ არ ახასიათებს: არის ეჩდოხუთი „ოცდაათი“... იხ. И. К и п ш и д з е, Грамматика... გვ. 038. შდრ. ი. მ. ე. ლ. ი. ქ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი, დისიმილაციური დეზაფრიკატიზაცია... გვ. 37.

120. გ. რ. ო. გ. ა. ვ. ა, ქართველურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ძირითადი საკითხები, იკე, IV, თბ., 1953; ადილური სიტყვა ქართველურ ენებში, ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 1987, გვ. 21-22.

21. ვ. თ. ო. ფ. უ. რ. ი. ა, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის... გვ. 153. ი. ქ. ო. ბ. ა. ლ. ა. ვ. ა, აფრიკატიზაციისა და... გვ. 85. გ. მ. ა. - ჭ. ა. ვ. ა. რ. ი. ა. ნ. ი, საერთო-ქართველური... გვ. 47.

122. მ. ქ. ა. ლ. დ. ა. ნ. ი, სვანური ენის ჩუბეხური მეტყველების... გვ. 227. შდრ. ი. ქ. ო. ბ. ა. ლ. ა. ვ. ა, დეზაფრიკატიზაციისა და... გვ. 71: ავტორი ვარაუდობს პირიქითა პროცესს: ყ > ჯ.

როგორც გაირკვა, ჯ აფრიკატის სპირანტიზაცია (ჯ > ჟ). ქართული ენის დიალექტებში გვაქვს დ ხშული თანხმოვნის წინ და ნ — ლ თანხმოვნებს შორის, ასევე ხმოვნის წინ, ანლაუტში, ხმოვნის შემდეგ — აუსლაუტში და ხმოვნებს შორის — ინლაუტში (შხედველობაში არაა ინგილოური).

ჭანურში იგი ხდება დ ხშული თანხმოვნის წინ.

სვანურში ის დასტურდება ხმოვნის წინ — ანლაუტში, ხმოვნის მომდევნოდ — აუსლაუტში და ხმოვნებს შორის — ინლაუტში.

დ ხშულისა და ლ სპირანტის წინ აღნიშნული სპირანტიზაცია გამოწვეულია დისიმილაციით ხშულობისა (დ) თუ ხშულობის მცირედ ელემენტთან (ლ) დისიმილაციით, რაც შეეხება ხმოვნის წინ, ხმოვნის მომდევნოდ თუ ხმოვნებს შორის დებაფრიკატიზაციას, ის სპონტანური ხასიათის მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

ცნობილია, რომ მეგრულ-ჭანურში მჟღერი ჯ აფრიკატის პარალელურად იხმარება მჟღერი ხშული თანხმოვანი დ:

მეგრ.-ჭან. ჩ ხ ვ ი ნ ჯ - ი // ჩ ხ ვ ი ნ დ - ი //
ჩ ხ ი ნ დ - ი „ცხვირი“ მეგრ.-ჭან. ჭ ა ნ ჯ - ი //
ჭ ა ჯ - ი // ჭ ა ნ დ - ი // „ბუზი“.

ი. ყ ი ფ შ ი ძ ი ს სწორი მიკვლევით, ასეთ შემთხვევაში დ მიღებულია ჯ'საგან:

მეგრ.-ჭან. ჩ ხ ვ ი ნ დ - ი (< // ჩხინდ-ი < ჩხვინჯ-ი.

მეგრ. — ჭან. ჭანდ-ი < ჭანჯ-ი

მეგრ. ჭ კ უ დ - ი < ჭკუჯ-ი

მ ო - ს ვ ა ნ დ - ა, მ ო - შ ვ ა ნ - დ ა <
მ ო - შ ვ ა ნ ჯ - ა „დასვენება“, ქ ჯ დ ჯ - ვ - ო ს -
ვ ა ნ დ - ე < ქჯდჯ-ო-სვანჯ-ე, მ ი ი - ვ - ს - ვ ა ნ დ - ი <
< მი-ი-ე-სვანჯ-ი, მ ა - შ ვ ა ნ - დ ე - ბ ე ლ - ი <
მა-სვანჯებელ-ი, ვ ო - ს ვ ა ნ დ უ ა - ქ < ე-ო-სვანჯუ-ა-ქ²⁴
„მოვასვენე“, „დავისვენე“, „მოსასვენებელი“, „ვასვენებ“.

ც უ ნ დ - ი < ცუნჯ-ი (> სუნჯ-ი) „ცვარი“

წ ვ - ა ნ დ - ი < წვანჯ-ი (შდრ. მიც. წვან-ს, წვან-ც)

123. Н. Я. М а р р, К вопросу о ближайшем родстве армянского языка с аварским, записки Вост. Отдел. Импер. Русского Археологического общества, т. XIX, С.-Пб. 1909, გვ. 72.

124. И. К и п ш и д з е, Грамматика мингрельскаго... გვ. 368, 386, 392, 371, 378, 317.

„წვერი“. შდრ. ქართ. წვე-ერ-ი...

გ. რ ო გ ა ვ ა ს მიხედვით „ჯ-ს დეზაფრიკატიზაცია შეემჩნევა მხოლოდ ზანურში და ისიც განსაკუთრებით მეგრულ კილოში“.

მეგრულში ჯ მჟერი აფრიკატი გადადის დ ბგერაში მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როცა სიტყვის ძირი შეიცავს რომელსამე ყრუ აფრიკატს — ჩ, ჭ, ც, წ-ს ანდა ყრუ წინაენისმიერ სპირანტს — ს, შ: ადგილი აქვს დისიმილაციურ დეზაფრიკატიზაციას. მაგალითები:

ა) როცა ჯ აფიქსისეულია:

ზან. ჩხვინდ-ი < ჩხინდ-ი // ჩხინჯ-ი „ცხვირი“... შდრ. ქართ. ცხვირ-ი¹²⁵

მეგრ. ჭანდ-ი < ჭანჯ-ი „ბუზი“. შდრ. ჭან. ჭაჯ-ი,¹²⁶ ქართ. მწერი

მეგრ. ჭკუდ-ი < // ჭკუჯ-ი „ჭურჭელი“. შდრ. ქართ. ჭურ-ი (ვ. თ ო ფ უ რ ი ა).

მეგრ. წვანდ-ი < // წვანჯ-ი „წვერი“. შდრ. ქართ. წვე-ერ-ი...

ბ) როცა ჯ არააფიქსისეულია:

მეგრ. სინდა < // სინჯა „სიძე“

„ ჭაქვინდ-ი < // ჭა-ქვინჯ-ი — სოფელია ზუგდიდის რაიონში.¹²⁷

მეგრ. წენდისა < // წენჯისა. შდრ. ქართ. წალენჯისა¹²⁸ — დაბის სახელწოდება სამეგრელოში.¹²⁹

თუ წინა აფრიკატი ან სპირანტი მჟღერია, დეზაფრიკატიზაცია

125. გ. რ ო გ ა ვ ა ს, დისიმილაციური დეზაფრიკატიზაციის ერთი სახეობა ზანურში, თსუ შრომები, ტ. XXX, თბ., 1947, გვ. 351-355.

არის პირიქითაც: დ > ჯ — ხინჯ-ი < ხიდ-ი, მეგრ. ლორლონჯ-ი, ჭან. ლორლოჯ-ი < *ლორლოდ-ი (იხ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ ქართული... გვ. 185-186, 103).

126. Н. Я. М а р р, Грамматика чанского... გვ. 224. И. К и п ш и д з е, Грамматика мингрельского... გვ. 386.

127. ჭა = ქართ. ჭას + ქვინჯი „ფსკერი“. И. К и п ш и д з е, Грамматика... გვ. 387.

128. წალენჯისა < ჭან. ჭანის + ჯისა „ციხე“. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს განმარტებით კი წალენ = „ქვემოური“ + ჯისა „ციხე“. წენ-დისა > წენ-ჯისა.

129. გ. რ ო გ ა ვ ა ს, დისიმილაციური დეზაფრიკატიზაციის ერთი სახეობა... გვ. 352-355.

არ ხდება; შდრ. მეგრ. ჯინჯ-ი „ძირი“, ჯგუნჯგ-ი „სარი“...
ზოჯუ-ა „ბრძანება“.¹³⁰

დეზაფრიკატიზაცია არ ხდება „ყრუ აფრიკატის ან წინაენისმიერი
სპირანტის წინა“ პოზიციაშიც. შდრ. გვაქვს:

მეგრ. ჯაჭვ-ი და არა დაჭვ-ი,¹³¹ ჯარნუფა („მწარე“) და არა
დარნუფა,¹³² ჯაშქვინდა (მცენარეა) და არა დაშქვინდა.

მოცემული ანალიზიდან გარკვევით ჩანს, რომ აქ დეზაფრიკა-
ტიზაციის მიზეზია საპირისპიროდ წარმოდგენილი ბგერების დისი-
მილაცია სიყრუის მიხედვით.

ასევე იხსნება ის ორიოდე მაგალითი ამ მოვლენისა, რაც
ქართული ენის ქართლურ დიალექტში დადასტურდა:

ფ ა ს კ უ ნ დ მ ა < *ფასკუნჯმა: ეს ფ ა ს კ უ ნ-
დ მ ა დაინახა (ქდ 324,40). ფ ა ს კ უ ნ დ მ ა თქვა
(ქდ 324,40).

ფ ა შ კ უ ნ დ ს ა < *ფაშკუნჯსა: ახლა გაუგია ფ ა შ-
კ უ ნ დ ს ა (ქდ 324,37). ფ ა შ კ უ ნ დ ი (ქდ 642)

მაგრამ ამავე სახის დეზაფრიკატიზაციის ფაქტები დასტურდება
ს ვ ა ნ უ რ შ ი ც და ისინი წარმოდგენილ ახსნას არ
ექვემდებარებიან:

პ ა პ ლ ა ნ დ (ჩბხ) < პაპრპნჯ (ლხმ) — შოშის მსგავსი
ფრინველი

დოხთო (ჩბხ, ბზ, ბერ.) < ჯოხთე (ლხმ) „იმიის არ იყოს“.¹³³

დვრიმ (ჩბხ) < ჯვრიმ (ლხმ) — მიძიმე რამის დარტყმის ხმა

მ. ქ ა ლ დ ა ნ ი ამ მოვლენას თანხმოვანთა მონაცვლეობას
უნოდებს.¹³⁴

ჩუბეხეურ ერთ მაგალითში ხსენებული ავტორი, სავარაუდოა,
სწორად, დ'ს ჯ'საგან მიღებულად თვლის: ა დ ა ი დ < ა ჯ ა ი დ
// ა ჯ დ ა ი დ (ბერ.) „კვლავ“.¹³⁵

დაეუმატებდით: შესაძლებელია, აქ ჯ'ს დეზაფრიკატიზაცია

130. ი ქ ვ ე, გვ. 354.
131. გ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი ს ცნობით, დაჭვ-ი არის მეგრულის
სამურზაყანულ მეტყველებაში.
132. გ. რ ო გ ა ვ ა ს დასახ. შრომა, გვ. 354-355.
133. მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, სვანური ენის ლაზამულური კილოკავის...
გვ. 181-182.
134. იხ. ი ქ ვ ე.
135. მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, სვანური ენის ჩუბეხეური მეტყველების... გვ. 227.

უშუალო მეზობელ დ'სთან დისიმილაციით იყოს გამოწვეული: ადნიდ < *აჟდნიდ < აჯდნიდ > აჯნიდ, ხოლო რაც შეეხება სხვა მასალას, ის შესაძლებელია, შედეგი იყოს ჯ აფრიკატის დესპირანტიზაციისა.

აგრეთვე, უშუალო მეზობელ სონორ ნ'სთან (პაპლანჯ) და სპირანტი ვ'სთან (დვრიმ) სპირანტიზაციის მიხედვით დისიმილაციით შესაძლებელი იყო ჯ'საგან დ მიგველო, რაც შეეხება დ'ს მეორე მაგალითში (დობთო), ის, ალბათ, ჯ'საგან სპონტანური დეზაფრიკატიზაციითაა მიღებული.

§ 22. ჩ > შ

ფშვინვიერი ჩ აფრიკატის დეზაფრიკატიზაცია (სპირანტიზაცია) — ჩ > შ დამახასიათებელია ქართული ენის დიალექტებისათვის. გვაქვს ის ქართულურში:

შითილი < // ჩითილი; არჩივი > არშივი (ალი)...¹³⁶

თუშური:

შვიდმეტი < ჩვიდმეტი (ქდ 585): შვიდმეტი დღესაც სოფელში იბრუნავ ჯარმავ (ქდ 118,11). სუ შვიდმეტი ნყოფილიყვნეს შირაქს წასრულნ (ქდ 109,33).

მოხეური:

გააშქარე < გააჩქარე¹³⁷

ფშაური:

შვიდმეტი < ჩვიდმეტი: იქით წამოსულვარ შვიდმეტ-თვრამეტისა, ოცისა გავთხოვდი აქა.

არვიცი, შვიდმეტი თუ ოცი წელი მიუცავ ციმბირი.¹³⁸
ჯერ შვიდმეტ-თვრამეტის წლისა ვიყავ ბალღივა (ქდ

136. იბ. გრ. იმნაიშვილი, ქართულური... გვ. 156.

137. ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია... გვ. 263.

138. გიორგი ცოცანიძე, ფშაური დიალექტი... გვ. 212,12; 153,12.

ხევსურული:

შ ვ ი დ მ ე ტ ი < ჩვიდმეტი.¹³⁹

იმერული:

გ ა მ ო შ ტ ე ბ ო დ ა < (დისიმილაციით) გ ა მ ო შ თ ე ბ ო დ ა < (დეზაფრიკატიზაციით) გამოჩთებოდა < (პროგრ. ასიმილაციით) < *გამოჩდებოდა < (დაკარგვით) *გამოჩნდებოდა: ქუჩერი გ ა მ ო შ ტ ე ბ ო დ ა (ქდ 480,3). გ ა მ ო შ ტ ე ბ ა (იქვე, 669).

შ ტ ი ლ ი < (დისიმილაციით) შ თ ი ლ ი < (დეზაფრიკატიზაციით) ჩთილი < (პროგრ. ასიმილაციით) *ჩდილი < (დაკარგვით) ჩრდილი

ანალოგიურია: დ ა ა შ ტ ა < // დ ა ა შ თ ა < *დააჩთა < *დააჩდა < *დააჩნდა.¹⁴⁰

ლენხუმური:

შ თ ი ლ ი < // ჩ თ ი ლ ი < *ჩდილი < *ჩრდილი: ხილი იხილე და შ თ ი ლ ი ი შ თ ი ლ ე ო (ქდ 487,35).

რაჭული:

გ ა ა შ თ ა // გააჩთა < *გააჩდა < *გააჩნდა.

შ ო უ შ თ ა < // *შოუჩთა < *შეუჩდა (ქვემო რაჭული)¹⁴¹ < *შეუჩნდა.

აჭარული:

კამბეში < კამბეჩი: კ ა მ ბ ე შ ი ს ტყავს რას უშველის... (ნოლ, III, 3).

შეიძლება კ ა მ ბ ე შ ე ბ ი ს შებმაც (ქდ 410,5).

139. ალ. ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი, ხევსურულის თავისებურებანი... გვ. 59.

140 ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია... გვ. 455.

141. ი ქ ვ ე, გვ. 410.

მეგრული:

კ ა მ ბ ე შ-ი < კამბეჩი-ი: კ ა მ ბ ე შ ე ფ ი ბრელი ცუნა თეკართის „კამბეჩები ბევრი ჰყავთ თეკლათში“. კ ა მ ბ ე შ ი ს ტყებამს ონჯლორე მუთუნისა ვაუჩქუ „კ ა მ ბ ე ჩ ი ს ტყავიანს არაფრისა რცხვენია“.

შ ხ უ რ-ი < *ჩხურ-ი. შდრ. ჭან. ჩხურ-ი (// მ-ჩხურ-ი > // მ-შქურ-ი...), ქართ. ცხვარ-ი¹⁴²

ჭანური:

შ ქ ი მ - ი (// > შკიმი ათინ.) < *ჩქიმი „ჩემი“. შდრ. მეგრ. ჩქიმი „ჩემი“. ჭან. ნანა — შ ქ ი მ ი „დედაჩემი“. ჯუმა-შქიმი „ძმა ჩემი“

შ ქ უ < *ჩქუ „ჩვენ“. შდრ. მეგრ. ჩქი, ქართ. ჩვენ

შ ქ უ ნ ი < *ჩქუნი „ჩვენი“. შდრ. მეგრ. ჩქინ-ი, ქართ. ჩვენ-ი

მ ი - შ ქ უ - ნ (ათინ.) < *მი-ჩქუ-ნ „ვიცი“. შდრ. მეგრ. მი-ჩქუ. ქართ. ვი-ც-ი.

შ ქ ვ - < // ჩქვ-. შდრ. მეგრ. ჩქვ-, ქართ. ციქვ-, სვან. ციქჷ „გზავნა“¹⁴³

შ ხ ო მ - ი (არქაბ.) < *ჩხომ-ი „თევზი“. შდრ. მეგრ. ჩხომი „თევზი“¹⁴⁴

მ - შ ქ - უ რ ი < // მ-ჩხ-ურ-ი (> მ-ჩხ-უ-ი), ჩხურ-ი „ცხვარი“. შდრ. მეგრ. შხ-ურ-ი < *ჩხ-ურ-ი, ქართ. ცხვარ-ი¹⁴⁵

ხაშქუმან (ყიფ. I, 74,10) < ხაჩქუმან „თესენ“ („თოხნიან“); ხაშ-კამ-ს¹⁴⁶ < *ხაჩკამ-ს „თოხნის“. შდრ. მეგრ. ხაჩქუნ-ს „თოხნის“.

სვანური:

მ ი - შ გ უ ი < *მიჩგუი. („ჩემი“). შდრ. ქართ. ჩემ-ი, მეგრ. ჩქი-მი // ჩქემი, ჭან. ჩქი-მი > // შქი-მი (ჩიქ., შედ. ლექს. 223)

ჭ ა შ < *კ ა ჩ „ქმარი“ (ნ. მარი). შდრ. მეგრ.-ჭან. კოჩ-ი, ქართ.

142. იხ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული... გვ. 80.

143. Н. Марр, Грамматика чанского... გვ. 29,35,62. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული... გვ. 222-223. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 379.

144. ნ. მ ა რ ი ს დასახ. ნაშრომი, გვ. 213.

145. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

146. ნ. მ ა რ ი ს დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

„კაცი“¹⁴⁷

კ ა მ ბ შ ა რ < * კ ა მ ბ რ ა რ „კამეჩები“. შდრ. ეშდიჰორუ უღვა
კ ა მ ბ შ ა რ (ბზ. 90,21)¹⁴⁸

შ ი შ ლ ა გ (ბზ.) < * ჩ ი რ ლ ა გ. შდრ. ქართ. ჩიჩილაკი.
ღ ი - რ შ ი < * ლირჩი. შდრ. მეგრ. რჩ-აფ-ა, ქართ. რეც-ვა

ხ ო - შ - ა < * ხო-ჩ-ა „ხუცესი“, „უფროსი“ (ნ. მარი, ა. შანიძე).
შდრ. მეგრ. უ-ჩ-აშ-ი, ქართ. ხუ-ც-ეს-ი

ღ ი - შ ნ - ე < * ლი-ჩნ-ე — ხილის მოსხმა. შდრ. მეგრ. ჩან-აფ-ა,
ქართ. აღმო-ცენ-ებ-ა

ღ ვ ა შ - < * ღვაჩ „ვაცი“. შდრ. მეგრ. ოჩ-ი, ქართ. ვაცი-ი.

ღ ი - შ ხ - ი < * ლი-ჩხ-ი „ნვა“. შდრ. მეგრ. და-ჩხ-ირ-ი, ქართ.
ცე-ცხ-ლ-ი¹⁴⁹

ჭ ი შ ხ < * ჭიჩხ < * კიჩხ „ფეხი“. შდრ. მეგრ. კუჩხ-ი, ჭან.
კუჩხ-ე, ქართ. კვარცხ(ლბეკი)¹⁵⁰

ღ ი შ ხ ბ ი < * ლიჩხბი „კერვა“. შდრ. ქართ. ჩხიბვა „ხლართვა“
აქ ჩ'ს სპირანტიზაცია ხშულებისა და სონორების წინ და
მომდევნოდ, ასევე ხ სპირანტის წინ გამონვეული ჩანს აღნიშნუ-

147. გ. როგავა, ქართველურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის... გვ. 46-47.

148. ს. ჟღენტი ს. აზრით, სვანურში ეს სიტყვა ქართულიდანაა შესული (...სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბ., 1947, გვ. 181), რაც არ ჩანს სწორი: ის მეგრ. კ ა მ ბ შ - ი 'ს ვარიანტია: შდრ. ფუძე: მეგრ. კამბეშ- და სვან. კ ა მ ბ შ - . ამ უკანასკნელში მრავლობითობის — შრ სუფიქსის გავლენით რედუცირებულია ა ხმოვანი.

149. ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვანარმოებიდან, III, თსუ შრომები, XV, თბ., 1940, გვ. 48-50. ს. ჟღენტი, სვანური ენის ფონეტიკის... გვ. 181. ტ. გუდავა, რეგრესული დეზაფრიკატიზაციის ერთი შემთხვევა... გვ. 497-499. შდრ. Н. Я. М а р р, Тубал-кайнский вклад... გვ. 1094.

150. არნ. ჩიქოვავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული... გვ. 154.

უკანასკნელი ორი მაგალითის შესახებ ს. ჟღენტი ამბობს: „ამ მაგალითების მიხედვით, ნათლად ჩანს, რომ ქართველურ ენათა კ სვანურში პალატალიზაციის საფუძველზე წარმოდგენილია ჭ-დ. ანალოგიური ვითარება დასტურდება ჭანურის ათინურ კილოკავში: ე და ი ხმოვნის წინ კ ქვეულია ჭ-დ“ (ს. ჟღენტი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა... გვ. 426).

„კ-ს პალატალიზაციის საფუძველზე მოუცია ჭ, მაგ.: ნახოკი // ნახოკი „ღანვის ნაგლეჯი“ (საბა), კაკლეა // კაჭლეა (ვ. ბერ.).

იგივე გვაქვს გურულშიც: დაკაჭლული — დაკაკლული... (იხ. იქვე. დამატ. მ. ქალდანი, სვანური ენის ლაზამულური კილოკავის... გვ. 159). ნ. მარს კი სიტყვებში: ჭამ („კაცი“), ჭიშხ („ფეხი“) ის აფრიკატიზაციით მიაჩნდა კ'საგან მიღებულად (Тубал-кайнский вклад... გვ. 1093-1094).

ლი თანხმობების ხშულობასთან თუ ხშულობის ელემენტთან დისიმილაციით, სხვა შემთხვევებში კის სპონტანური ცვლილების შედეგია.

ამგვარად, აღმოჩნდა, რომ გარემოცვის მიხედვით,

I. ჩ'ს სპირანტიზაციას (ჩ > შ) ქართულში ადგილი აქვს ხშულების: თ, ტ, ძ'ს წინ და რ'ს შემდეგ, ვ'სა და ხმოვნის წინ და ხმოვნებს შორის.

II. მეგრულ - ქანურში ის გვაქვს ხშულების: ქ, კ'სა და ხ სპირანტის წინ, ასევე, ხმოვნებს შორის.

III. სვანურში კის დასტურდება სონორების: ნ, ლ'სა და ხ სპირანტის წინ, ბ, რ'ს მომდევნოდ, ხმოვნის წინ — ანლაუტში, ხმოვნის შემდეგ — აუსლაუტში და ხმოვნებს შორის — ინლაუტში.

ს. ულენტიმა 1953 წელს გაარკვია, რომ ქანურის ათინურ კილოკავში რეგრესული დისიმილაციით ხშულთა ჩქ კომპლექსი შქ კომპლექსში გადადის, ხოლო შემდეგ სპორადულად პროგრესული დისიმილაციით შქ'ს იძლევა: შკუნი < // შქუნი < *ჩქუნი „ჩვენი“.¹⁵¹ შდრ. ვინურ-არქაბ. და ხოფური *ჩქუნი, მეგრ. ჩქინი // ჩქენ-ი, ქართ. ჩვენ-ი.

ქომოაონუ დო შქუნ ი ჩეთეფე გერი (გქერი) გოიქთეს (გოაქთეს. ყიფ. 73,25).

შქუ (შკუ) დოლოხე დოფსქუდით (ყიფ. I, 73,30).

შქუ მუთუ ვარ მოლოდეს (იქვე).

ნანა შქიმი (ჩიქ. II, 100,24) „დედა ჩემი“. ოხოი შქიმი იჭვენ-დეი (ჩიქ. II, 88,10) „ჩემი სახლი იწვისო“. მალი შქიმი, კონალეფე შქიმი, ფარა შქიმი (ყიფ. I, 72,18) „ჯოგი ჩემი, ყონალები ჩემი, ფული ჩემი“. სი შქიმი ორე, შქიმი (მარი, 112,6) „შენ ჩემი ხარ, ჩემი!“

მი-შკუ-ნ (არნ. ჩიქობავა) < // მი-შქუ-ნ < *მი-ჩქუ-ნ „ვიცი“. შდრ. ვინ.-არქ. ხოფ. უჩქინ, მეგრ. მიჩქუ(ნ) „ვიცი“, ქართ. უჩა(ნ).

მარ ჰერმაი ქომიშქუნ, ჰამმა ვორსი ვამიშ-

¹⁵¹ ს. ულენტი, ქანურ-მეგრული ფონეტიკა... გვ. 136.

ქ უ ნ! ნიკო-თი მ ი შ ქ უ ნ, გინვარე (ჩიქ. II, 95,11-12).

ფადიშაჲს ვ ა რ უ შ ქ უ ნ, დერემენჯის არ ქარმატე ულუნ (ჩიქ. II, 98,10) „ხელმწიფემ არ იცის, რომ მენისქვილეს ერთი ნისქვილი აქვს“. მა ჰეშო მ ი რ ქ უ ნ მუ პა?! (ჩიქ. II, 114,14)“.

მა ვ ა მ ი შ კ უ (მარი, 137,32) „მე არ ვიცი“. შ კ ი მ ი ქ უ შ კ უ ნ ა (მარი, 137,32) „ჩემი იციან“.

ხ ა შ ქ უ მ ა ნ < *ხაჩქუმან „თესენ“. შდრ. მეგრ. ხანჩქუნა „თოხნიან“.

ლაზუტი ხ ა შ ქ უ მ ა ნ, ბრინძითი ხ ა შ ქ უ მ ა ნ, ლობათი ხ ა შ ქ უ მ ა ნ (ყიფ. I, 74,9-10) „სიმინდს თესენ, ბრინჯსაც თესენ, ლობიოსაც თესენ“.

მ ე ნ დ ო შ ქ უ < *მენდოჩქუ „გაგზავნა“. შდრ. მეგრ. მიდაჩქუ „გაგზავნა“.

ხაფისეფე ვალიქ ქოგამიჲონუ დო მუხარებეშა მ ე ნ დ ო შ ქ უ (ყიფ. I, 73,21-22).

ჭან. ლ ე შ ქ ი < *ლეჩქი < *ლეჩქვი „ბაგე“. შდრ. მეგრ. ლეჩქვი „ბაგე“.¹⁵²

ამავე ავტორის გამოკვლევის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ ჭანურ-მეგრული ჩ'ც სვანურში წარმოდგენილია შ'ს სახით (ჩ > შ).¹⁵³

მოვლენათა ახსნა ორსავე შემთხვევაში ჩვენ, რა თქმა უნდა, მართებულად მიგვაჩნია, ოღონდ ჭანურის ათინურ კილოკავზე ნათქვამს, ვფიქრობთ, უნდა დაემატოს შემდეგი:

იშვითად, მაგრამ მაინც ჩქ და შქ კომპლექსები პარალელურად არსებობენ; მაგალითად, გვაქვს: ჩქუ < // შქუ (ჩქუნ > // შქუნ) ვორეთ „ჩვენ(ც) ვართ“.

ჩქიმი > // შქიმი: ე, ბაბა შ ქ ი მ ი, იშთე და ჩ ქ ი მ ი დოპილი: „ე, ჩემი მამა და ასევე ჩემი და მოვკალი“... მაგრამ, ჩვე-ულეებრივ, ჩქ გადადის შქ'ში. მიზეზიც სწორადაა მიკვლეული: ჩქ კომპლექსის ჩ აფრიკატის დეზაფრიკატიზაცია, ანუ სპირანტიზაცია ჩქ ხშულთა დისიმილაციის შედეგია. ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ქ'ს ადგილას ზოგჯერ მკვეთრი კ ხშული

152. ს. ჟ ლ ე ნ ტ ი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა... გვ. 136-137.

153. ს. ჟ ლ ე ნ ტ ი, ქართული ენის ფონეტიკა... გვ. 100.

გამოდის და ჩ'ს დეზაფრიკატიზაცია მაინც ფაქტია: ხ ა შ -
კ ა მ - ს < *ხ ა ჩ ქ ა მ ს („თონის“).¹⁵⁴ შდრ. მეგრ. ხაჩქუნ-ს
„თონის“.¹⁵⁵

შ კ ი მ - ი < // შქიმი < *ჩქიმი „ჩემი“: ბელქი კინჩეფე
შ კ ი მ ი ქუშქუნან.¹⁵⁶

ჯუმა შ კ ი მ ი შ ი ბერე.¹⁵⁷

მადემ იშო ყონ დიდი ჯუმა შ კ ი მ ი შ ა ც ა. მენდაფთა!¹⁵⁸
უ-შქ-უნ < // უ-შქ-უნ < *უ-ჩქ-უნ. შდრ. ვინ. (-) არქ; ხოფ.
უ-ჩქ-ი-ნ, მეგრ. უ-ჩქ-უ(ნ) „იციის“, ქართ. უ-ჩ-ა(ნ)-ს. ათინ. —
გიშქუნ-ი? — მა ვ ა მ ი შ კ უ „— იცი? — მე არ ვიცი“¹⁵⁹
მითის ვარ უ შ ქ უ ნ (ყიფ. 92,7) „არავინ იცის“.¹⁶⁰

ი. ქ ო ბ ა ლ ა ვ ა ათინურში ჩქ კომპლექსის გარდა ჩხ
კომპლექსის ჩ'ს სპირანტიზაციაზეც მიუთითებს. ის წერს: „ჭანუ-
რის ათინურ კილოკავში ვერ ძლებს ჩქ, ჩხ კომპლექსები და
გადადის შქ, შხ-ში“-ო და უთითებს ერთ მაგალითზე: ჩხომი >
შხომი¹⁶¹ (ხაზი ჩვენია. ა. ლ.).

რა თქმა უნდა, ჩხ კომპლექსს აქ აქვს შესაძლებლობა გადავი-
დეს შხ'ში,¹⁶² მაგრამ ჩვენი გამოკვლევით, მსგავსი მაგალითები
იშვიათად თუ შეინიშნება ათინურში: არის:

უ კ ა შ ხ ე < // უკაჩხე: უ კ ა შ ხ ე ქოგიცონუ, ფუჯი ზადე
ოძლუ (ჩიქ. II, 127,32).

ნანა შქიმი გომაუ, უ კ ა შ ხ ე მოვთარე! (იქვე, 127,38).¹⁶³
მ-შქ-ურ-ი < მ-ჩხ-ურ-ი „ცხვარი“¹⁶⁴

154. Н. М а р р, Грамматика чанского... გვ. 62.

155. არის ისეთი შემთხვევა, როცა კომპლექსში ქ'ს ენაცვლება სპირანტი
ხ, მაგრამ ჩ'ს სპირანტიზაცია არ ხდება: მუნჩქი > // მუნჩხი (იხ. არნ. ჩიქობავა,
ჭანურ-მეგრულ-ქართული... გვ. 90). შდრ. მეგრ. მუნჩქეი, ქართ. მაჩე-ი.¹⁵⁶ არნ.
ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი... გვ. 137, 26-27.

157. ი ქ ვ ე, გვ. 110, 30.

158. ი ქ ვ ე, გვ. 137, 29.

159. ი ქ ვ ე, გვ. 137, 30-31.

160. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი...
გვ. 378-379.

161. ი. ქ ო ბ ა ლ ა ვ ა, აფრიკატიზაციისა და... გვ. 85.

162. თ. უ თ უ რ გ ა ო ძ ე, ქართული ენის ფონემატიური... გვ. 124.

163. NB: წარმონათქმია ათინელისა, მაგრამ ერთი და იმავე პირისა!

164. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი... გვ. 113,17; ჭანურ-
მეგრულ-ქართული... გვ. 80.

მაგრამ ეს არაა ჩვეულებრივი მოვლენა. ამაზე მეტყველებს არნ. ჩიქობავას და ი. ყიფშიძის ათინური ტექსტები, სადაც ჩხ კომპლექსი თითქმის ყველგან უცვლელია:

ჩხომი „თევზი“ (117,2-3). ჩხომი ქოზირუ „თევზი ნახა“ (116,30-32). ჩხომი სოილი? „თევზი სად წაიღე?“ (117,3). ჩხომი ქომეფჩი „თევზი მივეცი“ (117,12). ჩხომეფე ქომუნე „თევზები მოუყვანე“ (116,30-31). ჩხომეფე დო-კორობუ „თევზები აკრიფა“ (116,31-32). ჩხომი ში ოლარაშე ბიგა ონ (ყიფ. 89,25). ჩხომის ვულარმათ (ყიფ. 89,26). ჩხომი ოფჭოფუმთ (ყიფ. 89,26-27).

ჩხ კომპლექსიანი სხვა მაგალითებიც ბევრია:

ვო-ჩხუნ-ამ „ვათობო“. ვ-ი-ნ-ჩხუნ-ამ „მცხელა“ (ნ. მარი. ის. ჩიქ., შედ. ლექს. 381)...

ბიზეფენიში დონ-ჩხუნ-ეს (ყიფ. 84,7; 84,23)“.

მჩხვაფა რტუ: „ციებ-ცხელება იყო“ (ჩიქ. II, 111,12).

ჩხინდი „ცხვირი“: ჰამ ჩხინდი ონ „ეს ცხვირი არის“ (ჩიქ. II, 112,20). ჩხინდი ში „ცხვირის“ (ჩიქ. II, 106,31)

კუჩხე „ფეხი“ (ჩიქ. II, 103,2; 104,22): კუჩხე ში კითი მჩხუნ ონ „ფეხის თითი მსხვილი არის“ (ჩიქ., II, 112,28).

[ლაზუტის] კალათითე ქოჯილამან დო დონჩხვარუნ-მან (ყიფ. 75,23-24).

მანგანათე ლაზუტი, პრინი, მდიკა, არფა, ქურმი ინჩხვარენ (ყიფ. 89,23) „ნამგლით სიმინდი, ბრინჯი... იფშენება („იცეხვება“)“.

ჩხორო „ცხრა“ (ჩიქ. II, 108,29; 107,30; 138,30). ვიტო-ჩხორო „ცხრამეტი“ (ჩიქ. II, 108,30-31). ვიტეჩხოვრო „ცხრამეტი“ (ჩიქ. II, 109,12). ვითოჩხორო „ცხრამეტი“ (ჩიქ. II, 138,32). ჩხორონერი „ცხრანაირი“ (ჩიქ. II, 109,3-4).

დაჩხური „ცეცხლი“ (ჩიქ. II, 113,28). დაჩხური ოგზუნუ: „ცეცხლი დაანთო“ (იქვე, 119,6). დაჩხური შე „ცეცხლისგან“ (იქვე, 119,8). დაჩხური ში „ცეცხლის“ (იქვე, 119,6). დაჩხური ში მანინე ლეტა დომთხორი (იქვე, 103,27-28)... დაჩხურის გესტა ქომეთუმან (ყიფ. 75,24-25).

ართაკალითე დაჩხური ქეობლამან (ყიფ. 75,28).

დაჩხური ჩი[რ]პიტი (ქირპიტი) ვარ ულუტეს, დაჩხური ოგზასერტუ (ყიფ. 77,35).

კლინჩხი მუში ეზდამან: ჭუმანიშე დაჩხური ოგზაფუს კოლა იენ (აენ) (ყიფ. 85,8).

ბჯა ქობოხთიმანთ, უკაჩხე ჭუკალითე დაჩხური ქომებობამთ, უკაჩხე ტუცა იას-ი (ჩიქ. II, 113,28-29). უკაჩხე სერი დიფთუ (ყიფ. 76,7-8).

უკაჩხელე კალათის ქომეშკახუნეს, ქომუთვეს დო ეფუზდეს (ყიფ. 76,7).

გვხვდება პირიქითა შემთხვევაც, როცა შხ „კომპლექსი“ გადადის ჩხში:

ობიშხა > // ობიჩხა: ობიშხა (ობიჩხა) ნანა იტყუა (ჩიქ. II, 107,18) „ობიშხა“-ს („ობიჩხა“-ს) დედა ამბობს“ (იხ. ზემოთ, შ > ჩ)...

ამგვარი ფაქტების გათვალისწინების შემდეგ, არა გვგონია, შესაძლებელი იყოს ითქვას: ჩხ კომპლექსი ათინურში „ვერ ძლებსო“.

ასე და ამგვარად, ათინურში ჩხ კომპლექსისეული ჩ აფრიკატის სპირანტიზაცია მეტად იშვიათია.

რით უნდა აიხსნას მაინც ეს იშვიათი ჩხ > შხ მოვლენა აქ? უთუოდ, იმით, რომ ხ სპირანტს ახასიათებს ხშვის ელემენტი. ამგვარად, აქაც ჩ ხშული დისიმილაციის ნიადაგზე იძლევა შ სპირანტს. სხვანაირად: ჩ'ს სპირანტიზაცია ამ შემთხვევაშიც ხორციელდება მომდევნო თანხმოვანთან გარკვეული სახის დისიმილაციით.

§ 23. ჭ > შ

ჩვენ ზემოთ, წინააღმდეგ სამეცნიერო ლიტერატურაში წამოყენებული დებულებისა, რომ ქართულსა და ქართველურ ენებში მკვეთრი აფრიკატების სპირანტიზაცია არ

ხდებაო, ვუჩვენეთ, რომ სვანურში საკმაოდ ხშირია წ > ს'სა და
ჭ > შ'ს ფაქტები: ზისყ („რწყილი“) < *ზინყ... მუჰკად („მჭედელი“)
< *მუ-ჭკად... დაგვრჩენია, აღვნიშნოთ, რომ მკვეთრი ჭ
აფრიკატის სპირანტიზაციის ფაქტები ჭანურში ადრე იყო
ფიქსირებული. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა მ ჯერ კიდევ 1936 წელს
უჩვენა, რომ ჭანურის ა თ ი ნ უ რ კილოკავში ჭ აფრიკატი შ
სპირანტის სახითაა წარმოდგენილი. ის წერდა:

„ათინურში... უბრალო მკვეთრებისა და მკვეთრი აფრიკატი-
ბის შემდეგ კ-ც ვერ ძლებს და უკვალოდ იკარგება; ამ კომპლექ-
სებში კ ათინურმა შეიძლება შეინარჩუნოს მხოლოდ იმ შემთხვე-
ვაში, თუ წინა მკვეთრ აფრიკატს სპირანტი შეცვლის“.¹⁶⁵

ათინ. ლ ე მ შ კ ვ ა < ლემჭკვა (ვინ. - არქ.) „ნერწყვი“. შდრ.
მეგრ. ლერწყვა „ნერწყვი“

ათინ. ფ შ კ ო მ ი („ვჭამე“) < // *ბჭკომ-ი. შდრ. მეგრ.
ვ-ჭკომ-ი „ვჭამე“.¹⁶⁶

ო შ კ ო მ ე ს'შ-კულე ცირსი იგზალესუ: „ჭამის შემდეგ ისინი
წავიდნენ“.¹⁶⁷ მუთი გიგორუნ... მუ-თი გინობ ო შ კ ო მ ა ლ ე
ქონუ.¹⁶⁸ გურიქ მუ-თი გიგორამს ო შ კ ო მ ა ლ ე.¹⁶⁹ ო შ კ ო -
მ ა ლ ე ვარ დომისქედესდორტუ (ყიფ. 73,32) „საჭმელი არ
დაგვრჩა“. ა-მციქა ჩენდიქ ო შ კ ო მ უ (ყიფ. 79,14).

შენიშვნა: იშვითად, მაგრამ მაინც, შკ კომპლექსი პროგრესული
ასიმილაციით შქ'შია გადასული: ოშკომ-ი > ოშქომ-ი —
ხვალა ო შ ქ ო მ ი (ჩიქ. II, 119,15) „მარტო შეჭამე“.

შკორ — < ჭკორ- // ჭკირ- „ჭრა“ („მკა“, „დაკვლა“). შდრ.
მეგრ. ჭკირ-, ქართ. ჭარ- // ჭერ-.

მციქა დ ო შ კ ო რ ი თუთუნი (II, 103,35) „ცოტა დაჭერი
თამბაქო“. დ ო შ კ ო რ ი, დ ო შ კ ო რ ი (II, 108,8) „დაჭერი,
დაჭერი“. ხამითე მ ე შ კ ო რ უ თოჭი (II, 99,22) „დანით
გადაჭრა („მოჭრა“) თოკი“...¹⁷⁰ ქ ო გ ა ო - შ კ ო რ ე ს

165. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი... გვ. 17.

166. ჭანურის მაგალითებიც ის. ი ქ ვ ე.

167. ი ქ ვ ე, გვ. 119,18.

168. ი ქ ვ ე, გვ. 99,8.

169. ი ქ ვ ე, გვ. 99,8-9.

170. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული... გვ. 417.

„დაჭრეს“...¹⁷¹

ავტორი განმარტავს: „შკორ- ათინურია; ჭკორ- ვინურ- არქაბული; ჭკირ- ხოფურს ახასიათებს; მიღებულია ჭკორ- ისაგან; მეგრ. ჭკირ- მისდევს ხოფურს...“¹⁷²

შემდეგ, როგორც ზემოთ ითქვა, გ. რ. ო. გ. ა. ვ. ა. მ. მიაკვლია იმას, რომ ს. ვ. ა. ნ. უ. რ. შ. ი. მკვეთრი ხშულების: კ, და ყ'ს მეზობლად მყოფი ჭ აფრიკატი სპირანტიზაციით გადასულია შ'ში: სვან. მკ-შკად („მჭედელი“) < *მკ-ჭკად: სვან. შყაჟუ („მწყერი“) < *ჭყაჟუ < *ჭყაჯუ.¹⁷³

ვ. თ. ო. ფ. უ. რ. ი. ა. მ. ამ მასალას დაუმატა:

სვან. მკ-რ-შკ („ჭიანჭველა“) < *მკ-რ-ჭკ. შდრ. ჭან. დუ-მ-ჭუ „ჭიანჭველა“

სვან. ნა-შყვ („ფურთხი“) < *ნა-ჭყვ. შდრ. მეგრ. ლერ-ჭყვა „ნერწყვი“

სვან. შყედ-ნი („ვარდება“) < *ჭყედნი. შდრ. მეგრ. ჭყორდ-უა „განყდომა“¹⁷⁴ („ხდება ამონყვეტა“).

ამავე ავტორის აზრით, საფიქრებელია, აგრეთვე, ჭ'ს სპირანტიზაციასთან გვექონდეს საქმე შემდეგ მაგალითშიც:

სვან. ხ-ნეჭდნ-ი < *ხ-ნეჭდნ-ი. შდრ. მეგრ. ო-ჭყორ-დ-უ „ავინყდება“.¹⁷⁵

ამგვარად, ცხადი გახდა, რომ ჭანურის ათინურ კილოკავსა და სვანურში მკვეთრი ჭ აფრიკატის სპირანტიზაციით შ მიიღება იმავე პოზიციაში, როგორშიც მკვეთრი ნ აფრიკატისაგან -ს. ერთიც და მეორეც გარემოცვით განსაზღვრული ბუნებრივი ფონეტიკური პროცესია.

ჭ'ს სპირანტიზაცია (ჭ > შ) ქართველურ ენებში არაა ხშირი. ის ქართულში გვაქვს ტ (< დ) ხშულის წინ: გაფუშდა < გაფუჭტა < გაფუჭტა; დაბეშტა < დაბეჭტა < დაბეჭტა,¹⁷⁶ ჭანურში — კ

171. არნ. ჩ. ი. ქ. ო. ბ. ა. ვ. ა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი... გვ. 17.

172. არნ. ჩ. ი. ქ. ო. ბ. ა. ვ. ა, ჭან.-მეგრ.-ქართული შედ. ლექსიკონი... გვ. 417.

173. გ. რ. ო. გ. ა. ვ. ა, ქართველურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი... გვ. 47.

174. ვ. თ. ო. ფ. უ. რ. ი. ა. მ, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი... გვ. 154.

175. ი. ქ. ვ. ე, გვ. 155.

176. ი. მ. ე. ლ. ი. ქ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი, დისიმილაციური დეზაფრიკატიზაცია... გვ. 37.

ხშულის წინ, სვანურში კი კ, ყ და დ'ხშულების წინ. ამ ფაქტებიდან გარკვევით ჩანს, რომ ჭ'ს სპირანტიზაციის მიზეზი მომდევნო თანხმოვანთან ხშულობის მიხედვით დისიმილაციაა და არაფერი სხვა.

მკვეთრი აფრიკატების: წ და ჭ'ს სპირანტიზაციაზე აქ თქმულს დავუმატებთ იმასაც, რომ აფრიკატთა სპირანტიზაცია ქართველური ენებისათვის, საერთოდ, დამახასიათებელი მოვლენაა (ი. ქობალავა). ძ > ზ დასტურდება ქართული ენის თითქმის ყველა დიალექტში: ქართლურში, მესხურში, ჯავახურში, კახურში, ინგილოურში, თუშურში, ხევსურულში, ფშაურში, მოხეურში, მთიულურ-გუდამაყრულში, რაჭულში, ლეჩხუმურში, იმერულში, გურულში, იმერხეულსა და აჭარულში, ასევე, ძვ. ქართულში, მეგრულ-ჭანურ ენასა და სვანურში.

ც > ს დასტურდება მოხეურში, ლეჩხუმურში, აჭარულში, სალიტერატურო ქართულში, ჭანურსა და სვანურში.

ჯ > ყ გვაქვს ქართული ენის ქართლურ, ჯავახურ, ინგილოურ, ფშაურ, იმერულ, ლეჩხუმურ, გურულ, აჭარულ დიალექტებში, ხოლო ჩ > შ — ქართლურ, თუშურ, მოხეურ, ფშაურ, იმერულ, ლეჩხუმურ, რაჭულ, აჭარულ დიალექტებსა და მეგრულ-ჭანურ ენაში. ერთგვარობა ფაქტია.

ამის შემდეგ ბუნებრივია, თუ სვანურში აფრიკატთა სპირანტიზაციის ტენდენცია საერთოდ, და, კერძოდ, შიშინებისა, ჩაითვალოს წმინდა ქართველურ ენობრივ მოვლენად და არა აფხაზურ-ადიღურ ენათა გავლენის შედეგად. ასეთი გავლენა მოსალოდნელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სვანები ერთ-ერთ ადიღურ ენაზე თუ დიალექტზე იმეტყველებდნენ (შდრ. ინგილოური და სხვ.). ეს ხომ დაუმტკიცებელი რამაა!

ს. ყ ლ ე ნ ტ ი ქართული აფრიკატებისა და მათი შემადგენელი კომპონენტების გრაფიკული მეთოდით შესწავლამ მიიყვანა იქამდე, რომ აღენიშნა:

„მართალია, აფრიკატის შემადგენელი კომპონენტებია ხშული და სპირანტი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება აფრიკატი განხილულ იქნეს, როგორც მექანიკური

შეერთება ხშირი და სპირანტი თანხმოვნებისა. ყოველი აფრიკატის დაწყება სკდომის მოუხდენლად უშუალოდ გადადის ნაპრალისებურ დაბოლოებაში. ეს არ ითქმის ლარინგალიზებული მკვეთრი აფრიკატების (წ, ჭ-ს) შესახებ, რომელთა ნაპრალისებური დაბოლოება თავდება ყელხშვით... ალბათ, ამიტომ არის, რომ ქართულში და, საერთოდ, ქართველურ ენებში მკვეთრ აფრიკატთა სპირანტიზაცია არ ხდება".¹⁷⁷

აქედან გამომდინარე ლოგიკურია ითქვას: ხსენებული აფრიკატების სპირანტიზაციის ფაქტები, რაც ზემოთ დადასტურდა, შედეგია მათი არტიკულაციის პროცესში აღნიშნული ყელხშვის შესუსტებისა, რაც სრულიად არ იყო და არ არის შეუძლებელი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი:

1. ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ-ს დეზაფრიკატიზაცია, კერძოდ სპირანტიზაცია დამახასიათებელია ქართული ენის ყველა დიალექტისათვის, სულერთია, ის აღმოსავლურია, თუ დასავლური, ამავე დროს, ის ახასიათებს მეგრულ-ჭანურსა და სვანურსაც, ე.ი. ხსენებული ფონეტიკური პროცესი დამახასიათებელია ყველა ქართველური ენისათვის.

2. აფრიკატების სპირანტიზაცია აქ გენეტიკურად ორი სახისაა: დისიმილაციური და სპონტანური. ისინი დისიმილაციას განიცდიან ხშირი თანხმოვნების: დ, თ, ტ, ბ, გ-ს, სონორების: მ, ნ, ლ, რ-ს და სპირანტების: ღ, ხ თანხმოვნების წინ და მომდევნოდ, უშუალო კონტაქტური ურთიერთობის დროს. ე.ი. დისიმილაცია ხდება ყველა იმ თანხმოვანთან, რომელსაც ახასიათებს ხშულობა (მართალია, ხ და ღ სპირანტიზაცია, მაგრამ ხშულობის ელემენტი მცირედი დოზით მათ არტიკულაციასაც ახასიათებს (იხ. ზემოთ).

დეზაფრიკატიზაცია (სპირანტიზაცია) ხდება დისიმილაციით ხშულობის მიხედვით.

სპონტანური დეზაფრიკატიზაცია ძირითადად ხდება ხმოვანთა წინ, მომდევნოდ და ხმოვანთა შორის.

177. იხ. მისი „ქართული აფრიკატების შედგენილობა ექსპერიმენტული მონაცემებით“, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. VI, №2, თბ., 1945.

3. დეზაფრიკატიზაცია, ამგვარად, შეიძლება მოხდეს იმავე პოზიციაში, სადაც ხდება აფრიკატიზაცია. ამ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ მოვლენის ხასიათს (რაგვარობას) განსაზღვრავს დროის ფაქტორი.

4. დეზაფრიკატიზაციის მეორე სახეობა — დესპირანტიზაცია შედარებით იშვიათი მოვლენაა; სულ შეინიშნება სამი სახისა: ც > თ, ნ > ტ, ჯ > დ და პირველი გვხვდება ქართულში, ზემოიმიერულსა და სვანურში (ლახამულურში), მეორე — მხოლოდ დასავლურ დიალექტებში, მესამე — ქართულ დიალექტში, მეგრულსა და სვანურში. მას იწვევს სპირანტებთან (ს, შ, ხ, ვ), ან სპირანტული ელემენტის მქონე აფრიკატებთან (ჩ, ქ, ც, წ) და სონორებთან (მ, ნ, ლ) დისიმილაცია. ის ზოგჯერ კონტაქტურია, ზოგჯერ — დისტანციური, არის რეგრესულიც და პროგრესულიც.

რაც შეეხება აფრიკატის დესპირანტიზაციას ხმოვნებს შორის, ის სპონტანური ხასიათისა ჩანს. დეზაფრიკატიზაციის, ანუ სპირანტიზაციის შესახებ დამატებით იხ. ჩვენი ნაშრომი, სადაც განიხილება თანხმომავნათა შესატყვისობანი ქართველურ ენებში.

დაყოფილი ლიტერატურა

1. ა ლ ა ვ ი ძ ე მ., ლეჩხუმური ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა, I, თბ., 1938.
2. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვახუშტი, აღწერა საქართველომსა, I ნიგნი, ს ა მ ც ხ ე, ტფ., 1892.
3. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვახუშტი, აღწერა საქართველომსა, II ნიგნი, ქ ა რ თ ლ ი, ტფ., 1895.
4. ბ ე რ ი ძ ე გრ., ქართული ენის ჯავახური კილო, თბ., 1988.
5. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე თ., მ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ი გ., სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.
6. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე თ., დეზაფრიკატიზაცია სვანურში.

„გადაწერის წესები“ დიაქრონიულ ფონოლოგიაში, თბ., 1968.

7. გ უ დ ა ვ ა ტი, რეგრესული დეზაფრიკატიზაციის ერთი შემთხვევა ზანურში (მეგრულ-ჭანურში), საქ. რესპ. მეცნ. აკადემიის მოამბე, XXXIII₂, თბ., 1964.
8. თ ო ფ უ რ ი ა ვ, აფრიკატთა ცვლისა და შესატყვისობის ზოგი საკითხი ქართველურ ენებში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XIII სამეცნიერო სესიის თეზისები, თბ., 1956.
9. თ ო ფ უ რ ი ა ვ, მცენარეთა სახელწოდების შესწავლისათვის ქართველურ ენებში, საქ. სსრ. მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინსტიტუტის XVI სამეცნ. სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1958.
10. თ ო ფ უ რ ი ა ვ, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი, იკე, XII, თბ., 1960.
11. თ ო ფ უ რ ი ა ვ, ქართველურ ენათა სიტყვანარმოებიდან, III, თსუ შრომები, XV, თბ., 1940.
12. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი გრ., ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბ., 1966.
13. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი გრ., ქართლური დიალექტი, I, თბ., 1974.
14. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954.
15. კ ო ბ ა ხ ი ძ ე ალ., რაჭული დიალექტის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1987.
16. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი არ. და ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი გრ., ქართული ენის კახური დიალექტი, გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ, თბ., 1956.
17. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი არ., ჯავახურის მესხურთან მიმართების საკითხისათვის, ა. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VIII, თბ., 1950.
18. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი გ., საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბ., 1965.
19. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი გ., საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისა-

თვის, თბ., 1965.

20. მელიქიშვილი ი., დისიმილაციური დეზაფრიკატიზაცია ქართული ენის დასავლურ კილოებში, თსუ'ს სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, 9, თბ., 1965.
21. ნიჟარაძე შ., ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, (გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ), ბათუმი, 1961.
22. ნიჟარაძე შ., ზემოაჭარულის თავისებურებანი, ბათუმი, 1957.
23. ონიანი ალ., ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, თბ., 1989.
24. ოსიძე ეკ., სვანური ენის ლექსიკის შესწავლისათვის ისტორიული თვალსაზრისით, ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 1987.
25. ულენტი ს., გურული კილო, გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი, ტფ., 1936.
26. ულენტი ს., ლაბიალიზებულ თანხმოვანთა საკითხისათვის ქართველურ ენებში, ენიმკის მოამბე, X, თბ., 1941.
27. ულენტი ს., ქართული აფრიკატების შედგენილობა ექსპერიმენტული მონაცემები, საქ. რესპ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VI, № 2, თბ., 1945.
28. ულენტი ს., ფონეტიკური შენიშვნები სვანურის ქართულ წარწერებზე, თსუ-ს შრომები, XXX₆-XXXI₆, თბ., 1947.
29. ულენტი ს., ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1953.
30. ულენტი ს., ქართული ენის ფონეტიკა, თბ., 1956.
31. ულენტი ს., სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, ექსპერიმენტული გამოკვლევა, თბ., 1949.
32. როგავა გ., დისიმილაციური დეზაფრიკატიზაციის ერთი სახეობა ზანურში, თსუ შრომები, XXX₆-XXXI₆, თბ., 1947.
33. როგავა გ., ქართველურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-

შედარებითი შესწავლის ძირითადი საკითხები, იკე, IV, თბ., 1953.

34. როგავა გ., ნააფიქსარი დ-ს ფონეტიკური სახეცვლილებანი და ზეცა ფუძის აგებულების საკითხი, ქუთაისის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, XI, 1952-1953.
35. როგავა გ., მარჯვენა ზედსართავის შედგენილობის საკითხი ქართველურსა და ადიღურ ენებში, იკე, XXV, თბ., 1986.
36. როგავა გ., ადიღური სიტყვა ქართველურ ენებში, ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 1987.
37. სიხარულიძე იური, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, წიგნი I, ბათუმი, 1958.
38. უთურგაიძე თ., სტრუქტურული შესატყვისები. სპირანტიზაციისა და დესპირანტიზაციისათვის ქართველურ ენათა სისტემაში, იკე, XVIII, თბ., 1973.
39. უთურგაიძე თ., ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976.
40. უთურგაიძე თ., ჩხუბიანი შვილი დ., გიუნა შვილი ჯ., ფერეიდნული ტექსტები, იკე, XXIII, თბ., 1985.
41. ფენრიხი ჰაინც, სარჯველაძე ზურაბ, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990.
42. ქავთარაძე ივანე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ., 1985.
43. ქალდაანი მ., სვანური ენის ჩუბეხური მეტყველების თავისებურებანი, იკე, XI, თბ., 1959.
44. ქალდაანი მ., სვანური ენის ლახამულური კილოკავის ფონეტიკური თავისებურებანი, იკე, VII, თბ., 1955.
45. ქობალავა ი., აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები იბერიულ-კავკასიურ ენებში, იკე, IX-X, თბ., 1958.
46. ღამბაშიძე რ., ინგილოური კილო, თსუ შრომები, XXX₆, თბ., 1947.
47. ღლონტი ალ., ძირითადი ფონეტიკური მოვლენებისათვის

გურულში, თსუ შრომები, პირველი სერია: საზოგადოებათმეცნიერებანი, V, 1936.

48. ლ ლ ო ნ ტ ი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, II, თბ., 1975.
49. ლ ლ ო ნ ტ ი ალ., ფრონეების ხეობის ტოპონიმიკა, თბ., 1988.
50. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ., ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, ტფ., 1927.
51. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ., ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფ., 1939.
52. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ., ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფ., 1938.
53. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა არნ., სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.
54. ც ო ც ა ნ ი ძ ე გიორგი, ფშაური დიალექტი, თბ., 1978.
55. ძ ი ძ ი გ უ რ ი შ., ქართული ენის მთარაჭული დიალექტის ძირითადი თავისებურებანი, ენიმკი'ს მოამბე, VI(1), ტფ., 1937.
56. ძ ი ძ ი გ უ რ ი შ., მესხური დიალექტის აღწერითი ანალიზი სხვა კილოებთან მიმართების თვალსაზრისით, ენიმკი'ს მოამბე, თბ., 1941.
57. ძ ი ძ ი გ უ რ ი შ., ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბ., 1970.
58. ძ ი ძ ი გ უ რ ი შ., ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954.
59. ძ ი ძ ი გ უ რ ი შ., დავით გურამიშვილის ენა, თბ., 1980.
60. ძ ი ძ ი შ ვ ი ლ ი მერი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, თბ., 1960.
61. ძ ო ნ ე ნ ი ძ ე ქეთევანი, ზემოიმერული კილოკავი, ენობრივი მიმოხილვა და ტექსტები, თბ., 1973.
62. ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი ალ., ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960.
63. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი მ., საინგილო, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, „ძველი საქართველო“, ტ. II, ინგილოური ტექსტები, ტფ.,

1913.

64. ჯ ა ნ ა შ ი ა ს., სვანურ-ადიღეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები, ენიმკი"ს მოამბე, ტ. XII, თბ., 1942.
65. ჯ ა ნ ა შ ი ა ს., შრომები, ტ. III, თბ., 1959.
66. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ბ., ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989.
67. К е р а ш е в а З. И., Особенности шапсугского диалекта адыгейского языка, Майкоп, 1957.
68. К и п ш и д з е И., Грамматика мингрельского (иверского) языка, С.-Пб., 1914.
69. К л и м о в Г. А., Этимологический словарь картвельских языков, М. 1964.
70. М а р р Н. Я., Грамматика чанского (лазского) языка, С.-Пб., 1910.
71. М а р р Н. Я., Тубал-каинский вклад в сванском, ИАН, 1912.
72. М а р р Н. Я., Из поездок в сванию, "Христианский восток", т. II, вып. 17, С.-Пб.
73. М а р р Н. Я., К вопросу о ближайшем родстве армянского языка с аварским, Записки Вост. Отдел Импер. Русского Археологического общества, т. XIX, С.-Пб., 1909.
74. Р о г а в а Г. В., К е р а ш е в а З. И., Грамматика адыгейского языка, Майкоп, 1966.
75. Ч и к о б а в а А. С., Картвельские языки, их исторический состав и древний лингвистический облик, ИКЯ, II, Тб., 1948.
76. N e i s s e r F., Studien zur Georgischen Wortbildung, Abhandlungen für die Kunde des Morgenlandes, XXXI, 2, 1953.
77. S c h m i d t K. H., Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache, Wiesbaden, 1962.

პ ი რ თ ა ს ა კ ი ე ბ ე ლ ი

ა

ალავიძე მ. 14, 23, 281, 327
 ამირანაშვილი შ. 98, 106
 ანანია შირაკელი 69
 არჩილი 15
 აფაქიძე ა. 90, 97, 98, 106
 აშოტ ბაგრატიონი 64, 65
 ახვლედიანი გ. 7, 120, 127, 182,
 200, 204, 215, 217, 236

ბ

ბასილ ზარზმელი 65
 ბედოშვილი გ. 62, 63, 64, 68, 70,
 72, 86
 ბერიძე გრ. 17, 23, 43, 51, 53, 72,
 79, 86, 226, 236, 271, 284,
 306, 327
 ბეროზაშვილი თ. 96, 106
 ბერძენიშვილი ნ. 58, 85, 90, 91,
 98, 106

გ

გაბუური ბ. 17, 23, 53
 გამყრელიძე თ. 288, 290, 300, 301,
 327
 გაფრინდაშვილი შ. 7, 21, 22, 24,
 123, 127, 202, 210, 215
 გაჩეჩილაძე პ. 53, 84, 86, 126, 127,
 182, 186, 200, 217, 236
 გიგინეიშვილი ი. 53, 58, 84, 86,
 185, 197, 200, 216, 236, 265
 გიორგი მერჩული 65, 66, 67, 87

გიუნაშვილი ჯ. 246, 267, 330
 გობეჯიშვილი გ. 90, 106
 გოგუა გ. 115
 გრიგოლია კ. 98, 106
 გრიგორ ხანძთელი 65, 66, 67
 გუდავა ტ. 290, 293, 317, 328
 გულია დ. 117, 128, 170
 გულუა ს. 114

დ

დავით გურამიშვილი 48, 53, 55,
 236, 238, 265, 305, 331
 დონდუა ვ. 77, 98, 106
 დუმბაძე მ. 98, 106

ე

ვახუშტი ბატონიშვილი 47, 53,
 58, 59, 60, 61, 62, 68, 77, 85,
 88, 294, 327

თ

თეიმურაზ პირველი 15
 თოფურია გ. 83, 86, 274
 თოფურია ვ. 42, 53, 58, 74, 75,
 76, 77, 83, 84, 86, 91, 94, 95, 99,
 106, 167, 168, 169, 178, 185, 197, 200,
 216, 217, 218, 236, 245, 251, 253,
 254, 255, 259, 261, 262, 265, 298,
 299, 301, 310, 312, 317, 324, 328

ი

ილია ქავჭავაძე 57, 90, 230

- იმნაიშვილი გრ. 14, 15, 16, 20, 24, ლომსაძე შ. 59, 61, 87
 42, 43, 44, 47, 53, 83, 85,
 86, 126, 127, 183, 187, 196, 200,
 218, 236, 239, 246, 255, 265, მაისურაძე ი. 188, 200
 266, 270, 272, 273, 274, 284, მაკალათია თ. 78, 83, 87
 304, 306, 314, 328 მარი ნ. 13, 39, 61, 75, 77, 81, 91, 92,
 იმნაიშვილი ი. 77, 87, 240, 265, 93, 94, 99, 167, 168, 200, 316,
 295, 324 317
- იმნაძე ნ. 7, 212, 216 მარტიროსოვი არამ. 8, 9, 15, 24,
 ინგოროყვა პ. 294, 328 43, 44, 53, 54, 181, 183, 187,
 196, 200, 203, 216, 218, 219,
 236, 239, 241, 245, 266, 271,
 272, 284, 328
- კაიშაური ლ. 239, 265 მასლამ ჰაბიბიზნ 68
 კაკაბაძე ს. 99, 106 მაჭავარიანი გ. 35, 54, 139, 149,
 კალანდაძე აღ. 90, 106 165, 168, 179, 234, 236, 244,
 კარტოზია გ. 265 249, 250, 257, 262, 266, 288,
 კაჭარავა გ. 34, 53, 234, 236 290, 293, 300, 310, 313, 327,
 კახაძე ო. 186, 187, 200 328
 კიზირია ნ. 7, 212, 216 მახარაძე ნ. 74, 87
 კინწურაშვილი ს. 90, 97, 106 მგალობლიშვილი ს. 219, 225, 237,
 კლიმოვი გ. 22, 33, 34, 35, 36, 117, 240, 267
 169, 202 მგელაძე ი. 10, 21, 22, 24, 38, 54,
 კობახიძე აღ. 24, 42, 51, 53, 252, 82, 84, 87
 266, 328 მეგრელიძე ი. 87, 123, 125, 127,
 174, 175, 176, 185, 200, 202,
 209, 210, 216
- ლ ლეჟავა ლ. 11, 24, 53, 84, 87, 126, მელიქიშვილი გ. 90, 98, 106, 107,
 127, 185, 200, 210, 216, 229, 236 294, 328
 229, 236 მელიქიშვილი ი. 269, 305, 310,
 328
- ლეონტი მროველი 67, 87, 90, 103 მენაბდე ლ. 90, 97, 106
 ლომთათიძე გ. 90, 107 მესხია შ. 98, 106
 ლომთათიძე ქ. 252, 253, 266 მესხიშვილი მ. 96, 106
 ლომთაძე ა. 87, 105, 107, 171, 179, მსხალაძე ა. 73, 87
 211, 216, 222, 236 მუსხელიშვილი დ. 69, 71, 87
 ლომთაძე ე. 104, 107
 ლომოური თ. 58, 85

- 5
 ნაისერი ფ. 301
 ნიჟარაძე შ. 12, 13, 24, 40, 49, 52, 54, 73, 84, 87, 123, 127, 185, 200, 202, 216, 237, 239, 243, 245, 266, 283, 284, 292, 304, 310, 329
 ნოზაძე ლ. 96, 106
 ნოლაიდელი ჯ. 11, 24, 54, 73, 82, 87, 88, 202, 216, 217, 237
 ოსიძე ეკ. 305, 329
 ონიანი ა. 149, 166, 169, 179, 294, 329
 3
 პუშკინი ა. 271, 328
 4
 ულენტი ს. 9, 10, 11, 20, 21, 25, 31, 35, 36, 43, 47, 48, 51, 54, 117, 122, 127, 181, 191, 200, 217, 218, 231, 237, 241, 242, 245, 248, 249, 250, 252, 254, 256, 258, 259, 260, 262, 263, 264, 266, 269, 282, 283, 284, 285, 287, 292, 293, 294, 296, 303, 309, 317, 318, 319, 325, 329
 რ
 რაზიკაშვილი თ. 56
 რატიანი პ. 98, 106
 როგავა გ. 33, 64, 88, 202, 203, 204, 205, 216, 219, 221, 237, 239, 240, 264, 266, 267, 287, 290, 293, 298, 310, 312, 313, 317, 324, 329
 როსტიაშვილი ნათ. 196, 200
 ს
 სამუშია კ. 30, 54
 სარჯველაძე ზ. 10, 25, 46, 54, 289, 330
 სახლთხუციშვილი უ. 83, 88
 სერაპიონ ზარზმელი 65
 სიხარულიძე ი. 13, 25, 69, 72, 73, 74, 80, 84, 88, 102, 103, 104, 107, 283, 330
 უ
 უთურგაიძე თ. 7, 19, 21, 25, 46, 54, 121, 127, 246, 267, 278, 285, 320, 330
 ფ
 ფანჩიძე ვ. 114
 ფარნავაზი 103
 ფეინრიხი პ. 289, 330
 ფოგტი პ. 7, 212, 216
 ფურცელაძე ანტ. 41, 54
 ძ
 ქავთარაძე ივ. 7, 10, 11, 25, 47, 48, 52, 53, 58, 84, 86, 185, 193, 197, 200, 201, 216, 236, 265, 281, 284, 291, 330
 ქალდანი მ. 20, 21, 25, 36, 54, 231, 235, 237, 244, 250, 267, 288, 295, 310, 313, 330
 ქობალავა ი. 17, 18, 22, 25, 28, 39, 44, 47, 52, 54, 124, 125, 126,

ჩ

127, 202, 210, 211, 215, 216,
230, 237, 246, 248, 254, 258,
262, 263, 264, 267, 269, 275,
277, 284, 290, 296, 297, 310,
320, 330

ჩიქობავა არნ. 33, 35, 55, 70, 71,
72, 73, 74, 75, 76, 79, 81, 88,
89, 104, 107, 139, 164, 165, 166,
168, 169, 179, 230, 231, 234,
237, 244, 248, 249, 250, 254,
256, 257, 258, 259, 267, 277,
286, 288, 289, 290, 291, 292,
297, 310, 312, 316, 317, 318,
320, 321, 323, 324, 331

ღ

ღამბაშიძე რ. 196, 201, 273, 306,
330

ღვინჯილია კ. 114

ღლონტი ალ. 60, 75, 76, 77, 78,
82, 88, 90, 91, 95, 99, 100,
107, 282, 284, 294, 303, 309,
330, 331

ჩიქოვანი მ. 42, 55
ჩიქოვანი მიხ. 50
ჩუბინაშვილი ტ. 97, 107
ჩხენკელი სტ. 47, 55
ჩხუბიანაშვილი დ. 246, 267, 330

ყ

ყაუხჩიშვილი ს. 60, 61, 67, 70, 87,
88, 90, 107

ყიფშიძე ი. 7, 8, 25, 47, 55, 116,
117, 119, 148, 149, 168, 170, 176,
222, 249, 261, 267, 286, 311,
321

ც

ცაგარელი ალ. 27
ცერცვაძე ი. 126, 128
ციკოლია მ. 117, 128, 170, 179
ცინცაძე მ. 12, 25, 55, 73, 89
ცოცანიძე გ. 17, 25, 44, 45, 55,
182, 189, 191, 197, 198, 201, 202,
205, 206, 209, 211, 214, 216,
247, 267, 280, 281, 284, 314,
331

შ

შალამბერიძე გ. 219, 225, 237,
240, 245, 267

შანიძე ა. 59, 61, 62, 88, 101, 102,
107, 166, 179, 217, 237, 289,
317

შარაშენიძე ქრ. 237
შარაძენიძე თ. 36, 37, 55, 126,
128, 262, 264, 267

შენგელია ს. 114

შოთა რუსთაველი 25, 46, 47, 54,
55, 73, 85, 87, 89

ცხადაია პ. 83, 89

ძ

ძიძიგური შ. 14, 25, 41, 42, 44, 48,
49, 55, 182, 183, 186, 193, 201,
238, 251, 260, 267, 270, 274,
276, 282, 284, 292, 305, 308,
331

ძიძიშვილი მ. 285, 330

ძონენიძე ქ. 55, 282, 295, 300,

წ

წულუკიძე ალ. 23, 64, 88

ჭ

ჭინჭარაული ალ. 18, 19, 25, 45,
55, 189, 191, 193, 201, 228, 238,
279, 280, 315, 331
ჭიჭინაძე ზ. 54

ხ

ხანძთელი გრიგორი 65, 66, 67
ხუბუა მ. 56, 114, 121

ჯ

ჯავახიშვილი ივ. 58, 68, 89, 90,
91, 93, 94, 106, 108
ჯანაშვილი მ. 273, 283, 331
ჯანაშია ს. 90, 91, 106, 297, 331,
332

ჯაფანიძე პ. 14, 26, 56

ჯიქია ს. 20, 72, 89

ჯორბენაძე ბ. 11, 14, 15, 26, 39, 44,
51, 84, 89, 223, 225, 232,
238, 256, 267, 275, 283, 284,
300, 302, 308, 309, 314, 315,
332

ბ

Болтунова А.И. 98, 108

კ

Керашева З.И. 298, 332

Кипшидзе И.А. 56, 116, 128, 148,

168, 179, 222, 238, 282, 310,
311, 312, 332Климов Г.А. 22, 26, 35, 56, 78, 79,
89, 114, 117, 120, 128, 167, 179,
244, 259, 267, 289, 332

მ

Март Н.Я. 35, 47, 56, 60, 61, 75, 77,
89, 92, 108, 168, 179, 249, 250,
259, 267, 286, 287, 294, 297,
310, 311, 312, 316, 317, 320,
332

Меликишвили Г.А. 98, 108

პ

Рогавა Г.В. 298, 332

ყ

Услар П.К. 99, 108

ც

Цагарელი Ал. 27, 56

ჩ

Чикобава А.С. 297, 332

დ

Dumézil G. 259, 268

ნ

Neisser E. 299, 332

ს

Schmidt K.H. 244, 268, 288, 332

ამირან ელიზბარის კე ლომთაქე

**სპირანტებისა და აზრიკატების
ფონეტიკური სასეცვლილებანი
ქართველურ ენებში**

(ისტორიულ-შედარებითი ანალიზი)

ტექსტი კომპიუტერზე ააწყო და დააკაბადონა ლალი ურუშაძემ
კორექტორი მადონა ფოჩხუა

ფასი სახელშეკრულებო
ტირაჟი 500

გამომცემლობა „ქართული ენა“

**თბილისი
1999**